უჩა თოდუა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Business

თემიდა
გამჭვრეტადი სამართლისთვის
www.temida.ge

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში

უჩა თოდუა

თბილისი
2019

პუბლიკაცია გამოქვეყნებულია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) თანადაფინანსებული პროექტის „საქართველოს კომერციული სამართლის და პრაქტიკის გაუმჯობესება“ მიერ, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკომისიის, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და GIZ-ის მოსაზრებებს.

© უჩა თოდუა, 2019
© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე lawlibrary.info/ge
გამოცემაში მოცემული ყველა გადაწყვეტილების სრული ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე temida.ge

ISBN

„კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა.“

ილია ჭავჭავაძე

წინასიტყვაობა

სამართალი, მისი ჯერარსული ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის მიისწრაფვის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობისკენ. აღნიშნული, თავის მხრივ, მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების, როგორც სასამართლო ხელისუფლების წყაროს, ნდობის საფუძველია.

საკანონმდებლო ნორმის გაზრახ აბსტრაქტული ხასიათი მეტ მოქნილობას სძენს სამართლებრივ წესრიგს, თუმცა ამგვარი მიდგომის მიზანი არა თვითნებობისა და უსაზღვრო დისპოზიციურობის პრიმატის დამკვიდრება, არამედ, ცხოვრებისეული რეალიების გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული დავის სწორად გადაწყვეტის შესაძლებლობის შექმნაა. საკანონმდებლო ნორმის აბსტრაქტულობას ნათელს ჰფენს და საზღვარს უწესებს სასამართლო, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის (jurisprudence constante) დადგენით.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკის კვლევის გზით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისთვის მეტი განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის მინიჭებაა.

ნაშრომში სისტემატიზებულია ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა ინტერპრეტაციები, რეზიუმეებით, მოკლე შეჯამებებით, საკვანძო თემატიკისა და განმარტებული ნორმების მითითებით. წარმოდგენილ ნაშრომში მოძიებული თითოეული სასამართლო გადაწყვეტილების სრულ ვერსია განთავსებულია სასამართლო პრაქტიკის საძიებო სისტემა „თემიდას“ ვებ-გვერდზე (www.temida.ge).

იმედია მაქვს, ნაშრომი პრაქტიკულად გამოსადეგი აღმოჩნდება, როგორც იურისტი, ისე არაიურისტი მკითხველებისა და, განსაკუთრებით, მოქმედი და მომავალი მეწარმეებისათვის. საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ ქვემოთ მოცემული დავების სრული პრევენცია თუ არა, მათი ნეგატიური ეფექტების მინიმალიზება უპირობოდ იყო შესაძლებელი შესაბამისი ცოდნისა და გულმოდგინების შემთხვევაში.

მადლობას ვუხდი ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროგრამას „კომერციული სამართლისა და მართლმსაჯულების გაუმჯობესება საქართველოში“ და ამავე პროგრამის თანამშრომლებს შალვა პაპუაშვილს და ნინო ცაგარეიშვილს, რომელთა მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი წარმოდგენილი ნაშრომის შექმნა და გამოცემა.

ასევე, მადლობას ვუხდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და იუსტიციის უმაღლეს სკოლას სასამართლო პრაქტიკის მოძიებაში გაწეული დახმარებისთვის.

ნაშრომი ეძღვნება ჩემს მშობლებს – ანდრო თოდუას და ნუნუ კვაჭაძეს.

უჩა თოდუა

წიგნის სტრუქტურა

ნაშრომში თავმოყრილია საქართველოს სასამართლოთა მიერ სხვადასხვა დროს გამოტანილი გადაწყვეტილებები (განჩინებები), რომლებიც განმარტავენ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს.

ნაშრომში წარმოდგენილი თითოეული გადაწყვეტილების (განჩინების) სრული ტექსტი და ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ სასამართლო პრაქტიკის საძიებო სისტემა „თემიდას“ ვებ-გვერდზე (www.temida.ge).

მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომისთვის შეირჩა და დამუშავდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა მხოლოდ ის გადაწყვეტილებები (განჩინებები), რომლებიც არ შეცვლილა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გასაჩივრების გზით.

სარჩევის სახეები

წიგნში სასამართლო გადაწყვეტილებები (განჩინებები) მოცემულია ქრონოლოგიური წესით, მათი გამოტანის თარიღის მიხედვით. სასურველი განმარტების/გადაწყვეტილების/თემატიკის მოძიების გაადვილების მიზნით, მკითხველს შეუძლია წიგნში ნავიგაცია შემდეგი სამი სახის სარჩევის გამოყენებით:

- ***ქრონოლოგიური სარჩევი***

ქრონოლოგიურ სარჩევში წარმოდგენილია ნაშრომში მოცემული გადაწყვეტილებების (განჩინებების) სია თანმიმდევრულად, მათი გამოტანის თარიღის მიხედვით. ამასთან, თითოეულ გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) მითითებულია შესაბამისი საკვანძო საკითხი.

- ***მუხლობრივი სარჩევი***

მუხლობრივ სარჩევში ჩამოწერილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ყველა ის მუხლი, რომლებიც განმარტებულია ნაშრომში წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით (განჩინებებით). უფრო სკურპულოზური ძებნისთვის მუხლები დაყოფილია შესაბამის პუნქტებად და ქვეპუნქტებად.

- ***თემატური სარჩევი***

თემატურ სარჩევში მოცემულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის სამართლებრივი საკითხები, რომლებიც განმარტებულია ნაშრომში წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით (განჩინებებით).

გადაწყვეტილების (განჩინების) ანალიზის სტრუქტურა

წიგნში მოცემული თითოეული სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) ანალიზი შედგენილია უნიფიცირებულად, შემდეგი სტრუქტურის დაცვით:

სასამართლოს დასახელება
საქმის № (თარიღი)
მოსამართლე(ებ)ი:

საკვანძო საკითხი:
ის სამართლებრივი საკითხი, რომელიც არსებითად იყო სადავო საქმეში და რომლის განმარტებასაც დიდწილად დაეყრდნო სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) შედეგი.

გადაწყვეტილების (განჩინების) რეზიუმე:
მთლიანი გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი არსის მოკლე მიმოხილვა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
იმ გადაწყვეტილებათა (განჩინებათა) ნომრები, რომელთა სამოტივაციო ნაწილიც ციტირებს წარმოდგენილ გადაწყვეტილებას (განჩინებას).

I. განმარტება
გადაწყვეტილებით (განჩინებით) განმარტებული თითოეული საკითხი ან მონათესავე საკითხთა ჯგუფი გამოყოფილია ინდივიდუალურად და დანომრილია რომაული ციფრებით.

განმარტების შეჯამება:
სასამართლო განმარტების მთავარი არსი, ანუ ის, თუ რა წესი დაადგინა სასამართლომ წარმოდგენილი განმარტებით. შეჯამებაში მოცემული ტექსტი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ იქნებოდა ჩამოყალიბებული სასამართლო განმარტება, სამართლის ნორმის სახით რომ ყოფილიყო მოცემული.

განმარტების შეჯამება იწყება აბრევიატურით RD ან OD, რომელთაგან RD (ratio decidendi) წინ უძღვის იმ განმარტებას, რომლის გარეშეც არ დადგებოდა საქმეზე იმგვარი შედეგი, როგორიც დადგა („რომ არა“ ტესტი), ხოლო OD (obiter dictum) – დამატებით განმარტებებს, რომელთაც უშუალო და პირდაპირი გავლენა არ მოუხდენიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებაზე.

განმარტებული საკითხები:
- იმ სამართლებრივი საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც განმარტებულია.

განმარტებული ნორმები:
- იმ სამართლებრივი ნორმების ჩამონათვალი, რომლებიც განმარტებულია.

სრული განმარტების ციტირება:
წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) იმ ნაწილების ზუსტი ამონარიდები (ციტირება), რომლებშიც მოცემულია განსახილველი განმარტება.

ქრონოლოგიური სარჩევი

23.01.2001 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/841
- პარტნიორის გარიცხვა 47

06.03.2001 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/336-02
- კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა 49

09.03.2001 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/303-01
- პარტნიორის გარიცხვა 50

30.03.2001 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/259-01
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 52

27.07.2001 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/585-01
- საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა 53

14.09.2001 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/787-01
- პარტნიორის გარიცხვა 57

25.01.2002 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/1016-01
- პარტნიორის გარიცხვა 60

21.05.2002 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/530-02
- პარტნიორის მიერ გარიცხვამდე მისი წილის გასხვისება 62

05.07.2002 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/661-02
- საწარმოს რეგისტრაციის მნიშვნელობა 68

06.09.2002 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/859-02
- პრივილეგირებული აქცია 69

08.11.2002 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/1154-02
- საკორპორაციო ჩიხი 71

19.03.2003 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/1492-02
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 73

21.03.2003 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/1244-02
- პარტნიორის გარიცხვა 75

14.05.2003 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/386-03
- საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის წინაპირობა 78

27.05.2003 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/654-03
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) სააქციო საზოგადოებაში 80

11.06.2003 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №3კ/532-03
- მემკვიდრის აღიარება პარტნიორად 82

23.06.2003 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-68-767-03
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 85

11.05.2004 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-123-433-04
- პარტნიორის გარიცხვა 87

14.05.2004 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-339-633-04
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 88

19.05.2004 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-768-1393-03
- წილების ხელახალი განსაზღვრა საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ 90

16.07.2004 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-652-900-04
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 91

16.03.2005 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-974-1209-04
- საკუთრების უფლების წარმოშობა წილზე 93

07.03.2006 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-777-1040-05
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში 94

27.07.2006 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-671-952-05
- ფილიალი და ფილიალის დირექტორი 95

13.03.2007 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-556-939-06
- პარტნიორის გარიცხვა 97

29.03.2007 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-747-1114-06
- წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულების დასაშვებობა 99

18.05.2007 – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმის №2/1-370,382,390,402,405
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა 101

24.07.2007 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-390-741-07
- პარტნიორის გარიცხვა 110

11.11.2007 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-356-708-07
- ვიცე-პრეზიდენტის გათავისუფლება (გამოწვევა) 112

12.11.2007 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-614-951-07
- პარტნიორის გარიცხვა 115

18.12.2007 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-506-853-07
- საერთო კრებაში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით 116

23.01.2008 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-954-1260-07
- შპს-ს არაუფლებამოსილი წარმომადგენელი 118

22.02.2008 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-282-611-07
- ფილიალთან დადებული გარიგება 119

05.12.2008 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-448-690-08
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება 121

20.01.2009 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-860-1074-08
- აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა 123

24.02.2009 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-959-1161-08
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა 126

28.04.2009 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1007-1205-08
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში 128

25.06.2009 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1111-1264-08
- მოგების (დივიდენდის) განაწილება 130

02.07.2009 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-75-408-09
- პარტნიორის დავა საწარმოსთან და თანაპარტნიორთან 132

27.07.2009 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-131-461-09
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა 136

28.09.2009 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1481-09
- კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა 137

26.03.2010 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-899-1185-09
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 139

10.06.2010 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1234-1493-09
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 143

18.04.2011 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-764-715-2010
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში 145

10.05.2011 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/887-11
- პარტნიორის გარიცხვა 147

06.06.2011 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1328-1170-2010
- დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა 150

23.06.2011 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1375-1212-2010
- საწარმოს წარმომადგენლობა 153

28.06.2011 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/183-11
- ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა 156

26.09.2011 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-310-294-2011
- საწარმოს წარმომადგენლობა 160

15.12.2011 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-995-1028-2011
- შვილობილი საწარმო (სუბსიდიარი) 163

22.12.2011 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2745-11
- პარტნიორის გარიცხვა 164

27.12.2011 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3229-11
- დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა 167

31.01.2012 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1343-1361-2011
- დივიდენდის მოთხოვნა წილის გასხვისების შემდეგ 169

11.07.2012 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2257-12
- გარიცხული პარტნიორის მიუღებელი დივიდენდი 171

26 სექტემბერი, 2012 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2643-12
- პარტნიორის ხმის უფლებისა და წილების პროპორციულობა 173

05.11.2012 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1144-1073-2012
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ) 174

14.11.2012 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1194-1455-09
- აქციონერის ხმის უფლების შეზღუდვა 176

29 იანვარი, 2013 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1056-990-2012
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში 179

13.02.2013 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3525-12
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა 181

21.02.2013 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3155-12
- ინტერესთა კონფლიქტი 182

05.03.2013 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5032-12
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლება (გამოწვევა) 185

22.05.2013 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/74-13
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა 188

24.09.2013 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1634-1533-2012
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის/დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 190

10.10.2013 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5236-13
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ) 192

22.10.2013 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3797-13
- საწარმოს დაყოფა 194

15.01.2014 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2/ბ-1000-13
- საბუღალტრო ჩანაწერების გაცნობის უფლება 195

29.01.2014 – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმის №1/1/543
- სამეწარმეო სამართალში ხანდაზმულობის კონსტიტუციურობა 196

31.01.2014 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-771-732-2013
- პარტნიორის გარიცხვა 205

25.03.2014 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-495-471-2013
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 208

06.05.2014 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1307-1245-2014
- დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობა გადასახადისათვის თავის არიდებისთვის 211

31.07.2014 – თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმის №2/4334-14
- დომინანტური მდგომარეობის საზოგადოების საზიანოდ გამოყენება 221

01.10.2014 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2706-14
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 224

12.11.2014 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3113-14
- საზოგადოების საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის გაცნობის უფლება 226

25.12.2014 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-522-496-2013
- ზიანის ანაზღაურების სათანადო მოპასუხე (დირექტორი, თუ საწარმო) 228

26.01.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-243-228-2014
- დივიდენდის ოდენობა და წლიური ბალანსის შემოწმების ხარჯების დაკისრება 231

06.02.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5111-14
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება 233

11.02.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/7066-14
- დირექტორის მიერ გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლების დათმობა და ზიანის ანაზღაურება 236

17.03.2015 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2/ბ-1273-2014 (020210014552518)
- უარი განაწილებული მოგების (დივიდენდის) გადაცემაზე 238

24.03.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-31-28-2015
- საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება 240

25.03.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/6571-14
- დირექტორის მოთხოვნები მისი გათავისუფლების (გამოწვევის) დროს 242

27.03.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-35-32-2015
- პარტნიორთა/სამეთვალყურეო საბჭოს/კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად აღიარება 247

08.04.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1063-1018-2014
- დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა) 251

08.04.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-696-666-2014
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ 254

15.04.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-93-87-2015
- წილის მმართველი, თუ რწმუნებული 255

21.04.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1508-14
- აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვა 257

23.04.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-128-120-2015
- სამეწარმეო რეესტრისთვის სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობა 259

06.05.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1158-1104-2014
- დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობა გადასახადისათვის თავის არიდებისთვის 261

08.05.2015 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2/ბ-59-2015
- პარტნიორისთვის საზოგადოების დოკუმენტაციის გადაცემა 270

14.05.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-516-489-2014
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია 273

20.05.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/496-15
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ 276

09.06.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/6340-14
- ინტერესთა კონფლიქტი 278

29.06.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1233-15
- ძირითადი საწარმოს და ფილიალის თანამონაწილეობა 281

02.07.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-877-839-2014
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 284

10.09.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-533-506-2015
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 286

28.09.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-747-707-2015
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ 288

23.10.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-245-230-2014
- მტკიცების ტვირთის განაწილება საზოგადოებისთვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავაში 290

29.10.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1537-15
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია 293

29.10.2015 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2/ბ-740-15
- საწარმოს უნივერსალური უფლებამონაცვლეობა 295

30.10.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-471-450-2015
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 296

04.11.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-819-770-2015
- პარტნიორის უფლება პარტნიორთა კრების შესახებ ინფორმირებაზე 298

09.11.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-522-495-2015
- მოგების (დივიდენდის) განაწილების უკანონო პირობა 300

24.11.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3342-15
- საწარმოს ფილიალი, როგორც არასათანადო მოპასუხე 301

01.12.2015 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/189-15
- დირექტორის შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა 303

07.12.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1071-1010-2015
- საწარმოს სასამართლოში წარმოდგენის უფლებამოსილება 306

17.12.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-863-813-2015
- მოგების (დივიდენდის) განაწილება 308

21.12.2015 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-378-359-2015
- მოგების (დივიდენდის) ოდენობა 311

14.01.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/392-15
- პარტნიორთა საერთო კრების ოქმის შედეგების აღიარება 315

21.01.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/770-15
- კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) სანოტარო წესით დამოწმება 319

25.01.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2092-15
- პარტნიორის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე 321

27.01.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1134-1067-2015
- მოგების რეინვესტირების ბათილობა 325

29.01.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-895-845-2015
- დირექტორის იძულებითი მოცდენა (განაცდური) 327

29.01.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1144-1076-2015
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 330

10.02.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1244-1167-2015
- საწარმოს უფლებამონაცვლეობა 332

19.02.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/644-15
- ყოფილი დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობა 334

23.02.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1919-15
- არასწორი მენეჯმენტი – კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულების დარღვევა 336

04.03.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1235-1158-2015
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება 338

07.03.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/6068-15
- მეწარმე სუბიექტის მისამართის სისწორის მნიშვნელობა 340

09.03.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-23-23-2016
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 342

18.03.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1015-958-2015
- საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება და ლიკვიდაცია 345

08.04.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/6136-15
- საწარმოს წარმომადგენელი საკორპორაციო ჩიხის დროს 348

25.04.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3120-15
- აქციონერის გარიცხვა 350

20.05.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1179-1109-2015
- დედობილი და შვილობილი საწარმოები 354

06.06.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-457-436-2015
- მიუღებელი დივიდენდის მოთხოვნა 355

10.06.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-252-240-2016
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 358

16.06.2016 – მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმის №2/857-15
- დირექტორის კომპენსაცია და შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა 359

17.06.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-375-359-2016
- ახალი წესდების მიღების ბათილობა 366

21.06.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2779-16
- საწარმოს პარტნიორის უფლებების შეზღუდვა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფა 368

29.06.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1236-15
- შრომითი და საკორპორაციო ნორმების კონკურენცია 370

06.09.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2366-16
- მეწარმე სუბიექტის მისამართის სისწორის მნიშვნელობა 373

23.09.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-131-127-2016
- დირექტორის მიერ გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია 375

27.09.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1101-1037-2015
- მინორიტარი აქციონერის უფლებები საწარმოს კაპიტალის გაზრდის პროცესში 380

28.09.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-240-228-2016
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 387

04.10.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-176-163-2015
- დირექტორის ფიდუციური მოვალეობები 390

07.10.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-692-663-2016
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში 391

28.11.2016 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-704-674-2016
- საწარმოს დირექტორის ხელმოწერის ნამდვილობა 392

21.21.2016 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5397-16
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 394

06.01.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1277-16
- დერივაციული სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ 397

20.01.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1036-997-2016
- საწარმოს ლიკვიდაციის კომპეტენცია 403

30.01.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5838-16
- საწარმოს ბეჭდის გამოთხოვა 404

01.02.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1104-1061-2016
- სხვაობა დივიდენდის მიღებისა და მოთხოვნის უფლებებს შორის 405

22.02.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/4889-16
- პარტნიორის გარიცხვის გასაჩივრების ხანდაზმულობა 407

06.03.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-839-805-2016
- დირექტორის ხელფასის ზრდა 410

06.04.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-725-693-2016
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 415

06.04.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-552-527-2016
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა 418

03.05.2017 – თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმის №2/3689-16
- გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები 420

18.05.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/579-16
- დივიდენდის არსებობის აღიარება 423

19.06.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2622-17
- პარტნიორის საპროცესო უფლებამონაცვლეობა 427

20.06.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1682-17
- კომპენსაცია დირექტორის გათავისუფლების (გამოწვევის) დროს 429

30.06.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-451-423-2017
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში 432

10.07.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-918-884-2016
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 433

11.07.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-655-611-2017
- დირექტორის გასამრჯელო 435

12.07.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/2535-17
- ფილიალი, როგორც არასათანადო მოპასუხე 438

17.07.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/7236-14 (160210014488710)
- რეინვესტირებისა და დირექტორის ხელფასის ზრდის ნამდვილობა 440

28.07.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-612-571-2017
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) საკორპორაციო ჩიხის დროს 443

28.07.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-319-302-2017
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) 448

04.09.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-115-108-2017
- დომინანტი აქციონერის კრების ოქმის ტოლფასი გადაწყვეტილება 454

13.10.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/978-17
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა 456

25.10.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1424-17
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 459

21.11.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/3810-17
- ფსევდო-დირექტორი 465

07.12.2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1072-992-2017
- მეწარმე სუბიექტის მისამართის სისწორის მნიშვნელობა 468

14.12.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/977-17
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა 470

29.12.2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/4403-17
- ყადაღა ლიკვიდაციის პროცესში 472

12.01.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1219-1139-2017
- რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია და კონტრაჰენტის კეთილსინდისიერება 473

02.02.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5956-17
- უწყების ჩაბარება დირექტორის ოჯახის წევრისთვის 475

22.02.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5746-17 (330210016001225550)
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 477

23.02.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1151-1071-2017
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი 480

28.02.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-28-25-2017
- იურიდიული პირი, როგორც უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენი 482

20 აპრილი, 2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-851-795-2017
- დავა მაჟორიტარი პარტნიორის წინააღმდეგ 486

18.05.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-190-190-2018
- შპს-დან პარტნიორის გასვლა 495

31.05.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/1762-18
- ყადაღა უცხოური საწარმოს ფილიალის (უსფ) ქონებაზე 497

04.07.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5798-17
- გამოწვევის შეუტყობინებლობის კომპენსაცია და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება 498

11.07.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/5964-17
- საწარმოს დოკუმენტაციის გაცნობა და ასლების გადაღება 503

10.09.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/4027-18
- უცხოური საწარმოს ფილიალის სამართალსუბიექტობა 506

08.10.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-201-201-2018
- პარტნიორის გარიცხვა 508

08.10.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-938-2018
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია 513

01.11.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/980-17
- პარტნიორის გარიცხვა 515

06.11.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-687-658-2016
- კომერციული შესაძლებლობის დაკარგვა და ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია 517

14.11.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1412-1332-2017
- დერივაციული აღიარებითი სარჩელი 523

09.11.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1237-1157-2017
- ზიანის ანაზღაურება შვილობილი კომპანიის არამართლზომიერი ლიკვიდაციისთვის 529

26.11.2018 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2/ბ-1053-18
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) საკორპორაციო ჩიხის დროს 531

30.11.2018 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-1141-2018
- პარტნიორთა კრების ავტონომიურობა და დივიდენდის გაცემა 536

28.12.2018 – თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმის №2ბ/6887-18
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა,
როგორც უზრუნველყოფის საშუალება 539

01.08.2019 – საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის №ას-821-2019
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის ბათილობა 541

მუხლობრივი სარჩევი

მუხლი	ქვეპუნქტი	საქმის ნომერი	გვერდი
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი			
I. ზოგადი ნაწილი			
მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო	1.	№ას-1007-1205-08 (I) №ას-1634-1533-2012 (I) №2ბ/2706-14 (I) №2ბ/6571-14 (I)	128 190 224 242
მუხლი 2. მეწარმე სუბიექტები და მათი დაფუძნება	-	№ას-704-674-2016 (I)	392
	1.	№ას-671-952-05 (I) №ას-282-611-07 (I,II) №ას-995-1028-2011 (I) №2ბ/5236-13 (I) №2ბ/1233-15 (I) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I) №ას-28-25-2017 (I) №2ბ/4027-18 (I)	95 119 163 192 281 301 438 482 506
მუხლი 3. პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები	-	№3კ/303-01 (I,II) №3კ/530-02 (II) №3კ/859-02 (I) №3კ/1244-02 (II) №3კ/532-03 (I) №ას-777-1040-05 (I) №2/1-370,382,390,402,405 (VII) №ას-614-951-07 (I) №ას-75-408-09 (II,IV,V) №ას-522-496-2013 (II) №ას-1071-1010-2015 (I) №2ბ/392-15 (I) №2ბ/3120-15 (III,IV) №2ბ/2779-16 (I) №ას-839-805-2016 (III) №ას-612-571-2017 (I) №ას-319-302-2017 (II) №ას-201-201-2018 (I,II,III,VI)	50 62 69 75 82 94 101 115 132 228 306 315 350 368 410 443 448 508

4.	№ას-448-690-08 (I)	121
4[1].	№3კ/787-01 (II)	57
	№2ბ/887-11 (I)	147
	№2ბ/2745-11 (I)	164
	№2/ბ-1273-2014 (II)	238
	№2/ბ-740-15 (I)	295
	№2ბ/770-15 (I)	319
	№ას-851-795-2017 (VI,VIII)	486
	№ას-821-2019 (I)	541
5.	№2ბ/183-11 (II)	156
	№2ბ/1508-14 (I)	257
	№2ბ/392-15 (III)	315
	№ას-28-25-2017 (II)	482
	№ას-1412-1332-2017 (I)	523
5[1].	№ას-35-32-2015 (I)	247
	№ას-128-120-2015 (I)	259
	№2ბ/392-15 (II,IV)	315
	№ას-1235-1158-2015 (I)	338
	№ას-1101-1037-2015 (II)	380
	№ას-851-795-2017 (I)	486
5[2].	№ას-35-32-2015 (I)	247
	№2ბ/1537-15 (I)	293
	№2ბ/392-15 (II,IV)	315
	№ას-1235-1158-2015 (I)	338
	№ას-1101-1037-2015 (II)	380
6.	№ას-448-690-08 (I)	121
	№ას-1307-1245-2014 (I,II,III)	211
	№ას-1158-1104-2014 (I,III,IV)	261
	№2ბ/2092-15 (I)	321
	№2/3689-16 (I,II)	420
7.	№3კ/841 (I)	47
	№3კ/787-01 (II)	57
	№3კ/1016-01 (I,II,III)	60
	№3კ/530-02 (VIII)	62
	№ას-123-433-04 (I)	87
	№ას-390-741-07 (I)	110
	№2ბ/887-11 (I)	147
	№2ბ/2745-11 (I)	164
	№ას-771-732-2013 (I,II)	205
	№2ბ/1508-14 (I)	257
	№ას-851-795-2017 (IX)	486
	№ას-201-201-2018 (IV)	508
	№2ბ/980-17 (I,II)	515
8.	№2ბ/5032-12 (IV)	185
	№2/4334-14 (I,II)	221
	№ას-839-805-2016 (I)	410
	№ას-851-795-2017 (IV,VII)	486
9.	№ას-1101-1037-2015 (I)	380
10.	№3კ/336-02 (I)	49
	№2/ბ-1000-13 (I)	195
	№2ბ/3113-14 (I,II)	226
	№ას-243-228-2014 (II)	231

		№ას-31-28-2015 (I) №2/ბ-59-2015 (I,II,III) №2ბ/496-15 (II) №ას-378-359-2015 (III) №ას-1101-1037-2015 (I,V) №2ბ/5838-16 (I) №2ბ/2622-17 (I) №2ბ/5964-17 (I,II,III)	240 270 276 311 380 404 427 503
	11.	№2/ბ-1273-2014 (II)	238
მუხლი 4. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია	-	№2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I)	301 438
	1.	№3კ/661-02 (I)	68
	3.	№3კ/661-02 (I)	68
	4.	№2ბ/6068-15 (I) №2ბ/6136-15 (I,II) №2ბ/2366-16 (I) №ას-1072-992-2017 (I) №2ბ/5956-17 (I)	340 348 373 468 475
მუხლი 5. მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები	1.ე	№ას-516-489-2014 (I)	273
	1.ე[1]	№ას-93-87-2015 (I)	255
	1.თ.	№ას-747-1114-06 (I) №ას-356-708-07 (I) №ას-516-489-2014 (I) №2/857-15 (V) №2ბ/3810-17 (I) №ას-1412-1332-2017 (IV)	99 112 273 359 465 523
	1.ი.	№ას-1412-1332-2017 (IV)	523
	1.კ.	№ას-1412-1332-2017 (IV)	523
	4.	№ას-516-489-2014 (I)	273
	5.	№2ბ/644-15 (III)	334
მუხლი 5[1]. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	-	№ას-128-120-2015 (I) №ას-516-489-2014 (I) №2ბ/1537-15 (I,II) №2ბ/770-15 (I) №ას-1235-1158-2015 (I) №ას-375-359-2016 (I) №ას-938-2018 (I)	259 273 293 319 338 366 513
	2.	№2ბ/496-15 (II) №ას-821-2019 (I)	276 541
	3.	№ას-747-1114-06 (I) №ას-1036-997-2016 (I)	99 403
	5[1].	№ას-974-1209-04 (I) №2ბ/887-11 (I) №2ბ/496-15 (II) №2ბ/2622-17 (I)	93 147 276 427
მუხლი 5[7]. საწარმოს რედომიცილება	1.	№2ბ/5236-13 (I) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I)	192 301 438
მუხლი 7. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის საჯაროობა	-	№3კ/530-02 (IX) №ას-974-1209-04 (I)	62 93

		№ას-1375-1212-2010 (I)	153
		№ას-310-294-2011 (I)	160
		№ას-131-127-2016 (I)	375
		№2ბ/5397-16 (I)	394
	1.	№ას-282-611-07 (III)	119
		№2ბ/978-17 (IV)	456
	3.	№2/857-15 (V)	359
		№ას-1219-1139-2017 (I)	473
მუხლი 8. მოგების განაწილება	1.	№3კ/859-02 (II)	69
		№ას-1111-1264-08 (I,II)	130
		№ას-75-408-09 (V,VI)	132
		№ას-1328-1170-2010 (I)	150
		№2ბ/3229-11 (I,II)	167
		№ას-1343-1361-2011 (I,II)	169
		№2ბ/2257-12 (I,II)	171
		№ას-243-228-2014 (I)	231
		№2ბ/5111-14 (I,II,III)	233
		№2/ბ-1273-2014 (II)	238
		№ას-1063-1018-2014 (I,II)	251
		№ას-696-666-2014 (I)	254
		№2ბ/496-15 (I,II)	276
		№ას-747-707-2015 (I)	288
		№ას-522-495-2015 (I)	300
		№ას-863-813-2015 (I,II)	308
		№ას-378-359-2015 (I,II,III)	311
		№ას-1134-1067-2015 (II)	325
		№ას-457-436-2015 (II)	355
		№ას-1104-1061-2016 (I)	405
		№ას-552-527-2016 (I)	418
		№2ბ/579-16 (I)	423
		№2ბ/7236-14 (I)	440
		№ას-319-302-2017 (II)	448
		№ას-851-795-2017 (I,II,III)	486
		№ას-1141-2018 (I,II)	536
მუხლი 9. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	-	№3კ/1154-02 (I)	71
		№ას-959-1161-08 (I)	126
		№ას-899-1185-09 (I)	139
		№ას-1375-1212-2010 (I)	153
		№ას-310-294-2011 (I)	160
		№2ბ/3155-12 (IV)	182
		№1/1/543 (III)	196
		№2ბ/770-15 (I)	319
		№2ბ/2779-16 (I)	368
		№2ბ/1277-16 (III)	397
		№ას-839-805-2016 (III)	410
		№ას-612-571-2017 (I)	443
		№2ბ/3810-17 (I,II)	465
		№2ბ/5746-17 (I)	477
		№2ბ/6887-18 (I,II)	539
	1.	№3კ/1492-02 (I)	73
		№ას-747-1114-06 (I)	99
		№ას-356-708-07 (I,II)	112
		№ას-954-1260-07 (I)	118

		№ას-516-489-2014 (I)	273
		№ას-1071-1010-2015 (I)	306
		№ას-704-674-2016 (I,II)	392
		№ას-319-302-2017 (III)	448
		№ას-28-25-2017 (I)	482
	2.	№ას-356-708-07 (I)	112
		№ას-516-489-2014 (I,II)	273
		№ას-1071-1010-2015 (I)	306
		№ას-704-674-2016 (I,II)	392
		№ას-319-302-2017 (III)	448
		№ას-28-25-2017 (I)	482
	3.	№ას-1144-1073-2012 (II)	174
		№ას-516-489-2014 (I)	273
		№ას-1071-1010-2015 (I)	306
		№2ბ/6136-15 (I)	348
		№ას-704-674-2016 (I,II)	392
		№ას-319-302-2017 (III)	448
		№ას-28-25-2017 (I)	482
	4.	№3კ/1492-02 (II)	73
		№ას-652-900-04 (I)	91
		№ას-1234-1493-09 (I)	143
		№1/1/543 (I,II,IV)	196
		№ას-495-471-2013 (I,II)	208
		№ას-252-240-2016 (I)	358
		№2/857-15 (I,V)	359
		№2ბ/978-17 (II,IV)	456
		№ას-1412-1332-2017 (IV,V,VI)	523
	5.	№3კ/1154-02 (III)	71
		№ას-556-939-06 (I)	97
		№ას-899-1185-09 (III)	139
		№ას-764-715-2010 (II)	145
		№ას-1056-990-2012 (I)	179
		№2ბ/3155-12 (I,II,III)	182
		№2ბ/7066-14 (I)	236
		№2ბ/6340-14 (I)	278
		№ას-245-230-2014 (I)	290
		№ას-1071-1010-2015 (I)	306
		№ას-1144-1076-2015 (I)	330
		№ას-612-571-2017 (IV)	443
		№ას-687-658-2016 (I,II,III,IV)	517
		№2/ბ-1053-18 (I,II,III,IV,VI)	531
	6.	№3კ/1154-02 (II)	71
		№3კ/1244-02 (I)	75
		№ას-556-939-06 (I)	97
		№ას-899-1185-09 (II,III,IV,V)	139
		№ას-764-715-2010 (II)	145
		№ას-1056-990-2012 (I)	179
		№ას-1307-1245-2014 (I,IV,V)	211
		№ას-522-496-2013 (I,II)	228
		№ას-1158-1104-2014 (I,II)	261
		№2ბ/6340-14 (I)	278
		№ას-877-839-2014 (I)	284
		№ას-245-230-2014 (I)	290

		№ას-471-450-2015 (I,II)	296
		№2ბ/189-15 (I,II)	303
		№ას-1071-1010-2015 (I)	306
		№ას-1144-1076-2015 (I)	330
		№2ბ/644-15 (II,III)	334
		№2ბ/1919-15 (I)	336
		№ას-457-436-2015 (I)	355
		№2/857-15 (I,V)	359
		№ას-176-163-2015 (I)	390
		№ას-692-663-2016 (I)	391
		№2ბ/1277-16 (I,II,IV,V)	397
		№ას-839-805-2016 (II)	410
		№2ბ/579-16 (II,III)	423
		№ას-612-571-2017 (IV,V)	443
		№2ბ/978-17 (III)	456
		№2ბ/1424-17 (I,II,III,IV)	459
		№2ბ/5746-17 (II)	477
		№ას-851-795-2017 (VI,VII)	486
		№ას-687-658-2016 (I,II,III,IV)	517
		№2/ბ-1053-18 (I,II,III,IV,VI)	531
	7.	№3კ/654-03 (I)	80
		№ას-339-633-04 (I)	88
		№ას-356-708-07 (I)	112
		№2ბ/74-13 (I,II)	188
		№ას-1634-1533-2012 (I)	190
		№2ბ/2706-14 (I,II)	224
		№2ბ/6571-14 (I,II,VI)	242
		№ას-35-32-2015 (I)	247
		№ას-533-506-2015 (I)	286
		№ას-471-450-2015 (II)	296
		№ას-895-845-2015 (I,II,III)	327
		№ას-23-23-2016 (I)	342
		№2/857-15 (II,IV)	359
		№2ბ/1236-15 (I,II,III)	370
		№ას-131-127-2016 (I,II)	375
		№ას-240-228-2016 (I,II)	387
		№2ბ/5397-16 (I)	394
		№ას-839-805-2016 (II)	410
		№ას-725-693-2016 (I)	415
		№2ბ/1682-17 (I)	429
		№ას-918-884-2016 (I)	433
		№ას-655-611-2017 (I,II,III)	435
		№2ბ/7236-14 (II)	440
		№ას-612-571-2017 (II,III,IV)	443
		№ას-319-302-2017 (IV,V)	448
		№2ბ/5798-17 (I,II)	498
		№2/ბ-1053-18 (V)	531
	7[1].	№ას-895-845-2015 (III)	327
		№ას-23-23-2016 (I)	342
		№2/857-15 (IV)	359
		№ას-131-127-2016 (I)	375
		№ას-240-228-2016 (I,II)	387
		№2ბ/5397-16 (I)	394
		№ას-725-693-2016 (I)	415

		№2ბ/1682-17 (II)	429
		№ას-918-884-2016 (I)	433
		№ას-612-571-2017 (II,III,IV)	443
		№ას-319-302-2017 (I,IV)	448
		№2ბ/5798-17 (I,II,III,IV,V,VI)	498
		№2/ბ-1053-18 (V)	531
	7[1].ა	№3კ/654-03 (I)	80
		№ას-339-633-04 (I)	88
		№ას-356-708-07 (I)	112
		№2ბ/2706-14 (II)	224
		№2ბ/6571-14 (II)	242
		№ას-35-32-2015 (I)	247
		№ას-533-506-2015 (I)	286
		№2ბ/1236-15 (II)	370
		№ას-725-693-2016 (II)	415
	7[2].	№2ბ/6571-14 (I,III,IV,V)	242
		№ას-533-506-2015 (I)	286
		№ას-23-23-2016 (I)	342
		№2/857-15 (III)	359
		№ას-131-127-2016 (I)	375
		№2ბ/5397-16 (I)	394
		№ას-725-693-2016 (I)	415
		№2ბ/1682-17 (II)	429
		№ას-918-884-2016 (I)	433
		№ას-319-302-2017 (IV)	448
		№2ბ/5798-17 (I,III,IV,V)	498
	8.	№ას-1234-1493-09 (I)	143
მუხლი 9[1]. პარტნიორთა საერთო კრება	-	№3კ/787-01 (II)	57
		№3კ/1016-01 (I,II,III)	60
		№3კ/530-02 (I,II,IV,V,VII)	62
		№3კ/1244-02 (II)	75
		№ას-123-433-04 (I)	87
		№ას-777-1040-05 (I)	94
		№ას-556-939-06 (I)	97
		№ას-1111-1264-08 (II.)	130
		№ას-131-461-09 (I)	136
		№2ბ/183-11 (I)	156
		№2ბ/3797-13 (I)	194
		№ას-771-732-2013 (I,II)	205
		№2/ბ-1273-2014 (I,II)	238
		№ას-863-813-2015 (III)	308
		№ას-1134-1067-2015 (I,II)	325
		№ას-1144-1076-2015 (II)	330
		№2ბ/3120-15 (II,III,IV)	350
		№ას-457-436-2015 (II)	355
		№2ბ/2779-16 (I)	368
		№ას-1101-1037-2015 (IV)	380
		№ას-1151-1071-2017 (I)	480
		№ას-851-795-2017 (V)	486
		№2ბ/980-17 (I,II)	515
		№ას-687-658-2016 (IV)	517
		№ას-1141-2018 (I,III)	536
		№ას-821-2019 (II)	541

	1.	№ას-506-853-07 (I)	116
		№2ბ/1481-09 (I)	137
		№ას-764-715-2010 (I)	145
		№2ბ/3525-12 (I)	181
		№2ბ/1537-15 (II)	293
		№ას-819-770-2015 (I)	298
		№ას-863-813-2015 (II)	308
	2.	№3კ/841 (I)	47
		№ას-506-853-07 (I,II)	116
		№ას-860-1074-08 (I)	123
		№2ბ/1481-09 (I)	137
		№ას-764-715-2010 (I)	145
		№2ბ/2643-12 (I)	173
		№2ბ/3525-12 (I)	181
		№ას-35-32-2015 (I,II)	247
		№ას-819-770-2015 (I)	298
		№ას-863-813-2015 (II)	308
		№ას-1235-1158-2015 (I)	338
		№2ბ/7236-14 (I)	440
	3.	№2ბ/5032-12 (I,II,III)	185
	4.	№3კ/841 (I)	47
	5.ბ.	№2ბ/887-11 (I)	147
		№ას-1235-1158-2015 (I)	338
		№ას-375-359-2016 (I)	366
	5.თ.	№ას-1111-1264-08 (I.)	130
	5.ზ.	№ას-1375-1212-2010 (I)	153
		№ას-310-294-2011 (I)	160
	6.ბ.	№3კ/841 (I)	47
		№ას-390-741-07 (I)	110
		№2ბ/4889-16 (II)	407
	6.გ.	№2ბ/887-11 (I)	147
	6.ე.	№3კ/259-01 (I)	52
		№ას-68-767-03 (I)	85
		№ას-1375-1212-2010 (I)	153
		№ას-310-294-2011 (I)	160
		№2ბ/2706-14 (II)	224
		№ას-35-32-2015 (II)	247
		№ას-533-506-2015 (I)	286
		№2ბ/392-15 (III)	315
		№ას-23-23-2016 (II)	342
		№2/857-15 (III)	359
		№2ბ/1236-15 (II,III)	370
		№ას-240-228-2016 (I,II)	387
		№ას-725-693-2016 (II)	415
		№ას-918-884-2016 (I)	433
		№2ბ/7236-14 (II)	440
		№ას-612-571-2017 (III,IV)	443
		№ას-319-302-2017 (I,IV)	448
		№2ბ/3810-17 (I,II)	465
		№2/ბ-1053-18 (V)	531

	6.ზ.	№2ბ/183-11 (II,III) №2ბ/392-15 (II)	156 315
	7.	№ას-390-741-07 (I) №ას-35-32-2015 (I,II) №ას-128-120-2015 (I) №ას-863-813-2015 (II) №2ბ/7236-14 (I) №2ბ/978-17 (I) №ას-1412-1332-2017 (III)	110 247 259 308 440 456 523
	8.	№3კ/336-02 (I) №3კ/530-02 (VI) №2ბ/1481-09 (I,II) №ას-23-23-2016 (II)	49 62 137 342
	9.	№ას-35-32-2015 (I) №ას-128-120-2015 (I) №2ბ/392-15 (I,II,IV) №ას-1101-1037-2015 (II) №2ბ/7236-14 (I)	247 259 315 380 440
	10.	№2ბ/2643-12 (I)	173
მუხლი 10. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება	-	№ას-1375-1212-2010 (I) №ას-310-294-2011 (I)	153 160
	1.	№ას-93-87-2015 (I)	255
მუხლი 11. სავაჭრო წარმომადგენელი, დამოუკიდებელი მოვაჭრე და კომისიონერი	-	№ას-1375-1212-2010 (II) №ას-310-294-2011 (II)	153 160
მუხლი 14. საწარმოს ლიკვიდაცია	-	№ას-768-1393-03 (I) №2ბ/2092-15 (I) №ას-1015-958-2015 (I) №ას-1036-997-2016 (I)	90 321 345 403
	4.	№ას-1237-1157-2017 (I)	529
	5.	№ას-1237-1157-2017 (I)	529
	6.	№2ბ/4403-17 (I)	472
	9.	№ას-1237-1157-2017 (I)	529
მუხლი 14[2]. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება, მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება ხარვეზის დადგენის საფუძველზე	-	№ას-768-1393-03 (I) №ას-1015-958-2015 (I)	90 345
მუხლი 14[4]. საწარმოს რეორგანიზაცია	1.	№2/ბ-740-15 (I) №ას-1244-1167-2015 (I) №ას-1179-1109-2015 (I)	295 332 354
	1.გ.	№2ბ/3797-13 (I)	194
	4.	№ას-1179-1109-2015 (I)	354
	5.	№ას-75-408-09 (I) №2ბ/3797-13 (I)	132 194
მუხლი 15. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები	-	№ას-777-1040-05 (I) №ას-860-1074-08 (I,II) №ას-959-1161-08 (I) №ას-1007-1205-08 (I) №2ბ/2745-11 (II) №ას-495-471-2013 (I) №ას-655-611-2017 (I)	94 123 126 128 164 208 435

		№2ბ/1424-17 (III) №2ბ/5798-17 (V) №ას-201-201-2018 (V)	459 498 508
	1.	№ას-75-408-09 (III) №2ბ/2257-12 (II) №ას-771-732-2013 (II) №ას-451-423-2017 (I) №ას-201-201-2018 (VI)	132 171 205 432 508
	2.	№ას-1244-1167-2015 (II) №2ბ/4889-16 (I)	332 407
მუხლი 16. საწარმოს ფილიალი	1.	№ას-671-952-05 (I) №ას-282-611-07 (I) №ას-1144-1073-2012 (I) №2ბ/5236-13 (I) №2ბ/1233-15 (I,II) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I) №2ბ/4027-18 (I)	95 119 174 192 281 301 438 506
	4.	№2ბ/5236-13 (I) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I) №2ბ/1762-18 (I)	192 301 438 497
	4.ბ.	№ას-1144-1073-2012 (II)	174
	5.	№2ბ/1762-18 (I)	497
II. კერძო ნაწილი			
თავი პირველი. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება			
მუხლი 32. ურთიერთობანი საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემდეგ	-	№ას-771-732-2013 (III) №ას-190-190-2018 (I)	205 495
თავი მესამე. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება			
მუხლი 44. ცნება	-	№3კ/532-03 (I) №ას-448-690-08 (I) №ას-771-732-2013 (III)	82 121 205
	1.	№ას-75-408-09 (IV) №2ბ/2092-15 (I)	132 321
	3.	№3კ/787-01 (I) №3კ/530-02 (VIII) №ას-974-1209-04 (I) №ას-75-408-09 (III) №ას-1328-1170-2010 (I) №2ბ/3229-11 (II) №ას-1343-1361-2011 (II) №2ბ/496-15 (II) №ას-747-707-2015 (I) №ას-1104-1061-2016 (I) №ას-28-25-2017 (I,II) №ას-190-190-2018 (I) №ას-1412-1332-2017 (I)	57 62 93 132 150 167 169 276 288 405 482 495 523

მუხლი 45. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი	-	№2ბ/183-11 (II,III)	156
მუხლი 46. პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი	-	№2/1-370,382,390,402,405 (VII) №2ბ/183-11 (III) №ას-612-571-2017 (I)	101 156 443
	2.	№2ბ/2643-12 (I) №2ბ/644-15 (I) №2ბ/980-17 (II)	173 334 515
	3.	№3კ/787-01 (I) №ას-974-1209-04 (I) №ას-1343-1361-2011 (II)	57 93 169
	4.	№3კ/336-02 (I) №2/ბ-1000-13 (I) №2ბ/3113-14 (I,II) №ას-243-228-2014 (II) №ას-31-28-2015 (I) №2ბ/496-15 (II) №2ბ/5838-16 (I) №2ბ/2622-17 (I) №2ბ/5964-17 (I,II,III)	49 195 226 231 240 276 404 427 503
	5.	№ას-1194-1455-09 (II) №ას-457-436-2015 (I) №2ბ/1277-16 (I,II,IV,V) №ას-839-805-2016 (I) №ას-1412-1332-2017 (II)	176 355 397 410 523
მუხლი 46[1]. პარტნიორის მიერ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება	1.	№3კ/530-02 (III)	62
მუხლი 47. საწარმოს მართვა	-	№3კ/259-01 (I) №3კ/1016-01 (I,II,III) №3კ/1154-02 (I) №ას-123-433-04 (I) №ას-390-741-07 (I) №ას-1111-1264-08 (II.) №2ბ/74-13 (I,II) №ას-240-228-2016 (I) №2ბ/5397-16 (I) №ას-612-571-2017 (I) №2ბ/3810-17 (I,II) №2ბ/980-17 (I,II) №2ბ/6887-18 (II)	52 60 71 87 110 130 188 387 394 443 465 515 539
	1.	№3კ/1244-02 (II) №ას-819-770-2015 (I) №ას-863-813-2015 (II) №ას-190-190-2018 (I) №ას-1141-2018 (I)	75 298 308 495 536
	2.	№ას-190-190-2018 (I)	495
	3.	№ას-556-939-06 (I) №ას-959-1161-08 (I) №2ბ/2706-14 (I) №2ბ/6340-14 (I)	97 126 224 278

		№2ბ/189-15 (I) №ას-23-23-2016 (I) №2/857-15 (I,II,V) №2ბ/579-16 (II,III) №2ბ/1682-17 (I) №ას-918-884-2016 (I) №ას-687-658-2016 (I,II,III,IV) №2/ბ-1053-18 (II,III,IV,VI)	303 342 359 423 429 433 517 531
თავი მეოთხე. სააქციო საზოგადოება			
მუხლი 51. ცნება. საზოგადოების აქციათა რეესტრი	1.	№3კ/859-02 (I) №2/1-370,382,390,402,405 (II)	69 101
	2.	№2ბ/1508-14 (I)	257
	3.	№2ბ/1508-14 (I)	257
მუხლი 52. აქციათა სახეები (კლასები). აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები	1.	№3კ/859-02 (III)	69
მუხლი 53. აქციონერთა უფლება-მოვალეობები	-	№2/1-370,382,390,402,405 (VII) №2ბ/3120-15 (I,II,III,IV)	101 350
	1.	№2/ბ-1273-2014 (II)	238
	1[1].	№ას-860-1074-08 (III)	123
	3[1].	№ას-131-461-09 (I) №2/ბ-59-2015 (II)	136 270
	3[2].	№2/ბ-59-2015 (I,II,III) №ას-1101-1037-2015 (V)	270 380
	3[5].	№2/ბ-59-2015 (I,II,III) №ას-1101-1037-2015 (V)	270 380
	4.	№ას-1194-1455-09 (I) №2/4334-14 (I,II)	176 221
	5.	№ას-1194-1455-09 (II)	176
მუხლი 53[1]. საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა	1.	№3კ/585-01 (I,II,IV,V) №3კ/386-03 (I)	53 78
	4.	№3კ/585-01 (II,III,IV)	53
მუხლი 53[2]. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება	-	№2/1-370,382,390,402,405 (VI)	101
მუხლი 53[4]. აქციათა სავალდებულო მიყიდვა	-	№2/1-370,382,390,402,405 (I,III,IV,V,VI) №2ბ/977-17 (I)	101 470
	2.	№2ბ/977-17 (II)	470
მუხლი 54. საერთო კრება	-	№3კ/1244-02 (II) №ას-123-433-04 (I) №ას-506-853-07 (II) №ას-860-1074-08 (I) №ას-131-461-09 (I) №2/ბ-1273-2014 (I,II) №ას-696-666-2014 (I) №2ბ/3120-15 (II) №ას-1101-1037-2015 (IV) №ას-821-2019 (II)	75 87 116 123 136 238 254 350 380 541
	1[1].	№ას-115-108-2017 (I)	454

	2.	№ას-1101-1037-2015 (III) №ას-115-108-2017 (I) №ას-938-2018 (I)	380 454 513
	3.	№ას-506-853-07 (I)	116
	4.	№ას-938-2018 (I)	513
	6.	№2ბ/2745-11 (I) №2ბ/3120-15 (III,IV) №ას-1101-1037-2015 (II)	164 350 380
	6.ვ.	№ას-821-2019 (I)	541
	7.	№ას-1101-1037-2015 (II) №ას-821-2019 (I)	380 541
მუხლი 55. სამეთვალყურეო საბჭო	-	№ას-747-1114-06 (I) №ას-899-1185-09 (II) №2ბ/74-13 (I,II)	99 139 188
	3.	№ას-35-32-2015 (III)	247
	7.ა.	№ას-339-633-04 (I)	88
	7.ვ.	№3კ/654-03 (I) №ას-68-767-03 (I) №ას-339-633-04 (I) №2ბ/6571-14 (II,III) №ას-533-506-2015 (I) №2/857-15 (III) №ას-319-302-2017 (I,IV)	80 85 88 242 286 359 448
	8.	№ას-652-900-04 (I) №ას-1234-1493-09 (I) №2ბ/579-16 (III)	91 143 423
	9.	№2ბ/6340-14 (I) №2/857-15 (I,II,V) №2ბ/579-16 (II) №2/ბ-1053-18 (II,III,IV,VI)	278 359 423 531
მუხლი 56. დირექტორები	-	№3კ/654-03 (I) №ას-959-1161-08 (I) №ას-899-1185-09 (I) №2ბ/5746-17 (II)	80 126 139 477
	2.	№2ბ/1682-17 (I) №2ბ/7236-14 (II) №ას-319-302-2017 (IV,V)	429 440 448
	4.	№ას-899-1185-09 (II,IV,V) №2ბ/6340-14 (I) №2ბ/189-15 (I) №2/857-15 (II,V) №2ბ/579-16 (II,III) №ას-687-658-2016 (I,II,III,IV) №2/ბ-1053-18 (II,III,IV,VI)	139 278 303 359 423 517 531
მუხლი 57. ანგარიში სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. მოგების გამოყენება	1.	№ას-1063-1018-2014 (II)	251
	2.	№2/4334-14 (I) №2/ბ-1273-2014 (II)	221 238
თავი მეხუთე. კოოპერატივი			
მუხლი 63. საერთო კრება	11.	№2ბ/770-15 (I)	319

თემატური სარჩევი

საწარმოს პარტნიორი		
• საწარმოს პარტნიორი	№ას-75-408-09 (V)	132
	№2/4334-14 (I)	221
	№ას-612-571-2017 (I)	443
	№ას-28-25-2017 (I)	482
• საწარმოს პარტნიორის უფლებები	№3კ/532-03 (I)	82
	№2/1-370,382,390,402,405 (V,VII)	101
	№ას-506-853-07 (II)	116
	№ას-75-408-09 (II,IV)	132
	№2/ბ-1000-13 (I)	195
	№2ბ/2706-14 (II)	224
	№2ბ/3113-14 (I,II)	226
	№ას-522-496-2013 (II)	228
	№ას-31-28-2015 (I)	240
	№2/ბ-59-2015 (I)	270
	№ას-1071-1010-2015 (I)	306
	№2ბ/2779-16 (I)	368
	№ას-552-527-2016 (I)	418
	№2ბ/5964-17 (I,II,III)	503
	№ას-1412-1332-2017 (II)	523
• საწარმოს პარტნიორის მოვალეობები	№3კ/532-03 (I)	82
	№2/1-370,382,390,402,405 (V,VII)	101
	№2ბ/2092-15 (I)	321
	№ას-839-805-2016 (III)	410
• აქციონერის უფლებები	№2/1-370,382,390,402,405 (VII)	101
	№ას-506-853-07 (II)	116
	№ას-860-1074-08 (III)	123
	№ას-1194-1455-09 (I)	176
	№2/4334-14 (I)	221
	№2/ბ-1273-2014 (II)	238
	№2/ბ-59-2015 (I)	270
	№2ბ/3120-15 (I,II,III,IV)	350
	№ას-1101-1037-2015 (I)	380
• აქციონერთა მოვალეობები	№2/1-370,382,390,402,405 (VII)	101
• პარტნიორის უფლებამონაცვლეობა	№2ბ/2622-17 (I)	427
• მინორიტარი აქციონერი	№2/1-370,382,390,402,405 (V)	101
	№ას-1101-1037-2015 (III)	380
	№ას-115-108-2017 (I)	454

• მინორიტარი პარტნიორი	№ას-839-805-2016 (I,III) №ას-115-108-2017 (I) №ას-851-795-2017 (III)	410 454 486
• დომინანტი (მაჟორიტარი) აქციონერი	№2/1-370,382,390,402,405 (V) №ას-1101-1037-2015 (III) №ას-115-108-2017 (I)	101 380 454
• დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი	№2ბ/5032-12 (IV) №2/4334-14 (I) №ას-839-805-2016 (I) №ას-115-108-2017 (I) №ას-851-795-2017 (III,IV)	185 221 410 454 486
• პარტნიორის მიერ გაცემული დავალება (მინდობილობა)	№ას-93-87-2015 (I)	255
• პარტნიორის რწმუნებული	№ას-93-87-2015 (I)	255
• წილის მმართველი	№ას-93-87-2015 (I)	255
კონტროლისა და შემოწმების უფლებები		
• კონტროლისა და შემოწმების არაქონებრივი უფლება	№2ბ/5964-17 (I,II,III)	503
• საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება	№2/ბ-1000-13 (I) №2ბ/3113-14 (I,II) №ას-243-228-2014 (II) №ას-31-28-2015 (I) №2/ბ-59-2015 (I,II,III) №2ბ/496-15 (II) №ას-378-359-2015 (III) №ას-1101-1037-2015 (I) №2ბ/5838-16 (I) №2ბ/2622-17 (I) №2ბ/5964-17 (I,II,III)	195 226 231 240 270 276 311 380 404 427 503
• საზოგადოების დოკუმენტაციის ასლების გადაღება	№2ბ/5964-17 (III)	503
• ანგარიშში არსებითი შეცდომის გამო ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯების დაკისრება	№ას-243-228-2014 (II)	231
• ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე	№2/ბ-59-2015 (II)	270
• საწარმოს ბეჭედი	№2ბ/644-15 (III) №2ბ/5838-16 (I)	334 404
• საწარმოს ბეჭდის ფლობის პრეზუმფცია	№2ბ/5838-16 (I)	404
• აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერთა უფლება დადებული/დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაციაზე	№ას-1101-1037-2015 (I)	380
• სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება	№ას-1101-1037-2015 (V)	380
• საზოგადოების საუკეთესო ინტერესები	№2/857-15 (V)	359
პარტნიორის გარიცხვა/გასვლა		
• პარტნიორის გარიცხვა	№3კ/841 (I,II) №3კ/303-01 (I) №3კ/787-01 (II) №3კ/1016-01 (I,II,III) №3კ/530-02 (II) №3კ/1244-02 (II)	47 50 57 60 62 75

	№ას-123-433-04 (I) №ას-777-1040-05 (I) №ას-556-939-06 (I) №ას-390-741-07 (I) №ას-614-951-07 (I) №ას-75-408-09 (V.) №2ბ/887-11 (I) №2ბ/2745-11 (I) №ას-771-732-2013 (I,II,III) №2ბ/1508-14 (I) №2ბ/392-15 (IV) №2ბ/3120-15 (IV) №2ბ/4889-16 (II) №ას-851-795-2017 (IX) №ას-201-201-2018 (I,II,III,IV,VI) №2ბ/980-17 (I,II)	87 94 97 110 115 132 147 164 205 257 315 350 407 486 508 515
• სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა	№2ბ/2745-11 (I) №2ბ/1508-14 (I) №2ბ/3120-15 (III,IV)	164 257 350
• საწარმოს პარტნიორად აღდგენა	№ას-75-408-09 (V)	132
• წილის დაკარგვა	№2ბ/887-11 (I)	147
• პარტნიორის გასვლა შპს-დან	№ას-190-190-2018 (I)	495
• კომპენსაციის ოდენობა პარტნიორის შპს-დან გასვლისას	№ას-190-190-2018 (I)	495
მეწარმე სუბიექტები და კორპორაციული ქსელი		
• მეწარმე სუბიექტები (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები)	№ას-282-611-07 (II)	119
• სააქციო საზოგადოება (სს)	№3კ/859-02 (I)	69
• შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	№3კ/532-03 (I) №ას-75-408-09 (IV) №2ბ/5397-16 (I)	82 132 394
• წარმომადგენლობა	№2ბ/3342-15 (I)	301
• საწარმოს ფილიალი	№ას-671-952-05 (I) №ას-282-611-07 (I) №ას-1144-1073-2012 (I) №2ბ/5236-13 (I) №2ბ/1233-15 (I,II) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I) №2ბ/4027-18 (I)	95 119 174 192 281 301 438 506
• უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ)	№ას-1144-1073-2012 (I,II) №2ბ/5236-13 (I) №2ბ/1233-15 (I,II) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I) №2ბ/1762-18 (I) №2ბ/4027-18 (I)	174 192 281 301 438 497 506
• უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	№ას-1144-1073-2012 (II)	174
• უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის დირექტორი	№ას-1144-1073-2012 (II)	174

• საწარმოს რეორგანიზაცია	№ას-75-408-09 (I) №2ბ/3797-13 (I) №2/ბ-740-15 (I) №ას-1179-1109-2015 (I)	132 194 295 354
• საწარმოს გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა)	№ას-75-408-09 (I) №2ბ/3797-13 (I)	132 194
• საწარმოს სამართალმემკვიდრეობა	№ას-1179-1109-2015 (I)	354
• საწარმოს უფლებამონაცვლეობა	№ას-1244-1167-2015 (I) №ას-1179-1109-2015 (I)	332 354
• საწარმოს უნივერსალური უფლებამონაცვლეობა	№2/ბ-740-15 (I)	295
• რედომიცილება	№2ბ/5236-13 (I) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I)	192 301 438
• ძირითადი საწარმო	№2ბ/5236-13 (I) №2ბ/1762-18 (I)	192 497
• დედობილი საწარმო	№ას-1179-1109-2015 (I) №2ბ/1424-17 (II)	354 459
• შვილობილი საწარმო (სუბსიდიარი)	№ას-995-1028-2011 (I) №ას-1179-1109-2015 (I) №2ბ/1424-17 (II)	163 354 459
ქონებრივი ურთიერთობები		
• წილი/აქცია	№3კ/787-01 (I) №2/1-370,382,390,402,405 (II) №ას-28-25-2017 (I,II) №ას-1412-1332-2017 (I)	57 101 482 523
• საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება	№3კ/787-01 (I) №3კ/530-02 (II,III,VIII) №ას-974-1209-04 (I) №ას-75-408-09 (III) №ას-696-666-2014 (I) №2ბ/496-15 (II) №ას-747-707-2015 (I) №ას-1104-1061-2016 (I) №ას-190-190-2018 (I) №ას-1412-1332-2017 (I)	57 62 93 132 254 276 288 405 495 523
• წილის მემკვიდრეობით გადაცემა	№3კ/532-03 (I)	82
• შპს-ს წილის გასხვისების/დატვირთვის/დაგირავების შეზღუდვა	№3კ/787-01 (I)	57
• ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება	№ას-860-1074-08 (III)	123
• წილის უპირატესი შესყიდვის უფლება	№3კ/530-02 (III)	62
• საწარმოს ქონება	№3კ/859-02 (I)	69
• საწარმოს კაპიტალი	№2ბ/183-11 (II,III)	156
• შენატანი კაპიტალში	№3კ/859-02 (I) №ას-448-690-08 (I) №2ბ/1508-14 (I) №2ბ/392-15 (III)	69 121 257 315
• არამატერიალური შენატანი	№2ბ/1508-14 (I)	257

• კაპიტალის გაზრდა	№2ბ/183-11 (II,III) №2ბ/392-15 (II) №ას-1101-1037-2015 (II)	156 315 380
• ახალი/დამატებითი შენატანები	№ას-448-690-08 (I) №2ბ/887-11 (I) №2ბ/183-11 (III) №2ბ/392-15 (II) №2ბ/980-17 (II)	121 147 156 315 515
• აქციათა რეესტრი	№2ბ/1508-14 (I)	257
• აქციათა რეესტრში აღრიცხვა	№2ბ/1508-14 (I)	257
• აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვა	№2ბ/1508-14 (I)	257
• საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა	№3კ/585-01 (I,II,V) №3კ/386-03 (I)	53 78
• აქციათა სავალდებულო მიყიდვა	№2/1-370,382,390,402,405 (I,III,IV,V,VI) №2ბ/977-17 (I,II)	101 470
• აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვა	№2ბ/977-17 (I)	470
• გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა	№3კ/585-01 (II,III,IV) №2/1-370,382,390,402,405 (VI) №2ბ/977-17 (I,II)	53 101 470
• სავალდებულო სატენდერო შეთავაზება	№2/1-370,382,390,402,405 (VI)	101
• დამოუკიდებელმა ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის გამოსყიდვის ანგარიში	№2ბ/977-17 (I,II)	470
სამეწარმეო რეესტრი		
• სამეწარმეო რეესტრი	№3კ/530-02 (IX) №ას-974-1209-04 (I) №ას-747-1114-06 (I) №ას-1375-1212-2010 (I) №ას-310-294-2011 (I) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/5397-16 (I) №2ბ/2535-17 (I)	62 93 99 153 160 301 394 438
• სამეწარმეო რეესტრის საჯაროობა	№ას-282-611-07 (III)	119
• სამეწარმეო რეესტრის მონაცემები	№ას-747-1114-06 (I)	99
• სამეწარმეო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია	№2/857-15 (V) №ას-1219-1139-2017 (I)	359 473
• მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია	№3კ/661-02 (I) №2ბ/3342-15 (I) №2ბ/2535-17 (I)	68 301 438
• მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები	№ას-747-1114-06 (I) №ას-356-708-07 (I) №ას-516-489-2014 (I)	99 112 273
• საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია	№ას-974-1209-04 (I) №ას-747-1114-06 (I) №2ბ/887-11 (I) №ას-128-120-2015 (I) №ას-516-489-2014 (I) №2ბ/1537-15 (I,II)	93 99 147 259 273 293

	№2ბ/770-15 (I) №ას-1235-1158-2015 (I) №ას-375-359-2016 (I) №ას-1036-997-2016 (I) №ას-938-2018 (I) №ას-821-2019 (I)	319 338 366 403 513 541
• საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის ბათილობა	№ას-821-2019 (I)	541
• მეწარმე სუბიექტის მისამართი	№2ბ/6068-15 (I) №2ბ/6136-15 (II) №2ბ/2366-16 (I) №ას-1072-992-2017 (I) №2ბ/5956-17 (I)	340 348 373 468 475
• კორესპონდენციის ჩაბარება	№2ბ/6068-15 (I)	340
საწარმოს წესდება		
• პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება)	№3კ/1244-02 (II) №3კ/532-03 (I) №2ბ/2745-11 (I) №2/ბ-1273-2014 (II) №ას-31-28-2015 (I) №2ბ/1537-15 (I,II) №2/ბ-740-15 (I) №ას-378-359-2015 (I) №2ბ/770-15 (I) №ას-1235-1158-2015 (I) №2/857-15 (II) №ას-319-302-2017 (II) №ას-851-795-2017 (VI,VIII) №ას-1141-2018 (I) №2ბ/6887-18 (II) №ას-821-2019 (I)	75 82 164 238 240 293 295 311 319 338 359 448 486 536 539 541
• საწარმოს წესდების ცვლილება	№ას-35-32-2015 (I) №ას-128-120-2015 (I) №2ბ/1537-15 (I,II) №2ბ/770-15 (I) №ას-1235-1158-2015 (I)	247 259 293 319 338
• წესდების ახალი რედაქცია	№ას-35-32-2015 (I) №ას-1235-1158-2015 (I) №ას-375-359-2016 (I)	247 338 366
საერთო კრება		
• პარტნიორთა საერთო კრება	№3კ/530-02 (I) №2ბ/2745-11 (I) №2ბ/392-15 (I,II) №ას-457-436-2015 (II) №2ბ/2779-16 (I) №ას-552-527-2016 (I) №2ბ/978-17 (I) №ას-1141-2018 (I) №ას-821-2019 (II)	62 164 315 355 368 418 456 536 541

• აქციონერთა საერთო კრება	№2ბ/2745-11 (I) №ას-1101-1037-2015 (II,III,IV) №ას-115-108-2017 (I) №ას-821-2019 (II)	164 380 454 541
• პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა	№ას-860-1074-08 (I) №ას-131-461-09 (I) №ას-764-715-2010 (I) №2ბ/3525-12 (I) №ას-819-770-2015 (I) №ას-863-813-2015 (II)	123 136 145 181 298 308
• კრების მოწვევის პროცედურული წესები	№ას-819-770-2015 (I)	298
• პარტნიორის უფლება პარტნიორთა კრების შესახებ ინფორმირებაზე	№ას-819-770-2015 (I)	298
• კრების ხელახლა მოწვევა	№ას-764-715-2010 (I)	145
• პარტნიორის მოწვევა საერთო კრებაზე	№ას-860-1074-08 (I) №ას-819-770-2015 (I)	123 298
• შიდაკორპორაციული პროცედურები	№ას-131-461-09 (I)	136
• საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება	№ას-506-853-07 (II) №ას-819-770-2015 (I) №2ბ/3120-15 (II)	116 298 350
• საერთო კრებაში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით	№ას-506-853-07 (I)	116
• პარტნიორის ხმის უფლება	№ას-506-853-07 (II) №2ბ/2643-12 (I) №2ბ/2779-16 (I)	116 173 368
• ხმის უფლების მინდობა	№ას-93-87-2015 (I)	255
• პარტნიორის ხმის უფლებისა და წილების პროპორციულობა	№2ბ/2643-12 (I)	173
• აქციონერის ხმის უფლების შეზღუდვა	№ას-1194-1455-09 (I)	176
• პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი)	№3კ/530-02 (IV,VI,VII) №ას-777-1040-05 (I) №ას-75-408-09 (VI) №2ბ/1481-09 (I,II) №2ბ/183-11 (III) №2ბ/5032-12 (I,II,III) №2ბ/3797-13 (I) №2/ბ-1273-2014 (I) №ას-819-770-2015 (I) №ას-863-813-2015 (II,III) №2ბ/392-15 (I,II,IV) №ას-1134-1067-2015 (I,II) №ას-1144-1076-2015 (II) №ას-23-23-2016 (II) №2ბ/978-17 (I) №ას-1141-2018 (I,III) №ას-821-2019 (II)	62 94 132 137 156 185 194 238 298 308 315 325 330 342 456 536 541
• საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) სანოტარო წესით დამოწმება	№2ბ/770-15 (I)	319
• პარტნიორთა კრების ავტონომიურობის პრინციპი	№ას-1141-2018 (I)	536

• პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა	№3კ/841 (I) №3კ/1016-01 (I,II) №3კ/530-02 (V) №ას-123-433-04 (I) №ას-860-1074-08 (I,III) №ას-131-461-09 (I) №2ბ/1481-09 (I) №2ბ/183-11 (I,III) №2ბ/2745-11 (I) №2ბ/2643-12 (I) №2ბ/3525-12 (I) №2ბ/5032-12 (III) №2/ბ-1273-2014 (II) №ას-35-32-2015 (I) №ას-819-770-2015 (I) №ას-863-813-2015 (III) №2ბ/392-15 (IV) №ას-1134-1067-2015 (II) №ას-1144-1076-2015 (II) №2ბ/3120-15 (IV) №ას-375-359-2016 (I) №ას-1101-1037-2015 (III,IV) №ას-839-805-2016 (I) №2ბ/7236-14 (I) №ას-1151-1071-2017 (I) №ას-851-795-2017 (V) №ას-938-2018 (I) №ას-1141-2018 (III)	47 60 62 87 123 136 137 156 164 173 181 185 238 247 298 308 315 325 330 350 366 380 410 440 480 486 513 536
• პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა	№3კ/841 (I)	47
• პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობით	№ას-1101-1037-2015 (II)	380
• კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა	№3კ/336-02 (I) №2ბ/1481-09 (II)	49 137
• პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება	№ას-35-32-2015 (I) №ას-128-120-2015 (I) №2ბ/392-15 (II,IV) №ას-1235-1158-2015 (I) №ას-1101-1037-2015 (II)	247 259 315 338 380
• კრების ოქმის ტოლფასი დომინანტი აქციონერის გადაწყვეტილება	№ას-115-108-2017 (I)	454
• გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას	№ას-35-32-2015 (II) №ას-1412-1332-2017 (III)	247 523
• დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები	№ას-1101-1037-2015 (III)	380
დივიდენდი		
• დივიდენდი	№ას-75-408-09 (VI) №ას-1063-1018-2014 (I) №2ბ/496-15 (I,II) №ას-522-495-2015 (I) №ას-863-813-2015 (II) №ას-1134-1067-2015 (II) №ას-552-527-2016 (I)	132 251 276 300 308 325 418

	№ას-851-795-2017 (I,II,III)	486
	№ას-1141-2018 (II)	536
• დივიდენდის მიღების უფლება	№ას-75-408-09 (V)	132
	№ას-1328-1170-2010 (I)	150
	№2ბ/3229-11 (I,II)	167
	№ას-1343-1361-2011 (I)	169
	№2ბ/2257-12 (I,II)	171
	№2ბ/5111-14 (III)	233
	№2/ბ-1273-2014 (II)	238
	№ას-1063-1018-2014 (II)	251
	№ას-696-666-2014 (I)	254
	№2ბ/496-15 (I,II)	276
	№ას-747-707-2015 (I)	288
	№ას-863-813-2015 (I)	308
	№ას-1104-1061-2016 (I)	405
	№ას-552-527-2016 (I)	418
	№2ბ/579-16 (I)	423
	№ას-851-795-2017 (I)	486
	№ას-1141-2018 (I)	536
• განაწილებული დივიდენდი (მოგება)	№2/ბ-1273-2014 (II)	238
• დივიდენდის მოთხოვნის უფლება	№3კ/859-02 (II)	69
	№ას-1111-1264-08 (II)	130
	№ას-75-408-09 (V,VI)	132
	№ას-1328-1170-2010 (I)	150
	№2ბ/3229-11 (I,II)	167
	№ას-1343-1361-2011 (I,II)	169
	№2ბ/2257-12 (I,II)	171
	№2ბ/5111-14 (I,II,III)	233
	№ას-1063-1018-2014 (I,II)	251
	№ას-696-666-2014 (I)	254
	№2ბ/496-15 (I,II)	276
	№ას-747-707-2015 (I)	288
	№ას-522-495-2015 (I)	300
	№ას-863-813-2015 (I,II)	308
	№ას-378-359-2015 (III)	311
	№ას-1104-1061-2016 (I)	405
	№ას-552-527-2016 (I)	418
	№2ბ/7236-14 (I)	440
	№ას-851-795-2017 (I,II,III)	486
	№ას-1141-2018 (I,II)	536
• მოგების (დივიდენდის) განაწილება	№ას-1111-1264-08 (I,II)	130
	№ას-1328-1170-2010 (I)	150
	№2ბ/3229-11 (I)	167
	№2ბ/2257-12 (I,II)	171
	№ას-243-228-2014 (I)	231
	№2ბ/5111-14 (I)	233
	№2/ბ-1273-2014 (II)	238
	№ას-1063-1018-2014 (I,II)	251
	№ას-522-495-2015 (I)	300
	№ას-378-359-2015 (I,II)	311
	№ას-1134-1067-2015 (II)	325
	№ას-457-436-2015 (II)	355
	№ას-1104-1061-2016 (I)	405

	№ას-552-527-2016 (I) №2ბ/7236-14 (I) №ას-612-571-2017 (V) №ას-851-795-2017 (III)	418 440 443 486
• დივიდენდის გაცემის საფუძველი	№ას-1111-1264-08 (II) №ას-1328-1170-2010 (I) №2ბ/3229-11 (I) №2ბ/5111-14 (I,II) №ას-1063-1018-2014 (II) №ას-378-359-2015 (I) №ას-1104-1061-2016 (I) №2ბ/7236-14 (I) №ას-851-795-2017 (II) №ას-1141-2018 (II)	130 150 167 233 251 311 405 440 486 536
• მოგების გამოთვლის წესი	№ას-319-302-2017 (II)	448
• გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა	№ას-378-359-2015 (I)	311
• საწარმოს ბალანსი	№ას-378-359-2015 (II)	311
• საწარმოს ფინანსური მოგება	№ას-378-359-2015 (II)	311
• დასაბეგრი მოგება	№ას-378-359-2015 (II)	311
• დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა	№2ბ/3229-11 (II) №ას-1343-1361-2011 (II) №2ბ/496-15 (II)	167 169 276
• დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ	№2ბ/3229-11 (II) №ას-1343-1361-2011 (II) №ას-696-666-2014 (I) №2ბ/496-15 (II) №ას-747-707-2015 (I)	167 169 254 276 288
• წლიური შედეგების დამტკიცება	№ას-1111-1264-08 (I)	130
• პრივილეგირებული აქცია	№3კ/859-02 (III)	69
• მოგების რეინვესტირება	№2ბ/5111-14 (I) №ას-1134-1067-2015 (II) №2ბ/7236-14 (I)	233 325 440
საწარმოს დირექტორის პასუხისმგებლობა		
• საწარმოს მართვა (კორპორაციული მართვა)	№1/1/543 (III)	196
• საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	№3კ/1154-02 (I) №3კ/1492-02 (I) №ას-356-708-07 (I) №ას-954-1260-07 (I) №ას-1375-1212-2010 (I) №ას-310-294-2011 (I) №ას-1634-1533-2012 (I) №ას-516-489-2014 (I,II) №ას-1071-1010-2015 (I) №2ბ/6136-15 (I) №2ბ/2779-16 (I) №ას-131-127-2016 (I) №ას-704-674-2016 (I) №ას-28-25-2017 (I)	71 73 112 118 153 160 190 273 306 348 368 375 392 482

• საწარმოს დირექტორი	№3კ/1492-02 (I)	73
	№ას-68-767-03 (I)	85
	№ას-356-708-07 (I)	112
	№ას-954-1260-07 (I)	118
	№ას-1634-1533-2012 (I)	190
	№2ბ/1236-15 (I)	370
	№ას-131-127-2016 (I)	375
	№ას-240-228-2016 (I,II)	387
	№ას-704-674-2016 (I,II)	392
	№ას-839-805-2016 (II)	410
	№ას-725-693-2016 (I)	415
	№2ბ/1682-17 (I)	429
	№2ბ/7236-14 (II)	440
	№ას-612-571-2017 (I)	443
	№2ბ/3810-17 (I,II)	465
	№2ბ/5746-17 (I)	477
	№ას-28-25-2017 (I)	482
	№2ბ/5798-17 (I,II)	498
• გენერალური დირექტორი	№ას-516-489-2014 (I)	273
• დირექტორის უფლებები	№ას-131-127-2016 (II)	375
	№2ბ/1682-17 (I)	429
	№2ბ/5798-17 (II)	498
• დირექტორის უფლება-მოვალეობების დელეგირება	№2ბ/1277-16 (III)	397
• დირექტორატი (ბორდი)	№3კ/1154-02 (I)	71
	№ას-356-708-07 (I,II)	112
	№ას-516-489-2014 (I)	273
• დირექტორის მოვალეობები	№3კ/1244-02 (I)	75
	№ას-356-708-07 (I)	112
	№ას-959-1161-08 (I)	126
	№ას-899-1185-09 (III)	139
	№2ბ/7066-14 (I)	236
	№ას-31-28-2015 (I)	240
	№2ბ/6571-14 (VI)	242
	№ას-1063-1018-2014 (II)	251
	№ას-1134-1067-2015 (I)	325
	№2/857-15 (V)	359
	№2ბ/1236-15 (I)	370
	№2ბ/1277-16 (III)	397
	№ას-612-571-2017 (V)	443
	№2ბ/978-17 (I)	456
	№2ბ/5746-17 (II)	477
	№ას-687-658-2016 (II,III)	517
• დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა	№3კ/1154-02 (II,III)	71
	№ას-556-939-06 (I)	97
	№ას-899-1185-09 (III,IV)	139
	№ას-764-715-2010 (II)	145
	№ას-1056-990-2012 (I)	179
	№ას-1307-1245-2014 (I,IV,V)	211
	№ას-522-496-2013 (II)	228
	№ას-1158-1104-2014 (I,II)	261
	№2ბ/6340-14 (I)	278
	№ას-245-230-2014 (I)	290
	№ას-471-450-2015 (I,II,IV,V)	296

	№2ბ/189-15 (I)	303
	№2ბ/644-15 (II,III)	334
	№2ბ/1919-15 (I)	336
	№ას-457-436-2015 (I.II)	355
	№2/857-15 (I)	359
	№2ბ/1277-16 (I)	397
	№2ბ/579-16 (II)	423
	№2ბ/1424-17 (I,II,III)	459
	№2ბ/5746-17 (I,II)	477
	№ას-851-795-2017 (III)	486
	№ას-1412-1332-2017 (II)	523
	№2/ბ-1053-18 (VI)	531
• საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება	№3კ/1154-02 (II,III)	71
	№3კ/1244-02 (I)	75
	№ას-899-1185-09 (I,II,IV)	139
	№ას-764-715-2010 (II)	145
	№ას-1056-990-2012 (I)	179
	№ას-1307-1245-2014 (I,IV,V)	211
	№ას-522-496-2013 (II)	228
	№2ბ/7066-14 (I)	236
	№ას-1158-1104-2014 (I,II)	261
	№2ბ/6340-14 (I)	278
	№ას-877-839-2014 (I)	284
	№ას-245-230-2014 (I)	290
	№ას-471-450-2015 (I,II)	296
	№2ბ/189-15 (I)	303
	№ას-1144-1076-2015 (I)	330
	№2ბ/644-15 (II,III)	334
	№2ბ/1919-15 (I)	336
	№ას-457-436-2015 (I)	355
	№2/857-15 (I)	359
	№ას-176-163-2015 (I)	390
	№ას-692-663-2016 (I)	391
	№2ბ/1277-16 (I,II,IV)	397
	№2ბ/579-16 (II)	423
	№2ბ/1424-17 (I,II)	459
	№2ბ/5746-17 (I,II)	477
	№ას-851-795-2017 (III)	486
	№ას-687-658-2016 (I,III)	517
	№2/ბ-1053-18 (VI)	531
• დირექტორის მიერ სადავო თანხის პირადი მიზნებისთვის გამოყენების პრეზუმფცია	№2ბ/189-15 (I)	303
• კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება	№3კ/1154-02 (II)	71
	№ას-522-496-2013 (I,II)	228
	№2ბ/6340-14 (I)	278
	№ას-877-839-2014 (I)	284
	№2ბ/189-15 (I,II)	303
	№2ბ/1919-15 (I)	336
	№2ბ/579-16 (III)	423
	№2ბ/978-17 (III)	456
	№2ბ/1424-17 (II,IV)	459
	№2ბ/5746-17 (II)	477
	№ას-687-658-2016 (II)	517
	№2/ბ-1053-18 (I,IV)	531

• ფიდუციური მოვალეობები	№3კ/1154-02 (II)	71
	№ას-1307-1245-2014 (IV)	211
	№ას-1158-1104-2014 (II)	261
	№ას-457-436-2015 (I)	355
	№ას-176-163-2015 (I)	390
	№ას-692-663-2016 (I)	391
	№2ბ/1277-16 (I,II,V)	397
	№ას-839-805-2016 (II)	410
	№2ბ/579-16 (III)	423
	№ას-687-658-2016 (II)	517
	№2/ბ-1053-18 (I,IV)	531
• ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება	№3კ/1154-02 (II)	71
	№3კ/1244-02 (I)	75
	№ას-959-1161-08 (I)	126
	№ას-764-715-2010 (II)	145
	№ას-1056-990-2012 (I)	179
	№ას-1307-1245-2014 (IV,V)	211
	№ას-1158-1104-2014 (II)	261
	№ას-471-450-2015 (I)	296
	№2ბ/189-15 (I)	303
	№2ბ/644-15 (II)	334
	№2ბ/1919-15 (I)	336
	№ას-457-436-2015 (I)	355
	№2ბ/579-16 (III)	423
	№2ბ/1424-17 (II,IV)	459
	№ას-687-658-2016 (II,III)	517
	№2/ბ-1053-18 (I,IV)	531
• კომერციული შესაძლებლობის დაკარგვა	№ას-687-658-2016 (III)	517
• მოგების მაქსიმიზაცია	№2ბ/644-15 (II)	334
	№ას-612-571-2017 (V)	443
• გადასახადების მინიმიზაცია	№2ბ/644-15 (II)	334
• ერთგულების მოვალეობა	№ას-959-1161-08 (I)	126
	№2ბ/6340-14 (I)	278
	№ას-457-436-2015 (I)	355
	№ას-687-658-2016 (II)	517
	№2/ბ-1053-18 (I,IV)	531
• ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია	№ას-899-1185-09 (V)	139
	№ას-1307-1245-2014 (IV)	211
	№ას-1158-1104-2014 (II)	261
	№2ბ/1919-15 (I)	336
	№2ბ/1277-16 (IV)	397
	№2ბ/579-16 (III)	423
	№ას-612-571-2017 (V)	443
	№ას-687-658-2016 (III)	517
	№2/ბ-1053-18 (II)	531
• ინტერესთა კონფლიქტი	№3კ/1154-02 (III)	71
	№2ბ/3155-12 (I,II,III)	182
	№2ბ/7066-14 (I)	236
	№2ბ/6340-14 (I)	278
• თანხმობა ინტერესთა კონფლიქტში	№2ბ/3155-12 (II)	182
• მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოება	№2ბ/3155-12 (II,III)	182

• ზიანის ანაზღაურება ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისთვის	№2ბ/7066-14 (I)	236
• გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლების დათმობა	№2ბ/7066-14 (I)	236
• სუბსიდიური პასუხისმგებლობა	№ას-1307-1245-2014 (I,V) №ას-1158-1104-2014 (III)	211 261
• სოლიდარული ვალდებულება	№ას-1307-1245-2014 (I) №2/3689-16 (I)	211 420
• დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა	№3კ/1492-02 (II) №ას-652-900-04 (I) №ას-1234-1493-09 (I) №1/1/543 (I,II,IV) №ას-495-471-2013 (II) №ას-252-240-2016 (I) №2/857-15 (I,V) №ას-319-302-2017 (III) №2ბ/978-17 (I,II,IV) №ას-1412-1332-2017 (IV,V,VI) №2ბ/6887-18 (I,II)	73 91 143 196 208 358 359 448 456 523 539
• კეთილსინდისიერი კონტრაჰენტი	№3კ/1492-02 (II) №ას-1234-1493-09 (I) №1/1/543 (II) №ას-1219-1139-2017 (I)	73 143 196 473
• შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა	№ას-1234-1493-09 (I) №2/857-15 (V)	143 359
• დირექტორის ხელმოწერის ნამდვილობა	№ას-704-674-2016 (II)	392
დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა		
• დირექტორის დანიშვნა	№ას-612-571-2017 (II) №2/ბ-1053-18 (V)	443 531
• დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა)	№3კ/259-01 (I) №3კ/654-03 (I) №ას-68-767-03 (I) №ას-339-633-04 (I) №ას-356-708-07 (I) №ას-1634-1533-2012 (I) №2ბ/2706-14 (I,II) №2ბ/6571-14 (I,II,III,VI) №ას-35-32-2015 (II) №ას-533-506-2015 (I) №ას-23-23-2016 (I,II) №2/857-15 (III) №2ბ/1236-15 (I,II,III) №ას-131-127-2016 (I,II) №ას-240-228-2016 (I,II) №2ბ/5397-16 (I) №ას-725-693-2016 (I,II) №2ბ/1682-17 (II) №ას-918-884-2016 (I) №ას-612-571-2017 (III,IV) №ას-319-302-2017 (I,IV) №2ბ/3810-17 (I,II)	52 80 85 88 112 190 224 242 247 286 342 359 370 375 387 394 415 429 433 443 448 465

	№2ბ/5798-17 (I,II,III,IV,V,VI) №2/ბ-1053-18 (V)	498 531
• სასამსახურო ხელშეკრულება	№ას-471-450-2015 (II) №ას-895-845-2015 (I) №ას-23-23-2016 (II) №2/857-15 (II) №ას-131-127-2016 (I) №ას-240-228-2016 (I) №ას-725-693-2016 (I) №ას-918-884-2016 (I) №ას-655-611-2017 (III) №ას-612-571-2017 (II) №ას-319-302-2017 (V)	296 327 342 359 375 387 415 433 435 443 448
• შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია	№3კ/654-03 (I) №2ბ/2706-14 (I) №2ბ/6571-14 (I,VI) №ას-895-845-2015 (I) №ას-23-23-2016 (I) №2/857-15 (II,III,IV) №2ბ/1236-15 (I,II) №ას-725-693-2016 (I) №2ბ/1682-17 (I) №ას-918-884-2016 (I) №ას-655-611-2017 (III) №ას-612-571-2017 (II) №ას-319-302-2017 (IV,V) №2ბ/5798-17 (I,II,V)	80 224 242 327 342 359 370 415 429 433 435 443 448 498
• ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაციის შეწყვეტა	№2ბ/5798-17 (III,VI)	498
• დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება	№2ბ/6571-14 (III,V) №ას-131-127-2016 (I) №2ბ/5397-16 (I) №2ბ/1682-17 (II) №2ბ/5798-17 (III)	242 375 394 429 498
• დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შეტყობინების წესის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	№2ბ/6571-14 (V) №2ბ/1682-17 (II)	242 429
• გამოწვევის შეუტყობინებლობის კომპენსაცია	№2ბ/1682-17 (II) №2ბ/5798-17 (III)	429 498
• კომპენსაციის გადახდა	№2/4334-14 (II) №2/857-15 (III)	221 359
• დირექტორის გასამრჯელო	№2ბ/6571-14 (IV) №ას-895-845-2015 (I,II) №2/857-15 (III,IV) №ას-839-805-2016 (II) №ას-655-611-2017 (I,II,III) №2ბ/7236-14 (II)	242 327 359 410 435 440
• იძულებით განაცდურის ანაზღაურება	№ას-895-845-2015 (III)	327

სამეთვალყურეო საბჭო		
• სამეთვალყურეო საბჭო	№ას-68-767-03 (I) №ას-747-1114-06 (I) №ას-1234-1493-09 (I) №2ბ/74-13 (I,II) №ას-35-32-2015 (III)	85 99 143 188 247
• სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	№ას-747-1114-06 (I)	99
• სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	№ას-1634-1533-2012 (I)	190
• სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება	№2ბ/74-13 (I,II)	188
• სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა	№2ბ/74-13 (II) №ას-35-32-2015 (III) №ას-533-506-2015 (I)	188 247 286
• სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა	№ას-652-900-04 (I) №ას-1234-1493-09 (I)	91 143
• სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა	№ას-899-1185-09 (II)	139
• სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლება (გამოწვევა)	№ას-1634-1533-2012 (I) №ას-821-2019 (I)	190 541
უფლების დაცვა		
• დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი	№ას-1194-1455-09 (II) №2ბ/3155-12 (II,IV) №ას-1307-1245-2014 (V) №ას-1071-1010-2015 (I) №ას-457-436-2015 (I) №2ბ/1277-16 (II,V) №ას-839-805-2016 (I) №ას-612-571-2017 (IV) №ას-851-795-2017 (III,VII) №ას-687-658-2016 (I,III,IV) №ას-1412-1332-2017 (II) №2/ბ-1053-18 (III)	176 182 211 306 355 397 410 443 486 517 523 531
• გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა)	№ას-1307-1245-2014 (I,II,III) №ას-1158-1104-2014 (I,III,IV) №2ბ/2092-15 (I) №2/3689-16 (I,II)	211 261 321 420
• პარტნიორის პასუხისმგებლობა საწარმოს ზიანზე	№2ბ/644-15 (I) №ას-839-805-2016 (III)	334 410
• საზოგადოების მიერ პარტნიორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება	№ას-522-496-2013 (II)	228
• პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება	№ას-448-690-08 (I) №ას-1307-1245-2014 (I,II) №ას-1158-1104-2014 (I,III) №2ბ/2092-15 (I) №2/3689-16 (II)	121 211 261 321 420
• დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება	№2/4334-14 (I,II) №ას-839-805-2016 (I) №ას-851-795-2017 (IV,VII)	221 410 486

• საწარმო, როგორც ალტერ ეგო	№ას-1307-1245-2014 (II) №ას-1158-1104-2014 (III) №2/3689-16 (II)	211 261 420
• არაადეკვატური კაპიტალიზაცია	№ას-1307-1245-2014 (II) №ას-1158-1104-2014 (III) №2/3689-16 (II)	211 261 420
• კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა	№ას-1307-1245-2014 (II) №ას-1158-1104-2014 (III) №2/3689-16 (II)	211 261 420
• პასუხისმგებლობა შეუტანელი შესატანით	№ას-448-690-08 (I)	121
• ფარული დივიდენდი	№ას-839-805-2016 (II)	410
• საკორპორაციო ჩიხი	№3კ/1154-02 (I) №2ბ/6136-15 (I) №ას-612-571-2017 (IV)	71 348 443
• ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში	№ას-777-1040-05 (I) №ას-860-1074-08 (I,II) №ას-959-1161-08 (I) №ას-1007-1205-08 (I) №ას-75-408-09 (III) №2ბ/2745-11 (II) №2ბ/2257-12 (II) №1/1/543 (I) ას-771-732-2013 (II) №ას-495-471-2013 (I) №ას-1244-1167-2015 (II) №2ბ/4889-16 (I) №ას-451-423-2017 (I) №ას-655-611-2017 (I) №2ბ/1424-17 (III) №2ბ/5798-17 (V) №ას-201-201-2018 (V,VI)	94 123 126 128 132 164 171 196 205 208 332 407 432 435 459 498 508
• ხანდაზმულობის ვადის დაწყება სამეწარმეო სამართალში	№ას-860-1074-08 (II) №1/1/543 (IV) №ას-1244-1167-2015 (II) №2ბ/4889-16 (I)	123 196 332 407
• მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში	№3კ/859-02 (II) №ას-860-1074-08 (II) №ას-899-1185-09 (V) №ას-764-715-2010 (I,II) №2ბ/183-11 (III) №ას-1056-990-2012 (I) №ას-1307-1245-2014 (I) №2/4334-14 (I) №2ბ/6571-14 (V) №ას-1158-1104-2014 (III) №2ბ/6340-14 (I) №ას-877-839-2014 (I) №ას-245-230-2014 (I) №ას-471-450-2015 (I) №2ბ/189-15 (I) №ას-895-845-2015 (II) №ას-1144-1076-2015 (I)	69 123 139 145 156 179 211 221 242 261 278 284 290 296 303 327 330

	№ას-692-663-2016 (I) №2ბ/1277-16 (II) №ას-552-527-2016 (I) №2/3689-16 (II) №2ბ/579-16 (II) №2ბ/1424-17 (IV) №2ბ/5798-17 (I) №2/ბ-1053-18 (II)	391 397 418 420 423 459 498 531
საწარმოს არახელმძღვანელი რწმუნებულები		
• გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა)	№ას-1375-1212-2010 (I) №ას-310-294-2011 (I)	153 160
• გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი)	№ას-1375-1212-2010 (I) №ას-310-294-2011 (I)	153 160
• სავაჭრო წარმომადგენელი	№ას-1375-1212-2010 (II) №ას-310-294-2011 (II)	153 160
საწარმოს ლიკვიდაცია		
• საწარმოს ლიკვიდაცია	№ას-768-1393-03 (I) №2ბ/2092-15 (I) №ას-1015-958-2015 (I) №ას-1036-997-2016 (I) №2ბ/4403-17 (I) №ას-1237-1157-2017 (I)	90 321 345 403 472 529
• კრედიტორთა დაკმაყოფილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში	№ას-1237-1157-2017 (I)	529
• საწარმოს გაკოტრება	№2ბ/2092-15 (I)	321
• საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება	№ას-768-1393-03 (I) №2ბ/2092-15 (I) №ას-1015-958-2015 (I)	90 321 345
• საწარმოს რეგისტრაციის აღდგენა	№ას-1015-958-2015 (I)	345

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/841 (23 იანვარი, 2001 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), ლალი გოჩელაშვილი, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
პარტნიორი (მოსარჩელე) მოითხოვდა მისი გარიცხვის შესახებ პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმის ბათილად ცნობას. კასაციამ მიიღო ახალი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა სარჩელი, გამომდინარე იქიდან, რომ (1) 25% წილის მქონე პარტნიორს უფლება არ ჰქონდა მიეღო სადავო გადაწყვეტილება პარტნიორთა პირველ რიგგარეშე კრებაზე; (2) გარიცხვა უნდა განხოციელებულიყო სასარჩელო (და არა უდავო) წარმოების წესით.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობა არის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ხმათა უმრავლესობით. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს. ხმათა არასაკმარისი რაოდენობის გამო გადაწყვეტილებაუუნარო პარტნიორთა პირველი (რიგგარეშე) კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბათილია. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პირდაპირ არ იწვევს გარიცხავს. საზოგადოებამ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს. ამ დავაში მოსარჩელე არის საზოგადოება, მოსარჩელის წარმომადგენელი არის დირექტორი, ხოლო მოპასუხე – გასარიცხი პირი. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების (და არა უდავო წარმოების) წესით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 2.,4.,6.ბ.

სრული განმარტების ციტირება:
შპს „ა-ის“ პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმი, რომელიც ჩატარდა შპს „ა-ის“ საწესდებო კაპიტალის 25%-ის მფლობელის წარმომადგენლის მიერ, ბათილია, რადგანაც საზოგადოების პარტნიორთა კრება, რომელმაც გადაწყვიტა პარტნიორ თ. შ-ას გარიცხვა და საზოგადოების დირექტორ გ. ნ-ის გათავისუფლება, წარმოადგენდა პირველ რიგგარეშე კრებას და გადაწყვეტისუნარიანი არ იყო იმიტომ, რომ მას არ ესწრებოდნენ ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები.

მითითებული კრება მხოლოდ მაშინ შეიძლება ყოფილიყო გადაწყვეტილებაუნარიანი, თუ პირველ კრებაზე არ გამოცხადდებოდნენ ხმების უმრავლესობის მქონე პირები, რის გამოც სათანადო წესის დაცვით მოიწვეოდა მეორე კრება. მეორე კრებისთვის მნიშვნელობა არ ექნებოდა პარტნიორთა უმრავლესობის გამოუცხადებლობას. კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნებოდა მაშინაც, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა პარტნიორთა ნახევარზე ნაკლებიც. მოცემულ შემთხვევაში ასეთ მდგომარეობას, ანუ მეორე კრების მოწვევას ან ჩატარებას, ადგილი არ ჰქონია.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობა არის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს

ხმათა უმრავლესობით. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არა აქვს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს საზოგადოებიდან მის გარიცხავს. ეს შეიძლება იყოს საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. გადაწყვეტილებას პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო.

პარტნიორის გარიცხვის შესახებ საზოგადოების კრების გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.3-ე მუხლის „ლ“ პუნქტი.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოშობილ დავაში მოსარჩელე არის საზოგადოება, ხოლო მოპასუხე – გასარიცხი პირი. გარიცხვის გამო გამართულ პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები.

მოცემულ შემთხვევაში პარტნიორთა 1999 წლის 6 იანვრის რიგგარეშე კრება (რომელიც ჩაატარა კაპიტალის 25%-ის მფლობელი პარტნიორის წარმომადგენელმა) თუნდაც გადაწყვეტილებაუნარიანი ყოფილიყო, ქ. თბილისის დიდუბის სასამართლო უფლებამოსილი არ იყო 1999 წლის 8 იანვარს პარტნიორობიდან გაერიცხა თ. შ-ა იმიტომ, რომ საზოგადოების ახლად დანიშნულ დირექტორს სარჩელით არ მიუმართავს სასამართლოსათვის თ. შ-ას პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით არ შემდგარა სასამართლო პროცესი. აღნიშნული საკითხის, ანუ პარტნიორის გარიცხვის საკითხის უდავო წარმოების წესით გადაწყვეტა დაუშვებელია. პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით, რასაც მოცემულ შემთხვევაში არც საზოგადოების ახალი დირექტორის (საზოგადოების ახალ დირექტორს სარჩელი არ შეუტანია) და არც სასამართლოს მხრიდან (სასამართლოს სასარჩელო წარმოების გზით არ განუხილავს თ. შ-ას პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხი) ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/336-02 (06 მარტი, 2001 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), როზა ნადირიანი, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა კუთვნილი წილის შესაბამისი ქონების ნატურით გამოყოფას, რაც არ დაკმაყოფილდა, რადგან სარჩელის დაკმაყოფილებით საფრთხე შეექმნებოდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალსა და მთლიანად საზოგადოების საკუთრებას. ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდა საწარმოს ყველა პარტნიორი, ჩაითვალა ნამდვილად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე საერთო კრება არ ჩატარებულა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ ხელშეკრულებას ხელს აწერს შპს-ს ყველა პარტნიორი, წერილობითი თანხმობის ნება გამოხატულია და კრების მოწვევა არ არის აუცილებელი.

განმარტებული საკითხები:
- კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1999 წლის 10 აგვისტოს ხელშეკრულებას ქონების გასხვისების თაობაზე ხელს აწერს შპს-ს ყველა პარტნიორი, ანუ მათ წერილობით გამოამჟღავნეს თავიანთი ნება უძრავი ქონების გასხვისებაზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.7 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. მოცემულ შემთხვევაში კი პარტნიორებმა თავიანთი ნება გამოხატეს ხელმოწერით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/303-01 (09 მარტი, 2001 წელი)
მოსამართლეები: ვალერი ხრუსტალი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, მოსარჩელე საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხეს. სასამართლომ გარიცხვის საკითხი განიხილა უდავო წარმოების წესით. კასაციამ დაადგინა, რომ პარტნიორის გარიცხვა უნდა განხილულიყო სასარჩელო წარმოების წესით. კასაციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი – მიიღო ახალი გადაწყვეტილება და პარტნიორად აღადგინა მოსარჩელე.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-201-201-2018

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა (გარდა შესატანის შეუტანლობის შემთხვევისა) დასაშვებია (1) მაშინ, თუ წესდება ასეთ მითითებას შეიცავს და მაშინაც, თუკი წესდებაში ასეთი რამ მითითებული არ არის; (2) პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას პარტნიორის გარიცხვაზე; (3) საზოგადოება სარჩელით (და არა უდავო წარმოების წესით) მიმართავს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე; (4) სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- უდავო წარმოების წესით საქმის განხილვა.
- სასარჩელო წარმოება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მაშინ, თუ საზოგადოების წესდება ასეთ მითითებას შეიცავს და მაშინაც, თუკი საზოგადოების წესდებაში ასეთი რამ მითითებული არ არის.

პარტნიორის გარიცხვის წინაპირობა (გარდა შესატანის შეუტანლობა) ყოველთვის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაა.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს საზოგადოებიდან მის გარიცხვას. ეს შეიძლება იყოს საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო.

ეს წესი ვრცელდება მაშინაც, როცა საზოგადოების წესდება შეიცავს მითითებას პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. საზოგადოების წესდებაში პარტნიორის გარიცხვის შესახებ მითითება პარტნიორის გარიცხვის საკითხის სასამართლოში საქმის უდავო წარმოების წესით განხილვის საფუძველს არ იძლევა. საზოგადოების წესდებაში პარტნიორის ამა თუ იმ მოტივით გარიცხვის შესაძლებლობის მითითება სადავოდ არ ხდის მითითებული პირობით ან წესით პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პარტნიორის გარიცხვის შესახებ საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მხოლოდ საფუძველი

შეიძლება იყოს პარტნიორის გარიცხვისა და მისი გარიცხვა შეიძლება მხოლოდ სასამართლომ გადაწყვიტოს სარჩელის საფუძველზე და არა საქმის უდავო წარმოების გზით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოშობილ დავაში მოსარჩელე არის საზოგადოება, ხოლო მოპასუხე – გარიცხული პირი. გარიცხვის გამო გამართულ პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოშობილ დავაში, მოსარჩელე არის საზოგადოება, ხოლო მოპასუხე – გარიცხული პირი. გარიცხვის გამო გამართულ პროცესში საზოგადოებას წარმოადგენენ დირექტორები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/259-01 (30 მარტი, 2001 წელი)
მოსამართლეები: ბეჟან ხიმშიაშვილი (თავმჯდომარე), თენგიზ კობახიძე, ქეთევან გაბელაია

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა შპს-ს დირექტორის თანამდებობაზე აღდგენას, რაც არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლოს შეფასებით საწარმოს ყოველთვის აქვს დირექტორის გათავისუფლების უფლება და აღნიშნულზე შრომის კოდექსი არ ვრცელდება.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-240-228-2016, №2ბ/3810-17, №ას-1634-1533-2012, №ას-23-23-2016, №2ბ/2706-14

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაზე არა შრომის კოდექსი, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონი უნდა გავრცელდეს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორი არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული სამეურნეო პოლიტიკის განმხორციელებელი მთავარი ფიგურა, რომელიც ვალდებულია თავისი მოვალეობა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, კასატორ თ. ტ-ძეს, როგორც შპს „ე.“ დირექტორს, უფლება არ ჰქონდა რაიმე სამეწარმეო და მმართველობით დაპირისპირებაში ყოფილიყო საზოგადოების პარტნიორებთან. მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4. მუხლის თანახმად დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. იგი პარტნიორთა მიერ ნდობით აღჭურვილი თანამდებობის პირია, განაგებს საზოგადოების მთელ ფასეულობას. სწორედ დირექტორის კეთილსინდისიერებასა და სამეწარმეო უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება და შესაბამისად პარტნიორთა სამეწარმეო წარმატებები, ამიტომ დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის, უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაზე შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კანონთა კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ შრომით სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო. იგი ჩვეულებრივ მეწარმეა, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარემთა შესახებ კანონით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/585-01 (27 ივლისი, 2001 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), როზა ნადირიანი, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა.

განჩინების რეზიუმე:
კომერციული ბანკში ჩატარდა აქციონერთა საერთო კრება. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ბანკის წესდებაში იმგვარი ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლებიც არსებითად ლახავდნენ ბანკის აქციონერის უფლებებს (აქციების გასხვისების და ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებები წესდებაში არ ასახულა, მოსარჩელემ მოითხოვა საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა სასამართლო წესით, რაც დაკმაყოფილდა. კასაციაში საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერის მიერ აქციების გასხვისებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს. საკმარისია საერთო კრებაზე გადაწყვეტილების მიღება (მიუხედავად იმისა, წესდებაში აისახება თუ არა იგი), რათა აქციონერმა, რომელსაც არსებითად შეელახა უფლება, მოითხოვოს თავისი კუთვნილი აქციების გამოსყიდვა საზოგადოებისაგან.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[1]. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53[1].1 მუხლის თანახმად აქციონერს უფლება აქვს ამ მუხლით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს.

მოცემული ნორმა ადგენს ორ ძირითად მოთხოვნას: გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს აქციონერთა საერთო კრებაზე და გადაწყვეტილება უნდა ლახავდეს აქციონერის უფლებებს.

პალატა თვლის, რომ აქციონერთა უფლებები შელახულად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც აქციონერთა საერთო კრება აქციონერის ნების საწინააღმდეგოდ იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ცვლის საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებს და აქციონერის სტატუსს და მდგომარეობას სააქციო საზოგადოებაში.

მოცემულ შემთხვევაში, საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად, პარტნიორებს შორის სადავო საკითხები საერთაშორისო არბიტრაჟს გადაეცამა, არსებითად იცვლება აქციონერის უფლება, რომ საზოგადოებაში არსებული დარღვევების გამო მიემართა საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოსთვის.

ასეთივე ხასიათის ცვლილებებს წარმოადგენს ს.ს. „ა.-ის“ საერთო კრების გადაწყვეტილება, რომ აქციონერებს არა აქვთ უფლება, სხვა პირებზე გაასხვისონ საწესდებო კაპიტალი, თუ არ არსებობს სააქციო კაპიტალის აქციათა 75% მფლობელთა თანხმობა და არ არის დაცული სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-7 თავის აქციათა გადაცემის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა ეთანხმება კოლეგიის განმარტებას, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.1 მუხლის თანახმად საკმარისია ისეთი სახის გადაწყვეტილების მიღება (მიუხედავად იმისა წესდებაში აისახება თუ არა იგი), რათა აქციონერმა, რომელსაც არსებითად შეელახა უფლება მოითხოვოს მისი კუთვნილი აქციების გამოსყიდვა საზოგადოებისაგან.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – თუ საზოგადოება უარს აცხადებს აქციათა შეფასებაზე და მის გამოსყიდვაზე, აქციონერს უფლება აქვს, თავისი უფლება დაიცვას სასამართლო წესით. ასეთ შემთხვევაში, თვით სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს აქციათა სამართლიანი ღირებულება.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა.
- გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა.
- გარიგება კონკლუდენტური მოქმედებით.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[1]. პუნქტები 1.,4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
თუ საზოგადოება უარს აცხადებს აქციათა შეფასებაზე და მის გამოსყიდვაზე, აქციონერს უფლება აქვს თავისი უფლება დაიცვას სასამართლო წესით. ასეთ შემთხვევაში თვით სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი აქციათა სამართლიანი ღირებულება.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – აქციის სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას და სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. აქციის სამართლიან ღირებულებას მრავალი გარემოება განსაზღვრავს, რაც არის სასამართლოს განსჯის საგანი. თუ აქციები საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის მონაცემებს. აქციის ნომინალური ღირებულება შესაძლოა ემთხვეოდეს აქციის საბაზრო და სამართლიან ღირებულებას.

განმარტებული საკითხები:
- გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა.
- საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[1]. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 407. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის მონაცემებს. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, აქციები საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული არის, აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს თვით სასამართლოს მიერ. აქციის სამართლიან ღირებულებას მრავალი გარემოება განსაზღვრავს, რაც არის სასამართლოს განსჯის საგანი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ხდება განსაზღვრა აქციის სამართლიანი ღირებულებისა,

რომელიც, ასევე, ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს და სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სამართლიან ღირებულებად მიიჩნია ნომინალური ღირებულება, რომლითაც აქცია გაიცა და დარეგისტრირდა საზოგადოების წიგნში. აქციის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კოლეგიის მიერ გათვალისწინებული იქნა ის გარემოებები, რომ თვით „ა.-საც“ სხვა საზოგადოების აქციები აქვს შესყიდული ნომინალური ღირებულების მიხედვით და მითითებული ფასი თვით აქციების საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარეობს. უდავოა, რომ აქციის ნომინალური ღირებულება შესაძლოა ემთხვეოდეს აქციის საბაზრო და სამართლიან ღირებულებას.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საზოგადოების ფინანსურმა მდგომარეობამ არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს აქციონერის მიერ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ანაზღაურების მიღებაზე.

განმარტებული საკითხები:
- გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა.
- პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა (რესტიტუცია).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[1]. პუნქტები 1.,4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლოს არ უნდა ემსჯელა აქციების გამოსყიდვაზე, თუ არ იქნებოდა გარკვეული სს „ა.-ის“ საკუთარი კაპიტალის ოდენობა 2001 წლის აპრილის მდგომარეობით. მოპასუხეს სადაოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ საერთო კრების მოწვევის დღისათვის ბანკის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით აქციათა გამოსყიდვა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[1]-ე მუხლის თანახმად დაიშვებოდა.

აქციონერმა უნდა მიიღოს ის ანაზღაურება, რაც მას აღნიშნული თარიღისათვის უნდა მიეღო კანონით დადგენილი წესით. თუ შემდგომში შეიცვალა ბანკის ფინანსური მდგომარეობა, ამ გარემოებამ არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს აქციონერისათვის განსაზღვრულ ანაზღაურებაზე. აქციონერი აღდგენილ უნდა იქნეს იმ მდგომარეობაში, რომელიც იარსებებდა, საზოგადოების მიერ კანონის შესაბამისად რომ განხილულიყო აქციონერის მოთხოვნა და დაკმაყოფილებულიყო იგი. საზოგადოება ვალდებულია ყოველგვარი პირობების გარეშე მოახდინოს აქციების გამოსყიდვა კანონმდებლობით დადგენილი დღისათვის არსებული ფასით.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კომერციულ ბანკის ვალდებულება, არ შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით, არ ზღუდავს აქციონერის უფლებას საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვაზე.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა.
- მოთხოვნები კომერციული ბანკის კაპიტალისა და რეზერვების მიმართ.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[1]. პუნქტი 1.
- კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად არც ერთ ბანკს არ აქვს უფლება შეამციროს თავისი კაპიტალი და რეზერვები პაის უკუგამოსყიდვის გზით, ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის და წესდებაში სათანადო ცვლილებების გარეშე. აღნიშნული ნორმით არ იზღუდება აქციონერის უფლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მოსთხოვოს საზოგადოებას აქციების გამოსყიდვა. აღნიშნული ნორმით დადგენილია ბანკის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს ბანკის მიერ კაპიტალის შემცირების დროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/787-01 (14 სექტემბერი, 2001 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), როზა ნადირიანი, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) მოითხოვდა ორი პარტნიორის გარიცხვას შემდეგი საფუძვლებით: (1) წესდების დარღვევით (თანხმობის გარეშე) საზოგადოებაში კუთვნილი წილების სხვა პირისათვის მინდობა; (2) საზოგადოებაში კონფლიქტური სიტუაციის შექმნა; (3) კონკურენტ საზოგადოებაში იმავე საქმიანობის შეთავსება; და (4) დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა. კასაციამ დაადგინა, რომ (1) წესდება არ დარღვეულა, რადგან დადებული იყო არა საკუთრების მინდობის, არამედ დავალების ხელშეკრულება და (2) კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც კანონიერმა მოქმედებამ გამოიწვია, არ შეიძლება მოგვარდეს პარტნიორის გარიცხვით. დანარჩენ ორ საფუძველზე კასაციამ არ იმსჯელა, დაუსაბუთებლობის გამო შემოწმების შეუძლებლობაზე მითითებით, და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წესდებით დაწესებული შეზღუდვა წილის გასხვისებაზე გულისხმობს წილზე უფლების ყოველგვარ დათმობას/გადაცემას, მათ შორის, წილის დაგირავებას, უზუფრუქტს, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად წილის გამოყენებას ან საკუთრების მინდობას. ამ დროს გამოიყენება იგივე წესები, რომლებიც გათვალისწინებულია წილის გასხვისებისათვის. განსხვავება საკუთრების მინდობასა და დავალებას შორის ისაა, რომ (1) მინდობილი მესაკუთრე ქონებას მართავს საკუთარი სახელით, ხოლო რწმუნებული – მარწმუნებლის სახელით მოქმედებს; (2) საკუთრების მინდობა რეალური ხელშეკრულებაა, ამიტომ მისი დადებისათვის აუცილებელია მხარეთა არა მხოლოდ წერილობითი შეთანხმება, არამედ მინდობილი მესაკუთრისათვის ქონების გადაცემაც. დავალების ხელშეკრულებაზე არ მოქმედებს წილის გასხვისებისათვის დადგენილი წესები.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- შპს-ს წილის გასხვისების/დატვირთვის/დაგირავების შეზღუდვა.
- წილი/აქცია.
- რეალური ხელშეკრულება.
- საკუთრების მინდობის ხელშეკრულება.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 724.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 727.

სრული განმარტების ციტირება:
კანონის 46.4 მუხლის შესაბამისად საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გადაცემის სხვა პირობებიც. კერძოდ, გამსხვისებლისთვის აუცილებელი გახდეს საზოგადოების ნებარვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. წილის დათმობა, გადაცემა, გასხვისება ნიშნავს წილზე უფლების ყოველგვარ დათმობას, ყოველგვარ გადაცემას. წილის გასხვისებას უთანაბრდება წილის დაგირავება, უზურფრუქტი, ვალდებუ-

ლის უზრუნველყოფის საშუალებად წილის გამოყენება ან საკუთრების მინდობა – მისი გადაცემა. ამ დროს გამოიყენება იგივე წესები, რაც გათვალისწინებულია წილის გასხვისებისათვის.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქონების მართვა მინდობილი მესაკუთრის საქმიანობად მიიჩნევა, რომელსაც მინდობილი მესაკუთრე ახორციელებს საკუთარი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით. დავალების ხელშეკრულებით კი რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედების განხორციელებისათვის მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით, ანუ მისი მოქმედების შედეგად მესამე პირებთან წარმოშობილ ურთიერთობის მონაწილე ხდება მარწმუნებელი, რაც ფაქტობრივად განასხვავებს მას საკუთრების მინდობის ხელშეკრულებისაგან, რომლის საფუძველზეც მინდობილი მესაკუთრე თვითონ კისრულობს ვალდებულებას, მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით, ანუ მინდობილი მესაკუთრე ქონების მართვისას მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის საკუთარი სახელით. უფრო მეტიც, მესამე პირებთან ურთიერთობაში მინდობილი მესაკუთრე სარგებლობს მესაკუთრის უფლებით (სამოქალაქო კოდექსის 729-ე, 725-ე მუხლები).

მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ა. ა-ძეს მიეცა უფლება, წარმოედგინა ჯ. შ-ძის და ა. ლ-ს ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და კერძო სტრუქტურებში შპს „ჯ.-ში“ მათი კუთვნილი წილის მართვასთან დაკავშირებით და ამასთან დაკავშირებით განეხორციელებინა ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან. დავალება განისაზღვრა ერთი წლის ვადით. მითითებული მინდობილობით ა. ა-ძეს მარწმუნებლებმა საკუთრება (წილი) კი არ მიანდეს, არამედ დაავალეს გარკვეული მოქმედების განხორციელება დროებით მარწმუნებლის სახელით. ამ დავალებით რწმუნებულის მიერ მესამე პირებთან წარმოშობილ ურთიერთობის მონაწილე გახდა მარწმუნებელი და არა რწმუნებული, როგორც ეს საკუთრების მინდობის დროს ხდება, რადგან მოცემულ შემთხვევაში 2000 წლის 9 აგვისტოს, მინდობილობებით რწმუნებულს საკუთრება (წილი) კი არ გადაეცა, არამედ დაევალა მარწმუნებელთა ინტერესების სასარგებლოდ მინდობილობით წილის მართვა გარკვეული დროის ვადით.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მოპასუხის მოქმედება განხილულ იქნეს წილის მინდობილი საკუთრების გადაცემად. იგი დავალების ხელშეკრულებაა და ამდენად, ასეთი დავალების შესრულებისას საჭირო არაა იგივე წესების გამოყენება, რაც მეწარმეთა კანონის შესაბამისად წილის განსხვისებისათვისაა საჭირო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს-ში არსებული წილის (საკუთრების) მინდობა კი არ განხორციელდა, არამედ შპს „ჯ.-ში“ პარტნიორთა წილის მართვასთან დაკავშირებით პარტნიორთა ინტერესების სასარგებლოდ, მათივე სახელით, დროებით ყველა ღონისძიების განხორციელების უფლებით აღიჭურვა რწმუნებული და ეს ფუნქცია მას უნდა განეხორციელებინა მარწმუნებლის მიერ მიცემული ცალკეული დავალების შესაბამისად მარწმუნებლის სახელით, მარწმუნებლის ინტერესების სასარგებლოდ, მარწმუნებლის ხარჯზე.

სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლის შესაბამისად საკუთრების მინდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ამის დაუცველობა იწვევს მის ბათილობას, რადგან საკუთრების მინდობის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებას მიეკუთვნება, ამიტომ მისი დადებისათვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება არა მხოლოდ წერილობით, არამედ აუცილებელია ქონების გადაცემაც მინდობილი მესაკუთრისათვის.

ვინაიდან ქონების (წილის) გადაცემას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, თავისთავად იგულისხმება, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულებაც არ დადებულა, მითუმეტეს, 2000 წლის 9 აგვისტოს მინდობილობებში არაა მითითებული იმის შესახებ, რომ მარწმუნებელი რწმუნებულს გადასცემდა წილს და მესამე პირებთან ურთიერთობაში ამ წილის მართვის უფლებას თავისი (რწმუნებულის) სახელით. აქედან გამომდინარე, მითითებული მინდობილობა არაა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, იგი დავალების ხელშეკრულებაა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – პარტნიორის მიერ კანონიერი მოქმედების გამო საზოგადოებაში კონფლიქტური სიტუაციის შექმნა არ შეიძლება იმას შეერაცხოს ბრალად, ვინც კანონიერად მოქმედებს. საზოგადოებაში შექმნილი კონფლიქტური

სიტუაცია საზოგადოების დანარჩენი პარტნიორების მიერ ამაში არაბრალეული სხვა პარტნიორების საზოგადოებიდან გარიცხვით არ უნდა დარეგულირდეს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 4[1].,7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში პარტნიორთა გარიცხვას არ შეიძლება საფუძვლად არც ის გარემოება დაედოს, რომ საზოგადოებაში შექმნილი იყო კონფლიქტური მდგომარეობა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საზოგადოებაში კონფლიქტური მდგომარეობა შექმნა პარტნიორების მიერ დავალების ხელშეკრულების გაცემამ, რაც თავისთავად კანონიერი იყო და პარტნიორის მიერ კანონიერი მოქმედების განხორციელების გამო საზოგადოებაში კონფლიქტური სიტუაციის შექმნა არ შეიძლება კანონიერ მოქმედების განმხორციელებელს შეერაცხოს.

მართალია, საზოგადოებაში მართლაც შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია, მაგრამ ამის მოგვარება საზოგადოების დანარჩენი პარტნიორების მიერ ამაში არაბრალეული სხვა პარტნიორების საზოგადოებიდან გარიცხვით არ უნდა დარეგულირდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/1016-01 (25 იანვარი, 2002 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), როზა ნადირიანი, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა მისი გარიცხვის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, მიუღებელი დივიდენდის სახით ზიანის ანაზღაურებას და წილის დაბრუნებას. მოსარჩელემ დათმო საწარმოში თავისი წილის ნაწილი, თუმცა შესაბამისი ანაზღაურება არ მიუღია, რის შემდეგაც იგი გარიცხეს საწარმოდან. კასაციამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებლად მიიჩნია და ყველა სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით საქმე, შესაბამისი განმარტებებით, ხელახლა განსახილველად დააბრუნა საოლქო სასამართლოში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება თავისთავად არ იწვევს პარტნიორის გარიცხვას და წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საზოგადოებამ პარტნიორის გარიცხვის თაობაზე სარჩელით მიმართოს სასამართლოს. სარჩელის არარსებობა არ შეიძლება იყოს კრების ოქმის ბათილობის საფუძველი. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურა, რაც საფუძვლად უდევს პირთა უფლებების შელახვას ან გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ნორმებსა და პრინციპებს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა თვლის, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უკანონოდ უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურა, რაც საფუძვლად უდევს პირთა უფლებების შელახვას ან გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ნორმებსა და პრინციპებს.

პალატა იზიარებს კოლეგიის მოსაზრებას, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება თავისთავად არ იწვევს პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვას და წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საზოგადოებამ პარტნიორის გარიცხვის თაობაზე სარჩელით მიმართოს სასამართლოს. ამასთან, კოლეგია თვლის, რომ ასეთი სარჩელის არ არსებობა არ შეიძლება იყოს კრების ოქმის ბათილობის საფუძველი. სარჩელის არ არსებობა არ მიუთითებს, რომ დარღვეულია კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურა, რაც საფუძვლად უდევს პირთა უფლებების შელახვას და გადაწყვეტილებით დარღვეულია კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ნორმები და პრინციპები.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, რომლითაც საზოგადოებიდან პარტნიორი ირიცხება ჩამორთმეული წილის შესაბამისი ანაზღაურების გარეშე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- კონსტიტუცია, მუხლი 19.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა, ასევე, იზიარებს კოლეგიის მოსაზრებას, რომ საზოგადოებიდან გარიცხვა წილის ჩამორთმევით შესაბამისი ანაზღაურების გარეშე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, მაგრამ ვერ გაიზიარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ 2002 წლის კრების გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება აღნიშნულ ნორმას. 2002 წლის კრებაზე არ დასმულა და არ გადაწყვეტილა გარიცხული პარტნიორისათვის სათანადო ანაზღაურების გაცემის საკითხი, რის გამოც არ შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ კრებამ პარტნიორი სათანადო ანაზღაურების გარეშე გარიცხა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საქმეზე მოპასუხე არის საზოგადოება და არა პარტნიორი ან თუნდაც დომინანტი პარტნიორი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

სრული განმარტების ციტირება:
პალატის აზრით, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საქმეზე მოპასუხე არის საზოგადოება და არა პარტნიორი, თუნდაც პარტნიორს საზოგადოებაში წილთა უმრავლესობა ჰქონდეს და რეალურად შეეძლოს პარტნიორთა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა. პარტნიორის გარიცხვის საკითხს წყვეტს საზოგადოების პარტნიორთა კრება, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს საზოგადოების გადაწყვეტილებას. საქმეზე, რომელზედაც იხილება საზოგადოების გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი მოპასუხე საზოგადოების პარტნიორი ვერ იქნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/530-02 (21 მაისი, 2002 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), ლალი გოჩელაშვილი, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის მიერ გარიცხვამდე მისი წილის გასხვისება.

განჩინების რეზიუმე:
აპელაციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. პარტნიორი გარიცხეს საწარმოდან, თუმცა გარიცხვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აღნიშნულმა პარტნიორმა გაასხვისა წილი მესამე პირზე, რაც კასაციამ მიიჩნია კანონიერად იმ დასაბუთებითაც, რომ დუმილი გასასხვისებელი წილის უპირატეს შესყიდვაზე წარმოადგენს უარს ამ უფლების გამოყენებაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – თანამშრომელთა კრებას არავითარი საერთო არა აქვს პარტნიორთა კრებასთან მაშინაც კი, როცა პარტნიორები და საწარმოს თანამშრომლები ერთი და იგივე პირები არიან, თუმცა შეუძლია დაადასტუროს ინფორმირებულობა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].

სრული განმარტების ციტირება:
მართალია, თანამშრომელთა კრებას არავითარი საერთო პარტნიორთა კრებასთან არა აქვს მაშინაც კი, როცა პარტნიორები და საწარმოს თანამშრომლები ერთი და იგივე პირები არიან და ამ კრებას არ შეეძლო გადაეწყვიტა საზოგადოებაში წილის გასხვისებასთან დაკავშირებით საკითხები, ანუ ამ ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რაიმე ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო პარტნიორთა წილებზე, მაგრამ მითითებული კრების ოქმით დასტურდება, რომ კრებაზე დამსწრე პარტნიორებისათვის ცნობილი იყო წილის შეძენის უპირატესი უფლების დათმობის ფაქტი ჯერ კიდევ 2000წ. 2 ოქტომბრისათვის.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს პარტნიორის გარიცხვას. ეს არის საფუძველი იმისა, რომ საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას პარტნიორთა საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო. თუ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხის სასამართლოში განხილვის დამთავრებამდე ეს პარტნიორი თავის წილს გაასხვისებს, გარიცხვის საკითხი იხსნება. თუ პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული, ცხადია, პარტნიორი გარიცხულად არ ითვლება და მისი წილის შემძენი პირი, თუ კანონის დაცვით ხდება წილის შეძენის უპირატესი უფლების დათმობა და წილის გასხვისება, კეთილსინდისიერი შემძენია.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- პარტნიორის გარიცხვა.

• კეთილსინდისიერი შემძენი.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
• სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 187.

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ პირდაპირ არ იწვევს პარტნიორის გარიცხვას. ეს არის საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილებას პარტნიორთა საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.3 მუხლის „ლ“ პუნქტი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001წ. 23 იანვრის 841 გადაწყვეტილება). თუ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხის სასამართლოში განხილვის დამთავრებამდე ეს პარტნიორი თავის წილს გაასხვისებს, გარიცხვის საკითხი იხსნება.

მოცემულ შემთხვევაში, როცა რაიონულმა სასამართლომ 2000წ. 20 ივლისს მიიღო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო 2000წ. 12 სექტემბერს ზეპირი განხილვის გარეშე მიიღო განჩინება ამ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის დაუშვებლობის შესახებ, მითითებული განჩინების ასლი არ გადაუგზავნა მხარეს, აქედან გამომდინარე, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თურქული ფირმის პარტნიორობიდან გარიცხვის თაობაზე კანონიერ ძალაში არ შესულა. გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ თუ კანონიერ ძალაში არ არის შესული, ცხადია, პარტნიორი გარიცხულად არ ითვლება და ამ პარტნიორის წილის შემძენი პირი, მაშინ, როცა კანონის დაცვით ხდება წილის შეძენის უპირატესი უფლების დათმობა და წილის გასხვისება, კეთილსინდისიერი შემძენია. მითითებულ შემთხვევაში ვინაიდან წილის გასხვისების დროს „ასი“ არ შეიძლება ჩათვლილიყო გარიცხულ პარტნიორად, ცხადია, იგი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული მისი წილის კანონიერი მესაკუთრე იყო და წილის გასხვისებაც შეეძლო. ვინაიდან სასამართლოში პარტნიორობიდან გარიცხვის თაობაზე დავის დასრულებამდე თურქულმა ფირმამ გაასხვისა თავისი წილი, თავისთავად მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხიც მოიხსნა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის მიერ წილის შეძენის უპირატესი უფლების რეალიზაცია ხდება საზოგადოებაში პარტნიორის მიერ განცხადების შეტანით, რასაც შემდეგ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაც უნდა მოჰყვეს. თუკი არ არსებობს პარტნიორის განცხადება წილის უპირატესი შეძენის უფლების გამოყენების შესახებ, იგულისხმება, რომ პარტნიორი დაინტერესებული არ არის წილის შეძენით. გარიგება წილის გასხვისების შესახებ მანამ, სანამ პარტნიორს, რომელსაც გააჩნია წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, ამ უფლებით არ უსარგებლია, მერყევად ბათილი გარიგებაა, ხოლო მას შემდეგ, რაც წილის უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პარტნიორი პრეტენზიას განაცხადებს მასზე მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესახებ, ანუ წილის შეძენის უპირატესი უფლების გამოყენების თაობაზე, ასეთი გარიგება წილის ნასყიდობის შესახებ ბათილი იქნება. თუ წილის უპირატესი შეძენის უფლების მქონე პარტნიორი ამ უფლების რეალიზაციის წარმოშობის დროიდან გონივრულ ვადაში არ განაცხადებს მასზე მინიჭებული უპირატესობის გამოყენების სურვილს ან არ გამოიყენებს ამ უპირატესობას, ივარაუდება, რომ წილის შეძენის გარიგება, რომელიც მერყევად ბათილ გარიგებად ითვლებოდა, აღარაა მერყევად ბათილი და შეცილების საფუძველი აღარ არსებობს.

განმარტებული საკითხები:
• საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
• წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.
• გარიგების ბათილობა.
• მერყევად ბათილი გარიგება.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46[1].

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორის მიერ წილის შეძენის უპირატესი უფლების რეალიზაცია ხდება საზოგადოებაში პარტნიორის მიერ განცხადების შეტანით, რასაც შემდეგ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაც უნდა მოყვეს. თუ კი არ არსებობს პარტნიორის განცხადება წილის უპირატესი შეძენის უფლების გამოყენების შესახებ იგულისხმება, რომ პარტნიორი დაინტერესებული არ არის წილის შეძენით.

მოცემულ შემთხვევაში შპს „ა-იდან“ საწესდებო კაპიტალის 50% წილის მფლობელი პარტნიორი „ას-ი“ გარიცხა 2000წ. 2 მარტს. „ას-მა“ წილის გასხვისების შესახებ საზოგადოებისაგან თანხმობის მიღება ითხოვა 2000წ. 2 ოქტომბერს, რაზეც საზოგადოებამ თანხმობა მისცა, ხოლო 5 ოქტომბერს კი მოხდა წილის გაყიდვა და ამ დროის მანძილზე პარტნიორებს განცხადება არ გაუკეთებიათ საზოგადოების წინაშე წესდების შესაბამისად წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე. აქედან გამომდინარე, თავისთავად იგულისხმება, რომ პარტნიორები არ იყვნენ დაინტერესებულნი საზოგადოებიდან გარიცხული პარტნიორის წილის შეძენით. უფრო მეტიც, პარტნიორი თავის მოსაზრებას წილის შეძენის თუ დათმობის შესახებ გამოთქვამს საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე. თუ პარტნიორთა კრებაზე არ იქნება გამოთქმული პარტნიორის შეხედულება წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დათმობის ან დათმობაზე უარის შესახებ, ხოლო სათანადო კვორუმით მოხდება გადაწყვეტილების მიღება შესყიდვის უფლების დათმობის შესახებ, იგულისხმება, რომ პარტნიორს არ გამოუთქვამს სურვილი წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში 2000წ. 2 ოქტომბერს გამართულ საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე, რომელიც განიხილავდა “ას-ის” განცხადებას წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დათმობისა და მისი შეხედულებისამებრ წილის რეალიზაციის შესაძლებლობის მიცემის თაობაზე, პარტნიორებმა: ნ. ა-იანმა, დ. ს-ძემ, გ. ხ-ურმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ არ სურდათ „ას-ის“ წილის შესყიდვა, თანხმობას უცხადებდნენ „ას-ს“, მისი წილი გაესხვისებინა თავისი შეხედულებისამებრ, რის საფუძველზეც საზოგადოების პარტნიორთა კრებამ დაადგინა, რომ შპს „ა-ის“ პარტნიორები თანხმობას უცხადებდნენ თურქულ მხარეს, რათა თავისი შეხედულებისამებრ გაესხვისებინა თავისი წილი – საწესდებო კაპიტალის 50%. ეს იმას ნიშნავს, რომ შპს „ა-ის“ არცერთ პარტნიორს არ გამოუთქვამს სურვილი საზოგადოების წესდებით მინიჭებული უპირატესობის, წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე.

წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება შესაძლებელია პარტნიორის აქტიური მოქმედების შედეგად, ანუ ამ განზრახვის შესახებ პარტნიორმა უნდა მიმართოს საზოგადოებას. თუ ასეთი მოქმედება არ განახორციელა პარტნიორმა, იგულისხმება, რომ იგი არ იყენებს წესდებით მინიჭებულ ამ უფლებას.

გარიგება, წილის გასხვისების შესახებ, მანამ, სანამ პარტნიორს, რომელსაც გააჩნია წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, და ამ უფლებით არ უსარგებლია, მერყევად ბათილი გარიგებაა, ხოლო მას შემდეგ, რაც წილის უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პარტნიორი პრეტენზიას განაცხადებს მასზე მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესახებ, ანუ წილის შეძენის უპირატესი უფლების გამოყენების თაობაზე, ასეთი გარიგება წილის ნასყიდობის შესახებ ბათილი იქნება. თუ წილის უპირატესი შეძენის უფლების მქონე პარტნიორი ამ უფლების რეალიზაციის წარმოშობის დროიდან გონივრულ ვადაში არ განაცხადებს ან არ განახორციელებს მასზე მინიჭებული უპირატესობის გამოყენების სურვილს, ივარაუდება, რომ წილის შეძენის გარიგება, რომელიც მერყევად ბათილ გარიგებად ითვლებოდა, უკვე აღარაა მერყევად ბათილი და შეცილების საფუძველი აღარ არსებობს.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როგორი სახით უნდა შედგეს შპს-ს პარტნიორთა კრების ოქმი, მაგრამ, ცხადია, კრების ოქმი უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ესწრება კრებას და დამსწრე პარტნიორთა რაოდენობა; წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი; ოქმში ასევე აღნიშნული უნდა იყოს იმ

პარტნიორების ვინაობაც, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და უნდა აღინიშნოს დაუსწრებლობის მიზეზებიც. ოქმში მითითებული უნდა იყოს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭისყრის შედეგებს და ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე, სასურველია კრების მდივნის ხელმოწერაც.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როგორი სახით უნდა შედგეს შპს-ს პარტნიორთა კრების ოქმი, მაგრამ, ცხადია, კრების ოქმი უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ესწრება კრებას, დამსწრე პარტნიორთა რაოდენობა, წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი, იმ პარტნიორების ვინაობა, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და დაუსწრებლობის მიზეზებიც. ოქმში მითითებული უნდა იყოს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭისყრის შედეგებს და მას ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე, სასურველია კრების მდივნის ხელმოწერაც.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორთა კრების ოქმში კრებაზე დამსწრე ყველა პირის ვინაობისა და რაოდენობის მიუთითებლობა ვერ გამოიწვევს მოცემული ოქმის ბათილობას.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორთა კრების 2000წ. 2 მარტის ოქმში, მართალია, მითითებული არ არის პარტნიორთა კრებაზე დამსწრე ყველა პირთა ვინაობა და რაოდენობა, მაგრამ ამის მიუთითებლობა ვერ გამოიწვევს მოცემული ოქმის ბათილობას, რადგან პარტნიორთა კრების ოქმიდან ირკვევა, რომ კრების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს კონკრეტულმა პარტნიორებმა, რომელთა წილი საწესდებო კაპიტალში 65%-ზე მეტს შეადგენს (წესდების შესაბამისად კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის არსებობისათვის აუცილებელია ხმების 65%-ის არსებობა). ამ კრების ოქმის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ დანარჩენი პარტნიორებიც. ამასთან, პარტნიორთა კრებას ესწრება ნოტარიუსი და მის მიერვეა დამოწმებული ოქმის ნამდვილობა.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორს ყოველთვის აქვს უფლება, თავისი შეხედულება წერილობით წარადგინოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და ამგვარად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების პარტნიორთა კრების მუშაობაში.

განმარტებული საკითხები:
• პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 8.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.7 მუხლის შესაბამისად კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. კანონის ამ ნორმიდან გამომდინარე უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ პარტნიორს ყოველთვის აქვს უფლება თავისი შეხედულება წერილობით წარადგინოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და ამგვარად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების პარტნიორთა კრების მუშაობაში.

VII. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (კრების ოქმი) კოლექტიური გარიგებაა და სავალდებულოა პარტნიორებისათვის. ვინაიდან კრების გადაწყვეტილება გარიგებაცაა, მასზე ვრცელდება გარიგების ყველა ის ნორმა და წესი, რომლებიც სამოქალაქო კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

განმარტებული საკითხები:
• პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
• მრავალმხრივი გარიგება.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
• სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (კრების ოქმი) კოლექტიური გარიგებაა და სავალდებულოა პარტნიორებისათვის. ვინაიდან კრების გადაწყვეტილება გარიგებაცაა, მასზე ვრცელდება გარიგების ყველა ის ნორმა და წესი, რაც სამოქალაქო კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

VIII. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD წილის გასხვისების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც წილის გასხვისებასთან ერთად მოიცავს წილის შესაბამისი ქონების გასხვისებასაც, წარმოადგენს სხვისი (ანუ საწარმოს) ქონების გასხვისებას და ბათილია ამ ნაწილში, თუმცა არ იწვევს წილის გასხვისების ბათილობას (რეგისტრაციის გაუქმებას).

განმარტებული საკითხები:
• საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
• გარიგების ნაწილის ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
• სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 62.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 2000 წლის 5 ოქტომბრის ხელშეკრულება წილის გასხვისების შესახებ წილის გასხვისებასთან ერთად მოიცავს წილის შესაბამისი ქონების გასხვისებასაც, რაც დაუშვებელია, რადგან წილის შესაბამისი ქონება საზოგადოების ქონებაა და პარტნიორს არ შეეძლო საზოგადოების ქონების,ანუ სხვისი ქონების გასხვისება, მაგრამ მითითებულ ხელშეკრულებაში აღნიშნული გარემოება საზოგადოების ქონების გასხვისების შესახებ საფუძვლად არ დადებია არც სააპელაციო სასამართლოს 2001წ. 24 დეკემბრის და არც რაიონული სასამართლოს 2000წ. 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებას სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის თაობაზე. მართალია, წილის გასხვისების შესახებ 2000წ. 5 ოქტომბრის ხელშეკრულება წილის გაყიდვასთან ერთად მოიცავს წილის შესაბამისი ქონების გაყიდვასაც, რაც თავისთავად უკანონოა, მაგრამ ქონების გასხვისების შესახებ ხელშეკრულება ვინაიდან საფუძვლად არ დადებია 2000წ. 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებას (რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე), ამ ხელშეკრულების ნაწილის ბათილობა რეგისტრაციაში ცვლილების შეტანის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს.

IX. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ის ფაქტი, რომ წესდებაში შეტანილი არ არის ახალი პარტნიორების გვარსახელები, არ წარმოადგენს სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- სამეწარმეო რეესტრი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოებაში ახალი პარტნიორების შესვლისთანავე არ მოხდა საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანა, ვინაიდან წილის შეძენით შემძენი იკავებს პარტნიორის ადგილს შპს-ში, შემძენზე გადადის ყველა ის უფლება – მოვალეობები, რომლებიც ძველ პარტნიორს ჰქონდა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.4.1 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, მართალია, წესდება უნდა შეიცავდეს ყოველი დამფუძნებელი პარტნიორის გვარს, სახელს და სხვა მონაცემებს, შპს „ა-ის“ წესდებაში შეტანილი არ არის ახალი პარტნიორების გვარსახელები, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს რაიონული სასამართლოს 2000წ. 20 ოქტომბრის სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს. წესდებაში ნაკლის არსებობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.8 მუხლის შესაბამისად გამოსწორებადია, ამასთან საზოგადოების წესდებაში ხარვეზის გამოუსწორებლობა იწვევს საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებას და არა საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღების შესახებ რეგისტრაციის გაუქმებას, თუკი ახალი პარტნიორის მიღება კანონის დაცვითაა მომხდარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/661-02 (05 ივლისი, 2002 წელი)
მოსამართლეები: მურმან წიქვაძე (თავმჯდომარე), როზა ნადირიანი, მიხეილ გოგიშვილი

საკვანძო საკითხი:
საწარმოს რეგისტრაციის მნიშვნელობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
პარლამენტის 1994 წლის დადგენილებით, საწარმოებს დაევალათ ხელახალი რეგისტრაციის გავლა 1996 წლის 1-ლ სექტემბრამდე. განმცხადებელმა ვადა გაუშვა და 2001 წელს, უდავო წარმოების წესით, მოითხოვა ხელახალი რეგისტრაცია. ვადის გაშვებაზე და მოცემულ დავაზე უდავო წარმოების დაუშვებლობაზე მითითებით, კასაციამ განცხადება არ დააკმაყოფილა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოთა რეგისტრაციას გააჩნია როგორც ფაქტის ან მოვლენის აღნიშვნის, ისე კონსტიტუციური მნიშვნელობა. რეგისტრაციის მონაცემთა საჯაროობა იცავს კონტრაჰენტებსა და მესამე პირებს.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტები 1.,3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.,5.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო პალატა სწორად უთითებს, რომ საწარმოთა რეგისტრაციას გააჩნია, როგორც ფაქტის ან მოვლენის აღნიშვნის, ისე კონსტიტუციური მნიშვნელობა, რეგისტრაციის მონაცემთა საჯაროობა იცავს კონტრაჰენტებსა და მესამე პირებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სწორედ ამგვარი მნიშვნელობით იყო განპირობებული პარლამენტის დადგენილების მოთხოვნა საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

სწორედ ხელახალი რეგისტრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტმა რამდენჯერმე გააგრძელა და მკაცრად განსაზღვრა ის ვადა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია.

საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის ვადის ამოწურვა ნიშნავს ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების შეუძლებლობას და 5.8 მუხლით გათვალისწინებული შედეგის, რეგისტრაციის გაუქმების დადგომას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/859-02 (06 სექტემბერი, 2002 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
პრივილეგირებული აქცია.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისთვის აქციებში გადახდილი საფასურისა და დივიდენდის გადახდის დაკისრებას, რაც არ დაკმაყოფილდა, რადგან აქციებში გადახდილი საფასური არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ხოლო დივიდენდის დაკისრებისთვის მოსარჩელეს მოგების არსებობა უნდა ემტკიცებინა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სააქციო საზოგადოებაში თანხის შეტანით და აქციის შეძენით თანხის შემტანი კარგავს უშუალო უფლებას ქონებაზე, რომელიც მან შეიტანა სააქციო საზოგადოებაში შესვლის დროს. აქციონერს არა აქვს უფლება მოითხოვოს აქციის საფასურის უკან დაბრუნება. მას ფულადი სახსრების დაბრუნება შეუძლია მხოლოდ აქციის გასხვისების გზით.

განმარტებული საკითხები:
- სააქციო საზოგადოება (სს).
- საწარმოს ქონება.
- შენატანი კაპიტალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 51. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
სააქციო საზოგადოებაში თანხის შეტანით და აქციის შეძენით თანხის შემტანი კარგავს უშუალო უფლებას ქონებაზე, რომელიც მან შეიტანა სააქციო საზოგადოებაში შესვლის დროს. აღნიშნულის შემდეგ აქციონერი ხდება აქციონერის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით აღჭურვილი, მათ შორისაა დივიდენდების მიღების ქონებრივი უფლება და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ქონების ნაწილის მიღების უფლება.

აქციონერს არა აქვს უფლება მოითხოვოს აქციის საფასურის უკან დაბრუნება. აქციონერი არის მხოლოდ ფასიანი ქაღალდის მფლობელი ის ქონების უშუალო განმკარგველს არ წარმოადგენს.

მას ფულადი სახსრების დაბრუნება შეუძლია მხოლოდ აქციის გასხვისების გზით. აქციონერი არის სამეწარმეო რისკის მატარებელი, ვინაიდან აქციების მიხედვით მიღებული დივიდენდის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე, ვიდრე კაპიტალის განთავსების ალტერნატიული ფორმებიდან მიღებული მოგება ან შეიძლება მოგება საერთოდ ვერ იქნეს მიღებული.

პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ „მეწარმეთა შსახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საწესდებო კაპიტალში შეტანილი თანხის დაბრუნებას მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. (მუხლი 3.3) საწესდებო კაპიტალის შემცირება შეიძლება მოხდეს საზოგადოების გადაწყვეტილებით წესდებაში ცვლილების გზით საზოგადოების ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. საწესდებო კაპიტალის შემცირება წარმოადგენს მიზანშეწონილობის საკითხს და ის არ შეიძლება აქციონერის მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოდ ჩაითვალოს.

იურიდიულად დაუსაბუთებელია მისი მოთხოვნა აქციების საფასურის დაბრუნების შესახებ.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დივიდენდის მოთხოვნის სარჩელში მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ სააქციო საზოგადოების საქმიანობას ჰქონდა მომგებიანი ხასიათი.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
დივიდენდის მიღების უფლება, ისევე, როგორც ნებისმიერი უფლება შეიძლება რეალიზებული იქნეს სასამართლოს მეშვეობით. დივიდენდის მიღებისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ სააქციო საზოგადოების საქმიანობას ჰქონდა მომგებიანი ხასიათი. სსკ-ს 102-ე მუხლის თანახმად აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს.

მოსარჩელემ ვერ მიუთითა მტკიცებულებებზე, რომ საწარმოს ჰქონდა მოგება და შესაბამისად მას უნდა მიეღო დივიდენდი.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პრივილეგირებული აქციების მიხედვით დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა ხდება წინდაწინ აქციის გაცემის დროს. ეს არის ფიქსირებული დივიდენდი. მოგების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებას უფლება არა აქვს, უარი უთხრას პრივილეგირებული აქციის მფლობელს დივიდენდის მიღებაზე.

განმარტებული საკითხები:
- პრივილეგირებული აქცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 52. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
პრივილეგირებული აქციების მიხედვით დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა ხდება წინდაწინ აქციის გაცემის დროს. ეს არის ფიქსირებული დივიდენდი. მოგების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებას უფლება არა აქვს უარი უთხრას პრივილეგირებული აქციის მფლობელს დივიდენდის მიღებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/1154-02 (08 ნოემბერი, 2002 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
საკორპორაციო ჩიხი.

განჩინების რეზიუმე:
პარტნიორთა კრებისა და დირექტორთა საბჭოს ხმათა თანაბრად გაყოფის გამო საზოგადოებამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, ქონების დაბრუნების მოთხოვნით დავაში საზოგადოების სათანადო მხარედ ჩაბმაზე. რაიონულმა სასამართლომ წარმომადგენლობა მიანიჭა საწარმოს 6-დან 3 დირექტორს, რაც ძალაში დარჩა აპელაციასა და კასაციაში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – როდესაც პარტნიორთა კრება და დირექტორთა საბჭო, ხმათა თანაბრად გაყოფის გამო, ვერ იღებს გადაწყვეტილებას ქონების დაბრუნების მოთხოვნით საზოგადოების სასამართლო განხილვაში სათანადო მხარედ ჩაბმის შესახებ, სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს, ქონების დაბრუნების მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით ვის (რომელ დირექტორ(ებ)ს) მიენიჭოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

განმარტებული საკითხები:
- საკორპორაციო ჩიხი.
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- დირექტორატი (ბორდი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემული დავის საგანს წარმოადგენს შპს „მ-ს“ სამი დირექტორისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

დადგენილია, რომ შპს „მ-ს“ პარტნიორთა კრებამ და დირექტორთა საბჭომ ხმათა თანაბრად გაყოფის გამო ვერ მიიღო გადაწყვეტილება ქონების დაბრუნების მოთხოვნით საზოგადოების სასამართლო განხილვაში სათანადო მხარედ ჩაბმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი იყო, ემსჯელა მხოლოდ ამ საკითხზე, კერძოდ იმაზე, თუ ქონების დაბრუნების მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით ვინ შეიძლებოდა გამოსულიყო საქმეში მხარედ.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ შპს „მ-ს“ ჰყავს ექვსი დირექტორი. სამი დირექტორი დანიშნულია სს „მა-ს“ მიერ, ხოლო სამი დირექტორი – კომპანია „ვ-ს“ მიერ. სს „მა.“ და მისი მხრიდან დანიშნული დირექტორები არ იღებენ გადაწყვეტილებას შპს „მ-ოს“ ინტერესების დასაცავად საქმეში სათანადო მოსარჩელედ საზოგადოების ჩაბმაზე და თავის ინტერესებს საზოგადოების ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – თუ დირექტორი რამდენიმეა, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების ვალდებულებათა დარღვევისათვის მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა. ისინი ვალდებულნი არიან, დაამტკიცონ თავიანთი

კეთილსინდისიერება, თუ მათი საქმიანობისას საზოგადოებას ადგება ზიანი. დირექტორი არ უნდა იყოს პარტნიორის გადაწყვეტილებათა ბრმა შემსრულებელი, პირიქით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს ის გარემოებაც, რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად მოქმედებდა.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- სოლიდარული ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად დირექტორები ვალდებულნი არიან, მათზე დაკისრებული ამოცანები კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით შეასრულონ. დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის დირექტორები პასუხს აგებენ საზოგადოების წინაშე პირადად, მთელი თავიანთი ქონებით. თუ დირექტორი რამდენიმეა, მათ ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა. ისინი ვალდებულნი არიან დაამტკიცონ თავიანთი კეთილსინდისიერება, თუ მათი საქმიანობისას საზოგადოება ზიანს განიცდის.

9.7 მუხლის მეორე აბზაცის ბოლო წინადადების თანახმად საზოგადოების ხელმძღვანელი დამოუკიდებელი პირია. დირექტორი არ უნდა იყოს პარტნიორის გადაწყვეტილებათა ბრმა შემსრულებელი, პირიქით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს ის გარემოებაც, რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად მოქმედებდა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორებს, გადაწყვეტილების მიღებისას, უფლება არა აქვთ, ემსახურონ საკუთარ, ახლობელთა ან სხვა საწარმოთა ინტერესებს, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება იმ საქმიანი შესაძლებლობების გამოყენებისას, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოების ინტერესებს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ინტერესთა კონფლიქტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორებს საწარმოს ხელმძღვანელობის განხორციელებისას არა აქვთ უფლება, ჰქონდეთ საკუთარი ინტერესები, რომლებიც საწარმოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. დირექტორებს გადაწყვეტილების მიღებისას უფლება არა აქვთ, ემსახურონ საკუთარ, ახლობელთა ან სხვა საწარმოთა ინტერესებს, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება იმ საქმიანი შესაძლებლობების გამოყენებისას, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოების ინტერესებს და ხმის მიცემისას უნდა გამოდიოდნენ საზოგადოების ინტერესებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/1492-02 (19 მარტი, 2003 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, ლალი გოჩელაშვილი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განჩინების რეზიუმე:
სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან, მართალია, დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეზღუდული იყო სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობით, გაცემული ნებართვა ბათილად იქნა ცნობილი მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიდო შესაბამისი გარიგება.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-495-471-2013

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორი უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- საწარმოს დირექტორი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორი არის „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო, ე. ი. დადოს საწარმოს სახელით ხელშეკრულება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ საწარმოს დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეზღუდულია სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი თანხმობით და გარიგების დადების შემდეგ გაცემული ნებართვა ბათილად იქნება ცნობილი, აღნიშნული არ გამოიწვევს კონტრაჰენტის არაკეთილსინდისიერებას და მასსა და იურიდიულ პირს შორის დადებული გარიგების ბათილობას.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- კეთილსინდისიერი კონტრაჰენტი.
- კეთილსინდისიერი შემძენი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 185.

სრული განმარტების ციტირება:
კონტრაჰენტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს, მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა. ეს საკითხი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს უნდა გაითვალისწინოს ნოტარიუსმაც.

მოცემულ შემთხვევაში საზოგადოების წესდების შესაბამისად სს „კ-ის" დირექტორი შეზღუდული იყო დაედო უძრავი ქონების შეძენა-გასხვისების ხელშეკრულება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე, მაგრამ როცა 1998წ. 6 ოქტომბერს დაიდო ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, ამ დროისათვის ხელშეკრულების დამდებ დირექტორს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 1998წ. 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიცემული ჰქონდა უფლება ამ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში სს „კ-ის" დირექტორს გააჩნდა უფლებამოსილება მოცემული ხელშეკრულების დადებისა, კონტრაჰენტმა იცოდა იმის შესახებ, რომ საზოგადოების დირექტორს გააჩნდა ამ ხელშეკრულების დადების უფლება. მოსარჩელემ კი ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ ამ ხელშეკრულების დადების დროს ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაჰენტი განზრახ მოქმედებდნენ ერთად, რათა ზიანი მიდგომოდა სს „კ-ს".

შემძენის კეთილსინდისიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს ის გარემოება, რომ შემძენმა მასზე ნივთის გადაცემის შემდეგ შეიტყო, რომ ნივთის გამსხვისებელზე მიცემული უფლება ამ ნივთის გასხვისების შესახებ ნივთის გასხვისების შემდეგ ბათილად იყო ცნობილი.

მოცემულ შემთხვევაში სს „კ-ის" სამეთვალყურეო საბჭოს 1998წ. 5 ოქტომბრის კრების ოქმის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ვერ გახდება ნივთის გადაცემის 1998წ. 6 ოქტომბრის ხელშეკრულების ბათილად და ამ ნივთის შემძენის არაკეთილსინდისიერ შემძენად ცნობის საფუძველი, ვინაიდან კეთილსინდისიერების ფაქტი არსებობდა ამ ნივთის გადაცემამდე, ნივთის გადაცემის დროს და მის შემდეგაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/1244-02 (21 მარტი, 2003 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ლალი გოჩელაშვილი, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
სასამართლომ არ დააკისრა დირექტორს ზიანის ანაზღაურება, რადგან არ დაადგინა დირექტორის მიერ ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობის დარღვევა. სასამართლომ პროცედურული ნორმების დარღვევის გამო არანამდვილად მიიჩნია პარტნიორის გარიცხვის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილება.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების მიერ დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას საფუძვლად შეიძლება დაედოს ის გარემოება, რომ მან ჩაიდინა დანაშაული ან სათანადო ზრუნვა არ გამოიჩინა და აღნიშნულით ზიანი მიაყენა საზოგადოებას. სათანადო ზრუნვის მოვალეობის დარღვევა დაუსაბუთებელია, თუ დირექტორის მიერ განხორციელებული მოქმედებები შეთანხმებული იყო ყველა პარტნიორთან და ისინი ამის წინააღმდეგნი არ ყოფილან.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- დირექტორის მოვალეობები.
- შერეული ბრალი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 415.

სრული განმარტების ციტირება:
სკ-ს 415-ე მუხლის თანახმად თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარის ბრალით არის უფრო მეტად გამოწვეული ზიანი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 მუხლის თანახმად საწარმოს დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე ან ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

თუ რა უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირის მოქმედებად, კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია.

როგორც თ. გ-ე თავის შესაგებელში უთითებდა, შეგებებულ სარჩელში მითითებული თანხა მოხმარებულია საზოგადოების მიზნებისათვის, რაზედაც ინფორმირებული იყო საზოგადოების ყველა პარტნიორი. სესხისა და ასეთი განზრახვის შესახებ ინფორმირებული იყვნენ საზოგადოების პარტნიორები, რაში დარწმუნებაც შესაძლებელია თ. გ-ის სარჩელზე მოპასუხეთა შესაგებლიდან, რომლითაც დადასტურებულია ზემოაღნიშნული ფაქტების ნამდვილობა. ამის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ საზოგადოების პარტნიორები და საზოგა-

დოების მომავალი პარტნიორიც – სს „ქ-ი“. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თანხის კრედიტორებისათვის გადაცემა მოხდა სს „ქ-ის“ კუთვნილი ბრონირებული მანქანის მეშვეობით.

როდესაც მოსარჩელე საზოგადოება დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე დირექტორმა ჩაიდინა დანაშაული და ზიანი მიაყენა საზოგადოებას, მტკიცებულება, რომლითაც უნდა დადასტურდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა, არის სისხლის სამართლის საპროცესო წესით მიღებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამგვარი ფაქტის ნამდვილობას.

სხვა შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ დირექტორის გადაწყვეტილება ხელსაყრელი არ იყო საზოგადოებისათვის და მან სათანადო ზრუნვა არ გამოიჩინა საზოგადოების ქონებაზე.

ამ კუთხით დაუსაბუთებელია შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა, მით უმეტეს, რომ თავად მის მიერ არის აღიარებული, რომ თ. გ-ის განხორციელებული მოქმედებები შეთანხმებული იყო ყველა პარტნიორთან და ისინი ამის წინააღმდეგნი არ ყოფილან.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ თავისთავად არ იწვევს მის გარიცხვას საზოგადოებიდან. ეს არის საფუძველი იმისა, რომ საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო საერთო-სასარჩელო წესით (და არა უდავო წარმოების წესით), მაშინაც კი, როცა საზოგადოების წესდება პირდაპირ ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვის უფლებას.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- პარტნიორის გარიცხვა.
- უდავო წარმოების წესით საქმის განხილვა.
- სასარჩელო წარმოება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ თავისთავად არ იწვევს მის გარიცხვას საზოგადოებიდან. ეს არის საფუძველი, რათა საზოგადოებამ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ იღებს სასამართლო. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა საზოგადოების წესდება პირდაპირ ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვის უფლებას. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის გამო წარმოებულ დავაში მოსარჩელე არის საზოგადოება, ხოლო მოპასუხე – გასარიცხი პარტნიორი.

საწარმოში წილის საკუთრების უფლება ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც სხვა ნივთებზე საკუთრების უფლება. საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები წყდება სასამართლოს მეშვეობით საერთო-სასარჩელო წესით.

სსკ-ს 310-ე მუხლის თანახმად სასამართლო საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ საქმეებს განიხილავს უდავო წარმოების წესით. უდავო წარმოების წესით ხდება იმ ფაქტების რეგისტრაცია, რომელიც დავას არ იწვევს. პარტნიორის გარიცხვა საწარმოდან წარმოადგენს დავის ობიექტს, სადავო საკითხს, რომელიც წი-

ლის მესაკუთრის უფლებების განხორციელებასთან არის დაკავშირებული, ამიტომ პარტნიორის საწარმოდან გარიცხვა ვერ იქნება განხილული და რეგისტრირებული როგორც უდავო ფაქტი.

აღნიშნულის გამო, პირმა, რომელსაც სურს, რომ პარტნიორის გარიცხვა დაფიქსირდეს, აისახოს სამეწარმეო რეესტრში, სასამართლოს უნდა მიმართოს არა უდავო წარმოების წესით, არამედ – სასამართლოში საქმეთა განხილვის საერთო სასარჩელო წესით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, შპს „თ-ის“ 2000წ. 2 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე გარიცხულად ჩაეთვალა თ. გ-ე და 2000წ. 11 სექტემბრის დადგენილებით ცვლილებები შეეტანა სამეწარმეო რეესტრში თ. გ-ის საზოგადოებიდან გარიცხვისა და მისი წილების სხვა პარტნიორებზე განაწილების შესახებ, რამდენადაც ამ უკანასკნელთ აღნიშნულ წილებზე საკუთრების უფლება არ წარმოშობიათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/386-03 (14 მაისი, 2003 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, ლალი გოჩელაშვილი

საკვანძო საკითხი:
საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის წინაპირობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელეებმა (აქციონერები) მხარი არ დაუჭირეს სს-ს საერთო კრების იმ გადაწყვეტილებას, რომელიც, შესაძლოა, არსებითად ლახავდა მათ უფლებებს. საერთო კრებაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეები მოითხოვდნენ საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან არ დამდგარა მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობა – არ მიღებულა გადაწყვეტილება, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერთა (მოსარჩელეთა) უფლებებს. საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოებისგან აქციების გამოსყიდვის უფლების წარმოშობისთვის საზოგადოებას არა განხილული, არამედ მიღებული უნდა ჰქონდეს იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს. თუ ეს პირობა არ დადგა, აქციონერს არ აქვს საზოგადოებისგან აქციათა გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება.

განმარტებული საკითხები:
• საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ მუხლი: 53[1]. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
ჩატარდა სს აქციონერთა საერთო კრება, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო სს აქციონერთა წინა კრების (1999წ. 14 აპრილის) გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც სს საწესდებო კაპიტალში „ს-ის“ აქციათა წილი გაიზრდა და დანარჩენ აქციონერთა წილი კი შემცირდა. დღის წესრიგში იყო ასევე საზოგადოების წესდებიდან ისეთი ნორმების ამოღება, რომელიც ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ კანონის“ მოთხოვნებს და უხეშად არღვევს წვრილ აქციონერთა უფლებებს.

2001წ. 16 ნოემბრის საერთო აქციონერთა კრების გადაწყვეტილებამ აღნიშნული საკითხები არ დააკმაყოფილა.

მოსარჩელეებმა მხარი არ დაუჭირეს საერთო კრების გადაწყვეტილებას, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთ შემთხვევაში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[1]-ე მუხლის საფუძველზე, მათ უფლება აქვთ, საზოგადოებას მოსთხოვონ თავიანთი აქციების შეფასება და გამოსყიდვა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით აქციონერებს უფლება აქვთ, ამ მუხლით დადგენილი წესით საზოგადოებას მოთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერების უფლებას ან 54.6 მუხლის „გ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას. ამ ნორმის საფუძველზე კანონი დეტალურად აწესრიგებს აქციის გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს. საზოგადოებამ, რომელიც აპირებს საზოგადოების რეორგანიზაციის, მსხვილი გარიგების დადებას ან აქციონერის უფლების არსებითად შემლახველი გადაწყვეტილების მიღებას, საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში

დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების წესი. საერთო კრების მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს, წერილობით მოთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა (53[1] მუხლის მე-3 პუნქტი). გამოსასყიდი აქციების ოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო. აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში (53.6 მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეებმა სარჩელის საფუძვლად მიუთითა 2002წ. 16 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კრების გადაწყვეტილებით წესდებაში ისეთი ცვლილები არ შესულა, რომელიც არსებითად შელახავდა აქციონერის უფლებებს. ამასთან, კრებას არ მიუღია ისეთი გადაწყვეტილება, რაზეც მითითებულია 53[1]-ე მუხლის პირველ ნაწილში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[1]-ე მუხლი და მოსარჩელეებს კანონიერად უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

პალატა მიუთითებს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[1]-ე მუხლის პირველი წინადადება ადგენს საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის წინაპირობას (თუ აქციონერმა საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან 54.6 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას). აქციონერს არ წარმოეშობა ამ ნორმით მინიჭებული უფლება – მოთხოვოს საზგადოებას აქციათა გამოსყიდვა – თუ ეს პირობა არ დადგა. მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამ გარემოებასთან გვაქვს საქმე – აქციონერი ითხოვს საზოგადოების მიერ აქციის გამოსყიდვას სამართლებრივი წანამძღვრის (53[1] მუხლის) არსებობის გარეშე. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა იურიდიულად უსაფუძვლოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/654-03 (27 მაისი, 2003 წელი)
მოსამართლეები: მაია ახალაძე (თავმჯდომარე), მაია სულხანიშვილი, ნუნუ კვანტალიანი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) სააქციო საზოგადოებაში.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე, როგორც სააქციო საზოგადოების ყოფილი დირექტორი, ითხოვდა სამსახურში აღდგენას, რაც არ დაკმაყოფილდა, რადგან, სასამართლოს დასკვნით, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია დირექტორის გათავისუფლება, მაშინაც კი, თუ აღნიშნული საკითხი არ შედის შესაბამის სხდომაზე განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა დირექტორთა არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა, რასაც ისინი უნდა ასრულებდნენ კეთილსინდისიერად. დირექტორების გათავისუფლებისას არ გამოიყენება შრომის კოდექსის ნორმები. დირექტორთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მათი დანიშვნაც და გამოწვევაც უნდა მოხდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დანაწესებიდან გამომდინარე. დირექტორის გათავისუფლება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მათ შორის, იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგი დირექტორის გათავისუფლების საკითხის განხილვას.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].ა.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56.

სრული განმარტების ციტირება:
კანონის 9.1 მუხლის შესაბამისად სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, ხოლო ამავე კანონის 56.1 მუხლის შესაბამისად კი საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა დირექტორთა არა მხოლოდ უფლება, არამედ მათი მოვალეობაცაა, რასაც ისინი უნდა ახორციელებდნენ კეთილსინდისიერად. დირექტორის მიერ თავისი მოვალეობის კანონშესაბამის და კეთილსინდისიერ შესრულებასთანაა დაკავშირებული საწარმოს განვითარება, ვინაიდან საზოგადოების მთელ ქონებას სწორედ ისინი განაგებენ. მათი ასეთი ნდობით აღჭურვა მხოლოდ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა, რომელსაც ამ რისკის საკომპენსაციოდ უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ანგარიში დირექტორს და მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, სამუშაოდან გაათავისუფლოს. დირექტორებს მინდობილი აქვთ რა მთელი საზოგადოების ქონების მართვის და განკარგვის უფლება, მათი გათავისუფლებისას შკკ-ს ნორმები არ უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ამ თანამდებობის პირების გათავისუფლების საკითხში დაყოვნებამ, მათი უფლებამოსილების ფარგლებიდან გამომდინარე, საზოგადოებას შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში შრომის სამართლის ისეთი ნორმების გამოყენება, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს განსაზღვრავენ, მიზანშეუწონელია. მიუხედავად იმისა, რომ დირექტორები ასრულებენ დაკისრებულ სამუშაოს, მათი გათანაბრება მუშა-მოსამსახურეებთან, დირექტორების სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული. ამდენად,

დირექტორთა სამეწარმეო უნარჩვევების გათვალისწინებით, მათი დანიშვნაც და გამოწვევაც უნდა მოხდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დანაწესებიდან გამომდინარე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საფუძველსაა მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგში არ იყო შეტანილი არც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანალიზის მოსმენა და არც დირექტორის გათავისუფლების საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55.8 მუხლი) და ვითარების შესაბამისად ისარგებლოს მის კომპეტენციაში შემავალი დირექტორის გამოწვევის უფლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №3კ/532-03 (11 ივნისი, 2003 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, ლალი გოჩელაშვილი

საკვანძო საკითხი:
მემკვიდრის აღიარება პარტნიორად.

განჩინების რეზიუმე:
სასამართლომ გარდაცვლილი მეწილის მეუღლე აღიარა საწარმოს პარტნიორად და, როგორც მემკვიდრეს, მიაკუთვნა 10% წილი. სასამართლომ დაადგინა, რომ დაუშვებელია მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყდეს დანარჩენი პარტნიორების შეხედულებისამებრ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეზე ან მათი სიმრავლისას – მემკვიდრეებზე, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, გადადის წილი საზოგადოებაში, ხოლო შპს-ში – წევრობა ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორიც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას. წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის მემკვიდრეობითობა. მაგალითად, დაუშვებელია წესდებაში მიეთითოს, რომ პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებაში მისი კუთვნილი წილის და მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყდეს დანარჩენი პარტნიორების შეხედულებისამებრ. წესდებით გათვალისწინებული შეზღუდვა უნდა გამომდინარეობდეს მამკვიდრებლის ნებიდან და შეესაბამებოდეს კანონს. მაგალითად, წესდებაში დაუშვებელია მითითება, რომ გარდაცვლილი პარტნიორის წილი მიიღოს მხოლოდ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ და მხოლოდ იგი გახდეს საზოგადოების წევრი.

განმარტებული საკითხები:
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- საწარმოს პარტნიორის მოვალეობები.
- წილის მემკვიდრეობით გადაცემა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1306.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, მართლაც დაუდო საფუძვლად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.1 მუხლი და სწორად მიუთითა, რომ პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეზე გადადის შპს-ში წევრობა ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორიც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ მემკვიდრეზე წილის გადასვლის საკითხს არეგულირებს მემკვიდრეობითი სამართალი.

მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი გადადის მემკვიდრეზე.

პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი საზოგადოებაში ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და მისი სრული უფლებებითა და მოვალეობებით, მათ შორის გაჭიანურებული შესატანის შეტანის ვალდებულება, გადადის მემკვიდრეზე ან მათი სიმრავლისას – მემკვიდრეებზე, იქნებიან ისინი კანონისმიერი თუ ანდერძისმიერი მემკ-

ვიდრეები. წილის მემკვიდრეობა არ შეიძლება გამოირიცხოს საზოგადოების წესდებით და არც შეიცვალოს, როგორც ე. წ. „მემკვიდრეობის განსაკუთრებული რიგითობით“ სამკვიდროს გვერდის ავლის, ისე პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში საზოგადოების მიერ მისი წილის ავტომატური ამოღების გზით.

მემკვიდრე ან მემკვიდრეთა ჯგუფი მამკვიდრებლის გარდაცვალებისას უშუალოდ ხდება პარტნიორი.

მემკვიდრეთა სიმრავლისას მოქმედებს უფლებათა ერთობლივი განხორციელების პრინციპი, თუ საზოგადოების წესდებაში ამის თაობაზე არაფერია მითითებული.

მემკვიდრეთა სიმრავლისას გახდება თუ არა ყველა მემკვიდრე საზოგადოების პარტნიორი, შეიძლება განისაზღვროს წესდებით. წესდებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეების პარტნიორად მიღების პირობები. წინასწარვე ნათლად და ცალსახად უნდა იყოს ჩამოყალიბებული გარდაცვლილი პარტნიორის ნება მისი მემკვიდრეების პარტნიორად მიღების თაობაზე. წესდება მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ მამკვიდრებლის ნებას მემკვიდრეების პარტნიორობის თაობაზე. წესდებაში შეიძლება იყოს ისეთი განსაზღვრებები, რომ მხოლოდ გარკვეული მემკვიდრეები (განსაკუთრებული კვალიფიკაციის), ან მხოლოდ ერთი მემკვიდრე შეიძლება გახდეს პარტნიორი. მემკვიდრეთა სიმრავლის შემთხვევაში შესაძლებელია წესდებამ დააწესოს ისიც, რომ მემკვიდრეებმა ერთ-ერთ მემკვიდრეს გადასცენ მინდობილობა, რათა მან აღასრულოს პარტნიორის უფლებები (ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი მემკვიდრე წილზე შეიძენს ვალდებულებით სამართლებრივ უფლებას, ანუ წილისაგან მიიღებს მხოლოდ სარგებელს, ზოგი კი – სანივთო სამართლებრივს, გახდება მისი მესაკუთრე, ექნება მისი მართვის და განკარგვის უფლება).

დაუშვებელია წესდებაში წილის და პარტნიორობის საკითხთან დაკავშირებით ისეთი განსაზღვრებების არსებობა, რომელიც არ გამომდინარეობს მამკვიდრებლის ნებიდან ან ეწინააღმდეგება კანონს.

მაგალითად, დაუშვებელია, წესდებაში მიეთითოს, რომ პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებაში მისი დანაშთი წილის და მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყდეს დანარჩენი პარტნიორების შეხედულებისამებრ, საზოგადოებაში წილის და პარტნიორობის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხი პარტნიორს თავის სიცოცხლეშივე უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული და ეს საკითხი არ უნდა იყოს სხვა პირთა, თუნდაც დანარჩენ პარტნიორთა გადასაწყვეტი, მხედველობაშია ის გარემოება, როცა საზოგადოების წესდება პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილის და საზოგადოების წევრობის თაობაზე დათქმას შეიცავს).

საზოგადოების წესდება პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში წილის და პარტნიორად მიღების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება განსაზღვრულ პირობებს აყალიბებდეს ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაშიც. შეიძლება ზღუდავდეს მისთვის წილის, თუ საზოგადოებაში პარტნიორად მიღების საკითხს, მაგრამ ეს შეზღუდვა როგორც ზემოთ აღინიშნა უნდა გამომდინარეობდეს მამკვიდრებლის ნებიდან. არ უნდა წყდებოდეს მისი ნების გარეშე და უნდა შეესაბამებოდეს კანონს.

მაგალითად წესდებაში დაუშვებელია მითითება, რომ გარდაცვლილი პარტნიორის წილი მიიღოს მხოლოდ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ და მხოლოდ იგი გახდეს საზოგადოების წევრი, ვინაიდან კანონის შესაბამისად ანდერძისმიერი მემკვიდრეობის არსებობის შემთხვევაში სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ კანონისმიერ მემკვიდრეებსაც (თუ იგი სათანადოდ დადგენილი წესით უღირს მემკვიდრედ არ არის ცნობილი) და მათაც გააჩნიათ პრეტენზია საზოგადოებაში პარტნიორობის თაობაზე.

ასევე დაუშვებელია იმის მითითებაც, რომ ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაშიც კი მამკვიდრებლის გარდაცვალებისას მასზე წილის მემკვიდრეობით გადაცემის და საზოგადოებაში პარტნიორად მიღების საკითხი გადაწყვიტოს საამისოდ არაუფლებამოსილმა პირებმა, სხვა მესამე პირებმა ან საზოგადოების დანარჩენმა პარტნიორებმა.

ერთი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად თუ ეს მემკვიდრე მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანია, ანდა ალკოჰოლიკი ან არ არის ჯანმრთელი (ქმედუუნარობა და შეზღუდული ქმედუნარიანობა) საზოგადოების წესდება ასეთი მემკვიდრის მიმართ შეიძლება ითვალისწინებდეს წილთან დაკავშირებით ვალდებულებით სამართლებრივი უფლების და არა სანივთო სამართლებრივი უფლების გადაცემას. ასეთ შემთხვევაში წესდებამ შეიძლება პირდაპირ განსაზღვროს, თუ ვინ შეიძლება და რა დრომდე გახდეს წილის მესაკუთრე, ვინ უნდა მართოს და რა დრომდე წილი (წარმომადგენლობა, მეურვეობა).

როგორც ზემოთ აღინიშნა პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი შედის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეზე, თუ წესდება კანონით გათვალისწინებულ რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის წილი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მიიღო რა მხოლოდ მოსარჩელემ იმავდროულად იგი გახდა საზოგადოების პარტნიორი, ვინაიდან საზოგადოებაში წილის შეძენა იმავდროულად ნიშნავს საზოგადოების პარტნიორად გახდომას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე გახდა რა საზოგადოებაში გარდაცვლილი მეუღლის წილის კანონისმიერი მესაკუთრე, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეზე იგივე მოცულობით სწორად ჩათვალა გადასულად შპს-ში პარტნიორობა.

არასწორია კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლომ თითქოს არ გამოიკვლია შპს-ს წესდების 9.2 მუხლი. მართალია, წესდების მითითებული მუხლის შესაბამისად ქონებრივი და სამართლებრივი მემკვიდრეობა სხვა პარტნიორების თანხმობის შემდეგ გადადის მის სამართლებრივ მემკვიდრეზე, მაგრამ კანონის შესაბამისად წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის მემკვიდრეობითობა. როგორც ზემოთ აღინიშნა მას შეუძლია მხოლოდ მოაწესრიგოს მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეების პარტნიორად მიღების საკითხის მოწესრიგება ფართო ცნებაა. მასში შეიძლება მოიაზრებოდეს შპს-ში მამკვიდრებლის ფუნქციის შესრულების უფლება მანამ, სანამ მემკვიდრეობა მასზე ოფიციალურად გაფორმდება და ა. შ. მაგრამ არა ის, რომ წილის მესაკუთრე არ იქნეს პარტნიორად მიღებული პარტნიორთა თანხმობის გარეშე. შპს „ც-ას“ წესდების 9.2 მუხლის მოთხოვნები (თუ ქონებრივ მემკვიდრეობაში წილი იგულისხმება, ხოლო სამართლებრივ მემკვიდრეობაში – პარტნიორობა) ეწინააღმდეგება, როგორც სამოქალაქო კოდექსის, ისე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს, ვინაიდან წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის, შპს-ში წევრობის მემკვიდრეობითობა, ვინაიდან პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეზე გადადის შპს-ში წევრობა ისეთივე მოცულობით და ოდენობით, როგორიც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-68-767-03 (23 ივნისი, 2003 წელი)
მოსამართლეები: მაია ახალაძე (თავმჯდომარე), მაია სულხანიშვილი, ნუნუ კვანტალიანი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ვერ დგინდებოდა, რამდენად არსებობდა მნიშვნელოვანი საფუძველი, რის გამოც სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული იყო გაეთავისუფლებინა დირექტორი თანამდებობიდან.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-240-228-2016, №2ბ/3810-17, №ას-23-23-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დავა საწარმოს დირექტორის გამოწვევასთან/გათავისუფლებასთან დაკავშირებით, უნდა გადაწყდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის და არა შრომის კოდექსის საფუძველზე. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია (და არა მხოლოდ უფლებამოსილია) მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ უნდა გაარკვიოს, არსებობდა თუ არა მნიშვნელოვანი საფუძველი, რის გამოც სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული იყო გაეთავისუფლებინა დირექტორი თანამდებობიდან.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- სამეთვალყურეო საბჭო.
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორების (გამოწვევის) გათავისუფლების ექსკლუზიური უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოს. დავა საწარმოს დირექტორის გამოწვევასთან, გათავისუფლებასთან დაკავშირებით დირექტორის სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და არა შკკ-ს საფუძველზე. საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლებით აღჭურვა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა, რომელსაც ამ რისკის საკომპენსაციოდ უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ანგარიში დირექტორს და მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას იგი გაათავისუფლოს სამუშაოდან.

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია ფაქტობრივი გარემოებები, რაც გახდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორის თანამდებობიდან დათხოვნის საფუძველი. პალატა განმარტავს, რომ დირექტორის გამოწვევის საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, დირექტორის გასათავისუფლებად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია (და არა მხოლოდ უფლებამოსილია) მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის გათავისუფლების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვე-

ტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ს 394-ე მუხლის „ე” პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაარკვიოს არსებობდა თუ არა მნიშვნელოვანი საფუძველი, რის გამოც სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული იყო გაეთავისუფლებინა დირექტორი თანამდებობიდან და ისე მიიღოს სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-123-433-04 (11 მაისი, 2004 წელი)
მოსამართლეები: მაია ახალაძე (თავმჯდომარე), მაია სულხანიშვილი, ნუნუ კვანტალიანი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა პარტნიორად აღდგენას. საწარმოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მოსარჩელის გარიცხვის შესახებ მიღებული იყო ორი საფუძვლით: შესატანის ვადის გადაცილება და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საწარმოს გადაწყვეტილება პირველი საფუძვლის არარსებობის გამო. საკასაციო სასამართლომ ხელახლა განსახილველად დააბრუნა საქმე და აპელაციას მიუთითა გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების ორივე საფუძველზე მსჯელობის აუცილებლობაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ერთი საფუძვლის უკანონობის გამო გააუქმოს პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ორ საფუძველს ემყარება. იმ შემთხვევაში, როდესაც გარიცხვის კანონიერება სადავოდ არის გამხდარი მხარეთა შორის, აღარ არის სავალდებულო საზოგადოების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
სენაკის რაიონული სასამართლოს 2003წ. 30 ივლისის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003წ. 4 ნოემბრის განჩინებით, გაუქმდა შპს „ლ. ჯ.“ (ამჟამად შპს „ქ.“) 2002წ. 15 ნოემბრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პ. ხ-ისის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე. როგორც სასამართლოს განჩინებაშია მითითებული, პ. ხ. საზოგადოებიდან გაირიცხა ორი საფუძვლით: შესატანის მეორე ნახევრის შეტანის ვადის გადაცილებისა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების გამო.

სასამართლო უფლებამოსილი არ იყო მთლიანად გაეუქმებინა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, რადგან იგი მიღებულ იქნა ზემოთ მითითებული ორი საფუძვლის არსებობის გამო. სასამართლომ, მართალია, მიიჩნია, რომ შესატანის შეუტანლობის მიზეზით ხ.-ს გარიცხვის გამო საზოგადოებას დარღვეული ჰქონდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.5 მუხლის მოთხოვნები, მაგრამ არ იმსჯელა მეორე საფუძვლის თაობაზე, რომელიც ასევე სადავოდ იყო გამხდარი პ. ხ.-ს სასარჩელო მოთხოვნაში (აღნიშნულის თაობაზე მითითებულია დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში). იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საკითხი სადავოდ იყო გამხდარი მხარეთა შორის, აღარ იყო სავალდებულო საზოგადოების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა და სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-339-633-04 (14 მაისი, 2004 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), თენგიზ კობახიძე, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმოს დირექტორი) ითხოვდა მისი გათავისუფლების შესახებ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა დირექტორის გათავისუფლების მნიშვნელოვანი საფუძველი (კონფლიქტი კოლექტივში, ექიმთა დატვირთვის ნორმატივების დარღვევა, საათების არასწორი განაწილება). სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სამეთვალყურეო საბჭო არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის გათავისუფლების შესახებ. კონფლიქტური ურთიერთობა კოლექტივის წევრებთან, ექიმთა დატვირთვის ნორმატივების დარღვევა, საათების არასწორი განაწილება მიჩნეულ უნდა იქნეს დირექტორის გათავისუფლების მნიშვნელოვან საფუძვლად.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].ა.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტები 7.ა.,7.ვ.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ სს „ბ.-ის“ დირექტორს არაჯანსაღი ურთიერთობა ჰქონდა თავის კოლეგებთან ექიმთა დატვირთვის ნორმატივების დარღვევისა და საოპერაციო საათების არასწორი განაწილების გამო. საზოგადოებაში კონფლიქტური სიტუაციის გამო 2002წ. 4 ნოემბერს შედგა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, სადაც ი. ს.-ის მუშაობა ადმინისტრაციულ დარგში შეფასდა არადამაკმაყოფილებლად და იგი გამოწვეულ იქნა დირექტორის თანამდებობიდან. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, კასატორი ვერ მიუთითებს რაიმე ისეთ მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავდა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებებს. აღნიშნულის გამო, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სავალდებულოა სასამართლოსათვის.

დირექტორების გამოწვევის (გათავისუფლების) საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, დირექტორის გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ კონფლიქტური ურთიერთობა კოლექტივის წევრებთან, ექიმთა დატვირთვის ნორმატივების დარღვევა, საათების არასწორი განაწილება მიჩნეულ უნდა იქნეს დირექტორის გათავისუფლების მნიშვნელოვან საფუძვლად.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55.8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას, ხოლო ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა.

მართალია, სამეთვალყურეო საბჭოს არა აქვს უფლება, შეასრულოს დირექტორების ფუნქციები (55.8 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), მაგრამ, როგორც აქციონერთა წარმომადგენელ ორგანოს, ფართო უფლებამოსილება გააჩნია, გააკონტროლოს დირექტორების მიერ საქმიანობის მართლზომიერება. კანონის თანახმად, მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სამეთვალყურეო საბჭო არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიც არის, მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის გათავისუფლების შესახებ. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამეთვალყურეო საბჭო ჩაერია აღმასრულებელი ორგანოს მუშაობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-768-1393-03 (19 მაისი, 2004 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მურმან წიქვაძე, ლალი გოჩელაშვილი

საკვანძო საკითხი:
წილების ხელახალი განსაზღვრა საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელეები ითხოვდნენ პარტნიორთა წილების ხელახალ განსაზღვრას საწარმოში, რომლის რეგისტრაცია გაუქმებულია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დაუშვებელია.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1015-958-2015

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს ლიკვიდატორები და დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი. ამ პროცესში უნდა დადგინდეს საზოგადოების კრედიტორები, საზოგადოების დარჩენილი ქონება უნდა გამოიხატოს ფულად თანხაში, უნდა დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს საზოგადოების ყოფილ პარტნიორებსა და გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეზე, საზოგადოებაში მათი წილის შესაბამისად. გაუქმებულ საზოგადოებაში სასამართლოს მიერ პარტნიორთა წილების ხელახალი განსაზღვრა დაუშვებელია.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ლიკვიდაცია.
- საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება.
- გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[2].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 387.

სრული განმარტების ციტირება:
რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს ლიკვიდატორები და დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი.

ამ პროცესში უნდა დადგინდეს საზოგადოების კრედიტორები, საზოგადოების დარჩენილი ქონება უნდა გამოიხატოს ფულად თანხაში. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (სკ-ის 387-ე მუხლი), უნდა დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს საზოგადოების ყოფილ პარტნიორებსა და გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეზე საზოგადოებაში მათი წილის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს სააპელაციო სასამართლო გასცდა თავის ფუნქციას, როგორც საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა წილების განსაზღვრის თვალსაზრისით, ისე ქონების გაყოფის ნაწილში. გაუქმებულ საზოგადოებაში პარტნიორთა წილების ხელახალი განსაზღვრა, დაუშვებელია (მითუმეტეს მოცემულ შემთხვევაში პარტნიორებს შორის წილი მკვეთრად განსაზღვრული იყო და იგი დავას არ იწვევდა, ხოლო ქონების განაწილებას აწარმოებს სალიკვიდაციო კომისია).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-652-900-04 (16 ივლისი, 2004 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), თენგიზ კობახიძე, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განჩინების რეზიუმე:
აპელაციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სასამართლომ არ ცნო ბათილად თავდებობა, მიუხედავად თავმდები საწარმოს დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვისა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებში, გამგეობა და დირექტორატი შეუზღუდავია და არც შეიძლება შეიზღუდოს თავის წარმომადგენლობით უფლებებში. საზოგადოების შიგნით, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში, კი იგი ვალდებულია მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ე. ი. იმ ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული ხელშეკრულებით. დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას. მესამე პირებთან ურთიერთობისას იგულისხმება, რომ დირექტორი მოქმედებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა არსებობს (კანონით დადგენილი პრეზუმფცია). თუ დადგინდება, რომ გარიგების კონტრაჰენტმა იცოდა, რომ დირექტორს არ ჰქონდა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა და იგი განზრახ მოქმედებდა სამეთვალყურეო საბჭოს გვერდის ავლით, შეიძლება გარიგება გაბათილდეს.

განმარტებული საკითხები:
- სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- ნებართვის გარეშე დადებული გარიგება.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 8.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საწარმოს დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები. იმ შემთხვევაში თუ დირექტორის მიერ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებულ იქნა გარიგება, რომელმაც გარკვეული ზიანი მიაყენა საზოგადოებას, ამოქმედდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლით დაწესებული ნორმა დირექტორის პასუხისმგებლობის შესახებ საზოგადოების წინაშე.

გარე ურთიერთობებში, ანუ მესამე პირებთან ურთიერთობებში გამგეობა და დირექტორატი შეუზღუდავია და არც შეიძლება შეიზღუდოს თავის წარმომადგენლობით უფლებებში. საზოგადოების შიგნით, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაში კი იგი ვალდებულია მოქმედებდეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ე. ი. იმ ფარგლებში რომლებიც დაწესებულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული ხელშეკრულებით. დირექტორის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენს მესამე პირთა უფლებებზე და ის არ იწვევს მათთან დადებული გარიგებების ბათილობას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1.1 მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. სამეწარმეო საქმიანობის მონაწილე სააქციო საზოგადოების მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას განსაზღვრავს „მეწარმეთა შესახებ” კანონის 55-ე მუხლიც. 55.9 მუხლით განსაზღვრულია საწარმოს საქმიანობისათვის აუცილებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება დირექტორმა სამეთვალყურეო საბჭოს უნდა შეუთანხმოს. ისეთი მოქმედებები, როგორიცაა ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია, სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა, საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სხვა რასაც ეხება 55.9 მუხლი, არ უკავშირდება კონტრაგენტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული მუხლით დადგენილია საწარმოს შიდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმები და ის არ წარმოადგენს დირექტორთა შეზღუდვებს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

„მეწარმეთა შესახებ” კანონის 9.5 მუხლის მიხედვით „თუ გარიგების კონტრაგენტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.”

მოცემულ შემთხვევაში არსებობს კანონით დადგენილი პრეზუმფცია. მესამე პირებთან ურთიერთობისას იგულისხმება, რომ დირექტორი მოქმედებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა არსებობს.

თუ დადგინდება, რომ გარიგების კონტრაგენტმა იცოდა, რომ დირექტორს არ ჰქონდა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა და იგი მოქმედებდა განზრახ სამეთვალყურეო საბჭოს გვერდის ავლით, ამ გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.4 მუხლის შესაბამისად კონტრაგენტი არ არის ვალდებული მოსთხოვოს დირექტორს ხელშეკრულების დადებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-974-1209-04 (16 მარტი, 2005 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ლალი გოჩელაშვილი (მომხსენებელი), როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
საკუთრების უფლების წარმოშობა წილზე.

განჩინების რეზიუმე:
მეუღლე მოითხოვდა საწარმოს 20% წილზე თანამესაკუთრედ აღიარებას. საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, რადგან საკაციამ არ გაიზიარა აპელაციის პოზიცია წილზე საკუთრების უფლების წარმოშობის გარიგების სამეწარმე რეესტრში რეგისტრაციის ფაქტთან მიმართებით განხილვაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი არ წარმოადგენს პარტნიორისათვის საწარმოში წილზე საკუთრების წარმომშობ გარემოებას (მაგალითად, როგორც ეს უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელი პირობაა).

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- სამეწარმეო რეესტრი.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1]. პუნქტი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, რადგან სამეწარმეო რეესტრში ჯერ კიდევ შპს-ს 20%-იანი დ. მ-ეზეა რეგისტრირებული, ამიტომ მოსარჩელე უნდა იქნეს ამ წილის თანამესაკუთრედ ცნობილი. პალატა განმარტავს, რომ სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო (სახელმწიფო) ნუსხა იმ ფაქტებისა, რომელთაც ეკონომიკურ ურთიერთობებში სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რაც შეეხება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს, იგი არ წარმოადგენს პარტნიორისათვის საწარმოში წილზე საკუთრების წარმომშობ გარემოებას (მაგალითად, როგორც ეს უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელი პირობაა). „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა წილის მესაკუთრეთა საჯარო რეესტრში დაფიქსირება სავალდებულო გახადა მარტოოდენ იმ მოსაზრებით, რომ იგი უზრუნველყოფს სტაბილურ და საიმედო წინაპირობებს სამეწარმეო საქმიანობისათვის. შპს-ში წილის შეძენის სამართლებრივ წანამძღვრებს ადგენს მეწარმეთა კანონის 46-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-777-1040-05 (07 მარტი, 2006 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მარიამ ცისკაძე (მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია

საკვანძო საკითხი:
ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

განჩინების რეზიუმე:
კასაციამ გაიზიარა აპელაციის დასკვნა, რომ საწარმოდან პარტნიორის გარიცხვაზე ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გასაჩივრების ორთვიანი ვადა შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, ხოლო ისეთ საკითხზე გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, როგორიცაა პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, გამოყენებული უნდა იქნეს არა გასაჩივრების ორთვიანი, არამედ ხუთწლიანი ვადა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორად გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15.1 მუხლი, რომლის თანახმად ამ კანონის მიხედვით, პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ მე-15.2 მუხლში მითითებული გასაჩივრების ორთვიანი ვადა შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმინობას, ხოლო ისეთ საკითხზე გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, როგორიცაა პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, გამოყენებული უნდა იქნეს არა გასაჩივრების ორთვიანი ვადა, არამედ ხუთწლიანი ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-671-952-05 (27 ივლისი, 2006 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), თეიმურაზ თოდრია (მომხსენებელი), როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
ფილიალი და ფილიალის დირექტორი.

განჩინების რეზიუმე:
საქმე დაბრუნდა აპელაციაში ხელახლა განსახილველად, რადგან დასადგენია ფილიალის დირექტორის უფლებამოსილება წარმოადგინოს ძირითადი საწარმო საქმის წარმოების პროცესში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სასამართლოში მონაწილეობის უფლება არა ფილიალის, არამედ იურიდიული პირის დეფინიციის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. სასამართლოში მხარედ ფილიალის დირექტორი შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გაცემული სასამართლოში მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილების და – არა ფილიალის მიერ ქონების ფლობის საფუძველზე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ფილიალი.
- განსაკუთრებული განსჯადობა.
- კერძო სამართლის სუბიექტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილები 1.,5.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 16. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
ფილიალი არის იურიდიული პირის ნაწილი, რომელიც ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარეობს და რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს მის ფუნქციებს. კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლებამოსილების შესახებ უნდა იქნეს მითითებული ფილიალის საქმიანობისა და მისი ხელმძღვანელის უფლებამოსილების თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტების თანახმად. იმისათვის, რომ სასამართლოში მონაწილეობდეს ფილიალის ხელმძღვანელი, აუცილებელია ამ ფილიალის იურიდიული პირის უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაში სასამართლო დავებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ძირითადი საწარმო (იხ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ას-673-953-05 14.09.2005).

იურიდიული პირის ფილიალი საქმიანობას ეწევა იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე (სკ-ის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კონკრეტულ შემთხვევაში, საქმიანობაში იგულისხმება იურიდიული პირის მიერ ფილიალისათვის დელეგირებული უფლებამოსილება, რაც უკავშირდება მისი სამეწარმეო მიზნების განხორციელებას. ამ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ სასამართლოში მონაწილეობის უფლებაც, რაც იურიდიული პირის და არა ფილიალის დეფინიციის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, სსკ-ის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება ფილიალის ადგილსამყოფე-

ლის მიხედვით.“ აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის თანახმად, თუ ურთიერთობა ეხება იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობას, მაშინ სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, სადაც მდებარეობს ეს ფილიალი, მაგრამ ძირითადი საწარმოს წინააღმდეგ. ამდენად, თუ ამ იურიდიული პირის ფილიალს არ ექნება უფლებამოსილება სასამართლოში მონაწილეობის შესახებ, მაშინ სასამართლოში მხარედ მონაწილეობის უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იურიდიულ პირს.

ამრიგად, ფილიალი არ არის იურიდიული პირი, იგი არც თავისი სახელით გამოდის ურთიერთობებში და არც დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ეკისრება.

სასამართლოში მხარედ შეიძლება მონაწლეობდეს ფილიალის დირექტორი მხოლოდ ძირითადი საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გაცემული სასამართლოში მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილებისა და არა სს „ტ-ის“ ქონების ფლობის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-556-939-06 (13 მარტი, 2007 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი), მარიამ ცისკაძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
კასატორი (მოსარჩელე საწარმო) მოითხოვდა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვას. სარჩელი ეფუძნებოდა პარტნიორთა შორის არსებულ უთანხმოებასა და სერიოზულ დაპირისპირებას, პარტნიორის მიერ კომპეტენტური ორგანოს მიმართ ნებართვის გაცემაზე უარის და საზოგადოების შემოწმების მოთხოვნით მიმართვას და მოპასუხის (გასარიცხი პარტნიორის) დირექტორობის პერიოდში საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანს. კასაციამ აღნიშნული არ მიიჩნია გარიცხვის საფუძვლად. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-201-201-2018

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია დასაშვები და იგი უნდა ეფუძნებოდეს გასარიცხი პარტნიორის სხვა პარტნიორებთან საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობას. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მის მიერ კანონსაწინააღმდეგო და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. პარტნიორის მოთხოვნა კომპეტენტური ორგანოების მიმართ ნებართვის გაცემაზე უარის და საზოგადოების შემოწმების მოთხოვნით, არ შეიძლება შეფასდეს საზოგადოების საწინააღმდეგო მოქმედებად. პარტნიორთა შორის არსებული უთანხმოება და სერიოზული დაპირისპირება ვერ გახდება პარტნიორის გარიცხვის საფუძველი. დირექტორის მიერ, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, მოვალეობის შეუსრულებლობა, შესაძლებელია, გახდეს დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების და არა მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძველი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ, ვინაიდან ზ. ქ-ის მოქმედებით საზოგადოებას მიადგა მძიმე ზიანი პარტნიორებს შორის ჩამოყალიბდა უნდობლობა, რაც მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუზველს წარმოადგენს. შპს „.. ..“ პარტნიორთა 2004 წლის 10 სექტემბრის კრებამ ზ. ქ-ის პარტნიორობიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო ამავე საზოგადოების წესდების 10.2 პუნქტზე დაყრდნობით, რომლითაც მონაწილე, რომელიც სისტემატურად არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ან თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს საზოგადოების ინტერესებს, შეიძლება გაირიცხოს მონაწილეთა კრების გადაწყვეტილებით. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილების მიღებისას უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შპს ტელეკომპანია „.. ..“ ყოფილი პრეზიდენტი ზ. ქ-ი საზოგადოების დირექტორობის პერიოდში არღვევდა კანონს, ლახავდა პარტ-

ნიორთა უფლებებს, ზიანს აყენებდა საზოგადოების საქმიანობას და არადანიშნულებისამებრ იყენებდა მის ფინანსურ სახსრებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია დასაშვები და იგი უნდა ეფუძვნებოდეს გასარიცხი პარტნიორის სხვა პარტნიორებთან საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობას. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს პარტნიორის კანონსაწინააღმდეგო და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში პარტნიორის გარიცხვას საფუძვლად კრებამ მიიჩნია ზ. ქ-ის, როგორც საზოგადოების დირექტორის არასწორი საქმიანობა, რაც თავისთავად არ მეტყველებს მისი, როგორც პარტნიორის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან საზოგადოების ინტერესებისათვის პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში მისი მოქმედებიდან გამომდინარე ზიანის მიყენებაზე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი განამტკიცებს რა საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დირექტორის საქმიანობიდან გამომდინარე დარღვევა შესაძლებელია გახდეს დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების და არა მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძველი.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ ზ. ქ-მა განცხადებით მიმართა ფინანსურ პოლიციას საზოგადოების შემოწმების შესახებ და მანვე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისაგან მოითხოვა ტელეკომპანიისათვის რადიოსიხშირის გამოყოფაზე უარის თქმა, აღნიშნული ადასტურებს მისი, როგორც პარტნიორის საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებებს. საკასაციო პალატა მითითებულ გარემოებებს ამგვარ შეფასებას ვერ მისცემს, ვინაიდან პარტნიორის მოთხოვნა კომპეტენტური ორგანოს მიერ კონკრეტულ საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესახებ ამ ორგანოსათვის სავალდებულო არ არის და ცხადია, რომ სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვის გაცემაზე უარის თქმა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები. რაც შეეხება საფინანსო ორგანოებისათვის პარტნიორის მიმართვას საზოგადოების შემოწმების მოთხოვნით, ასეთი მოქმედება საზოგადოების საწინააღმდეგოდ არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, ვინაიდან იგი რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ მოიცავს.

საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში კასატორები მიუთითებენ რა პარტნიორთა შორის არსებულ უთანხმოებაზე და სერიოზულ დაპირისპირებაზე, რაც თავისთავად არასახარბიელოა და შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოების საქმიანობაზე, მაგრამ აღნიშნული ვერ გახდება პარტნიორის გარიცხვის საფუძველი, ვინაიდან ასეთი გარემოება არ გამორიცხავს პარტნიორის მონაწილეობის შესაძლებლობას საზოგადოების მართვაში. ასეთ შემთხვევაში პარტნიორს შეუძლია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს წარმომადგენლის მეშვეობითაც.

საკასაციო სასამართლო უსაფიძვლოდ მიიჩნევს კასატორის იმ მოსაზრებასაც, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს დააკისრა რა საზოგადოების სასარგებლოდ ზიანის – 2812 ლარის ანაზღაურება, რაც ზ. ქ-ს არ გაუსაჩივრებია, რითაც მან დაადასტურა მისი ბრალეულობა. მითითებული ოდენობით ზიანის ანაზღაურება ზ. ქ-ს დაეკისრა მისი, როგორც საზოგადოების დირექტორის საქმიანობიდან გამომდინარე და აღნიშნული გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული გარემოებების გამო ვერ გახდება პარტნიორის გარიცხვის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-747-1114-06 (29 მარტი, 2007 წელი)
მოსამართლეები: მაია სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი მტკიცებულების დასაშვებობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა საწარმოზე სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრებას. მოსარჩელე, მოპასუხე საწარმოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წერილზე დაყრდნობით, ამტკიცებდა, რომ მოპასუხე საწარმოში იკავებდა გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებს. აპელაციამ სარჩელი დააკმაყოფილა. კასაციამ წერილი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ის ფაქტი, რომ პირი იკავებს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებს, უნდა დადასტურდეს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით და არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განმარტებული საკითხები:
- სამეთვალყურეო საბჭო.
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
- სამეწარმეო რეესტრი.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.
- სამეწარმეო რეესტრის მონაცემები.
- მტკიცებულების დასაშვებობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. ქვეპუნქტი 1.თ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1]. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ. მ-ი იყო ამავე .. .. ქვემო ქართლის ფილიალს თანამშრომელი. აღნიშნულ გარემოებას სასამართლო ადგენს სს „.. ..“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს წერილზე დაყრდნობით. ვ. მ-ი თავის მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებას, რომ მას ეკავა მოპასუხე ორგანიზაციაში გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები. მითითებული ფაქტობრივი გარემოება კი შეუძლებელია დადგინდეს წერილის საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს, ზემოთ აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად, უნდა ეხელმძღვანელა სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვინაობის მითითება აუცილებელი პირობაა საწარმოს რეგისტრაციისას. ამავე კანონის მე-5[6] მუხლის თანახმად ამ მონაცემის ცვლილება იწვევს სავალდებულო რეგისტრაციას სამეწარმეო რეესტრში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ის გარემოება, რომ აპელანტი მუშაობდა მის მიერ მითითებულ თანამდებობებზე შეუძლებელია დადასტურდეს სასამართლოს მიერ მითითებული მტკიცებულებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქმის №2/1-370,382,390,402,405 (18 მაისი, 2007 წელი)
მოსამართლეები: ბესიკ ლოლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ჯონი ხეცურიანი, ოთარ სიჭინავა

საკვანძო საკითხი:
აქციათა სავალდებულო მიყიდვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელეები დავობდნენ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3]-ე მუხლის (აქციათა სავალდებულო მიყიდვა) კონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა (თანასწორობის უფლება) და 21-ე მუხლთან (საკუთრების უფლება) მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა, თუმცა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო 21-ე მუხლთან (საკუთრების უფლება) მიმართებით, რადგან სადავო ნორმით მაჟორიტარ და მინორიტარ აქციონერებს შორის სამართლიანი ბალანსი დარღვეული იყო ამ უკანასკნელის საზიანოდ. კერძოდ, (1) აქციათა სავალდებულო მიყიდვის მოთხოვნა დაიშვებოდა ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების ან/და განვითარების საჭიროებისა; (2) აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის პროცედურა ტოვებდა მანიპულირების საშუალებას, ხოლო მაჟორიტარ აქციონერს არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას კანონმდებელი ისევეა შებოჭილი კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით, როგორც საჯაროსამართლებრივი ნორმების დადგენისას. აქედან გამომდინარე, მცდარია მოსაზრება, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე, მათ შორის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] (აქციათა სავალდებულო მიყიდვა) მუხლზე, არ ვრცელდება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედება და, შესაბამისად, შეუძლებელია სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება.

განმარტებული საკითხები:
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- ნორმის კონსტიტუციურობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4].
- კონსტიტუცია, მუხლი 19.
- კონსტიტუცია, მუხლი 60. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
7. სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთრების უფლება, მოითხოვს შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის, მათ შორის კერძოსამართლებრივი წესრიგის შექმნას. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას კანონმდებელი ისევეა შებოჭილი კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით, როგორც საჯაროსამართლებრივი ნორმების დადგენისას. აქედან გამომდინარე, მოსაზრება, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე, მათ შორის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლზე, არ ვრცელდება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოქმედება და შესაბამისად, შეუძლებელია სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასება, მცდარია. ასეთი მიდგომა, კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან გამოიყვანდა სამართლის ნორმების დიდ ნაწილს და ამ სფეროში თვითნებობისათვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – აქცია არის აქციონერის სამართლებრივად განმტკიცებული ქონებრივი უფლებებისა და პოზიციის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლით (საკუთრების უფლებით) დაცულ სიკეთეს წარმოადგენს.

განმარტებული საკითხები:
- წილი/აქცია.
- საკუთრების უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 51. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. ნაწილი 1.
- კონსტიტუცია, მუხლი 19.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

სრული განმარტების ციტირება:
9. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, რამდენად კონსტიტუციურია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლი, აუცილებელია გავარკვიოთ წარმოადგენს თუ არა აქცია „საკუთრებას“ კონსტიტუციის 21-ე მუხლის თვალსაზრისით. „მეწარმეთა შესახებ“ კანონით აქცია განმარტებულია, როგორც „ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში“. აქციას საკმაოდ სპეციფიური სამართლებრივი ბუნება აქვს. ერთი მხრივ, აქცია მოიცავს სააქციო საზოგადოების წევრობისა და მის მართვაში მონაწილეობის კომპონენტს. ამ მიმართებით, აქციონერს, სააქციო საზოგადოებაში მისი მონაწილეობის შესაბამისად, აქვს ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები. მეორე მხრივ, აქცია არის სააქციო საზოგადოების ქონებაში მესაკუთრის წილობრივი საკუთრების გამომხატველი და წილზე უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ის არის „წილობრივი ფასიანი ქაღალდი“ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის განმარტებით. საკუთრება აქციაზე მატერიალიზებადია აქციის განკარგვის შემთხვევაში, ასევე საზოგადოების ლიკვიდაციისას, რადგანაც ის აძლევს აქციონერს უფლებას მიიღოს ლიკვიდირებული სააქციო საზოგადოების ქონება თავისი წილის შესაბამისად. გარდა ამისა, აქცია აძლევს მის მესაკუთრეს საწარმოს მოგებიდან წილის მიღების უფლებას. ამდენად, აქცია არ არის სავარაუდოდ მისაღები, ვირტუალური შემოსავალი, თუნდაც იმ შემთხევვაში, როდესაც საქმე დივიდენდებს შეეხება. ის არის აქციონერის სამართლებრივად განმტკიცებული ქონებრივი უფლებებისა და პოზიციის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში, ფაქტობრივად, სახეზეა მინორიტარი აქციონერის კონტრაჰირების იძულება. ეს არის გარიგება, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მინორიტარი აქციონერის მიერ მაჟორიტარი აქციონერისათვის აქციების საკუთრებაში გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, მაჟორიტარი აქციონერის მიერ მინორიტარი აქციონერისათვის ამ აქციებში სამართლიანი ფასის გადახდას. აქციათა სავალდებულო მიყიდვა ვერ განიხილება საკუთრების ჩამორთმევად და ვერ შემოწმდება მისი კონსტიტუციურობა 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

განმარტებული საკითხები:
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- საკუთრების უფლების ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4].
- კონსტიტუცია, მუხლი 19. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
10. ... აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფომ, საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაადგინა სამართლებრივი რეჟიმი, მაგრამ თვითონ არ გამოდის ამ ურთიერთობის მონაწილედ. შეიძლება აქციათა 95%-ის ან მეტის მფლობელი სახელმწიფო იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არის აქციონერი, რომელიც ამ ურთიერთობებში არსებითად არ განსხვავდება სხვა მაჟორიტარი აქციონერებისაგან. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შემთხვევაში ფაქტობრივად სახეზეა მინორიტარი აქციონერის კონტრაჰირების იძულება. ეს არის გარიგება, რაც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მინორიტარი აქციონერის მიერ მაჟორიტარი აქციონერისათვის აქციების საკუთრებაში გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, მაჟორიტარი აქციონერის მიერ მინორიტარი აქციონერისათვის ამ აქციებში სამართლიანი ფასის გადახდას. მიუხედავად იმისა, რომ გარიგების დადებისას იგნორირებულია მინორიტარი აქციონერის ნება, მას მაინც ვერ გავაიგივებთ დიამეტრალურად განსხვავებული სამართლებრივი ბუნების მქონე სახელისუფლებო აქტთან, რითაც ხდება საკუთრების ჩამორთმევისათვის უფლებამოსილების მინიჭება და ჩამორთმევის სამართლებრივი გაფორმება. საკუთრების ჩამორთმევისას ურთიერთობები მესაკუთრესა და ხელისუფლებას შორის თავისი არსით საჯაროსამართლებრივი ურთიერთობებია, როდესაც ურთიერთობები აქციონერებს შორის კერძოსამართლებრივ სფეროს განეკუთვნება. საკუთრების ჩამორთმევის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საჯარო მიზნების მისაღწევად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ხდება მინორიტარი აქციონერის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვა აქციაზე, ვერ იქნება განხილული, როგორც საკუთრების ჩამორთმევა და ვერ მოხდება მისი კონსტიტუციურობის შემოწმება 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „საკუთრების უფლების შეზღუდვა“ უნდა გავიგოთ როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური შინაარსით. „შეზღუდვა“ უნდა გავიგოთ, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენა სახელმწიფოს მიერ. აქციათა სავალდებულო მიყიდვა ექვემდებარება შემოწმებას კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან (საკუთრების უფლების შეზღუდვასთან) მიმართებით.

განმარტებული საკითხები:
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- საკუთრების უფლების შეზღუდვა.
- სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.
- სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. ნაწილი 1.
- კონსტიტუცია, მუხლი 19. პუნქტი 2.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

სრული განმარტების ციტირება:
11. რამდენადაც, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლით გათვალისწინებულ ურთიერთობას ვერ განვიხილავთ საკუთრების ჩამორთმევად, უნდა დადგინდეს სადავო ნორმის მიმართება 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან. უპირველესად, გასარკვევია აქვს თუ არა ადგილი „საკუთრების უფლების შეზღუდვას“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თვალსაზრისით. სასამართლო იზიარებს სპეციალისტის მოსაზრებას, რომ „შეზღუდვა“ უნდა იქნეს

გაგებული პოზიტიური შინაარსით. თუ „შეზღუდვას“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით განვმარტავთ, მაშინ კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ საკუთრების უფლებაში ნეგატიური ჩარევისაგან დამცავ და სახელმწიფოს შემზღუდველ ნორმად იქცევა. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იქნეს გაგებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზანმიმართულება. სწორედ ამ პუნქტის საფუძველზეა უფლებამოსილი სახელმწიფო საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, დაადგინოს საკუთრების შინაარსი და ფარგლები. „შეზღუდვა“ უნდა გავიგოთ, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოების დადგენა სახელმწიფოს მიერ. სხვა შემთხვევაში, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის რეგულირების სფეროდან გავიდოდა ურთიერთობების მთელი კომპლექსი, რომელთა მიმართაც ვერ მოხდება „შეზღუდვის“ მისადაგება მისი პირდაპირი მნიშვნელობით. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემთხვევაში, საკუთრების ჩამორთმევისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ ურთიერთობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლი, როგორც მინორიტარი აქციონერის აქციაზე საკუთრების შინაარსისა და ფარგლების განმსაზღვრელი და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, ექვემდებარება შემოწმებას კონსტიტუციურობის თვალსაზრისით კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – რადგან აქციათა სავალდებულო მიყიდვა საკუთრების უფლების „შეზღუდვაა“, აუცილებელია დადგინდეს, არის თუ არა აქციათა სავალდებულო მიყიდვა განპირობებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“ (ლეგიტიმური მიზნით) და შემდეგ შეფასდეს, თუ რამდენად თანაბარზომიერი საშუალებაა აქციათა სავალდებულო მიყიდვა ამ მიზნის მისაღწევად. საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შინაარსი უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ, ვიდრე საკუთრების ჩამორთმევის კონტექსტში. სააქციო საზოგადოებაში მინორიტარი აქციონერების არსებობა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, თუმცა ეს არ არის იმდენად მძიმე და გადაჭარბებული ტვირთი სააქციო საზოგადოებისათვის, რომ ყველა შემთხვევაში გამოიწვიოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის გზით მინორიტარი აქციონერების სააქციო საზოგადოებიდან განდევნის აუცილებლობა. მინორიტარი აქციონერების განდევნის გამართლება ვერ იქნება ის, რომ ისინი იყენებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, მათ შორის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. აქციათა სავალდებულო მიყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ამასთან, აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა, რათა მინორიტარი აქციონერი დაცული იყოს მაჟორიტარი აქციონერის მიერ ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.

განმარტებული საკითხები:

- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- მინორიტარი აქციონერი.
- დომინანტი (მაჟორიტარი) აქციონერი.
- საკუთრების უფლების შეზღუდვა.
- საკუთრების უფლების ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია).
- აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.
- ლეგიტიმური მიზანი.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4].
- კონსტიტუცია, მუხლი 19. პუნქტები 2.,3.

სრული განმარტების ციტირება:

13. რამდენადაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლი კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ „შეზღუდვას“, წარმოადგენს, აუცილებელია დადგინდეს, არის თუ არა განპირობებული აქციათა სავალდებულო მიყიდვა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“.

16. ტერმინი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ ასევე გამოყენებულია კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტშიც, საკუთრების ჩამორთმევის მიზანთან დაკავშირებით. საკუთრების ჩამორთმევის კონტექსტში „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ მკაცრ და კონკრეტულ განმარტებას ექვემდებარება. ეს გამოხატულია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ ამომწურავ ჩამონათვალშიც. 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შინაარსი უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე. თუ არ მოხდება 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ შედარებით ფართო და თავისუფალი ინტერპრეტაცია, მაშინ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები მიიღებენ სიხისტის ისეთ მაღალ ხარისხს, რაც აქვს საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს. ამ სფეროში კანონმდებელი გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სფეროში. თუმცა, ეს არ ნიშნავს კანონმდებლის სრულ თავისუფლებას და ამოვარდნას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოებიდან. კანონმდებლის მიერ გამოხატული პოზიცია უნდა იყოს დაბალანსებული, მკაფიო, გარკვეული და არ უნდა იძლეოდეს თვითნებობისა და ნორმის ბოროტად, არამიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას.

17. მინორიტარ აქციონერთა აქციების სავადლდებულო მიყიდვა მაჟორიტარი აქციონერისათვის ვერ იქნება განხილული საზოგადოებრივი საჭიროების კონტექსტში და ლეგიტიმურ მიზნად, რადგანაც ის „შეზღუდვას“ წარმოადგენს. ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომელიც შეზღუდვას განიხილავს არა მიზნად, არამედ მის მიღწევის საშუალებად. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, არსებობს თუ არა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც კანონმდებელმა დაინახა და შემდეგ შეაფასოს, თუ რამდენად თანაბარზომიერი საშუალებაა აქციათა სავალდებულო მიყიდვა ამ მიზნის მისაღწევად.

21. სააქციო საზოგადოების საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, მათ შორის ისეთთან, რომლებსაც იწვევს მინორიტარი აქციონერების არსებობა სააქციო საზოგადოებაში. თუმცა, ეს არ არის იმდენად მძიმე და გადაჭარბებული ტვირთი სააქციო საზოგადოებისათვის, მით უმეტეს ნორმალური მართვის პირობებში, რომ ყველა შემთხვევაში გამოიწვიოს აქციების სავალდებულო მიყიდვის გზით მინორიტარი აქციონერების სააქციო საზოგადოებიდან განდევნის აუცილებლობა. საქმის არსებითი განხილვისას ვერ დასახელდა ვერც ერთი შემთხვევა, როდესაც სააქციო საზოგადოებას ხარჯი მინორიტარ აქციონერთა დესტრუქციული მოქმედებების შედეგად წარმოეშვა. პირმა, რომელიც მონაწილეობას აპირებს ხელშეკრულებაზე დაფუძნებულ მიზნობრივ გაერთიანებაში, სადაც სხვა მრავალი პირი მონაწილეობს, წინასწარვე უნდა გაიცნობიეროს, რომ მსგავსი გაერთიანება მხოლოდ ეკონომიკური მოგების მიღებას არ გულისხმობს, ფინანსურად უდანაკარგოდ ვერ ჩაივლის და მოუწევს თავისი პარტნიორების ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევა.

22. უფლების განხორციელებისას არსებობს პრეზუმფცია, რომ უფლებამოსილი პირი კეთილსინდისიერად მოქმედებს, თუმცა პრაქტიკაში ვერ გამოირიცხება უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებიც. სასამართლოსათვის მიმართვას შეიძლება მოჰყვეს სააქციო საზოგადოებაზე სხვადასხვა სახის შეზღუდვების დაკისრება, რაც გამოიწვევს შეფერხებებს მის საქმიანობაში. მაგალითისათვის, ხელსაყრელი გარიგებების შეფერხება ან ჩაშლა და ა. შ. აქვე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც საწარმოს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად მოქნილი, სწრაფი მოქმედება და გადაწყვეტილებების ოპერატიული მიღებაა აუცილებელი, დროის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და სასამართლო დავა დროის დაკარგვის თვალსაზრისითაც ზიანს აყენებს სააქციო საზოგადოებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მინორიტარი აქციონერების განდევნის გამართლება ვერ იქნება ის, რომ ისინი ახორციელებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, მათ შორის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. არაკეთილსინდისიერი მინორიტარი აქციონერის შემაფერხებელ ფაქტორს მაგალითისათვის, წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული რეგულირებები სამოქალაქო კანონმდებლობაში, სასამართლო ხარჯების დაკისრების რეალური პერსპექტივა. კანონმდებელს შეუძლია ასევე მოახდონოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმების გონივრული ოპტიმიზაცია და გაცილებით მსუბუქი საშუალება იქნებოდა მიზნის მისაღწევად, ვიდრე მინორიტარი აქციონერების განდევნა სააქციო საზოგადოებიდან.

26. კანონმდებელმა ისე უნდა ჩამოაყალიბოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელი ნორმა, რომ დაიცვას სამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის, გამორიცხოს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. მინორიტარ აქციონერს სრული უფლება აქვს იცოდეს, თუ რატომ ხდება მისი

კუთვნილი აქციების მაჟორიტარი აქციონერის საკუთრებაში გადასვლა. მას უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის სამართლებრივი საშუალება. მაჟორიტარი აქციონერის სურვილი, საკუთრებაში ჰქონდეს აქციების სრული პაკეტი, გასაგები და ბუნებრივია, მაგრამ საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლებას არ წარმოადგენს. ერთერთი აქციონერის ხელში აქციების 95%-ის ან მეტის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს აქციათა სავალდებულო მიყიდვის სოციალური საჭიროების გაჩენას. აქციათა სავალდებულო მიყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მოხლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

27. როდესაც ვახდენთ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შეფასებას თანაბარზომიერების თვალსაზრისით, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ამ პროცედურის არც ერთი არსებითი კომპონენტი. ამ მხრივ გამოსაყოფია და შესაფასებელია ორი მომენტი – პირველ რიგში, რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცედურა და მეორე, რამდენად უზრუნველყოფს მინორიტარი აქციონერების სამართლიან ანაზღაურებას აქციათა სავალდებულო მიყიდვისას აქციის ფასის დადგენის პროცედურა. ამ ორი უმნიშვნელოვანესი გარემოების გათვალისწინების გარეშე, თვით ლეგიტიმური საზოგადოებრივი მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი, ამ მიზნის მიღწევის საშუალება არაადექვატური და არაპროპორციული იქნება.

28. 2005 წლის 28 ივლისის №1/4/184,228 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს: „...სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოებრივი ინტერესებით საკუთრების შეზღუდვის ყველაზე სწორი და ეფექტიანი გზა გამონახოს, რაც მძიმე ტვირთად არ დააწვება სამეურნეო ბრუნვის მხოლოდ ერთ მონაწილეს. მიუღებელია ერთი ასეთი მონაწილის საკუთრების გარანტიაზე უარის თქმა ბრუნვის მეორე მონაწილის საკუთრების სასარგებლოდ...“. ეკონომიკური ეფექტურობის მოტივით შემოღებული წესი არ შეიძლება ცალმხრივ ტვირთად დააწვეს ერთერთ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდა სამართლებრივი პრობლემებისა, წარმოიშვება საბაზრო დეზორგანიზაციის, მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსის საშიშროება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლით დადგენილი წესი არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს. ის აშკარად არღვევს სამართლიან ბალანსს მაჟორიტარი აქციონერის სასარგებლოდ. სადავო ნორმიდან, მისი საზღვარგარეთული ანალოგებიდან განსხვავებით, არ იკვეთება აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზანმიმართულება. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ მაჟორიტარმა აქციონერმა გამოისყიდოს მინორიტარი აქციონერების აქციები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს საწარმოსათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. 53[3] მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, მინორიტარი აქციონერი აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე გადაწყეტილების შესახებ ინფორმაციას იღებს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით, მას აღნიშნული განცხადება ასევე ეგზავნება დაზღვეული წერილით. ამგვარ პირობებში მინორიტარ აქციონერს არათუ არ აქვს სამართლებრივი საშუალება თავი დაიცვას მაჟორიტარი აქციონერის მიერ ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, არამედ მას იმის შესაძლებლობაც არ აქვს, მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია აქციათა სავალდებულო მიყიდვის მიზეზების თაობაზე და დააფიქსროს თავისი პოზიცია ამასთან დაკავშირებით. სადავო ნორმით გათვალისწინებული პროცედურა არაგამჭვირვალეა, აქციების სავალდებულო მიყიდვისას მინორიტარი აქციონერი ფაქტიურად ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება და გაცილებით წამგებიან მდგომარეობაშია, ვიდრე მაჟორიტარი აქციონერი. იმ პირობებში, როდესაც სამართლებრივი სისტემა ვერ უზრუნველყოფს მინორიტარი აქციონერების დაცვასა და მათი უფლებების განსაზღვრას, მაჟორიტარი და მინორიტარი აქციონერების ინტერესების კონფლიქტი იწვევს დამატებით სამართლებრივ არასტაბილურობას საქმიან გარემოში, ზრდის რისკებს და „აფრთხობს“ როგორც შიდა, ასევე უცხოურ ინვესტიციებს.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – აქციათა სავალდებულო მიყიდვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი ფასის დადგენის ისეთი სამართლებრივი პროცედურის არსებობას, რომელიც არაორაზროვანი, მკაფიოა და არ აძლევს რომელიმე მხარეს მანიპულირების საშუალებას. ბალანსი არ უნდა დაირღვეს მინორიტარი აქციონერის საზიანოდ და მას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

განმარტებული საკითხები:
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა.
- სავალდებულო სატენდერო შეთავაზება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4].

სრული განმარტების ციტირება:
29. აქციათა სავალდებულო მიყიდვისას სამართლიანი ფასის დადგენის მექანიზმის შეფასებისას „მეწარმეთა შეხახებ“ კანონის 53[3] მუხლის გარდა, გასათვალისწინებელია ამავე კანონის 53[2] მუხლი, რომელიც არეგულირებს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას. როგორც აღვნიშნეთ, 53[3] მუხლი სამართლიან ფასთან დაკავშირებით სწორედ 53[2] მუხლზე, კონკრეტულად კი ამ მუხლის მე-2 პუნქტზე მიუთითებს. ტერმინი „სამართლიანი ფასი“ კანონით არ არის დეფინირებული. მსგავსი განუსაზღვრელი სამართლებრივი ტერმინები სამართლისათვის უცხო არ არის და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა. თუმცა, როდესაც კანონმდებელი იყენებს განუსაზღვრელ სამართლებრივ ტერმინს, უნდა გათვალოს, რომ პრაქტიკაში იარსებებს კონკრეტულ შემთხვევებში ამ ტერმინის განმარტების გარკვეული ობიექტური საფუძვლები და მისი განმარტება არ იქნება დამოკიდებული პირთა გარკვეული კატეგორიის ფანტაზიაზე თუ ნება-სურვილზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი ფასის დადგენის ისეთი სამართლებრივი პროცედურის განსაზღვრას, რომელიც არაორაზროვანი, მკაფიოა და არ აძლევს რომელიმე მხარეს მანიპულირების საშუალებას. საფრთხე ორივე მხრიდან არსებობს – მაჟორიტარი აქციონერის სურვილია, რომ რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასად შეიძინოს აქციები, ხოლო მინორიტარი აქციონერისა – მიიღოს მაქსიმალური ანაზღაურება თავისი აქციების სანაცვლოდ. მართალია, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების წესი, განსაკუთრებით მინორიტარი აქციონერებისათვის სამართლიანი ანაზღაურების მიცემის კუთხით, გარკვეულწილად აბალანსებს ინტერესებს, მაგრამ ეს არ არის ის პროცედურა, რომელიც ყველა შემთხვევაში წინ უძღვის აქციათა სავალდებულო მიყიდვას, რადგანაც ის არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მაჟორიტარ აქციონერს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[2] მუხლის ამოქმედების მომენტში უკვე ეკუთვნოდა სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 1/2-ზე მეტი.

30. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სამართლიანი ფასის დადგენის ორგვარ მექანიზმს ითვალისწინებს – სამართლიანი ფასის განსაზღვრას დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ და სამართლიანი ფასის განსაზღვრას სააქციო საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით. კანონმდებელი ადგენს სამართლიანი ფასის ქვედა ზღვარს – სამართლიანი ფასი არ უნდა იყოს ნაკლები იმ ყველაზე მაღალ ფასზე, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 12 თვის განმავლობაში გადაიხადა შესაბამისი სააქციო საზოგადოების აქციაში, მაგრამ ეს ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევებზე გავრცელდება, როდესაც ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა ვაჭრობა სააქციო საზოგადოების აქციებით. თუმცა, გაურკვეველია სამართლიანი ფასის ქვედა ზღვარი იმ შემთხვევებში, როდესაც ბოლო 12 თვის განმავლობაში გამოსყიდვის განმხორციელებელ აქციონერს სააქციო საზოგადოების აქციები არ შეუძენია ან ამ აქციებით ვაჭრობა საერთოდ არ ხორციელდებოდა.

31. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ სამართლიანი ფასის დადგენისას მინორიტარი აქციონერის უფლებების დარღვევის რისკი მცირდება. ამას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, გამოსყიდვის ანგარიშის შედგენის ვალდებულება, სადაც აისახება გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და აქციათა ფასი, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი ან საბროკერო კომპანია აქციონერისათვის დაუდევრობით ან განზრახ არასწორი შეფასებით ზიანის მიყენებისათვის მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს. ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება ისიც, რომ მინორიტარი აქციონერი უფლებამოსილია გაეცნოს გამოსყიდვის ანგარიშს და მიმართოს სასამართლოს აქციათა განსხვავებული ფასის დადგენის მოთხოვნით – ე. ი. მას კანონმდებელი ანიჭებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. რაც შეეხება სამართლიანი ფასის დადგენის კონკრეტულ მეთოდს და ამ მეთოდის შედეგად მიღებული ფასის სამართლიანობის დადგენას, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემ-

ფასებლისა და საერთო სასამართლოს უფლებამოსილებაა და არა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, მით უმეტეს, რომ აქციების ფასის გაანგარიშების კონკრეტული მეთოდი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული არ არის.

32. სურათი იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლიანი ფასის დადგენის პროცედურა საზოგადოების წესდებითაა განსაზღვრული. ამ დროს ბალანსი ისევ მინორიტარი აქციონერის საზიანოდ ირღვევა და მას სამართლებრივი დაცვის საშუალებებიც არ აქვს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლის მე-3 პუნქტი აქციონერს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას აძლევს იმ შემთხვევაში, თუ ფასი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ არის დადგენილი, მაგრამ კანონი არ აწესრიგებს იმ სიტუაციას, როდესაც მინორიტარი აქციონერი არ ეთანხმება სააქციო საზოგადოების წესდებით რეგულირებული წესით დადგენილ ფასს.

VII. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – კორპორაციული ურთიერთობები, მისი ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კაპიტალურ საზოგადოებებში, ასიმეტრიული ურთიერთობებია. კორპორაციული ურთიერთობების ხასიათი განაპირობებს ამ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დიფერენცირებას საწარმოში მათი ქონებრივი მონაწილეობის შესაბამისად. მათი უფლებებისა და მოვალეობების განსხვავებას ვერ განვიხილავთ, როგორც ერთნაირი შემთხვევების მიმართ დიფერენცირებულ დამოკიდებულებას, არსებითად მსგავსი სუბიექტებისადმი არათანასწორ მიდგომას. სააქციო საზოგადოების საქმიანობა ეფუძნება უმრავლესობის პრინციპს და აქ იმთავითვე გამორიცხულია არსებითად განსხვავებული წილობრივი მონაწილეობის მქონე აქციონერების თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვის, მათი თანასწორ სუბიექტებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

განმარტებული საკითხები:

- აქციონერის უფლებები.
- აქციონერთა მოვალეობები.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- საწარმოს პარტნიორის მოვალეობები.
- თანასწორობის უფლება (დისკრიმინაციის აკრძალვა).
- დისკრიმინაცია ქონებრივი ნიშნის მიხედვით.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53.
- კონსტიტუცია, მუხლი 11.

სრული განმარტების ციტირება:

35. იმისათვის, რომ დავადგინოთ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53[3] მუხლის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ თვით კორპორაციული ურთიერთობების სამართლებრივი ბუნება. კორპორაციული ურთიერთობები თავისი ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კაპიტალურ საზოგადოებებში, ასიმეტრიული ურთიერთობებია. მნიშვნელოვანია, რომ პირზე ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება მისი ნების გარეშე, ეს არ არის ურთიერთობა, რომელშიც პირი სავალდებულო წესით მონაწილეობს, რამდენადაც ეს ფაქტიურად მრავალმხრივ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობაა. ამ ურთიერთობებში პირის შესვლა თავისთავად გულისხმობს, რომ მან ნებაყოფლობით მიიღო შესაბამისი სახელშეკრულებო პირობები და გაცნობიერებული აქვს ურთიერთობათა სფეციფიკა. კორპორაციული ურთიერთობების ხასიათი განაპირობებს ამ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დიფერენცირებას საწარმოში მათი ქონებრივი მონაწილეობის შესაბამისად. ეს არის სააქციო საზოგადოების ძირითადი პრინციპი, რის თაობა-

ზეც ინფორმირებულია პირი, როდესაც ის შედის ამ ტიპის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ სააქციო საზოგადოებაში მიმდინარე ურთიერთობათა მონაწილეებზე, მათი უფლებებისა და მოვალეობების განსხვავებას ვერ განვიხილავთ, როგორც ერთნაირი შემთხვევების მიმართ დიფერენცირებულ დამოკიდებულებას, არსებითად მსგავსი სუბიექტებისადმი არათანასწორ მიდგომას. ეს არის ურთიერთობა აქციონერებს შორის, რომლებმაც ნებაყოფლობით აირჩიეს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სადაც გადაწყვეტილების მიღებასა და მართვაში მონაწილეობა, სხვა უფლებამოსილებათა და ასევე შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლები საწარმოში მონაწილეობის მასშტაბებზეა დამოკიდებული. სააქციო საზოგადოების საქმიანობა ეფუძნება უმრავლესობის პრინციპს და აქ იმთავითვე გამორიცხულია არსებითად განსხვავებული წილობრივი მონაწილეობის მქონე აქციონერების თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვის, მათი თანასწორ სუბიექტებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა. კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ ავალდებულებს კანონმდებელს, რომ უზრუნველყოს მსგავსი ტიპის ურთიერთობებში მხარეთა თანასწორობა, რამდენადაც ის არ მოითხოვს უნივერსალურ თანასწორობას ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინების გარეშე.

36. გარდა ზემოაღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა იგულისხმება ტერმინში „ქონებრივი მდგომარეობა“. მოსარჩელე მას აიგივებს პირის მონაწილეობის სიდიდესთან კონკრეტულ სააქციო საზოგადოებაში, მაგრამ მონაწილეობა საწარმოში და პირის „ქონებრივი მდგომარეობა“ არ არის იდენტური ცნებები. „ქონებრივი მდგომარეობა“, საწარმოში მონაწილეობის გარდა, ბევრ სხვა კომპონენტსაც მოიცავს და გაცილებით ფართო ცნებაა. აქედან გამომდინარე, არ ჩანს დიფერენციაციის ნიშანიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-390-741-07 (24 ივლისი, 2007 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მაია სულხანიშვილი (მომხსენებელი), როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) ითხოვდა მასსა და მოპასუხეს (საწარმოს პარტნიორს) შორის დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილად აღიარებას, თანხის დაკისრებას და საზოგადოებიდან მოპასუხის გარიცხვას. მოპასუხემ მოსარჩელეს გამოატანინა სესხი, რომელიც შემდეგ მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა მოპასუხის მიერ მოსარჩელის სხვა პარტნიორთა წილების შეძენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ წილების შეძენისთვის ხელი არ შეუშლიათ, მოპასუხემ მოსარჩელე საწარმოს მხოლოდ ერთი პარტნიორის წილი შეიძინა. საკასაციო სასამართლომ დაადგინა განსაკუთრებულ ნდობის არსებობა და გავლენის ბოროტად გამოყენება, გააუქმა აპელაციის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, სრულად დააკმაყოფილა სარჩელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შესატანის დროულად შეუტანლობა არ არის პარტნიორის გარიცხვის ერთადერთი საფუძველი. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა ერთ-ერთ „დამატებითი უფლებაა“. თუმცა, პარტნიორის გარიცხვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით დაუშვებელია. აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ პარტნიორს, რადგან მასთან ერთად საზოგადოების შემდგომი საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელია. გავლენის ბოროტად გამოყენება შეიძლება გახდეს უნდობლობის გამოცხადების საფუძველი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- გავლენის ბოროტად გამოყენება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 6.ბ.,7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.

სრული განმარტების ციტირება:
სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. განსახილველ შემთხვევაში გარიგების მხარეებს წარმოადგენენ იურიდიული პირები და ბუნებრივია, როდესაც ამ პირთა ნდობაზეა საუბარი იგულისხმება საზოგადოების პარტნიორთა და დირექტორთა შორის არსებული ურთიერთობები, ის, რომ სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების ხელმომწერი იურიდიული პირის პარტნიორებს და დირექტორებს ერთმანეთთან განსაკუთრებული ნდობა ჰქონდათ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხოლო რაც შეეხება გავლენის ბოროტად გამოყენებას, პალატა თვლის, რომ მას ადგილი ჰქონდა გარიგების დადების დროს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ საზოგადოების პარტნიორის გარიცხვის ერთადერთი სფუძველი შესატანის დროულად შეუტანლობაა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47.3-ე მუხლი ითვალისწინებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება იმ დამატებითი უფლებების გამოყენების თაობაზე, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზო-

გადოების მართვიდან გამომდინარე ან და პარტნიორის მიმართ. კანონმდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს თუ რა იგულისხმება დამატებით უფლებებში, მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან ერთ-ერთ ასეთ უფლებათაგანია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარტნიორის გარიცხვა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით დაუშვებელია. იგი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია საზოგადოების შემდგომი საქმიანობის გაგრძელება. ბუნებრივია ისეთ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ სხვა პარტნიორს შესაძლოა მათი ერთობლი საქმიანობა შეუძლებელი გახდეს. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა უდევს საფუძვლად პარტნიორთა უნდობლობას. შპს „ვ. ი.-მა“ შპს „ჯ. ე.-ს“ ააღებინა კრედიტი იმ მიზნით, რომ შეესყიდა ყველა პარტნიორის წილი, თუმცა ეს პირობა მის მიერ არ შესრულებულა, რაც ბუნებრივია წარმოშობდა პარტნიორთა შორის უნდობლობას და შეუძლებელს გახდიდა მათი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ვ. ი.“ სწორადაა გარიცხული საზოგადოებიდან და ამ ნაწილში შპს „ჯ. ე.-ის” მოთხოვნა გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-356-708-07 (11 ოქტომბერი, 2007 წელი)
მოსამართლეები: მაია სულხანიშვილი (თავმჯდომარე), როზა ნადირიანი (მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია

საკვანძო საკითხი:
ვიცე-პრეზიდენტის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა საწარმოს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას. მოსარჩელე გათავისუფლდა სამსახურებრივი ვალდებულების სისტემატურად შეუსრულებლობაზე მითითებით. აპელაციამ, გამომდინარე იქიდან, რომ ვიცე-პრეზიდენტი არ იყო რეგისტრირებული დირექტორად სამეწარმეო რეესტრში, მოსარჩელესა და მოპასუხე საწარმოს შორის არსებული ურთიერთობა შეაფასა შრომით ხელშეკრულებად და სარჩელი დააკმაყოფილა. კასაციამ არ გაიზიარა აპელაციის შეფასება და მიუთითა, რომ მხოლოდ რეგისტრაციის არარსებობა იმას არ ნიშნავს, რომ ვიცე-პრეზიდენტი დირექტორი არ არის. კასაციამ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა და აპელაციას დაავალა მოსარჩელის კომპეტენციების/ფუნქციების კვლევა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი არ კრძალავს დირექტორის ნაცვლად სხვა სახელწოდებების (გენერალური დირექტორი, პრეზიდენტი და სხვა) გამოყენებას. ძირითადია ამ პირთა უფლებამოსილება და კომპეტენცია. თუ წესდებით დადგენილია, რომ კონკრეტული მიმართულების საკითხებში ვიცე-პრეზიდენტი დირექტორატის წევრია ანუ ერთ-ერთი დირექტორია, მაგრამ არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, შეიცავს თუ არა ვიცე-პრეზიდენტის საქმიანობა ხელმძღვანელობით ფუნქციებს; იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულება, მაშინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს არსებობს თუ არა საზოგადოების იმავე საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის ისეთი თანამდებობა, რომელიც არ შედის დირექტორატის შემადგენლობაში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვიცე-პრეზიდენტი დირექტორის სტატუსით რეგისტრირებული არ არის სამეწარმეო რეესტრში, არ წარმოადგენს მის მიმართ შრომის კოდექსის გამოყენების საფუძველს. დირექტორის რეგისტრაციის სავალდებულოობის დარღვევა დირექტორის სამუშაოზე აღდგენის საფუძველი ვერ გახდება.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორატი (ბორდი).
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- დირექტორის მოვალეობები.
- მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.
- falsa demonstratio non nocet.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. ქვეპუნქტი 1.თ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 1.,2.,7[1].ა.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1 მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უხელმძღვანელონ საზოგადოებას, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელო-

ბის უფლება აქვთ დირექტორებს. კანონი არ კრძალავს სხვა სახელწოდებების (გენერალური დირექტორი, პრეზიდენტი და სხვა) გამოყენებასაც, ძირითადი ისაა, რომ ამ პირთა უფლებამოსილებას და კომპეტენციას განსაზღვრავს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.2 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს საზოგადოების ხელმძღვანელობის ერთპიროვნულ და კოლეგიურ ფორმებს („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.3 მუხლი).

წესდებით განსაზღვრული იყო დირექტორების დანიშვნა პარტნიორთა კრების მიერ, ასევე წესდება ითვალისწინებდა აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნას ორი წლის ვადით დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ შპს „.. ..“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 2005 წლის 29 ივნისის ბრძანებით ზ. ფ-ი 2005 წლის 1 ივლისიდან დაინიშნა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (ვიცე-პრეზიდენტი) კომერციულ საკითხებში. ასევე დადგენილია, რომ ზ.ფ-ი დირექტორის სტატუსით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ზ.ფ-ი დირექტორის სტატუსით რეგისტრირებული არ ყოფილა სამეწარმეო რეესტრში, შესაბამისად, მას არ გააჩნდა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება და მის მიმართ უნდა გამოყენებულიყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს არა აქვს გამოკვლეული და, შესაბამისად, დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.6 მუხლი ითვალისწინებს კანონით დადგენილი რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების, მათ შორის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებთან დაკავშირებული ყოველი ცვლილების აუცილებელ რეგისტრაციას, მაგრამ აღნიშნული განპირობებულია სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისა და მესამე პირთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფით. ამ დანაწესის დარღვევა დირექტორის სამუშაოზე აღდგენის საფუძველი ვერ გახდება.

სააპელაციო პალატამ ზ. ფ-ი აღადგინა შპს „.. ..“ კომერციულ საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე, მაშინ, როდესაც საზოგადოების ამჟამად მოქმედი წესდების 7.1 პუნქტის თანახმად, დირექტორატი შედგება დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისა (პრეზიდენტი) და თავმჯდომარის მოადგილეებისაგან (ვიცე-პრეზიდენტები). 7.4 პუნქტის თანახმად, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს (ვიცე-პრეზიდენტებს) ნიშნავს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თავისი ბრძანებით განსაზღვრავს საზოგადოების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობას და მათ უფლება-მოვალეობებს. ამდენად, ამჟამად მოქმედი წესდებით ვიცე-პრეზიდენტი დირექტორატის წევრია ანუ ერთ-ერთი დირექტორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, ზ. ფ-ი არ მიიჩნია დირექტორად, მეორე მხრივ კი, აღადგინა საზოგადოების დირექტორატის წევრად. დირექტორატის ერთ-ერთი დირექტორის დანიშვნა კი წესდების თანახმად, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაში შედის.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა გაარკვიოს, თუ რა სახის სამუშაოს ასრულებდა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი კომერციულ საკითხებში და აღნიშნული საქმიანობა შეიცავდა თუ არა ხელმძღვანელობით ფუნქციებს. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ზ. ფ-ი არ ასრულებდა ხელმძღვანელობით ფუნქციებს, მაშინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს არსებობს თუ არა ამჟამად საზოგადოების კომერციულ საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის ისეთი თანამდებობა, რომელიც არ შედის დირექტორატის შემადგენლობაში. ამდენად, სააპელაციო პალატამ სრულყოფილად უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, შეაფასოს სამართლებრივად.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მსხვილ საზოგადოებებში, როგორც წესი, გამოიყენება ხელმძღვანელობის კოლეგიური ფორმა. ამ მიზნით იქმნება დირექტორატი, რომელიც რამდენიმე დირექტორისგან შედგება. დირექტორატი არის საწარმოს აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე დამოუკიდებლად წარმოადგინოს საწარმო.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორატი (ბორდი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
მსხვილ საზოგადოებებში, როგორც წესი, გამოიყენება ხელმძღვანელობის კოლეგიური ფორმა. ამ მიზნით იქმნება დირექტორატი, რომელიც რამდენიმე დირექტორისაგან შედგება. დირექტორატი არის „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია, მესამე პირების წინაშე დამოუკიდებლად წარმოადგინოს საწარმო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-614-951-07 (12 ოქტომბერი, 2007 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი), მარიამ ცისკაძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, მოსარჩელე საზოგადოების პარტნიორობიდან გაირიცხა და მისი წილი განაწილდა დარჩენილ პარტნიორთა შორის. აღნიშნული ცვლილებები ისე განხორციელდა, რომ პარტნიორობიდან გარიცხვის მართლზომიერებაზე სასამართლოს არ უმსჯელია. აპელაციის გადაწყვეტილებით, სამეწარმეო რეესტრის შესაბამისი სარეგისტრაციო მონაცემები გაუქმდა და მოსარჩელეს დაუბრუნდა ჩამორთმეული წილი. კასაციამ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-201-201-2018

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისათვის მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საკმარისი არ არის. პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საზოგადოებამ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელიც სასარჩელო წესით განიხილავს სადავო საკითხს და მხოლოდ მითითებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშია შესაძლებელი საზოგადოებიდან გარიცხული პარტნიორის წილის დანარჩენ პარტნიორებს შორის განაწილება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- სასარჩელო წარმოება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.

სრული განმარტების ციტირება:
წარმოდგენილი დავის საგანია სამეწარმეო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წესის დარღვევის გამო საწესდებო კაპიტალში გარიცხული პარტნიორის წილის დანარჩენ პარტნიორებზე გადანაწილების კანონიერება. აღნიშნულ საკითხზე კი არსებობს სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით, პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისათვის მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საკმარისი არ არის. პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საზოგადოებამ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, რომელიც სასარჩელო წესით განიხილავს სადავო საკითხს და მხოლოდ მითითებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშია შესაძლებელი საზოგადოებიდან გარიცხული პარტნიორის წილის დანარჩენ პარტნიორებს შორის განაწილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-506-853-07 (18 დეკემბერი, 2007 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი), მარიამ ცისკაძე

საკვანძო საკითხი:
საერთო კრებაში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით.

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. ძალაში დარჩა გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმისა და გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერი უფლებამოსილია, მარტივი წერილობითი ფორმით გაცემული მინდობილობით თავისი უფლება აქციონერთა კრების მუშაობაში მონაწილეობაზე მიანდოს სხვა პირს. კრების მუშაობაში წარმომადგენლის განსხვავებული წესით (მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით) მონაწილეობის უფლება შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნეს წესდებით.

განმარტებული საკითხები:
- საერთო კრებაში მონაწილეობა წარმომადგენლის მეშვეობით.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 1.,2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შპს „.. ..“ წარმომადგენელ ა. კ-ის წარდგენილი მინდობილობა საკმარის დოკუმენტს წარმოადგენდა იმისათვის, რომ აქციონერს მონაწილეობა მიეღო სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.3 მუხლის თანახმად, აქციონერს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კრების მუშაობაში პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. მითითებული ნორმის ანალიზით აქციონერი უფლებამოსილია, თავისი უფლება აქციონერთა კრების მუშაობაში მონაწილეობაზე მიანდოს სხვა პირს წერილობითი მინდობილობით. მოცემულ შემთხვევაში შპს „.. ..“ ისარგებლა ამ უფლებით და კრებაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებას წარუდგინა მისი ნდობით აღჭურვილი პირი ა. კ-ი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავის უფლებებს ახორციელებდა კანონის ფარგლებში.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარზე, რომლითაც წარმომადგენლის საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა. დასახელებული კანონი მინდობილობის ამგვარი წესით წარდგენის აუცილებლობას არ ადგენს. ამასთან, საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ კრების მუშაობაში წარმომადგენლის განსხვავებული წესით მონაწილეობის უფლება (მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით) შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სააქციო საზოგადოების დაფუძნებაზე პარტნიორთა გარიგებით – წესდებით, რომელითაც პარტნიორები წინასაწარ თანხმდებიან საზოგადოების საქმიანობისა და ამ საზოგადოების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. წესდება თავისი არსით წარმოადგენს რა სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას, მხარეები კანონის ფარგლებში შეიძლება

შეთანხმდნენ მათთვის მისაღებ გარიგების პირობებზე, მათ შორის, საერთო კრების მუშაობაში აქციონერთა მონაწილეობის მიღების გარკვეულ წესზე.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სააქციო საზოგადოების მიერ აქციონერისათვის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონის ფარგლებშია დასაშვები.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის ხმის უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- აქციონერის უფლებები.
- საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოების მიერ აქციონერის საერთო კრებაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან კანონი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ კრძალავს პირის მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით. საერთო კრება სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა, შესაბამისად, მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს აქციონერთა კანონით გარანტირებულ უფლებას. ამასთან, კანონით საზოგადოების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს რა საზოგადოების კრების კომპეტენციას, მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება აქციონერთა ინტერესშია, ვინაიდან კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები აქციონერთა მატერიალურ უფლებებს ეხება. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს კანონმდებლის მიერ საერთო კრების მოწვევის წესისა და პროცედურის იმპერატიული ნორმებით განსაზღვრას. აქციონერთა კრებაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა, ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, პირის უმნიშვნელოვანესი უფლების შეზღუდვაა, რომელიც დაკავშირებულია მის საკუთრებასთან და იგი მხოლოდ კანონის ფარგლებშია დასაშვები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-954-1260-07 (23 იანვარი, 2008 წელი)
მოსამართლეები: მაია სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
შპს-ს არაუფლებამოსილი წარმომადგენელი.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისთვის მათ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაკისრებას. მოპასუხე ამბობდა, რომ მოთხოვნები გაიქვითა, უთითებდა რა მოსარჩელის მხრიდან ვადის გადაცილებაზე და შედარების აქტით ჯარიმის აღიარებაზე. სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ვადის გადაცილება გამოწვეული იყო მოპასუხის (კრედიტორის) ბრალით, ხოლო შედარების აქტი ხელმოწერილი იყო არაუფლებამოსილი პირის (ბუღალტრის) მიერ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მხოლოდ საზოგადოების დირექტორები არიან უფლებამოსილი განახორციელონ შპს-ს წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების ბუღალტერი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი უფლებამოსილების მატარებლად და მის მიერ ხელმოწერილი გარიგება, თუნდაც საზოგადოების ბეჭდით დადასტურებული, არ შეიძლება მივიჩნიოთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- საწარმოს დირექტორი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
მხოლოდ საზოგადოების დირექტორები არიან უფლებამოსილი განახორციელონ შპს-ს წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში. სასამართლოს ეს მოსაზრება გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.1 მუხლიდან, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების ბუღალტერს იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი უფლებამოსილების მატარებლად და მის მიერ ხელმოწერილი შედარების აქტი, თუნდაც საზოგადოების ბეჭდით დადასტურებული, არ შეიძლება მივიჩნიოთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-282-611-07 (22 თებერვალი, 2008 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), მარიამ ცისკაძე (მომხსენებელი), ნუნუ კვანტალიანი

საკვანძო საკითხი:
ფილიალთან დადებული გარიგება.

განჩინების რეზიუმე:
ფილიალის მიერ დადებული გარიგება ცნობილ იქნა ბათილად და მოსარჩელე საწარმოს, უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე, დაუბრუნდა ბანკის მიერ უაქცეპტო წესით ჩამოწერილი თანხა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/978-17

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ფილიალი არ წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს, მიუხედავად იმისა, თუ რა წერია საწარმოს წესდებაში.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ფილიალი.
- კერძო სამართლის სუბიექტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც კერძო სამართლის სუბიექტი. საქმეში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ „ს. რ-ის ბათუმის ტერიტორიული სამმართველო“ იურიდიულ პირად რეგისტრირებული არ ყოფილა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით, იგი არ იყო რეგისტრირებული არც საწარმოს ფილიალად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საწარმოს შეუძლია დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ს. რ-ის ტრანსპორტის დეპარტამენტის ბათუმის ტერიტორიული სამმართველო“ მისი წესდების 1.5 პუნქტის თანახმად წარმოადგენს იურიდიულ პირს, უსაფუძვლოა და მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც სამოქალაქო კოდექსი, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად განსაზღვრავს, რომ მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გარდა, სხვა არცერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არ ჩაითვლება იურიდიულ პირად.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტები (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები).
- კერძო სამართლის სუბიექტი.
- numerus clausus.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24.

სრული განმარტების ციტირება:
საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, მხოლოდ ამავე კანონის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. სხვა არც ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არ ჩაითვლება იურიდიულ პირად.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიდრე კერძო პირი ან საწარმო რაიმე ხელშეკრულებას დადებს სხვა საწარმოსთან, მას შეუძლია მიიღოს კონტრაჰენტის საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია.

განმარტებული საკითხები:
- სამეწარმეო რეესტრის საჯაროობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მათ ვერ მოიძიეს დოკუმენტაცია შპს „ს. რ-ის“ ბათუმის ტერიტორიული სამმართველოს უფლებამოსილების შესახებ და სასამართლოს მიმართეს თხოვნით მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლების თაობაზე. კასატორის ეს მოტივიც მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განამტკიცებს სამეწარმეო რეესტრის საჯაროობას. სადავო თავდებობის ხელშეკრულების დადების დროს – 2002 წლის 28 ივნისისათვის მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 4.4 მუხლის თანახმად ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერები. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიდრე კერძო პირი ან საწარმო რაიმე ხელშეკრულებას დადებს სხვა საწარმოსთან, მას შეუძლია მიიღოს კონტრაჰენტის საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-448-690-08 (05 დეკემბერი, 2008 წელი)
მოსამართლეები: მაია სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ არ დაადგინა საწარმოს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება, თუმცა ხელახლა განსახილველად დააბრუნა საქმე გრძელვადიანი (სესხის) ხელშეკრულების მოშლის ნაწილში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ აღრეულია საზოგადოების ქონება და პარტნიორთა შესატანი. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა საზოგადოებაში შეიტანა ქონება, მაგრამ იგი არ აღირიცხა საზოგადოების ქონებად და დარჩა პარტნიორის საკუთრებაში (თუნდაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით), ეს ჩაითვლება სადავო ნორმაში მითითებული შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად და ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში შეტანილი, მაგრამ საზოგადოების საკუთრებად არ აღრიცხული ქონებიდანაც.

განმარტებული საკითხები:
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- პასუხისმგებლობა შეუტანელი შესატანით.
- ახალი/დამატებითი შენატანები.
- შენატანი კაპიტალში.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 4.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44.

სრული განმარტების ციტირება:
აღნიშნული დავის წარმოშობისას მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მე-3.4 მუხლის თანახმად, შესატანის სრულად შეტანა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, რომელმაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმები ბოროტად გამოიყენა. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი არა. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოების ქონებისა და პარტნიორთა შესატანის აღრევასთან. მოცემულ შემთხვევაში მხარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების საბუღალტრო წიგნები ვერ იქნა მოძიებული და საერთოდ უცნობია ხდებოდა თუ არა საბუღალტრო წარმოება საზოგადოებაში. პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოებაში პარტნიორის მიერ შესატანის შეტანასთან და ამ შესატანის არასწორად აღრიცხვასთან საბუღალტრო წიგნებში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის თანახმად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოისაზღვრება კრედიტორების წინაშე საზოგადოების მთელი ქონებით და

იგი არ შეიძლება გავრცელდეს პარტნიორის საკუთრებაში არსებული მთელ ქონებაზე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ პარტნიორმა საზოგადოებაში შეიტანა ქონება, მაგრამ იგი არ აღირიცხა საზოგადოების ქონებად და დარჩა პარტნიორის საკუთრებაში, (თუნდაც საჯარო რეესტრის ჩაანაწერის მიხედვით) ეს ჩაითვლება სადავო ნორმაში მითითებული შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად და ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში შეტანილი, მაგრამ საზოგადოების საკუთრებად არ აღრიცხული ქონებიდანაც.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ინვესტირებისათვის განკუთვნილი თანხა გადაეცა საზოგადოებას და არანაირად პარტნიორის საკუთრებაში არ გადასულა. ამდენად არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საზოგადოებაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-860-1074-08 (20 იანვარი, 2009 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ლალი ლაზარაშვილი (მომხსენებელი), ნუნუ კვანტალიანი

საკვანძო საკითხი:
აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განჩინების რეზიუმე:
უცვლელად დარჩა აპელაციის გადაწყვეტილება. ბათილად იქნა ცნობილი ოქმი საერთო კრებისა, რომელზეც არ იყო მოწვეული აქციონერი (მოსარჩელე), რის გამოც მისთვის შეუძლებელი გახდა ესარგებლა აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებით.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერის არ მიწვევა (მოსაწვევის არ გაგზავნა დაზღვეული წერილით) წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურისა და აქციონერთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ აქციონერის უფლების უხეშ დარღვევას. ასეთ შემთხვევაში საერთო კრების ოქმის გასაჩივრებაზე ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.
- პარტნიორის მოწვევა საერთო კრებაზე.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
საქმეზე დადგენილია და სადავო არ არის, რომ მოსარჩელე, როგორც საზოგადოების აქციათა 10%-ის მფლობელი აქციონერი, 2000 წლის 15 მაისის აქციონერთა საერთო კრებაზე არ ყოფილა მიწვეული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54.2 მუხლით დადგენილი წესით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), კერძოდ, მას კრებაზე მოსაწვევი არ გაგზავნია დაზღვეული წერილით, რის გამოც სააქციო საზოგადოების მხრიდან უხეშად დაირღვა აქციონერთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა და აქციონერთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ აქციონერის უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ასეთ შემთხვევაში საერთო კრების ოქმის ხანდაზმულობის მიმართ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 15.2 მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადა (კრების ოქმის შედგენიდან) ვერ გავრცელდება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ მოსარჩელეს უნდა შეეტყო აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. თავისთავად ის ფაქტი, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საზოგადოების აქციონერს,

მას აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების უცილობლად შეტყობის ვალდებულებას არ აკისრებს.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობის ვადის დაწყება სამეწარმეო სამართალში.
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 130.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეულ უნდა იქნეს მოთხოვნის წარმოშობის დრო, ანუ როდესაც მ. ც-ძემ შეიტყო 2000 წლის 15 მაისს სს „თ.-ის“ აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ან მას აღნიშნულის შესახებ უნდა შეეტყო. საქმეში წარმოდგენილია სს „თ.-ის“ 18.01.2005წ. წერილი მ. ც-ძისადმი, რომლითაც მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის საფუძველზე გაეგზავნა აღნიშნული დროისათვის მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის, შესატანისა და წილის შესახებ ამონაწერი აქციათა რეესტრიდან (ს.ფ. 6). მ. ც-ძე აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების მისთვის შეტყობის დროდ სწორედ ზემითითებული წერილით ინფორმირების პერიოდს, კერძოდ, 2005 წლის იანვარს ასახელებს. საქმის მასალებით არ დგინდება და არც კასატორს აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მ. ც-ძეს აღნიშნული კრების გადაწყვეტილების შესახებ მანამდე ეცნობა. კასატორი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით, ვერც იმას ასაბუთებს, თუ რატომ უნდა შეეტყო მანამდე მ. ც-ძეს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო თავისთავად ის ფაქტი, რომ მ. ც-ძე წარმოადგენდა საზოგადოების აქციონერს, მას ამის უცილობლად შეტყობის ვალდებულებას არ აკისრებდა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორად განისაზღვრა ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისი – 2005 წლის იანვარი, რის შესაბამისადაც სარჩელი ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 15.1 მუხლის გათვალისწინებით.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერს არ მიწვევა (მოსაწვევის არ გაგზავნა დაზღვეული წერილით), რაც განაპირობებს აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შეუძლებლობას, წარმოადგენს აქციონერის აღნიშნული უფლების უხეშ დარღვევას.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება.
- აქციონერის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 1[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ზემომითითებულმა პროცედურულმა დარღვევამ, თავის მხრივ, განაპირობა მ. ც-ძის,

როგორც საზოგადოების აქციონერის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 59.7 მუხლით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) მინიჭებული არსებითი უფლების – აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შეუძლებლობა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში აქციონერებს აქვთ აქციების უპირატესი შეძენის უფლება მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა ნომინალური ღირებულების პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში აქციონერთა საერთო კრების მ. ც-ძის მიწვევის გარეშე ჩატარებით უხეშად არის დარღვეული მ. ც-ძის, როგორც აქციონერის აღნიშნული უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-959-1161-08 (24 თებერვალი, 2009 წელი)
მოსამართლეები: ნუნუ კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, ლალი ლაზარაშვილი

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) დირექტორისგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას იმ საფუძვლით, რომ მან საზოგადოების ქონების დაკარგვასთან დაკავშირებით სათანადო რეაგირება არ მოახდინა. უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, რადგან, სასამართლოს შეფასებით, მოცემული დავა უნდა გადაწყდეს არა დელიქტის მარეგულირებელი ნორმებით, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონით და მასზე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები უნდა გავრცელდეს.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი უფლება-მოვალეობის ჯეროვანი შესრულების საკითხი და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანთან მიმართებით დირექტორის ბრალეულობა წარმოშობს საზოგადოების წინაშე შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას და უნდა შემოწმდეს არა დელიქტის მარეგულირებელი ნორმებით, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სპეციალური ნორმებით, რომლებიც ასევე ადგენენ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- ერთგულების მოვალეობა.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- დირექტორის მოვალეობები.
- სუბსუმცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1008.

სრული განმარტების ციტირება:
სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1008-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დარღვევაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე სარჩელის საფუძველს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი მოვალეობის დარღვევიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელეები თავიანთ მოთხოვნას ამყარებენ იმ გარემოებაზე, რომ საწარმოს დირექტორმა საწარმოს ქონების დაკარგ-

ვასთან დაკავშირებით სათანადო რეაგირება არ განახორციელა, რაც დირექტორის ფუნქციას წარმოადგენდა.

სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (დავის წარმოშობის დროს მოქმედი რედაქცია), რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას (მე-9, 49-ე მუხლები). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას, რაც რეგლამენტირებულია კანონით. საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას ამ სფეროში, იწვევს იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც განსაზღვრავს დირექტორთა (ხელმძღვანელ პირთა) ქცევის წესს, ანუ დირექტორთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი სპეციალური კანონითაა მოწესრიგებული.

საზოგადოებასთან ურთიერთობაში დირექტორი ვალდებულია, მოქმედებდეს თავისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ანუ მისი კომპეტენცია შეზღუდულია კანონით, წესდებით ან მასთან დადებული შეთანხმებით. ამ წესების დარღვევა წარმოადგენს დირექტორის საზოგადოებასთან მიმართებაში არსებული შიდა ვალდებულებების დარღვევას და წარმოშობს საზოგადოების მხრიდან დირექტორისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი უფლება-მოვალეობის ჯეროვანი შესრულების საკითხი და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანთან მიმართებით დირექტორის ბრალეულობა უნდა შემოწმდეს არა დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმებით, არამედ სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმებით, რომელიც ასევე ადგენს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1007-1205-08 (28 აპრილი, 2009 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი), ლალი ლაზარაშვილი

საკვანძო საკითხი:
ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა აპელაციის გადაწყვეტილება და გაუქმებულ ნაწილში მიიღო ახალი გადაწყვეტილება. სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილ შპს-ში გამგეობის მიერ აქციათა გაუნაწილებელი 30%-ის გასხვისება სასამართლომ მიიჩნია უკანონოდ, რადგან აღნიშნული გარიგება ეწინააღმდეგებოდა საწარმოს წესდებას. კასაციის შეფასებით, დავაზე უნდა გამოყენებულიყო არა 2-თვიანი, არამედ – 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მე-15 მუხლის მეორე ნაწილში მითითებული ხანდაზმულობის ვადა ძირითადად დაკავშირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დანაწესების საფუძველზე განსაზღვრული კრების მოწვევისა და ოქმის შედგენის პროცედურულ საკითხებზე პრეტენზიების წარდგენასთან. თუ მოსარჩელეთა პრეტენზია მიმართულია იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებითაც შეილახა აქციონერთა ქონებრივი უფლებები (მოსარჩელეები მოითხოვენ აქციების არაკანონიერად გადაცემის გაუქმებას), გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 1. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.

სრული განმარტების ციტირება:
დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სარჩელი შპს „კ.-ს“ გამგეობის 1995 წლის 22 აგვისტოს 6 და 1997 წლის 15 სექტემბრის 7 ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე ხანდაზმულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 15.2 მუხლის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა პრეტენზია მიმართულია შპს ფირმა „კ.-ს“ გამგეობის კრების იმ გადაწყვეტილებებზე, რომლითაც შეილახა მათი, როგორც აქციონერთა ქონებრივი უფლებები, ვინაიდან აქცია წარმოადგენს საკუთრების ობიექტს და, შესაბამისად, მასზე უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. ამდენად, აქციონერები პრეტენზიას აცხადებდნენ არა კრების ჩატარების კანონიერებაზე, არამედ ამ კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მათი უფლებების უხეშ დარღვევაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის არა პირველი, არამედ მეორე ნაწილი, როგორც ეს იქნა მითითებული ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 17 ივლისის 3კ/1209-02 და 2006 წლის 24 მარტის ას-415-788-05 განჩინებებით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1.1 მუხლი განსაზღვრავს ამ კანონის მოქმედების სფეროს. კანონი არ არეგულირებს მთლიანად სამეწარმეო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ ყველა ურთიერთობას. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი შემოიფარგლება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით. აქედან გამომ-

დინარე, მე-15 მუხლის მეორე ნაწილში მითითებული ხანდაზმულობის ვადა ძირითადად დაკავშირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დანაწესების საფუძველზე განსაზღვრული კრების მოწვევისა და ოქმის შედგენის პროცედურულ საკითხებზე პრეტენზიების წარდგენასთან. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეები სადავოდ მიიჩნევენ არა სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობას, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სარჩელის მოთხოვნა (დავის საგანი) ქონებრივი ხასიათისაა და მოსარჩელეები – სააქციო საზოგადოების აქციონერები, ითხოვენ დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენას – არაუფლებამოსილი პირის (გამგეობის) მიერ დადებული გარიგების (გადაწყვეტილების) საფუძველზე განხორციელებული აქციების არაკანონიერად გადაცემის გაუქმებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1111-1264-08 (25 ივნისი, 2009 წელი)
მოსამართლეები: მაია სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, როზა ნადირიანი

საკვანძო საკითხი:
მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის პოზიცია იმის შესახებ, რომ დივიდენდის დაკისრების მოთხოვნაზე მოპასუხეს არა საზოგადოება, არამედ პარტნიორთა საერთო კრება უნდა წარმოადგენდეს. გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – წლიური შედეგების შეჯამების შემდეგ შესაძლებელია იმ ინფორმაციის მიღება, თუ რამდენად მომგებიანი იყო საზოგადოების საქმიანობა გასული წლისათვის და სწორედ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დაისვას მოგების განაწილების საკითხი.

განმარტებული საკითხები:
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- წლიური შედეგების დამტკიცება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 5.თ.

სრული განმარტების ციტირება:
კასატორის მითითებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-9[1] მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-8 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე შპს-ს პარტნიორს უფლება არ აქვს წლიური წმინდა მოგების მოთხოვნა წაუყენოს საზოგადოებას, როცა მას უკვე შესრულებული აქვს წლიური ანგარიში (ბალანსი). აღნიშნული მოსაზრება საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით არ შეიძლება გაზიარებული იქნეს. მე-8 მუხლში მითითებულია პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაზე დაადგინოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. მე-9[1] მუხლის მე-5 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში საუბარია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე დაამტკიცოს წლიური შედეგები, ხოლო მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაზე მიიღოს გადაწყვეტილებები დირექტორების დანიშვნის და გამოწვევის თაობაზე, მათი ანგარიშების დამტკიცებაზე და ა. შ. კასატორის მითითებული ნორმათა ანალიზიდან არ იკვეთება კასატორის მიერ მითითებული მოსაზრება. სწორედ წლიური შედეგების შეჯამების შემდეგ შესაძლებელია იმ ინფორმაციის მიღება, თუ რამდენად მომგებიანი იყო საზოგადოების საქმიანობა გასული წლისათვის და სწორედ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დაისვას მოგების განაწილების საკითხი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდის დაკისრების მოთხოვნაზე სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს საწარმო და არა საწარმოს საერთო კრება. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას დივიდენდის განაწილებაზე. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება კი უნდა შეასრულოს საზოგადოებამ.

განმარტებული საკითხები:
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

სრული განმარტების ციტირება:
რაც შეეხება დივიდენდების განაწილებას, აღნიშნული საკითხი მართლაც პარტნიორთა კრების გადასაწყვეტია. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პარტნიორთა კრებამ დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო, ამ გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს საზოგადოებამ და არა პარტნიორებმა, როგორც ამას უთითებს კასატორი. პარტნიორები ახორციელებენ მმართველობით უფლებამოსილებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების საქმიანობას კი ხელმძღვანელობს დირექტორი ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად. ანალოგიურად წესრიგდებოდა აღნიშნული საკითხები დავის არსებობისას ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებითაც. ამდენად საზოგადოებისათვის თანხის გადახდის დაკისრება არ გულისხმობს საზოგადოების ადმინისტრაციისათვის თანხის დაკისრებას. როდესაც თანხის გადახდა ეკისრება საზოგადოებას, გადახდევინება ხდება არა ადმინისტრაციის, არამედ საზოგადოების ქონებიდან.

კასატორი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ წლიური მოგება განაწილებულია პარტნიორთა შორის და აღნიშნულის თაობაზე არ დავობს არცერთი პარტნიორი და თუ რომელიმე პარტნიორმა დივიდენდი ვერ მიიღო, კასატორის აზრით, იგი უნდა ედავოს პარტნიორთა კრებას და არა საზოგადოებას. აღნიშნულ მოსაზრებას პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან სხვა პარტნიორთა მიერ დივიდენდის მიღების ფაქტი გულისხმობს იმას, რომ პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება განაწილებულიყო დივიდენდი პარტნიორებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია განხორციელდეს ასეთი აქტი. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შესრულება კი უნდა მოახდინოს საზოგადოებამ, მისი ხელმძღვანელი და სათანადო თანამდებობის პირების მეშვეობით (იგულისხმება ბუღალტერი მოლარე და ა. შ.) იმ შემთხვევაში კი, თუ დივიდენდი გაიცა სხვა პარტნიორებზე, იგი უნდა გაცემულიყო ბათუმის მერიაზეც.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-75-408-09 (02 ივლისი, 2009 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), როზა ნადირიანი, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის დავა საწარმოსთან და თანაპარტნიორთან.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა საწარმოს საკუთრებიდან უძრავ-მოძრავი ქონების გამოყოფას, მორალური ზიანის ანაზღაურებას, საწარმოს სახელით ვალდებულების შესრულებას და მიუღებელი დივიდენდის გადახდის დაკისრებას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-451-423-2017, №ას-1141-2018, №ას-863-813-2015, №2ბ/5111-14

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორისათვის წილის შესაბამისად საწარმოს საკუთრებიდან უძრავ-მოძრავი ქონების გამოყოფის შესაძლებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის და აღნიშნული მოთხოვნა არ შეიძლება გაიგივდეს საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად საწარმოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ გაყოფის შესაძლებლობასთან.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს რეორგანიზაცია.
- საწარმოს გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).
- კანონის ანალოგია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[4]. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
დ. ხ-ის მოთხოვნა, მისი წილის პროპორციულად შპს „ს-ან“ უძრავ-მოძრავი ქონების გამოყოფის თაობაზე, უსაფუძვლოა.

აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლად დ. ხ-ე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-13 პუნქტს მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული მუხლი საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევებს აწესრიგებს და დ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებული არ არის. რაც შეეხება პარტნიორისათვის წილის შესაბამისად საწარმოს საკუთრებიდან უძრავი ქონების გამოყოფას, აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, კასატორის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეწარმეო საზოგადოება და მისი პარტნიორი სხვადასხვა სუბიექტებს წარმოადგენენ. პარტნიორს საზოგადოების მიმართ არსებული დავალიანების გადახდის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.

სრული განმარტების ციტირება:
სამეწარმეო საზოგადოება და მისი პარნტიორი სხვადასხვა სუბიექტებს წარმოადგენენ. მოცემულ შემთხვევაში საუბარია შპს „ს-ეს“ მიმართ არსებულ დავალიანებაზე და შესაბამისად, აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორი შპს „ს-ეა“, ამდენად, მან თავად უნდა მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. პარტნიორს კი, როგორც ფიზიკურ პირს, საზოგადოების მიმართ არსებული დავალიანების გადახდის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდის მოთხოვნა ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან წარმოშობილ პრეტენზიად და მასზე გავრცელდება არა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, არამედ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 128. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. განსახილველ შემთხვევაში საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებაზე – კერძოდ კი, შემძენის მიერ ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდაზე. აღნიშნული კი ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან წარმოშობილ პრეტენზიად. სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება და მათზე ამავე კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება.

როგორც საქმიდან ირკვევა, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება 2001 წლის 5 აპრილსაა დადებული. დ. ხ-ემ კი სარჩელი 2008 წლის 13 მაისს აღძრა, ე. ი. სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული 3-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებზე ერთმანეთის ან მესამე პირების წინაშე პასუხს არ აგებენ.

განმარტებული საკითხები:
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
- საწარმოს პარტნიორის მოვალეობები.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

სრული განმარტების ციტირება:
დ. ხ-ე 2001-2007 წლებში მიუღებელი დივიდენდების შპს „ს-სა“ და შპს „მ-ის“ სოლიდარულად დაკისრებას მოითხოვდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში შპს „მ.“ არასათანადო მოპასუხედ მართებულად მიიჩნია. შპს „მ.“ შპს „ს-ეს“ ერთ-ერთ პარნტიორია. საზოგადოების პარტნიორები კი საზოგადოების ვალდებულებებზე ერთმანეთის ან მესამე პირების წინაშე პასუხს არ აგებენ. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომლის მიხედვითაც, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოაგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით პარტნიორი აღირიცხება წილის მესაკუთრედ, იმ საფუძვლით რომ მისი საზოგადოებიდან გარიცხვა უკანონოდ მოხდა, იგი ჩაითვლება აღდგენილ პარტნიორად და მას გააჩნია უკანონო გარიცხვის პერიოდისთვის დივიდენდების მიღების/მოთხოვნის უფლება.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- საწარმოს პარტნიორი.
- პარტნიორის გარიცხვა.
- საწარმოს პარტნიორად აღდგენა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ დ. ხ-ეს 2001-2007 წლებში დივიდენდების მიღების უფლება არ გააჩნდა, რადგანაც იგი შპს „ს-ეს“ პარტნიორად 2007 წელს აღირიცხა.

როგორც საქმიდან ირკვევა, 2002 წლის 15 ივლისს შპს „ს-ეს“ პარტნიორთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება დ. ხ-ის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში შევიდა ცვლილება და წილები დარჩენილ პარტნიორებს შორის გადანაწილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით კი, ცვლილება შევიდა შპს „ს-ეს“ სამეწარმეო რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემებში და დ. ხ-ე აღირიცხა 25%-იანი წილის მესაკუთრედ.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილებით დ. ხ-ე პარტნიორად კი არ იქნა აღდგენილი, არამედ მხოლოდ 25%-იანი წილის მესაკუთრედ აღირიცხა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დ. ხ-ე 25%-იანი წილის მესაკუთრედ იმ საფუძვლით აღრიცხა, რომ მისი საზოგდოებიდან გარიცხვა უკანონოდ მოხდა. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში განმარტა, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მეწარმეთა შესახებ კანონის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციის მე-3.5 მუხლის საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში კი აუცილებელია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მხოლოდ პარტნირთა კრების გადაწყვეტილება საკმარისი არ არის. სასამართლოს პოზიციით, ამ შემთხვევაში პარტნიორების სასამართლოსათვის უნდა მიემართათ დ. ხ-ის საზოგადოებიდან გარიცხვის მოთხოვნით, აღნიშნული კი არ განხორციელებულა, ხოლო ვინაიდან არ არსებობდა გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, დ. ხ-ე სამეწარმეო რეესტრში 25%-იანი წილის მესაკუთრედ უნდა აღრიცხულიყო. ამდენად, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, მართალია, შპს „ს-ეს“ პარტნიორთა კრების 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება ბათილად არ ყოფილა ცნობილი, მაგრამ დადგინდა, რომ მას არ გააჩნდა სამართლებრივი ძალა, შესაბამისად, დ. ხ-ე საზოგადებიდან გარიცხულად ვერც ჩაითვლება და მას დივიდენდების მიღების უფლება გააჩნია.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დივიდენდების მოთხოვნის უფლება დ. ხ-ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდების გაცემის გზით განხორციელდა.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდი.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

დ. ხ-ეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა თუ დამტკიცდებოდა, რომ შპს „ს-ეს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მოხდა დივიდენდების განაწილება და მას, როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და საწარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-131-461-09 (27 ივლისი, 2009 წელი)
მოსამართლეები: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე), ლალი ლაზარაშვილი (მომხსენებელი), ნუნუ კვანტალიანი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელეები ითხოვდნენ გამოსასყიდ აქციათა განაწილების შესახებ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. საქმე სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად, რადგან, კასაციის შეფასებით, განჩინება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული და რჩება რიგი გამოსარკვევი საკითხები.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ არსებითი ხასიათის უხეში პროცედურული დარღვევა, ხოლო ასეთს არ წარმოადგენს რიგგარეშე კრების რამდენიმე დღის დაგვიანებით მოწვევა იმავე საკითხზე, რომელიც აქციონერთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.
- შიდაკორპორაციული პროცედურები.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 3[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ არსებითი ხასიათის უხეში პროცედურული დარღვევა, ხოლო ასეთს არ წარმოადგენს რიგგარეშე კრების რამდენიმე დღის დაგვიანებით მოწვევა იმავე საკითხზე, რაც აქციონერთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამასთან, თუკი დღის წესრიგის ფორმულირება არ იქნებოდა აქციონერთათვის მისაღები, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია ასეთ შემთხვევაში იძლეოდა აქციონერთა მიერ დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო დირექტორისათვის განმარტებების, შენიშვნების, მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას (მუხ. 53.3.1), რაზედაც მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალები არ მიუთითებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1481-09 (28 სექტემბერი, 2009 წელი)
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე (თავმჯდომარე), ზოია კვარაცხელია, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე საწარმო ითხოვდა მის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და უძრავი ქონების მიკუთვნებას იმ საფუძვლით, რომ უძრავი ქონების გასხვისებაზე პარტნიორთა კრებას არ განუცხადებია თანხმობა. სასამართლომ დაადგინა, რომ უძრავი ქონების გასხვისებაზე თანხმობა საწარმოს 50% წილის მქონე პარტნიორმა განაცხადა წერილობით, ხოლო დანარჩენი 50% წილის მქონე პარტნიორმა, რომელიც ამავე დროს საწარმოს დირექტორია, ხელი მოაწერა ნასყიდობის ხელშეკრულებას. სასამართლომ აღნიშნული მოქმედებები გაუთანაბრა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა გადაწყვეტილებების მიღების წესდებით გათვალისწინებული პროცედურის დაუცველობა არ გამოიწვევს პარტნიორთა შეთანხმების უარყოფას, თუ არ შელახულა არც ერთი პარტნიორის უფლება, იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 1.,2.,8.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საქმეში არსებული საზოგადოების წესდების 10.1. პუნქტის შესაბამისად (ტ.1. ს/ფ 92), პარტნიორთა გადაწყვეტილებები მიიღება, როგორც წესი, პარტნიორთა კრებაზე. წესდების 10.2. პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნას კრების გარეშეც. კრების გარეშე მიღებული გადაწყვეტილებებისათვის, დირექტორის მიერ უნდა მომზადდეს ოქმი, რომელშიც მიეთითება გადაწყვეტილების მიღების ფორმა, დღე, გადაწყვეტილების შინაარსი და კენჭისყრის შედეგები, ოქმის ასლები დაეგზავნება ყველა პარტნიორს.

პალატა თვლის, რომ საზოგადოების წესდების 10.2. პუნქტში დასახელებული პროცედურის დაუცველობა განსახილველ შემთხვევაში არ გამოიწვევს პარტნიორთა შეთანხმების უარყოფას, იმდენად რამდენადაც 10.2. პუნქტით გათვალისწინებულია ყველა პარტნიორის უფლება, იყოს სრულად ინფორმირებული კრების მოწვევის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი მიღების დეტალების თაობაზე, კონკრეტულ შემთხვევაში კი ამგვარი პროცედურის დაუცველობით (ოქმის შედგენა, სხვა პარტნიორებისთვის მისი დაგზავნა და ა. შ.) არ შელახულა არც ერთი პარტნიორის უფლება, იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა პარტნიორთა კონსენსუსის შედეგად, რაც იგივე სამართლებრივ შედეგს წარმოშობს, რასაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – როდესაც საზოგადოებას ჰყავს 2 პარტნიორი, რომელთაგან ერთი ნოტარიუსთან ავლენს საზოგადოების ქონების გასხვისების ნებას, ხოლო მეორე (რომელიც ამავე დროს საზოგადოების დირექტორია) ხელს აწერს ნასყიდობის ხელშეკრულებას, აღნიშნული მოქმედებები უთანაბრდება საზოგადოების კრების გადაწყვეტილებას.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- კრების ოქმის ტოლფასი ყველა პარტნიორის წერილობითი თანხმობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 8.

სრული განმარტების ციტირება:
საქმეში წარმოდგენილია სადავო ხელშეკრულებაზე თანდართული შემდეგი დოკუმენტაცია (ტ.1.ს/ფ27-31): ბარი „ე.-ს" შრომით კოლექტივთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, შპს „ე.-ს" ცნობა დახასიათება ტექბიუროდან, ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან შპს „ე.-ს" ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ, 1995 წლის 04 ნოემბრის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №23-587-პ, ს. ნ.-ს თანხმობა, რომლითაც იგი ს. ფ.-ს აძლევს არასაცხოვრებელი ფართიდან – 145 კვ.მეტრიდან 17 კვ.მეტრის ფართის ვ. წ.-ზე გასხვისების უფლებას.

სადავო არაა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების დროს საზოგადოებას ჰყავდა 2 პარტნიორი, რომელთაგან ერთ-ერთმა – ს. ნ.-მ – ნოტარიუსთან გამოავლინა ნება საზოგადოების ქონების გასხვისებაზე, ხოლო მეორემ – ს. ფ.-მ ნოტარიუსთან ხელი მოაწერა ნასყიდობის ხელშეკრულებას. პალატის მოსაზრებით, აღნიშნული მოქმედებები ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივად უთანაბრდება საზოგადოების კრების გადაწყვეტილებას, იმდენად რამდენადაც სახეზეა ორივე პარტნიორის შეთანხმება, – ს. ნ.-ს თანხმობა ერთის მხრივ, და ს. ფ.-ს, როგორც მეორე პარტნიორის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით გამოვლენილი თანხმობა საზოგადოების ქონების გასხვისებაზე. უდავოა, რომ ს. ფ. იმავდროულად იყო საზოგადოების დირექტორი, ანუ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-899-1185-09 (26 მარტი, 2010 წელი)
მოსამართლეები: თეიმურაზ თოდრია (თავმჯდომარე), ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი), ლალი ლაზარაშვილი

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი იყო სააქციო საზოგადოების დირექტორის არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, დირექტორი არ გამოცხადდა საზოგადოების წინააღმდეგ მიმდინარე შრომით დავაზე, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. საკასაციო სასამართლოს გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად, რადგან მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ზიანის ცნებას სამეწარმეო სამართალი არ იცნობს. შესაბამისად, გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ზიანის ანაზღაურების წესს. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას უტყუარად და კუმულაციურად უნდა დადგინდეს (1) თვით ზიანი, (2) მართლსაწინააღმდეგო ქმედება, (3) ბრალი და (4) მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56.

სრული განმარტების ციტირება:
ზიანის ცნებას სამეწარმეო სამართალი არ იცნობს, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომელიც აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების წესს. ზიანის ანაზღაურების წესზე სამოქალაქო კოდექსის დანაწესების ანალიზიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებისთვის, როგორც წესი, 0.აუცილებელია ოთხი კომპონენტის არსებობა: თვით ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის. ამდენად, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზემოაღნიშნული ოთხივე წინაპირობის არსებობა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა კანონით პირდაპირ დაკისრებული აქვს დირექტორს, მისი ამ საქმიანობის სათანადოდ განუხორციელებლობა არ გამორიცხავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სოლიდარულ პასუხისმგებლობას უმოქმედობისათვის, თუკი მისთვის ცნობილი იყო დირექტორის არამართლზომიერი ქმედების თაობაზე.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოების დირექტორს, როგორც ხელმძღვანელ ორგანოს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით, თუმცა, ამავდროულად, საზოგადოების ინტერესები და უფლებები დაცულია არა მხოლოდ დირექტორის, არამედ სააქციო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ორგანოების (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო) კანონშესაბამისი ხელმძღვანელობითი და მაკონტროლირებელი საქმიანობით. უდავოა, რომ სააქციო საზოგადოების დირექტორს თავის მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ, ამავდროულად, დავის შემთხვევაში ზუსტად უნდა გაირკვეს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც მოჰყვა უშუალოდ ზიანი.

საგულისხმოა, რომ კანონი ითვალისწინებს რა დირექტორის პასუხისმგებლობას ვალდებულების დარღვევისათვის, ამავდროულად ადგენს სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც იმ უფლებამოსილი პირების – სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ, თუკი ისინი დირექტორებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებულ არამართლზომიერ ქმედებაში. კანონი სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს განიხილავს, როგორც საზოგადოების ძირითადი ორგანოს, ამომწურავად განსაზღვრავს მის კომპეტენციას და სხვა მის მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად სწორედ მას აკისრებს საზოგადოების დირექტორების დანიშვნისა და მათი გამოწვევის უფლებამოსილებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა კანონით პირდაპირ დაკისრებული აქვს დირექტორს, მისი ამ საქმიანობის სათანადოდ განუხორციელებლობა არ გამორიცხავს სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობას უმოქმედობისათვის, თუკი მისთვის ცნობილი იყო დირექტორის არამართლზომიერი ქმედების თაობაზე.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორის არამართლზომიერი ქმედება ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე. წ. კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული), ხოლო მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის მოვალეობები.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორის არამართლზომიერი ქმედება ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე. წ კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებუ-

ლი), ხოლო მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა ვალდებულების დარღვევაა და საწარმოს დირექტორმა პასუხი უნდა აგოს ამ მოქმედებისათვის, თუმცა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ზიანი მიადგა საზოგადოებას. ამასთან, უტყუარად უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალის არსებობაც.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლოს უტყუარად არ დაუდგენია ზიანის არსებობის ფაქტი. როგორც ირკვევა, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია სააქციო საზოგადოებაში მომუშავე პირთა მოთხოვნები მიუღებელი ხელფასების, სამივლინებოდ და საშვებულებო თანხების ანაზღაურების თაობაზე. საზოგადოება განსახილველი სარჩელით აღიარებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც 12600 ლარის გადახდაა დაკისრებული, 1000 ლარის დაკისრების ნაწილში არ არის სწორი. ამავე სარჩელით საზოგადოება უარყოფს და ზიანად მიიჩნევს 11915 ლარის დაკისრებას იმ საფუძვლით, რომ მას გააჩნდა სათანადო მტკიცებულებები გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების არარსებობის თაობაზე. სააპელაციო პალატამ ისე გაიზიარა სარჩელის ეს საფუძველი, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რა მტკიცებულებებს ეყრდნობა სასამართლოს რწმენა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების არარსებობის თაობაზე. ამავდრულად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი დირექტორის მიერ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა ვალდებულების დარღვევაა და მან პასუხი უნდა აგოს ამ მოქმედებისათვის, თუმცა იმ ფარგლებში, რა ფარლებშიც ზიანი მიადგა საზოგადოებას. ამასთან, უტყუარად უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალის არსებობაც.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორის არაკეთილსინდისიერად ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი მას ეკისრება, ვინც ეჭვქვეშ აყენებს მის კეთილსინდისიერებას.

განმარტებული საკითხები:
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
- კეთილსინდისიერების პრეზუმფცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102.

სრული განმარტების ციტირება:

დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ საზოგადოების დირექტორის ვალდებულებაა, კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერად ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი იმ მხარეზეა, ვინც ეჭვქვეშ აყენებს სხვის კეთილსინდისიერებას, რადგან ივარაუდება, რომ ყველა ქცევა კეთილსინდისიერია (კეთილსინდისიერების პრეზუმფცია).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1234-1493-09 (10 ივნისი, 2010 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე), თეიმურაზ თოდრია (მომხსენებელი), მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო, რომელშიც სახელმწიფოს წილი 50%-ზე მეტია) მოითხოვდა მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულების ბათილად აღიარებას იმ საფუძვლით, რომ სახელმწოფო ქონების მართვის სამინისტროს არ გაუცია შესაბამისი ნებართვა, არ არსებობდა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება და გარიგება არ იყო დამოწმებული სანოტარო წესით. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნებართვის ნაცვლად შესაძლებელია მოწონება, დასადგენია კონტრაჰენტის კეთილსინდისიერება და სანოტარო ფორმა არ იყო სავალდებულო. საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობა კანონით გათვალისწინებულ რიგ საკითხებთან მიმართებაში მიუთითებს დირექტორის (დირექტორატის) შეზღუდვის ინსტიტუტზე. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობა წარმოადგენს კორპორაციული მართვის ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის მკაცრ რეგლამენტაციას. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა წარმოადგენს ამ ორგანოს არა ვალდებულებას, არამედ უფლებას და ემსახურება საზოგადოების კორპორაციულ მართვას. დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად, ამ უკანასკნელის მიერ იმ გარიგების დადება, რომლის უფლებამოსილებაც მას არ გააჩნდა, მესამე პირის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი არაკეთილსინდისიერია – იცოდა ამ შეზღუდვის შესახებ – ან საზოგადოების წარმომადგენელი და კონტრაჰენტი მოქმედებდნენ განზრახ. სხვა შემთხვევაში, კომპეტენციათა გამიჯვნის სამართლებრივი რეგლამენტაციის დარღვევა იწვევს საზოგადოების შიგნით არსებულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამაც გავლენა არ უნდა მოახდინოს კეთილსინდისიერ კონტრაჰენტზე.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.
- სამეთვალყურეო საბჭო.
- შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა.
- კეთილსინდისიერი კონტრაჰენტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.,8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 8.

სრული განმარტების ციტირება:
რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების არსებობა-არარსებობის საკითხს, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების აუცილებლობა კანონით გათვალისწინებული რიგი საკითხებთან მიმართებაში მიუთითებს დირექტორის (დირექტორატის) შეზღუდვის ინსტიტუტზე, კერძოდ, სადავო ხელშეკრულებების დროს მოქმედი (2002 წლის რედაქციით) „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 55.9 მუხლის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, განსხვისება, დატვირთვა ან იჯარით გა-

ცემა. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს კორპორაციული მართვის ცალკეული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის მკაცრ რეგლამენტაციას, რომლითაც რეგულირდება საზოგადოების შიგნით მართვის ორგანოთა უფლება, ვალდებულებების საკითხი. ამდენად, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა წარმოადგენს ამ ორგანოს არა ვალდებულებას, არამედ უფლებას, რომელიც ემსახურება საზოგადოების კორპორაციულ მართვას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესით საზოგადოების ხელმძღვანელის (დირექტორის) უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად, ამ უკანასკნელის მიერ იმ გარიგების დადება, რომლის დადების უფლებამოსილება მას არ გააჩნდა, მესამე პირის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეზღუდვის შესახებ იცოდა კონტრაჰენტმა ან, როცა საზოგადოების წარმომადგენელი და კონტრაჰენტი მოქმედებდნენ განზრახ („მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქციის) 9.5 მუხლი). აღნიშნული ნორმით დაცულია საზოგადოების ინტერესები და, როგორც აღინიშნა, ამ დაცვითი მექანიზმის ამოქმედებისათვის აუცილებელია არსებობდეს კონტრაჰენტის არაკეთილსინდისიერების ფაქტი. სხვა შემთხვევაში, იმ დროს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საზოგადოების ისეთი შიდა საკორპორაციო მართვის ორგანოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის სამართლებრივი რეგლამენტაციის დარღვევა, როგორიცა საზოგადოების წარმომადგენლობასა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები, იწვევს საზოგადოებაში შიგნით არსებული სამართლებრივი პასუხისმგებლობას, რამაც გავლენა არ უნდა მოახდინოს კეთილსინდისიერ კონტრაჰენტზე. ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო შპს „ენ.-ი" სადავო ხელშეკრულების დადების დროს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის არსებობა-არარსებობასთან მიმართებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-764-715-2010 (18 აპრილი, 2011 წელი)
მოსამართლეები: პაატა ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ვასილ როინიშვილი, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა საზოგადოებიდან პარტნიორის (იგივე ყოფილი დირექტორის) გარიცხვას და გაუნაწილებელი მოგების დაბრუნებას. I და II ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი არ დააკმაყოფილეს. გარიცხვაზე უარის ნაწილში კასაციამ გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი, ხოლო გაუნაწილებელი მოგების დაკისრების ნაწილში დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი – საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერება უნდა დაემტკიცებინა არა მოსარჩელეს (საზოგადოებას), არამედ მოპასუხეს (ყოფილ დირექტორს).

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1056-990-2012

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ეკისრება იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ პარტნიორთა კრება განმეორებით იყო მოწვეული და, რომ აღნიშნულის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობა საზოგადოების პარტნიორს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.
- კრების ხელახლა მოწვევა.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 1.,2.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 103. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. დასახელებულ ნორმათა დანაწესიდან გამომდინარე, კასატორებს ეკისრებოდათ იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ 2009 წლის 24 მარტის №X კრება განმეორებით იყო მოწვეული და, რომ აღნიშნულის თაობაზე კანონით დადგენილი წესით ეცნობა საზოგადოების პარტნიორს მ. ხ-ს.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების მტკიცების ტვირთი აკისრია საზოგადოების (ყოფილ) დირექტორს და არა საზოგადოებას. საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას

დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებაში და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულებები საწარმოს გაუნაწილებელი მოგების მოპასუხის მიერ პირადი საჭიროებისათვის გახარჯვის თაობაზე, ამიტომ სარჩელი ამ ნაწილში დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს აღნიშნულ მსჯელობას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის, კერძოდ, საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოსარჩელეს (საზოგადოებას), მაშინ როცა ეს გარემოება მოპასუხეს (საზოგადოების ყოფილ დირექტორს) უნდა ემტკიცებინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადაო საკითხი ეხება საზოგადოების წინაშე ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობას, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ საწარმოს მოგების დაუსაბუთებელ ხარჯვას და ამით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას. სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე. ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო პერიოდში საწარმოს ჰქონდა მოგება, რომელიც გახარჯულია. საწარმოში მოგების არსებობის და მისი გახარჯვის ფაქტს არც მოპასუხე მ. ხ. უარყოფს, მაგრამ მისი შესაგებელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სადავო თანხით მოხდა საწარმოში რემონტის ჩატარება და საწარმოს საქმიანობისათვის ავტონაწილების შეძენა (ტომი 3, ს.ფ. 103-104). ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი კი ეკისრება მოპასუხეს (საზოგადოების ყოფილ დირექტორს) და არა მოსარჩელეს. სწორედ საზოგადოების ყოფილმა დირექტორმა უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომ საწარმოს მოგება მან დახარჯა არა პირადი საჭიროებისათვის, არამედ – მართლზომიერად, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის იმ გარემოების დამტკიცების ტვირთის დაკისრება, რომ საზოგადოების ყოფილმა დირექტორმა მოგება არა საზოგადოების, არამედ პირადი მიზნებისათვის გამოიყენა (დახარჯა). როგორც ითქვა, ეს გარემოება მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ზემოხსენებული გარემოება, ვინაიდან ეს მისი მტკიცების ტვირთი არ იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/887-11 (10 მაისი, 2011 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (შპს) მოითხოვდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულებას, განეხორციელებინა საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია. დადგინდა, რომ დამატებითი შენატანის შეუტანლობის გამო საწარმოს 25 პარტნიორიდან გაირიცხა 24 პარტნიორი. სასამართლოს შეფასებით, დარღვეული იყო გარიცხვის შესახებ შპს-ს წესდებით გათვალისწინებული პროცედურა. სასამართლომ განმარტა, რომ შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევის გამო გარიცხვისთვის აუცილებელია სასამართლოსთვის მიმართვა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მიუხედავად ტერმინოლოგიური სხვაობისა, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, თავისი შინაარსობრივი დატვირთვითა და სამართლებრივი შედეგებით, უთანაბრდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას. პარტნიორთა გარიცხვის საკითხის მოწესრიგება (პროცედურის განსაზღვრა) საზოგადოების წესდებით დასარეგულირებელ საკითხთა წრეს განეკუთვნება. პარტნიორის გარიცხვის შედეგად საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას წინ უნდა უძღოდეს (1) წესდების დაცვით მიღებული საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ და (2) ამ გადაწყვეტილების საფუძველზე საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებელი იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიცხვის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას ეთანხმება ყველა პარტნიორი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- ახალი/დამატებითი შენატანები.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- წილის დაკარგვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 4[1].,7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტები 5.ბ.,6.გ.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „ი. 2000“-ის დამფუძნებელთა კრების სხდომას, რომელიც 2010 წლის 30 იანვარს გაიმართა, ესწრებოდნენ საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორებიდან 76%-ი ხმის უფლების მქონე პარტნიორები. აღნიშნულ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 10 000 ლარით გაზრდის თაობაზე. აღნიშნული თანხა თითოეულ პარტნიორს, თავისი წილის პროპორციულად, 2010 წლის პირველ მაისამდე უნდა შეეტანა. პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე იმ პარტნიორების ინფორმირების ფაქტი, რომლებიც 2010 წლის 27 ივლისის დამფუძნებელთა კრების სხდომას არ ესწრებოდნენ. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნული პარტნიორებისათვის შენატანის შეტანის მიზნებისათვის ძირითადი 5 თვიანი ვადის თაობაზე შეტყობინების გაკეთების ფაქტი. მხარეთა ახსნა განმარტებებითა და საქმის მასალე-

ბით დასტურდება მხოლოდ ყველა პარტნიორისათვის დამატებით 2 თვიანი ვადის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ფაქტი (ტ. I, ს.ფ. 40). პალატა შპს „ი. 2000“-ის წესდების ზემოხსენებული პუნტებიდან გამომდინარე სავალდებულოდ მიიჩნევს პარტნიორებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტს და მათთვის პარტნიორთა წილის გაზრდის თაობაზე ძირითადი და დამატებითი ვადის განსაზღვრას. ამდენად, პალატა იზიარებს ამ მიმართებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პარტნიორთა გარიცხვა არ შეესაბამდებოდა ამავე საზოგადოების წესდებით განსაზღვულ პროცედურას.

შპს „ი. 2000“-ის წესდების მე-3 პუნქტის მე-18 ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პარტნიორი ამ ვადაშიც არ შეიტანს შენატანებს, პარტნიორთა კრებას შეუძლია გარიცხოს იგი საზოგადოებიდან. პალატა მიიჩნევს, რომ საზოგადოების წესდების აღნიშნული ფორმულირება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ყველა პარტნიორი ინფორმირებული უნდა იყოს შენატანის განხორციელებისათვის დადგენილი როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ვადის თაობაზე. გარდა ამისა, წესდების აღნიშნული პუნქტი, მართალია, იძლევა წილის შენატანის შეუტანლობის გამო პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შესაძლებლობას, თუმცა, იმპერატიულად ასახელებს საამისოდ უფლებამოსილ ორგანოს – პარტნიორთა კრების სახით. ამავე წესდების მე-7 პუნქტის მე-11 ქვეპუნქტის მიხედვით კი კრება, ჩვეულებრივ, გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის მუშაობაში მონაწილე დამფუძნებლები ხმათა საერთო რიცხვის უმეტესობას ფლობენ. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ დამატებითი შენატანი 25 პარტნიორიდან მხოლოდ ერთმა პარტნიორმა, შპს „სა.-მ“ შეიტანა. ამდენად, დანარჩენმა პარტნიორებმა, რომლებმაც 2010 წლის 27 ივლისის სხდომაზე პარტნიორთა კრების მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, გადაწყვეტილება მიიღეს და საზოგადოებიდან საკუთარი თავი გარიცხეს, მაშინ, როდესაც, შპს „ი. 2000“-ის წესდების მე-7 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღება შეეხება უშუალოდ ამა თუ იმ პარტნიორის ინტერესებს, ეს პარტნიორი ამ საკითხის კენჭისყრაში არ მონაწილეობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი საწესდებო კაპიტალის ნახევრის ან მეტის მფლობელია. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ ამ მიმართებითაც წინააღმდეგობრივია პარტნიორთა გარიცხვის ფორმა შპს „ი. 2000“-ის წესდებით გათვალისწინებულ რეგულაციებთან.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას, თუმცა, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, თავისი შინაარსობრივი დატვირთვითა და სამართლებრივი შედეგებით, უთანაბრდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ტერმინოლოგიური სხვაობისა, აღიშნული მუხლის შესაბამისი პუნქტი სწორედ რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხს არეგულირებს შენატანის სრულად ან ნაწილობრივ შეუტანლობის შემთხვევაში. ნიშანდობლივია, რომ ამავე მუხლით საზოგადოებიდან პარტნიორთა გარიცხვის საკითხის მოწესრიგება საზოგადოების წესდებით დასარეგულირებელ საკითხთა წრეს განეკუთვნება. ამდენად, კანონი ირიბი ფორმულირებით, თუმცა მაინც, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას დასაშვებად მიჩნევს. იგივე მოწესრიგებას შეიცავს, განსახილველ შემთხვევაში, შპს კომპანია „ი. 2000“-ის წესდება. დღის წესრიგში დგას იმ საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება, თუ რა გზით უნდა მოხდეს საზოგადოების პარტნიორის გარიცხვა, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, აღნიშნული ცვლილება სავალდებულო ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. პალატა განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არც აღნიშნულ საკითხზე იძლევა ცალსახა პასუხს, თუმცა, პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შედეგების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებით, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებასა და პარტნიორს შორის გარკვეულ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული უნდა განხორციელდეს, რა თქმა უნდა, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა, საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას წინ უნდა უძღოდეს არა მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, არამედ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა პარტნიორის ნამდვილი ნებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად, დაადგენს შპს-დან პარტნიორის გარიცხვის ლეგიმტიმურობას. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვის წინა პირობა

არის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ, რომელიც პირდაპირ არ იწვევს მის გარიცხვას. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების პარტნიორთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და გარიცხიული პარტნიორის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნებისათვის, პალატა დადგენილად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილების საჭიროებას, როგორც პარტნიორების გარიცხვის თაობაზე ცვლილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში 25 პარტნიორია და საქმე 24 პარტნიორის გარიცხვას ეხება. რაც შეეხება შპს „ი. 2000“-ის იმ არგუმენტს, რომ ყველა პარტნიორი ეთანხმება საზოგადოებიდან გარიცხვას და არავის გაუსაჩივრებია დამფუძნებელთა კრების 2010 წლის 27 ივლისის ოქმი, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება სასამართლო სამართალწარმოებას მნიშვნელოვნად გაამარტივებს და ყველა პარტნიორის თანხმობის პირობებში შესაძლებელს გახდის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება პარტნიორთა აღიარების საფუძველზე მიიღოს. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული სრული თანხმობისა, საჯარო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას წინ უნდა უძღოდეს პარტნიორთა სასამართლო წესით დადასტურებული ნება და პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის სასამართლოს მიერ დადასტურების ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1328-1170-2010 (06 ივნისი, 2011 წელი)
მოსამართლეები: პაატა ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ვასილ როინიშვილი, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელემ, წილის დათმობის შემდგომ, მოითხოვა მოპასუხე საწარმოზე დივიდენდის გადახდისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრება. საკასაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ არ დადგინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშიც, წილის დათმობის ხელშეკრულებით, მოსარჩელეს გადაცემული ჰქონდა წილის პროპორციული მატერიალური აქტივი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/496-15, №ას-552-527-2016, №ას-851-795-2017, №2ბ/5111-14, №2ბ/3229-11

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება – წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება – წარმოიშობა საწარმოში მოგების არსებობის პირობებში საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მესამე ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). მითითებულ ნორმათა მიხედვით, დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ, ვინაიდან შპს „თ.-ში“ 2004-2005 წლებში არსებობდა მოგება, ამიტომ მოსარჩელეს წარმოეშვა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნას არ ეთანხმება, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სამეურნეო წლის ბოლოს საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის (დივიდენდის მოთხოვნის) უფლების წარმოშობა აუცილებლად საჭიროებს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. ამდენად, მოსარჩელე ნ. ს.-ს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ შპს „თ.-ს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საწარმოს წლიური მოგება გადანაწილდა დივიდენდების სახით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელის მოთხოვნის უფლება წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებელი უფლებაა და მისი განკარგვა შესაძლებელია წილზე საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებლად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მართებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სადავო პერიოდის დივიდენდზე მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება ექნებოდა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნდა ზოგადად დივიდენდის მიღებისა და არა დივიდენდის მოთხოვნის უფლება. პალატა განმარტავს, რომ დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. დივიდენდის მოთხოვნის უფლება კი შეიძლება პარტნიორის თანხმობით სხვა პირმაც განახორციელოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პარტნიორი საზოგადოების კრედიტორს წარმოადგენს და მას, როგორც კრედიტორს, უფლება აქვს თავისი მოთხოვნა დივიდენდზე სხვა პირს დაუთმოს. თავად დივიდენდის მოთხოვნის უფლება, როგორც ითქვა, პარტნიორს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როცა პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წილის დათმობით დივიდენდის მიღების უფლება ავტომატურად გადადის წილის მიმღებზე. დივიდენდის მოთხოვნის უფლება კი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამ უფლების გადაცემის თაობაზე აუცილებელია ხელშეკრულებაში სპეციალურად აღინიშნოს. წილის დათმობის ხელშეკრულების პირობა წილის დათმობასთან ერთად წილის პროპორციული მატერიალური აქტივის გადაცემაზე, გულისხმობს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემას.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა.
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორმა ნ. ს.-მ (წილის დამთმობი), პარტნიორობიდან გასვლით, თავისი კუთვნილი 1.1% წილი დაუთმო შპს „თ-ს“ (წილის მიმღები), რომელმაც მიიღო აღნიშნული წილი. „წილის დათმობით“ „წილის მიმღებზე“ გადავიდა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა, წილის პროპორციული მატერიალური და არამატერიალური პასივები და აქტივები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, წილის პროპორციული მატერიალური აქტივი, მოცემულ შემთხვევაში, გულისხმობს არა ზოგადად დივიდენდის მიღების უფლებას, არამედ დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, რომე-

ლიც ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა „წილის დამთმობს“. სხვაგვარად, წილთან ერთად დივიდენდის მიღების უფლების დათმობის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ეს პირობა დაცულია, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია არა მხოლოდ წილის დათმობის, არამედ ამ წილის პროპორციული მატერიალური აქტივის დათმობის თაობაზეც, რაც, უპირველესად, გულისხმობს ხელშეკრულების დადებისას არსებულ და არა სამომავლო აქტივს. წილის დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში კი, წილის პროპორციულ მატერიალურ აქტივს შეიძლება წარმოადგენდეს სწორედ დივიდენდის მოთხოვნის უფლება. ამდენად, ნ. ს.-მ წილთან ერთად დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობით დაკარგა მოპასუხისაგან მისი მოთხოვნის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1375-1212-2010 (23 ივნისი, 2011 წელი)
მოსამართლეები: მაია სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, თეიმურაზ თოდრია

საკვანძო საკითხი:
საწარმოს წარმომადგენლობა.

განჩინების რეზიუმე:
საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად. საკასაციო სასამართლომ საწარმოს სახელით გარიგების დადებაზე არაუფლებამოსილ პირად მიიჩნია საწარმოს დირექტორის ბრძანებით დანიშნული პირი, რომელსაც დირექტორმა, დელეგირების გზით, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, ზოგადად, საზოგადოების როგორც ხელმძღვანელობითი, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები მიანიჭა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი მკაცრადაა რეგლამენტირებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში. აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. საწარმოს დირექტორის მიერ საკუთარი ბრძანებით სხვა პირისთვის არა კონკრეტული მოქმედების, არამედ, ზოგადად საზოგადოების როგორც ხელმძღვანელობითი, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების დელეგირება დაუშვებელია. საზოგადოების წარმომადგენლობითი (და არა ხელმძღვანელობის) უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაა გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა). პროკურისტები, მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკურის ნამდვილობისათვის აუცილებელი მოთხოვნებიც მკაცრადაა რეგლამენტირებული კანონში. კონტრაჰენტთა დაცვისთვის, ორივე შემთხვევაში სავალდებულოა დირექტორის/პროკურისტის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამ მოთხოვნათა დარღვევით დანიშნული წარმომადგენელი წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს.

განმარტებული საკითხები:
- გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა).
- გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი).
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- სამეწარმეო რეესტრი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტები 5.ზ.,6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებები საწვავის მიწოდების თაობაზე შპს „ი-ის“ მხრიდან ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირების მიერ, რის გამოც მას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. აღნიშნული მოსაზრება სასამართლომ უარყო იმ საფუძვლით, რომ მხარეები 2007 წლის 21 მარტს გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდნენ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ანგარიშსწორებას შპს „ი-ის” სახელით ახორციელებდა და შეძენის დოკუმენტებზე ხელს აწერდა ნ. ქ-შვილი შპს „ი-ის“ დირექტორის ი. მ-შვილის 2008 წლის 10 მაისის ბრძანების საფუძველზე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშ-

ნული ბრძანების საფუძველზე საზოგადოების დირექტორმა მოახდინა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებების დელეგირება ნ. ქ-შვილზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს ასეთი სახის შეფასება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. როგორც საქმეში წარმოდგენილი ბრძანების შინაარსიდან ირკვევა, ნ. ქ-შვილს მიენიჭა უფლებამოსილება, უზრუნველეყო ყოველნაირი კომერციული გარიგებები, შეედგინა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან და პარტნიორ დაწესებულებებთან ხელშეკრულებები. მასვე ნება დაერთო, დირექტორის სახელით ხელმოწერის, ორგანიზაციის ბეჭედის გამოყენების, კადრების შერჩევის. მასვე დაევალა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ასეთი სახის უფლებამოსილებათა მინიჭება გულისხმობს პირისათვის როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობის, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებათა მინიჭებას. სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მკაცრადაა რეგლამენტირებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში. მითითებული საკითხის ასეთი სახის რეგულირება ქმნის სამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობისას საზოგადოების კონტრაჰენტების უფლებათა დაცვის გარანტიას.

ზემოთ მითითებული კანონის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობენ და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ საზოგადოების დირექტორები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მე-9 მუხლის პირველი პუნქტი). მითითებული ნორმატიული აქტი ცალსახად განსაზღვს, თუ როგორ ხდება ამ პირთათვის ზემოთ აღნიშნულ უფლებამოსილებათა მინიჭება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9[1] მუხლის მე-6 პუნქტი) და რა მოთხოვნათა დაცვაა აუცილებელი მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ნამდვილობისათვის. კანონის თანახმად, საზოგადოების დირექტორების შერჩევა ხდება პარტნიორთა კრებაზე და მათ შესახებ მონაცემები აისახება სამეწარმეო რეესტრში, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მათ მიერ საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედებები სავალდებულოა საზოგადოებისათვის. ბუნებრივია, ნ. ქ-შვილი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი სახის უფლებამოსილებამოსილების მატარებელ პირად.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი იცნობს საზოგადოების წარმომადგენლობითი (და არა ხელმძღვანელობის) უფლებამოსილების მინიჭების სხვა შემთხვევებსაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირები – პროკურისტები, რომლებიც მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკურისტებს საზოგადოების ფუნქცირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ (გარდა მიწის გასხვისების უფლებამოსილებისა, რომლის მისანიჭებალადაც აუცილებელია სპეციალური ნებართვა). აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლები და მისი ნამდვილობისათვის აუცილებელი მოთხოვნებიც მკაცრადაა რეგლამენტირებული კანონში. პროკურის გაცემა მითითებული კანონის მე-9[1] მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა კრების კომპეტენციაა, მაგრამ ეს უფლებამოსილება შეიძლება მიანიჭონ დირექტორებმაც (მე-10 მუხლი). ამასთან, კანონი შეიცავს ამ პირთა სამეწარმეო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნას. ხოლო ამ უფლებამოსილების ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდით ორგანოში. ამასთან, პროკურა, განსხვავებით ბრძანებისაგან, არ წარმოადგენს ცალმხრივ აქტს და იგი იურიდიული ძალის მქონე აქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იღებს პირი, რომელიც უნდა გახდეს პროკურისტი.

მითითებულ ნორმებში რეგლამენტირებული დებულებებით უზრუნველყოფილია საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების კონტრაჰენტთა დაცულობის გარანტიას წარმოადგენს.

შპს „ი-ის“ დირექტორის 2008 წლის 10 მაისის ბრძანებით ნ. ქ-შვილს მინიჭებული აქვს არა კონკრეტული მოქმედების, არამედ ზოგადად საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შეუძლებელია, ზემოთ მითითებულ მოთხოვნათა დაცვის გარეშე ასეთი უფლებამოსილების მინიჭება. იმ პირობებში, როდესაც ნ. ქ-შვილისთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია პარტნიორთა კრებას, დირექტორმა კი უფლებამოსილება მიანიჭა ცალმხრივი აქტის საფუძველზე და საჯარო რეესტრში ყოველგვარი ფიქსაციის გარეშე, შეუძლებელია ამ აქტის იურიდიული ძალის მქონედ მიჩნევა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პალატა მიიჩნევს, რომ გასაზიარებელია შპს „ი-ის“ მოსაზრება ნ. ქ-შვილის არაუფლებამოსილ პირად მიჩნევის თაობაზე.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სავაჭრო წარმომადგენელს ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტულ გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით.

განმარტებული საკითხები:
- სავაჭრო წარმომადგენელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 11.

სრული განმარტების ციტირება:
გარდა პროკურისა, კანონი იცნობს წარმომადგენლობის სხვა სახესაც. მაგალითად, სავაჭრო წარმომადგენელს, მაგრამ მას ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტულ გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/183-11 (28 ივნისი, 2011 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელეები მოითხოვდნენ ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. მოსარჩელეებმა ვერ დაამტკიცეს, რომ კაპიტალის გაზრდა, რეალურად, პარტნიორთა წილის შემცირებასა და პარტნიორთა გარიცხვას ისახავდა მიზნად. მოპასუხეებმა დაამტკიცეს კაპიტალის გაზრდის საჭიროება და მიზანშეწონილობა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ის გარემოება, რომ სასამართლოს მიერ კრების ოქმის ბათილად ცნობის შემდეგ 50%-ზე მეტი წილის მფლობელ პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ იგივე გადაწყვეტილება, არ გულისხმობს კრების ოქმის ბათილობისადმი იურიდიული ინტერესის არქონას იმ საქმეში, რომელშიც მოსარჩელეები ასაჩივრებენ კრების ოქმს არა მისი პროცედურული ხარვეზის, არამედ არსებითი ხასიათის უსწორობისა და კანონსაწინააღმდეგოობის საფუძვლით, იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ უფლება ბოროტად გამოიყენეს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- აღიარებითი სარჩელი.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
2.3. ... სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მართალია, იკვეთება მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართ, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელეებს მოეხსნებათ დამატებითი შესატანის შეტანის ვალდებულება, მაგრამ გათვალისწინებულ იქნა, რომ ეს გარკვეულწილად მოსარჩელის ინტერესის მხოლოდ დროებითი დაცვაა. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საზოგადოებას კვლავ ექნება უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა, მოიწვიოს კრება და მიიღოს გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ საზოგადოების კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი პარტნიორები. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის გამოკვეთილი და რეალურად მიღწევადი, შენარჩუნებადი ინტერესი არ იკვეთებოდა.

4.4. ... პალატა იზიარებს აპელანტების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ წინამდებარე სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის მიმართ იურიდიული ინტერესი აქვთ. პალატა ეთანხმება აპელანტების მოსაზრებას კრების ოქმის უკანონობის დადგენის შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტილების კვლავ მიღების შეუძლებლობის თაობაზე და განმარტავს, რომ ვინაიდან მოსარჩელეები ასაჩივრებენ კრების ოქმს არა მისი პროცედურული ხარვეზის, არამედ არსებითი ხასიათის უსწორობისა და კანონსაწინააღმდეგოობის საფუძვლით, იმ

არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ადგილი ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებას, პალატა მიიჩნევს, რომ არსებითად კრების ოქმის შეფასების შედეგად სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ოქმი კანონსაწინააღმდეგოა, ნიშნავს იმას, რომ რამდენ ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს კრება, იმდენი გადაწყვეტილება დაკარგავს თავის იურიდიულ ძალას ერთხელ უკვე კანონირ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, აბსოლუტურად დასაბუთებულია მხარეთა იურიდიული ინტერესი კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სამეწარმეო სუბიექტის კაპიტალი კაპიტალური საზოგადოების სიმყარის გარანტიას წარმოადგენს და ემსახურება მესამე პირებთან ურთიერთობაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის გარკვეული გარანტიების შექმნას.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს კაპიტალი.
- კაპიტალის გაზრდა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ზ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 45.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა განმარტავს, რომ საწარმოს კაპიტალს უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სამართალბრუნვისა და ბიზნესის განვითარების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ურთიერთობები კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტით უნდა ხასიათდებოდეს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციის მიზნებისათვის გარკვეული გარანტიების შექმნას მოითხოვს. სწორედ ამგვარი გარანტიის შექმნას ემსახურება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი. საზოგადოების კაპიტალის ერთ-ერთი და მთავარი ფუნქცია მესამე პირების მოთხოვნების დაკმაყოფილებაა, შესაბამისად, საზოგადოების კაპიტალის ფუნქცია მესამე პირებისათვის ერთგვარი გარანტიის შექმნაა, ზოგადად, კრედიტორისათვის გაცილებით მისაღებია იმ საწარმოსთან ურთიერთობა, რომელსაც უფრო მეტი კაპიტალი აქვს, უფრო მეტი ქონება გააჩნია, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და სავსებით გასაგებია, რომ საზოგადოების შესაძლო არარენტაბელური საქმიანობის შემთხვევაში, კედიტორს გაცილებით დიდი ალბათობა აქვს დიდი ქონებიდან დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, ვიდრე მცირე სახსრებიდან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო სუბიექტის კაპიტალი კაპიტალური საზოგადოების სიმყარის გარანტიასაც წარმოადგენს.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნისას მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ ადგილი ჰქონდა კანონით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებას – კაპიტალის გაზრდა რეალურად საზოგადოების საჭიროებით კი არ იყო განპირობებული, არამედ პარტნიორთა წილის შემცირებასა და პარტნიორთა გარიცხვას ისახავდა მიზნად; ან, რომ კაპიტალის გაზრდის საჭიროების დაკმაყოფილება სხვა გზით იყო შესაძლებელი. დაუშვებელია შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ალტერნატივად მივიჩნიოთ საზოგადოების მიერ კრედიტის აღება. უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისათვის, ახალი/დამატებითი შენატანების შეტანის გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა აუცილებლობით ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილობით უნდა ხასიათდებოდეს. იმ შემთხ-

ვევაში, როდესაც მოსარჩელე უფლების ბოროტად გამოყენებაზე აპელირებს, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ კაპიტალის გაზრდა აუცილებელი ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილი იყო. მიზანშეწონილობის/აუცილებლობის შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს საზოგადოების დანიშნულებასა და ფუნქციურ დატვირთვას.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- საწარმოს კაპიტალი.
- კაპიტალის გაზრდა.
- ახალი/დამატებითი შენატანები.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ზ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 45.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
თავისუფალი კონკურენციის პირობებში მეწარმე სუბიექტები სულ უფრო მეტ სახსრებს საჭიროებენ იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ თანამედროვეობის მოთხოვნები და იყვნენ კონკურენტუნარიანები ბაზარზე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესაძლებლობას შენატანების შეტანის გზით, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კრება იღებს გადაწყვეტილებას ახალი დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ. პალატა აქვე განმარტავს, რომ რამდენადაც აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს მეწარმე სუბიექტების გაძლიერებას, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას, იმდენად საფრთხილოა, რათა აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით დაუშვებლად არ იქნეს პარტნიორთა უფლებები შელახული. შესაბამისად, აუცილებელია ბალანსის დაცვა ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებსა და მეორე მხრივ, იმ პარტნიორის ინტერესებს შორის, რომლის წილიც კაპიტალის გაზრდის ხარჯზე, წილების გადაანგარიშების შედეგად პროპორციულად მცირდება.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებლი ეფუძნება. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შპს „ჯ. ც.-ს“ პარტნიორთა 2010 წლის 24 ივნისის კრების ბათილად ცნობა საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ნაწილში. როგორც სარჩელის, ასევე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ კრების გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა პარტნიორების წილის შემცირებასა და მათ საზოგადოებიდან გარიცხვას. პალატა განმარტავს, რომ ხშირ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისაგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს. თვალსაჩინოებისათვის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდას დასაშვებად მიიჩნევს, შესაბამისად, კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, მოქმედებს პრეზუმფცია იმისა, რომ პარტნიორთა ქმედება კანონშესაბამისია, სწორედ მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის იმ გარემოებათა დამტკიცების ვალდებულება, რომ მართალია, პარტნიორები კანონის დანაწესის ფარგლებში მოქმედებდნენ, თუმცა, ადგილი აქვს კანონით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენებას. ამდენად, პალა-

ტა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეებს მ. ა.-ს, მ. დ.-ს, ლ. ლ.-ს, თ. ლ.-ს, ნ. ჭ.-ს, გ. თ.-სა და თ. ა.-ს უნდა დაედასტურებინათ, რომ შპს „ჯ. ც.-ს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე, რეალურად, საზოგადოების საჭიროებით კი არ იყო განპირობებული, არამედ პარტნიორთა წილის შემცირებასა და პარტნიორთა საზოგადოებიდან გარიცხვას ისახავდა მიზნად.

პალატა ასევე განმარტავს, რომ მართალია, ამგვარ მოცემულობას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ შენატანების შეტანის გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა აუცილებლობით ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილობით უნდა ხასიათდებოდეს. კანონით გათვალისწინებული უფლების გამოყენების აუცილებლობა ან/და მიზანშეწონილობა ის კატეგორიებია, რომელთა დადგენის საჭიროება განპირობებულია არა კანონის დანაწესიდან გამომდინარე, არამედ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის მიზნებისათვის. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ საწარმოს კაპიტალის გაზრდა მიზნად ისახავდა პარტნიორების წილის შემცირებას, შესაგებლის მტკიცების საგანში სწორედ იმ გარემოებების დამტკიცების ვალდებულება შედის, რომ კაპიტალის გაზრდა აუცილებელი ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილი იყო. მოცემულ შემთხვევაში, შესაგებლის ავტორთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, თუ რის შეძენას აპირებდა შპს „ჯ. ც.“ და რა ღონისძიებების გატარება იდგა დღის წესრიგში გაზრდილი კაპიტალის მეშვეობით. მოსარჩელეთა და შესაბამისად, აპელანტების მიერ ვერ იქნა გაქარწყლებული აღნიშნულ საჭიროებათა არსებობის ფაქტი, ასევე ვერ იქნა დასახელებული რეალური ალტერნატიული წყარო ხსენებული მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება არგუმენტს, იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებას შეეძლო აეღო კრედიტი, პარტნიორებისაგან მიეღო სესხი და ა. შ უსაფუძვლოა, ვინაიდან, დაუშვებელია შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის ალტერნატივად მიჩნეულ იქნას საზოგადოების მიერ კრედიტის აღება, პარტნიორების მიერ საზოგადოებისათვის სესხის სახით თანხის მიცემა, როდესაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საზოგადოების კაპიტალი შენატანის განხორციელების გზით გაიზარდოს, მითუმეტეს, როდესაც ამის საჭიროება და მიზანშეწონილობა სახეზეა. პალატა, განსახილველ შემთხვევაში, აპელირებს რა შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის აუცილებლობასა და საჭიროებაზე, განსაკუთებულ ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული საზოგადოების დანიშნულებასა და ფუნქციორ დატვირთვაზე. პალატა მიიჩნევს, რომ სამკურნალო დაწესებულებებისათვის განსაკუთრებული დანიშნულება გააჩნია ტექნოლოგირ წინსვლას, იქ სადაც ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზეა საუბარი, არათუ მიზანშეწონილი, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი აპარატურის შემოტანა, „ჯ. ც.-ში“ არსებული პირობების ჯანდაცვის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამკურნალო დაწესებულების განვითარება სცილდება ერთი და თუნდაც რამდენიმე კერძო პირის ინტერესის ფარგლებს და საყოველთაო დანიშნულებას იძენს, ამდენად, აპელანტთა მიერ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო უტყუარი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ჯ. ც.-ს“ კაპიტალის გაზრდის მიზანი მხოლოდ პარტნიორთა წილის შემცირება იყო და რომ კანონით გათვალისწინებული კაპიტალის გაზრდის საჭიროება არ არსებობდა ან არსებობდა, მაგრამ სხვა გზით იყო შესაძლებელი აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-310-294-2011 (26 სექტემბერი, 2011 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ვასილ როინიშვილი

საკვანძო საკითხი:
საწარმოს წარმომადგენლობა.

განჩინების რეზიუმე:
საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად. საკასაციო სასამართლომ საწარმოს სახელით გარიგების დადებაზე არაუფლებამოსილ პირად მიიჩნია საწარმოს დირექტორის ბრძანებით დანიშნული დირექტორის მოადგილე, რომელსაც დირექტორმა, დელეგირების გზით, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, ზოგადად, საზოგადოების როგორც ხელმძღვანელობითი, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები მიანიჭა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი მკაცრადაა რეგლამენტირებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონში. აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. საწარმოს დირექტორის მიერ საკუთარი ბრძანებით სხვა პირისთვის არა კონკრეტული მოქმედების, არამედ ზოგადად საზოგადოების როგორც ხელმძღვანელობითი, ასევე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების დელეგირება დაუშვებელია. საზოგადოების წარმომადგენლობითი (და არა ხელმძღვანელობის) უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაა გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა). პროკურისტები, მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკურის ნამდვილობისათვის აუცილებელი მოთხოვნებიც მკაცრადაა რეგლამენტირებული კანონში. კონტრაჰენტთა დაცვისთვის ორივე შემთხვევაში სავალდებულოა დირექტორის/პროკურისტის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამ მოთხოვნათა დარღვევით დანიშნული წარმომადგენელი წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს. მოცემულ შემთხვევაში, არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის (103-114 მუხლები) ნორმები ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენციის გამო.

განმარტებული საკითხები:
- გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა).
- გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი).
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- სამეწარმეო რეესტრი.
- ზოგადი და სპეციალური ნორმების კოლიზია (კონკურენცია).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 5.ზ.,6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 10.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება საწვავის მიწოდების თაობაზე შპს „ი-ის” მხრიდან ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც მას ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. აღნიშნული მოსაზრება

სასამართლომ უარყო იმ საფუძვლით, რომ მხარეები 2008 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ანგარიშსწორებას შპს „ი-ის" სახელით ახორციელებდა და შეძენის დოკუმენტებზე ხელს აწერდა ნ. ქ-ლი შპს „ი-ის" დირექტორ ი. მ-ლის 2008 წლის 10 მაისის ბრძანების საფუძველზე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე საზოგადოების დირექტორმა მოახდინა საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებების დელეგირება ნ. ქ-ლზე (რ-ლზე).

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. რ-ლი, როგორც გარიგებით წარმომადგენელი, უფლებამოსილი იყო, 2008 წლის 20 ოქტომბერს დაედო საწვავის ნასყიდობის ხელშეკრულება. ასევე მაშინაც კი, რომ არ არსებობდეს ნ. რ-ლის სახელზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმნიჭებელი ბრძანება, ნ. რ-ლის მიერ შპს „ი-ის" სახელით 2008 წლის 20 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით უფლებები და მოვალეობები წარმოეშვა შპს „ი-ს".

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან. როგორც საქმეში წარმოდგენილი ბრძანების შინაარსიდან ირკვევა (ტ.I, ს.ფ.172), ნ. ქ-ლს მიენიჭა უფლებამოსილება, უზრუნველეყო ყოველნაირი კომერციული გარიგებები, შეედგინა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან და პარტნიორ დაწესებულებებთან ხელშეკრულებები, მასვე ნება დაერთო, დირექტორის სახელით ხელმოწერის, ორგანიზაციის ბეჭედის გამოყენების, კადრების შერჩევის, ასევე დაევალა საზოგადოების ნორმალური ფუნქცი-ირების უზრუნველყოფა. ასეთი სახის უფლებამოსილებათა მინიჭება გულისხმობს პირისათვის, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობის, ასევე წარმომადგენლობით უფლებამოსილებათა მინიჭებას.

სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მკაცრადაა რეგლამენტირებული „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში. მითითებული საკითხის ასეთი სახის რეგულირება ქმნის სამეწარმეო იურიდიული პირების საქმიანობისას საზოგადოების კონტრაჰენტების უფლებათა დაცვის გარანტიას. მართალია გარიგების წარმომადგენლის მეშვეობით დადების საკითხი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ნორმებით (სკ-ის 103-114 მუხლები), თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენცია, რაც გადაწყვეტილია სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლით.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ხელმძღვანელობენ და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ საზოგადოების დირექტორები, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მე-9 მუხლის პირველი პუნქტი). მითითებული კანონი ცალსახად განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ამ პირთათვის დასახელებულ უფლებამოსილებათა მინიჭება („მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-6 პუნქტი) და რა მოთხოვნათა დაცვაა აუცილებელი მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ნამდვილობისათვის. კანონის თანახმად, საზოგადოების დირექტორების შერჩევა ხდება პარტნიორთა კრებაზე და მათ შესახებ მონაცემები აისახება სამეწარმეო რეესტრში, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მათ მიერ საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედებები სავალდებულოა საზოგადოებისათვის. ბუნებრივია, ნ. ქ-ლი არ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთი სახის უფლებამოსილების მატარებელ პირად.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი იცნობს საზოგადოების წარმომადგენლობითი (და არა ხელმძღვანელობის) უფლებამოსილების მინიჭების სხვა შემთხვევებსაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გენერალური სავაჭრო მინდობილობის მქონე პირები – პროკუტისტები, რომლებიც, მსგავსად დირექტორებისა, საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირებთან ურთიერთობაში. პროკურისტებს საზოგადოების ფუნქცი-ირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ (გარდა მიწის გასხვისების უფლებამოსილებისა, რომლის მისანიჭებლადაც აუცილებელია სპეციალური ნებართვა). აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლები და მისი ნამდვილობისათვის აუცილებელი მოთხოვნებიც მკაცრადაა რეგლამენტირებული კანონში. პროკურის გაცემა მითითებული კანონის 9[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პარტნიორთა კრების კომპეტენციაა, მაგრამ ეს უფლებამოსილება შეიძლება მიანიჭონ დირექტორებმაც (მე-10 მუხლი). ამასთან, კანონი შეიცავს ამ პირთა (პროკურისტების) სამეწარმეო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნას, ხოლო ამ უფლებამოსილების ძალადაკარგულად აღიარება უნდა

გამოქვეყნდეს ბეჭდით ორგანოში. პროკურა, განსხვავებით ბრძანებისაგან, არ წარმოადგენს ცალმხრივ აქტს და იგი იურიდიული ძალის მქონე აქტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იღებს პირი, რომელიც უნდა გახდეს პროკურისტი.

მითითებულ ნორმებში რეგლამენტირებული დებულებებით უზრუნველყოფილია საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების კონტრაჰენტთა დაცულობის გარანტიას წარმოადგენს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ი-ის" დირექტორის 2008 წლის 10 მაისის ბრძანებით ნ. ქ-ლს მინიჭებული აქვს არა კონკრეტული მოქმედების, არამედ ზოგადად საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რაც შეუსაბამობაშია ზემოთ მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობასთან. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ნ. ქ-ლისთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია პარტნიორთა კრებას, დირექტორმა კი უფლებამოსილება მიანიჭა ცალმხრივი აქტის საფუძველზე და სამეწარმეო რეესტრში ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, პალატა მიიჩნევს, რომ ამ აქტის ნამდვილად აღიარება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რაც კიდევ ერთხელ უთითებს საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობაზე.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სავაჭრო წარმომადგენელს ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტული გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით.

განმარტებული საკითხები:
- სავაჭრო წარმომადგენელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 11.

სრული განმარტების ციტირება:
გარდა პროკურისა, კანონი იცნობს წარმომადგენლობის სხვა სახესაც. მაგალითად, სავაჭრო წარმომადგენელს, მაგრამ მას ეძლევა უფლებამოსილება მხოლოდ კონკრეტულ გარიგებების დასადებად და მისი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება მინდობილობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-995-1028-2011 (15 დეკემბერი, 2011 წელი)
მოსამართლეები: თეიმურაზ თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ვასილ როინიშვილი, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
შვილობილი საწარმო (სუბსიდიარი).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლოსა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას მოპასუხეზე. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე საწარმოს მომსახურება ექსკლუზიურად უნდა გაეწია მოსარჩელე საწარმოსა და მისი სუბსიდიარი კომპანიებისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა ის საწარმო, რომელსაც მოპასუხე კომპანიამ გაუწია მომსახურება, წარმოადგენს მოსარჩელე კომპანიის სუბსიდიარ (შვილობილ) საწარმოებს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სუბსიდიარი (შვილობილი) კომპანიაა, რომელშიც კომპანიას გააჩნია ხმის უფლებისათვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია ძალაუფლება, განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიის ოპერაციების კონტროლი.

განმარტებული საკითხები:
- შვილობილი საწარმო (სუბსიდიარი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, სუბსიდიური კომპანიის ცნება, კერძოდ, სუბსიდიარი (შვილობილი) კომპანიაა, რომელშიც კომპანიას გააჩნია ხმის უფლებისათვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია ძალაუფლება, განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიების ოპერაციების კონტროლი. დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს გარემოება იმის შესახებ, რომ „ა-მ“ სერვის-მომსახურება გაუწია შპს „ფ. თ-ს“ და ასევე ის გარემოებაც, რომ შპს „ფ. თ-ის“ 70% წილის მფლობელია სს „ნ ტ-ი“.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2745-11 (22 დეკემბერი, 2011 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), დავით ერქვანია, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
სარჩელეები (აქციონერები) ითხოვდნენ მათი გარიცხვის შესახებ სააქციო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. აქციონერთა გარიცხვის საფუძველი გახდა მათ მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოებში საჩივრების წარდგენა და, შედეგად, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება. პირველი ინსტანციისგან განსხვავებით, აპელაციამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა (აქციონერთა) გარიცხვა წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებას. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წესდება გარიგებაა. სააქციო საზოგადოების წესდება, შესაძლებელია, ითვალისწინებდეს საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვას. აქციონერის გარიცხვა, ამგვარი უფლების წესდებით გათვალისწინების პირობებში, შესაძლებელია, თუმცა, მხოლოდ სასამართლო სამართალწარმოების გზით. აქციონერის გარიცხვა საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით, მაშინ, როდესაც ზიანის მიყენების ფაქტი სადავოა, საზოგადოების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებაა. გასარიცხი აქციონერის მიერ დარღვეულად მიჩნეული უფლების დაცვისა თუ აღდგენის მიზნით სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა არ შეიძლება განვიხილოთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. შესაბამისად, ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანის დადასტურების პირობებშიც კი არ არსებობს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინამძღვრები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ უფლებას აქციონერი მარტოოდენ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების მიზნით იყენებს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- პარტნიორის გარიცხვა.
- სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა საერთო კრება.
- აქციონერთა საერთო კრება.
- მრავალმხრივი გარიგება.
- ნების ავტონომია სამოქალაქო სამართალი.
- ხელშეკრულების თავისუფლება.
- გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 4[1].,7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 10. ნაწილი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:
4.8. ... სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები განსაზღვრულია ამავე კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტით და მათ შორის აქციონერის გარიცხვის უფლება არ არის გათვალისწინებული.

როგორც დადგენილ იქნა, სს „ი.-ს“ წესდების 7.1.10 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით, აქციონერთა საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა. ამავე წესდების 4.16, 4.19 და 4.20 პუნქტებით გათვალისწინებულია საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის შემდეგი საფუძვლები: ა) აქციონერის მიერ საზოგადოებაში საჭირო შენატანის განუხორციელებლობა; ბ) საზოგადოების წინაშე წესდებითა და საწარმოს შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა; გ) კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება; დ) საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას იმ საკითხის სამართლებრივი დეფინიცია, შესაძლებელია თუ არა სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა და თუ შესაძლებელია, რა გზით უნდა განხორციელდეს იგი. აღნიშნული საკითხის განმარტების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, შეფასებულ იქნეს აქციონერის გარიცხვის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი განხორციელების საფუძველი.

პალატა მიიჩნევს, რომ სამეწარმეო სუბიექტის წესდება, თავისი არსით, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, შესაბამისად, მხარეები სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. კანონში სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის დაუშვებლობის თაობაზე პირდაპირი მითითება არ არსებობს. შესაბამისად სააქციო საზოგადოების წესდების ის ნორმა, რომლითაც გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის შესაძლებლობა კანონსაწინააღმდეგოდ ვერ მიიჩნევა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყოველი უფლება, კანონით გათვალისწინებული, თუ ხელშეკრულებით მინიჭებული, უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, კეთილსინდისიერად. შესაბამისად, აქციონერთა უფლება, გარიცხონ სხვა აქციონერი სააქციო საზოგადოებიდან, სააქციო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით, მაშინ, როდესაც ზიანის მიყენების ფაქტი სადავოა, სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში უფლების არამართლზომიერი გამოყენებაა. აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვის შედეგების მნიშვნელობის გათვალისწინებით, აქციონერი სააქციო საზოგადოებიდან გასარიცხად აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც აქციონერების ნამდვილი ნებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად, დაადგენს აქციონერის გარიცხვის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის ლეგიტიმურობას. ამდენად, აქციონერთა კრების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და გარიცხული აქციონერის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნებისათვის, პალატა მიიჩნევს, რომ სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა, ამგვარი უფლების წესდებით გათვალისწინების პირობებში, შესაძლებელია, თუმცა, მხოლოდ სასამართლო სამართალწარმოების გზით.

აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვა – მისი კუთვნილი წილის ჩამორთმევა, წარმოადგენს საზოგადოების მიერ აქციონერისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვას, რაც მოცემულ შემთხვევაში, აქციონერის მიერ სააქციო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით განხორციელდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აქციონერის სააქციო საზოგადოებიდან გარიცხვითა და გარიცხული აქციონერის წილის მიკუთვნებით საზოგადოებამ განახორციელა საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებამ ცალმხრივად დაადგინა რა ზიანის ფაქტი, მოიწვია კრება და სააქციო საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნებისათვის მოახდინა აქციონერთა სააქციო საზოგადოებიდან გარიცხვა.

პალატა თვლის, რომ სს „ი.-ს“ აქციონერთა კრების სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის დადგენილ წესს. იგი ეფუძნება საზოგადოების პრეტენზიას ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, შესაბამისი უფლების დაცვა სასამართლო წესით არ ყოფილა განხორციელებული. სს „ი.-ს“ მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეგებებული სარჩელი არც წინამდებარე საქმის განხილვისას ყოფილა წარდგენილი, რაც შეიძლებოდა, გამხდარიყო ზიანის ფაქტის არსებობასა და ზიანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობაზე მსჯელობის საფუძველი. მიუხედავად აღნიშნულისა, პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს, რომ პირს შეიძლება, დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმგვარი ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლისა. დარღვეულად მიჩნეული უფლების დაცვისა თუ აღდგენის

მიზნით სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა წარმოადგენს პირის კანონით გარანტირებულ უფლებას და მისი რეალიზაცია არ შეიძლება, განხილულ იქნეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. შესაბამისად, ასეთი ქმედებით მიყენებული ზიანის დადასტურების პირობებშიც კი არ არსებობს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინამძღვრები, თუ რა თქმა უნდა, მხარეები არ დაადასტურებენ, რომ აღნიშნულ უფლებას მხარეები იყენებდნენ მარტოოდენ იმ მიზნით, რომ სს „ი.-სათვის" ზიანი მიეყენებინათ, ანუ თუ არ დაამტკიცებენ, რომ მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებას. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება მოსარჩელეების – ვ. ხ.-ს, ან. ს.-სა და ავ. ს.-ს მიერ სს „ი.-სთვის" ზიანის მიყენების ფაქტი (იხ. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 4.3). უფრო მეტიც, არ დასტურდება აღნიშნული პირების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება (იხ. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 4.2).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერის გარიცხვა განიხილება „პარტნიორის გასვლად" და მასზე ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.

სრული განმარტების ციტირება:
4.8. ... „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (2006 წლის 31 მარტის მდგომარეობით მოქმედი რედაქციით), ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოებიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნული მუხლის ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე პალატა განმარტავს, რომ საერთო კრების ოქმის გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადაა 2 თვე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ საკითხი არ ეხება საზოგადოების ლიკვიდაციას ან პარტნიორის გასვლას. მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება აქციონერის გარიცხვას, რაც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის კონტექსტში განხილულ უნდა იქნეს, როგორც, „პარტნიორის გასვლა" შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სარჩელი ეხება რა სააქციო საზოგადოებიდან გარიცხული აქციონერების უფლებების აღდგენას, ამიტომ აღნიშნული კატეგორიის სარჩელზე ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა უნდა გავრცელდეს. ვინაიდან საერთო კრება ჩატარდა 2006 წლის 31 მაისს, ხოლო სარჩელი გარიცხული აქციონერების მიერ შეტანილ იქნა 2010 წლის 27 დეკემბერს, ამიტომ პალატა თვლის, რომ სარჩელი ხანდაზმული არ არის.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3229-11 (27 დეკემბერი, 2011 წელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე), დავით ერქვანია, თამარ ალანია

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა მის მიერ წილის დათმობამდე განაწილებული დივიდენდის დაკისრებას მოპასუხე საწარმოზე. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგან დაადგინა, რომ წილის დათმობასთან ერთად, წილის პროპორციული მატერიალური აქტივის გადაცემაზე შეთანხმებით, მოსარჩელემ უარი თქვა დივიდენდის მოთხოვნის უფლებაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება – წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება – წარმოიშობა საწარმოში მოგების არსებობის პირობებში საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მესამე ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით). მითითებულ ნორმათა მიხედვით, დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წილის დათმობით დივიდენდის მიღების უფლება ავტომატურად გადადის წილის მიმღებზე. დივიდენდის მოთხოვნის უფლება კი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამ უფლების გადაცემის თაობაზე აუცილებელია ხელშეკრულებაში სპეციალურად აღინიშნოს. წილის დათმობის ხელშეკრულების პირობა წილის დათმობასთან ერთად წილის პროპორციული მატერიალური აქტივის გადაცემაზე, გულისხმობს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემას.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა.
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.
- აქცესორული უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... მხარეთა შორის 02.05.2006წ. დადებული იქნა „წილის დათმობის“ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, პარტნიორმა ნ. მ.-მ (წილის დამთმობი), პარტნიორობიდან გასვლით, თავისი კუთვნილი 1.1% წილი დაუთმო შპს „თ.-ს” (წილის მიმღები), რომელმაც მიიღო აღნიშნული წილი. „წილის დათმობით“ „წილის მიმღებზე“ გადავიდა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა, წილის პროპორციული მატერიალური და არამატერიალური პასივები და აქტივები (ტ.I, ს.ფ. 15-17). სააპელაციო პალატის მოსაზრებით, წილის პროპორციული მატერიალური აქტივი, მოცემულ შემთხვევაში, გულისხმობს არა ზოგადად დივიდენდის მიღების უფლებას, არამედ დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა „წილის დამთმობს“. სხვაგვარად, წილთან ერთად დივიდენდის მიღების უფლების დათმობის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში ეს პირობა დაცულია, ვინაიდან ხელშეკრულებაში მითითებულია არა მხოლოდ წილის დათმობის, არამედ ამ წილის პროპორციული მატერიალური აქტივის დათმობის თაობაზეც, რაც, უპირველესად, გულისხმობს ხელშეკრულების დადებისას არსებულ და არა სამომავლო აქტივს. წილის დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში კი, წილის პროპორციულ მატერიალურ აქტივს შეიძლება წარმოადგენდეს სწორედ დივიდენდის მოთხოვნის უფლება. ამდენად, ნ. მ.-ს წილთან ერთად დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობით დაკარგა მოპასუხისაგან მისი მოთხოვნის უფლება.

პალატა აქვე უთითებს, რომ წინამდებარე საკითხის ამდაგვარი განმარტება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 06.06.2011წ. გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1328-1170-2010 ტ.I, ს.ფ. 102-108).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1343-1361-2011 (31 იანვარი, 2012 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნა წილის გასხვისების შემდეგ.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება და უარი უთხრა მოსარჩელეს წილის გასხვისებამდე პარტნიორთა გადაწყვეტილებით განაწილებული დივიდენდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან დივიდენდის მოთხოვნის უფლება გადადის წილის შემძენზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან, რასაც მოცემულ დავაში ადგილი არ ჰქონია.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დივიდენდის მიღების უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო დივიდენდის მოთხოვნის უფლება – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
შპს-ს კაპიტალში პარტნიორის წილი წამოადგენს საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე ქონებრივ-სამართლებრივი სიკეთის მოთხოვნის უფლებას. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წილზე საკუთრების უფლების დათმობის შემდეგ შემძენზე გადადის ამ უფლებიდან მისაღები ყველა ქონებრივ-სამართლებრივი სარგებელი, მათ შორის ისეთიც, რომელიც გასხვისებამდეა წარმოშობილი და უფლების თავდაპირველ მესაკუთრეს არ მოუთხოვია. რაც შეეხება კონკრეტულად დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, მისი დათმობა შესაძლებელია ცალკე უფლების სახით წილის გადაუცემლად, ხოლო წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება ასევე გადადის წილის შემძენზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა.
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 198. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
დივიდენდის მიღების უფლება განუყრელად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. რაც შეეხება თავად წილს, იგი, როგორც უფლება, სამოქალაქო ბრუნვის ნაწილია და შეიძლება თავისუფლად გასხვისდეს სხვა პირზე.

უფლების გასხვისებასთან (დათმობასთან) დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნის მე-3 კარის III თავი – საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე.

აღნიშნული კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

მოცემული ნორმა ცხადყოფს, რომ უფლების დათმობის შემდეგ შემძენზე გადადის ამ უფლებიდან მისაღები ყველა ქონებრივ-სამართლებრივი სარგებელი, მათ შორის ისეთიც, რომელიც გასხვისებამდეა წარმოშობილი და უფლების თავდაპირველ მესაკუთრეს არ მოუთხოვია. აღნიშნული ნორმა ვრცელდება შპს-ში წილის გასხვისების შემთხვევაზეც, ამდენად, წილის გასხვისების შემდეგ, შემძენს გადაეცემა ამ წილიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა. რაც შეეხება კონკრეტულად დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, მისი დათმობა შესაძლებელია ცალკე უფლების სახით წილის გადაუცემლად, ხოლო წილის გასხვისების შემთხვევაში, თავდაპირველი მესაკუთრის მიერ არარეალიზებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება ასევე გადადის წილის შემძენზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, რადგანაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების არსებობა დივიდენდების განაწილების თაობაზე არ წარმოშობს კონკრეტული პარტნიორის მიერ მისი ავტომატურად მიღების ვალდებულებას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 26 ივნისს რ. ჯ-ემ შპს „ო-აში“ მისი 33%-იანი წილი გაასხვისა. საქმის მასალები და თავად სარჩელი ადასტურებს, რომ პარტნიორობის პერიოდში რ. ჯ-ეს კუთვნილი დივიდენდების მიღება არ მოუთხოვია და არც მათი მიღება გაუხდია სადავოდ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წილის გასხვისების შემდეგ, ამ წილიდან გამომდინარე დივიდენდების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად მათი განაწილების პერიოდისა, გადაეცა წილის შემძენს – ი. თ-ი ფ-ს, აღნიშნული გარემოება კი, რ. ჯ-ის სარჩელის დაკმაყოფილებას შეუძლებელს ხდის, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2257-12 (11 ივლისი, 2012 წელი)
მოსამართლეები: ნატალია ნაზღაიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი

საკვანძო საკითხი:
გარიცხული პარტნიორის მიუღებელი დივიდენდი.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმოდან გარიცხული პარტნიორი) ადრე მიღებული გადაწყვეტილებით აღდგა საწარმოს პარტნიორად. წარმოდგენილი სარჩელით, მოსარჩელე ამჯერად ითხოვდა მოპასუხეებისთვის (სხვა პარტნიორებისათვის) უკანონო გარიცხვის პერიოდში განაწილებული მოგებიდან მისი წილი დივიდენდის გადახდის დაკისრებას. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, რომელიც პარტნიორს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როცა პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ. დივიდენდის მიღების უფლება განუყოფლად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას. დივიდენდის მიღების უფლება განუყოფლად არის დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან. დივიდენდის მოთხოვნის უფლება, პარტნიორს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როცა პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების მოგების განაწილების შესახებ.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს პარტნიორად აღდგენის შემდეგ პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს მიუღებელი დივიდენდი უკანონოდ გარიცხვის პერიოდისთვის იმ პარტნიორებისგან, რომლებსაც გაუნაწილდათ მისი წილი მოგება, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დივიდენდ(ებ)ის გაცემის დროს იგი არ ირიცხებოდა საზოგადოების პარტნიორად სამეწარმეო რეესტრში. აღნიშნული უფლება ასევე ვრცელდება პარტნიორად აღდგენის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდისთვის. მოცემულ შემთხვევაზე მოქმედებს ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დ. ძ.-ს სარჩელი შპს „ა.-ს“, მ. ა.-ს, ს. ა.-ს და ლ. თ.-ს მიმართ შპს „ა.-ს“ 1996 წლის 15 მარტის №2 კრების ოქმის ბათილად ცნობის, საზოგადოების დამფუძნებლად აღდგენისა და შპს „ა.-ს“ კაპიტალის 20%-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. დ. ძ. ცნობილი იქნა შპს „ა.-ს“ კაპიტალში ლ. თ.-ს კუთვნილი 46% წილიდან 10%-ის მესაკუთრედ, მ. ა.-ს კუთვნილი 27% წილიდან 5%-ის მესაკუთრედ, ს. ა.-ს კუთვნილი 27% წილიდან 5%-ის მესაკუთრედ და დ. ძ.-ს წილი განისაზღვრა 20%-ით.

აპელანტი სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით მიუთითებს იმ არგუმენტზე, რომ დ. ძ., სამეწარმეო რეესტრის რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით, 1996 წლის 4 აპრილიდან 2012 წლამდე, არ ირიცხებოდა საზოგადოების პარტნიორად. შესაბამისად, დ. ძ. იმ მომენტიდან უნდა ჩათვლილიყო პარტნიორად, რაც მისი აღდგენის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დ. ძ.-ს აღუდგა საკუთრების უფლება საზოგადოების 20%-იან წილზე. ასეთ ვითარებაში მითითება სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებზე არის უსაფუძვლო. ამასთან, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამეწარმეო რეესტრის დანიშნულებაა სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისა და მესამე პირთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა, რომ დ. ძ.-ს წილი საზოგადოების პარტნიორებს შორის განაწილებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.3 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რის შედეგადაც დ. ძ.-ს აღუდგა ძველი (1996 წლის 4 აპრილამდე არსებული) უფლებრივი მდგომარეობა. აღნიშნული გარემოება, დ. ძ.-ს, როგორც პარტნიორის უფლებას, მიიღოს დივიდენდი, საფუძვლიანს ხდის.

4.7. ... დადგენილია, რომ საზოგადოების 2006 წლის წმინდა მოგება განაწილდა 2007 წლის 1 მარტის პარტნიორთა კრების ოქმით; 2007 წლის – 2008 წლის 3 მარტის კრების ოქმით, 2008 წლის – 2009 წლის 2 მარტის კრების ოქმით, 2009 წლის – 2010 წლის 1 მარტის კრების ოქმით, ხოლო 2010 წლის მოგება – 2011 წლის 7 მარტის კრების ოქმით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ძ.-სათვის გადახდას ექვემდებარება 2006-2010 წლის დივიდენდი. იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მოგება განაწილებას ექვემდებარება წლის ბოლოს, ხოლო სარჩელი აღძრულია 2010 წლის 18 ოქტომბერს, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი წარდგენილია ხანდაზმულობის 5 წლიან ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2643-12 (26 სექტემბერი, 2012 წელი)
მოსამართლეები: ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე), ხათუნა არევაძე, ალექსანდრე იოსელიანი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის ხმის უფლებისა და წილების პროპორციულობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა პარტნიორთა საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობას იმ საფუძვლით, რომ წესდება წილებისგან განსხვავებულად განსაზღვრავდა ხმის უფლებას. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი და დაადგინა, რომ წესდების ზოგადი ჩანაწერი („უბრალო უმრავლესობა“) არ ადგენს კანონისგან განსხვავებულ წესს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონმდებელი პარტნიორებს აძლევს უფლებას, წესდების საფუძველზე შეცვალონ გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი, მაგრამ ეს კონკრეტულად უნდა აისახოს წესდებაში. წესდების ჩანაწერი, რომ გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, არ შეიძლება განიმარტოს იმდაგვარად, რომ ხმის უფლება არ არის პარტნიორთა წილების პროპორციული.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორის ხმის უფლებისა და წილების პროპორციულობა.
- პარტნიორის ხმის უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 2.,10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „ბ.-ს“ წესდების 8.6 პუნქტი არ ადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-10 პუნქტისაგან განსხვავებულ სტანდარტს. წესდების 8.6 პუნქტით გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე ხმები შპს-ში განისაზღვრება წილებით. შესაბამისად, ეს ორი დათქმა არ არის ურთიერთ გამომრიცხავი. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც – წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება არ არის მათი წილების პროპორციული. შესაბამისად, კანონმდებელი პარტნიორებს აძლევს უფლებას წესდების საფუძველზე შეცვალონ გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი, მაგრამ ეს კონკრეტულად უნდა აისახოს წესდებაში. პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „ბ.-ს“ წესდების 8.6 პუნქტი არ ადგენს, რომ პარტნიორთა ხმის უფლება არ არის მათი წილების პროპორციული, ამ პუნქტში მითითებულია მხოლოდ ხმების უბრალო უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებაზე, ხოლო „უბრალო უმრავლესობა“ არ შეიძლება განიმარტოს იმდაგვარად, რომ ხმის უფლება არ არის წილების პროპორციული.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, კ. შ.-ს, მ. შ.-ს, ბ. შ.-ს და ნ. შ.-ს მიერ კრების მიტოვების მიუხედავად, კრებაზე წარმოდგენილი იყო შპს „ბ.-ს“ ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები, რომელთაც წერილობით მიიღეს გადაწყვეტილება, რაც სრულად შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნას (შპს-ის პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი წილების პროპორციულად). ამდენად, სააპელაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2011 წლის 15 აგვისტოს მოწვეული პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1144-1073-2012 (05 ნოემბერი, 2012 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).

განჩინების რეზიუმე:
კასატორი ითხოვდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგი საფუძვლებით: ფილიალი არასათანადო მოპასუხეა; არ არსებობს სარჩელის საფუძვლები; უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის დირექტორი არაუფლებამოსილია გასცეს მინდობილობა; არსებობს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (ავადმყოფობა). კასაციამ არ გაიზიარა წარმოდგენილი არგუმენტები. დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იურიდიული პირის ფილიალის მონაწილეობა საქმეში დასაშვებია. თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის როგორც სამეწარმეო, ისე სხვა სახის კერძო სამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს.

განმარტებული საკითხები:
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- საწარმოს ფილიალი.
- საპროცესო უფლებაუნარიანობა.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16., პუნქტი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 79.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 16. ნაწილი 3.,

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც არ არსებობდა სარჩელის აღძვრის წინაპირობები, კერძოდ, საქმეში არასათანადო მოპასუხე მონაწილეობდა. შპს „ა. ი-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ უცხოური საწარმოს ფილიალია, ამდენად, საქმეში უშუალოდ „ა. ი-ი“ უნდა ყოფილიყო ჩაბმული. კასატორის ლოგიკით, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სს „ლ. 1-ის“ სარჩელი შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალის წინააღმდეგ დააკმაყოფილა, ეს უკანასკნელი სათანადო მოპასუხე იყო, ხოლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ არასათანადო მხარედ იქცა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ა. ი-ის წარმომადგენლობა საქართველოში“ სათანადო მხარეა და განმარტავს, რომ იურიდიული პირის ფილიალის მონაწილეობა საქმეში დასაშვებია. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც იურიდიული პირის ფილიალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განსჯადობას ადგენს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისად, თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის როგორც სამეწარმეო, ისე სხვა სახის კერძო სამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს. განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხებოდა სს „ლ. 1-ის“ მიერ

შპს „ა. ი-ის“ საქართველოს ფილიალისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურებას, ანუ სარჩელი შპს „ა-ის“ საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობიდან გამომდინარეობდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – უცხო ქვეყნის იურიდიული პირი ნიშნავს ფილიალის ხელმძღვანელს ან, მინდობილობის საფუძველზე, კონკრეტულ პირს გადასცემს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. უფლებამოსილების ფარგლები უნდა იყოს აღნიშნული შესაბამის დოკუმენტში, დადგენილი შეზღუდვები კი – ასახული სარეგისტრაციო მონაცემებში.

განმარტებული საკითხები:
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის დირექტორი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. ქვეპუნქტი 4.ბ.

სრული განმარტების ციტირება:
უცხო ქვეყნის იურიდიული პირი ნიშნავს ფილიალის ხელმძღვანელს ან მინდობილობის საფუძველზე კონკრეტულ პირს გადასცემს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას. უფლებამოსილების ფარგლები უნდა იყოს აღნიშნული შესაბამის დოკუმენტში, დადგენილი შეზღუდვები კი – ასახული სარეგისტრაციო მონაცემებში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ადასტურებს, რომ ლ. შ-ი იყო შპს „ა. ი-ის“ ფილიალის ერთპიროვნული ხელმძღვანელი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ შეზღუდვა დადგენილი და რეგისტრირებული არ არის სათანადო წესით. მოცემულ შემთხვევაში, ლ. შ-ის უფლებამოსილების შეზღუდვა სამეწარმეო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, შესაბამისად, უცხოური იურიდიული პირის მიერ ამ უკანასკნელს გადაეცა რა ხელმძღვანელობის უფლებამოსილება, ასევე გადაეცა ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებით წარმომადგენლობის უფლებამოსილება სრულად, ამდენად, მის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე პ. ხ-სა და თ. კ-ეს საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნდათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1194-1455-09 (14 ნოემბერი, 2012 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ბესარიონ ალავიძე, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
აქციონერის ხმის უფლების შეზღუდვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საერთო კრებაზე მერიამ (50.1%-ის მქონე აქციონერი) მონაწილება მიიღო იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლითაც სააქციო საზოგადოებამ გასცა თანხმობა მის საკუთრებაში არსებული შპს-ს წილების მერიისთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე. საკასაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა მოთხოვნა სააქციო საზოგადოების სადავო გადაწყვეტილებისა და თანმდევი ჩუქების ხელშეკრულებათა ბათილად ცნობის შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, თუ საკითხი ეხება პარტნიორთან (განსაკუთრებით, აქციათა უმრავლესობის მფლობელ აქციონერთან) გარიგების დადებას, ეს პარტნიორი არ არის უფლებამოსილი კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა. ამ წესის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის მიმართ მოდავე აქციონერს გააჩნია იურიდიული ინტერესი. ამ წესის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია. ბათილი გადაწყვეტილების საფუძველზე საზოგადოების სახელით დადებული გარიგება ასევე ბათილია, როგორც წინასწარი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება.

განმარტებული საკითხები:
- აქციონერის უფლებები.
- აქციონერის ხმის უფლების შეზღუდვა.
- აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება.
- მერყევად ბათილი გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
სასამართლო იზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ ქ. თბილისის მერიას 2005 წლის 4 ნოემბერს აქციონერთა კრებაზე წილების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ უნდა მიეღო.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას.

ზემოაღნიშნული ნორმა მნიშვნელოვანი დანაწესია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ხმის უფლება, ზოგადად, აქციონერთა მართვითი უფლებებიდან უმნიშვნელოვანესია. ჩვეულებრივ პირობებში, აქციონერს შეუძლია, საკუთარი ხმა შეხედულებისამებრ გამოიყენოს და მხარი დაუჭიროს ნებისმიერ მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას, თუმცა აღნიშნული უფლება შეუზღუდავი არ არის. მისაღები გადაწყვეტილების

ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებისა და დანარჩენი აქციონერების ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად, კანონმდებელი ითვალისწინებს შეზღუდვას, როდესაც კონკრეტული აქციონერი კენჭისყრაში არ მონაწილეობს. აღნიშნული შეზღუდვა განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, როდესაც საკითხი ეხება იმ პარტნიორთან გარიგების დადებას, რომელიც აქციათა უმრავლესობას ფლობს.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო კრების ოქმის მე-2 საკითხი შეეხებოდა ქ. თბილისის მერიასთან დასადებ გარიგებას, კერძოდ კი, შპს „ჯ. უ. ქ.-ს“, შპს „ჯ. ს.-ს“ და შპს „ჯ. მ.-ს“ საწესდებო კაპიტალში სს „თ. ს.-ს“ კუთვნილი წილების თბილისის მერიისათვის უსასყიდლოდ გადაცემასა და შესაბამისი თანხმობის გაცემას. ამ გარემოების გათვალისწინებით, თბილისის მერია არ იყო უფლებამოსილი კენჭისყრაში მონაწილეობა მიეღო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ მოსარჩელეებს კრების ოქმის ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი არ გააჩნდათ. სასამართლომ ამგვარი დასკვნა იმ გარემოებაზე დააფუძნა, რომ მოსარჩელეები ჯამში სს „თ. ს.-ს“ აქციათა 15,3%-ს ფლობენ, ამდენად, მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას მაინც ვერ უზრუნველყოფდნენ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეები დაინტერესებული იყვნენ, რომ სს „თ. ს.-ს“ წილები სხვა საზოგადოებებში ერთ-ერთ პარტნიორს უსასყიდლოდ არ გადასცემოდა. სს „თ. ს.-ს“ წესდების თანახმად, ამ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ხმის უფლების მქონე დამსწრე კაპიტალის 50%-ზე მეტი. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ თუ ქ. თბილისის მერია, რომელიც საწესდებო კაპიტალის 50,1%-ის შესაბამის აქციებს ფლობდა, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდა, 2005 წლის 4 ნოემბერს წილების დათმობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნებოდა. რაც იმას ნიშნავს, რომ, ამ ეტაპზე მაინც, მოსარჩელეთათვის სასურველი შედეგი მიიღწეოდა, ხოლო როგორ წარიმართებოდა შემდგომში სს „თ. ს.-ს“ საქმიანობა და, საბოლოოდ, რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული წილების დათმობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ვარაუდის სფეროა და სარჩელის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებას საფუძვლად ვერ დაედება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „თ. ს.-ს“ აქციონერთა 2005 წლის 4 ნოემბრის კრების №1 ოქმი დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ნაწილში ბათილია, ხოლო, ვინაიდან წილების გასხვისების საკითხი საზოგადოების აქციონერთა წინასწარ თანხმობას საჭიროებს, ასევე ბათილია მითითებულ კრების ოქმზე დაყრდნობით გაფორმებული 2005 წლის 30 დეკემბრის წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებები.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – „მესამე პირი“, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიზნებისათვის, არის გარეშე სუბიექტი, რომელთანაც საზოგადოებას ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს და არა საზოგადოების პარტნიორი/აქციონერი.

განმარტებული საკითხები:
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლის საფუძველზე, აქციონერი მესამე პირის მიმართ სარჩელის უფლებით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ სარჩელს არ აღძრავს თავად საზოგადოება და, ამასთან, არ დაასაბუთებს, რომ სარჩელის აღძვრა საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება. აღნიშნული ნორმით კიდევ ერთხელაა ხაზგასმული კონკრეტულ აქციონერთან შედარებით მთლიანად საზოგადოების ინტერესების უპირატესობა. „მესამე პირი“, ამ და ყველა სხვა შემთხვევაში, „მეწარმეთა შესახებ“

კანონის მიზნებისათვის, არის გარეშე სუბიექტი, რომელთანაც საზოგადოებას ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა აკავშირებს და არა საზოგადოების პარტნიორი, აქციონერი. ეს მუხლი სწორედ მესამე პირის მიმართ სააქციო საზოგადოების სახელშეკრულებო ან სხვაგვარი მოთხოვნის უფლების რეალიზაციას შეეხება. განსახილველ შემთხვევაში კი, სარჩელი აღძრულია სს „თ. ს.-ს“ აქციათა უმრავლესობის მფლობელის წინააღმდეგ, ამდენად, ზემომითითებული მუხლი საქმესთან დაკავშირებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1056-990-2012 (29 იანვარი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, ვასილ როინიშვილი

საკვანძო საკითხი:
მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განჩინების რეზიუმე:
სადავო საკითხი ეხებოდა საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ საზოგადოების შემოსავლების ხელოვნურად შემცირებას. კასაციის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი – საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერება უნდა დაემტკიცებინა არა მოსარჩელეს (საზოგადოებას), არამედ მოპასუხეს (ყოფილ დირექტორს). საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-692-663-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების მტკიცების ტვირთი აკისრია საზოგადოების (ყოფილ) დირექტორს და არა საზოგადოებას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

განმარტებული საკითხები:
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტეზიას მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ანალოგიური ტიპის დავებზე დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა (იხ. სუსგ 18 აპრილი, 2011 წელი, №ას-764-715-2010), რომლის მიხედვითაც უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის, კერძოდ, საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოსარჩელეს (საზოგადოებას), მაშინ როცა ეს გარემოება მოპასუხეს (საზოგადოების ყოფილ დირექტორს) უნდა ემტკიცებინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადაო საკითხი ეხება საზოგადოების წინაშე ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობას, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ საწარმოს მოგების დაუსაბუთებელ ხარჯვას და ამით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას. სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც

განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე. ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.“

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3525-12 (13 თებერვალი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე), ლევან თევზაძე, თამარ ზამბახიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის პროცედურა.

განჩინების რეზიუმე:
სარჩელი პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ არ დაადგინა კრების მოწვევის პროცედურის დარღვევა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურა არ არის დარღვეული, თუ პარტნიორებს წინა კრებაზე ეცნობათ შემდეგი კრებისა და კრების დღის წესრიგის შესახებ.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 1.,2.

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურის მოწესრიგება ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რომ მოხდეს პარტნიორთა მიერ თავიანთი უფლების კრებაზე რეალიზების უზრუნველყოფა და იმდაგვარად იქნეს განხორციელებული პარტნიორთა კრების მოწვევის ორგანიზაცია, რომ პარტნიორს არ წაერთვას კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. პარტნიორებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მოემზადონ. ამასთან, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, კრების ოქმის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს პროცედურული დარღვევა, რასაც შედეგად მოყვა კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადება. განსახილველ შემთხვევაში, დამფუძნებელ ნ. კ.-სთვის (მოსარჩელე), რომელიც ესწრებოდა 18.02.2012წ. შპს „მ. ხ. ს.-ს“ დამფუძნებელთა კრებას, ცნობილი იყო როგორც შემდგომი სხდომის თარიღი – 2012 წლის 01 მარტი, ასევე დღის წესრიგი – შპს „ც.-სთან“ წარმოებული დავის შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა. 18 თებერვლის კრებაზე მონაწილე პირები ინფორმირებულები იყვნეს ასევე, რომ აღნიშნული ჩაითვლებოდა შეტყობინებად და ცნობად დამფუძნებლებისათვის. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დარღვეულა 01.03.2012წ. პარტნიორთა კრებაზე მოსარჩელის მოწვევის პროცედურა და არ შელახულა მისი, როგორც პარტნიორის კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ უფლება. ამავე დროს კრებაზე გადაწვეტილება მიღებულია პარტნიორთა ხმების უმრავლესობის – 52% ნების გამოვლენით, ასეთ შემთხვევაში გარიგება დადებულად ითვლება და სამართლებრივი შედეგი ექნება იმათთვისაც, ვინც მხარს არ დაუჭერდა განსახილველ საკითხს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3155-12 (21 თებერვალი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ტაბაღუა (თავმჯდომარე), ნანა კობახიძე, თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

საკვანძო საკითხი:
ინტერესთა კონფლიქტი.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის გამო, ახალი გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პარტნიორის დერივაციული სარჩელი საწარმოს სასარგებლოდ დირექტორისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მსგავსი ტიპის საზოგადოებები არ გვაქვს სახეზე, როდესაც საქმიანობის მიმართულებები წესდებათა მიხედვით არ არის იდენტური.

განმარტებული საკითხები:
• ინტერესთა კონფლიქტი.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. შპს „ტ. X ს.-ს“ პარტნიორის და დირექტორის დ. ზ.-ს მიერ შპს „ს.“-ს დაფუძნება და აღნიშნული საზოგადოების საქმიანობაში დირექტორად მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „ტ. X ს.-ს“ წესდების მიხედვით, მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: ტელე-მაუწყებლობის ორგანიზება და ტელე-გადაცემების წარმოება; სატელევიზიო, რადიო და აუდიოვიზუალური პროგრამების შექმნა და გავრცელება; მონაწილეობა საერთაშორისო ტელე და რადიო პროგრამების გაცვლაში; ტელე და რადიოდანადგარების შეკეთება, შესყიდვა და რეალიზაცია და სხვა სახის საქმიანობა.

შპს „ს.“-ს წესდებით, მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა ტიპის სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნა და ექსპლუატაცია; კავშირგაბმულობის საშუალებების დაპროექტება, შექმნა, მონტაჟი და ექსპლოატაცია; ტელე და რადიო-მაუწყებლობის ორგანიზება და ტელე და რადიო გადაცემების წარმოება; სატელევიზიო, რადიო და აუდიოვიზუალური პროგრამების შექმნა და გავრცელება და სხვ.

შპს „ტ. X ს.-ს“ და შპს „ს.“-ს საქმიანობის მიმართულებები მათი წესდებათა მიხედვით არ არის იდენტური, კერძოდ, შპს „ს.“-ს საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა ტიპის სამაუწყებლო და საკომუნიკაციო ქსელების შექმნა და ექსპლოატაცია; კავშირგაბმულობის საშუალებების დაპროექტება, შექმნა, მონტაჟი და ექსპლოატაცია, მაშინ, როდესაც შპს „ტ. X ს.“ აღნიშნული მიმართულებით არ საქმიანობს.

საქმეში წარმოდგენილი ლიცენზიებით დასტურდება, რომ შპს „ს.“-ს უფლება აქვს ისარგებლოს რადიოსიხშირული სპექტრით.

შპს „ტ. X ს.“ სარგებლობს რადიოსიხშირული სპექტრით და ეწევა საეთერო სიგნალის ტრანსპორტირების მომსახურებას, არც საზოგადოების წესდებით და არც სხვა რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში“ დირექტორობაზე თანხმობა გაცემულია კონკლუდენტური მოქმედებით, როდესაც საწარმოს სათანადო წილის მქონე პარტნიორები დააფუძნებენ ახალ საწარმოს და იმავე პირს დანიშნავენ ახალი საწარმოს დირექტორად.

განმარტებული საკითხები:
- ინტერესთა კონფლიქტი.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- თანხმობა ინტერესთა კონფლიქტში.
- მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოება.
- გარიგება კონკლუდენტური მოქმედებით.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... დ. ზ.-სთვის, როგორც შპს „ტ. X ს.-ს“ დირექტორისთვის, მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში დირექტორის სახით საქმიანობაზე თანხმობა უნდა გაეცა პარტნიორთა საერთო კრებას. პარტნიორთა კრება კი, გადაწყვეტილებას მიიღებდა კანონით და წესდებით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, პარტნიორების ხმათა სათანადო ოდენობით.

დადგენილი იქნა, რომ დ. ზ.-სთვის შპს „ს.“-ს დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებაზე შპს „ტ. X ს.-ს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ „ტ. X ს.-ს“ პარტნიორები შპს „ს.“-ში დამფუძნებელ პარტნიორებად მონაწილეობით და საზოგადოების დირექტორად დ. ზ.-ს დანიშვნით, კონკლუდენტურად დაეთანხმნენ მას შპს „ტ. X ს.-ს“ „მსგავსი ტიპის“ საზოგადოებაში დირექტორის ფუნქციების განხორციელებაზე.

სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ს.“-ში დამფუძნებელ პარტნიორებად წარმოდგენილი პირები აღნიშნული საზოგადოების დაფუძნების დროისათვის ფლობდნენ შპს „ტ. X ს.-ში“ 50%-ზე მეტ წილის (ტ. I. ს.ფ. 49), რაც შპს „ტ. X ს.-ს“ წესდების მიხედვით, საკმარის რაოდენობას წარმოადგენს იმისთვის, რომ დირექტორს დაერთოს ნება მონაწილეობა მიიღოს მსგავსი ტიპის საზოგადოებაში დირექტორის სახით საქმიანობაზე.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი მეწარმეთა რეესტრიდან ამონაწერებით დასტურდება, რომ შპს „ტ. X ს.-ს“ და შპს „ს.“-ს გააჩნიათ ერთიდაიგივე იურიდიული მისამართი. (ტ. I. ს.ფ. 4-8)

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „ტ. X ს.-ს“ პერტნიორებისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მოპასუხე დ. ზ.-ს დირექტორად მონაწილეობის შესახებ შპს „ს.“-ში, რაზეც მათ პრეტენზია არ გამოუთქვამთ. აღნიშნული კი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებიდან გამომდინარე ითვლება თანხმობად მსგავსი საქმიანობის განხორციელებაზე.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, დირექტორის მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარდგენილ სარჩელზე სხვა საზოგადოება წარმოადენს არასათანადო მოპასუხეს.

განმარტებული საკითხები:
- ინტერესთა კონფლიქტი.
- მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოება.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 5.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. ... „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე დირექტორების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წარმოადგენს დირექტორი, შესაბამისად, განსახილველ დავაში მოპასუხედ ჩართული შპს „ს.“, წარმოადგენს არასათანადო მოპასუხეს.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს პარტნიორი წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს, როდესაც მესამე პირისგან საწარმოს სასარგებლოდ ითხოვს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე თანხის დაკისრებას.

განმარტებული საკითხები:
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. რაც შეეხება ვ. კ.-ს სარჩელის იმ საფუძვლებს, რომლებიც შეეხება შპს „ს.“-ს მიერ შპს „ტ. X ს.-ს“ კუთვნილი მოძრავი ტექნიკური სადგურის იჯარით სარგებლობიდან გამომდინარე გადაუხდელი საიჯარო ქირის (კომუნალური გადასახადების ჩათვლით) დაკისრებას და კოჯრის სარელეო პუნქტზე ანძის მონტაჟის მომსახურების უსაფუძვლობას, პალატას მიაჩნია, რომ ვ. კ. როგორც შპს „ტ. X ს.-ს“ პარტნიორი, ამ ნაწილში წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს.

გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის“ მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საზოგადოების სახელით სარჩელის აღძვრის უფლება გააჩნია საზოგადოების დირექტორს და არა მის რომელიმე პარტნიორს. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე ვ. კ.-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ვ. კ.-ს სარჩელი აღძრული აქვს არა როგორც საზოგადოების დირექტორს საზოგადოების სახელით, არამედ, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ პარტნიორს ინდივიდუალურად. შესაბამისად, ვ. კ. არაუფლებამოსილი პირია (არასათანადო მოსარჩელეა) მოითხოვოს შპს „ტ. X ს.-სა“ და შპს „ს.“-ს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე შპს „ს.“-სთვის თანხის დაკისრება შპს „ტ. X ს.-ს“ სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5032-12 (05 მარტი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს პარტნიორთა კრებამ მოსარჩელე გარიცხა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან. მოსარჩელე ითხოვდა კრების შესაბამისი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რაც არ დაკმაყოფილდა გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლების არარსებობისა და აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შპს-ს პარტნიორთა კრების მიმდინარეობა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ პარტნიორთა კრების ოქმით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- მტკიცებულების დასაშვებობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ნაწილი 3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
4.1. ... სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად დოკუმენტი, რითაც შეიძლება დადასტურდეს საზოგადოების პარტნიორთა კრების მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილება, პარტნიორთა კრების ოქმია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კრების საერთო მიმდინარეობის ასახვა არ შეიძლება განიმარტოს იმდაგვარად, რომ ოქმში უნდა აისახოს კრებაზე მიმდინარე ყველა გარემოება ან სიტყვასიტყვით მიეთითოს თითოეული გაკეთებული განმარტება და წარმოთქმული რეპლიკა. კრების საერთო მიმდინარეობის ასახვა გულისხმობს ინფორმაციის მითითებისა და ასახვის ვალდებულებას, იმდაგვარად, რომ ოქმის გაცნობის შემდგომ ნათელი გახდეს კრებაზე განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, იმ პირებისთვისაც, რომლებიც კრებას არ ესწრებოდნენ.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- სანოტარო მოქმედება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 3.
- ნოტარიატის შესახებ, მუხლი 38. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... ნოტარიუსის მიერ შედგენილ კრების ოქმში, უნდა აისახოს სხდომის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რომლებშიც მოიაზრება კრების ადგილისა და დროის, დაწყებისა და დასრულების თარიღის, კრების (სხდომის) თავმჯდომარის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ოქმის გაცემის თარიღის მითითება. თუმცა, გარდა აღნიშნულისა, ნოტარიუსის მიერ შედგენილ კრების ოქმში აისახება კრების საერთო მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილებები. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ კრების საერთო მიმდინარეობის ასახვა არ შეიძლება განიმარტოს იმდაგვარად, რომ ოქმში უნდა აისახოს კრებაზე მიმდინარე ყველა გარემოება ან გაკეთებული ყველა განმარტება და რეპლიკა სიტყვა-სიტყვით მითითებით. კრების საერთო მიმდინარეობის ასახვა გულისხმობს ინფორმაციის მითითებისა და ასახვის ვალდებულებას, იმდაგვარად, რომ ოქმის გაცნობის შემდგომ ნათელი გახდეს კრებაზე განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, იმ პირებისთვისაც, ვინც კრებას არ ესწრებოდა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების ოქმი მხარეთა შორის დადებულ გარიგებას წარმოადგენს და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ტექნიკური უსწორობა, პარტნიორთა კრების ოქმის დაწყებისა და დამთავრების დროის ცდომილება, დარღვევის უმნიშვნელო/არაარსებითი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ გახდება ოქმის ბათილად ცნობის საფუძველი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ნაწილი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... რაც შეეხება, აპელანტის მიერ მითითებულ რამდენიმე წუთიან ცდომილებას, პალატა განმარტავს, რომ პარტნიორთა კრების ოქმი მხარეთა შორის დადებულ გარიგებას წარმოადგენს და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ნორმები [იხ.: სუსგ 2013 წლის 14 იანვრის №ას-1137-1068-2012 გადაწყვეტილება]. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული ვერც ერთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სასამართლოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი ნორმის შეჯერების საფუძველზე სადავო კრების ოქმის და კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგობას გაამყარებდა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ტექნიკური უსწორობის, პარტნიორთა კრების ოქმის დაწყებისა და დამთავრების დროის ცდომილების დადასტურების პირობებშიც კი, დარღვევის უმნიშვნელო ხასიათიდან გამომდინარე, იგი ვერ გახდება ოქმის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან ცდომილება არის არაარსებითი ხასიათის და არ წარმოადგენს აღნიშნული ოქმის, როგორც მრავალმხრივი გარიგების, ბათილობის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინაპირობას.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აღიარებით სარჩელს, მიკუთვნებითი სარჩელისაგან განსხვავებით, წაეყენება დამატებითი წინაპირობა – ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა. იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო წესით მოთხოვნა მიღწევადი, ხოლო უფლება – რეალიზებადია. თუ სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა ან მისი მიღწევა სხვა უცნობ მოვლენაზე, ან მესამე პირის (დომინანტი პარტნიორის) ნებაზეა დამოკიდებული, ასეთ შემთხვევაში, იურიდიული ინტერესი ნამდვილი არ არის.

განმარტებული საკითხები:
- დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი.
- მიკუთვნებითი სარჩელი.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.
- აღიარებითი სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 8.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას, აუცილებელია, რომ არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. აღიარებით სარჩელს, მიკუთვნებითი სარჩელისაგან განსხვავებით, წაეყენება დამატებითი წინაპირობა – ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, ანუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, რა არის მოსარჩელის სამართლებრივი დაცვის ინტერესი. აღნიშნული ინტერესის არსებობა წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისა და დაკმაყოფილების ძირითად წინაპირობას. აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი უნდა იყოს ნამდვილი. ერთია, მოსარჩელის სურვილი, ხოლო მეორე კი – სარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რომელთა ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება [იხ.: სუსგ 2012 წლის 12 ნოემბრის №ას-1261-1190-2012 გადაწყვეტილება].

პალატა დამატებით განმარტავს, რომ სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო წესით მოთხოვნა მიღწევადი, ხოლო უფლება რეალიზებადია. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა ან მისი მიღწევა სხვა უცნობ მოვლენაზე ან მესამე პირის ნებაზეა დამოკიდებული, ასეთ შემთხვევაში, იურიდიული ინტერესი ნამდვილი არ არის. იურიდიული ინტერესი ნამდვილი არ არის მაშინაც, როდესაც მიუხედავად მოსარჩელისათვის სასარჩელო წარმოებით დამდგარი იურიდიული შედეგისა, აღნიშნული შედეგი, მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა, ცვლილებას განცდის ლეგიტიმურად, მესამე პირთა შეთანხმებისა თუ სხვა ორგანოთა გადაწყვეტილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, შპს „რ.-ს“ 2012 წლის 10 აგვისტოს პარტნიორთა კრების ოქმის სასამართლო წესით ბათილობის პირობებშიც, შესაძლებელია დომინანტი პარტნიორების მხრიდან იგივე გადაწვეტილების ხელახლა მიღება, რაც, რაღა თქმა უნდა, ზ. მ.-ს იურიდიულ ინტერესს ფორმალური, კერძოდ, ტექნიკური ხარვეზის საფუძვლით პარტნიორთა კრების ბათილად ცნობის თაობაზე, არანამდვილს ხდის. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ შპს „რ.-ს“ 52% წილის მფლობელმა პარტნიორმა მ. მ.-მ გამოხატა ნება და მხარი დაუჭირა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან ზ. მ.-ს გამოხმობას. აპელანტის განმარტება, რომ მ. მ.-ს გადაწყვეტილება იყო ემოციაზე დაფუძნებული და კრების განმეორებით ჩატარების შემთხვევაში სხვა შედეგი დადგება, ვერ გახდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/74-13 (22 მაისი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე), ნათია ქუთათელაძე, თამარ ზამბახიძე

საკვანძო საკითხი:
სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის ბათილად ცნობას, რაც არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ სხდომა მოწვეული იყო სათანადო წესით და მოსარჩელე (საბჭოს წევრი) სათანადოდ იყო ინფორმირებული სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ.

განმარტებული საკითხები:
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება.
- სამეთვალყურეო საბჭო.
- გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სამეთვალყურეო საბჭოს წევრს წინასწარ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოემზადოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

განმარტებული საკითხები:
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება.
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- სამეთვალყურეო საბჭო.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55.

სრული განმარტების ციტირება:

4.7. ... პალატა განმარტავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის პროცედურის მოწესრიგება ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რომ მოხდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ თავიანთი უფლების სხდომაზე რეალიზების უზრუნველყოფა და იმდაგვარად იქნეს განხორციელებული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის ორგანიზაცია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ წაერთვას სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს წინასწარ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მოემზადოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1634-1533-2012 (24 სექტემბერი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა სილაგაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
სამეთვალყურეო საბჭოს წევრის/დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

გადაწყვეტილების რეზიუმე:
სასამართლომ დაადგინა საწარმოსა და ფიზიკურ პირს შორის არა სამეწარმეო, არამედ შრომით ურთიერთობის არსებობა და დააკისრა კომპენსაცია, რომელიც მოიცავს იმ შრომის ანაზღაურებას, რასაც დასაქმებული მიიღებდა ხელშეკრულება ვადამდე რომ არ შეწყვეტილიყო.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/2706-14

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით და არა შრომის კოდექსით მოსაწესრიგებელ საკითხებს. მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 1. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- შრომის კოდექსი, მუხლი 1. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები, საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოდგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე (იხ. მაგ. სუსგ 3/კ259-01).

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით, მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.);

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5236-13 (10 ოქტომბერი, 2013 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ბესარიონ ტაბაღუა, ლილი ტყემალაძე

საკვანძო საკითხი:
უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელეს უარი ეთქვა უცხოური საწარმოს ფილიალის მიმართ აღძრული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა გასაჩივრებული განჩინების შეფასებას, რომ ფილიალი შესაძლებელია, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად გამოვიდეს პროცესში. კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ძირითადი საწარმო წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და, შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი/უცხოური საწარმოს ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად. ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება რედომიცილებაზე და უცხოური საწარმოს მიერ საქართველოში დაარსებულ დამოუკიდებელ საწარმოზე, თუნდაც ამ საწარმოს სახელწოდებაში ფიგურირებდეს „ფილიალი“. იმის დადგენა, პროცესის მონაწილე წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს თუ დამოუკიდებელ საწარმოს, შეიძლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით.

განმარტებული საკითხები:
- ძირითადი საწარმო.
- საწარმოს ფილიალი.
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- რედომიცილება.
- წარმომადგენლობა.
- წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება.
- მხარეები სამოქალაქო პროცესში.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[7]. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტები 1.,4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 5.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 79.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 94. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 96.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 186.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა განმარტავს, რომ ფილიალი განცალკავებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის გან-

ხორციელებას და მის ტერიტორიულ გაფართოვებას. საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს და ახორციელებს მათ დაცვას. საწარმოს ფილიალი ძირითადი საწარმოსაგან ტერიტორიულად დაშორებულია, მას გააჩნია ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, იგი სამართლებრივად დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე.

ამდენად, მაშინაც როდესაც საწარმოს ფილიალი დამოუკიდებელ მხარედ გამოდის სამართალურთიერთობაში, აღნიშნული დამოუკიდებლობა განპირობებულია ძირითადი საწარმოს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებით, შესაბამისად, ასეთ სამართალურთიერთობის დროსაც კი ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლო სამართალწარმოებაში, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისო საპროცესოსამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. ამდენად, ძირითადი საწარმო წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როდესაც სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ ემსახურება სამეწარმეო სამართლებრივ კონტექსტში მის ცალკე სამეწარმეო სუბიექტად განხილვის მიზანს. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია ემსახურება ისეთი მიზნებს, როგორიცაა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების რეჟიმში მოქცევა, გადასახადების გადახდა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ა. შ., მაგრამ არამცდაარამც ფილიალის სამართალსუბიექტად ქცევას. განსხვავებული მიდგომა, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართლის ძირითად პრინციპებს, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც ძირითად საწარმოსა და ფილიალს შორის ურთიერთობის ფარგლებში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ნიშანდობლივია ყურადღების გამახვილება საწარმოს ფილიალის მიმართ დამდგარ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სირთულეებზე. ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ძირითადი საწარმოს საპროცესო უფლება, მონაწილეობა მიიღოს მისი საქმიანობის განმახორციელებელი ტერიტორიული განაყოფის თაობაზე გამართულ სასამართლო სამართალწარმოებაში. აღნიშნული უფლების შეზღუდვამ, შედეგობრივი თვალსაზრისით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს ისეთ გარემოებაზე, როდესაც უცხოური საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე მისი საქმიანობის განხორციელების მიზნით აარსებს დამოუკიდებელ საწარმოს ამათუიმ დამოუკიდებელ სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით, ასეთ ვითარებაში, საწარმოს სახელწოდებაში შეიძლება ფიგურირებდეს ფილიალი, თუმცა, სამართლებრივ ფორმაში მითითებული იყოს მაგალითად შპს, სს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფუნქციურად უცხოური საწარმოს ფილიალთან, თუმცა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საქართველოში დაარსებულ მეწარმე სუბიექტთან, რა დროსაც, იგი სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტად განიხილება და მის მიმართ, ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. იგივე უნდა ითქვას, უცხო ქვეყნის საწარმოებზე, რომელთა საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად მოხდა რეგისტრაციის გადმოტანა საქართველოში (რედომიცილება).

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეა სს „თ. ა. თ.-ს ფილიალი". მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, სს „თ. ა. თ.-ს ფილიალი" სამართლებრივი ფორმაა უცხოური საწარმოს ფილიალი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უცხოური საწარმოს ფილიალთან და არა უცხოური საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის საქართველოში განსახორციელებლად დაფუძნებულ დამოუკიდებელ სუბიექტთან.

ამდენად, სააპელაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოში რეგისტრირებული ფილიალის მიმართ. პალატა განმარტავს, რომ ასეთ ვითარებაში საამისო საპროცესო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში (როცა ფილიალის დაფუძნების შესახებ ძირითადი საწარმოს გადაწყვეტილებაში ამავე ფილიალს დავის არსებობის შემთხვევაში მინიჭებული აქვს მისი სახელით სასამართლო სამართალწარმოების წარმართვის უფლება) დასაშვებია ფილიალის სასამართლო სამართალწარმოებაში მონაწილეობა, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, შესაბამისად, სარჩელი მიმართული უნდა იყოს ძირითადი საწარმოს მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს რეგისტრირებული ფილიალი საქართველოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3797-13 (22 ოქტომბერი, 2013 წელი)
მოსამართლეები: მაია ბაქრაძე (თავმჯდომარე), თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, ბესარიონ ტაბაღუა

საკვანძო საკითხი:
საწარმოს დაყოფა.

განჩინების რეზიუმე:
სარჩელი შპს-ს ორ დამოუკიდებელ საწარმოდ დაყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა, გამომდინარე იქიდან, რომ პარტნიორთა კრებას საერთოდ არ განუხილავს საწარმოს რეორგანიზაციის საკითხი, ხოლო სასამართლოს არ გააჩნია საწარმოს გაყოფის კომპეტენცია.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შპს-ს, როგორც კაპიტალური საზოგადოების ერთ-ერთ კომპონენტს, მისი დამოუკიდებლობა წარმოადგენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ არა სასამართლოს, არამედ მხოლოდ საწარმოს პარტნიორებს შეუძლიათ რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- საწარმოს რეორგანიზაცია.
- საწარმოს გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[4]. პუნქტები 1.გ.,5.

სრული განმარტების ციტირება:
4.1. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება (კრების ოქმი), რომლითაც დადასტურებული იქნებოდა საწარმოს პარტნიორების თანხმობა საწარმოს რეორგანიზაციასთან (დაყოფა) დაკავშირებით საქმეში არ მოიპოვება. ასევე, არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც გამოვლენილი იქნებოდა საწარმოს ყველა პარტნიორის ნება საწარმოს რეორგანიზაციასთან (დაყოფა) დაკავშირებით.

4.2. რაც შეეხება აპელანტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მისი, როგორც პარტნიორის უფლება საწარმოს დაყოფასთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით, ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ საფუძვლით, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის სადავოა შპს-ს რეორგანიზაციის (დაყოფის) საკითხი, ხოლო შპს-ს, როგორც კაპიტალური საზოგადოების ერთ-ერთ კომპონენტს სწორედ მისი დამოუკიდებლობა წარმოადგენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ საწარმოს პარტნიორებს შეუძლიათ რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება თავიანთი ნების შესაბამისად. თავის მხრივ, წესდება ანუ, პარტნიორთა მიერ დადებული შეთანხმება, რომლის საფუძველზედაც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, ამომწურავად არეგულირებს მოცემულ შემთხვევაში, ნ. ა.-ს მიერ აღძრული სარჩელით სადავოდ გამხდარ საკითხს და ამდენად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი პარტნიორთა ნების მიღმა, თავად დაადგინოს საწარმოს რეორგანიზაციის – მისი ნატურით დაყოფის საკითხი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2/ბ-1000-13 (15 იანვარი, 2014 წელი)
მოსამართლეები: დურმიშხან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე), დიმიტრი გვრიტიშვილი, სიმონ ჩხაიძე

საკვანძო საკითხი:
საბუღალტრო ჩანაწერების გაცნობის უფლება.

განჩინების რეზიუმე:
მოწინააღმდეგე მხარის (საწარმოს პარტნიორის) გამოუცხადებლობის მიუხედავად, აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა გადაწყვეტილება საწარმოსთვის საბუღალტრო დოკუმენტაციის გაცნობის დავალდებულების შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორს უფლება აქვს გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შესახებ იმ დოკუმენტაციას, რომელიც საზოგადოებაში იქმნება და ინახება. ასევე პარტნიორს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს წლიური ანგარიშის და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღება წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე და შემდეგაც, მაგრამ განმარტებების მოთხოვნა შეუძლია წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.15. პალატა არ იზიარებს აპელანტის შპს „ს.-ს“ წარმომადგენლის განმარტებას, რომ მოსარჩელეს არ აქვს უფლება გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შესახებ იმ დოკუმენტაციას, რომელიც საზოგადოებაში იქმნება და ინახება. ასევე არასწორია აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ პარტნიორს არ აქვს უფლება საზოგადოების ყველა პუბლიკაციას გაეცნოს წლიური ანგარიშის დამტკიცებამდე, იმავე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად პარტნიორს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს წლიური ანგარიშის და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღება ანგარიშის დამტკიცებამდე და შემდეგაც, მაგრამ მას განმარტებები შეუძლია მოითხოვოს წლიური ანაგარიშის წარდგენის შემდეგ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

5.1. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის და ამავე კანონის 46-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. პარტნიორს უფლება აქვს გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შესახებ იმ დოკუმენტაციას, რომელიც საზოგადოებაში იქმნება და ინახება. ასევე პარტნიორს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს წლიური ანგარიშის და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღება ანგარიშის დამტკიცებამდე და შემდეგაც, მაგრამ მას განმარტებები შეუძლია მოითხოვოს წლიური ანაგარიშის წარდგენის შემდეგ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქმის №1/1/543 (29 იანვარი, 2014 წელი)
მოსამართლეები: კონსტანტინე ვარძელაშვილი (თავმჯდომარე), მაია კოპალეიშვილი (მომხსენებელი), ვახტანგ გვარამია, ქეთევან ერემაძე

საკვანძო საკითხი:
სამეწარმეო სამართალში ხანდაზმულობის კონსტიტუციურობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე დავობდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან (საკუთრების უფლება) მიმართებით. სადავო ნორმა, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის უგულებელყოფით დადებული გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას წარმოდგენილ საწარმოს უზღუდავდა სადავო ხელშეკრულების დადებიდან 18-თვიანი ხანდაზმულობით. საკონსტიტუციომ დაადგინა შემდეგი: როდესაც სახეზე არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია, რადგან არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის (სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის) მიღწევის თანაზომიერ საშუალებას, ხოლო, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი. ამრიგად, სარჩელი დაკმაყოფილდა – სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1412-1332-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ხანდაზმულობის ვადა ეფექტიანად იცავს კეთილსინდისიერი კონტრაჰენტის ინტერესებს უსაფუძვლო სარჩელებისგან. ხანდაზმულობის ვადა დაარღვევს ინტერესთა შორის სამართლიან ბალანსს, თუ ის იმდენად ამკარად, არაგონივრულად მცირე, ხანმოკლე იქნება, რომ ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდებოდა უფლების გამოყენებისა და დაცვისადმი კეთილსინდისიერად განწყობილი პირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების უფლებასთან მიმართებით დაირღვევა პროპორციულობის პრინციპი. ხანდაზმულობის ვადა არ უნდა ქმნიდეს იმის რისკებს, რომ ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მოხდება პირის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ერთგვარი „ლეგიტიმაცია“. საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი. ის გარემოება, რომ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში ხდება კონტრაჰენტის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ერთგვარი „ლეგიტიმაცია“, ქმნის რისკებს, რომ გაუმართლებლად შეიზღუდება მეწარმე სუბიექტის საკუთრების უფლება. ასეთ შემთხვევებში, გამორიცხულია კეთილსინდისიერი კონტრაჰენტების დაცვის ინტერესის და, შესაბამისად, ლეგიტიმური მიზნის არსებობა.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- საკუთრების უფლება.
- აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.
- ლეგიტიმური მიზანი.
- შეზღუდვის თანაზომიერება (პროპორციულობა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. ნაწილი 1.

- კონსტიტუცია, მუხლი 19.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

სრული განმარტების ციტირება:

7. სადავო ნორმის თანახმად, „თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“.

10. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა დაიწყოს არა გარიგების დადების მომენტიდან, არამედ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის შესაბამისად – მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, რადგან მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

31. განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმა წარმოადგენს საზოგადოების კორპორაციული მართვის სისტემის შემზღუდველ მექანიზმს და ადგენს ჩამკეტ ვადას შეზღუდული უფლებამოსილების მქონე კორპორაციული მართვის ორგანოს მიერ განხორციელებულ გარიგებასთან დაკავშირებით.

32. სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება წარმოადგენს ჩარევას კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ საკუთრების უფლებაში იმდენად, რამდენადაც მეწარმე სუბიექტს – მესაკუთრეს ეზღუდება შესაძლებლობა, ნამდვილი ნების შესაბამისად განკარგოს საკუთრება და მოითხოვოს გარიგების ბათილობა მისი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვის შემთხვევაში.

37. სასამართლო იზიარებს მოპასუხის არგუმენტს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვა წარმოადგენს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით განპირობებულ ლეგიტიმურ მიზნებს, რაც, ზოგადად, შესაძლებელია იყოს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გამამართლებული საფუძველი. სასამართლო ასევე ეთანხმება მოპასუხეს, რომ, ზოგადად, ხანდაზმულობის ვადის დაწესებით, სადავო ნორმა ეფექტურად იცავს კეთილსინდისიერი კოტრაგენტის ინტერესებს უსაფუძვლო სარჩელებისგან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასეთი ვადის არარსებობის შემთხვევაში.

40. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმას გააჩნია ლეგიტიმური მიზანი, ეს თავისთავად არ არის საკმარისი სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად. ამისათვის აუცილებელია არსებობდეს ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის. ამასთანავე, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული და არსებობდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და საპირწონე ინტერესს შორის.

41. ერთი მხრივ, კანონმდებელი არ უნდა აწესებდეს ხანდაზმულობის გაუმართლებლად ხანგრძლივ ვადას, რაც შემდეგ შექმნის შესაძლებლობას, რომ ნებისმიერი გარიგება გახდეს სადავო და კეთილსინდისიერმა კონტრაგენტმაც კი ვერ შეძლოს თავის დაცვა. მეორე მხრივ, ის არ უნდა იყოს არაგონივრული, აშკარად მცირე, არ უნდა გამორიცხავდეს დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

42. უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმა კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს. ნორმაში ცოდნის ელემენტის არსებობის გათვალისწინებით, გარიგების გაბათილება იმ პირობებშიც კი შეუძლებელია, როდესაც საწარმოს დირექტორს არ ჰქონდა მოცემული გარიგების მეწარმის სახელით დადების უფლებამოსილება (შეზღუდული ჰქონდა უფლებამოსილება), მაგრამ კონტრაგენტი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.

43. ამავე დროს, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მეწარმე არათანაზომიერად არ უნდა იყოს შეზღუდული უფლებაში, მოითხოვოს გარიგების ბათილობა, თუ მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვა არ იწვევს ეჭვს და კონტრაგენტისთვის ერთმნიშვნელოვნად ცნობილი იყო, რომ წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი, დაედო გარიგება.

44. სადავო ნორმის კონსტიტუციორობის შეფასებისას უნდა შემოწმდეს, გამართლებულია თუ არა სადავო ნორმით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის არსებობა იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენელის და კონტრაგენტის არაკეთილსინდისიერი ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, მეწარმე სუბიექტმა დაკარგა შესაძლებლობა, განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე.

46. სადავო ნორმა, შესაძლოა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – გარიგების დადების გამარტივებას და ყოველი გარიგების საეჭვოობის გამორიცხვას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ გარიგების ბათილობისთვის მხოლოდ 18 თვეა განსაზღვრული, სადავო ნორმა არაპროპოციულად მძიმე ტვირთს აკისრებს მეწარმეს.

47. როგორც უკვე აღინიშნა, მეწარმეს (პარტნიორს) გააჩნია შესაძლებლობა (და ვალდებულებაც), სათანადო ზედამხედველობა გაუწიოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ხელმძღვანელის/წარმომადგენლის დანიშვნიდან გამომდინარე რისკის კეთილსინდისიერ კონტრაგენტებზე გადანაწილება არსებითად არასწორი იქნებოდა და საფრთხეს შეუქმნიდა სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. მაგრამ, ამავე დროს, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებელი არც მეწარმე სუბიექტს უნდა აკისრებდეს არათანაზომად, მძიმე ტვირთს.

48. საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „...ხანდაზმულობის ვადა დაარღვევდა ინტერესთა შორის სამართლიან ბალანსს დაინტერესებული პირების საზიანოდ, თუ ის იმდენად აშკარად, არაგონივრულად მცირე, ხანმოკლე იქნებოდა, რომ ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდებოდა უფლების გამოყენებისა და დაცვისადმი კეთილსინდისიერად განწყობილი პირებისათვის, რითაც მათ არათანაზომადად უფრო მძიმე ტვირთს დააკისრებდა...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34). სასამართლომ მიიჩნია, რომ „...5 წელი შეიძლება ჩაითვალოს მინიმალურ, თუმცა ობიექტურად საკმარის, გონივრულ, განჭვრეტად ვადად დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობის გამოყენებისთვის და, შესაბამისად, ინტერესთა შორის ბალანსის შენარჩუნებისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34).

49. ზემოაღნიშნულ საქმეზე სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აითვლებოდა არა სადავო გარემოებების (ან გარიგების) წარმოშობიდან, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებიდან. რაც შეეხება სადავო ნორმით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის 18 თვიან ვადას, მისი დინება გარიგების დადების მომენტიდან იწყება. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ და ბევრად მეტია ალბათობა, რომ პირმა შეიტყოს მისი არსებობის შესახებ, ვიდრე კონკრეტული გარიგების დადების შემთხვევაში.

50. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გაუმართლებელია გარიგების ბათილად ცნობის ესოდენ ხანმოკლე ხანდაზმულობის ვადით შემოფარგვლა იმ პირობებში, როდესაც მეწარმის (პარტნიორის) მხრიდან ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე სათანადო ზედამხედველობის, კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით მისი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ კონტრაგენტისთვის ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, გარიგების ხელმომწერთა არაკეთილსინდისიერი (და შესაძლოა მართლსაწინააღმდეგო) ქმედების შედეგად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მეწარმისთვის დაფარული, ხელმიუწვდომელი ხდება.

51. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს გარიგების ბათილობისთვის, ზოგადად ხანდაზმულობის ვადის დაწესების მიზანშეწონილობას. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა არის აშკარად მცირე, რადგან ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ მეწარმე სუბიექტმა ვერ შეძლოს ინფორმაციის მიღება საკუთარ ქონებასთან დაკავშირებით, უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის თაობაზე.

55. სადავო ნორმაში აღწერილი ქმედებები, რიგ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი ქმედების შემცველიც შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გარიგება იდება მეწარმე სუბიექტის დირექ-

ტორისათვის ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების ან ქონებრივი მომსახურების ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის შეთავაზების გზით, ეს ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – კომერციული მოსყიდვის ნიშნებს.

56. მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება, თუ რა საჯარო ინტერესს უნდა ემსახურებოდეს ისეთი გარიგების ნამდვილ გარიგებად ტრანსფორმაცია, რომელსაც საფუძვლად სისხლის სამართლებრივი დანაშაული უდევს.

57. არსებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის პირობებში გაუმართლებელი იქნებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს დაეცვა ისეთი ქონებრივი სიკეთე, რომელიც დანაშაულებრივი გზით მოიპოვა ამა თუ იმ პირმა. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშავს, რომ 21-ე მუხლი იცავს საკუთრებას, აქ იგულისხმება მხოლოდ კანონიერი საკუთრება. უკანონო საკუთრება 21-ე მუხლით დაცულ სფეროში ვერ ექცევა, რადგან ამ დროს თავად საკუთრების უფლების არსებობაა საეჭვო. „საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადამწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისთვის.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14).

58. ამგვარად, კონტრაგენტის მიერ დანაშაულებრივი გზით დადებული გარიგებით მიღებული სარგებელი არ წარმოადგენს არც საკუთრების უფლებით დაცულ ღირებულებას და არც რაიმე სხვა ინტერესს, რომელიც შეიძლება გამოდგეს მეწარმე სუბიექტის საკუთრების უფლების შეზღუდვის საპირწონედ.

59. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა უკავშირდება სისხლის სამართლის დანაშაულის გზით დადებული ხელშეკრულებების ბათილობას, ის არ წარმოადგენს კეთილსინდისიერი კონტრაგენტების დაცვის გარანტიას. ამგვარი ნორმატიული შინაარსით სადავო ნორმა შეეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახეზეა ცალკეული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევებში კი გამორიცხულია კეთილსინდისიერი კონტრაგენტების დაცვის ინტერესი, რადგან, როდესაც დგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო მეთოდებით მეწარმე სუბიექტთან გარიგების დადების საფუძველზე, per se ივარაუდება, რომ სახეზეა არაკეთილსინდისიერი ბრუნვის მონაწილე.

60. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხანდაზმულობის ვადები, თავის მხრივ, დაწესებულია სისხლის სამართლის დანაშაულებზეც, კეთილსინდისიერი კონტრაგენტები დაცული არიან ხანგრძლივი დროის შემდეგ უსაფუძვლო სარჩელებისა თუ მოთხოვნებისაგან.

61. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს ცალკეული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობა. თუმცა ის გარემოება, რომ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში ხდება პირის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ერთგვარი „ლეგიტიმაცია“, ქმნის რისკებს, რომ გაუმართლებლად მოხდება მეწარმე სუბიექტის საკუთრების უფლების შეზღუდვა. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ხანდაზმული არ არის, დგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სადავო ნორმა ქმნის სამართლებრივ ბარიერს, რათა მეწარმე სუბიექტი აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში, დაიბრუნოს ის ქონება ან სარგებელი, რაც დაკარგა დანაშაულებრივი ხელშეკრულების დადების შედეგად.

62. ამდენად, სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც შეიძლება ემსახურებოდეს სადავო ნორმა იმ შემთხვევაში, როდესაც ის უკავშირდება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გზით დადებულ ხელშეკრულებას.

63. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა, ერთი მხრივ, არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის თანაზომიერ საშუალებას, არ ადგენს რა სამართლიან ბალანსს და, ამგვარად, არაპროპორციულია იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და ლეგიტიმურ მიზნად განიხილება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესები. ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, არ არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, რომლითაც გამართლებული იქნებოდა საკუთრების უფლების შეზღუდვა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა – „მეწარმეთა

შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

OD – სადავო ნორმის თანახმად, კონტრაჰენტის მიერ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტი და კონტრაჰენტის მიერ ამ ფაქტის ცოდნა წარმოადგენს გარიგების ბათილად გამოცხადების მოთხოვნის აუცილებელ კუმულატიურ წინაპირობებს. კეთილსინდისიერ კონტრაჰენტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, შეამოწმოს საწარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. საპირისპიროს დადასტურდებამდე უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაჰენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის საშუალებით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაჰენტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. „ცოდნა“, რომელიც შემდგომ, შესაძლოა, გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაჰენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაჰენტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაჰენტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაჰენტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითისთვის, როდესაც კონტრაჰენტს უშუალოდ მეწარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. თუ, ამგვარი შეტყობინების მიუხედავად, კონტრაჰენტი მაინც დადებს გარიგებას, ასეთი გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი.

განმარტებული საკითხები:

- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- კეთილსინდისიერი კონტრაჰენტი.
- იცოდა/შეეძლო სცოდნოდა.
- გარიგების ბათილობა.
- კუმულაციური პირობები.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:

11. ... სადავო ნორმის თანახმად, კონტრაგენტის მიერ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის ფაქტი და კონტრაგენტის მიერ ამ ფაქტის ცოდნა წარმოადგენს გარიგების ბათილად გამოცხადების მოთხოვნის აუცილებელ კუმულატიურ წინა პირობებს. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციური დავის გადასაწყვეტად პრინციპულად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კონტრაგენტმა იცოდა უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ და რა შემთხვევაში წარმოეშობა მეწარმეს უფლება, მოითხოვოს გარიგების ბათილობა.

16. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბირს №241 ბრძანებით დამტკიცებული „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იურიდიული პირის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერში აისახება „ინფორმაცია წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ, ასევე მათი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში“. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ბრძანება ითვალისწინებს

შეზღუდული უფლებამოსილების რეესტრში დარეგისტრირების შესაძლებლობას, ეს ერთი მხრივ, ვერ ამოწურავს უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვის თაობაზე სრულ ინფორმაციას და მეორე მხრივ, თავისთავად არ გულისხმობს კონტრაგენტის მიერ უფლებამოსილების შეზღუდვის ზუსტი ფარგლების ცოდნის აუცილებლობას.

19. მეწარმე სუბიექტთან გარიგების დადება მუდმივად არ უნდა იყოს დაკავშირებული რისკთან, რომ დირექტორის უფლებამოსილება შესაძლოა შეზღუდული აღმოჩნდეს. მესამე პირი, რომელიც შედის საწარმოსთან სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში, არ არის ვალდებული, შეამოწმოს საწარმოს შიდაკორპორაციული დოკუმენტები. მესამე პირებს უნდა შეეძლოთ დამატებითი შემოწმებებისა და დოკუმენტაციის მოძიების გარეშე მიიჩნიონ, რომ საწარმოს დირექტორი უფლებამოსილია, დადოს გარიგება საწარმოს სახელით. შეუძლებელი იქნებოდა ეფექტიანი სამოქალაქო ბრუნვის არსებობა, თუ ყველა კონტრაგენტს მოვთხოვდით გარკვეულიყვნენ კონკრეტული საწარმოს შიდა პროცედურებში და საწარმოს ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგებების მარტივად და ეფექტიანად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრანზაქციულ ხარჯებს.

20. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები ვრცელდება მეწარმე სუბიექტებს შორის დადებულ გარიგებასთან მიმართებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიგების მხარე არის უცხო ქვეყნის რეზიდენტი. გარდა ამისა, სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში ექცევა გარიგება, რომელიც დადებულია მეწარმე სუბიქტსა (რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით) და ფიზიკურ პირს შორის. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების შემოწმების ფაქტობრივი შესაძლებლობა კონტრაგენტს შეზღუდული აქვს, რამდენადაც სათანადო ინფორმაციის მოპოვება ან/და მისი გადამოწმება შესაძლოა მრავალ სირთულესთან იყოს დაკავშირებული. შესაბამისად, კონტრაგენტის მიმართ ვალდებულების დაწესება, რომ მან გადაამოწმოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, საწარმოს წესდება, შეაფერხებდა სამეწარმეო ურთიერთობებს, გაართულებდა ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე შედეგების განჭვრეტას.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარიგება, რომელიც დადებულია საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან. კეთილსინდისიერ კონტრაგენტს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაგენტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაგენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ.

22. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მეწარმეს, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში მიუთითოს ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მხოლოდ ამონაწერი არ არის საკმარისი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად.

23. როგორც აღინიშნა, მეწარმის გადაწყვეტილებით ხელმძღვანელის/წარმომადგენელის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზოგადად (მაგალითად, გარიგების საგნის ან მისი მოცულობის მიხედვით) ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამონაწერი არ შეიცავს ინფორმაციას წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხელმძღვანელის/წარმომადგენელის უფლებამოსილება შეიძლება, ზოგადად, შეზღუდული იყოს წესდებით ან საწარმოს (პარტნიორების) გადაწყვეტილებით კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. შესაბამისად, უფლებამოსილების ფარგლების შემოწმების მიზნით, კონტრაგენტი იძულებული იქნება, გაერკვეს საწარმოს შიდა პროცედურულ საკითხებში და უფლებამოსილებების განაწილებაში, შეისწავლოს საწარმოს წესდება ან საწარმოდან გამოითხოვოს რწმუნება, ცნობა, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილია დადოს კონკრეტული გარიგება.

24. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის საშუალებით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაგენტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მართალია, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მეწარმეს, ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება

გახადოს საჯარო (სამეწარმეო რეესტრში გაკეთებული ჩანაწერის ან საკუთარი წესდების საჯაროდ გამოქვეყნების გზით), მაგრამ წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ „ცოდნა“, რომელიც შემდგომ შესაძლოა გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაგენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაგენტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

25. ცოდნის კომპონენტის არსებობა განაპირობებს კეთილსინდისიერი კონტრაგენტების დაცვას. კერძოდ, თუ მივიჩნევთ, რომ საეჭვო შეიძლება გახდეს გარიგება, როდესაც კონტრაგენტს უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, კონტრაგენტი თავის დაზღვევის მიზნით, ვალდებული იქნება, ამოწმოს საზოგადოების შიდა-კორპორაციული დოკუმენტები და დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლო შემთხვევები. ამის დაშვება საფუძველს გამოაცლიდა სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას და გაუმართლებლად გაართულებდა სამოქალაქო გარიგებების დადებას.

26. მოცემული დავის ფარგლებში შეუძლებელია ამომწურავად განისაზღვროს ყველა გარემოება ან წინა პირობა, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს კონტრაგენტის ინფორმირებულობაზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითისთვის, აქ შესაძლოა მოაზრებული იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონტრაგენტს უშუალოდ მეწარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. თუ ამგვარი შეტყობინების მიუხედავად, კონტრაგენტი მაინც დადებს გარიგებას, ასეთი გარიგება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი.

45. კონტრაგენტი, მართალია, არ არის ვალდებული, ამოწმოს წესდება ან სხვა შიდაკორპორაციული დოკუმენტები და დაადგინოს ნამდვილად შეუზღუდავია თუ არა დირექტორის უფლებამოსილება დადოს კონკრეტული გარიგება, მაგრამ თუ მისთვის ერთმნიშვნელოვნად ცნობილი გახდება (მაგალითად, მეწარმისგან (პარტნიორისგან) მიღებული შეტყობინების შედეგად) წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ და მაინც დადებს გარიგებას, კონტრაგენტი არ ჩაითვლება ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილედ.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:

OD – კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობაზე პარტნიორთა (ან საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს) მხრიდან კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რათა ხელმძღვანელებმა სამართავად მინდობილი ქონება ბოროტად არ გამოიყენონ. დირექტორის ვალდებულებები პარტნიორთა მიმართ, აგრეთვე მისი უფლებამოსილებების კანონისმიერი და სახელშეკრულებო შეზღუდვები სწორედ ის მექანიზმებია, რითაც პარტნიორს ეძლევა შესაძლებლობა, აკონტროლოს დირექტორის და, შესაბამისად, საწარმოს საქმიანობა. საწარმოში ზედამხედველობის მექანიზმების არარსებობა ან საწარმოს საქმიანობაში მეწარმის (პარტნიორების) არასათანადო ჩართულობა უნდა გამორიცხავდეს მესამე პირისთვის პრეტენზიის წაყენების მოთხოვნის უფლებას.

განმარტებული საკითხები:

- საწარმოს მართვა (კორპორაციული მართვა).
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:
28. გასათვალისწინებელია, რომ სადავო ნორმა მოქცეულია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის განმსაზღვრელი ნორმის (მე-9 მუხლი) ფარგლებში და მის შინაარსზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს კორპორაციული მართვის არსზე, რადგან შეუძლებელია ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებაზე და უფლებამოსილების შეზღუდვაზე მსჯელობა კორპორაციული მართვის ელემენტებისა და ძირითადი პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

29. კორპორაციასა (საწარმოს) და მის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა კორპორაციის წინაშე ხელმძღვანელთა მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოვალეობებს მოიცავს. კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობაზე პარტნიორთა (ან საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს) მხრიდან კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რათა არ მოხდეს ხელმძღვანელთა მხრიდან სამართავად მინდობილი ქონების ბოროტად გამოყენება, რომლის საფრთხეც რეალურია. კორპორაციული მართვა წარმოადგენს სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას და იგი კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევაზე ხელმძღვანელი ორგანოების შესაბამისი პასუხისმგებლობის ელემენტებსაც მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მთავარი მიზანი საწარმოს ქონების დაცვა, ზიანის თავიდან აცილებაა, თუმცა, ამავდროულად, გაუმართლებლად არ უნდა შეიზღუდოს მათი მოქმედების თავისუფლება.

30. დირექტორის ვალდებულებები პარტნიორთა მიმართ, აგრეთვე მისი უფლებამოსილებების კანონისმიერი და სახელშეკრულებო შეზღუდვები სწორედ ის მექანიზმებია, რითაც პარტნიორს ეძლევა შესაძლებლობა, აკონტროლოს დირექტორის და, შესაბამისად, საწარმოს საქმიანობა. თუმცა, როგორც ნებისმიერი წარმომადგენლობისას, აქაც არსებობს რისკი, რომ წარმომადგენელმა იმოქმედოს საკუთარი და არა წარმოდგენილის ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული რისკის საკანონმდებლო დონეზე სრულად აღმოფხვრა, შესაძლებელია მიუღწეველი მიზანი იყოს და მხარეებმა კონკრეტული კონტექსტის მიხედვით, ხელშეკრულებით თავად უნდა განსაზღვრონ როგორ ახდენენ ამ რისკების დაზღვევას.

54. ხელმძღვანელის/წარმომადგენლის დანიშვნისას მეწარმე სუბიექტი უნდა აცნობიერებდეს რისკს, რომელიც ასეთ გადაწყვეტილებას შეიძლება ახლდეს თან. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკის შემცირება მეწარმის ხელმძღვანელის/წარმომადგენლის საქმიანობაზე ზედამხედველობაზე ქმედითი მექანიზმების დაწესებით არის შესაძლებელი. საწარმოში ზედამხედველობის მექანიზმების არარსებობა ან საწარმოს საქმიანობაში მეწარმის (პარტნიორების) არასათანადო ჩართულობა უნდა გამორიცხავდეს მესამე პირისთვის პრეტენზიის წაყენების მოთხოვნის უფლებას.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის გამო მეწარმე (პარტნიორი) უფლებამოსილი უნდა იყოს, განაცხადოს ბათილობის შესახებ, თუ დამტკიცდება, რომ გარიგების დადების ფაქტი მისთვის უცნობი იყო. გაუმართლებელია ბათილობის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კონტრაჰენტისთვის ცნობილი იყო შეზღუდვის შესახებ. ასეთი უფლება მეწარმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წარმოეშვას, თუ დამტკიცდება, რომ ხელმძღვანელის/წარმომდგენლის საქმიანობაზე ზედამხედველობის მექანიზმების არსებობის მიუხედავად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მისთვის არ იყო ცნობილი.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- ხანდაზმულობის ვადის დაწყება სამეწარმეო სამართალში.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 130.

სრული განმარტების ციტირება:

52. ის გარემოება, რომ გარიგების დადებისას კონტრაგენტმა იცოდა ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვის არ უნდა გახდეს ბათილობის საფუძვლი.

53. თუ ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილება შეზღუდულია ზოგადად ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც დადებული გარიგება სცდება საწარმოს საქმიანობის სფეროს, მეწარმე (პარტნიორი) უფლებამოსილი უნდა იყოს, განაცხადოს ბათილობის შესახებ, თუ დამტკიცდება, რომ გარიგების დადების ფაქტი მისთვის უცნობი იყო. გაუმართლებელია ბათილობის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ კონტრაგენტისთვის ცნობილი იყო შეზღუდვის შესახებ. ასეთი უფლება მეწარმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წარმოეშვას, თუ დამტკიცდება, რომ ხელმძღვანელის/წარმომდგენლის საქმიანობაზე ზედამხედველობის მექანიზმების არსებობის მიუხედავად, გარიგების შესახებ ინფორმაცია მისთვის არ იყო ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-771-732-2013 (31 იანვარი, 2014 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა სილაგაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
საწარმომ მოსარჩელე (შპს-ს მეწილე) გარიცხა პარტნიორობიდან და გადაუხადა წილის კომპენსაცია, შემდეგ კი შეცვალა წესდება, გაზარდა კაპიტალი და გაანაწილა მოგება. მოსარჩელე ითხოვდა პარტნიორობიდან მისი გარიცხვის ბათილად ცნობასა და დივიდენდის გადახდის დაკისრებას. გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო კაპიტალის შეუვსებლობითა და საწარმოს საზიანოდ მოქმედებით. აღნიშნული ფაქტები არ დადასტურდა, ამიტომ გარიცხვის თაობაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხე საწარმოს დაეკისრა დივიდენდის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/5111-14, №ას-190-190-2018

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შენატანის განუხორციელებლობის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში, პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისთვის აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება. საზოგადოებიდან უკანონოდ გარიცხული პარტნიორისათვის წილის კომპენსაციის ანაზღაურებამ არ შეიძლება ლეგიტიმურობა შესძინოს უკანონოდ მიღებულ გადაწყვეტილებას.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების პარტნიორთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და გარიცხული პარტნიორის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნებისათვის, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია სასამართლო გადაწყვეტილების საჭიროება, როგორც პარტნიორის გარიცხვის თაობაზე ცვლილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობა. მოცემულ შემთხვევაში შპს „ს-ეს“ მხრიდან აღნიშნული წინაპირობა დაცული არ ყოფილა.

საზოგადოებიდან უკანონოდ გარიცხული პარტნიორისათვის წილის კომპენსაციის ანაზღაურებამ, თუკი ეს რაიმე სახით იქნება გათვალისწინებული, არ შეიძლება ლეგიტიმურობა შესძინოს უკანონოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, მოცემულ შემთხვევაში კი შპს „ს-ან“ დ. ხ-ის გარიცხვას.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის გარიცხვაზე ვრცელდება ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლო საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში, კრების ოქმის გასაჩივრების ნაწილში მთლიანად იზიარებს წინა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას და მიუთითებს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გასაჩივრების ვადები შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, ხოლო ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, როგორიცაა პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან, გამოყენებული უნდა იქნეს არა გასაჩივრების ორთვიანი და ერთლიანი ვადა, არამედ ხუთწლიანი ვადა, რაზეც არსებობს უზენაესი სასამართლოს მყარი ერთგვაროვანი პრაქტიკა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას, რომელიც მოქმედებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის წარმოშობილ ურთიერთობაზე და დაუშვებელია მის გავრცელება ანალოგიის წესით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მის პარტნიორზე.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- კანონის ანალოგია.
- საგამონაკლისო ნორმა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 32.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44.
- ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 5. პუნქტები 1.,3.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილ ურთიერთობებში კანონის და სამართლის ანალოგიის, ასევე სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების (საგამონაკლისო ნორმების) გამოყენების წესს არ ითვალისწინებს. გამომდინარე აქედან საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ნორმატიულ აქტს წარმოადგენს და თავის მხრივ აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის და სამართლის ანალოგიის, ასევე სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების (საგამონაკლისო ნორმების) გამოყენების წესი.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია). კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობისას კერძოსამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის მთელი სისტემის და ზოგადი პრინციპების საფუძველზე (სამართლის ანალოგია). სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას, რომელიც მოქმედებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის წარმოშობილ ურთიერთობაზე და მის გავრცელება ანალოგიის წესით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მის პარტნიორს შორის დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-495-471-2013 (25 მარტი, 2014 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თეიმურაზ თოდრია, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
ერთ ნაწილში კასაციამ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, ხოლო მეორე ნაწილში დააბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად. დავა შეეხება კოოპერატივის დირექტორის მიერ კოოპერატივის გამგეობის თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობას.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის გამო გარიგების ბათილობის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სპეციალური მოწესრიგების ფარგლებში უნდა განიხილებოდეს და არა სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლებით. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა გარიგების დადებიდან 18 თვეს.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- ზოგადი და სპეციალური ნორმების კოლიზია (კონკურენცია).
- არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.
- გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 128. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129. ნაწილები 1.,3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 144. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 393. ქვენაწილები 2.ა.,2.ბ.

სრული განმარტების ციტირება:
სადავო მიღება-ჩაბარების აქტები კოოპერატივის სახელით დადებულია კოოპერატივის დირექტორის მიერ, ერთპიროვნულად. საქმეში წარმოდგენილი არ არის კოოპერატივის გამგეობის გადაწყვეტილება სადავო მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ კოოპერატივ „ქ. ქ-ის“, ასევე ლ.ა-სა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სარჩელები არ იყო ხანდაზმული, სააპელაციო პალატის ეს დასკვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლებს.

კასატორები არ ეთანხმებიან განჩინების ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიიჩნევენ, რომ სასამართლომ დაარღვია კანონი, კერძოდ, არასწორად არ იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, რომლითაც განსაზღვრული იყო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნისათვის სპეციალური – 18-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო კასატორთა ამ პრეტენზიის შემოწმების შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ შინაარსობრივად ის დასაბუთებული შედავებაა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით კანონმდებელი სამართლის ნორმის დარღვევად განიხილავს შემთხვევას, როდესაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და/ან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული სადავო მიღება-ჩაბარების აქტების საბოლოო, შეჯერებული ვარიანტები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა. პ-სა და კორპორაცია „ქ-ის” მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის გაფორმდა 2001 წლის 25 აპრილს – იმ დროს, როდესაც მხარეებმა ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მიღება-ჩაბარების აქტებს.

კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ მიერ სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2003 წლის ოქტომბერში.

დადგენილია, რომ საზოგადოების დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, ერთპიროვნულად გაესხვისებინა ქონება.

მისი უფლებამოსილების ამგვარი შეზღუდვის თაობაზე კონტრაჰენტის არაინფორმირებულობის ფაქტი სასამართლოს არ დაუდგენია და ამ კუთხით დასაბუთებულ შედავებას საკასაციო საჩივარი არ შეიცავს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი სპეციალური მოწესრიგების ფარგლებში უნდა იქნას განხილული, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 9.5 მუხლის თანახმად, თუ გარიგების კონტრაჰენტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმომადგენელ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.

დასახელებული ნორმა გარიგების დამდები საზოგადოებისათვის მის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას – 18 თვეს აწესებს და განსაზღვრავს ამ ვადის დენის დასაწყისს, კერძოდ, საზოგადოებას, რომელმაც დადო ესა თუ ის გარიგება და მოითხოვს მის ბათილობას, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ნორმით გათვალისწინებული ობიექტური ფაქტორიდან – გარიგების დადებიდან ეწყება.

იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ მოთხოვნის ნაწილში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია ამ ნაწილში თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე და, ხანდაზმულობის გამო, უარი უთხრას კოოპერატივს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება სპეციალური კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.5 მუხლი), რაც კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებას 2001 წლის 25 აპრილს, მიღება-ჩაბარების აქტებზე მხარეთა მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით ხელმოწერის მომენტიდან წარმოუშობს და ეს ვადა ამოიწურა 2002 წლის 25 ოქტომბერს, საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ კოოპერატივ „ქ. ქ-მა“ სარჩელი სასამართლოში 2003 წლის ოქტომბერში აღძრა. აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კონტრაჰენტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს,

მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა. ეს საკითხი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს უნდა გაითვალისწინოს ნოტარიუსმაც.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- გარიგების დადასტურება.
- სანოტარო მოქმედება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- ნოტარიატის შესახებ, მუხლი 38. ქვეპუნქტი 1.ა.

სრული განმარტების ციტირება:
სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.3 მუხლის მეორე აბზაცის შესაბამისად, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის უფლებამოსილებას, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შესაძლოა, შეიზღუდოს სამეთვალყურეო ორგანოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელობის ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების შინაგანაწესით. ასეთ შემთხვევაში კონტრაჰენტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარწმუნდება, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს, მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა. ეს საკითხი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დროს უნდა გაითვალისწინოს ნოტარიუსმაც ნორმის ამგვარი განმარტება დამკვიდრებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით (იხ. სუსგ №3კ-1492-02, 19 მარტი, 2003 წელი).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1307-1245-2014 (06 მაისი, 2014 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობა გადასახადისათვის თავის არიდებისთვის.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საწარმოს ორ პარტნიორს, რომელთაგან ერთი, ამავე დროს, კომპანიის დირექტორიც არის, განაჩენით მსჯავრი დაედოთ 786657 ლარის (განსაკუთრებით დიდი) ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისათვის. ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით, საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე შეადგინა 2223370 ლარი. საწარმოს გადახდისუუნარობის გამო სსიპ შემოსავლების სამსახურმა (მოსარჩელე) მოითხოვა გადახდის დაკისრება მესამე პირისათვის (დირექტორისა და პარტნიორებისთვის). კასაციამ დაადგინა შემდეგი: (1) დირექტორმა დაარღვია ზრუნვის ვალდებულება და, შესაბამისად, პასუხი უნდა აგოს როგორც ზიანზე, ისე საურავზე/ჯარიმაზე; (2) დომინანტმა პარტნიორმა ბოროტად გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები, რის გამოც, „გამჭოლი პასუხისმგებლობიდან“ გამომდინარე, პასუხი უნდა აგოს, როგორც ზიანზე, ისე საურავზე/ჯარიმაზე. შედეგად, დირექტორსა და დომინანტ პარტნიორს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ საწარმოს ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ – სოლიდარულად, დაეკისრათ საურავის/ჯარიმის გადახდა 1436713 ლარის ოდენობით. 786657 ლარის გადახდა მოპასუხეებს დაკისრებული ჰქონდათ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც ამ ნაწილში დარჩა უცვლელი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/65-19, №ას-612-571-2017, №ას-687-658-2016, №2ბ/579-16

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი უნდა დარეგულირდეს არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, არამედ კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე საწარმოს ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ხოლო ერთმანეთის მიმართ, შესაძლებელია, სოლიდარული იყოს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- სუბსიდიური პასუხისმგებლობა.
- სოლიდარული ვალდებულება.
- დელიქტი.
- მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 463.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 240.

სრული განმარტების ციტირება:
სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვს შპს „ლ.“-ის პარტნიორისა და დირექტორის ლ. ბ-სა და პარტნიორის მ. ჭ-ს მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით როგორც კომპანიის ძირითადი საგადასახადო დავალიანების, ისე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დაკისრებას და მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი და მე-8 მუხლის 23-ე ნაწილი, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა მხარეთა მტკიცების ტვირთი.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „ლ.“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე გააჩნია საგადასახადო დავალიანება, რომელიც საურავის ჩათვლით შეადგენს 2 223 370 ლარს. აღნიშნული დავალიანების ამოღება შპს „ლ.“-დან სსიპ შემოსავლების სამსახურმა ვერ მოახერხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისათვის საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, შემოსავლების სამსახურმა კომპანიის დირექტორისა და პარნიორებისაგან მოითხოვა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგინდა კომპანიის დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიადგა ზიანი, რის გამოც მოთხოვნილია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გადასახადებისაგან თავის არიდების გამო, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრება და სააპელაციო (და პირველი ინსტანციის) სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო, კომპანიისა და მისი კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის შინაარსის განსასაზღვრად აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კომპანიის ვალდებულებებისათვის ერთის მხრივ, პარტნიორებისა და, მეორეს მხრივ, კომპანიის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები.

ზოგადად კითხვაზე, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებებისათვის, პასუხი ცალსახაა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც

იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირტესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან და, მეორეს მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.

კომპანიის პარტნიორისა და დირექტორის ლ. ბ-სა და პარტნიორის მ. ჭ-ს პასუხისმგებლობის ფორმასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის/კასატორის მსჯელობას, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებების მიმართ კომპანიასთან ერთად სოლიდარულია, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ხოლო ერთმანეთის მიმართ შესაძლებელია სოლიდარული იყოს.

კომპანიის კრედიტორის წინაშე პარტნიორებისა და დირექტორის ვალდებულების მოცულობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ კომპანიის ძირითად საგადასახადო ვალდებულებასთან ერთად კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს ლ. ბ-ს და პარტნიორს მ. ჭ-ს უნდა დაეკისროთ საგადასახდო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის ვალდებულებაც შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეში იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის პარტნიორებზე და დირექტორზე ძირითადი საგადასახადო დავალიანების კომპანიასთან სოლიდარულად დაკისრების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის, საკასაციო პალატა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ საურავის სოლიდარულად დაკისრების საკითხთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს ლ. ბ-ს და პარტნიორს მ. ჭ-ს ეკისრებათ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის სოლიდარული ვალდებულება.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ბ-სა და მ. ჭ-ს მიმართ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნულ საკითზე თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართლში „კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის“ ან, სხვაგვარად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის (გამჭოლი პასუხისმგებლობის) საფუძვლებია: (1) პარტნიორის მხრიდან მოტყუება, შეცდომაში შეყვანა ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; (2) კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ხელში „ინსტრუმენტს”, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“; (3) „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“ – როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნესსაქმიანობა წარმოშობს; (4) „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“ – როცა არ იწვევენ/ან არ ატარებენ დირექტორებისა და პარტნიორების კრებებს; როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული; როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა; როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით ან, როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; (5) გადასა-

ხადებისაგან თავის არიდება – როცა საზოგადოებას პარტნიორი იყენებს არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. პარტნიორის პასუხისმგებლობა გულისხმობს როგორც ძირითადი თანხის, ისე ჯარიმის/საურავის გადახდის ვალდებულებას.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- საწარმო, როგორც ალტერ ეგო.
- არაადეკვატური კაპიტალიზაცია.
- კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).
- გადასახადისათვის თავის არიდება.
- გადასახადის გადამხდელის ვალდებულება.
- საურავის გადახდის დაკისრება.
- საურავი.
- საგადასახადო სანქცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 270.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 272.
- სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართლში „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის“ ან სხვაგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პატნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოიწვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით სამოსამართლო სამართალი განევრცო აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები,

როცა კომპანია წარმოადგენს პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“ [Melvin Aron Eisenberg, Corporations and Other Business Organizations, Cases and Materials, at 220-257, Foundation Press (9th ed. 2005)].

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადექვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“ [საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Fastrich in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §13,Rn.45; Wiedmann ZGR 2003,283,288; BGH GmbHR 1986, S.78; BGH GmbHR 1994, S.390; BGH GmbHR 2006,S.426; BGH GmbHR 2007, S.927; Bayer/Lutter in Lutter/Hommelhoff GmbHG Komm.,18.Aufl. §13,Rn.19; BGH GmbHR 2008, S.805; Altmeppen ZIP 2008, S.1205f; Heeg/Manthey GmbHR 2008, S.800f; Altmeppen in Roth/Altmeppen GmbHG Komm. 7.Aufl., §13,Rn.149; Altmeppen, Abschied von Durchgriff in „Kapitalgesellschaft“ NJW 2007, s.2657; BGH GmbHR 2007, S.927; Liebischer in MüKo zum GmbHG Anh. §13,Rn.593].

როგორც უკვე აღნიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

საკასაციო პალატას მიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ:

პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგა-

დოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ბ და მ. ჭ წარმოადგენდნენ საზოგადოების პარტნიორებს.

სააპელაციო სასამართლომ ლ. ბ-სა და მ. ჭ-ს მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის საფუძველზე დაადგინა, რომ ლ. ბ-მ და მ. ჭ-მ განზრახ თავი აარიდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ 786 657 ლარის გადასახადების გადახდას.

სასამართლოს განაჩენით კი, დადასტურებულია, რომ ლ. ბ და მ. ჭ იყვნენ შპს „ლ.“-ს დამფუძნებელი პარტნიორები. ლ. ბ იმავდროულად ახორციელებდა საზოგადოების ხელმძღვანელობას (წარმოადგენდა საზოგადოების ერთადერთ დირექტორს), ხოლო მ. ჭ იყო კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის ექპედიტორ-რეალიზატორი. შპს „ლ.“-ს საქმიანობის საგანს წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში სარეალიზაციოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა. კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის რეალიზაციას და მომწოდებლებთან ძირითად მოლაპარაკებებს ახორციელებდა მ. ჭ, რომელიც ამავდროულად კომპანიაში შემოსული ნავაჭრი თანხების მოძრაობის მაკონტროლებელი იყო. კომპანია არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კომპანიის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რეალიზებული საქონელი არ შეესაბამებოდა სალარო აპარატში ამოჭრილ მონაცემებს. კომპანიის მიერ მითითებული საქონლის სარეალიზაციო ფასები აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასებთან. კომპანიას არ ჰქონდა სრულად ასახული საქონელი. იქიდან გამომდინარე, რომ სარეალიზაციო ფასები არ შეესაბამებოდა რეალობას, ადგილი ჰქონდა შემოსავლის შემცირების ფაქტს (იხ. ტ. 1, ს.ფ. 16-30).

ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ს და მ. ჭ-ს ქმედებები წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გამჭოლ პასუხისმგებლობასთან მიმართებით, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს არ გააჩნია პრეიუდიციული ძალა (ვინაიდან მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი). ამ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის განაჩენი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას (პრეიუდიცია).
- კანონიერ ძალაში შესული განაჩენის პრეიუდიციული ფაქტები.
- განაჩენი, როგორც მტკიცებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 106.

• სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309[17].

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[17]-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 309[20]-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ საქმეში მოპასუხეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში აღნიშნული ფაქტები დადასტურებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რასაც ვერ დაეთანხმება საკასაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, რადგან მოცემულ საქმეში კომპანიის პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორების მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მათთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორს საწარმოს წინაშე აკისრია ფიდუციური მოვალეობები. ძირითადი მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიმართულია საწარმოს ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ამავე დროს, ზრუნვის მოვალეობა მოიაზრებს საწარმოს ოპერაციების ისე დაგეგმვასა და განხორციელებასაც, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. მოგების გაზრდის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნესგადაწყვეტილებების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებათა შედეგებისათვის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან. „მართებული ბიზნესგადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას, არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების/დამალვის უკანონო სქემებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დირექტორის დაარღვევს ზრუნვის მოვალეობას. ამ დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით პირდაპირ და უშუალოდ. დირექტორის პასუხისმგებლობა გულისხმობს როგორც ძირითადი თანხის, ისე პირგასამტეხლოს/საურავის/ჯარიმის გადახდის ვალდებულებას.

განმარტებული საკითხები:
• დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
• საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
• ფიდუციური მოვალეობები.
• ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
• ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
• გადასახადისათვის თავის არიდება.
• საურავის გადახდის დაკისრება.
• საურავი.
• საგადასახადო სანქცია.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
• საგადასახადო კოდექსი, მუხლი 272.

- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 270.
- სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218.

სრული განმარტების ციტირება:
დადგენილია, რომ კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი ლ. ბ ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს. აღნიშნული ფაქტისა და კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია იმსჯელოს ასევე კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზეც.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალოებას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი მიზანი, რის გამოც ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს კომპანიაში, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. რაკი კომპანიას ეკისრება საგადასახადო ვალდებულებები, ზრუნვის მოვალეობა ამ ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რა მასშტაბით შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელს დასახოს და განახორციელოს საგადასახადო ოპტიმიზაციის გეგმები და სად გადის ზღვარი, რომლითაც განისაზღვრება ზრუნვის მოვალეობასთან დირექტორის ქცევის შესაბამისობა სამეწარმეო ურთიერთოებების კონტექსტში.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან [საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Merkt in MüKo zum GmbHG, §13,Rn.343; Raiser in Ulmer/Habersack/Löbbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl., §13,Rn.51; Fleischer in MüKo zum GmbHG, §43,Rn.276; Walter G. Paefgen in Ulmer/Habersack/Löbbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl, §43,Rn.214; Haas/Ziemons in Michalski GmbHG Kommentar, 2.Aufl. §43,Rn.34; BGHZ 173, S.246; Zöllner /Noack in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §43,Rn.62a; Paefgen DB 2007, S1910f].

თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არ კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისაგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად იქნას მიღწეული მთავარი მიზანი – კომპანიის მოგების გაზრდა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს მოვალეობა დაადგეს ამ გზას: პირველი, გადასახადები-

სათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; მეორე, გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების განხორციელება კომპანიის ხელმძღვანელებს აკისრებს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ კერძო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე კომპანიის წინაშე პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ, მაგრამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დანერგილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც [Wolfgang Schön, Tax and Corporate Governance at 40, MPI Studies on Intellectual Property, Competition and Tax Law, Volume 3, Max Planck Institute for Intellectual Property, Competition and Tax Law, Springer – Verlag Berlin Heidelberg (2008)]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიის ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება გაზარდონ კომპანიის მოგება, მაგრამ ეს უნდა განახორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ლ.“-ს პარტნიორი ლ. ბ იმავდროულად წარმოადგენდა კომპანიის დირექტორს. ამიტომ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპანიის გადასახადებისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით ლ. ბ-მ, როგორც კომპანიის დირექტორმა დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კომპანიის წინაშე, რაც იწვევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ საწარმოს არ შესწევს საზოგადოების კრედიტორთა მიმართ ვალდებულების გადახდის უნარი, საზოგადოება ვალდებულია დირექტორისაგან მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საზოგადოების სახელით დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს (დირექტორთა საბჭოს), ისე პარტნიორებსაც. თუ დადგენილია, რომ საწარმოს დირექტორი და პარტნიორი თავად არიან პასუხისმგებლები და თუ დირექტორის მიერ აუცილებელია ზიანის ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს, უშუალოდ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან. დირექტორის პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ე. ი. მისთვის კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილება არ შეუძლია.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- სუბსიდიური პასუხისმგებლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოების უარი დირექტორის მიმართ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. უფრო მეტიც, თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

ამრიგად, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოება ვალდებულია მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საშუალება კომპანიას არ გააჩნია.

ამგვარ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ: ა) საწარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება; ბ) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან. მოცემულ შემთხვევაში კომპანიას ასეთი მოთხოვნა დირექტორის მიმართ არ დაუყენებია.

ასეთ პირობებში, „მეწარმეთა კანონის“ მე-9 მუხლის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს საზოგადოებას დააყენოს დირექტორის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა. იმავე კანონის ნორმებიდან გამომდინარე, საზოგადოების სახელით დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს (დირექტორთა საბჭოს), ისე პარტნიორებსაც

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საწარმოს ჰყავს სამი პარტნიორი, რომელთაგან ერთი იმავდროულად საწარმოს ერთადერთი დირექტორია, მეორე პარტნიორი კი თავად არის პასუხისმგებლობის ობიექტი.

ასეთ ვითარებაში სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას კრედიტორის მხრიდან რაიმე შედეგი ექნება თუ არა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას არავითარი შედეგი არ ექნება, შესაძლებელია კრედიტორმა უშუალოდ მოითხოვოს მის მიმართ საზოგადოების ვალდებულების ანაზღაურება საზოგადოების დირექტორისაგან. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან, რომელიც საწარმოს უარს დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილად მიიჩნევს თუ ასეთი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია. ამიტომ ასეთი აუცილებლობის არსებობის პირობებში, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორს უფლება უნდა მიენიჭოს უშუალოდ მოითხოვოს ანაზღაურება დირექტორისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს საწარმოს ვალდებულებების მიმართ კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სუბსიდიურობა, ე. ი. მის მიმართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლო
საქმის №2/4334-14 (330210014458945) (31 ივლისი, 2014 წელი)
მოსამართლე: ანა ჩოგოვაძე

საკვანძო საკითხი:
დომინანტური მდგომარეობის საზოგადოების საზიანოდ გამოყენება.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
სააქციო საზოგადოებაში წილის სანაცვლოდ ქ. თბილისის მერიამ შეიტანა რამდენიმე უძრავი ქონება. შემდეგ ამ სააქციო საზოგადოებამ მის საკუთრებაში არსებული ეს უძრავი ნივთები გადასცა სამ შპს-ს ამ შპს-ებში წილის სანაცვლოდ. მოგვიანებით, სააქციო საზოგადოებამ, დომინანტი პარტნიორის, ქ. თბილისის მერიის (50,1%), გადაწყვეტილებით, უსასყიდლოდ დაუთმო ქ. თბილისის მერიას სააქციო საზოგადოების წილები ამ სამ შპს-ში. უზენაესმა სასამართლომ საერთო კრების ეს გადაწყვეტილება და წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებები ბათილად ცნო, თუმცა, უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ქალაქ თბილისის მერიამ გაასხვისა მითითებული წილები. სააქციო საზოგადოების მინორიტარმა აქციონერებმა სარჩელი აღძრეს დომინანტი აქციონერის (ქ. თბილისის მერიის) წინააღმდეგ მის მიერ დომინანტური მდგომარეობის საზოგადოების საზიანოდ გამოყენების გამო შესაბამისი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით. სასამართლომ არ დაადგინა დომინანტური მდგომარეობის საზოგადოების საზიანოდ გამოყენების ფაქტი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შეტანილი ქონება ან ფულადი თანხა ხდება საზოგადოების საკუთრება. აქციონერის უფლებებს ადასტურებს მხოლოდ აქცია. აქციის ღირებულება არ არის პირდაპირპროპორციული სააქციო საზოგადოების ქონების ღირებულებასთან და ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს აქვს, არის საზოგადოების დივიდენდები. დომინანტური მდგომარეობის საზოგადოების საზიანოდ გამოყენების დასადასტურებლად პრეიუდიციული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება გადაწყვეტილებას, რომლითაც დადგინდა არა ის, რომ დომინანტ აქციონერს არ ჰქონდა წილების უსასყიდლოდ გადაცემის და შესაბამისი თანხმობის გაცემის უფლება, არამედ ის, რომ დომინანტი აქციონერი არ იყო უფლებამოსილი კენჭისყრაში მიეღო მონაწილეობა, რადგან წილების დათმობა მოხდა იმავე დომინანტი აქციონერისათვის. დომინანტი აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის სააქციო საზოგადოების საზიანოდ განზრახ გამოყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელე მხარეს.

განმარტებული საკითხები:
- დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი.
- მინორიტარი პარტნიორი.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- აქციონერის უფლებები.
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 57. პუნქტი 2.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
სააქციო საზოგადოებაში აკრძალულია იმ ქონების ან ფულადი თანხის უკან დაბრუნება, რომელიც აქციონერმა შეიტანა სააქციო საზოგადოების კაპიტალში. შეტანილი ქონება ან ფულადი თანხა ხდება საზოგადოების

საკუთრება. აქციონერის უფლებებს ადასტურებს მხოლოდ აქცია. აქციის ღირებულება არ არის პირდაპირპროპორციული სს-ს ქონების ღირებულებასთან და ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს აქვს, არის საზოგადოების დივიდენდები.

დადასტურებულია, რომ 2004 წელს სს „თ. ს.-მ“ „ო. თ. ჰ. კ., ნ. კ.-სთან“ ერთად დააფუძნა შპს „ჯ. ე. თ. ს.-ი“(35%), „მ. პ. ჰ. კ., ნ.-ს კ.-სთან“ ერთად დააფუძნა შპს „ჯ. ე. თ. მ.“ (40%), ხოლო „თ. რ. ი. ჰ. კ., ნ. კ.-სთან“ ერთად შპს „ჯ. ე. თ. უ. ქ.“ (35%). სამივე შპს-ში სს „თ. ს.-მ“ საწესდებო კაპიტალში შეიტანა სხვადასხვა, ის უძრავი ქონება, რაც თავის დროზე წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის შენატანს სს „თ. ს.-ში“. აღნიშნულით სს „თ. ს.-მ“ ფაქტიურად სრული საკუთრების უფლება ზემოთჩამოთვლილ ქონებაზე დათმო და გახდა დაფუძნებულ საზოგადოებებში 35%, 40% და 35% წილის მფლობელი.

დადასტურებულია, რომ 2005 წლის 4 ნოემბერს სს „თ. ს.-ს“ აქციონერთა საერთო კრებაზე 50,1% აქციათა მფლობელმა აქციონერმა, ქ. თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება (დღის წესრიგის მე-2 საკითხი) შპს „ჯ. ე. თ. უ.“ ქონების საწესდებო კაპიტალში 35%-იანი წილის, შპს „ი ე. თ. ს.-ს“ საწესდებო კაპიტალში 35%-იანი წილის და შპს „ჯ. ე. თ. მ.-ს“ საწესდებო კაპიტალში 40%-იანი წილის ქალაქ თბილისის მერიისათვის უსასყიდლოდ გადაცემის და ამ მიზნით წილების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე. 2005 წლის 30 დეკემბერს დაიდო წილის დათმობის ხელშეკრულებები, რომლის თანახმად სს „თ. ს.-მ“ უსასყიდლოდ დაუთმო ქ. თბილისის მერიას შპს „ჯ. ე. თ. ს.-ს“ საწესდებო კაპიტალის 35% წილი, შპს „ჯ. ე. თ. უ. ქ.-ში“ 35% წილი და შპს „ჯ. ე. თ. მ.-ში“ 40% წილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სს „თ. ს.-ს“ აქციონერთა 2005 წლის 4 დეკემბრის კრების №1 ოქმი დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავირებით მიღებული გადაწყვეტილების ნაწილში. ასევე ბათილად იქნა ცნობილი სს „თ. ს.-სა“ და ქ. თბილისის მერიას შორს 2005 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებები. თუმცა, უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე და ქალაქ თბილისის მერიამ გაასხვისა მითითებული შპს-ების 35%, 35% და 40% წილები, სულ 6 351 000 აშშ დოლარად.

მოსარჩელეები დომინანტი აქციონერის, ქ. თბილისი მერიის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის განზრახ გამოყენების მტკიცებულებად უთითებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სს „თ. ს.-ს“ აქციონერთა 2005 წლის 4 დეკემბრის კრების №1 ოქმი დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავირებით მიღებული გადაწყვეტილების ნაწილში. ასევე ბათილად იქნა ცნობილი სს „თ. ს.-სა“ და ქ. თბილისის მერიას შორს 2005 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებები, რითაც ფაქტიურად მითითებულ გადაწყვეტილებას დომინანტი აქციონერის – ქ. თბილისის მერიის მიერ საწარმოს საზიანოდ დომინანტური მდგომარეობის განზრახ გამოყენების დასადასტურებლად, მოსარჩელეები ანიჭებენ პრეიუდიციულ მნიშვნელობას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებას, ქ თბილისის მერიის, როგორც დომინანტი აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის განზრახ გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით, რითაც საზოგადოებას მიადგა ზიანი, არ შეიძლება მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა, რადგან გადაწყვეტილებაში სადაო ოქმის და ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძვლად მითითებულია არა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სააქციო საზოგადოებას ან ქ. თბილისის მერიას, როგორც დომინანტ აქციონერს არ ქონდა წილების უსასყიდლოდ გადაცემის და შესაბამისი თანხმობის გაცემის უფლება, არამედ ის რომ თბილისის მერია როგორც აქციონერი, არ იყო უფლებამოსილი კენჭისყრაში მიეღო მონაწილეობა, რადგან წილების დათმობა მოხდა იგივე ქ. თბილისის მერიისათვის. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ წესების დაცვით მართალია 2005 წლის 4 ნოემბრის კრებაზე არ მოხდებოდა წილების დათმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ „როგორ წარიმართებოდა შემდგომში სს „თ. ს.-ს“ საქმიანობა და საბოლოოდ რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული წილების დათმობასთან დაკავშირებით, მხოლოდ ვარაუდის სფეროა“. ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დასტურდება, რომ დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა საზოგადოების საზიანოდ.

დომინანტმა აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, განზრახ გამოიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელე მხარეს, რაც მას სარწმუნოდ უნდა დაედასტურებინა, თუმცა მან ვერ უზრუნველყო ქ. თბილისის მერიის, როგორც დომინანტი აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის სააქციო საზოგადოების საზიანოდ, განზრახ გამოიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთის რეალიზება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – შესაბამის კომპენსაციაში იგულისხმება აქციონერთათვის კომპენსაცია იმ ზიანისა, რომელიც მიადგა საზოგადოებას. აქციის ღირებულება არ არის პირდაპირპროპორციული სს-ს ქონების ღირებულებასთან და ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს აქვს, არის საზოგადოების დივიდენდები. დომინანტი აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის სააქციო საზოგადოების საზიანოდ განზრახ გამოყენების დადასტურების შემთხვევაშიც კი, კომპენსაციის თანხის ოდენობის განსაზღვრა არ არის მიზანშეწონილი არც საკუთარი და, მით უმეტეს, სხვა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული ქონების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

განმარტებული საკითხები:
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.
- კომპენსაციის გადახდა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 და 53-ე მუხლის მე-4 პუნქტებში მითითებულ – შესაბამის კომპენსაციაში იგულისხმება აქციონერთათვის იმ ზიანის შესაბამისი კომპენსაცია, რაც მიადგა საზოგადოებას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სს „თ. ს.-ს“ საწესდებო კაპიტალში არსებული უძრავი ქონების შპს „ჯ. ე. თ. ს.-ს“, შპს „ჯ. ე. თ. მ.-ს“ და შპს „ჯ. ე. თ. უ. ქ.-ს“ საწესდებო კაპიტალში გადატანით, რასაც სადაოდ არ ხდიან მოსარჩელეები, სს „თ. ს.-მ“ ფაქტიურად საკუთრების უფლება ზემოთჩამოთვლილ ქონებაზე გადაცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და გახდა დაფუძნებულ საზოგადოებებში 35%, 35% და 40% წილის მფლობელი. სასამართლომ აღნიშნა, რომ აქციის ღირებულება არ არის პირდაპირპროპორციული სს-ს ქონების ღირებულებასთან და ერთადერთი, რისი მოთხოვნის უფლებაც აქციონერს აქვს, არის საზოგადოების დივიდენდები. ამდენად დომინანტი აქციონერის მიერ თავისი დომინანტური მდგომარეობის სააქციო საზოგადოების საზიანოდ, განზრახ გამოიყენების დადასტურების შემთხვევაშიც კი კომპენსაციის თანხის ოდენობის განსაზღვრა არც საკუთარი და მით უმეტეს სხვა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული ქონების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ მიაჩნია მიზანშეწონილად.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2706-14 (330210013276270) (01 ოქტომბერი, 2014 წელი)
მოსამართლე: ქეთევან კუჭავა

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე, შრომის კოდექსზე დაყრდნობით, მოითხოვდა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. სასამართლომ მიუთითა, რომ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესს ადგენს მეწარმეთა შესახებ კანონი და, რომ პარტნიორებს ყოველთვის აქვთ უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები. მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 1. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- შრომის კოდექსი, მუხლი 1. ნაწილი 1.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.7. ... სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები. საზოგადოების დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოდგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს.

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრუ-

ლებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.); პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.03.2011წ. გადაწყვეტილება საქმეზე №3კ/259-01 და 24.09.2013 გადაწვეტილება საქმეზე №ას-1634-1533-2012).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორისათვის საწარმოს მართვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაზე შრომის კოდექსის მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
4.7. ... საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე. დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. იგი პარტნიორთა მიერ ნდობით აღჭურვილი თანამდებობის პირია, განაგებს საზოგადოების მთელ ფასეულობას. სწორედ დირექტორის კეთილსინდისიერებასა და სამეწარმეო უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება და შესაბამისად პარტნიორთა სამეწარმეო წარმატებები, ამიტომ დირექტორისათვის საწარმოს მართვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაზე შრომის კოდექსის მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ შრომით სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო. იგი ჩვეულებრივ მეწარმეა, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარმეთა შესახებ კანონით.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3113-14 (190210014447792) (12 ნოემბერი, 2014 წელი)
მოსამართლეები: ნატალია ნაზღაიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი

საკვანძო საკითხი:
საზოგადოების საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.

განჩინების რეზიუმე:
აპელაციამ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პარტნიორისთვის საზოგადოების დოკუმენტების გაცნობის დავალდებულების შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორის კანონით გათვალისწინებული უფლება საზოგადოების საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის გაცნობაზე ადგენს იმ მინიმალურ სტანდარტს, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია პარტნიორთა შეთანხმების შემთხვევაშიც კი.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

აღნიშნული მუხლები განსაზღვრავენ პარტნიორთა უფლებების იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია პარტნიორთა შეთანხმების შემთხვევაშიც კი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად არ ითვალისწინებს საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნის აუცილებლობას, საკმარისია გამოვლინდეს საზოგადოების დირექტორის მხრიდან საზოგადოების პარტნიორებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გასაცნობად გადაცემის ნების არარსებობა.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... აპელანტის განმარტებით, საზოგადოების პარტნიორს არ განუხორციელებია კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად არ ითვალისწინებს საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნის აუცილებლობას, არამედ საკმარისია გამოვლინდეს საზოგადოების დირექტორის მხრიდან, საზოგადოების პარტნიორებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გასაცნობად გადაცემის ნების არარსებობა [იხ. 2014 წლის 24 იანვრის სუსგ №ას-800-759-2013].

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-522-496-2013 (25 დეკემბერი, 2014 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
ზიანის ანაზღაურების სათანადო მოპასუხე (დირექტორი, თუ საწარმო).

განჩინების რეზიუმე:
საწარმოს პარტნიორმა (მოსარჩელე) სარჩელი აღძრა საწარმოს დირექტორის (მოპასუხე) წინააღმდეგ არაკეთილსინდისიერი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენს საწარმო და – არა საწარმოს დირექტორი. საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა აპელაციაში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა გულისხმობს ეფექტიან მოქმედებას, სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების გაცნობიერებას, პრობლემების დაძლევას, მაღალ პროფესიონალიზმს, საწარმოს პარტნიორებთან და საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ პირებთან წარმატებული კომუნიკაციას.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
კეთისინდისიერი ხელმძღვანელობა გულისხმობს პროცესს, როდესაც ხელმძღვანელი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის გარშემო, შესაბამისად, მოქმედებს ეფექტურად და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. ხელმძღვანელის კეთილსინდისიერება ვლინდება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შესაბამისად განხორციელებული მოქმედებების ურიერთდამოკიდებულებიდან, ასევე სხვადასხვა პრობლემების დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებებიდან. ხელმძღვანელი უნდა აცნობიერებდეს მის როლს საწარმოში, იმავდროულად, საწარმოს როლს ბიზნესში და მოქმედებდეს იმ ცნობიერებით, რომ აუცილებელია საწარმოს განვითარება. აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი, არამედ საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების გაცნობიერება, მისი დაძლევის გზების მოძიება, ასევე საწარმოს პარტნიორებთან და საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ პირებთან წარმატებული კომუნიკაცია. ეს არის საწარმოს გონივრული მართვის ძლიერი იარაღი, განხორციელებული საქმიანობის სიცხადისა და წარმატებული მართვის საწინდარი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი არ ადგენს, რომ დირექტორის მიმართ მოთხოვნის უფლება მხოლოდ საზოგადოებას გააჩნია. ნორმის დანაწესი არ გამორიცხავს შემთხვევას, როდესაც საზოგადოებას წარმოეშობა ვალი პარტნიორთა წინაშე, საზოგადოების დირექტორის მიერ თავის მოვალეობათა არაკეთილსინდისიერი შესრულებიდან გამომდინარე. ასეთ დროს პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების წინაშე დააყენოს მოთხოვნა მიუღებელი მოგების გადანაწილების ან, თუნდაც, მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მსგავს დავებში პარტნიორები მონაწილეობენ, როგორც საზოგადოების კრედიტორე-

ბი და მათ მიმართ ვალდებულება ისევე უნდა შესრულდეს, როგორც ნებისმიერი კრედიტორის მიმართ. მოსარჩელის მოთხოვნაზე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ. ნორმის თანახმად, საზოგადოება პასუხს აგებს მის მიერ არასწორად განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე შედეგებზე. ხოლო შემდგომში, რეგრესული წესით, დირექტორისგან მიიღებს შესაბამის ანაზღაურებას. შესაბამისად, თუ ამ საფუძვლით პარტნიორის მიერ სარჩელი აღძრულია დირექტორის წინააღმდეგ, დავაში გვყავს არა არასათანადო მოსარჩელე, არამედ არასათანადო მოპასუხე და რადგან ცალსახად დგინდება სათანადო მხარის (საზოგადოების) არსებობა და მისი საქმეში ჩართვა არ არის დაკავშირებული პროცესუალურ სირთულეებთან, მოსამართლე ვალდებულია, საქმეში ჩართოს სათანადო მხარე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- საზოგადოების მიერ პარტნიორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვალა.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. ნაწილი 6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.

სრული განმარტების ციტირება:
სარჩელის მოთხოვნა კი გამომდინარეობდა სწორედ საზოგადოების ხელმძღვანელი პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით გამოყენებული ზიანის ანაზღაურებიდან. სააპელაციო სასამართლომ ა. გ ამ საკითხთან დაკავშირებით არაუფლებამოსილი პირად მიიჩნია, იმ საფუძვლით, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დირექტორთან მოთხოვნის უფლება მხოლოდ საზოგადოებას გააჩნია.

მითითებული ნორმის თანახმად, დირექტორის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობისას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის დანაწესი არ გამორიცხავს შემთხვევას, როდესაც საზოგადოებას წარმოეშობა ვალი პარტნიორთა წინაშე. ასეთ დროს პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების წინაშე დააყენოს მოთხოვნა, მიუღებელი მოგების გადანაწილების ან თუნდაც მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მსგავს დავებში პარტნიორები მონაწილეობენ, როგორც საზოგადოების კრედიტორები და მათ მიმართ ვალდებულება ისევე უნდა შესრულდეს, როგორც ნებისმიერი კრედიტორის მიმართ. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სასამართლოს მსჯელობა, რომ ა. გ. მ-ი არასათანადო მოსარჩელეა, არასწორია. დავაში არასათანადო მხარე მოპასუხეა. მოსარჩელის მოთხოვნაზე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ, რაც ცალსახად გამომდინარეობს ზემოთ მითითებული ნორმის შინაარსიდან. ნორმის თანახმად, საზოგადოება პასუხს აგებს მის მიერ არასწორად განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე შედეგებზე. ხოლო შემდგომში რეგრესული წესით დირექტორისაგან მიიღებს შესაბამის ანაზღაურებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია,

მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. გამომდინარე ნორმის შინაარსიდან, სასამართლოს მიერ საქმეში არასათანადო მოპასუხის მონაწილეობის დადგენისას, სასამართლოს შეუძლია, შეცვალოს იგი სათანადო მოპასუხით. მითითებული საპროცესო მოქმედების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო განხილვის ეკონომიასთან და მეტად ეფექტური მექანიზმია დავის სწრაფად განსახილველად.

აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული საპროცესო მოქმედების განხორციელება არ არის მოსამართლის არჩევანზე დამოკიდებული. ნორმაში გამოყენებული ტერმინი „შეუძლია“ გულისხმობს საქმის მასალებიდან გამომდინარე მოსამართლის შესაძლებლობას, შეცვალოს არასათანადო მხარე სათანადო მხარით. ამ ღონისძიებათა გატარება დაკავშირებულია საქმის დროულად განხილვასა და ასევე, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებასთან. მხარეთა შეცვლისას მოსამართლე უნდა მოქმედებდეს საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და არა მისი სურვილის შესაბამისად. შესაძლებელია, საქმის მასალებით ვერ დადგინდეს, თუ ვინ არის სათანადო მხარე. ასეთ დროს მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, შეცვალოს არასათანადო მხარე. მაგრამ თუ საქმის მასალებით ცალსახად დგინდება სათანადო მხარის არსებობა და მისი საქმეში ჩართვა არ არის დაკავშირებული გარკვეულ პროცესუალურ სირთულეებთან, მოსამართლე ვალდებულია, საქმეში ჩართოს სათანადო მხარე.

მოცემულ დავაში მოპასუხედ მონაწილეობდა მ. ს-ი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა საზოგადოების დირექტორს. მისი შეცვლა სათანადო მოპასუხით, ანუ შპს „რ-ით“ არ წარმოადგენდა არანაირ პრობლემას სასამართლოსათვის. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია დავა განიხილოს ამ მხარეთა მონაწილეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს საზოგადოების მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის ფაქტები, რაც გამომდინარეობს საზოგადოების დირექტორის მიერ მისი მოვალეობათა არაკეთილსინდისიერი შესრულებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-243-228-2014 (26 იანვარი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის ოდენობა და წლიური ბალანსის შემოწმების ხარჯების დაკისრება.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
კასაციამ, ნაწილობრივ, ახალი გადაწყვეტილება მიიღო. კასაციის დასკვნით, ვინაიდან დივიდენდის 5% ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან, მისი გადახდა არ შეიძლება დაეკისროს საწარმოს; ადვოკატის მომსახურებისა და საწარმოს ანგარიშში არსებითი შეცდომის გამო ამ ანგარიშის შემოწმების (აუდიტის) ხარჯების დაკისრების ნაწილში საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდი იბეგრება გადახდის წყაროსთან. შესაბამისად, საწარმოს მიმართ მოგების მოთხოვნა არ ვრცელდება დივიდენდის დაბეგვრის 5-პროცენტიან განაკვეთზე.

განმარტებული საკითხები:
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 130. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის გასანაწილებელი დივიდენდიდან დარჩენილი იყო 21 308 ლარი პარტნიორებზე გასანაწილებლად, ხოლო ამ თანხის 5% შეადგენდა 1065 ლარს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 1065 ლარი პარტნიორებს კანონშესაბამისად არ გაუნაწილდათ, ვინაიდან ეს თანხა დივიდენდის ბეგარას შეადგენდა, რასაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლი ითვალისწინებდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორს ნებისმიერ დროს აქვს უფლება შეამოწმოს საზოგადოების ანგარიშის სისწორე. მიუხედავად იმისა, რომ, აუდიტის დასკვნის თანახმად, წლიური ბალანსი შედგენილია არსებითი შეცდომების გარეშე, შეუძლებელია, არაარსებითად ჩაითვალოს დარღვევა, როდესაც პარტნიორებს ერიცხებათ 54637 ლარით ნაკლები დივიდენდი.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- ანგარიშში არსებითი შეცდომის გამო, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯების დაკისრება.
- მტკიცებულებათა შეფასება.
- შინაგანი რწმენა.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 105. ნაწილი 1.,2.
- საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 7. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:

მითითებული ნორმა შეეხება პარტნიორის უფლებას, შეამოწმოს საზოგადოების ანგარიშის სისწორე. აღნიშნული უფლება საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე უფლებაა და მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ დროს, როდესაც პარტნიორს აქვს განსხვავებული მოსაზრება წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში კი, აუდიტორული შემოწმება განპირობებული იყო მოსარჩელეთათვის კუთვნილი დივიდენდების გადაუხდელობით.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აუდიტორულმა შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი დარღვევები, რაც არსებობდა საზოგადოებაში. აუდიტორული დასკვნის თანახმად, არასწორადაა განსაზღვრული საგადასახადო მოგება, დეკლარაციაში არასწორადაა ნაჩვენები ერთობლივი შემოსავალი, 2280411 ლარის ნაცვლად მითითებულია 2271084 ლარი, გამოქვითვები 1747092 ლარის ნაცვლად ნაჩვენებია 1744273 ლარი, შემოსავლების ხარჯებზე გადამეტებამ შეადგინა 519 934 ლარი და ა. შ. აუდიტის დასკვნის თანახმად, დივიდენდები გაცემულია 54637 ლარით ნაკლები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წლიური ბალანსი შედგენილია არსებითი შეცდომების გარეშე. აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია აუდიტის შეფასებაზე დაყრდნობით. სასამართლოს მიერ მსგავსი დასკვნა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან. მითითებული ნორმის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შეუძლებელია, არაარსებითად ჩაითვალოს დარღვევა, როდესაც პარტნიორებს ერიცხებათ 54637 ლარით ნაკლები დივიდენდი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარში წამოყენებული პრეტენზია მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს უნდა დაეკისროს მის მიერ გაღებული აუდიტის ჩატარების ხარჯების ანაზღაურება მოსარჩელისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5111-14 (120210014468985) (06 თებერვალი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნის უფლება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმოს პარტნიორი) ითხოვდა მოპასუხეზე (საწარმო) დივიდენდის გადახდის დაკისრებას და უთითებდა სხვა პარტნიორების მხრიდან გასანაწილებელი მოგების მითვისებაზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან (1) არ არსებობდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის თაობაზე; (2) მითვისება, დადასტურების პირობებშიც, იურიდიულად არ ამართლებს დივიდენდის მოთხოვნის უფლებას.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოში მოგების განაწილების მიზნით უნდა არსებობდეს ორი კუმულაციური პირობა, კერძოდ, მოგება და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის თაობაზე. საზოგადოებაში მოგების არსებობა, უპირობოდ მისი დივიდენდის სახით განაწილებას არ გულისხმობს. სავსებით შესაძლებელია, რომ წმინდა მოგების გაუნაწილებლობით დაზოგილი თანხები მიმართულ იქნეს სწორედ საწარმოს შემდგომი განვითარებისაკენ (რეინვესტირება).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- მოგების რეინვესტირება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს დივიდენდის განაწილება, თუმცა, აპელანტი დივიდენდების განაწილების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე არ უთითებს. შესაბამისად, დივიდენდის განაწილების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა, პარტნიორთა კრების შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, იურიდიულად გამართლებული არ არის.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საწარმოში მოგების განაწილების მიზნით უნდა არსებობდეს ორი კუმულატიური პირობა, კერძოდ, მოგება და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში მოგების არსებობა, უპირობოდ მისი დივიდენდის სახით განაწილებას არ გულისხმობს. დივიდენდის განაწილების მიზნებისათვის უნდა არსებობდეს პარტნიორთა ნება მოგების პარტნიორებს შორის გაყოფის თაობაზე [იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება №ას-75-408-09].

დივიდენდის გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ [იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის

№ას-771-732-2013 გადაწყვეტილება]. საწარმოში მოგების არსებობა არ ნიშნავს ავტომატურ რეჟიმში მის განაწილებას პარტნიორებს შორის. მეწარმე სუბიექტის წარმატება, როგორც პარტნიორთა კოლექტიური ნება, მოგების მიღების საწინდარია. მართალია, დივიდენდის უფლებით თითოეული პარტნიორი სარგებლობს, თუმცა, მოგების განაწილება საწარმოს ქონების გადინებას გულისხმობს. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ლოგიკურია დივიდენდის განაწილებისათვის განკუთვნილი სახსრების განთავსება კომპანიის პასივის, ვალდებულებების მხარეს. ეკონომიკური ბრუნვის მონაწილენი, მოგების ან სარგებლის მიღების ოპტიმიზირების მიზნით, რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებენ. სწორედ ამგვარი გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ მაგალითს რეინვესტირებაც მიეკუთვნება. სავსებით შესაძლებელია, რომ წმინდა მოგების გაუნაწილებლობით დაზოგილი თანხები მიმართულ იქნეს სწორედ საწარმოს შემდგომი განვითარებისათვის. ამგვარი გადაწყვეტილებების მართებულობა კი წარმოადგენს უკვე სხვა დავის ფარგლებში შესაფასებელ საკითხს. განსახილველ საქმეზე კი მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენს დივიდენდის მიღება, რის თაობაზეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ მოგების მიღების ფაქტი, საკმარისი წინაპირობა არ არის კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში დივიდენდის მიღებისათვის. მოგების მიღების ფაქტის დადასტურება ვერ გახდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში დივიდენდის მიღების ფაქტობრივი საფუძველი იმ პირობებში, როდესაც დადგენილია პარტნიორთა გადაწყვეტილების არარსებობა საწარმოს მოგებიდან დივიდენდის განაწილების თაობაზე [იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 3 თებერვლის №ას-822-780-2013 გადაწყვეტილება].

პალატა განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი იმთავითვე განსაზღვრავს, რომ ერთობლივი შემოსავლიდან ყველა ხარჯი გამოქვითვას არ ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ პასივის შემცირებისა, თუ საწარმოს რეინვესტირების მიზნით, შესაძლოა, მოგება ისევ საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოიყენოს. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მითითებას მასზედ, რომ მოგებიდან ლიცენზიის ღირებულების ჩასათვლელი თანხისა და ბანკის სესხის ძირი თანხის დაფარვა იმთავითვე უკანონო ქმედებაა, რადგან მითითებული თანხების გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდანაც შეიძლებოდა, შესაბამისად, ამ გზით პარტნიორებს შორის განაწილებული მოგება გადაიფარა. პალატა განმარტავს, რომ მითითებული პოზიცია სამართლებრივად არასწორია, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსი ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ყველა ხარჯი არ ექვემდებარება საერთო შემოსავლიდან გამოქვითვას.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მითვისება), დადასტურების პირობებშიც, იურიდიულად არ ამართლებს დივიდენდის მოთხოვნის უფლებას.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
ამ ეტაპზე საქმის მასალებით არ დასტურდება შპს „ა. პ.-ს“ პარტნიორების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, უფრო მეტიც, მითითებული ფაქტების დადასტურების პირობებშიც, დ. ო.-ს სარჩელი იურიდიულად მართებული იქნებოდა არა დივიდენდის მოთხოვნის, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა სახის მოთხოვნების, არსებობის პირობებში. თუმცა, იმისათვის, რომ დადგეს შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების წინაპირობები, უნდა არსებობდეს, პარტნიორების განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, რომელიც

მიზეზობრივ კავშირში იქნება დ. ო.-სათვის, როგორც პარტნიორისათვის ან/და საზოგადოებისათვის უშუალო ფინანსური ხასიათის დანაკლისის, დადგომის ფაქტთან...

აპელანტს კანონით დადგენილი წესით უნდა დაედასტურებინა სასამართლოსათვის შპს „ა. პ.-ს“ პარტნიორთა ქმედების მართლწინააღმდეგობა, რაც საზოგადოების კუთვნილი ფულადი თანხების მითვისებაში გამოიხატა. განსახილველ შემთხვევაში მტკიცებულება მასზედ, რომ შპს „ა. პ.-ს“ პარტნიორებმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელეს, კანონით დადგენილი წესით წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებული არ არის, თუმცა, პალატა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კიდეც, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდეს შპს „ა. პ.-ს“ პარტნიორების მიერ საზოგადოების კუთვნილი თანხების მითვისება, მითითებული ფაქტობრივი გარემოება დ. ო.-ს, როგორც, პარტნიორის, დივიდენდის თაობაზე მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს. პარტნიორების მიერ საზოგადოების კუთვნილი თანხების მითვისება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სხვა სახის მოთხოვნების წარდგენის სამართლებრივ შესაძლებლობას იძლევა. მოთხოვნა კი შესაბამის სამართლებრივ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, ვინაიდან მოთხოვნის მართლზომიერების შემოწმება სწორედ მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობების შემოწმების კონტექსტში ხორციელდება.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
დივიდენდი წარმოადგენს მოგების ნაწილს, რომელსაც იღებენ პარტნიორები მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). დივიდენდის მიღების უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო დივიდენდის მოთხოვნის უფლება – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან [იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის ას-1328-1170-2010 გადაწყვეტილება].

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/7066-14 (11 თებერვალი, 2015 წელი)
მოსამართლეები: გოდერძი გიორგიშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი ადეიშვილი, ხათუნა არევაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის მიერ გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლების დათმობა და ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე, საზოგადოების სახელით, ამავე საწარმოს დირექტორისგან მოითხოვდა გასამრჯელოს მიღების მოთხოვნისა და ზიანის ანაზღაურების უფლების დათმობას, თუმცა არ ჰქონდა წარმოდგენილი სათანადო მტკიცებულებები, რის გამოც საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი, ხაზი გაუსვა რა ამგვარი დავების სპეციფიკურობას, რაც გამოიხატება, მათ შორის, მტკიცებულებათა მოპოვების სირთულეში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადებით გათვალისწინებულ დაზარალებულ პარტნიორს, როგორც წესი, არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლოს დახმარების გარეშე მოიპოვოს და სარჩელს დაურთოს მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა, ეს დაბრკოლება ასეთ პირს არ უნდა ტოვებდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების გარეშე. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო უნდა დაეხმაროს მოსარჩელეს იმ აუცილებელი მტკიცებულებების გამოთხოვაში, რომლებიც მან (მოსარჩელემ) საპატიო მიზეზით ვერ მოიპოვა.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზიანის ანაზღაურება ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისთვის.
- ინტერესთა კონფლიქტი.
- გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლების დათმობა.
- დირექტორის მოვალეობები.
- სარჩელის შინაარსი.
- სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა.
- მტკიცებულებათა შეგროვება.
- მტკიცებულების გამოთხოვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 5.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 103. ნაწილი 2.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 134. ნაწილი 2.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 178. ნაწილები 1.ე.,1.ვ.,3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 186. ქვენაწილი 1.თ.

სრული განმარტების ციტირება:
როგორც წინამდებარე სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, 2011 წლის 11 ოქტომბერს მოსარჩელე ე. ც.-მ და მოპასუხე მ. მ.-მ 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნეს შპს „ი. ტ.“, რომლის დირექტორად დაინიშნა მ. მ.. კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა ტურისტული მომსახურება. 2011-2013 წლები კომპანიამ სოლიდური მოგებით დაასრულა; თუმცა, 2014 წელს შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა. რისი მიზეზიც, მოსარჩელის მოსაზრებით, არის მოპასუხის კანონსაწინააღმდეგო ქმდება, რომელმაც ერთპიროვნულად დააფუძნა იგივე პროფილის კომპანია – შპს „ი. ტ. პ.“, რომელსაც ასევე თვითონ ხელ-

მძღვანელობდა და სწორედ ამ კომპანიაში მოახდინა იმ კონტრაქტების გადატანა, რომლებიც შპს „ი. ტ.-ს“ ჰქონდა გაფორმებული, რითაც ზიანი მიაყენა მოსარჩელე საზოგადოებას.

სარჩელში დავის საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა მოსარჩელეს დარღვეული უფლების აღსადგენად სარჩელის სასამართლოში წარდგენის ეტაპზე, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია სარჩელის ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მითითება, მათი სასამართლოში წარდგენა და აღნიშნულის კვალობაზე, სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტება-დაკონკრეტება.

ამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზის მითითება, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღებას, სარჩელზე მტკიცებულებათა დაურთველობის მოტივით.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს არათუ მითითებული აქვს ასეთი მტკიცებულებების სარჩელზე დაურთველობის საპატიო მიზეზი, არამედ, წარმოდგენილი აქვს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებაც.

პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ წინამდებარე სარჩელის დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას, გათვლისწინებული უნდა იქნეს დავის სპეციფიკა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადებით გათვალისწინებულ დაზარალებულ პარტნიორს, როგორც წესი, არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლოს დახმარების გარეშე მოიპოვოს და სარჩელს დაურთოს მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. თუმცა, ეს დაბრკოლება ასეთ პირს არ უნდა ტოვებდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების გარეშე, რაზეც პალატამ ზემოთ უკვე იმსჯელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებით.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, პალატა მიდის დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული საფუძვლებით მოცემული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება, როგორც სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრინციპს, ისე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ნამდვილ შინაარს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე, შპს „ი. ტ.-ს“ პარტნიორის ე. ც.-ს სარჩელის დასაშვებობის ეტაპიდან, განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარჩელის დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შემოწმების და მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, პირველი ინსტანციის სასამართლო უნდა დაეხმაროს მოსარჩელეს იმ აუცილებელი მტკიცებულებების გამოთხოვაში, რომლებიც მან (მოსარჩელემ) საპატიო მიზეზით ვერ მოიპოვა სსასარჩელო მოთხოვნების დასაზუსტებლად. ამ მიზნით, სასამართლოს შეუძლია მოსამზადებელი სხდომის მოწვევა და მოსარჩელის შუამდგომლობების მხარეთა მონაწილეობით განხილვა. ამასთან, საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ მკაცრად უნდა დაიცვას სამართლიანი ბალანსი მხარეთა ინტერესებს შორის, რათა არ მოხდეს მოპასუხისგან ისეთი კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გამოთხოვა, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვთ განსახილველი საქმისთვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2/ბ-1273-2014 (020210014552518) (17 მარტი, 2015 წელი)
მოსამართლეები: სიმონ ჩხაიძე (თავმჯდომარე), დიმიტრი გვრიტიშვილი, თამარ სვანიძე

საკვანძო საკითხი:
უარი განაწილებული მოგების (დივიდენდის) გადაცემაზე.

განჩინების რეზიუმე:
აქციათა 9%-ს მქონე აქციონერი (მოსარჩელე) მოითხოვდა სააქციო საზოგადოების (მოპასუხე) საერთო კრების იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც, საწარმოს წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე აპელირებით, მას უარი ეთქვა განაწილებული მოგების გადაცემაზე. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – აქციონერთა კრების გადაწყვეტილება საწარმოს სახელით დადებული გარიგებაა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.

სრული განმარტების ციტირება:
4.6. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება არის ნების გამოვლენა, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ არის მიმართული, ე. ი. ეს გადაწყვეტილება საწარმოს სახელით დადებული გარიგებაა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სააქციო საზოგადოება ვალდებულია, აქციონერს განაწილებული მოგებიდან გადასცეს დივიდენდი. დაუშვებელია, საზოგადოების წესდებით დივიდენდის მიღების უფლების ხელყოფა. ბათილია აქციონერთა კრების გადაწყვეტილება აქციონერისათვის დივიდენდის მიღების უფლებაზე უარის შესახებ იმ მოტივით, რომ აქციონერს საზოგადოების მიმართ წესდებიდან გამომდინარე მოვალეობები გააჩნია.

განმარტებული საკითხები:
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- განაწილებული დივიდენდი (მოგება).
- დივიდენდის მიღების უფლება.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- აქციონერის უფლებები.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 4[1].,11.

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 57. პუნქტი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:

4.8. აქციონერის მიმართ სააქციო საზოგადოებას გააჩნია კანონიდან გამომდინარე ვალდებულებები.

4.9. ამავე კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა.

4.10. ეს ნიშნავს, რომ კანონის საფუძველზე, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერს განაწილებული მოგებიდან დივიდენდი გადასცეს.

4.11. კანონის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, კი დივიდენდის მიღების უფლების ხელყოფა საზოგადოების წესდებითაც დაუშვებელია.

4.12. მეტიც, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება.

4.13. ამის გამო, საზოგადოებას არა აქვს უფლება უარი განაცხადოს აქციონერისათვის დივიდენდის გადაცემაზე თუნდაც იმ მოტივით, რომ აქციონერს მის მიმართ წესდებიდან გამომდინარე მოვალეობები გააჩნია.

4.14. აქციონერთა კრების გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ საზოგადოებამ ე. ც.-ს განაწილებული მოგებიდან დივიდენდი დაუკავა იმიტომ, რომ მხარეთა შორის სასამართლოში მიმდინარეობდა დავა ე. ც.-თვის ნომინალურ ფასად აქციების ჩამორთმევის თაობაზე.

4.15. პალატას მიაჩნია, რომ აქციონერთა კრების ეს გადაწყვეტილება იყო კანონსაწინააღმდეგო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, კი მართლსაწინააღმდეგო გარიგება ბათილია. ამის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, არსებითად, სწორია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-31-28-2015 (24 მარტი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება.

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. ძალაში დარჩა გადაწყვეტილება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცნობაზე წილის მფლობელის (მოსარჩელის) მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-696-666-2014, №ას-747-707-2015

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე წილის მფლობელის უფლების იმ მინიმალურ სტანდარტს ადგენს, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია პარტნიორთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი. კანონი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად არ ითვალისწინებს საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნის აუცილებლობას, საკმარისია გამოვლინდეს საზოგადოების დირექტორის მხრიდან საზოგადოების პარტნიორებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გაცნობად გადაცემის ნების არარსებობა.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- დირექტორის მოვალეობები.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
წარმოდგენილი სარჩელით ჭ. ნ-ემ მოითხოვა მოპასუხისათვის საწარმოს საბუღალტრო რევიზიის აქტის, ინვენტარიზაციის აქტისა და 2012-2014წწ.-ის საწარმოს საერთო კრების ოქმების გადაცემა. ასევე, საწარმოს 2012-2013წწ.-ის ფინანსური ანგარიშების გასაცნობად დაშვება. საკასაციო პალატა მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით. ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების

წიგნებსა და ჩანაწერებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორის, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ჭ. ნ-ის სადავო უფლების სამართლებრივ საფუძველს და ადგენს ჭ. ნ-ის, როგორც შპს „გ-ი+“-ის პარტნიორისა და საწარმოს 25%-იანი წილის მფლობელის უფლების იმ მინიმალურ სტანდარტს, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია პარტნიორთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი.

კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით კი, რომ ჭ. ნ-ემ მოცემულ შემთხვევაში, გამოიყენა უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა ისე, რომ სასურველი დოკუმენტაციის მიღების მოთხოვნით უშუალოდ საზოგადოებისათვის არ მიმართავს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობად არ ითვალისწინებს საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნის აუცილებლობას, არამედ საკმარისია გამოვლინდეს საზოგადოების დირექტორის მხრიდან, საზოგადოების პარტნიორებისათვის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გასაცნობად გადაცემის ნების არარსებობა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდეს.

საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამ კატეგორიის საქმეებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა (სუს 24.01.2014წ.-ის ას-800-759-2013წ.-ის განჩინება), რომელიც შეეხება საზოგადოების პარტნიორის უფლებას ინფორმაციის მიღებაზე („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი და 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/6571-14 (330210014532990) (25 მარტი, 2015 წელი)
მოსამართლე: ვანო წიკლაური

საკვანძო საკითხი:
დირექტორის მოთხოვნები მისი გათავისუფლების (გამოწვევის) დროს.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
დირექტორი მოითხოვდა მისი გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების გაუქმებას, თანამდებობაზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას, რაც საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება რეგისტრაციის შეწყვეტის შეუტყობინებლობის გამო ზიანის ანაზღაურებისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირაა მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით, ვერ გავრცელდება შრომის კოდექსით მოწესრიგება, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- მარეგულირებელი კანონმდებლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 1. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[2].
- შრომის კოდექსი, მუხლი 1. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა ამ ურთიერთობის შინაარსის და მხარეთა უფლება მოვალეობების გათვალისწინებით, გაჯერებულია, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ელემენტებით და ამ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებას განსაზღვრავს სწორედ ეს სამართლებრივი ორბუნოვნება. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირაა მოწესრიგებული მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისი ნორმებით, მის მიმართ ცხადია ვეღარ გავრცელდება შრომის კოდექსის მოწესრიგება, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.). ამ მხრივ ნიშანდობლივია მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტის დანაწესიც, რომელიც განსაზღვრავს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულების განხორციელებას შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების წესის გამოყენების გზით.

ამგვარად პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით თუ კონკრეტულად რა უფლება-მო-

ვალეობებია სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი მომწესრიგებელი (იქნება ეს შრომითი თუ კორპორაციული რეგულაციები) ნორმებიც.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ვინაიდან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაბამის ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) შეუძლია ნებისმიერ დროს, შრომის კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არარსებობა არ წარმოშობს გათავისუფლების არაკანონიერად ცნობის საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1]ა.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... რამდენადაც დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი პირდაპირაა გათვალისწინებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, ასევე თავად სს „ბ. ს.-ს“ წესდებით (იხ. წესდების 17.1 პუნქტი), ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში (ამ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებაში) კანონმდებელი შესაბამის ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს) დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს ნებისმიერ დროს, ამ შემთხვევაში შრომის კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შესახებ კვლევის საკითხი იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს გათავისუფლების კანონიერების საკითხი, აღარ წარმოიშობა, რამდენადაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს სპეციალურ წესს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტისათვის.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების წესის დარღვევა არ წარმოშობს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების არაკანონიერად ცნობის საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოპასუხე მხარემ დაარღვია შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების წესი და რომ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის მიმართვამდე, ადრესატს (თავად ვ. ლ.-ს) არ შეატყობინა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, პალატის მოსაზრებით არ წარმოშობს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 10 მარტს მი-

ღებული გადაწყვეტილების არაკანონიერად ცნობის საფუძველს. პალატა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტის დანაწესზე მითითებით განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე საწარმოს მიერ გაფრთხილების წესის შესახებ ვალდებულების დარღვევა წარმოშობს მეორე მხარის უფლებას ზიანის ანაზღაურებაზე და არა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ მოსარჩელე (საწარმოს დირექტორი) არაკანონიერად არ გაუთავისუფლებიათ, არც იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არსებობს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გასამრჯელო.
- იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[2].
- შრომის კოდექსი, მუხლი 32. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებულია არაკანონიერი გათავისუფლების გამო ანაზღაურების მიუღებლობის გარემოებასთან, რა შემთხვევაშიც მთელი იძულებითი მოცდენის პერიოდისათვის დასაქმებულს უნაზღაურდება მიუღებელი ხელფასი. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ქონია მოსარჩელის არაკანონიერი გათავისუფლების შესახებ გარემოებას და დადგენილია, რომ ვ. ლ. დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებულია კანონიერი გზით პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველიც.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის გათავისუფლების საფუძვლის კვლევა შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ ჭრილში, მნიშვნელოვანია შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. საწარმოს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელემ დაარღვია მისი, როგორც დირექტორის მოვალეობები (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), რაც გახდა მისი გათავისუფლების საფუძველი.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შეტყობინების წესის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- მტკიცების ტვირთის განაწილება შრომის სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[2].
- შრომის კოდექსი, მუხლი 38.
- შრომის კოდექსი, მუხლი 37.

სრული განმარტების ციტირება:

4.4. ... სააპელაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მეწარმეთა შესახებ კანონის 9-ე მუხლის 7[1] და 7[2] პუნქტებზე და აღნიშანვს, რომ დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა კანონმდებელმა დაუკავშირა რეგისტრაციის მომენტს. კერძოდ რეგისტრირებული პირის უფლებამოსილება წყდება ამ რეგისტრაციის შეწყვეტის მომემტნიდან. ამასთანავე კანონი ადგენს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, რომელიც უნდა განხორციელდეს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული წესის მიხედვით. ამ წესის დაუცველად რეგისტრაციის შეწყვეტის განხორციელება ე. ი. იმ შემთხვევაში, თუკი შეტყობინების განხორციელებაზე ვალდებული პირი რეგისტრირებული პირისათვის შეტყობინების განხორციელების გარეშე მოახდენს მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი განცხადების წარდგენას, რეგისტრირებულ პირს (ე. ი. იმ პირს, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტაც განხორციელდა მისთვის შეტყობინების გარეშე) წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მეწარმეთა შესახებ კანონის 9-ე მუხლის იმავე 7[2] პუნქტის თანახმად ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „ვ“ „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

სააპელაციო პალატა შენიშნავს, რომ მიუხედავად მოპასუხის მხრიდან შესაგებელში დაფიქსირებული პოზიციისა მასზედ, რომ ვ. ლ.-ს გათავისუფლების მიზეზი გახდა მისი მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნული არ ყოფილა დადასტურებული. ის გარემოება, რომ ვ. ლ.-ს მხრიდან დაირღვა მასზე დაკისრებული ვალდებულება, პალატის შეფასებით საჭიროებდა მოპასუხის მხრიდან შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებას. მოპასუხე კი შემოიფარგლა მხოლოდ 2014 წლის 10 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმზე მითითებით, რაც პალატის აზრით არ ადასტურებს თავად იმ ფაქტს, რომ ვ. ლ.-მ მართლაც დაარღვია მისი როგორც დირექტორის ვალდებულებები. ის გარემოება, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა ვ. ლ.-ს მიერ ამ სხდომაზე მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ ვ. ლ. აღარ უნდა დარჩენილიყო დირექტორის თანამდებობაზე, არ ადასტურებს და არ შეიძლება განიხილებოდეს იმ ობიექტური გარემოების დამადასტურებლად, რომ ვ. ლ.-მ მართლაც დაარღვია მისი როგორც დირექტორის ვალდებულებები. პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ლ.-ს გათავისუფლების საფუძვლის კვლევა შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული ჭრილში მნიშვნელოვანია შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. კერძოდ, პალატა კვლავ მიუბრუნდება იმ საკითხს, რომ მართალია თავად გათავისუფლების კანონიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის თუ შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული, რომელი საფუძვლით მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში ვ. ლ.-ს გათავისუფლება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტიელბის 4.3. პუნქტი), თუმცა სს „ბ. ს.-ს“ მხრიდან მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შეფასებისათვის და იმ საკითხის გასარკვევად, წარმოეშვა თუ არა ამ ვალდებულების დარღვევით ზიანის მოთხოვნის უფლება და უნდა მოხდეს თუ არა თუნდაც კომპენსაციის სახით შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული თანხის დაკისრება მოპასუხისათვის, საინტერესო და მნიშვნელოვანია, გაირკვეს თუ კონკრეტულად შრომის კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრული, რომელი საფუძვლით მოხდა აპელანტის გათავისუფლება დირექტორის თანამდებობიდან. იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე მხარემ ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია და ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ ვ. ლ.-მ დაარღვია მისი, როგორც დირექტორის მოვალეობები, შესაბამისად გამოირიცხება შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნტით გათვალისწინებული საფუძვლის კვალიფიკაციის საფუძველიც. ამასთანავე პალატა მიიჩნევს, რომ რამდენადაც ვ. ლ.-ს გათავისუფლება სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 10 მარტის სხდომაზე მოყვა ვ. ლ.-სგან ინფორმაციის მიღებას, პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტული შემთხვევაში ადგილი ქონდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია – სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.) აღნიშნულის გათვალისწინებით, კი, რამდენადაც სს „ბ. ს.-ს“ მხრიდან დარღვეული იქნა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის

7[2]-ე პუნქტით დადგენილი შეტყობინების ვალდებულება, პალატა მიიჩნევს, რომ სს „ბ. ს.-ს“ ვ. ლ.-ს მიმართ წარმოეშვა ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულება.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების უფლება იმ საკითხთა წრიდანაა, რომელთა მიმართ მეწარმეთა შესახებ კანონი რაიმე რეგულაციას არ ადგენს. დირექტორი უფლებამოსილია, ისარგებლოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების უფლებით.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორის მოვალეობები.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი: 9. პუნქტი 7.
- შრომის კოდექსი, მუხლი: 21. ნაწილი 4.

სრული განმარტების ციტირება:
პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა მხოლოდ იმიტომ მიიჩნია უსაფუძვლოდ, რომ ეს უფლება (გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესახებ უფლება) გათვალისწინებულია შრომის კოდექსით, რომლის გამოყენებაც დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე სასამართლოს მოსაზრებით, იყო დაუშვებელი.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული სადავო საკითხი იმ საკითხთა წრიდანაა, რომელთა მიმართ მეწარმეთა შესახებ კანონი რაიმე რეგულაციას არ ადგენს. საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან მიმართებაში რაიმე მოწესრიგება არც მოპასუხე საზოგადოების წესდებით და არც დირექტორთან გაფორმებული ზეპირი ხელშეკრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული. შვებულების, ასევე გამოუყენებელი შვებულების შესახებ უფლება შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოადგენს დასაქმებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას, რომლის რეგულირებასაც ახდენს შრომის კოდექსი. ის არგუმენტი, რომ დირექტორი არის მხოლოდ კორპორაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და რომ მას არ შეუძლია ისარგებლოს შვებულების, ასევე გამოუყენებელი შვებულების უფლებით მოკლებულია დასაბუთებას და აღნიშნულთან მიმართებაში პალატა კვლავ მოიხმობს იმ მსჯელობას რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით თუ კონკრეტულად რა უფლება-მოვალეობებია სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი მომწესრიგებელი (იქნება ეს შრომითი თუ კორპორაციული რეგულაციები) ნორმებიც. კონკრეტულ შემთხვევაში ვ. ლ., როგორც დირექტორი და ამავე დროს როგორც დასაქმებული უფლებამოსილია მოითხოვოს გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე. ამ ნორმის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ფაქტობრივი საფუძველი მხარეთა შორის სადავოდ არ ხდება. კერძოდ დგინდება, რომ ვ. ლ.-ს გათავისუფლებამდე შვებულებით არ უსარგებლია. ამასთანავე, პალატამ დაადგინა, რომ ვ. ლ.-ს გათავისუფლება განხორციელდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ პუნქტის საფუძველზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.4. პუნქტის მე-4 აბზაცი). შესაბამისად გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-35-32-2015 (27 მარტი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა/სამეთვალყურეო საბჭოს/კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად აღიარება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (შპს-ს პარტნიორი) მოითხოვდა (I) პარტნიორთა კრების იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც (1) არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და (2) დამტკიცდა კლინიკის ახალი წესდება; (II) სამეთვალყურეო საბჭოს იმ გადაწყვეტილების ბათილად აღიარებას, რომლითაც აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. სასამართლომ დაადგინა, რომ (I.1) დირექტორის გამოწვევა საჭიროებს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას, (I.2) წესდების ახალი რედაქცია რაიმე ფორმით არ აუარესებდა მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო (II) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად აღიარებისადმი მოსარჩელეს არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1235-1158-2015

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შპს-ს წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებს პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას (ზღუდავს ან აუქმებს მის რეგისტრირებულ უფლებას, ამცირებს მოგებაში წილს ან ზრდის მის მონაწილეობას ზარალში და სხვ.) უნდა განხორციელდეს პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილებები (მათ შორის, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ) მიიღება საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით გამართულ კრებაზე, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.
- საწარმოს წესდების ცვლილება.
- წესდების ახალი რედაქცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 5[1].,5[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 2.,7.,9.

სრული განმარტების ციტირება:
კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 05 მარტის კრების №3 ოქმითა და კლინიკის ახალი წესდებით დადგენილია, რომ 2014 წლის 05 მარტს შედგა კლინიკის პარტნიორთა კრება, რომელზედაც, ხმების 61%-ით ხმების 25%-ის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კლინიკის ახალი წესდების დამტკიცების შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოების პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები); კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; მე-7 პუნქტის თანახმად კი, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქ-

მიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. მე-9 პუნქტის მიხედვით საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს, ხოლო მე-10 პუნქტით კი, დადგენილია საერთო კრებაზე შპს-ის პარტნიორთა ხმების განსაზღვრის წესი მათი წილების პროპორციულად.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით კი, განსაზღვრულია საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დამატებითი პირობები, კერძოდ: ამ მუხლის მე-5[1] პუნქტის თანახმად, თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი; მე-5[2] პუნქტის თანახმად, თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილიად მიიჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას (ზღუდავდა ან აუქმებდა მის რეგისტრირებულ უფლებას, ამცირებდა მოგებაში წილს ან ზრდიდა მის მონაწილეობას ზარალში და სხვ.) უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილებები მიიღებოდა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით გამართულ კრებაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ კლინიკის (რომელიც არსებობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით) პარტნიორთა კრებამ, 2014 წლის 16 იანვარს, საწესდებო კაპიტალის 61%-ის მქონე პარტნიორთა გადაწყვეტილებით შექმნა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭო და აირჩია მისი წევრები, ხოლო 2014 წლის 5 მარტს კი, ხმების იმავე ოდენობით მიღებული გადაწყვეტილებით, დაამტკიცა ახალი წესდება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით არ გაუარესებულა პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა. ამდენად, ეს გადაწყვეტილებები კანონიერი იყო და მათი ბათილად ცნობის საფუძვლები არ არსებობდა. შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, 2014 წლის 5 მარტს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, უკანონოდ იქნა მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – ზოგადად, რა თქმა უნდა, დასაშვებია დირექტორის თანამდებობიდან გადაყენება მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასების გამო, მაგრამ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად და ეს საკითხი მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

განმარტებული საკითხები:

- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].ა
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 2., 6.ე.,7.

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორი საწარმოსათვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტია; შესაბამისად, მისი საქმიანობის უარყოფითად (არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად) შეფასება და ამის შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეს საკითხები უნდა განხილულიყო საწარმოს 100% ხმების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით, რაც, 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე, არ მომხდარა (კრებას არ ესწრებოდა საწესდებო კაპიტალის 7%-ის მფლობელი პარტნიორი ი. ჩ-ი).

ზოგადად, რა თქმა უნდა, დასაშვებია დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებაც, მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასების გამო, თუმცა ამ საკითხზე პარტნიორთა კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, რაც ასევე არ განხორციელებულა კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის საქმიანობის უარყოფითად შეფასებისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სარჩელი და შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი, დაუსაბუთებელი იყო, რაც გამორიცხავდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს.

აქვე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად დირექტორების გამოწვევის (გათავისუფლების) საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, დირექტორის გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლის არსებობა მოცემულ საქმეზე დადასტურებული არ არის.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი არ ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორის მონაწილეობას. სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის საფუძვლით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად აღიარების მოთხოვნის მიმართ პარტნიორს არ გააჩნია იურიდიული ინტერესი.

განმარტებული საკითხები:
- სამეთვალყურეო საბჭო.
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, თავისი არსით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის ნორმის გათვალისწინებით, წარმოადგენდა გარიგებას. კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 16 იანვრის კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეულმა პირებმა გამოავლინეს ნება და დაადგინეს, მათგან ვინ იქნებოდა თავმჯდომარის და მისი მოადგილის სტატუსის მატარებელი. ამდენად, სარჩელი ამ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე არის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელენი ვალდებულნი

იყვნენ – დაესაბუთებინათ მისდამი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, რაც ვერ შეძლეს: კანონი არ ითვალისწინებდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორის მონაწილეობას, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. შესაბამისად, არანაირი მნიშვნელობა მოსარჩელე პარტნიორთათვის არ ქონდა იმას განხორციელებული იყო თუ არა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის სახელმწიფო რეგისტრაცია, რადგან სადავო გადაწყვეტილებით მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვას ადგილი არ ჰქონდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1063-1018-2014 (08 აპრილი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი, რითიც ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დივიდენდის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შესაგებლის წარუდგენლობის გამო დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ დომინანტი პარტნიორი, რომელიც ამავე დროს საწარმოს დირექტორია, ბოროტად/არამართლზომიერად იყენებდა თავის უფლებას (დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის კომპეტენციას).

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-522-495-2015, №ას-552-527-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საზოგადოების მხრიდან დაუშვებელია უარი განაწილებული მოგების დივიდენდების სახით მოთხოვნაზე.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
„დივიდენდი“, რომლის მიღების უფლებასაც სადავოდ ხდის კასატორი, წარმოადგენს იურიდიული პირის ფინანსური მოგების ნაწილს, რომელზე უფლებაც მოპოვებულია ამ იურიდიულ პირში წილის ფლობით (საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი) და ამდენად, მასზე „უფლება“ დაკავშირებულია პარტნიორის სტატუსთან. მოგების განაწილების შესაძლებლობა გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების მხრიდან პარტნიორის ამ მოთხოვნაზე უარი დაუშვებელია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კაპიტალურ საზოგადოებებში დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის კომპეტენციას „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დირექტორს აკუთვნებს (57-ე მუხლის პირველი ნაწილი). დაუშვებელია, დირექტორმა ეს უფლება არამართლზომიერად გამოიყენოს და უსაფუძვლოდ შეიზღუდოს პარტნიორის უფლება დივიდენდის

მიღებაზე. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით (სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხ.), რისი შემოწმებაც სასამართლოს უპირველესი ამოცანაა. დომინანტი პარტნიორი, რომელიც იმავდროულად საწარმოს დირექტორია, არამართლზომიერად იყენებს თავის უფლებას, როდესაც არღვევს სხვა პარტნიორის უფლებებს, ყოველწლიურად რიცხავს მას საწარმოდან და აიძულებს იდავოს სასამართლოში, არ აძლევდა მოსარჩელეს ინფორმაციას შემოსავლებისა და დივიდენდების შესახებ.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- დირექტორის მოვალეობები.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 57. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 8. პუნქტი 12.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხლები, რომლებიც კაპიტალურ საზოგადოებებს ეხება, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმ დოკუმენტებსა და მეთოდებზე, რომლებსაც დივიდენდად გასანაწილებელი თანხის ან მოგების გაანგარიშება უნდა დაეყრდნოს. რაც შეეხება დივიდენდის დადგენის, გამოცხადებისა და განაწილების პროცედურულ წესს, აღნიშნული დადგენილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზიაც ამ წესის დარღვევით დივიდენდის მიკუთვნებას შეეხება, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ს-ს“ პარტნიორებს წარმოადგენენ ც. მ-ე 75%-იანი წილის უფლებით და დ. ხ-ე – 25%-იანი წილის უფლებით, ხოლო მათგან საზოგადოების დირექტორია მოპასუხე ც. მ-ე, რომელიც არღვევდა დ. ხ-ს უფლებებს, ყოველწლიურად რიცხავდა მას საწარმოდან და აიძულებდა ედავა სასამართლოში. არ აძლევდა მოსარჩელეს ინფორმაციას 2012 წლის შემოსავლების შესახებ და არც დივიდენდებს, რის გამოც 24.04.2013წ.-ს მოსარჩელემ მიმართა მას პარტნიორთა კრების ჩატარების მოთხოვნით.

ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებისა და აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის კომპეტენციას „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დირექტორს აკუთვნებს, დაუშვებელია დირექტორის ეს უფლება არამართლზომიერად იქნეს გამოყენებული და უსაფუძვლოდ შეზღუდოს პარტნიორის უფლება დივიდენდის მიღებაზე. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით (სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხ.) და ამდენად, სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები. სასამართლოს უპირველესი ამოცანა კი, უფლების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებაა. მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო საჩივრის სამართლებრივ საფუძვლად დივიდენდის განაწილების პროცედურული წესის დარღვევაზე კასატორის მითითება, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ხ-ს მიეკუთვნა საზოგადოების 2012 წლის დივიდენდი სამართლებრივად სწორია.

კასატორის იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ „დივიდენდების სახით პარტნიორთა შორის ნაწილდება საფინანსო მოგება და არა საგადასახადო მოგება, ხოლო დ. ხ-ს მიერ დასახელებული თანხა – 52 535 ლარი იყო შპს-ს 2012 წლის საგადასახადო მოგება. საზოგადოებას კი, სამეწარმეო საქმიანობის პროცესში

უწევს ისეთი ხარჯების გაწევა, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, ან ხდება შეზღუდული რაოდენობით მათი გამოქვითვა“, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია „მოგება“, ფინანსური გაგებით, არის მთლიანი შემოსავლისა და ხარჯების სხვაობა (არარეალიზებული შემოსავლის და ხარჯების გაუთვალისწინებლად), თუმცა კასატორის მითითებული პოზიცია შესაგებლით შესადავებელი ფაქტია, რომელზე შედავების პროცესუალური უფლებამოსილება მოპასუხემ (კასატორმა) დაკარგა პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-696-666-2014 (08 აპრილი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.

განჩინების რეზიუმე:
უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. დივიდენდის ძველი მესაკუთრისათვის გადაცემის ვალდებულებაზე შეთანხმების არარსებობის პირობებში წილის გასხვისების შემდეგ დივიდენდის მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-747-707-2015

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – 100% წილის გასხვისების შემდეგ დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებას. წილის განკარგვის შემდეგ დივიდენდის მოთხოვნის უფლების შენარჩუნებისთვის აუცილებელია, მხარეთა შეთანხმება დივიდენდის ძველი მესაკუთრისათვის გადაცემის ვალდებულებაზე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „თბილისის №-- სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის“ 100%-იანი წილი აუქციონზე გასხვისდა 2011 წლის აგვისტოში, წილზე ახალი შემძენის – შპს „მ-ის“ საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა 2012 წლის 3 თებერვალს.

საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 2 ივლისის №17.07.636 დადგენილებით სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ თბილისის მთავრობამ შპს-ს დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილება მიიღო 2012 წლის 2 ივლისს, ანუ მაშინ, როდესაც წილზე საკუთრების უფლება სხვა პირს – შპს „მ-ს“ ეკუთვნოდა. აქედან გამომდინარე, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილება წარმოადგენს არაუფლებამოსილ ორგანოს გადაწყვეტილებას, ანუ იმ პირის გადაწყვეტილებას, რომელიც პარტნიორის უფლებამოსილებით აღარ სარგებლობდა. როგორც აუქციონის პირობებით ირკვევა, დივიდენდის ძველი მესაკუთრისათვის გადაცემის ვალდებულებაზე მხარეები არ შეთანხმებულან.

საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემული ტიპის დავებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა (სუსგ 2015 წლის 24 მარტის №ას-31-28-2015, სუსგ 2013 წლის 12 დეკემბრის №ას-835-793-2013).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-93-87-2015 (15 აპრილი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
წილის მმართველი, თუ რწმუნებული.

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს 39.5% წილის მქონე პარტნიორი მოითხოვდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების ბათილად აღიარებას იმ საფუძვლით, რომ დომინანტი პარტნიორის სახელით გადაწყვეტილება მიიღო მინდობილმა მმართველმა, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა პარტნიორთა თანხმობისა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გარეშე. სამივე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა არა საკუთრების მინდობას, არამედ დავალების ხელშეკრულებას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წილის მმართველის დანიშვნისგან განსხვავებით, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე პარტნიორის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების გადაცემა არ საჭიროებს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას და პარტნიორთა თანხმობას.

განმარტებული საკითხები:
- წილის მმართველი.
- პარტნიორის რწმუნებული.
- პარტნიორის მიერ გაცემული დავალება (მინდობილობა).
- ხმის უფლების მინდობა.
- საკუთრების მინდობის ხელშეკრულება.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. ქვეპუნქტი 1.ე[1]
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 10. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 724.

სრული განმარტების ციტირება:
ნორმის დანაწესით, წილის მმართველის დანიშვნის შემთხვევაში, აუცილებელია მისი რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. მ-ი არ წარმოადგენდა ჯ. ხ-ს წილის მმართველს და შესაბამისად, არ არსებობდა ამ ფაქტის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ს. მ-ი მოქმედებდა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე და იგი უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილებები ჯ. ხ-ს სახელით.

პალატის ზემოაღნიშნული მსჯელობის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით

მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი – ორივე ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა). წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს.

ამდენად, ჯ. ხ-მ ს. მ-ს სადავო უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებული იყო მისი სახელით გადაწყვეტილებების მიღებასთან, მიანიჭა, როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც კასატორის იმგვარი პრეტენზია, როგორიცაა წილის გადაცემის (გასხვისება) შეზღუდვა, წილის მმართველის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობა, საკუთრების მინდობისათვის პარტნიორთა თანხმობის აუცილებლობა, მოცემულ შემთხვევაში უსაფუძვლოა, რამდენადაც არც ერთი მათგანის საჭიროება, ამ კონკრეტულ საქმეზე არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1508-14 (21 აპრილი, 2015 წელი)
მოსამართლეები: მაია ბაქრაძე (თავმჯდომარე), მანუჩარ კაპანაძე, ნათია გუჯაბიძე

საკვანძო საკითხი:
აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვას. მოპასუხე უთითებდა არამატერიალური შენატანის განუხორციელებლობასა და კაპიტალის ზრდის გამო წილის შემცირებაზე. მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტები არ დამტკიცდა. სასამართლომ განმარტა, რომ აქციათა რეესტრში აქციონერი მესაკუთრედ აღირიცხება, მიუხედავად შენატანის განხორციელებისა. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციათა რეესტრში აქციონერზე მისი წილის შესაბამისი ოდენობის აქციები უნდა აღირიცხოს ემიტენტის მიერ, მიუხედავად იმისა, პარტნიორს შევსებული აქვს თუ არა საწესდებო კაპიტალი. აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვის დავაში მოპასუხემ უნდა ამტკიცოს შენატანის განხორციელების ვადის უშედეგოდ გასვლა, რამაც გამოიწვია წილის დაკარგვა; მოსარჩელის წილის შემცირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და მისი სამეწარმეო რეესტრის მონაცემებში ასახვა.

განმარტებული საკითხები:
- სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა.
- პარტნიორის გარიცხვა.
- აქციათა მესაკუთრედ აღრიცხვა.
- შენატანი კაპიტალში.
- არამატერიალური შენატანი.
- აქციათა რეესტრი.
- აქციათა რეესტრში აღრიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. ნაწილი 5.,7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 51. ნაწილი 2.,3.

სრული განმარტების ციტირება:
4.6. პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტების მტკიცებას, რომ მოსარჩელე შპს „ა. ბ.-ს“ მიერ არ მომხდარა შენატანის განხორციელება საზოგადოების კაპიტალში და შესაბამისად ვერ მოხდებოდა შპს „ა. ბ.-სთვის“ აქციების განკარგულების გადაცემა რეგისტრატორისათვის.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქციონერთა რეესტრში ხორციელდება კომპანიის კაპიტალში დამფუძნებელი პარტნიორების წილის შესაბამისი ოდენობის აქციების აღრიცხვა და წილზე უფლება წარმოშობს აქციის ფლობის უფლებასაც, რომლის მესაკუთრეზე რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების რეესტრში ემიტენტის მიერ, მიუხედავად იმისა პარტნიორს შევსებული აქვს თუ არა საწესდებო კაპიტალი.

„მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა, რომელიც შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვა-

ლისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში, 2011 წლის 25 ოქტომბრის სანოტარო აქტისა და წესდების შესაბამისად განისაზღვრა შპს „სტ.-ს“, შპს „ს.-ს“ და შპს „ა. ბ.-ს“ საწესდებო კაპიტალის ოდენობა, მისი შევსების წესი და კომპანიის კაპიტალში დამფუძნებელი პარტნიორების აქციათა წილი, რომლის შესაბამისი აქციათა მფლობელად შპს „ა. ბ.“ რეგისტრირებული უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

დადგენილია, რომ შპს „ა. ბ.-ს“ შენატანი განსაზღვრული იყო ადგილობრივი აგრობიზნესის შესახებ ცოდნისა და საზოგადოების ფონდებისა და ოპერაციების მენეჯმენტის განხორციელების ფორმით, თუმცა შენატანის შეტანის წესი, დრო ვადა განსაზღვრული არ იყო. მხარეებს შორის სადავოა შენატანის განხორციელების საკითხი და მისი შესრულების ვადა. აპელანტის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ შენატანის განხორციელების ვადა უშედეგოდ გასულია, რამაც გამოიწვია შპს „ა. ბ.-ს“ მიერ წილის დაკარგვა. გარდა იმისა, რომ შენატანის ვადა არ არის განსაზღვრული, რაიმე გადაწყვეტილება მოსარჩელის წილის შემცირების თაობაზე მიღებული არ ყოფილა და არც სამეწარმეო რეესტრის მონაცემებში შესულა ცვლილება. ამ გარემოებების გათვალისწინებით საფუძველს მოკლებულია აპელანტის არგუმენტაცია შპს-ს უფლების აქციათა რეესტრში დაურეგისტრირებლობის მართლზომიერებასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-128-120-2015 (23 აპრილი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
სამეწარმეო რეესტრისთვის სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობა.

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს ორი უმცირესობაში მყოფი პარტნიორი (მოსარჩელეები) მოითხოვდა საჯარო რეესტრის მიერ პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე განხორციელებული პარტნიორთა წილობრივი მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის ბათილად აღიარებას. დადგინდა, რომ წილობრივი თანაფარდობის ცვლილება გამოწვეული იყო საწარმოს კაპიტალის ზრდითა და ნაწილი პარტნიორების მიერ დამატებითი შენატანების განხორციელებით. მოსარჩელეებს, ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით, უარი ეთქვათ პარტნიორთა შესაბამისი კრების ოქმის ბათილობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში. ყველა ინსტანციის სასამართლომ მიუთითა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულოობაზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კასაცია დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, იგი უნდა აღსრულდეს. საჯარო რეესტრი ვალდებულია განახორციელოს პარტნიორთა წილობრივი მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია პარტნიორთა იმ კრების ოქმის საფუძველზე, რომლის ბათილობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდა, თუ შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- საწარმოს წესდების ცვლილება.
- სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 7.,9.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.
- კონსტიტუცია, მუხლი 62. პუნქტი 1.
- საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 4.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო პრეტენზიების შესწავლით დასტურდება შემდეგი: კასატორები გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას იმ საფუძვლით მოითხოვენ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5[1] პუნქტით, ასევე 5[1] მუხლითა და მე-9 მუხლით მოწესრიგებული რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოების უმცირესობაში მყოფ პარტნიორს და, მიუხედავად კანონირ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა, რეგისტრაციის გაუმართლებლობას ადას-

ტურებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის პროექტის განმარტებითი ბარათი.

საკასაციო პალატა მითითებულ პრეტენზიას დასაბუთებულ შედავებად ვერ მიიჩნევს და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავოს წარმოადგენს არა თავად პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, არამედ ამ გადაწყვეტილების რეგისტრაციის მართლზომიერება. უდავოა, რომ პარტნიორთა კრების 2011 წლის 4 თებერვლის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ანუ პარტნიორთა მრავალმხრივი ნების კანონიერება შეფასებას არ ექვემდებარება;

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ცვლილების განხორციელების უკანონობა არც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებშია დადასტურებული.

პალატა მოიხმობს საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 10-ე მუხლის თანახმად კი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

აღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილებით დაცული უფლების მუდმივად ეჭქვეშ დაყენება, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, იგი უნდა აღსრულდეს.

სამოქალაქო კანონმდებლობა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების განსაკუთრებულ წესს ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების სახით, რაც მოცემულ შემთხვევაში დადასტურებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1158-1104-2014 (06 მაისი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობა გადასახადისათვის თავის არიდების გამო.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საწარმოს დირექტორსა და ორი პარტნიორს განაჩენით მსჯავრი დაედოთ 68582 ლარის ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების გამო. ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით საწარმოს დავალიანებამ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე შეადგინა 233636 ლარი. საწარმოს გადახდისუუნარობის გამო, სსიპ შემოსავლების სამსახურმა (მოსარჩელე) მოითხოვა მესამე პირებისათვის (დირექტორისა და პარტნიორებისათვის) გადახდის დაკისრება. კასაციამ დაადგინა შემდეგი: (1) დირექტორმა დაარღვია ზრუნვის ვალდებულება და, შესაბამისად, პასუხი უნდა აგოს როგორც ზიანზე, ისე საურავზე/ჯარიმაზე; (2) დომინანტმა პარტნიორმა ბოროტად გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები, რის გამოც, „გამჭოლი პასუხისმგებლობიდან“ გამომდინარე, პასუხი უნდა აგოს როგორც ზიანზე, ისე საურავზე/ჯარიმაზე. შედეგად, დირექტორს და დომინანტ პარტნიორს სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ საწარმოს ვალდებულების მიმართ სუბსიდიურად, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარულად დაეკისრათ 233636 ლარის გადახდა. არადომინანტ პარტნიორთან მიმართებით საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, რადგან სისხლის სამართლის განაჩენს მოცემულ საქმეში არ გააჩნდა პრეიუდიციული ძალა და საჭირო იყო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/4935-14, №2ბ/4935-14, №2ბ/65-19, №ას-612-571-2017, №ას-687-658-2016, №2/3689-16, №2/ბ-1053-18

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი უნდა დარეგულირდეს არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, არამედ კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე საწარმოს ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით. მოცემულ შემთხვევაში, დირექტორსა და პარტნიორს შეიძლება წარმოეშვათ სოლიდარული ვალდებულება.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ანაზღაურება.
- სოლიდარული ვალდებულება.
- მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა.
- დელიქტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 463.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 240.

სრული განმარტების ციტირება:
სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვს შპს „თ. და კ.-ს“ დირექტორისა და პარტნიორებისათვის, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, როგორც კ.-ს ძირითადი საგადასახადო დავალიანების, ისე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დაკისრებას და მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „თ. და კ.-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე გააჩნია საგადასახადო დავალიანება, რომელიც ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით შეადგენს 233 636 ლარს. აღნიშნული დავალიანება შპს „თ. და კ.-მ“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე აღიარა, თუმცა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გამო, დავალიანების ამოღება სსიპ შემოსავლების სამსახურმა ვერ მოახერხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია, ეკისრებათ თუ არა კ.-ს პარტნიორებსა და დირექტორს პასუხისმგებლობა კ.-ს საგადასახადო ვალდებულებებისათვის პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კ.-ს აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კ.-ს საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისათვის საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, შემოსავლების სამსახურმა კ.-ს დირექტორისა და პატნიორებისაგან მოითხოვა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგინდა კ.-ს დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი, რის გამოც მოთხოვნილია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრება და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კ.-ს პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულების კრედიტორის) წინაშე კ.-ს ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

კ.-ს პარტნიორებისა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო, კ.-სა და მისი კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის შინაარსის განსასაზღვრად აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კ.-ს ვალდებულებებისათვის ერთის მხრივ, პარტნიორებისა და, მეორეს მხრივ, კ.-ს დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები.

ზოგადად კითხვაზე თუ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კ.-ს ვალდებულებებისათვის, პასუხი ცალსახაა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირტესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კ.-ს დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კ.-ს კრედიტორთა მოთხოვნებისაგან და, მეორე მხრივ, კ.-ს ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.

ხოლო რაც შეეხება მ. კ.-სა და გ. კ.-ს პასუხისმგებლობის ფორმას, საკასაციო პალატა პასუხისმგებლობის სოლიდარული ფორმის მნიშვნელობიდან და აგრეთვე, საკასაციო სამართალწარმოების ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს როგორც მ. კ.-სა და გ. კ.-ს პასუხისმგებლობის ფორმაზე ისე, ზოგადად სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების თავისებურებებზე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. კ.-სა და მ. კ.-ს მიმართ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის ნაწილში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნულ ნაწილში თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი გ. კ.-სა და მ. კ.-ს მიმართ მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მათ მიმართ სრულად დაკმაყოფილდება სარჩელი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორს საწარმოს წინაშე აკისრია ფიდუციური მოვალეობები. ძირითადი მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიმართულია საწარმოს ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ზრუნვის მოვალეობა, მათ შორის, მოიაზრებს საწარმოს ოპერაციების ისე დაგეგმვასა და განხორციელებას, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. მოგების გაზრდის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნესგადაწყვეტილებების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებათა შედეგებისათვის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან. „მართებული ბიზნესგადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას, არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების/დამალვის უკანონო სქემებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დირექტორი დაარღვევს ზრუნვის მოვალეობას. ამ დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. დირექტორის პასუხისმგებლობა გულისხმობს როგორც ძირითადი თანხის, ისე პირგასამტეხლოს/საურავის/ჯარიმის გადახდის ვალდებულებას.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
- გადასახადისათვის თავის არიდება.
- საურავის გადახდის დაკისრება.
- საურავი.
- საგადასახადო სანქცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 270.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 272.
- სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218.

სრული განმარტების ციტირება:

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კ.-ს დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კ.-ს წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალოებას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კ.-ს წესდებით.

ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია კ.-ს ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი მიზანი, რის გამოც ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს კ.-ში, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კ.-ს მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. რაკი კ.-ს ეკისრება საგადასახადო ვალდებულებები, ზრუნვის მოვალეობა ამ ვალდებულებების მინიმიზაციას კ.-ს დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კ.-ს მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კ.-ს ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რა მასშტაბით შეუძლია კ.-ს ხელმძღვანელს დასახოს და განახორციელოს საგადასახადო ოპტიმიზაციის გეგმები და სად გადის ზღვარი, რომლითაც განისაზღვრება ზრუნვის მოვალეობასთან დირექტორის ქცევის შესაბამისობა სამეწარმეო ურთიერთოებების კონტექსტში.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კ.-ს მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კ.-ს დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან [საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ., Merkt in MüKo zum GmbHG, §13,Rn.343; Raiser in Ulmer/Habersack/Löbbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl., §13,Rn.51; Fleischer in MüKo zum GmbHG, §43,Rn.276; Walter G. Paefgen in Ulmer/Habersack/Löbbe GmbHG Gr.Komm. 2.Aufl, §43,Rn.214; Haas/Ziemons in Michalski GmbHG Kommentar, 2.Aufl. §43,Rn.34; BGHZ 173, S.246; Zöllner /Noack in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §43,Rn.62a; Paefgen DB 2007, S1910f].

თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არ კ.-ს მომგებიანობის გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისაგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად იქნას მიღწეული მთავარი მიზანი – კ.-ს მოგების გაზრდა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს უფლება დაადგეს ამ გზას: პირველი, გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; მეორე, გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კ.-სათვის და „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების განხორციელება კ.-ს ხელმძღვანელებს აკისრებს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ კერძო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე კ.-ს წინაშე პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ, მაგრამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დარენგილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, კ.-ს ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრე-

ბით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კ.-ს წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც [Wolfgang Schön, Tax and Corporate Governance at 40, MPI Studies on Intellectual Property, Competition and Tax Law, Volume 3, Max Planck Institute for Intellectual Property, Competition and Tax Law, Springer – Verlag Berlin Heidelberg (2008)]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კ.-ს ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება გაზარდონ კ.-ს მოგება, მაგრამ ეს უნდა განახორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.

მოცემულ საქმეში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ კ.-ს დირექტორის გ. კ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე დადგენილია, რომ გ. კ.-მ, კ.-ს პარტნიორებთან მ. კ.-სთან და თ. ფ.-სთან ერთად, თავი აარიდა კ.-ს გადასახადების, კერძოდ, 68 582 ლარის ოდენობის გადასახადის გადახდას. გ. კ.-ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, მასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოდ მიიჩნევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ.-ს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით დირექტორმა გ. კ.-მ დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კ.-ს წინაშე, რაც იწვევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართალში „კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის“ ან, სხვაგვარად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება. კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის (გამჭოლი პასუხისმგებლობის) საფუძვლებია: (1) პარტნიორის მხრიდან მოტყუება, შეცდომაში შეყვანა ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; (2) კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ხელში „ინსტრუმენტს”, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“; (3) „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“ – როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნესსაქმიანობა წარმოშობს; (4) „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“ – როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა ან/და ჩატარება; როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული; როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა; როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით ან, როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; (5) გადასახადებისაგან თავის არიდება – როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. პარტნიორის პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია. პარტნიორის პასუხისმგებლობა გულისხმობს როგორც ძირითადი თანხის, ისე ჯარიმის/საურავის გადახდის ვალდებულებას.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- საწარმო, როგორც ალტერ ეგო.
- არაადეკვატური კაპიტალიზაცია.
- კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა.

- სუბსიდიური პასუხისმგებლობა.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).
- გადასახადისათვის თავის არიდება.
- გადასახადის გადამხდელის ვალდებულება.
- საგადასახადო სანქცია.
- საურავის გადახდის დაკისრება.
- საურავი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 272.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 270.
- სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 218.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კ.-ს კრედიტორების წინაშე კ.-ს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართლში „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის“ ან სხვაგვარად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კ.-ს, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კ.-ს პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კ.-ს სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კ. გადახდისუუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პატნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოიწვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით, სამოსამართლო სამართალი განევრცო აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კ.-ა წარმოადგენს პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კ.-ს „არაადექვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კ.-იების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კ.-ს კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კ.-ს საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კ.-ს ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არანებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კ.-ს ქონების აღრევა, როცა კ.-ს სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კ.-ს ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კ.-ს პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კ. გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“ [საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად იხ.,Fastrich in Baumbach/Hueck GmbHG Kommentar, 20.Aufl., §13,Rn.45; Wiedmann ZGR 2003,283,288; BGH GmbHR 1986, S.78; BGH GmbHR 1994, S.390; BGH GmbHR 2006,S.426; BGH GmbHR 2007, S.927; Bayer/Lutter in Lutter/Hommelhoff GmbHG Komm.,18.Aufl. §13,Rn.19; BGH GmbHR 2008, S.805; Altmeppen ZIP 2008, S.1205f; Heeg/Manthey GmbHR 2008, S.800f; Altmeppen in Roth/Altmeppen GmbHG Komm. 7.Aufl., §13,Rn.149; Altmeppen, Abschied von Durchgriff in „Kapitalgesellschaft“ NJW 2007, s.2657; BGH GmbHR 2007, S.927; Liebischer in MüKo zum GmbHG Anh. §13,Rn.593].

როგორც უკვე აღნიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კ.-ს პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. კ. და თ. ფ. წარმოადგენდნენ საზოგადოების პარტნიორებს. სასამართლომ მ. კ.-სა და თ. ფ.-ს მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განაჩენის საფუძველზე დაადგინა, რომ მ. კ.-მ და თ. ფ.-მ განზრახ თავი აარიდეს გადასახადებს, კერძოდ მ. კ.-მ თავი აარიდა 68 582 ლარის ოდენობის გადასახადის გადახდას, ხოლო თ. ფ.-მ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 2007-2008 წლების, ანუ 60 814 ლარის გადასახადისაგან თავი არიდებაში.

სასამართლოს განაჩენით კი, დადასტურებულია, რომ მ. კ. ახორციელებდა შპს „თ. და კ.-ს“ ფაქტობრივ ხელმძღვანელობას და წყვეტდა საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ქირაობდა თანამშრომლებს, უხდიდა მათ ხელფასს, ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას, შემოჰქონდა საქონელი, ადგენდა საქონლის სარეალიზაციო ფასს, ატარებდა ყოველთვიურ აღწერებს. ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაცია მოუწესრიგებელი იყო, მოუწესრიგებელი იყო ხელფასების გაცემა. არ ხდებოდა სახელფასო უწყისების წარმოება, თანამშრომლებს ხელფასები ძირითადად ხელზე ეძლეოდათ მ. კ.-ს მხრი-

დან და ეს ძირითადად ხდებოდა ნავაჭრი თანხიდან. საგადასახადო შემოწმებისას გამოვლენილ იქნა ე. წ. შავი ჩანაწერები. შემოწმებით გაირკვა, რომ საზოგადოება კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით არ ახორციელებდა ბუღალტრულ აღრიცხვას და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას. შემოწმებით დადგინდა, რომ საზოგადოებას დამალული ჰქონდა ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები (იხ. ს.ფ. 24-40).

ზემოაღნიშნულდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მ. კ.-სთან დაკავშირებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. კ.-ს ქმედებები წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და შემოსავლების სამსახურის წინაშე მისი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მ. კ.-ს პასუხისმგებლობა კ.-ს ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ პარტნიორი პასუხს აგებს მხოლოდ კ.-ს ძირითადი საგადასახადო დავალიანების მოცულობით და მასში არ შედის გადასახადებზე დარიცხული ჯარიმა-საურავები. საკასაციო პალატა მიუთითებს ამავე გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობაზე, რომელიც შეეხება ძირითადი საგადასახადო დავალიანების გადაუხდელობის გამო, კ.-ს დირექტორისათვის საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად საურავის დაკისრების მართლზომიერებას და სრულად იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას პარტნიორისათვის საურავის გადახდის დაკისრების ნაწილში.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გამჭოლ პასუხისმგებლობასთან მიმართებით კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს არ გააჩნია პრეიუდიციული ძალა (ვინაიდან მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, არამედ – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი). ამ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის განაჩენი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- კანონიერ ძალაში შესული განაჩენის პრეიუდიციული ფაქტები.
- ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას (პრეიუდიცია).
- განაჩენი, როგორც მტკიცებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 106.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309[17].

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[17] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში მითითებული ფაქტები დადასტურებულია, რასაც არ იზიარებს საკასაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ საქმეში კ.-ს პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. შესაბამისად, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ამ საქმესთან მიმართებაში სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თ. ფ.-ს მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე, რომ იგი საწარმოს საქმიანობაში არ მონაწილეობდა და ხელი არ მიუწვდებოდა ფინანსურ და საგადასახადო დოკუმენტაციაზე, რომ კ.-ს დირექტორს წარმოადგენდა გ. კ., ხოლო პარტნიორს მ. კ.-ს ეკავა დომინანტური მდგომარეობა. ისინი საწარმოს მართვის საკითხებში თ. ფ.-ს არ ახედებდნენ. სწორედ ამ მიზეზით მიმართა თ. ფ.-მ საგამოძიებო ორგანოებს და მოითხოვა საგადასახადო შემოწმება, რის შედეგადაც გამოვლინდა დამალული გადასახადები. ამრიგად, სადავო დავალიანება მისი ბრალეული ქმედების შედეგად არ წარმოშობილა. იგი თავად დაზარალდა სხვისი დანაშაულის გამო, რადგან მოუწია საწარმოს ვალების დაფარვა და უკანონოდ დაედო მსჯავრი. მას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-8, 56-ე და 57-ე მუხლების თანახმად არავითარი ვალდებულება არ ჰქონდა დაკისრებული და მხოლოდ ის ფაქტი, რომ კ.-ს დამფუძნებელი იყო, არ უნდა გახდეს მასზე თანხების დაკისრების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ თ. ფ.-ს მითითებას, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მისთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო საქმის განხილვის დროს წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ფ.-სთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები: თ. ფ. საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ახორციელებდა თუ არა ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავდა საწარმოს გადასახადებისაგან თავის არიდებას, კერძოდ, მონაწილეობდა თუ არა არასწორი საბუღალტრო დოკუმენტაციის მომზადებაში, ე. წ. შავი ჩანაწერების შედგენაში, თანამშრომლების ხელფასების კანონის დადგენილი წესის დარღვევით გაცემაში, სავაჭრო ოპერაციების არასწორად ასახვაში და ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარისწორების უკანონოდ წარმოებაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2/ბ-59-2015 (010210014539340) (08 მაისი, 2015 წელი)
მოსამართლეები: დიმიტრი გვრიტიშვილი (თავმჯდომარე), დურმიშხან ჟორჟოლიანი, თამარ სვანიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორისთვის საზოგადოების დოკუმენტაციის გადაცემა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (აქციონერი) მოითხოვდა სააქციო საზოგადოების საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის გადაცემას. აპელაციამ არ გაიზიარა საზოგადოების მხრიდან დოკუმენტაციის გადაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული შემდეგი არგუმენტები: (1) არსებობს გასაცემი დოკუმენტაციის მესამე პირისათვის გადაცემის საფრთხე, (2) დაუშვებელია აქციონერს ჰქონდეს წვდომა საბუღალტრო ხასიათის დოკუმენტაციაზე და რომ (3) არ არსებობს მოთხოვნილი დოკუმენტაცია. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სააქციო საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მოპოვების უფლებასთან დაკავშირებით მეწარმეთა შესახებ კანონის 3.10, 53.3[2] და 53.3[5] მუხლები ურთიერთშემზღუდველ დებულებებს არ შეიცავენ, პირიქით – ისინი ავსებენ ერთმანეთს და აკონკრეტებენ. ამასთან, დოკუმენტაციის გაცნობის უფლება მოიცავს ასევე ამ დოკუმენტაციის ასლების გადაცემის მოთხოვნის უფლებასაც.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- აქციონერის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტები 3[2].,3[5].

სრული განმარტების ციტირება:
3) ... კანონის სხვადასხვა ნორმებით განისაზღვრება აქციონერის, როგორც საწარმოს პარტნიორის, უფლება-მოვალეობები, მათ შორის – საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლება, რათა მან დაუბრკოლებლად განახორციელოს საწარმოს საქმიანობის კონტროლი, მიიღოს მონაწილეობა საწარმოს მართვაში, ასევე – საკუთარი წვლილი შეიტანოს საწარმოს საქმიანობის მაქსიმალურად მომგებიანად წარმართვაში, რათა ამ მოგებიდან თვითონაც მიიღოს საკუთარი წილის შესატყვისი დივიდენდი. ამდენად, აქციონერის ამ უფლების დაცვა აუცილებელია, რათა, ზოგადად, დაცული იქნეს აქციონერის საკუთრების უფლება სააქციო საზოგადოების შესაბამის წილზე.

4) მოცემულ შემთხვევაში, აუცილებელია სწორად გააანალიზდეს მითითებული კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის და 53-ე მუხლის შესაბამისი ნორმები; კერძოდ:
- ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება; გარდა ამისა, მას უფლება აქვს – შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე (მე-3 მუხლი);
- აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს (53-ე მუხლის მე-3[2] პუნქტი);

- ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ (53-ე მუხლის მე-3[5] პუნქტი).

5) სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმები, აქციონერის მიერ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მოპოვების უფლებასთან დაკავშირებით, ურთიერთშემზღუდველ დებულებებს არ შეიცავენ, პირიქით – ისინი ავსებენ ერთმანეთს და აკონკრეტებენ. ამასთან, დოკუმენტაციის გაცნობის უფლება მოიცავს ასევე ამ დოკუმენტაციის ასლების გადაცემის მოთხოვნის უფლებასაც (ამგვარი დასკვნები შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას ანალოგიური კატეგორიის საქმეებზე; იხ: საქმე №ას-327-308-2014, 21.07.2014წ; საქმე №ას-729-787-2011, 13.06.2011წ.).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.3[1] მუხლი არ შეეხება ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მოპოვების ზოგად უფლებას. ეს ნორმა არეგულირებს აქციონერის მიერ საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის განმარტებების მოთხოვნის წარდგენის წესს; მხოლოდ ამ განმარტებების ფორმატში ინფორმაციის წარდგენაზე უარის თქმა შეიძლება დასაბუთდეს საწარმოს არსებით ინტერესებზე მითითებით. ამდენად, ზოგადად, აქციონერის მიერ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დაუშვებელია იმაზე მითითებით, რომ ასეთი უარი საწარმოს არსებითი ინტერესებიდან გამომდინარეობს, ან – რომ ამ ინფორმაციის გაცემა საფრთხეს შეუქმნის საწარმოს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია შეიძლება წარედგინოს მესამე პირებს.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტები 3[1].,3[2].,3[5].

სრული განმარტების ციტირება:
6) საქალაქო სასამართლოს მიერ მითითებული ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3[1] პუნქტი – არ შეეხება მოცემულ საქმეში სადავო საკითხს: ეს ნორმა არეგულირებს აქციონერის მიერ საერთო კრების დღის წესრიგის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის განმარტებების მოთხოვნის წარდგენის წესს; მხოლოდ ამ განმარტებების ფორმატში ინფორმაციის წარდგენაზე უარის თქმა შეიძლება დასაბუთდეს საწარმოს არსებით ინტერესებზე მითითებით. ამდენად, ზოგადად, აქციონერის მიერ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დაუშვებელია იმაზე მითითებით, რომ ასეთი უარი საწარმოს არსებითი ინტერესებიდან გამომდინარეობს, ან – რომ ამ ინფორმაციის გაცემა საფრთხეს შეუქმნის საწარმოს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია შეიძლება წარედგინოს მესამე პირებს.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერს აქვს შეუზღუდავი წვდომა საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციაზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციიდან გარკვეული ნაწილი საწარმოში შესაძლოა არ არსებობდეს, არ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. აღნიშნული გაირკვევა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტები 3[2].,3[5].

სრული განმარტების ციტირება:
7) ასევე დაუსაბუთებელია საქალაქო სასამართლოს დასკვნა აქციონერისათვის წმინდა საბუღალტრო ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ, რადგან ამგვარ დიფერენცირებას და შეზღუდვას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ანდაც სხვა ნორმატიული აქტი არ აწესებს.

8) რაც შეეხება სს „კ.-ს“ მითითებას იმის შესახებ, რომ ჯ. ვ.-ს მიერ მითითებული დოკუმენტაციიდან გარკვეული ნაწილი საწარმოში შესაძლოა არ არსებობდეს, სააპელაციო სასამართლო არ მიიჩნევს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად: წარმოდგენილი სარჩელი არ არის ვინდიკაციური, შესაბამისად – მისი დაკმაყოფილებისთვის არ არის აუცილებელი – დადგინდეს სადავო ნივთზე მოპასუხის მფლობელობის ფაქტი, ურომლისოდაც ვერ იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება ამ ნივთის გამოთხოვის თაობაზე. მოცემულ საქმეში, დავის საგანია საწარმოს პარტნიორის მიერ გარკვეული ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის მოპოვება საწარმოსაგან; როგორც ზემოთ განიმარტა, აქციონერს აქვს შეუზღუდავი წვდომა საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციაზე; ამდენად, თუ ამ დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი, რაიმე ობიექტური მიზეზის გამო, საწარმოს არ გააჩნია, ეს გაირკვევა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე და მოსარჩელეს ვერ გადაეცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-516-489-2014 (14 მაისი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა სააქციო საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანას (გენერალურ დირექტორად დარეგისტრირებას). სამეწარმეო რეესტრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს წესდება ითვალისწინებდა დირექტორთა საბჭოს არსებობას და საბჭოს წევრთა მონაცემები არ იყო რეგისტრირებული ამონაწერში. სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად დირექტორთა საბჭოს წევრთა რეგისტრაციის სავალდებულოობისა, აღნიშნულმა არ უნდა დააბრკოლოს მოსარჩელის გენერალურ დირექტორად დარეგისტრირება. კასაცია არ დაკმაყოფილდა (აპელაციის განჩინება დარჩა უცვლელი).

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები, მიუხედავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონისა, ექვემდებარებიან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას ისევე, როგორც საწარმოს გენერალური დირექტორი, რომელიც სარგებლობს როგორც ხელმძღვანელობითი, ისე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციის არარსებობა არ წარმოადგენს საწარმოს გენერალური დირექტორის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- დირექტორატი (ბორდი).
- გენერალური დირექტორი.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. პუნქტები 1.ე.,1.თ.,4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 1.,2.,3.

სრული განმარტების ციტირება:
კასატორის პრეტენზიას წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-9 მუხლების არასწორი განმარტება, კერძოდ, საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული მუხლების არასწორი განმარტების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ არ არსებობდა სამეწარმეო რეესტრში სს „კ.ფ.ს.ნ-ის“ დირექტორთა საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ვალდებულება და, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი საწარმოს გენერალურ დირექტორად ს. დ-ის რეგისტრაციის თაობაზე.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება ინფორმაცია საწარმოს მმართველობის ორგანოს (მოცემულ შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს) წევ-

რების შესახებ, თუმცა მიიჩნევს რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა საწარმოს გენერალური დირექტორის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს შემდეგ გარემოებათა გამო:

დირექტორთა საბჭოს წევრებს წესდებით დადგენილი აქვთ მხოლოდ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, რაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად არ მოიცავს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.

წესდებით ნათლად არის დადგენილი, რომ მესამე პირებთან საზოგადოების წარმოდგენის უფლებამოსილება ენიჭება დირექტორთა საბჭოს მხოლოდ ერთ წევრს – გენერალურ დირექტორს (იხ. წესდების 6.7 პუნქტი, ტ. 1, ს.ფ. 180).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ დირექტორთა საბჭოს წევრები, როგორც საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები, მიუხედავად წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონისა, ექემდებარებიან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას, ისევე როგორც, საწარმოს გენერალური დირექტორი, რომელიც სარგებლობს როგორც ხელმძღვანელობითი, ისე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ როგორც გენერალური დირექტორის, ისე დირექტორთა საბჭოს სხვა წევრების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის აუცილებელია სარეგისტრაციო დოკუმენტაციით დასტურდებოდეს საწარმოს ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ აღნიშნულ პირთა თანხმობა.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციის წესდების თანახმად, საწარმოს გენერალურ დირექტორს გააჩნია დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრებისაგან განსხვავებული სტატუსი და უფლებამოსილებანი (კერძოდ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება), საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ გენერალური დირექტორის ცვლილების რეგისტრაციისათვის აუცილებელია დირექტორთა საბჭოს სხვა წევრების თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრების ცვლილების რეგისტრაცია კორპორაციის მხრიდან არ არის მოთხოვნილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც მოსარჩელის წარმომადგენელმა საჯარო რეესტრის ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით 2013 წლის 18 აპრილს წარუდგინა ახლად დანიშნული გენერალური დირექტორის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა, ხოლო 2013 წლის 24 აპრილის დამატებითი განცხადებით მიუთითა კორპორაციის სურვილზე, მომხდარიყო მხოლოდ გენერალური დირექტორის ცვლილების რეგისტრაცია, დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრების მხრიდან თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა არ ქმნიდა საწარმოს გენერალური დირექტორის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან კორპორაციის გენერალური დირექტორის რეგისტრაციის მოთხოვნის ნაწილში სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტას ჰქონდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – წესდებით მიკუთვნებულ საკითხებზე საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლება, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განიმარტება, როგორც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:

მოცემულ შემთხვევაში, სს „კ.ფ.ს.ნ-ის“ წესდების თანახმად, სააქციო საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომლის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები დადგენილია წესდების მე-5 მუხლით. ამავე დროს, წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოებას ჰყავს დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების კონტროლსა და მართვაზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების თანახმად, არ ხვდება საერთო კრების უფლებამოსილებათა სფეროში. დირექტორთა საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება წესდების მე-6 მუხლით დადგენილი წესით. იმავე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრულია დირექტორთა საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები, რაც გულისხმობს საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას (იხ. ტ. 1, ს.ფ.177-182). აღნიშნული კი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განიმარტება, როგორც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/496-15 (330210014556822) (20 მაისი, 2015 წელი)
მოსამართლე: ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა ინფორმაციას და დივიდენდს საწარმოდან ამ საწარმოში საკუთარი წილის გასხვისებიდან ახალი მესაკუთრის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციამდე პერიოდისათვის. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა მხარეთა შორის ინფორმაციის და დივიდენდის მოთხოვნის უფლების შენარჩუნებაზე სპეციალური შეთანხმების/დათქმის არარსებობის საფუძვლით.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დივიდენდის მიღების უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო დივიდენდის მოთხოვნის უფლება – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. ... სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დივიდენდის სამართლებრივი ბუნების გარკვევა. პალატა განმარტავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. (აღნიშნული განმარტება სრულად შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, იხ. სუსგ საქმე №ას-1328-1170-2010).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოში საკუთარ წილის განკარგვის შემდეგ, იმ შემთხვევაშიც, თუ ახალი მფლობელის უფლება ჯერ არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, ყოფილი პარტნიორი კარგავს დივიდენდის ან/და ეკონომიკური აქტივობის ამსახველი დოკუმენტების მოთხოვნის/მიღების უფლებას. წილის გასხვისების შემდეგ დივიდენდის ან/და ეკონომიკური აქტივობის ამსახველი დოკუმენტების მოთხოვნის უფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელია მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმება (ან დათქმა) ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლების დათმობა.
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.
- დივიდენდი.
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1]. პუნქტები 2.,5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 198. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. ... დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნასთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან, იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიამ გაასხვისა მისი 100%-იანი წილი 2011 წლის 31 აგვისტოს, მოცემული მომენტიდან მან დაკარგა დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება, ხოლო ყოფილი პარტნიორი – ქ. თბილისის მერია შეინარჩუნებდა თუ არა დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, პალატის მოსაზრებით, აღნიშნული საჭიროებდა მხარეთა შორის სპეციალურ შეთანხმებას (ან დათქმას) ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ 2012 წლის 3 თებერვლამდე (წილის საკუთრების რეგისტრაციამდე) პარტნიორთა გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე მიღებული არ ყოფილა.

რაც შეეხება, ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 2 ივლისის №17.07.636 და 2012 წლის 23 ოქტომბრის №28.16.1029 დადგენილებებს, რაზედაც აპელანტი ამყარებს სააპელაციო საჩივარს, პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან, ახალი მესაკუთრის – შპს „მ.-ს“ საკუთრების უფლება წილზე დარეგისტრირდა 2012 წლის 03 თებერვალს, ხოლო ქ. თბილისის მთავრობის №17.07.636 დადგენილება დივიდენდის განაწილების შესახებ მიღებულია 2012 წლის 2 ივლისს, (ანუ იმ დროს, როდესაც ქ. თბილისის მთავრობა აღარ სარგებლობდა პარტნიორის უფლებამოსილებით), ხსენებული დადგენილება ვერ იქნება განხილული უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად და შესაბამისად, ვერ გამოდგება სარჩელის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

მხარეთა შორის რაიმე დათქმა დივიდენდის ან / და ეკონომიკური აქტივობის ამსახველი დოკუმენტების მოთხოვნის/მიღების თაობაზე არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/6340-14 (330510015805174) (09 ივნისი, 2015 წელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე), ქეთევან კუჭავა, თამარ ალანია

საკვანძო საკითხი:
ინტერესთა კონფლიქტი.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) მოითხოვდა მოპასუხისათვის (დირექტორი) ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. დადგინდა, რომ დირექტორმა იმავე საქმიანობის პროფილის სხვა საწარმო დააფუძნა, გამოიყენა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ჩაანაცვლა მოსარჩელე იჯარის ხელშეკრულებაში, ასევე ახალდაფუძნებულ საწარმოში გადაიყვანა მოსარჩელის თანამშრომლები. სასამართლომ დაადგინა ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევა, თუმცა მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, თუ კონკრეტულად რა ოდენობით მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის მხრიდან მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერად (საწარმოს და პარტნიორების საზიანოდ) გამოყენების აღკვეთის მიზნით, კანონი ადგენს ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვის წესს. დირექტორებს არ აქვთ უფლება ჰქონდეთ საკუთარი ინტერესები, რომლებიც საწარმოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორებს უფლება არა აქვთ ემსახურონ საკუთარ, ახლობელთა ან სხვა საწარმოთა ინტერესებს, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება იმ საქმიანი შესაძლებლობების გამოყენებისას, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოების ინტერესებს და ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციის დარღვევით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს. ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, არამედ მიუღებელი შემოსავალი (ანაცდენი სარგებელი). ზიანის ფაქტის უტყუარად დადასტურების მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ერთგულების მოვალეობა.
- ინტერესთა კონფლიქტი.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 411.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.9. ... დირექტორი არის საწარმოს ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობას (საწარმოს სახელით იღებს გადაწყვეტილებებს) და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო. აღნიშნული ფართო უფლებამოსილების დაბალანსების მიზნით კანონი ადგენს:

1. დირექტორის მიერ უფლებამოსილების კეთილსინდისიერად განხორციელების სტანდარტს და
2. დირექტორის მიერ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მთელი ქონებით უშუალოდ პასუხისმგებლობას.

დირექტორის მხრიდან მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერად (საწარმოს და პარტნიორების საზიანოდ) გამოყენების აღკვეთის მიზნით კანონი ადგენს ინტერესთა კონფლიქტის რეგულაციის სპეციალურ წესს. კერძოდ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.5 მუხლით, ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი).

ამდენად, კანონი ადგენს აკრძალვის ორ დამოუკიდებელ საფუძველს (პარტნიორების თანხმობის გარეშე იგივე საქმიანობის განხორციელება, რომელსაც ეწევა საზოგადოება ან მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორად ან დირექტორად მონაწილეობა). შესაბამისად, ერთ-ერთის არსებობა საკმარისია შეფასდეს ინტერესთა კონფლიქტად. აღნიშნულის გამომრიცხავი გარემოებაა ის შემთხვევა, როცა წესდება სხვაგვარად არეგულირებს ამ საკითხს. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება და არც მხარეები უთითებენ აღნიშნული საკითხის წესდებით სხვაგვარად რეგლამენტაციას.

დადგენილია, რომ მოპასუხე თ. ტ. იყო შპს „კ.-ს" დირექტორი და შპს „კ." ახორციელებდა კვების ობიექტის ფუნქციონირებას სს „ს. ბ.-ს" ოფისში ქ.თბილისში, გ.-ს №XX-ში. 24.01.2012წ. თ. ტ.-მ გ. ე.-სთან ერთად დააფუძნა შპს „C. G.", რომელსაც უნდა განეხორციელებინა იგივე საქმიანობა, რაც შპს „კ.-ს" და აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „კ.-ს" პარტნიორთა კრებას თანხმობა არ გაუცია. ამდენად, მოცემულ შემთხვევასი სახეზეა ისეთი დარღვევა, როგორიცაა პარტნიორების თანხმობის გარეშე იგივე საქმიანობის განხორციელება, რომელსაც ეწევა საზოგადოება.

ამასთან, როგორც მოწმედ დაკითხული სს „ს. ბ.-ს" წარმომადგენლის ჩვენებიდან ირკვევა, უშუალოდ თ. ტ.-ს ინიციატივით მოხდა სს „ს. ბ.-ს" და შპს „კ.-ს" შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა და მის ნაცვლად შპს „C. G."-თან იჯარის ხელშეკრულების დადება კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. მოწმედ დაკითხული შპს „კ.-ს" ბუღალტრის ჩვენებით დგინდება, რომ შპს „კ.-ს" ოთხი თანამშრომელი, რომელთა სწავლებისათვის თ. ტ.-მ გაიღო შპს „კ.-ს" თანხები, შემდეგ გადაყვანილი იქნა შპს „C. G."-ში იმავე საქმიანობის განსახორციელებლად. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა საფუძველზე პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ შპს „კ.-ს" დირექტორის თ. ტ.-ს მიერ დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის წესები.

მოცემულ შეთხვევაში მოსარჩელეა შპს „კ.-ს" პარტნიორი სს „მ. დ.-ს" სარჩელის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება.

ამავე კანონის 9.6. მუხლის თანახმად, დირექტორებს პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. ამდენად, დირექტორებს საწარმოს ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის განხორციელებისას არა აქვთ უფლება ჰქონდეთ საკუთარი ინტერესები, რომლებიც საწარმოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. დირექტორებს გადაწყვეტილების მიღებისას უფლება არა აქვთ ემსახურონ საკუთარ, ახლობელთა ან სხვა საწარმოთა ინტერესებს, რომლებიც საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება იმ საქმიანი შესაძლებლობების გამოყენებისას, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოების ინტერესებს და ამ რეგულაციის დარღვევით მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ტ.-ს მიერ დარღვეულ იქნა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9.6. მუხლის მოთხოვნები და შპს „კ."-ს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მოპასუხისათვის ცნობილი იყო თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, გამოყენებული იქნა 24.01.2012წ. იმავე საქმიანობის მიზნით მის მიერ დაფუძნებული შპს „C. G.-ის" ინტერესებში. თ. ტ.-ს ინიციატივით შეიცვალა მოიჯარე სს „ს. ბ.-თან" დადებულ იჯარის ხელშეკრულებაში.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ისეთი გარემოების უტყუარად დადასტურება, როგორიცაა – ზიანი (მოცემულ შემთხვევაში მიუღებელი შემოსავალი).

კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა.

ზიანი მოსარჩელის მიერ დადასტურებელი ვერ იქნა. შესაბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1233-15 (120210114540383) (29 ივნისი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
ძირითადი საწარმოს და ფილიალის თანამონაწილეობა.

განჩინების რეზიუმე:
კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა განჩინება ფილიალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა სავალდებულო თანამონაწილეობას და სასამართლო ვალდებული იყო ძირითადი საწარმო ჩაერთო საქმეში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ძირითადი საწარმო წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და, შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის (დელეგირების) შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ფილიალი.
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.
- კერძო სამართლის სუბიექტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.,5.

სრული განმარტების ციტირება:
ფილიალი განცალკავებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის განხორციელებას და მის ტერიტორიულ გაფართოვებას. საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს და ახორციელებს მათ დაცვას. საწარმოს ფილიალი ძირითადი საწარმოსაგან ტერიტორიულად დაშორებულია, მას გააჩნია ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, იგი სამართლებრივად დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე.

ამდენად, მაშინაც როდესაც საწარმოს ფილიალი დამოუკიდებელ მხარედ გამოდის სამართალურთიერთობაში, აღნიშნული დამოუკიდებლობა განპირობებულია ძირითადი საწარმოს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებით, შესაბამისად, ასეთ სამართალურთიერთობის დროსაც კი ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლო სამართალწარმოებაში, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისო საპროცესოსამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. ამდენად, ძირითადი საწარმო წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როდესაც სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ ემსახურება სამეწარმეო სამართლებრივ კონტექსტში მის ცალკე სამეწარმეო სუბიექტად განხილვის მიზანს. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია ემსახურება ისეთი მიზნებს, როგორიცაა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების რეჟიმში მოქცევა, გადასახადების გადახდა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ა. შ., მაგრამ არამცდაარამც ფილიალის სამართალსუბიექტად ქცევას. განსხვავებული მიდგომა, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართლის ძირითად პრინციპებს, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც ძირითად საწარმოსა და ფილიალს შორის ურთიერთობის ფარგლებში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ნიშანდობლივია ყურადღების გამახვილება საწარმოს ფილიალის მიმართ დამდგარ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სირთულეებზე. ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ძირითადი საწარმოს საპროცესო უფლება, მონაწილეობა მიიღოს მისი საქმიანობის განმახორციელებელი ტერიტორიული განაყოფის თაობაზე გამართულ სასამართლო სამართალწარმოებაში.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ფილიალის მონაწილეობა პროცესში ძირითადი საწარმოსაგან დამოუკიდებლად არ ხდება, თუმცა, რიგ შემთხვევაში, მისი მონაწილეობა ძირითად საწარმოსთან ერთად თანამონაწილის საპროცესო-სამართლებრივი სტატუსით შეიძლება აუცილებელიც კი იყოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფილიალი ხელშეკრულების მხარეა, მას თავისი ანგარიში აქვს, მის სახელზე ქონება ირიცხება, მისი ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებადაა გამოყენებული და ა. შ., ანუ, როდესაც ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მის მიმართ გადაწყვეტილება აღსრულებადია. ასეთ ვითარებაში, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა, რა დროსაც სასამართლო ამგვარი სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ თავადაა ვალდებული საქმეში სავალდებულო თანამონაწილედ ძირითადი საწარმო ჩართოს.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ფილიალი.
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.
- საპროცესო თანამონაწილეობა.
- სავალდებულო თანამონაწილეობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 85.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 86.

სრული განმარტების ციტირება:
ფილიალის მონაწილეობა პროცესში, ძირითადი საწარმოსაგან დამოუკიდებლად არ ხდება, თუმცა, რიგ შემთხვევაში, მისი მონაწილეობა ძირითად საწარმოსთან ერთად თანამონაწილის საპროცესო-სამართლებრივი სტატუსით შეიძლება აუცილებელიც კი იყოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფილიალი ხელშეკრულების მხარეა, მას თავისი ანგარიში აქვს, მის სახელზე ქონება ირიცხება, მისი ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებადაა გამოყენებული და ა. შ.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს სს „ე. მ.“-ს საქართველოს ფილიალი წარმოადგენს. საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 10 თებერვალს მომზადებული №711910 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც სს „ე. მ.“-ს სამართლებრივ ფორმად მითითებულია – უცხოური საწარმოს ფილიალი (ტ. 1, ს.ფ. 29-30).

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ 2014 წლის 3 მაისს გაფორმებულ სპეციალური ტექნიკის იჯარის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც, სამართალურთიერთობის სუბიექტებს მოსარჩელე შპს „ა.“ და მოპასუხე სს „ე. მ.“-ს საქართველოს ფილიალი წარმოადგენენ (ტ.1, ს.ფ. 19-24). ეს უკანასკნელი კი, საქართველოში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით არის რეგისტრირებული (ტ.1, ს.ფ. 29-30).

პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, უცხოური საწარმოს ფილიალი ხელშეკრულების მხარეა და სარჩელი წარმოებაში უკვე მიღებულია, ამავდროულად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც გამოყენებულია, სარჩელის განუხილველად დატოვება, შედეგობრივი თვალსაზრისით, არამიზანშეწონილია. მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება.

თუმცა, სარჩელის უცხოური საწარმოს ფილიალის მიმართ აღძვრის შემთხვევაში ზემოგანვითარებული მსჯელობის თანახმად, საქმეში ძირითადი საწარმოს ჩაბმა სავალდებულოა. ასეთ ვითარებაში კი საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა, რა დროსაც სასამართლო, ამგვარი სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, თავადაა ვალდებული საქმეში სავალდებულო თანამონაწილედ ძირითადი საწარმო ჩართოს.

ამდენად, პალატა განმარტავს, რომ როდესაც მოპასუხედ დასახელებული სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელსაც საქართველოში თავისი ანგარიში გააჩნია, მის სახელზე ქონება ირიცხება და ა. შ. ანუ, როდესაც ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მის მიმართ გადაწყვეტილება აღსრულებადია, ასეთ ვითარებაში იგი ძირითად საწარმოსთან ერთად პროცესში მხარედ უნდა მონაწილეობდეს, რათა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღსრულდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-877-839-2014 (02 ივლისი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) მოითხოვს კომპანიის კუთვნილი თანხების მითვისების გამო, რამაც საწარმოს ზედმეტი გადასახადებით დაჯარიმება გამოიწვია, მოპასუხისთვის (დირექტორი) ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. დადგინდა, რომ ჯარიმა გადაიხადა საწარმოს პარტნიორმა, რომელსაც რეგრესის წესით არ მოუთხოვია საწარმოსგან დავალიანების ანაზღაურება. სასამართლოს შეფასებით, საზოგადოებას არ განუცდია ფაქტობრივი ფინანსური დანაკლისი, რაც გამორიცხავს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მოპასუხისათვის დაკისრებას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნეს.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მატერიალური ზიანი ის რეალური, ფაქტობრივი დანაკლისი თუ ფასეულობის მქონე სიკეთის ბრალეული ხელყოფაა, რომლის არსებობაც დადასტურებას მოითხოვს. დაზარალდა თუ არა პირი, სამართლის საკითხია, რაც, უდავოდ, სასამართლოს შეფასებას ექვემდებარება, თუმცა მხარე ვალდებულია, მიუთითოს ამ გარემოების დამადასტურებელ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე. ზიანის, ანუ ფაქტობრივი დანაკლისის, არსებობის დადასტურება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის აბსტრაქტული შემადგენლობის ერთ-ერთი ნაწილია, რომლის გარეშეც მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება მოპასუხის პასუხისმგებლობას ვერ გამოიწვევს. მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურებისას დირექტორს ევალება ამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ზიანის დადგომაში.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- დელიქტი.
- კუმულაციური პირობები.
- მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
- შეჯიბრებითობის პრინციპი.
- მოსამართლემ იცის სამართალი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309[17]. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309[20]. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრულია საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საქმიანობის ზოგადი წესი და დადგენილია ვალ-

დებულების კეთილსინდისიერად შესრულების აუცილებლობა, ამასთანავე, კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან გამომდინარე, საზოგადოების საქმიანობის სათანადოდ გაძღოლის დადასტურების ტვირთი სწორედ დირექტორს ეკისრება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ დირექტორის მტკიცების დასაბუთებულობაზეა დამოკიდებული მის წინააღმდეგ საზოგადოების მიერ აღძრული სარჩელის ბედი. დელიქტური პასუხისმგებლობის თაობაზე სარჩელის საფუძვლიანობას განაპირობებს მოსარჩელის მიერ იმგვარი ფაქტების მითითება, რაც სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შემადგენლობას ქმნის. მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურებისას, დირექტორს ევალება, ამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიღებაში.

1.7. უნდა განიმარტოს, რომ მატერიალური ზიანი ის რეალური, ფაქტობრივი დანაკლისი თუ ფასეულობის მქონე სიკეთის ბრალეული ხელყოფაა, რომლის არსებობაც დადასტურებას მოითხოვს, ზიანის, ანუ ფაქტობრივი დანაკლისის არსებობის დადასტურება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომლის არარსებობის გარეშეც, მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება მოპასუხის პასუხისმგებლობას ვერ გამოიწვევს.

1.8. საგულისხმოა თავად დანაშაულით მიყენებული ზიანის ფაქტის მტკიცებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309[17] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სტანდარტი. კანონმდებელმა დაადგინა, რომ უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის შედეგადაც სასამართლო ზიანის მიყენების ფაქტს დადგენილად მიიჩნევს (სსკ-ის 309[20] მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მხარე სადავოდ არ ხდის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმადაც საზოგადოებას ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი არ მიუღია, საგადასახადო ვალდებულება შესრულებულია საზოგადოების პარტნიორის მიერ, ხოლო მისი მხრიდან რეგრესული მოთხოვნა დადასტურებული არ არის. ამდენად, კასატორის მტკიცება, რომ ქონებრივი დანაკლისის არარსებობის პირობებში მხოლოდ მართლწინააღმდეგობრივი ქმედების ჩადენა დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკმარისი საფუძველია, ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მოთხოვნებს.

1.9. ... პალატა სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს მხარის მტკიცებას შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ, საქმის განხილვისას, სასამართლოს უპირველესი მოვალეობაა სარჩელის საფუძვლიანობის განსაზღვრა. აღნიშნული საკითხის დადგენა შესაძლებელია იმგვარად, რომ სასამართლო ამოწმებს, სარჩელში მითითებული ფაქტები იძლევა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლის ნორმის აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის აღწერილობით ნაწილში მოცემულ პირობათაგან თუნდაც ერთზე მიუთითებლობის შემთხვევაში, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა. გასათვალისწინებელია, რომ თავად ის გარემოება, მიადგა თუ არა პირს ზიანი, სამართლის საკითხს წარმოადგენს, რაც უდავოდ სასამართლოს შეფასებას ექვემდებარება, მხარე ვალდებულია, მიუთითოს ამ გარემოების დამადასტურებელ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომელთა არასრული მითითება, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-533-506-2015 (330210014532990) (10 სექტემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმოს დირექტორი) მოითხოვდა თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას, მიუღებელი ხელფასის, იძულებითი განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა კომპენსაციის და გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების შესახებ. კასაციამ გაიზიარა აპელაციის შეფასება და საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა კასატორის მოსაზრება სასამართლო ხარჯების თაობაზე, თუმცა, საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარე, აპელაციის გადაწყვეტილება სრულიად უცვლელი დარჩა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნები არაქონებრივია და ამ ნაწილში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში შეადგენს 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, შესაბამისად, – 150 და 300 ლარს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- სამსახურში აღდგენა.
- იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.
- გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურება.
- არაქონებრივი დავა.
- სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრა.
- სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან განთავისუფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].ა.,7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 39. ქვენაწილი 1.თ.
- სახელმწიფო ბაჟის შესახებ, მუხლი 5. ქვეპუნქტი 1.ა.

სრული განმარტების ციტირება:
1.6.1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. დასახელებული ნორმის შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში (მიუღებელი ხელფასი, იძულებითი განაცდური და

გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია) მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, რაც შეეხება მის მოთხოვნებს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში შეადგენს 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, შესაბამისად 150 და 300 ლარს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-747-707-2015 (28 სექტემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.

განჩინების რეზიუმე:
უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. არც სპეციალური შეთანხმების (დათქმის) და არც პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების არსებობის პირობებში წილის გასხვისების შემდეგ დივიდენდის მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1104-1061-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნის ფაქტთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. დივიდენდის მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი უფლებაა და დამოკიდებულია სპეციალური შეთანხმების (დათქმის) არსებობაზე ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- დივიდენდის მოთხოვნა წილის დათმობის შემდეგ.
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- აქცესორული უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 198. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სადავოდ ხდის დივიდენდის მოთხოვნის უფლებას.

მოთხოვნის მართლზომიერების შემოწმებისათვის, საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნის ფაქტთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან, იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და

უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიამ გაასხვისა მისი 100%-იანი წილი 2011 წლის 31 აგვისტოს, აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ წილის გასხვისების მომენტიდან მან დაკარგა დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება, ხოლო საკითხი იმის შესახებ ყოფილი პარტნიორი – ქ. თბილისის მერია შეინარჩუნებდა თუ არა დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, დამოკიდებული იყო აღნიშნულის თაობაზე სპეციალური შეთანხმების (დათმის) არსებობაზე ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამგვარი შეთანხმება მხარეთა შორის არ გაფორმებულა. მხარეებს არც ის გარემოება გაუხდიათ სადავოდ, რომ 2012 წლის 03 თებერვლამდე (წილის საკუთრების რეგისტრაციამდე) პარტნიორთა გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე მიღებული არ ყოფილა. ეს ყოველივე უსაფუძვლოდ ხდის კასატორის პრეტენზიას როგორც ფაქტობრივი ისე, სამართლებრივი საფუძვლით.

საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემული ტიპის დავებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა (იხ., სუსგ 2015 წლის 08 აპრილი საქმე №ას-696-666-2014; სუსგ 2015 წლის 24 მარტის №ას-31-28-2015).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-245-230-2014 (23 ოქტომბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
მტკიცების ტვირთის განაწილება საზოგადოებისთვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავაში.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე საწარმო მოითხოვდა დირექტორისთვის საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. მოსარჩელის მითითებით, დირექტორმა საწარმოს კუთვნილი ფართი იჯარით გასცა 200 ლარად, თუმცა, რეალურად, მოიჯარე 2000 ლარს იხდიდა. საქმის წარმოების პროცესში მოპასუხე გარდაიცვალა. მის მიმართ პარალელურად მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. სამოქალაქო დავაში უფლებამონაცვლედ ჩაერთო გადაცვლილი დირექტორის მეუღლე. აპელაციამ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ზიანის დადგომის ფაქტი. კასაციამ გაიზიარა აპელაციის შეფასება. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1144-1076-2015, №2ბ/1277-16, №2ბ/1424-17

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების საქმეში მოსარჩელე საზოგადოებამ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობის ფაქტი. მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს და მასში დირექტორის ბრალეულობას, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის მისი ბრალეული ქმედების შედეგი.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.4. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ საქმეზე სარჩელით მოთხოვნილია დირექტორის არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ამ თვალსაზრისით მოსარჩელე მიუთითებს საწარმოს კუთვნილი ფართის იჯარით იმგვარად გაცემაზე, რომ საიჯარო ხელშეკრულებაში ქირის თანხა ფაქტობრივად შეთანხმებულ ოდენობაზე ნაკლები ოდენობითაა დაფიქსირებული და საწარმოს გადაეცემოდა მხოლოდ მატერიალური ღირებულება, რაც დირექტორსა და მესამე პირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაშია ასახული.

1.5. ამ მოცემულობის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 მუხლი (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით)

წარმოადგენს, რომლის თანახმადაც ამ კანონის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტში დასახელებულ პირებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს საზოგადოების მიმართ გააჩნიათ ფიდუციური მოვალეობები, ერთი მხრივ, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომაროების გამო. აღნიშნული გულისხმობს, ასევე, ინფორმაციას იმ სამეწარმეო (ბიზნეს) შესაძლებლობების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლია და რომლებიც ეკუთვნის კორპორაციას.

1.5.1. დასახელებული ნორმა არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი და პასუხს იძლევა კითხვაზე – მსგავს შემთხვევაში, თუ როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, თუმცა დავის არსებითად განხილვამდე, სავალდებულოა, ასევე შეფასდეს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი: მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, დამტკიცებულად მიჩნევის შემთხვევაში, პასუხობენ თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმის აბსტრაქტულ შემადგენლობას.

1.6. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ სარჩელში მითითებულია, როგორც საზოგადოების დირექტორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, ისე შედეგსა და მიზეზობრივ კავშირზე, რასაც მოპასუხემ არსებითი შესაგებელი დაუპირისპირა, კერძოდ, განმარტა, რომ მ.ლ-ის მიერ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტზე მსჯელობა არასწორია და ის არ შეიძლება დადასტურდეს ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. სწორედ ამ შედავებითაა განპირობებული სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების შემოწმების აუცილებლობა (ე. წ. მტკიცების სტადია).

1.7. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. საკასაციო სასამარლოს მითითების შესაბამისად, მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს დირექტორის მიერ ვალდებულების კანონშეუსაბამოდ შესრულება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მოსარჩელის ვალდებულებას, ადასტუროს მოთხოვნის მართებულობა. ამდენად, მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელე საზოგადოების ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომაროება არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

1.8. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მისთვის ზიანის მიყენების ფაქტს ამყარებდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ 26.03.2008წ. დადგენილებასა და ინდ.მეწარმე ე.გ-ასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებას. სწორედ ამ მტკიცებულებათა სწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა დადგენილიყო მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი (სააპელაციო სასამართლოს 14.01.2014წ. სხდომაზე, 16:00:24სთ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის დადასტურების მიზნით მას, გარდა ზემოაღნიშნული მტკიცებულებებისა, სხვა მტკიცებულება არ წარუდგენია).

1.9. სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითების შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით გამოიკვლია მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა თუ არა სარჩელის საფუძვლიანობას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში მითითებული გარემოებები სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. ამ გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, კერ-

ძოდ, არ მიუთითებია იმ მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევაზე, რაც გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ შეფასებათა უსწორობას სარწმუნოდ აქცევდა (შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი შინაარსის შედავებით). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ გარემოებას ზიანის მიყენების ფაქტის დაუმტკიცებლობის თაობაზე და ვერ დაეთანხმება კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე და 412-ე მუხლების დარღვევის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1537-15 (330210014610730) (29 ოქტომბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ტაბაღუა (თავმჯდომარე), თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.

განჩინების რეზიუმე:
პარტნიორთა კრებაზე მიღებული წესდების ახალი რედაქციით შეიცვალა პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი. მოქმედი რედაქციის მიხედვით, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო 80%-ზე მეტი წილის მესაკუთრე პარტნიორთა თანხმობა, ხოლო წესდების ახალი რედაქციის მიხედვით, გადაწყვეტილებები მიიღებოდა 51% წილის მესაკუთრე პარტნიორების მიერ. საჯარო რეესტრმა აღნიშნული ცვლილების რეგისტრაცია შეაჩერა და მოითხოვა 20% წილის მქონე პარტნიორის თანხმობა, რაც სასამართლომ კანონიერად მიიჩნია.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წესდების ახალი რედაქცია უშუალო გავლენას ახდენს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებაზე, თუ მისი ხმის უფლებას აღარ შეუძლია გავლენა იქონიოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- საწარმოს წესდების ცვლილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
კაპიტალის 80%-ის მფლობელ პარტნიორთა გადაწყვეტილებით მიღებული იქნა წესდების ახალი რედაქცია, რასაც არ დაეთანხმა კაპიტალის 20%-ის მფლობელი პარტნიორი დ. ძ..

სამეწარმეო სუბიექტის წესდება, თავისი არსით, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, რომელშიც მხარეები (პარტნიორები) სახელშეკრულებო თავისუფლების პირობებში თავად განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. შესაბამისად, წესდებაში ცვლილების შეტანაც პარტნიორთა პრეროგატივას წარმოადგენს.

დადგენილია, რომ წესდების ახალი რედაქციით შეიცვალა პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი. კერძოდ, წესდების მოქმედი რედაქციის 5.5 და 5.6 პუნქტების მიხედვით, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა 80%-ზე მეტი წილის მესაკუთრე პარტნიორთა თანხმობა, ხოლო წესდების ახალი რედაქციის 14.1 და 14.2 პუნქტების მიხედვით, კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება პარტნიორთა უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება 51% წილის მესაკუთრე პარტნიორების მიერ.

ამდენად, ცხადია, რომ წესდების ახალი რედაქცია უშუალო გავლენას ახდენს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებაზე და ასეთ შემთხვევაში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5[2] პუნქტიდან გამომდინარე, დაუშვებელია წესდებაში ცვლილების შეტანა პარტნიორის თანხმობის გარეშე.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება იმთავითვე წარმოადგენს წესდებაში ცვლილების შეტანას და მასზე კენჭისყრის იგივე წესები უნდა გავრცელდეს, რომლებიც, წესდების თანახმად, წესდებაში ცვლილებების შეტანისთვისაა გათვალისწინებული.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- საწარმოს წესდების ცვლილება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
შპს „ა.“-ს წესდების მოქმედი რედაქციის 12.8 მუხლის მიხედვით, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ პარტნიორების ერთსულოვანი, წერილობითი, ნოტარიაულად დამოწმებული გადაწყვეტილებით.

პალატას მიაჩნია, რომ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება იმთავითვე წარმოადგენს წესდებაში ცვლილების შეტანას, რომელსაც შპს „ა.“-ს წესდების მოქმედი რედაქციის 12.8 მუხლის მიხედვით სჭირდება ყველა პარტნიორის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში კი საზოგადოების პარტნიორი დ. ძ. არ ეთანხმება და ხელს არ აწერს მას. ასეთ ვითარებაში პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის მოქმედება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების და ხარვეზის დადგენის შესახებ კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2/ბ-740-15 (010210015721036) (29 ოქტომბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: სიმონ ჩხაიძე (თავმჯდომარე), ირმა პერანიძე, დურმიშხან ჟორჟოლიანი

საკვანძო საკითხი:
საწარმოს უნივერსალური უფლებამონაცვლეობა.

განჩინების რეზიუმე:
პირველი საწარმოს პარტნიორები მოითხოვდნენ მეორე საწარმოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. სასამართლომ განმარტა, რომ მეორე საწარმო შეიქმნა არა პირველი საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად, არამედ – ახალი რეგისტრაციის გზით. შესაბამისად, უფლებამონაცვლეობა არ დადგინდა. სასამართლომ დამატებით მიუთითა ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იურიდიული პირის უნივერსალური უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი რეორგანიზაციის, შერწყმის ან გაყოფის დროს. წესდებაში არსებული დათქმა უფლებამონაცვლეობის შესახებ დეკლარაციული ხასიათისაა და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს რეორგანიზაცია.
- საწარმოს უნივერსალური უფლებამონაცვლეობა.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 4[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[4]. პუნქტი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 92. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.6. პალატას მიაჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სავსებით სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტები და მართებულად მიუთითა, რომ შპს ბ. დ. უ. „მ. კ.“ შპს ბ. დ. უ. „მ. კ.-ს“ უფლებამონაცვლე არ ყოფილა.

4.7. პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის უნივერსალური უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა, მხოლოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი რეორგანიზაციის, შერწყმის ან გაყოფის დროს, რაც ამ შემთხვევაში, არ მომხდარა.

4.8. პალატის აზრით, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის წესდებაში არსებული დათქმა უფლებამონაცვლეობის შესახებ დეკლარაციული ხასიათისაა და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

4.9. უფლებამონაცველობას არ წარმოშობს არც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზიები იმ უძრავ ქონებაზე, რომელზედაც, სავარაუდო უფლებები 1992 წელს დაფუძნებულ საწარმოს ჰქონდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-471-450-2015 (30 ოქტომბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, პარტნიორის გარიცხვას და საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებას. მოსარჩელის მითითებით, საწარმოს ზიანის მიადგა დირექტორის დანაშაულებრივი ქმედების (საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების) შედეგად. აპელაციამ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა პირველ ინსტანციაში, რაც კასაციამ პროცესუალური ეკონომიის პრინციპის დარღვევად მიიჩნია. გაუქმდა აპელაციის განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის არაჯეროვანი ქმედების შესახებ სარჩელისას მოსარჩელის (საწარმოს) მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს ზიანის და ამ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს. რაც შეეხება მოპასუხეს, მისი მტკიცების საგანი ზიანის მიმართ საკუთარი კეთილსინდისიერებაა, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ მოქმედებდა გულისხმიერი მმართველის რწმენით. მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს მიზეზობრივი კავშირი მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. ... ზემოხსენებულმა პირებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავისი მოვალეობა.

1.7. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას მსგავსი კატეგორიის საქმეზე მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესის თაობაზე და აღნიშნავს, რომ დირექტორის არაჯეროვანი ქმედების შესახებ სარჩელისას მოსარჩელის (საწარმოს) მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს ზიანის და ამ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს, რაც შეეხება მოპასუხეს, მისი მტკიცების საგანი ზიანის მიმართ საკუთარი კეთილსინდისიერებაა, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ მოქმედებდა გულისხმიერი მმართველის რწმენით. მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს მიზეზობრივი კავშირი მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა. შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც უნდა შემოწმდეს არა დელიქტური ვალდებულების, არამედ სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- დავალების ხელშეკრულება.
- დელიქტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 6.,7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. ... საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 709-ე-723-ე მუხლებზეც და განმარტავს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემოწმდეს და არა დელიქტური ვალდებულების.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-819-770-2015 (04 ნოემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის უფლება პარტნიორთა კრების შესახებ ინფორმირებაზე.

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს 49% წილის მფლობელი პარტნიორი (მოსარჩელე) მოითხოვდა მისი მოწვევის გარეშე ჩატარებული პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად აღიარებას. დადგინდა პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ პარტნიორის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა. სარჩელი დაკმაყოფილდა. კასაცია დარჩა დაუშვებელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრებაზე პარტნიორის მოწვევის თაობაზე კანონით დადგენილი წესის დაუცველობა არღვევს პარტნიორის უფლებას პარტნიორთა კრების შესახებ ინფორმირებაზე და წარმოადგენს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად აღიარების საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.
- საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.
- პარტნიორის მოწვევა საერთო კრებაზე.
- კრების მოწვევის პროცედურული წესები.
- პარტნიორის უფლება პარტნიორთა კრების შესახებ ინფორმირებაზე.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 1.,2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
26. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზიის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნებისათვის, უნდა გაირკვეს შპს „ი.-ის“ 2014 წლის 15 თებერვლის პარტნიორთა კრება იყო თუ არა გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების მოწვევის პროცედურული წესების დაცულობის თვალსაზრისით.

სადავო საკითხის კვლევისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმებით, რომლითაც დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურული წესები.

პარტნიორთა კრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა. შესაბამისად, კანონი დეტალურად არეგულირებს მისი მოწვევის წესსა და ვადას.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ შპს „ი.-ის“ 15.02.2014წ.-ის დამფუძნებელ-პარტნიორთა კრებაზე 49%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი პ. ნ.-ე არ ყოფილა მოწვეული კანონით დადგენილი წესით, რის გამოც, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „ი.-ის“ მხრიდან დაირღვა პარტნიორთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ პარტნიორის უფლება (კრების მოწვევის პროცედურული წესები). პროცედურულმა დარღვევამ და პ. ნ.-ის გარეშე პარტნიორთა კრების ჩატარებამ, თავის მხრივ, განაპირობა პ. ნ.-ის

როგორც საზოგადოების პარტნიორის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, რაც გულისხმობს საწარმოს პარტნიორების მიერ მმართველობით უფლებამოსილებას განხორციელებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-522-495-2015 (09 ნოემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
მოგების (დივიდენდის) განაწილების უკანონო პირობა.

განჩინების რეზიუმე:
უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. გადაწყვეტილება აქციონერთა კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ ძალაში დარჩა. სასამართლოს შეფასებით, სადავო კრებამ მიიღო ბათილი გადაწყვეტილება, როდესაც დაადგინა საზოგადოების მოგების დივიდენდის სახით განაწილება, მაგრამ მოსარჩელესთან მიმართებით განაწილებული დივიდენდის გაცემისთვის დაადგინა წინაპირობა (თუ მოსარჩელე მოიგებდა საზოგადოების წინააღმდეგ სასამართლოში მიმდინარე დავებს).

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების მხრიდან განაწილებული მოგების დივიდენდის სახით გაცემის შესახებ პარტნიორის მოთხოვნაზე უარი დაუშვებელია.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
35. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ №ას-1063-1018-2014).

36. 2015 წლის 8 აპრილის №ას-1063-1018-2014 განჩინებაში საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „დივიდენდი წარმოადგენს იურიდიული პირის ფინანსური მოგების ნაწილს, რომელზე უფლებაც მოპოვებულია ამ იურიდიულ პირში წილის ფლობით (საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი) და ამდენად, მასზე „უფლება“ დაკავშირებულია პარტნიორის სტატუსთან. მოგების განაწილების შესაძლებლობა გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების მხრიდან პარტნიორის ამ მოთხოვნაზე უარი დაუშვებელია“.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3342-15 (330210115001002126) (24 ნოემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ხათუნა არევაძე, ვანო წიკლაური

საკვანძო საკითხი:
საწარმოს ფილიალი, როგორც არასათანადო მოპასუხე.

განჩინების რეზიუმე:
საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხის (საწარმოს ფილიალის) წინააღმდეგ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით. ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლო სამართალწარმოებაში, მაგრამ მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისო საპროცესო-სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როდესაც სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია. განსხვავებულია ვითარება, როდესაც უცხოური საწარმო აარსებს დამოუკიდებელ საწარმოს. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს სახელწოდებაში შეიძლება ფიგურირებდეს ფილიალი, მაგრამ საქმე გვაქვს დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტთან და მის მიმართ ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტთან გვაქვს საქმე ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს რედომიცილების შემთხვევაში.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ფილიალი.
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- რედომიცილება.
- წარმომადგენლობა.
- მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია.
- სამეწარმეო რეესტრი.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.
- კერძო სამართლის სუბიექტი.
- მხარეები სამოქალაქო პროცესში სამოქალაქო სამართლის პროცესი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[7]. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტები 1.,4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. პუნქტი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 79.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 93.

სრული განმარტების ციტირება:
ფილიალი განცალკავებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის განხორციელებას და მის ტერიტორიულ გაფართოვებას. საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით,

წარმოადგენს მის ინტერესებს და ახორციელებს მათ დაცვას. საწარმოს ფილიალი ძირითადი საწარმოსაგან ტერიტორიულად დაშორებულია, მას გააჩნია ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, იგი სამართლებრივად დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე.

ამდენად, მაშინაც როდესაც საწარმოს ფილიალი დამოუკიდებელ მხარედ გამოდის სამართალურთიერთობაში, აღნიშნული დამოუკიდებლობა განპირობებულია ძირითადი საწარმოს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებით, შესაბამისად, ასეთ სამართალურთიერთობის დროსაც კი ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლო სამართალწარმოებაში, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისო საპროცესოსამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. ამდენად, ძირითადი საწარმო წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როდესაც სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ ემსახურება სამეწარმეო სამართლებრივ კონტექსტში მის ცალკე სამეწარმეო სუბიექტად განხილვის მიზანს. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია ემსახურება ისეთ მიზნებს, როგორიცაა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების რეჟიმში მოქცევა, გადასახადების გადახდა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ა. შ., მაგრამ არამცდაარამც ფილიალის სამართალსუბიექტად ქცევას. განსხვავებული მიდგომა, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართლის ძირითად პრინციპებს, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც ძირითად საწარმოსა და ფილიალს შორის ურთიერთობის ფარგლებში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ნიშანდობლივია ყურადღების გამახვილება საწარმოს ფილიალის მიმართ დამდგარ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სირთულეებზე. ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ძირითადი საწარმოს საპროცესო უფლება, მონაწილეობა მიიღოს მისი საქმიანობის განმახორციელებელი ტერიტორიული განაყოფის თაობაზე გამართულ სასამართლო სამართალწარმოებაში. აღნიშნული უფლების შეზღუდვამ, შედეგობრივი თვალსაზრისით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს ისეთ გარემოებაზე, როდესაც უცხოური საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე მისი საქმიანობის განხორციელების მიზნით აარსებს დამოუკიდებელ საწარმოს ამათუიმ დამოუკიდებელ სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით, ასეთ ვითარებაში, საწარმოს სახელწოდებაში შეიძლება ფიგურირებდეს ფილიალი, თუმცა, სამართლებრივ ფორმაში მითითებული იყოს მაგალითად შპს, სს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფუნქციურად უცხოური საწარმოს ფილიალთან, თუმცა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საქართველოში დაარსებულ მეწარმე სუბიექტთან, რა დროსაც, იგი სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტად განიხილება და მის მიმართ, ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. იგივე უნდა ითქვას, უცხო ქვეყნის საწარმოებზე, რომელთა საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად მოხდა რეგისტრაციის გადმოტანა საქართველოში (რედომიცილება).

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორია შპს „ჩ. ნ.“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, მისი სამართლებრივი ფორმაა უცხოური საწარმოს ფილიალი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უცხოური საწარმოს ფილიალთან და არა – უცხოური საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის საქართველოში განსახორციელებლად დაფუძნებულ დამოუკიდებელ სუბიექტთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ გამოსარკვევია მოპასუხის სათანადოობის საკითხი და შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მართლზომიერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/189-15 (330217714485775) (01 დეკემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნატალია ნაზღაიძე, გოდერძი გიორგიშვილი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) მოპასუხისგან (დირექტორისგან) მოითხოვდა ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას. დადგინდა, რომ დირექტორმა დაარღვია ერთობლივი ხელმძღვანელობის ვალდებულება და საწარმოს ანგარიშიდან ერთპიროვნულად გაიტანა 280000 ლარი. დირექტორმა ვერ გააქარწყლა სადავო თანხის პირადი მიზნებისთვის გამოყენების პრეზუმფცია, ვერ დაადასტურა სადავო თანხის დაბრუნება, პარტნიორთა დავალებით ან/და გულმოდგინე ხელმძღვანელის გულისხმიერებით/კეთილსინდისიერებით მოქმედება. სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების ანგარიშიდან თანხის გატანის გამო დირექტორების შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობის (ფაქტობრივი ზიანის და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება) საკითხის განხილვისას დირექტორმა უნდა ამტკიცოს, რომ თანხა დააბრუნა ან/და გააქარწყლოს სადავო თანხის პირადი მიზნებისთვის გამოყენების პრეზუმფცია და დაადასტუროს, რომ მოქმედებდა პარტნიორთა დავალებით და აღნიშნული დავალების ფარგლებში (ბრალის გარეშე) ან/და გულმოდგინე ხელმძღვანელის გულისხმიერებით/კეთილსინდისიერებით, საზოგადოების მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე და გატანილი თანხა საზოგადოების ინტერესებს მოახმარა.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- დირექტორის მიერ სადავო თანხის პირადი მიზნებისთვის გამოყენების პრეზუმფცია.
- მიუღებელი შემოსავალი (ანაცდური მოგება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნებისათვის, კანონმდებლობა ადგენს დასაშვები მტკიცებულებების ნუსხას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმა წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგად, პროცესუალურ სტანდარტს და ადგენს ვალდებულ პირს, რომელმაც მტკიცების საგანში შემავალი ფაქტი სათანადო გარემოებებზე მითითებითა და დასაშვები მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს. სააპელაციო

პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ფ. ნ.-მ გატანილი თანხა პირადი მოხმარებისათვის გამოიყენა. პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრეზუმფციის გამაქარწყლებელ სათანადო მტკიცებულებად ვერ გამოდგება იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოპასუხემ სადავო თანხა იმ საზოგადოების (შპს „ფ. ჯ.-ს“) ანგარიშზე შეიტანა, სადაც შპს „S. G.“-ს ერთ-ერთ დირექტორს 40%-იანი წილი გააჩნდა. პალატა განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაედასტურებინა, რომ მოსარჩელის ანგარიშიდან თანხის გატანა საზოგადოების ინტერესებს შეესაბამებოდა. თუმცა, მოპასუხეს ამ კუთხით დასაბუთებული მტკიცება სასამართლოს ვერ შესთავაზა.

4.4. ... განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ფ. ნ.-ს მოქმედება შპს „S. G.“-ს საბანკო ანგარიშიდან 280 000 ლარის ერთპიროვნულად გატანის თაობაზე იმთავითვე მართლსაწინააღმდეგოა, ვინაიდან ეწინააღმდეგება შპს „S. G.“-ს პარტნიორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ფ. ნ.-ს ერთპიროვნულად საბანკო ოპერაციების განხორციელების, მათ შორის, კომპანიის ანგარიშიდან ფულადი თანხის გატანის უფლებამოსილება არ გააჩნდა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ქმედების მართლწინააღმდეგობა ზიანის ანაზღაურების დაკისრების უპირობო წინაპირობას არ წარმოადგენს, ვინაიდან საქმე ეხება მეწარმე სუბიექტის დირექტორს, რომლის, თუნდაც, უფლებამოსილების გადაჭარბებით განხორციელებული ქმედება, შეიძლება პარტნიორთა ნებას ან/და საზოგადოების ინტერესს შეესაბამებოდეს, რაც ამავე საზოგადოების პარტნიორების მოთხოვნას საზოგადოების დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოს ხდიდეს. მაგალითისათვის, ისეთ ვითარებაში, როდესაც, სახეზეა საზოგადოების დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილება ერთპიროვნულად საბანკო ოპერაციების განხორციელების თაობაზე, ფ. ნ.-ს ქმედების მართლზომიერებას დაასაბუთებდა პარტნიორების მხრიდან დავალების ხელშეკრულების არსებობის დადასტურება აღნიშნული საბანკო ოპერაციის ერთპიროვნულად განხორციელების თაობაზე. საგულისხმოა, რომ სწორედ ამგვარ მითითებას შეიცავს ფ. ნ.-ს მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. თუმცა, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების შედეგად პარტნიორების მხრიდან ამგვარი დავალების არსებობა სწორედ ფ. ნ.-ს უნდა ედასტურებინა, კერძოდ, მას უნდა წარმოედგინა მტკიცებულება მასზედ, რომ იგი საზოგადოების ანგარიშიდან თანხის გატანისას პარტნიორების მხრიდან დავალების საფუძველზე და აღნიშნული დავალების ფარგლებში მოქმედებდა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ ფ. ნ. შპს „S. G.“-ს პარტნიორების დავალებით მოქმედებდა, როდესაც მან კომპანიის ანგარიშიდან 280 000 ლარი გაიტანა.

პალატა მიიჩნევს, რომ, მართალია, ფ. ნ. სადავო საბანკო ტრანზაქციის განხორციელებისას მისი, როგორც დირექტორის, უფლებამოსილების ფარგლებს სცდებოდა და ამავდროულად, იგი არც კომპანიის პარტნიორთა დავალებას ასრულებდა, თუმცა, მისი ქმედება, ზიანის ანაზღაურების უპირობო წინაპირობად მაინც ვერ შეფასდება იქამდე, სანამ არ შემოწმდება, ფ. ნ., როგორც საზოგადოების დირექტორი, სადავო საბანკო ოპერაციის განხორციელებისას საზოგადოების ინტერესებში ხომ არ მოქმედებდა.

პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას, ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც საზოგადოებას მიადგა და, რომ ის გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით მოქმედებდა.

განსახილველ შემთხვევაში, ფ. ნ.-მ ვერ დაადასტურა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა საზოგადოების ანგარიშიდან თანხის გატანა, რატომ იყო შპს „S. G.“-ს ინტერესებში შპს „ფ. ჯ.-ს“ საბანკო ანგარიშზე თანხის განთავსება, შპს „S. G.“-სთვის რა ეკონომიკური სარგებლის მომტანი იყო მითითებული საბანკო ოპერაცია და ა. შ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ფ. ნ.-ს, როგორც საზოგადოების დირექტორს, 2013 წლის 15 თებერვლიდან, შპს „S. G.“-ს პარტნიორთა გადაწყვეტილებით უფლებამოსილება შეეზღუდა და 2013 წლის 29 ივლისს მას არ ჰქონდა უფლება შპს „S. G.“-ს საბანკო ანგარიშიდან 280 000 ლარი ერთპიროვნულად

გაეტანა. დადგენილია, რომ სადავო თანხა საზოგადოებას არ დაბრუნებია, ამასთან, მოპასუხე მხარემ ვერ გააქარწყლა სადავო თანხის პირადი მიზნებისთვის გამოყენების პრეზუმფცია და ვერ დაადასტურა, რომ იგი პარტნიორთა დავალებით, ან/და გულმოდგინე ხელმძღვანელის გულისხმიერებით, საზოგადოების მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და გატანილი თანხა შპს „S. G.“-ს ინტერესებს მოახმარა. შესაბამისად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ფ. ნ.-ს ქმედებით შპს „S. G.“-ს 280 000 ლარის ოდენობით ზიანი მიადგა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კეთილსინდისიერების ინსტიტუტი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და, ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- კეთილსინდისიერება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას, სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1071-1010-2015 (07 დეკემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს სასამართლოში წარმოდგენის უფლებამოსილება.

განჩინების რეზიუმე:
აპელაციამ აპელანტს (მოპასუხეს) დაუდგინა ხარვეზი. აპელანტმა ხარვეზი არ შეავსო. სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. კერძო საჩივარი აღძრა საწარმოს 50% წილის მფლობელმა პარტნიორმა. კასაციამ მიუთითა, რომ პარტნიორს მესამე პირებთან დავაში არ გააჩნია კომპანიის სასამართლოში წარმოდგენის უფლებამოსილება, ხოლო დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა დარეგისტრირდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემდეგ. კერძო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – როდესაც საქმე ეხება კომპანიასა და მესამე პირებს შორის დავას, ორგანიზაციის პარტნიორს არ აქვს წარმომადგენლობის უფლებამოსილება. უშუალოდ დირექტორის ან უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის წინააღმდეგ პარტნიორი უფლებამოსილია კომპანიის სახელით აღძრას სარჩელი (დერივაციული სარჩელი).

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 1.,2.,3.,5.,6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 93. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
17. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მას, როგორც შპს „ჰ.” 50%-იანი წილის მფლობელს, უფლება ჰქონდა მოცემულ დავასთან დაკავშირებით წარმოედგინა ორგანიზაციის ინტერესები სასამართლოში და გაესაჩივრებინა სადავო განჩინება.

18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

19. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი დადგენილია, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კერძო საჩივრის შეტანის დროისთვის შპს „ჰ.“ დირექტორს წარმოადგენდა დ. შ-ი. სამეწარმეო რეესტრში დაცული ელექტრონული მონაცემების (საწარმოს ამონაწერის) შესაბამისად ირკვევა, რომ დ. შ-ს 2015 წლის 30 ივლისიდან აქვს შეზღუდული უფლებამოსილება. თუმცა რეესტრის მონაცემებით არ ირკვევა და არც კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შპს „ჰ.“ დირექტორს შეზღუდული აქვს მესამე პირებთან დავაში კომპანიის სასამართლოში წარმოდგენის უფლებამოსილება. კერძო საჩივრის ავტორი ასევე არ უთითებს, რომ ანალოგიური შეზღუდვა პარტნიორთა შეთანხმებით ან წესდებით არის გათვალისწინებული.

21. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ ი. გ-ე წარმოადგენს შპს „ჰ.“ 50%-იანი წილის მესაკუთრეს (იხ. ს.ფ. 220), თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ორგანიზაციის პარტნიორს, ზოგადად, არ აქვს წარმომადგენლობის უფლებამოსილება. გამონაკლისია დავები უშუალოდ დირექტორის ან უმრავლესობაში მყოფი პარტნიორის წინააღმდეგ, როცა პარტნიორი უფლებამოსილია კომპანიის სახელით აღძრას სარჩელი (დერივატული სარჩელი), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, რადგან საქმე ეხება კომპანიასა და მესამე პირებს შორის დავას.

22. ამრიგად, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოცემულ დავაში ორგანიზაციის პარტნიორის მიერ კომპანიის წარმომადგენლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ი. გ-ე (როგორც შპს „ჰ.“ პარტნიორი), უფლებამოსილი არ იყო წარმოედგინა კერძო საჩივარი, რის გამოც სახეზეა აღნიშნული კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-863-813-2015 (17 დეკემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
მოგების (დივიდენდის) განაწილება.

განჩინების რეზიუმე:
საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, რადგან სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და აპელანტს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა იყო მოპასუხე საწარმოსა და მისი დირექტორის დავალდებულება, მოეწვიათ პარტნიორთა კრება და გაენაწილებინათ დივიდენდი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი სააპელაციო პალატამ მხარეს მიაკუთვნა საწარმოში მისი წილის პროპორციული მოგება.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-1141-2018, №ას-1144-1076-2015, №ას-938-2018, №ას-1101-1037-2015

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორის მოგების მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან) და დივიდენდის მოთხოვნის უფლებას (წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. ... საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამეწარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. ამდენად, წლიური შედეგების დამტკიცებისა თუ დივიდენდის განაწილების საკითხი საზოგადოების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომელიც ფორმირდება საზოგადოების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სახით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირე-

ბელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას. დივიდენდის განაწილება სცილდება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას, რის გამოც გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრებას. სასამართლოს მხრიდან ლეგიტიმურ ჩარევად შეიძლება განვიხილოთ კრების მოწვევის დავალდებულება იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია ყველა პარტნიორის მონაწილეობით კრების ჩატარება. სავალდებულო რეჟიმში დივიდენდის მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 1.,2.,7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. ... კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. საქმეში არსებული წესდების მე-6 მუხლის თანახმად, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო პარტნიორთა კრებაა (6.1. მუხლი), რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მათ შორის წლიური შედეგების დამტკიცებისა და შედეგების გამოყენებაზე (6.7.7. მუხლი), ხოლო მე-8 მუხლით დივიდენდი ნაწილდება შესაბამისად, ყოველი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით (8.2. მუხლი). შეიძლება ითქვას, რომ, როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას.

1.7. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის შედავებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისგანაც. ამავე მხარეებს შორის განხილული ერთ-ერთი დავისას, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა დ. ხ-ის მოთხოვნას დივიდენდის განაწილების თაობაზე და განმარტა, რომ დ.ხ-ეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის გზით განხორციელდა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის... პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა თუ დამტკიცდებოდა, რომ შპს „ს-ს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მოხდა დივიდენდების განაწილება და მას, როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და საწარმოს პარტ-

ნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე.“ (იხ. სუსგ №ას-75-408-09, 2 ივლისი, 2009 წ).

1.8. ... კრების მოწვევის დავალდებულების მოთხოვნასთან მიმართებით პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ დივიდენდის განაწილება სცილდება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას, რის გამოც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა შეიძლება განვიხილოთ პროპორციულად საწარმოს საქმიანობაში (კრების მოწვევის დავალდებულება იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია ყველა პერტნიორის მონაწილეობით კრების ჩატარება) სასამართლოს მხრიდან ლეგიტიმურ ჩარევად.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს. პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- მრავალმხრივი გარიგება.
- ბათილობა.
- გარიგების ბათილობა.
- უფლების სასამართლო წესით დაცვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. ... სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს და სადავოობის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-378-359-2015 (21 დეკემბერი, 2015 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
მოგების (დივიდენდის) ოდენობა.

განჩინების რეზიუმე:
კასატორი (შპს-ს 16% წილის მქონე პარტნიორი) უთითებდა, რომ პარტნიორთა კრებამ დაადგინა საწარმოში მოგების არსებობა და წლიური მოგების დივიდენდის სახით განაწილება, თუმცა გასანაწილებელი მოგების ოდენობა არ დაანგარიშებულა დასაბეგრი მოგებიდან. კასაციამ განმარტა, რომ (1) პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას გასანაწილებელი მოგების ოდენობაზე; (2) მოგების ოდენობა დგინდება საწარმოს ბალანსით; (3) გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განისაზღვრება-დაიანგარიშება არა დასაბეგრი მოგებიდან, არამედ საწარმოს ფინანსური მოგებიდან. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-552-527-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – შპს-ს პარტნიორთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება როგორც დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე, ისე განსაზღვროს გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს კანონი არ შეიცავს. მათი მოწესრიგება შესაძლებელია წესდებით. კანონმდებლობა საწარმოს მოგების განაწილების რაიმე შემზღუდავ ნორმას არ შეიცავს და არც მინიმალური დივიდენდის ოდენობას აწესებს. მხოლოდ წესდებით არის შესაძლებელი აღნიშნული საკითხების დარეგულირება. მოგების განაწილებაზე საწარმოს დისკრეციაში სასამართლო ვერ შეიჭრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებას ჰქონდა ადგილი. მოსარჩელე პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება კრების გადაწყვეტილებას გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, არ უნდა უჭერდეს მხარს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერად გამოყენების ვარაუდის საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
59. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილება დაადგინოს საწარმოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილება, გულისხმობს როგორც დივიდენ-

დის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც.

60. აღნიშნული კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით.

63. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, ისე შპს „ა. პ.-ს“ წესდება პარტნიორთა საერთო კრებას ანიჭებს, შესაბამისი წესით მომზადებული ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, საწარმოს მოგების გამოყენების წესის განსაზღვრის დისკრეციას, რაც გულისხმობს დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც.

64. აღნიშნული წესი მოქმედებს მრავალ ქვეყანაში და პარტნიორთა/აქციონერთა საერთო კრების ან საწარმოს მენეჯმენტის დისკრეციაში, სასამართლო როგორც წესი, არ იჭრება, თუ არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

65. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მხრივ დახურულ კორპორაციებთან მიმართებაში პრეცედენტული იყო გადაწყვეტილება საქმეში Dodge v. Ford Motor Co., სადაც მიჩიგანის შტატის სასამართლომ აღნიშნა, რომ დივიდენდების გაცემა-არგაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დისკრეცია აქვს საწარმოს მენეჯმენტს და მათ დისკრეციაში სასამართლო არ შეიჭრება, თუ მენეჯერთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია არაკეთილსინდისიერებას, განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას (bad faith, willful neglect or abuse of discretion) [Dodge v. Ford Motor Co., 204 Mich. 459, 500, 170 N.W. 668, 682, 3 A. L. R. 413 (1919), Melvin Aron Eisenberg, Corporations and Other Business Organizations, Foundation Press, 2005, pp. 1231-1232].

66. ინგლისში დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესი რეგულირდება კომპანიების წესდებით და პარტნიორს/აქციონერს დივიდენდის განაწილების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ადგილი ჰქონდა ქმედებას, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიმართ უსამართლო წინასწარგანწყობა (unfair prejudice) [E. Ferran, Company Law and Corporate Finance, Oxford: OUP 1999, pp.415-416].

67. შვედეთის კანონმდებლობით უმცირესობაში მყოფი პარტნიორის/აქციონერის უფლების დაცვის საშუალებას წაარმოადგენს მინიმალური დივიდენდი, რომლის მოთხოვნის უფლებაც მომგებიანი საწარმოს უმცირესობაში მყოფ პარტნიორს ყოველთვის აქვს [Andres Vutt, Dividend Payments and Protection of Minority Shareholders, Juridica International Law Review XVI/2009. Available at: http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2009_1_135.pdf, p.138]. გერმანიის კანონმდებლობა კი ითვალისწინებს, რომ, თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კომპანიის მენეჯმენტს ან სამეთვალყურეო საბჭოს წლიურ ანგარიშის დამტკიცებისას, შეუძლია მხოლოდ წმინდა მოგების ნახევრი მიმართოს რეზერვის დანიშნულებით. კომპანიის აქციონერთა კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რეზერვში უფრო მეტი თანხის მიმართვის შესახებ, თუმცა საერთო წესის შესაბამისად, კომპანიის თავისუფალი სახსრების ფონდში (რეზერვში) არ უნდა იქნას მოქცეული თანხა, რომელიც აღემატება კომპანიის კაპიტალის 50%-ს. აქციონერს, რომელიც ფლობს კომპანიის წილის/აქციების 5% მაინც, შეუძლია გაასაჩივროს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება, თუ საერთო კრება კომპანიის რეზერვში მოგების თანხებს მიმართავს ორი სტანდარტის დარღვევით: (ა) კეთილგონივრული ბიზნეს გადაწყვეტილების შესაბამისად ასეთი განაწილება არ არის აუცილებელი კომპანიის ჯანსაღი მდგომარეობის/სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, და (ბ) რეზერვში მოგების თანხის მიმართვას დაჰყავს გასაცემი დივიდენდის ოდენობა საწარმოს მოგების 4%-ზე ქვემოთ [Don Berger, Shareholder Rights Under the German Stock Corporation Law of 1965, 38 Fordham L. Rev. 687 (1970). Available at: http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol38/iss4/, pp. 708-715].

68. საქართველოს კანონმდებლობა საწარმოს მოგების განაწილების რაიმე შემზღუდავ ნორმას არ შეიცავს და არც მინიმალური დივიდენდის ოდენობას აწესებს. მხოლოდ წესდებით არის შესაძლებელი აღნიშნული საკითხების დარეგულირება. შპს „ა. პ.-ს“ წესდების მიხედვით კი საწარმოს მოგების განაწილების სპეციალური წესი განსაზღვრული არ არის. წესდების თანახმად, გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვ-

რა წარმოადგენს სრულად პარტნიორთა კრების დისკრეციას, რომელმაც დივიდენდის განსაზღვრის შესახებ ერთ შემთხვევაში (2013 წლის 20 მაისს) გადაწყვეტილება მიიღო 2/3 უმრავლესობით (მოსარჩელემ თავი შეიკავა), ხოლო მეორე შემთხვევაში (2013 წლის 6 აგვისტოს) – ერთხმად, მოსარჩელის მონაწილეობით.

69. შესაბამისად, საწარმოს პარტნიორთა აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში სასამართლო ვერ შეიჭრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებას ჰქონდა ადგილი. მოსარჩელე პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება კრების გადაწყვეტილებას გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, არ უნდა უჭერდეს მხარს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერად გამოყენების ვარაუდის საფუძველს.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდად შესაძლებელია გაიცეს საზოგადოების მოგება, რომელიც დადგენილია საზოგადოების ბალანსის მიხედვით. გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა-დაანგარიშება ხორციელდება არა დასაბეგრი, არამედ საწარმოს ფინანსური მოგებიდან. ამრიგად, გასაცემი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისათვის საწარმოს დასაბეგრ მოგებაზე მითითება არარელევანტურია.

განმარტებული საკითხები:
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- საწარმოს ბალანსი.
- საწარმოს ფინანსური მოგება.
- დასაბეგრი მოგება.
- სისტემური განმარტება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
72. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დივიდენდის სახით ნაწილდება საწარმოს წლიური ან შუალედური მოგება. აღნიშნული კანონი არ აწესებს ტერმინი „მოგების“ კონკრეტულ განმარტებას, თუმცა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში კანონი უთითებს, რომ მოგება დგინდება საზოგადოების ბალანსის საფუძველზე [„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები 25.1 და 38.1]. შპს „ა. პ-ის“ წესდების შესაბამისადაც, მოგების შესახებ წინადადება უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების ბალანსსა და წლიურ ანგარიშს (მუხლი 21). ამდენად, კანონის სისტემური ანალიზის და კანონსა და წესდებაში თავად ტერმინი „მოგების“ შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ საზოგადოების მოგება განისაზღვრება ბალანსის შესაბამისად, ხოლო „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საზოგადოებები ვალდებულნი არიან ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად [„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4]. ამდენად, დივიდენდად შესაძლებელია გაიცეს საზოგადოების მოგება, რომელიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი ბალანსის მიხედვით. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს, რომ გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა-დაანგარიშება ხორციელდება არა დასაბეგრი (როგორც ამას კასატორი უთითებს), არამედ საწარმოს ფინანსური მოგებიდან. ამრიგად, გასაცემი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისათვის საწარმოს დასაბეგრ მოგებაზე მითითება არარელევანტურია.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა კომპანიის ან/და მისი დირექტორის პასუხისმგებლობას იწვევს, თუმცა სხვა გარემოებებზე კვალიფიციური მითითების არარსებობის პირობებში, აღნიშნული გარემოება, თავისთავად, ვერ ქმნის მიუღებელი დივიდენდის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის სამართლებრივ საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
82. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კასატორის მითითებას იმის თაობაზე, რომ პარტნიორს დადგენილი წესით არ მიეწოდა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს მოგების შესახებ ინფორმაცია ეყრდნობა საწარმოს ბალანსს და წლიურ ანგარიშს, რომელსაც დირექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს პარტნიორთა საერთო კრებას, მნიშვნელოვანია წლიური ანგარიშის მომზადების პროცესში პარტნიორების ჩართულობა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ყოველ პარტნიორს აქვს უფლება შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. ეს პარტნიორის მნიშვნელოვანი უფლებაა და მისი დარღვევა კომპანიის და/ან მისი დირექტორის პასუხისმგებლობას იწვევს, თუმცა სხვა გარემოებებზე კვალიფიციური მითითების არარსებობის პირობებში (იხ. მსჯელობა წინა პარაგრაფებში). აღნიშნული გარემოება, თავისთავად, ვერ ქმნის მიუღებელი დივიდენდის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარის სამართლებრივ საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/392-15 (330210013384713) (14 იანვარი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ვანო წიკლაური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ხათუნა არევაძე, ლილი ტყემალაძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა საერთო კრების ოქმის შედეგების აღიარება.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
სარჩელი შპს-ს პარტნიორთა კრების ოქმის შედეგების აღიარების შესახებ სრულად დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ახალი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას აპრიორი არ ესაჭიროება გადაწყვეტილების ერთხმად მიღება. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი კრების ოქმის ბათილობის მოთხოვნაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორის საწარმოდან გარიცხვის საფუძვლების და წესის დადგენის შესახებ საზოგადოების წესდებაში ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – შპს-ს პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგების ნაირსახეობას, რომლის თავისებურებასაც განაპირობებს (როგორც წესი) ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილებათა მიღების წესი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრება.
- მრავალმხრივი გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 9.

სრული განმარტების ციტირება:
4.6. ... შპს-ს პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგების ნაირსახეობას, რომლის თავისებურებასაც განაპირობებს (როგორც წესი) ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილებათა მიღების წესი. პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების თავისებურება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ უმრავლესი ხმების მქონე პარტნიორი ან და პარტნიორთა ჯგუფი, უფლებამოსილია მიუხედავად უმცირესი ხმების მქონე პარტნიორების წინააღმდეგობისა მიიღოს გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე. ხმათა უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღების ამ ზოგადი წესიდან კანონი „მეწარმეთა შესახებ“ უმცირესობაში მყოფი პატნიორების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას (მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის 5[1]-ე და 5[2]-ე, პუნქტების, ასევე 9[1]-ე მუხლის მე-9 პუნქტი), რომლის დროსაც გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთხმად, ესე იგი ყველა პარტნიორის სრული კონსენსუსით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ახალი დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. აღნიშნული გადაწყვეტილების მისა-

ღებად კანონი არ ადგენს გადაწყვეტილების ერთხმად მიღების სავალდებულოობას. კაპიტალის გაზრდის შესახებ სადავო გადაწყვეტილების ერთხმად მიღების აუცილებლობას იწვევს უმცირესობაში მყოფი პარტნიორების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. კაპიტალის გაზრდის შესახებ სადავო გადაწყვეტილება არ არის მიღებული იმ შინაარსით, რომელიც გამოიწვევდა უმცირესობაში მყოფი პარტნიორების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, რადგან (1) დამატებითი შენატანის განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა მიეცა (მათი წილების კვალობაზე) ყველა პარტნიორს; (2) დამატებითი შენატანის განუხორციელებლობა, მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, არ იწვევდა პარტნიორის რეგისტრირებული უფლების გაუქმებას; (3) წილობრივი პროცენტული მაჩვენებლების შემცირებას არ შეუცვლია გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით უმცირესობაში მყოფი პარტნიორების მდგომარეობა; (4) გადაწყვეტილება არ შეხებია უმცირესობაში მყოფი პარტნიორების მიერ განხორციელებულ თავდაპირველ შენატანებს; (5) წილის პროცენტულობის შემცირება არ წარმოადგენდა საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ სადავო გადაწყვეტილების უშუალო, პირდაპირ და გარდაუვალ შედეგს. გაზრდილ კაპიტალში შესაბამისი შენატანების განხორციელების შემთხვევაში მოპასუხეთა წილის პროცენტულობა არ შემცირდებოდა და დარჩებოდა იგივე.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრება.
- კაპიტალის გაზრდა.
- ახალი/დამატებითი შენატანები.
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 5[1].,5[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 6.ზ.,9.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. სააპელაციო პლატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისი ნორმები არ ადგენენ კონკრეტულად საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების რაიმე სავალდებულო წესს (ხმათა ოდენობას). ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ თავად 9[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმაც, რომელიც უშუალოდ ითვალისწინებს კონკრეტულად ამ საკითხის (ახალი დამატებითი შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხის) შპს-ში პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას, არ ადგენს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების სავალდებულო ხმათა ოდენობას. შესაბამისად იმ დასკვნის გაკეთება, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის 5[1] და 5[2] პუნქტების საფუძველზე აუცილებელია გადაწყვეტილების ერთხმად მიღება, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს მოხმობილი ნორმის ანალიზიდან.

ზემოთ მითითებული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში გადაწყვეტილების, მათ შორის კაპიტალის გაზრდის შესახებ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ხმათა ოდენობის განსაზღვრა, კანონმა მიანდო თავად საზოგადოების პარტნიორებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დაფუძნების მომენტშივე დაადგინონ, თუ რომელი გადაწყვეტილების მიღება, რა ოდენობის ხმებით უნდა იქნეს განხორციელებული.

პარტნიორთა კრების სადავო გადაწყვეტილების კანონიერების გამორკვევისთვის, მნიშვნელოვანია იმ საკითხის გამოკვლევა, მოხდა თუ არა უმრავლესი ხმების მქონე პარტნიორის (ვ. კ. 65% კაპიტალის მფლობელი) მიერ დამატებითი შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, დ. ზ.-ს, აგრეთვე მ. კ.-ს და ლ. ს.-ს, როგორც უმცირესობაში მყოფი პარტნიორების ინტერესების არსებითი შე-

ლახვა და მოხდა თუ არა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 5[1]-ე და 5[2]-ე პუნქტებით, ასევე მე-91 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პირველ რიგში სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ 2013 წლის 25 ოქტომბრის პარტნიორთა კრების სადავო გადაწყვეტილებით დამატებითი შენატანის განხორციელების თანაბარი შესაძლებლობა მიეცა (მათი წილების კვალობაზე) ყველა პარტნიორს, რამდენადაც ერთ თვიან ვადაში ყველა პარტნიორს მიეცა მათი წილების კვალობაზე განეხორციელებინათ დამატებითი შენატანი. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი შენატანის განუხორციელებლობა, მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, არ წარმოშობდა პარტნიორის რეგისტრირებული უფლების გაუქმებას (მაგ: საზოგადოებაში წილის დაკარგვა, პარტნიორობიდან უპირობოდ გარიცხვა და სხვა).

პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ასევე იმ ფაქტის ხაზგასმას, რომ ამ სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე და უკვე გაზრდილ საწესდებო კაპიტალში განხორცილებული შენატანების კვალობაზე პარტნიორთა წილების პროცენტულობის განსაზღვრამდეც, დ. ზ., ასევე მ. კ. და ლ. ს.-ც წამოადგენდნენ უმცირესობაში მყოფ პარტნიორებს, რომლებსაც არც ცალ-ცალკე და არც ერთობლიობაში ხმების გაერთიანების შემთხვევაში (დ. ზ. – 22% + მ. კ. – 10% + ლ. ს. – 3% = 35%, გადაწყვეტილებების მიღებისთვის კი საზოგადოების წესდების 6.7. მუხლის თანხმად საკმარისია ხმების უბრალო უმრავლესობა) არ გააჩნდათ უმრავლესი ხმების მქონე პარტნიორის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ამდენად, იკვეთება, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდით და ამ პარტნიორთა წილობრივი პროცენტული მაჩვენებლების შეცვლას (შემცირებას) არ მოჰყოლია გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით უმცირესობაში მყოფი პარტნიორების მდგომარეობის შეცვლა.

საკითხის შეფასებისთვის, ასევე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ არც 2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება და არც მოგვიანებით 2013 წლის 2 დეკემბრის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება (გაზრდილ კაპიტალში პარტნიორთა წილების პროცენტულობის განსაზღვრის შესახებ) უშუალოდ არ შეხებია უმცირესობაში მყოფი პარტნიორების მიერ განხორციელებულ თავდაპირველ შენატანებს. ამ გადაწყვეტილებებით არ მომხდარა მანამდე განხორციელებული შენატანების შემცირება.

მოწინააღმდეგე მხარის ის არგუმენტი, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ სადავო გადაწყვეტილებით მოხდა მათი ხმის უფლების შემცირება (რაც უკვე გაფორმდა 2013 წლის 2 დეკემბრის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით) და რომ სახეზეა მე-3 მუხლის 5[1] პუნქტით გათვალისწინებული ნორმის დარღვევა, პლატის მიერ არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან წილის პროცენტულობის შეცვლა (ამ შემთხვევაში შემცირება) არ წარმოადენს სადავო (საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ) გადაწყვეტილების უშუალო, პირდაპირ და გარდაუვალ შედეგს. პალატას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ უმცირესობაში მყოფი პარტნიორების მიერ, მათი წილის კვალობაზე გაზრდილ კაპიტალში შესაბამისი შენატანების განხორციელების შემთხვევაში, მათი წილის პროცენტულობა არ შემცირდებოდა და დარჩებოდა იგივე. გარდა აღნიშნულისა, ფაქტია, რომ საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემდგომ დ. ზ.-ს წილი განისაზღვრა მისი შენატანის კვალობაზე და მისი ხმების მოცულობაც არის მისი შენატანის შესატყვისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ სადავო 2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ არ არის მიღებული იმ შინაარსით, რაც გამოიწვევდა უმცირესობაში მყოფი პარტნიორების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, მათი რეგისტრირებული უფლების გაუქმებას ან/და მათი არსებითი ინტერესების დარღვევას. აქედან გამომდინარე კი, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის 5[1] და 5[2]-ე პუნქტებით, აგრეთვე მე-9[1] მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და სადავო გადაწყვეტილების ერთხმად მიღების აუცილებლობა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ვალის პატიებით შესაძლებელია განხორციელდეს შენატანი საწარმოს კაპიტალში.

განმარტებული საკითხები:
- შენატანი კაპიტალში.
- ვალის პატიება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
რაც შეეხება უმრავლესი ხმების მქონე პარტნიორის ვ. კ.-ს მიერ დამატებითი შენატანის განხორციელების შესახებ ფაქტობრივ გარემოებას, პალატა შენიშნავს, რომ შენატანის განხორციელების გარემოებას მოსარჩელე ვ. კ. ადასტურებს მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებებით და ამ ხელშეკრულებებით შპს „ს.-ს“ მიმართ შეძენილ მოთხოვნაზე უარის თქმით (ვალის პატიებით). კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების თანახმად (იხ. ტ.2, ს.ფ. 119-124) ვ. კ.-მ შპს „ს.-ს“ კრედიტორებისაგან განახორციელა მოთხოვნების შესყიდვა. შესყიდული მოთხოვნების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 1419324 ლარი. მოგვიანებით ამ თანხის მოთხოვნაზე ვ. კ.-მ უარი განაცხადა და მოითხოვა ამ დავალიანების საზოგადოების კაპიტალში ასახვა, როგორც მის მიერ განხორციელებული შენატანის. ფაქტობრივად, კრედიტორთა მოთხოვნების შეძენის და მასზე უარის თქმით პარტნიორმა მოახდინა საზოგადოების გათავისუფლება მნიშვნელოვანი დავალიანებისაგან, რაც კაპიტალში შენატანის სახით აისახა 2013 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის გარიცხვის საფუძვლების და გარიცხვის წესის დადგენის შესახებ საზოგადოების წესდებაში ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 5[1].,5[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 9.

სრული განმარტების ციტირება:
4.9. ... სადავო არ არის, რომ ახალი წესდების მე-7 მუხლით დადგინდა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები და ასევე ამ გადაწყვეტილების ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღების წესი. ასევე უდავოა, რომ საზოგადოების ძველი წესდება არ ითვალისწინებდა პარტნიორის გარიცხვის შესახებ დათქმას. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.8. პუნქტში მითითებული მსჯელობიდან და სამართლებრივი შეფასებების გათვალისწინებით, ვინაიდან პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა წარმოადგენს იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც იწვევს პარტნიორის რეგისტრირებული უფლების გაუქმებას, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის 5[2] პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის გარიცხვის საფუძვლების და გარიცხვის წესის დადგენის შესახებ საზოგადოების წესდებაში ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ერთხმად გადაწყვეტილების მიღება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ დ. ზ.-ს სასარჩელო მოთხოვნა 2013 წლის 2 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილობის შესახებ ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, კერძოდ ახალი წესდების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი პარტნიორის გარიცხვის წესის შესახებ დადგენის ნაწილში (წესდების მე-7 მუხლი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/770-15 (330210014536351) (21 იანვარი, 2016 წელი)
მოსამართლეები: თამარ ალანია (თავმჯდომარე), ლევან გვარამია, ეკატერინე ცისკარიძე

საკვანძო საკითხი:
კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) სანოტარო წესით დამოწმება.

განჩინების რეზიუმე:
საჯარო რეესტრმა უარი უთხრა კოოპერატივს (რკ) წესდების ცვლილების რეგისტრაციაზე, რაც კოოპერატივმა გაასაჩივრა სასამართლოში. დადგინდა, რომ კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დამოწმებული იყო კერძო (მარტივი) სანოტარო აქტის ფორმით. საქალაქო სასამართლოსგან განხვავებით, აპელაციამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი იყო საჯარო (რთული) სანოტარო აქტის ფორმის დაცვა. საკასაციო საჩივარი აპელაციის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კოოპერატივის (რკ) საერთო კრების გადაწყვეტილება წესდებაში (პარტნიორთა შეთანხმებაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე უნდა დამოწმდეს საჯარო (რთული) სანოტარო აქტის ფორმით.

განმარტებული საკითხები:
- საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) სანოტარო წესით დამოწმება.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- საწარმოს წესდების ცვლილება.
- საჯარო (რთული) სანოტარო აქტი.
- კერძო (მარტივი) სანოტარო აქტი.
- სანოტარო წესით დამოწმება.
- გარიგების ფორმა.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 4[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 63. პუნქტი 11.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 69. ნაწილი 5.

სრული განმარტების ციტირება:
საერთო კრება კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა. შესაბამისად, კანონი დეტალურად არეგულირებს, საერთო კრებაზე კოოპერატივის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გაფორმების/დამოწმების წესს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-11 პუნქტი წესდებაში (პარტნიორთა შეთანხმებაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ განსაზღვრავს საერთო კრებას და იმპერატიულად ადგენს, რომ ასეთი სახის გადაწყვეტილება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ ნოტარიუსის მიერ დამოწმებულია მხოლოდ რ.კ. „ა.-ს“ 2013 წლის 07 ნოემბრის ყრილობის და 2013 წლის 07 ნოემბრის საბჭოს კრების ოქმებზე განხორციელებული ხელმოწერების ნამდვილობა და აღნიშნული დოკუმენტები ნოტარიუსის მიერ საჯარო აქ-

ტის ფორმით დამოწმებული არ ყოფილა. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციაზე უარს. ამდენად, წინამდებარე დავის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული კოოპერატივის წესდებაში ცვილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმება გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილების დამოწმებას ნოტარიუსის მიერ საჯარო აქტის ფორმით, თუ ამგვარი გარიგების დამოწმებისას საკმარისია მასზე განხორციელებული ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება, ანუ დოკუმენტის დამოწმება კერძო აქტის ფორმით.

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას საჯარო და კერძო აქტების ფორმით დოკუმენტების დამოწმების გამიჯვნას ახდენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.03.2010წ. №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია.

რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია იმ აქტის დასამოწმებლად (გარიგების, მოწმობის და სხვა), რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ცალსახად ადგენს დოკუმენტის დამოწმების აუცილებლობას საჯარო აქტის ფორმით, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ნოტარიუსის ვალდებულებას შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს კოოპერატივის წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმების აუცილებლობას. შესაბამისად, დგინდება, რომ სადავო გადაწყვეტილებების ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა და ამდენად, იგი დამოწმებული უნდა იქნეს საჯარო აქტის ფორმით, რაც განსახილველ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა.

რაც შეეხება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 66-ე მუხლის პირველ და მე-10 პუნქტებს, რომლებზე მითითებითაც დასაბუთებულია სადავო გადაწყეტილებების საჯარო აქტის ფორმით დამოწმების აუცილებლობის არარსებობა, პალატა განმარტავს, რომ ინსტრუქციის 66-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ნოტარიუსის უფლებამოსილებას, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ან კრების (სხდომის) მონაწილეთა თხოვნით დაესწროს სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ამხანაგობების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების დამფუძნებელ, აგრეთვე მმართველ ორგანოთა კრებებს (სხდომებს) და შეადგინოს ოქმი კრების (სხდომის) მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების, აგრეთვე კრების (სხდომის) ჩაშლის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მე-10 პუნქტი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც ნოტარიუსთან წარდგენილი იქნება სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მმართველი ორგანოების კრების (სხდომის) ოქმი და ადგენს, რომ ამ შემთვევაში ნოტარიუსი ადასტურებს ხელმომწერი პირების ხელმოწერის ნამდვილობას ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით. პალატას მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იმპერატიულად ადგენს კოოპერატივის წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმების აუცილებლობას, ხოლო „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია იმ აქტის დასამოწმებლად (გარიგების, მოწმობის და სხვა), რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, აუცილებლად მიიჩნევს მის დამოწმებას საჯარო აქტის ფორმით, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 66-ე მუხლის პირველი და მე-10 პუნქტები ვერ მიიჩნევა სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებად და დაუსაბუთებელია პირველი ინსტანციის მსჯელობა მასზედ, რომ აღნიშნულ მუხლებზე დაყრდნობით არ არსებობს სადავო გადაწყვეტილებების ნამდვილობისთვის მათი საჯარო აქტის ფორმით დამოწმების აუცილებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2092-15 (330210014642663) (25 იანვარი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე), ნათია ბარბაქაძე, ამირან ძაბუნიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე.

განჩინების რეზიუმე:
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ზიანის ანაზღაურება დაეკისრა კეთილსინდისიერებისა და განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო, გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტოს, როგორც საწარმოს 100% წილის მქონე პარტნიორის, გადაწყვეტილებით შპს-ს კაპიტალში შევიდა ცვლილება და ამოიღეს საზოგადოების ბალანსზე დარიცხული უძრავი ქონება, იმ პირობებში, როდესაც საწარმოს სახელფასო დავალიანება გააჩნდა დირექტორის მიმართ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს პარტნიორს შესაძლებელია დაეკისროს ზიანის ანაზღაურება შპს-ს კრედიტორის სასარგებლოდ ისეთი ქმედების გამო, რომლითაც პარტნიორი კრედიტორს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას შეუზღუდავს. საწარმოს პარტნიორის ქმედების მართლზომიერების (კაპიტალიდან ქონების ამოღება და აქტივის გარეშე სასამართლოსათვის საწარმოს გაკოტრების მოთხოვნით მიმართვის) მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრების დამოუკიდებელი საფუძველი შეიძლება იყოს კეთილსინდისიერებისა და მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერების ვალდებულებების დარღვევა, მით უფრო, როდესაც სამართალსუბიექტი სახელწიფოა, რომლის ქმედების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს, მათ შორის, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- საწარმოს ლიკვიდაცია.
- საწარმოს გაკოტრება.
- საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება.
- საწარმოს პარტნიორის მოვალეობები.
- მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერება.
- ვალდებულება წარმოშობის სხვა საფუძვლები.
- ზიანის ანაზღაურება.
- მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
- გაკოტრების საქმის წარმოების პროცედურები.
- კეთილსინდისიერება.
- შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 316. ნაწილი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 317. ნაწილი 1.

• გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 20.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. 20.05.2014წ. შპს „ი.-ს“ დირექტორმა ბ. ჯ.-მ მიმართა ეკონომიკის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა თანხმობა საზოგადოების ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის, რათა გასტუმრებულიყო ლიკვიდაციამდე და ლიკვიდაციის შემდგომ პერიოდში წარმოშობილი საბიუჯეტო და სახელფასო დავალიანებები 32 400 ლარის ოდენობით (ტ. I, ს.ფ. 29). ამდენად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორისათვის ცნობილი იყო საზოგადოებაში არსებული სახელფასო დავალიანების და აღნიშნული დავალიანების ანაზღაურებაზე კრედიტორთა პრეტენზიების შესახებ.

4.5. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 მაისის ბრძანებით შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან ამოღებული იქნა გორის რაიონში, სოფ. ვარიანში მდებარე საზოგადოების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები, რომელთა საერთო ღირებულება აუდიტური კომპანია „კ.-ს“ დასკვნის საფუძველზე შეადგენს 63 300 ლარს (ტ. I, ს.ფ. 83).

4.9. ... როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.01.2016წ. სასამართლო სხდომაზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან ამოღებული ქონება რეალიზებულია და მიღებული თანხები მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტში (იხ.: სხდომის ოქმი CD დისკზე, 17:39:31- 17:43:00).

სახელმწიფო, როგორც შპს „ი.-ს“ პარტნიორი (100%-იანი წილის მფლობელი), პასუხს არ აგებს საზოგადოების ვალდებულებებისათვის. აღნიშნულ პრინციპს საფუძვლად უდევს საზოგადოების, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის – იურიდიული პირის განცალკევებულობა მისი პარტნიორებისაგან, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოსგან. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ ისეთი ქმედების განხორციელებას, რომლითაც კრედიტორ ბ. ჯ.-ს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა შეეზღუდა. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ვალდებულია ბ. ჯ.-ს შპს „ი.-ს“ ქონების ამოღებით მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს. ბ. ჯ.-სთვის მიყენებული ზიანი კი ის დაკარგული შემოსავალია, რომელსაც ბ. ჯ. მიიღებდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შპს „ი.-ს“ ბალანსიდან ქონება რომ არ ამოეღო.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. მითითებული მუხლი ასევე ადგენს, რომ საწარმოს ლიკვიდაციის დასრულებამდე ყველა კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში საწარმოს ქონების გასხვისება, დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება, დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით ქონების რეალიზაცია. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, რომელშიც საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე აღინიშნება. ეს გადაწყვეტილება მარეგისტრირებელი ორგანოს წარედგინება. მითითებული გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

იმ საწარმოს ლიკვიდაციის წესს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველოსბის ორგანო ფლობს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ამტკიცებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 27.12.2010წ. №1-2/2044 ბრძანების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში საწარმოს ქონების გასხვისება, გარდა კრედიტორთა დაკმაყოფილებისა, დაუშვებელია.

განსახილველ შემთხვევაში, უდავო გარემოებას წარმოადგენს ფაქტი მასზედ, რომ შპს „ი.-ს“ 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი სახელმწიფო იყო. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 07.06.2013წ. ბრძანებით, შპს „ი.-ს“ ლიკვიდაცია შეწყდა და 2010 წლის 22 ივლისის გამოცემამდე არსებული მდგომარეობა აღდგა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, შპს „ი.-ს“, როგორც სამართალსუბიექტის არსებობა ლიკვიდაციის გზით არ შეწყდა. იმ შემთხვევაში, თუ შპს „ი.-ს“ ლიკვიდაციის პროცესი გაგრძელდებოდა, ბ. ჯ. თავის აღიარე-

ბულ სახელფასო დავალიანებას მიიღებდა. მითითებული მსჯელობა ეყრდნობა ლიკვიდაციის პროცესის წარმართვის სამართლებრივ რეგულაციებსა და ფაქტს მასზედ, რომ შპს „ი.-ს“ ბ. ჯ.-ს მიმართ 17 200 ლარის ოდენობით აღიარებული სახელფასო დავალიანება ჰქონდა და საზოგადოება არსებული სახელფასო დავალიანებების გასტუმრებას ბალანსზე არსებული აქტივების რეალიზაციის გზით აპირებდა (ტ. I, ს.ფ. 16,19-22,29).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ი.-ს“ რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში გაუქმდა, თუმცა რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობას არა საზოგადოების ლიკვიდაცია, არამედ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლზე დაყრდნობით შპს „ი.-ს“ გაკოტრებულად გამოცხადება წარმოადგენდა.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება.

ამდენად, შპს „ი.-ს“ რეგისტრაცია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, კანონისმიერი გზითა და საშუალებით გაუქმდა. თუმცა, იმისათვის, რომ შპს „ი.-ს“ რეგისტრაცია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლზე დაყრნობით გაუქმებულიყო, აუცილებელი იყო, რომ შპს „ი.-ს“ სახელზე აქტივი არარსებულიყო. შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან კი აქტივის ამოღება, სწორედ საზოგადოების ერთადერთმა პარტნიორმა და 100%-იანი წილის მფლობელმა, სახელმწიფომ უზრუნველყო. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 27 მაისის ბრძანებით შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან ამოღებული იქნა საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქონება, რისი უფლებაც სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელს რაღა თქმა უნდა ჰქონდა და აღნიშნულ უფლებამოსილებას იგი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მეშვეობით ახორციელებდა, ვიანაიდან, სწორედ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოა ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას, ასევე სახელწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელებას უზრუნველყოფს. ამდენად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქმედება შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან ქონების ამოღების თაობაზე მართლსაწინააღმდეგოდ ვერ შეფასდება, მით უფრო, იმ პირობებში, რომ მოცემული დავის განხილვის დროისათვის ძალაშია და არ გაუქმებულა ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან ქონების ამოღება მოხდა. თავის მხრივ, არც შპს „ი.-ს“ ქმედებაშია რაიმე კანონსაწარნააღმდეგო, როდესაც მან აქტივის არარსებობის პირობებში გაკოტრების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა და ამ გზით სამეწარმეო რეესტრში საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებას მიაღწია. თუმცა, ამავდროულად აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და კორპორაციული სამართალურთიერთობის ქვაკუთხედი ქმედების მართლზომიერება სამართალურთიერთობის სუბიექტთა მხრიდან ერთმანეთის უფლებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება და კეთილსინდისიერი ქცევაა.

შესაბამისად, მსგავსად ქმედების მართლსწინააღმდეგობისა, სამართალსუბიექტის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქცევა ვალდებულების წარმოშობისა და შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრების დამოუკიდებელი საფუძველია. მით უფრო, როდესაც სამართალსუბიექტი სახელწიფოა, რომლის ქმედების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს, მათ შორის, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამავე კოდექსის სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.06.2015წ. №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება).

კეთილსინდისიერება სწორედ მითითებული ფუნქციიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც სამართალსუბიექტს სამართლებრივი მოქმედების რამდენიმე შესაძლებლობა აქვს, მან უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ამით ზიანი არ მიადგეს სხვას. თუ ერთი და იგივე მიზნის მიღწევა ამავე სამართალსუბიექტისათვის ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, რამდენიმე კანონიერი გზითაა შესაძლებელი, ასეთ შემთხვევაში არჩეული უნდა იქნეს ის გზა, რომლითაც სხვისი უფლებები ნაკლებად შეილახება. განსახილველ შემთხვევაში, შპს „ი.-ს“ რეგისტრაციის გაუქმება ლიკვიდაციის შედეგად კი არ მოხდა, რა დროსაც ბ. ჯ.-ს მოთხოვნა საზოგადოების აქტივის რეალიზაციის ხარჯზე დაკმაყოფილდებოდა, არამედ სასამართლოსათვის გაკოტრების განცხადებით მიმართვით, რასაც სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების ბალანსიდან ქონების ამოღება უძღოდა წინ და რამაც, რეგისტრაციის გაუქმების გზით, საზოგადოების გაკოტრებულად გამოცხადება განაპირობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში „კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებიდან“ ვალდებულების წარმოშობაში იგულისმხება ასევე ამავე კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი მასზედ, რომ თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

ამდენად, იმ „სხვათა უფლებების“ უგულვებელყოფა, რომლებთანაც სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს, პასუხისმგებლობის დაკისრების დამოუკიდებელი საფუძველია.

განსახილველ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „ი.-ს“ კაპიტალიდან ქონების ამოღებითა და აქტივის გარეშე სასამართლოსათვის საწარმოს გაკოტრების მოთხოვნით მიმართვის გზით შეილახა იმ პირის უფლება, რომელსაც საწარმოს მხრიდან აღიარებული ვალდებულება გააჩნდა, მით უფრო, რომ აღნიშნული ვალდებულება სახელფასო დავალიანება იყო. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არის ის პირი, რომელიც წინამდებარე დავის განხილვაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს და, რომელსაც უნდა დაეკისროს ბ. ჯ.-ს მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1134-1067-2015 (160210014488710) (27 იანვარი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
მოგების რეინვესტირების ბათილობა.

განჩინების რეზიუმე:
მაჟორიტარი პარტნიორების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო ბათილად იქნა ცნობილი საწარმოს საერთო კრების გადაწყვეტილება მოგების რეინვესტირების შესახებ. ასევე, საზოგადოებას დაეკისრა მოსარჩელისთვის საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობა. მაღალი შემოსავლის პირობებში დირექტორის ხელფასის ზრდა არ შეფასდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად (ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა).

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-839-805-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მნიშვნელოვნად დიდი ოდენობის შემოსავლების პირობებში დირექტორის ხელფასის გაზრდა არ შეიძლება შეფასდეს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ უფლების ბოროტად გამოყენებად.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- დირექტორის მოვალეობები.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:
29. თ-- და ნ-- ნ-ები წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდიან 29.03.2014წ.-ის შპს „ბ--ის“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მართლზომიერებას შპს „ბ--ის“ დირექტორის ხელფასის გაზრდის ნაწილშიც, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზარებს და აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში, პარტნიორთა გადაწყვეტილება იმითაა მართლზომიერი, რომ შპს „ბ-ის” შემოსავლები მნიშვნელოვნად დიდი იყო, რასაც ადასტურებდა ის ფაქტი, რომ საზოგადოების 2013 წლის ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 182 288 ლარი, ხოლო გასანაწილებელმა მოგების ოდენობამ შეადგინა 555 840 ლარი; შესაბამისად, ამ ოდენობის შემოსავლების პირობებში, საზოგადოების დირექტორისათვის პარტნიორების მიერ 15 000 ლარის ოდენობის (დარიცხული ხელფასი) ხელფასის დანიშვნა არ შეიძლება შეფასდეს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ უფლების ბოროტად გამოყენებად.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საერთო კრების მიერ მოგების რეინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას და ბათილია იმ პირობებში, როდესაც (1) ჯერ კიდევ წინა წლის რეინვესტირებული თანხა

არ არის გახარჯული და არ იკვეთება ახალი მოგების რეინვესტირების საჭიროება; და (2) საზოგადოებას აღარ გააჩნია ის ძირითადი აქტივი, რომელზეც უნდა ყოფილიყო მიქცეული რეინვესტირებული მოგება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- მოგების რეინვესტირება.
- დივიდენდი.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:
30. ... საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა 2012 წლის მოგების რეინვესტირებული თანხა გახარჯული და არ იკვეთებოდა ახალი მოგების რეინვესტირების საჭირეობა, აგრეთვე, დადგენილია, რომ საზოგადოებას აღარ გააჩნდა ის ძირითადი აქტივი, რაზეც უნდა ყოფილიყო მიქცეული რეინვესტირებული მოგება, ამ პირობებში, სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 115-ე მუხლების დანაწესზე მითითებით სწორად იქნა შეფასებული 2013 წლის მოგების რეინვესტირების შესახებ 2014 წლის 29 მარტის საერთო კრებაზე უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაკანონიერად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-895-845-2015 (29 იანვარი, 2016 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის იძულებითი მოცდენა (განაცდური).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (დირექტორი) მოითხოვდა მოპასუხისგან (საწარმო) უკანონო გათავისუფლების გამო მიუღებელი გასამრჯელოს ანაზღაურების დაკისრებას. უკანონო გათავისუფლების ფაქტი პრეიუდიციულ ფაქტს წარმოადგენდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განაცდურის ანაზღაურება უკანონო გათავისუფლების თანმდევი შედეგია. სარჩელი დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივარი დაუშველად იქნა ცნობილი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/65-19, №ას-240-228-2016, №2ბ/3810-17, №ას-655-611-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რომელსაც მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად აწესრიგებს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები). დავალების ხელშეკრულების ფარგლებში მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი).

განმარტებული საკითხები:
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- დირექტორის გასამრჯელო.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
27. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს 22% წილის მესაკუთრე, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, იმავდროულად ასრულებდა მისთვის დავალებულ (მინდობილ) ქმედებებს, რისთვისაც მას ჰქონდა გასამრჯელო. დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა. შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს რო-

გორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს. მეწარმეთა კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საწარმოს 22% წილის მესაკუთრეს, დირექტორის უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ზემოხსენებული ორივე ნორმატიული აქტის შესაბამისი ნორმების საფუძველზე, რისთვისაც იგი ღებულობდა გასამრჯელოს. დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობა არ უქმნის სასამართლოს იმგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველსაც კი, რომ დირექტორი ანაზღაურების გარეშე საქმიანობს საწარმოში. სადავო პერიოდში სხვა პირის მიერ დირექტორის თანამდებობაზე ხელფასის მიუღებლობა არ ადასტურებს იმ ფაქტს, მოწინააღმდეგე უკანონოდ რომ არ გაეთავისუფლებინა საწარმოს, გასამრჯელოს გარეშე იმუშავებდა.

განმარტებული საკითხები:
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- დირექტორის გასამრჯელო.
- მტკიცებულებათა შეფასება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 105. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
28. ... საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ტელეკომპანიის მტკიცებაზე, რომ საწარმოს დირექტორს ტელეკომპანიაში მუშაობისას არ ჰქონდა გასამრჯელო, რაც მარტოოდენ ზეპირად გაცხადებული პოზიციის გარდა, არ არის დასაბუთებული კონკრეტული მტკიცებულებით. ამ პრეტენზიის გასაბათილებლად, მოწინააღმდეგე მხარეს წარმოდგენილი აქვს საბანკო ამონაწერი (ტ. 1., ს.ფ.182-183), რომლის მიხედვით, ამ უკანასკნელს, საბარათე ანგარიშზე, კასატორი ტელეკომპანიის ანგარიშიდან ერიცხებოდა ხელფასი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მას ვერ ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენაც კი (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რომ ტელეკომპანიაში დასაქმებული დირექტორი გასამრჯელოს გარეშე მუშაობდა, რადგან, ამ დავის წარმოშობამდე, კასატორ ტელეკომპანიასა და მოწინააღმდეგეს – ყოფილ დირექტორს შორის არსებული პარტნიორული, მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობა, არ უქმნის სასამართლოს იმგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველსაც კი, რომ დირექტორი ანაზღაურების გარეშე საქმიანობდა საწარმოში (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 103-ე და 105-ე მუხლები).

29. სასამართლო, ასევე, არ იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სადავო პერიოდში, როდესაც მოწინააღმდეგე გათავისუფლებული იყო დირექტორის თანამდებობიდან, ამავე პოზიციაზე სხვა დირექტორს არ ჰქონდა გასამრჯელო (იხ. ამ განჩინების 25.3 ქვეპუნქტი) და აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში სხვა პირის მიერ დირექტორის თანამდებობაზე ხელფასის მიუღებლობა, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოწინააღმდეგე უკანონოდ რომ არ გაეთავისუფლებინა საწარმოს, გასამრჯელოს გარეშე იმუშავებდა. ამდენად, კასატორის აღნიშნული შედავება უსაფუძვლოა და უარყოფილია.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ დადგინდა დირექტორის უკანონო გათავისუფლება, განაცდურის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან.

განმარტებული საკითხები:
- იძულებით განაცდურის ანაზღაურება.
- მიუღებელი შემოსავალი (ანაცდური მოგება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 411.

სრული განმარტების ციტირება:
30. ... მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ გასამრჯელოს მიღების ნაწილში, „განაცდურის ანაზღაურება, სსკ-ის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში, ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან“ (იხ. სუსგ №ას-371-352-2015, 28.07.2015წ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი საწარმოს არამართლზომიერი ქმედება, რაც გამოიხატა მოწინააღმდეგის უკანონო გათავისუფლებით, დადგენილი, უდავო ფაქტია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სსსკ-ის 106-ე მუხლით; იხ. ამ განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტები).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1144-1076-2015 (29 იანვარი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
კასაციამ გაიზიარა აპელაციის დასკვნა, რომ დირექტორის მხრიდან საზოგადოების საქმეების არაკეთილსინდისიერად გაძღოლის ფაქტი საქმის მასალებით არ დადასტურდა. შესაბამისად, არც დელიქტური ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები იკვეთებოდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო დირექტორმა უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.4. ... საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი და პასუხს იძლევა კითხვაზე – როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომაროება არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი (იხ. სუსგ №ას-245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს. პარტნიორი, რო-

მელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- მრავალმხრივი გარიგება.
- გარიგების ბათილობა.
- უფლების სასამართლო წესით დაცვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.4. ... სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის კი, პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს და სადავოობის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ (იხ. სუსგ №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წელი).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1244-1167-2015 (010210015721036) (10 თებერვალი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს უფლებამონაცვლეობა.

განჩინების რეზიუმე:
საწარმოს პარტნიორები მოითხოვდნენ თანაპარტნიორების მიერ დამოუკიდებელი საწარმოს დაფუძნების შესახებ კრების ოქმის ბათილად აღიარებას. კასაციამ გაიზიარა ქვედა ინსტანციების შეფასება უფლებამონაცვლეობის არარსებობისა და მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ. კასაცია დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/4889-16

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იურიდიული პირის უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მისი საფუძველი შესაძლოა იყოს საწარმოს რეორგანიზაცია, შერწყმა ან გაყოფა.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს უფლებამონაცვლეობა.
- უფლებამონაცვლეობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[4]. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
15. საკასაციო საჩივრით სადავოა იურიდიული პირის უფლებამონაცლეობა, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს და განმარტავს, რომ იურიდიული პირის უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მისი საფუძველი შესაძლოა იყოს საწარმოს რეორგანიზაცია, შერწყმა ან გაყოფა. მოცემულ საქმეზე კი, შ-ის დამოუკიდებელი უნივერსიტეტ „მ- კ--სა“ და შ-ის უნივერსიტეტ „მ- კ-ს“ შორის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები არ დგინდება.
18. ... ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემული ტიპის დავებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (სუს 06.03.2015წ.-ის განჩინება, საქმე №ას-1310-1249-2014).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების ოქმის კანონიერების გასაჩივრების ვადასა და წესს ადგენს სპეციალური კანონის – მეწარმეთა შესახებ კანონის მე-15 მუხლი და ამ მიმართებით სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, როგორც გასაჩივრების ვადის ათვლის მარეგულირებელი ნორმა, არ გამოიყენება.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

• ხანდაზმულობის ვადის დაწყება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 2.
• სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 130.

სრული განმარტების ციტირება:
17. რაც შეეხება კასატორის პოზიციას ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და იმაზე მითითებას, რომ სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის ათვლისას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ გამომდინარე იქიდან, რომ სადავოა პარტნიორთა კრების ოქმის კანონიერება და მისი გასაჩივრების ვადასა და წესს ადგენს სპეციალური კანონის – მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი და ამ მიმართებით, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის, როგორც გასაჩივრების ვადის ათვლის მარეგულირებელი ნორმის გამოყენება ნაკარნახევი არ არის.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/644-15 (330210014557385) (19 თებერვალი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე), ლევან გვარამია, შორენა ყაველაშვილი

საკვანძო საკითხი:
ყოფილი დირექტორის/პარტნიორის პასუხისმგებლობა.

განჩინების რეზიუმე:
შპს (მოსარჩელე) ყოფილი პარტნიორისთვის/დირექტორისთვის (მოპასუხე) მოითხოვდა ფულადი ვალდებულების დაკისრებას შემდეგი საფუძვლებით: (I) საწარმოდან პირადი მოხმარების მიზნით თანხისა და პროდუქციის გატანა; (II) სათანადო დოკუმენტაციის არარსებობის გამო დამატებითი გადასახადების დაკისრება; (III) საწარმოს მისამართის შეცვლის გამო დამდგარი ზარალი; (IV) საწარმოს მოწყობილობების წაღება; (V) საწარმოს ბეჭდის დაუბრუნებლობის გამო არალიკვიდირებულ პროდუქციაზე მოგების სახით დაკისრებული გადასახადი. სასამართლომ სარჩელის I და II საფუძვლები გაიზიარა სრულად და III საფუძველი – ნაწილობრივ. დანარჩენ ნაწილში სასამართლო არ დაეთანხმა სარჩელის საფუძვლებს. აპელაციასა და კასაციაში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება დარჩა უცვლელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ პარტნიორთა მიერ ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილების შედეგად დამდგარი დანაკლისი ჩაითვლება ზარალად და არა ზიანად და პარტნიორებმა ამ ზარალზე თანაბრად უნდა აგონ პასუხი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის პასუხისმგებლობა საწარმოს ზიანზე.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:
ვინაიდან დადგენილია, რომ ა. ტ.-მ და ვ. ც.-მ ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ ლაბორატორიულ ანალიზებში, სერტიფიკატებში, ეტიკეტებსა და სტიკერებში გადახდილი თანხა საერთო ჯამში 2130+2025.34=4155.34 ლარის ოდენობით, გაწეულია საწარმოს აუცილებელი ფუნქციონირებისათვის და იგი ვერ ჩაითვლება ვ. ც.-ს მიერ საწარმოსათვის მიყენებულ ზიანად. მითითებული თანხა საწარმოს მისამართის შეცვლის გამო მიჩნეულ უნდა იქნეს სამეწარმეო პროცესში საწარმოსათვის დამდგარ ზარალად და განაწილდეს ა. ტ.-სა და ვ. ც.-ს შორის.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორი ვალდებულია იზრუნოს სათანადო საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენაზე, რათა თავიდან აირიდოს დამატებითი გადასახადების გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამდგარი ზიანის ანაზღაურება დაეკისრება დირექტორს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.

- მოგების მაქსიმიზაცია.
- გადასახადების მინიმიზაცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
დადგენილია ის გარემოება, რომ მოპასუხემ, საზოგადოების დორექტორობის პერიოდში, საზოგადოების სალაროდან გაიტანა 350 ლარი მაგიდების და 1630 ლარი მაცივრების შესაძენად. ამ ნივთების შეძენის დოკუმენტაცია კი საწარმოში არ წარუდგენია. ვინაიდან საწარმოს არ გააჩნდა დოკუმენტალური დადასტურება ინვენტარის (მაგიდების და მაცივრების) შესაძენედ გაწეულ ხარჯზე, საწარმომ ამ თანხების მხოლოდ 75%-ის ჩვენება შეძლო ხარჯში, ხოლო 25%, რაც შეადგენს 495 ლარს, დაემატა საწარმოს მოგებას და დაიბეგრა მოგების გადასახადით ანუ 74.25 ლარით. შესაბამისად აღნიშნული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნა საფუძვლიანია.

ასევე დადგენილია, რომ ვ. ც.-ს საწარმოდან გატანილი აქვს 387.21 ლარის პროდუქცია, მისი განმარტებით რეკლამის მიზნით, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები მას არ წარუდგენია. შესაბამისად, აღნიშნული თანხა ჩაითვალა მიწოდებად და დაიბეგრა მოგების გადასახადით. ამდენად, საწარმოს მოთხოვნა მოპასუხისათვის 387.21 ლარისა და 34.37 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანია, ვინაიდან დოკუმენტაციის არ არსებობის გამო ორგანიზაციამ გაცემული პროდუქტის ხარჯში ჩვენება ვერ შეძლო. ვ. ც. ვალდებულია საწარმოს აუნაზღაუროს აღნიშნული ზიანი, რადგან იგი წარმოადგენდა რა საწარმოს დირექტორს ვალდებული იყო ეზრუნა სათანადო დოკუმენტაციის შედგენაზე, რათა აერიდებინა საწარმო დამატებითი გადასახადების გადახდისაგან.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ყოფილი დირექტორის გათავისუფლებიდან მის მიერ საწარმოსთვის საწარმოს ბეჭდის დაბრუნებამდე პერიოდში ბეჭდის არქონა საწარმოს ხელს არ უშლის პროდუქციის ლიკვიდაციაში. დირექტორს ამ საფუძვლით არ შეიძლება ზიანის ანაზღაურება დაეკისროს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- საწარმოს ბეჭედი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. პუნქტი 5.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
2.18. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

ამდენად, დაუსაბუთებელია შპს ს. კ. „ო.-ს პ.-ს“ მსჯელობა მასზედ, რომ ვინაიდან, საწარმოს ბეჭედი 2012 წლის 23 მარტამდე იმყოფებოდა მოპასუხესთან, ამიტომ მათ ვერ შეძლეს ვ. ც.-ს დირექტორობის დროს გაფუჭებული 2 663.70 ლარის ღირებულების პროდუქციის ლიკვიდაცია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. შესაბამისად, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა ბიუჯეტში ამ პროდუქციაზე მოგების სახით გადახდილი თანხის 236.34 ლარის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1919-15 (23 თებერვალი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე), ნატალია ნაზღაიძე, გოდერძი გიორგიშვილი

საკვანძო საკითხი:
არასწორი მენეჯმენტი – კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულების დარღვევა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელემ (საწარმო) მოითხოვა დირექტორისა და განყოფილების უფროსისთვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება. მოსარჩელე უთითებდა მოპასუხეთა მხრიდან ნაერთი შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის შესაბამის დამფინანსებელთან წარდგენის კონტროლის ვალდებულების დარღვევაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ განყოფილების უფროსს ამგვარი ვალდებულება არ ეკისრებოდა, ხოლო საწარმოს დირექტორის მხრიდან ადგილი არ ჰქონია არასწორ მენეჯმენტს. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აპელაციაში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს საწარმოში თითოეული მისი თანამშრომლის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის პასუხისმგებელ სუბიექტად. თანამშრომლის გადაცდომა დირექტორს ბრალად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეერაცხოს, თუ გადაცდომა არასწორი მენეჯმენტის შედეგია. დირექტორის მხრიდან არასწორი მენეჯმენტი შეიძლება გახდეს არა სამეწარმეო განსჯის წესის, არამედ კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევის საფუძველი. შედეგობრივი თვალსაზრისით, დირექტორის საქმიანობის არასწორ მენეჯმენტად ვერ შეფასებდება შესრულების 0,15%-ის სადავოობა. ჯეროვანი მენეჯმენტის დროსაც შეიძლება თანამშრომელმა სამსახურებრივი შეცდომა დაუშვას, რაც მენეჯერს ბრალად არ უნდა შეერაცხოს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ საქმეზე სარჩელით მოთხოვნილია დირექტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით საზოგადოებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ამ თვალსაზრისით მოსარჩელე მიუთითებს, რომ საზოგადოების დირექტორის მოვალეობას წარმოადგენდა ს. ც.-ს (მოსარჩელის) მიერ პაციენტთათვის გაწეული მომსახურების – ნაერთი შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის შესაბამის დამფინანსებელთან დადგენილი წესით და ვადებში სრულად წარდგენის კონტროლი.

ამ მოცემულობის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. აღნიშნულ მუხლში გაერთიანებულია გულმოდგინეობისა და ერთგულების მოვალეობების აღმნიშვნელი შინაარსი. გულმოდგინეობისა და ერთგულების მოვალეობები სამეწარმეო განსჯის წესის ინდიკატორებია, რისი

შეფასებაც, მოცემულ შემთხვევაში, არარელევანტურია, რადგან ადგილი არ აქვს დირექტორის მიერ სამეწარმეო გადაწყვეტილების შეფასებას. შესაბამისად, პალატა მსჯელობს მხოლოდდამხოლოდ მასზედ, დირექტორმა არასწორი მენეჯმენტით დაარღვია, თუ არა, კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის ვალდებულებები. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევებში გათვალისწინებულია, რომ დირექტორი საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ („მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9.6 მუხლი). დირექტორების პასუხისმგებლობა – ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია სასამსახურო ხელშეკრულებაში, რაც მხარეთა მიერ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე თანხმდება.

პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სარჩელით ზ. ს.-ს მიმართ მოთხოვნილია იმ ზიანის დაკისრება, რაც (მოსარჩელეთა განმარტებით) საზოგადოებას მიადგა გარკვეული დოკუმენტაციის სათანადო სტრუქტურაში წარუდგენლობის გამო და რომლის წარდგენის მოვალეობაც საზოგადოების კონკრეტულ თანამშრომელს ეკისრებოდა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით დირექტორი არ შეიძლება მიჩნეული იქნას მის საწარმოში (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში) თითოეული მისი თანამშრომლის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის პასუხისმგებელ სუბიექტად. დირექტორის ასეთი პასუხისმგებლობა არ გამომდინარეობს საზოგადოების (შპს) დირექტორის მოვალეობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებიდან. მითითებული პასუხისმგებლობა დირექტორის მიმართ შეიძლება იმ შემთხვევაში დადგეს, თუ თანამშრომლების გადაცდომა ისეთი ხასიათისაა, რაც დირექტორის მხრიდან განხორციელებულ არასწორ მენეჯმენტზე მეტყველებს. არასწორი მენეჯმენტი კი არ შეიძლება სამეწარმეო განსჯის წესის დარღვევად იქცეს, რადგან არასწორი მენეჯმენტი სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებას არ ეხება. არასწორი მენეჯმენტი დირექტორის მხრიდან კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევის საფუძველი შეიძლება გახდეს.

პალატა განმარტავს, რომ თანამშრომლის გადაცდომა დირექტორს, როგორც არასწორი მენეჯმენტის განმახორციელებელ პირს ბრალად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეერაცხოს, თუ გადაცდომა არასწორი მენეჯმენტის შედეგია. პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს არასწორი მენეჯმენტის გამო დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობაზე მსჯელობის წინაპირობები, ვინაიდან, მოსარჩელის დაზუსტებული ინფორმაციით სადავო (01.04.2011-01.11.2011) პერიოდში მომსახურება გაეწია 25 742 პაციენტს (ტ.4, ს.ფ. 103), ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის წარდგენა ვერ მოხერხდა 78 პაციენტზე, რაც მთლიანი რაოდენობის 0,15%-ია. ამდენად, სადავოა მხოლოდ შესრულების 0,15%, რაც შედეგობრივი თვალსაზრისით, დირექტორის საქმიანობის არასწორ მენეჯმენტად შეფასებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად ვერ იქნება განხილული. შესაბამისად, პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული გადაცდომა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მენეჯერის კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად, ვინაიდან სახეზე არ არის სისტემური გადაცდომა, ჯეროვანი შესრულებისა და გადაცდომის თანაფარდობის პირობებში, გადაცდომის მაღალი მაჩვენებელი და ა. შ. პალატა განმარტავს, რომ ჯეროვანი მენეჯმენტის დროსაც შეიძლება თანამშრომელმა სამსახურებრივი შეცდომა დაუშვას, რაც მენეჯერს ბრალად არ უნდა შეერაცხოს. ასეთ ვითარებაში კი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას კანონი არ აწესებს. ერთადერთი საფუძველი, რაც მენეჯერის პასუხისმგებლობის წინაპირობა შეიძლება გახდეს, მენეჯერის არაკეთილსინდისიერი ქცევაა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1235-1158-2015 (04 მარტი, 2016 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელემ პარტნიორთა განმეორებით კრებაზე დაამტკიცა წესდების ახალი რედაქცია, რომლის რეგისტრაციაზეც საჯარო რეესტრიდან მიიღო უარი. მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა. სასამართლომ განმარტა, რომ წესდების ახალი რედაქცია აუარესებდა რა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას, შესაბამისი ცვლილება უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კორპორაციული ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ მიჯნავს ერთმანეთისგან რეგისტრირებული წესდების პირობებში ახალი წესდების დამტკიცების და არსებული წესდების ცვლილების სამართლებრივ მნიშვნელობას. წესდების თავდაპირველი რედაქციის რეგისტრაციის შემდგომ, წესდების ყოველი მომდევნო ახალი რედაქციის დამტკიცება წარმოადგენს არსებული წესდების შეცვლას ახლით. წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებს პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას (ზღუდავს ან აუქმებს მის რეგისტრირებულ უფლებას, ამცირებს მოგებაში წილს ან ზრდის მის მონაწილეობას ზარალში და სხვ.), უნდა განხორციელდეს პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- საწარმოს წესდების ცვლილება.
- წესდების ახალი რედაქცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 5[1].,5[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 2.,5.ბ.

სრული განმარტების ციტირება:
4. ... მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივი წანამძღვრების დასაბუთებას ამყარებს 2014 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა კრების, მისი მიმდინარეობის და სამართლებრივი შედეგების (წესდების მიღების) შეფასებაზე, კერძოდ, თუ რა საწესდებო რეგულაციები უნდა გავრცელდეს პარტნიორთა კრებაზე წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების მიმართ იმავე დღის წესრიგით მოწვეული პარტნიორთა კრების ერთჯერადად ჩაშლის პირობებში. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ შემოთავაზებული სამეწარმეო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებისა და უკვე რეგისტრირებული წესდების ნორმათა სამართლებრივი ინტერპრეტაცია, სადავო შემთხვევაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის თაობაზე, არასწორია. არც კორპორატიული ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა და არც საწარმოს მოქმედი წესდება

არ მიჯნავს ერთმანეთისგან რეგისტრირებული წესდების პირობებში ახალი წესდების დამტკიცების და არსებული წესდების ცვლილების სამართლებრივ მნიშვნელობას; ამასთან, მოქმედი წესდების მე-5 მუხლი რომლის გამოყენების აუცილებლობაზეც მიუთითებდა მოსარჩელე, სწორედ რომ კრების კომპეტენციად წესდების ცვლილებას მოიაზრებს. წესდების თავდაპირველი რედაქციის რეგისტრაციის შემდგომ, წესდების ყოველი მომდევნო ახალი რედაქციის დამტკიცება წარმოადგენს არსებული წესდების შეცვლას ახლით და აღნიშნულის საწინაღმდეგო განმარტება სამართლებრივად დაუსაბუთებელია. მოსარჩელემ არ გაითვალისწინა სამეწარმეო კანონმდებლობის იმპერატიულ დანაწესი პარტნიორის რეგისტრირებული უფლების გაუქმების შემთხვევაში გამოსაყენებელი საკანონმდებლო რეგულაციების თაობაზე და აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით მას საკუთარი არგუმენტაცია სასამართლოსთვის არ წარუდგენია. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ კასატორმა დავის სასამართლოში მიმდინარეობის ეტაპზე ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნის რელევანტური მტკიცებულებების და კანონშესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაციის სასამართლოსთვის წარდგენა, საკასაციო პალატა წინამდებარე დავაზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას.

5. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და შესაბამისად დაადგინა: „...შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას (ზღუდავდა ან აუქმებდა მის რეგისტრირებულ უფლებას, ამცირებდა მოგებაში წილს ან ზრდიდა მის მონაწილეობას ზარალში და სხვ.) უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე“ (იხ. საქმე №ას-35-32-2015).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/6068-15 (330210014456465) (07 მარტი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე ცისკარიძე, ხათუნა არევაძე

საკვანძო საკითხი:
მეწარმე სუბიექტის მისამართის სისწორის მნიშვნელობა.

განჩინების რეზიუმე:
განცხადებით შპს მოითხოვდა მის წინააღმდეგ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას. არ დაკმაყოფილდა არც განცხადება და არც კერძო საჩივარი. სასამართლოს შეფასებით ის ფაქტი, რომ სამეწარმეო რეესტრში მითითებულ მისამართზე არ ფუნქციონირებს იურიდიული პირი და, შესაბამისად, მისთვის უწყების ჩაბარება შეუძლებელია, წარმოადგენს ამ უკანასკნელის რისკს.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს ავალდებულებს მიუთითოს სწორი იურიდიული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა და ამ მისამართზე გაგზავნილი კორესპონდენცია ოფიციალურად მისთვის ჩაბარებულად ითვლება. ის გარემოება, ამ მისამართზე ფუნქციონირებს თუ არა იურიდიული პირი, წარმოადგენს ამ უკანასკნელის რისკს და შესაბამისი პასუხისმგებლობის მატარებელიც ეს კონკრეტული იურიდიული პირია.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტის მისამართი.
- კორესპონდენციის ჩაბარება.
- იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).
- წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა.
- უწყების ჩაბარება.
- გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობა (საქმის წარმოების განახლება).
- საქმის წარმოების განახლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 26.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 422. ქვენაწილი 1.ბ.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 73. ნაწილი 8.

სრული განმარტების ციტირება:
რაც შეეხება კერძოს საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, კერძოდ ის გარემოება, რომ სამეწარმეო რეეტრში მითითებულულ იურიდიულ მისამართზე შპს „M.“ არ ფუნქციონირებს და კომპანიის საკონტაქტო პირი იყო ბატონი ჰ. ო., რომელიც შპს „M.“-ს სახელით ხელმძღვანელობდა სამუშაოებს მხარეთა შორის გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ეს უკნასკნელი კი ყოველდღიურ კონტაქტში იმყოფებოდა მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენლებთან, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება

წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად). შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია დაუსაბუთებელია და აღნიშნული არ წარმოადგენს სსსკ-ის 71-ე მუხლის მესამე ნაწლით გათვალისწინებული სარჩელის განუხილევალდ დატოვების საფუძველს, ვინაიდან კანონი იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს ავალდებულებს მიუთითოს სწორი იურიდიული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა და ამ მისამართზე გაგზავნილი კორესპონრესპონდეცია ოფიცილაურად მისთვის ჩაბარებულად ითველება. ხოლო ის გარემოება – ამ მისამართზე ფუნქციონირებს, თუ არა იურიდიული პირი წარმოადგენს ამ უკანასკნელის რისკს და შესაბამისი პასუხისმგებლობის მატარებელიც ეს კონკერტული იურიდიული პირია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-23-23-2016 (010210014605262) (09 მარტი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოს 100% წილის მქონე საწარმოს დირექტორს. პარტნიორის ბრძანებით, არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის გამო მოსარჩელე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. მოსარჩელე ითხოვდა სადავო ბრძანების გაუქმებას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-612-571-2017, №ას-240-228-2016, №ას-240-228-2016, №ას-725-693-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, ეს არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება მეწარმეთა შესახებ კანონით და რომლის მიმართაც შრომის კოდექსის გავრცელება არ შეესაბამება მეწარმეთა შესახებ კანონის მოთხოვნებს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
67. საკასაციო პლატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი რეგულირებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. შრომის კოდექსზე კი, როგორც მოცემული დავის მარეგულირებელ ნორმებზე კასატორის მითითებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ საქმეში, შესაფასებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის (შპს-ს) დირექტორის, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები საწარმოს ინტერესებთან მიმართებით. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას. ხოლო დირექტორი კი, არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

დირექტორის მიერ საწარმოს პარტნიორებთან შეუსაბამობასა და დაპირისპირებაში ყოფნა კანონთან და ბუნებრივია, პარტნიორებთან შეუსაბამოდ მიიჩნევა. სწორედ დირექტორის უნარ-ჩვევებსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება. ამ რისკის საკომპენსაციოდ კი, პარტნიორებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე, შრომის კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია ურთიერთობა საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით.

შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის ფუნქციათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავის გადაწყვეტად საქართველოს შრომის კოდექსით ხელმძღვანელობა კანონმდებლობით ნაკარნახევი არ არის.

68. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპიური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის, ეს არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა, რომლის მიმართაც შრომის კოდექსის გავრცელება არ შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის შრომითი ურთიერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შრომითსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. (სუსგ 2001 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №3კ/259-01, სუსგ 2003 წლის 26 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-68-767-03;)

72. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საწარმოს დირექტორის გათავისუფლების საფუძვლების შემოწმების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, იხ., სუსგ 3კ/259-01, 30 მარტი, 2001 წელი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სახელმწიფო ორგანოს მიერ საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული აქტი (ბრძანება) თავისი არსით განეკუთვნება მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა – საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- სამოქალაქო, თუ ადმინისტრაციული განსჯადობა.
- უწყებრივი ქვემდებარეობა.
- საგნობრივი განსჯადობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 6.ე.,8.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 11.
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 2.

სრული განმარტების ციტირება:

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას შესაბამისი სახელმწიფო ორგანო გამოსცემს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი – სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორი. შესაბამისად, საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება) თავისი არსით განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1015-958-2015 (18 მარტი, 2016 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება და ლიკვიდაცია.

განჩინების რეზიუმე:
1992 წელს დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი, მეწარმეთა კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ექვემდებარებოდა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 სექტემბრამდე და ამ ვადაში ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ჩაითვალა გაუქმებულად. მიუხედავად ამისა, საფეხბურთო კლუბი მონაწილეობდა ტურნირებში და ფინანსთა სამინისტროში რეგისტრირებული იყო მოქმედი გადამხდელის სტატუსით. საფეხბურთო კლუბის დამფუძნებლებმა აღიარებითი სარჩელი აღძრეს სასამართლოში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ იურიდიული პირის არსებობის ფაქტის დადგენისა და რეგისტრაციის მოთხოვნით. კასაციამ განმარტა განსხვავება საწარმოს გაუქმებასა და ლიკვიდაციის პროცესს შორის და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონით დადგენილი წესით, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა, რაც საწარმოს გაუქმების სამართლებრივი შედეგის გამომწვევია, სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების მაუწყებელია. საწარმოს გაუქმების შემდეგ იწყება სალიკვიდაციო პროცედურები. ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა საწარმოს, როგორც უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი სუბიექტის, სხვა სამართლებრივ რეჟიმში – სალიკვიდაციო პროცესში გადასვლას ნიშნავს. სხვადასხვა ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს გაუქმებული იურიდიული პირის ფუნქციონირების გახანგრძლივების შესაძლებლობას.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ლიკვიდაცია.
- საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება.
- საწარმოს რეგისტრაციის აღდგენა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[2].

სრული განმარტების ციტირება:
42. სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგიტრაციასავალდებულო ფაქტებს განეკუთვნება, როგორც საწარმოს დაფუძნება, ისე მისი გაუქმება; კორპორაციულად ორგანიზებული კაპიტალური საზოგადოებები, რომელთაგან კასატორი, შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, დარეგისტრირდა 1992 წელს, ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარებოდა მეწარმეთა კანონის ამოქმედებიდან (1995 წლის 1 მარტი) 1996 წლის 1 იანვრამდე, №578-ე დადგენილების საფუძველზე. დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტის შეუსრულებლობის, ანუ ხელახალი რეგისტრაციის 1996 წლის 1 იანვრამდე გაუვლელობის შემთხვევაში, გამოიყენებოდა მეწარმეთა კანონის 5.8. მუხლით (1996 წლის რედაქციით) მოქმედი წესები (იხ. ამ განჩინების მე-14 პუნქტი). წინამდებარე საკასაციო საჩივარი ეხება საწარმოს მიერ ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, მეწარმეთა კანონის 5.8. მუხლის გამოყენების შედეგად, განმარტებას იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის გაუქმება იმას ნიშნავს, რომ საწარმო აღარ არსებობს სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც სუბიექტი, თუ გაუქმების შემდეგ, ჯერ კიდევ არსებობს იურიდიული პირი, რადგან იგი არ ამოშლილა სამეწარმეო რეესტრიდან.

44. ... ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა, როგორც იურიდიული პირის გაუქმება, ნიშნავს თუ არა იმას, რომ დღეს იგი განიხილება, როგორც წარმონაქმნი, რომელსაც არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი და ასეთ წარმონაქმნად მისაჩნევად, რა სამართლებრივი საფუძველი არსებობს, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა აუქმებს იურიდიულ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს თუ გადააქცევს მას წარმონაქმნად, რომელიც არ არის იურიდიული პირი, მაგრამ საგადასახადო ვალდებულებები აქვს. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რათა დადგინდეს, მესამე პირთა წინაშე არსებული ვალდებულებებისა თუ მოთხოვნების გამო, რა სახის სუბიექტად შეძლებს მონაწილეობას ურთიერთობებში საფეხბურთო კლუბი, თუ იგი აღარ არსებობს სამოქალაქო ბრუნვაში.

45. ... მარეგისტრირებელი ორგანოების ვალდებულება, უზრუნველჰყონ რეგისტრირებული მონაცემების შენახვა, მონაცემთა სისწორის სადავოობის შემთხვევაში, არ შეიძლება გახდეს რეგისტრირებული პირის მტკიცების ტვირთი, რამდენად სწორად და რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა მისი რეგისტრაცია, რა საფუძველზე მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი და სხვ. (იხ. ამ განჩინების 27-ე, 28-ე პუნქტები) მით უფრო, რომ ამგვარი ვალდებულება კანონითაა დადგენილი (იხ. განჩინების მე-12 პუნქტი);

47. ... რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს ლიკვიდატორები და დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი.

ამ პროცესში უნდა დადგინდეს საზოგადოების კრედიტორები, საზოგადოების დარჩენილი ქონება უნდა გამოიხატოს ფულად თანხაში. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (სკ-ის 387-ე მუხლი), უნდა დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს საზოგადოების ყოფილ პარტნიორებსა და გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეზე საზოგადოებაში მათი წილი შესაბამისად“ (სუსგ №ას-768-1393-03, 19.05.2004წ.). საკასაციო სასამართლოს დასახელებული პრეცედენტი სწორედ იმ პოზიციას განამტკიცებს, რომ კანონით დადგენილი წესით ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა, რაც საწარმოს გაუქმების სამართლებრივი შედეგის გამომწვევია, სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების მაუწყებელია. მოცემულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, რომ ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა საწარმოს, როგორც უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი სუბიექტის სხვა სამართლებრივ რეჟიმში – სალიკვიდაციო პროცესში გადასვლას ნიშნავს.

48. ამ თვალსაზრისით საგულისმოა ევროპული კორპორაციული სამართლის გამოცდილება, კერძოდ, საგულისხმოა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდელობა გაუქმებული იურიდიული პირის ფუნქციონირების გახანგძლივების შესახებ ევროპული სამართლის მიხედვით:

48.1. ... ნიდერლანდების კანონმდებლობა ითვალისწინებს გაუქმებული კომპანიის შერწყმის ან გაყოფის შესაძლებლობას. იურიდიულ პირს აქვს ეს უფლებამოსილება მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით გაუქმდა.

48.2. ფრანგული კომპანია შეიძლება გაუქმდეს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იგი დაფუძნდა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ვადა იურიდიული აქტის მეშვეობით გახანგრძლივდა) ან მისი მიზნის შესრულებით ან გაუქმებით (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1844-5, 1844-7 და 1844-8); აუცილებლად უნდა მოხდეს გაუქმებული ფრანგული კომპანიის ლიკვიდაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა (i) შერწყმის მეშვეობით ის სხვა კომპანია ხდება, (ii) გაყოფის მეშვეობით მისი ქონება გადაეცემა სხვა კომპანიას ან (iii) ან ჰყავს ერთი აქციონერი, რა შემთხვევაშიც კომპანიის აქტივები გადადის აღნიშნული პირის ხელში. გაუქმებულ კომპანიას უფლება არ აქვს განახორციელოს შერწყმა ან გაყოფა, რის შედეგადაც მასში გაერთიანდება სხვა კომპანია ან იგი მოიპოვებს სხვა კომპანიის კაპიტალს.

48.3. ... გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ კომპანიის არსებობის გახანგძლივებას, რომელიც უკვე გაუქმებულია ათწლეულების განმავლობაში. აღნიშნული გარემოება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ არც ინდივიდუალური აქციონერი და არც აქციონერთა უმცირესობა არ არის უფლებამოსილი იმ კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც უკვე გაუქმებულია. ივარაუდება, რომ, როდესაც კომპანიის ამოცანა იცვლება გაუქმების შედეგად, ორგანიზაციის მიზანი შეიძლება კვლავ შეიცვალოს კომპანიის აღდგენის მოტივით. გაუქმებული კომპანიის აღდგენის გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

48.5. ბელგიური კომპანია გაუქმების შემდეგ ლიკვიდაციის მიზნისთვის აგრძელებს არსებობას. იგი ფუნქციონირებას წყვეტს ლიკვიდაციის დასრულების დროს. ლიკვიდაცია მთავრდება მას შემდეგ, რაც საერთო კრება

ლიკვიდატორს მისცემს თავისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას ან სასამართლო გადაწყვეტილებით კომპანიის გაუქმების შემთხვევაში, ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესს დასრულებულად სასამართლო აცხადებს.

48.6. გაუქმებული ესპანური კომპანია კვლავ აგრძელებს არსებობას, მისი აქტივების ლიკვიდაციის განმავლობაში.

48.7. იტალიაში, კომპანიის დირექტორები ინარჩუნებენ საწარმოს მართვის ძალაუფლებას „კომპანიის მთლიანობისა და კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების მიზნით“ იმ მომენტიდან, როდესაც მათ ეცნობებათ კომპანიის გაუქმების შესახებ და როცა ლიკვიდატორები დაინიშნებიან. ლიკვიდაციის პროცესის დროს, კომპანიის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მარეგულირებელი დებულებები კვლავ ძალაში რჩება, სადაც შესაძლებელია. გაუქმებული კომპანია შეიძლება იყოს შერწყმის ან გაყოფის პროცესის მონაწილე მხარე იმ პირობით, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუწყია თავისი კაპიტალის განაწილება აქციონერებისადმი. გაუქმებულ კომპანიას შეუძლია შეწყვიტოს გაუქმების პროცესი ლიკვიდაციის პროცედურის დასრულებამდე, საერთო კრების დადგენილებით, თუ გაუქმების საფუძველი აღარ არსებობს.

48.8. ინგლისური კომპანიები ბიზნეს საქმიანობას წყვეტენ იმ მომენტში, როცა იგი უქმდება. მაგრამ კომერციული საქმიანობა შეიძლება დროებით განახლდეს კომპანიის ლიკვიდაციის მიზნებისთვის.

49. სხვადასხვა ქვეყნის ევროპული სამართლის ნორმათა მოხმობით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს გაუქმების შემდეგ იწყება სალიკვიდაციო პროცედურები.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/6136-15 (08 აპრილი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს წარმომადგენელი საკორპორაციო ჩიხის დროს.

განჩინების რეზიუმე:
საწარმოს დირექტორი, რომელიც ამავე საწარმოს 50% წილის მფლობელია, ედავებოდა საწარმოს. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაშვების გამო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. აპელაციამ გააუქმა დაუშვებლობის შესახებ განჩინება, რადგან დაადგინა, რომ მოპასუხეს გზავნილი არ ჩაბარდა სათანადო წესით, ხოლო სათანადო წესით ჩაბარების შემდეგ საჩივარი წარმოდგენილი იყო ვადის დაცვით.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – როდესაც საწარმოს დირექტორი და მოსარჩელე ერთი და იგივე პირია, ამ საწარმოს წარმომადგენლობას პარტნიორთა კრება ახორციელებს, თუ სახეზე არ არის სამეთვალყურეო საბჭო. თუ მოსარჩელე დირექტორი ამავე დროს მოპასუხე საწარმოს საწარმოს 50%-ის მესაკუთრეა, გზავნილი საწარმოს მეორე პარტნიორს უნდა ჩაბარდეს.

განმარტებული საკითხები:
- საკორპორაციო ჩიხი.
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- უწყების ჩაბარება იურიდიული პირისთვის (ორგანიზაციისთვის).
- უწყების ჩაბარება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტი 4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 73. ნაწილი 8.

სრული განმარტების ციტირება:
განსახილველ საქმეში, მოსარჩელეა დ. ხ., ხოლო მოპასუხე შპს „ფ.“ (ს.ფ. 1-14). ამასთან, დ. ხ. შპს „ფ.-ს“ დირექტორია (ს.ფ. 17), შესაბამისად, წინამდებარე საქმეში მოპასუხისათვის გზავნილის (2015 წლის 14 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების) ჯეროვანი ჩაბარებისათვის იგი შპს „ფ.-ს“ 50% წილის მესაკუთრეს, გ. ბ.-ს უნდა ჩაბარდეს. ამგვარი დასკვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველია გარემოება მასზედ, რომ როდესაც საწარმოს დირექტორი და მოსარჩელე ერთიდაიგივე პირია, ამ საწარმოს წარმომადგენლობას პარტნიორთა კრება ახორციელებს, თუ რაღა თქმა უნდა, სახეზე არ არის სამეთვალყურეო საბჭო. ვინაიდან მოპასუხე საწარმოს 50%-ის მესაკუთრე მოსარჩელე დ. ხ., ამიტომ გზავნილი საწარმოს მეორე პარტნიორს უნდა ჩაბარებოდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გზავნილის ჩაბარება საწარმოს ბუღალტრისთვის, რაც არ შეიძლება სათანადო ჩაბარებად ჩაითვალოს.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტის მისამართი.
- უწყების ჩაბარება იურიდიული პირისთვის (ორგანიზაციისთვის).
- უწყების ჩაბარება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 73. ნაწილები 6.,8.

სრული განმარტების ციტირება:
გზავნილის ჩაბარების ვალდებულება მოსარჩელე, დ. ხ.-მ იკისრა (ს.ფ. 133) და 2015 წლის 20 ოქტომბერს შპს „ფ.-ს“ ბუღალტერს ჩააბარა (ს.ფ. 135), რაც არ შეიძლება სათანადო ჩაბარებად ჩაითვალოს, რომ არაფერი ითქვას თვით საფოსტო უფლებამოსილების განხორციელების ნაკლიან ლეგიტიმაციაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3120-15 (330210014590897) (25 აპრილი, 2016 წელი)
მოსამართლეები: თამარ ალანია (თავმჯდომარე), გიორგი გოგინაშვილი, თამარ ზამბახიძე

საკვანძო საკითხი:
აქციონერის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
აქციონერები ითხოვდნენ მათი გარიცხვის შესახებ აქციონერთა საერთო კრების ოქმის ბათილად ცნობას. გარიცხვის საფუძვლად გარიცხულ აქციონერთა მხრიდან ზიანის მიყენების სადავო ფაქტი, ასევე სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა, სასამართლომ არ მიიჩნია გარიცხვის მართლზომიერ საფუძვლად. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – აქციონერებს, რომელთაც აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის, გააჩნიათ საერთო კრებაში მონაწილეობის და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებული აქციონერის უფლებების საერთო კრებაზე რეალიზების უფლება (ხმის უფლება, კონტროლის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, საწესდებო კაპიტალის და წესდების ცვლილების საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება და ა. შ.).

განმარტებული საკითხები:
- აქციონერის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53.

სრული განმარტების ციტირება:
აქციონერებს, რომელთაც აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის, გააჩნიათ საერთო კრებაში მონაწილეობის და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებული აქციონერის უფლებების საერთო კრებაზე რეალიზების უფლება (ხმის უფლება, კონტროლის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, საწესდებო კაპიტალის და წესდების ცვლილების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება და ა. შ.).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – არამართლზომიერია აქციონერებს არ მიეცეთ პარტნიორთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება სხდომაზე დაგვიანების მოტივით.

განმარტებული საკითხები:
- საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება.
- აქციონერის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მსჯელობას მასზედ, რომ ვინაიდან აქციონერები კრებაზე დაგვიანებით გამოცხადდნენ, მათ კრებაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება აღარ გააჩნდათ. პალატა მიუთითებს, რომ ასეთი სახის შეზღუდვას კანონმდებლობა არ იცნობს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, აქციონერები კრების დაწყებიდან უმოკლეს დროში ახორციელებდნენ ზომებს კრებაში მონაწილეობის მიღების მიზნით და მიმართავდნენ სამართალდამცავ ორგანოებს დასახმარებლად. შესაბამისად, დგინდება, რომ მოსარჩელე აქციონერებს არამართლზომიერად არ მიეცათ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებების საერთო კრებაზე რეალიზების საშუალება დაგვიანების მოტივით. ზემოაღნიშნულმა პროცედურულმა დარღვევამ და აქციონერების გარეშე პარტნიორთა კრების ჩატარებამ, თავის მხრივ, განაპირობა აქციონერების კანონით გათვალიწინებული უფლებების დარღვევა, რაც გულისხმობს საწარმოს პარტნიორების მიერ მმართველობით უფლებამოსილებას განხორციელებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად, ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

განმარტებული საკითხები:
- სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა.
- აქციონერის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები განსაზღვრულია ამავე კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტით და მათ შორის აქციონერის გარიცხვის უფლება არ არის გათვალისწინებული. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამდენად, პალატა მიუთითებს, რომ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო კრების ოქმით საზოგადოებიდან პარტნიორების გარიცხვა არ მომხდარა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე შესანატის შეუტანლობის მოტივით. კრების ოქმით დგინდება, რომ გადაწყვეტილება საზოგადოებიდან პარტნიორების გარიცხვის თაობაზე მიღებული იქნა აქციონერის უფლებების არაკეთილსინდისიერად გამოყენების, საზოგადოების განვითარების ხელისშემშლელი ქმედებების, საზოგადოების ადმინისტრაციის და უმრავლეობაში მყოფ აქციონერთა მიმართ არაჯანსაღი პარტნიორული დამოკიდებულების და ერთობლივი საქმიანო-

ბის წარმართვის გამომრიცხავი სისტემატური ქმედებების ჩადენის, ასევე საზოგადოებისთვის 41 704 აშშ დოლარის და 147 300 ლარის ზიანს მიყენების გამო, საზოგადოების წესდების 2.10 პუნქტის შესაბამისად (იხ.: 09.07.2014წ. კრების ოქმი, ტ. I, ს.ფ. 14-18).

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ. წესდებით მინიჭებული გარიცხვის უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. აქციონერთა უფლება, გარიცხონ სხვა აქციონერი სააქციო საზოგადოებიდან, სააქციო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით, თუ ზიანის მიყენების ფაქტი სადავოა, სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში უფლების არამართლზომიერი გამოყენებაა. აქციონერთა მხრიდან დარღვეულად მიჩნეული უფლების დაცვისა თუ აღდგენის მიზნით სასამართლოს და სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა წარმოადგენს პირის კანონით გარანტირებულ უფლებას და მისი რეალიზაცია არ შეიძლება განიხილებოდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებად.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- სააქციო საზოგადოებიდან აქციონერის გარიცხვა.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- აქციონერის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
სს „ი.-ს“ წესდების, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაში პარტნორის გარიცხვის შესაძლებლობის დაშვების ჩანაწერთან მიმართებაში პალატა განმარტავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ყოველი უფლება, კანონით გათვალისწინებული, თუ ხელშეკრულებით მინიჭებული, უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, კეთილსინდისერად. შესაბამისად, აქციონერთა უფლება, გარიცხონ სხვა აქციონერი სააქციო საზოგადოებიდან, სააქციო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით, თუ ზიანის მიყენების ფაქტი სადავოა, სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში უფლების არამართლზომიერი გამოყენებაა. აქციონერის საზოგადოებიდან გარიცხვა – მისი კუთვნილი წილის ჩამორთმევა, წარმოადგენს საზოგადოების მიერ აქციონერისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვას, რაც მოცემულ შემთხვევაში, აქციონერის მიერ სააქციო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით განხორციელდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აქციონერის სააქციო საზოგადოებიდან გარიცხვითა და გარიცხული აქციონერის წილის მიკუთვნებით საზოგადოებამ განახორციელა საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებამ ცალმხრივად დაადგინა რა ზიანის ფაქტი, მოიწვია კრება და სააქციო საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნებისათვის მოახდინა აქციონერთა სააქციო საზოგადოებიდან გარიცხვა. პალატა თვლის, რომ სს „ი.-ს“ აქციონერთა კრების სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობის დადგენილ წესს. იგი ეფუძნება საზოგადოების პრეტენზიას ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, შესაბამისი უფლების დაცვა სასამართლო წესით არ ყოფილა განხორციელებული. სს „ი.-ს“ მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი არც წინამდებარე საქმის განხილვისას ყოფილა

წარდგენილი, რაც შეიძლებოდა, გამხდარიყო ზიანის ფაქტის არსებობასა და ზიანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობაზე მსჯელობის საფუძველი. მიუხედავად აღნიშნულისა, პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს, რომ პირს შეიძლება, დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმგვარი ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლისა. დარღვეულად მიჩნეული უფლების დაცვისა თუ აღდგენის მიზნით სასამართლოს და სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა წარმოადგენს პირის კანონით გარანტირებულ უფლებას და მისი რეალიზაცია არ შეიძლება, განხილულ იქნეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებად [იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.12.2011წ. გადაწყვეტილება, ტ. I, ს.ფ. 51-57)].

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1179-1109-2015 (20 მაისი, 2016 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დედობილი და შვილობილი საწარმოები.

განჩინების რეზიუმე:
სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა პირველი (დამფუძნებელი) საწარმოს სამართალმემკვიდრედ მეორე (შვილობილი) საწარმოს ცნობა და ამ უკანასკნელისათვის მოსარჩელისთვის დივიდენდის გადახდის დაკისრება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ შვილობილი საწარმო არ შეიძლება იყოს დამფუძნებელი (დედობილი) საწარმოს სამართალმემკვიდრე. საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – უფლებამონაცვლეობა არის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობა და იგი გამომდინარეობს კანონიდან. საწარმოს დაფუძნება არ წარმოადგენს საწარმოს რეორგანიზაციის ფორმას. შვილობილი საწარმო არ შეიძლება იყოს დამფუძნებელი (დედობილი) საწარმოს სამართალმემკვიდრე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს რეორგანიზაცია.
- შვილობილი საწარმო (სუბსიდიარი).
- საწარმოს სამართალმემკვიდრეობა.
- საწარმოს უფლებამონაცვლეობა.
- დედობილი საწარმო.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14[4]. პუნქტი 1.,4.

სრული განმარტების ციტირება:
23. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომელიც წინამდებარე განჩინების მე-14 პუნქტშია ასახული და აღნიშნავს, რომ მეწარმეთა კანონით (როგორც 2010 წელს, ისე ამჟამად მოქმედი რედაქციით), განსაზღვრულია საწარმოთა სამართალმემკვიდრეობის საფუძველი. საწარმოთა უფლებამონაცვლეობას ადგილი აქვს საწარმოს რეორგანიზაციის დროს, რაც მოიცავს საწარმოთა რეორგანიზაციის შემდეგ სახეებს: გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა) – (იხ. მეწარმეთა კანონის 14[4] მუხლის პირველი ნაწილი).

24. სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და აღნიშნავს, რომ აუდიტორის დასკვნა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საწარმოთა უფლებამონაცვლეობის საკითხის დადგენას.

25. ... საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოთა უფლებამონაცვლეობა არის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობა და იგი გამომდინარეობს კანონიდან. განსახილველ შემთხვევაში მეორე საწარმო არ არის პირველი საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტი. ეს უკანასკნელი მეორე საწარმოს დამფუძნებელია, რაც გამორიცხავს მეორე საწარმოს მისი დამფუძნებელი საწარმოს სამართალმემკვიდრედ ცნობის სამართლებრივ შესაძლებლობას. თითოეული საწარმო დამოუკიდებელი სუბიექტის სახით ირიცხება სამეწარმეო რეესტრში (იხ. ამონაწერები – ტ.1, ს.ფ. 186-187, 200-201).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-457-436-2015 (06 ივნისი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
მიუღებელი დივიდენდის მოთხოვნა.

განჩინების რეზიუმე:
სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის (საწარმოს პარტნიორი) მოთხოვნა მოპასუხეზე დივიდენდის სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე, რადგან მოგების დივიდენდის სახით განაწილება-არგანაწილებაზე საერთო კრების გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში შეუძლებლად მიიჩნია შეეფასებინა საერთო კრების მიერ საკუთარი დისკრეციის გამოყენების მართლზომიერება.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-552-527-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე. თუ დირექტორის მიერ მისი ფიდუციური მოვალეობების (ზრუნვის ან ერთგულების მოვალეობის) დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და კომპანიისვე სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა, თუმცა ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის, და არა პირადად მისთვის, მიყენებულ ზიანზე.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ერთგულების მოვალეობა.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
42. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება „ფიდუციური მოვალეობები“, და სხვასთან ერთად მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

43. ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგა-

დოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის იმავე მე-9.6 მუხლიდან, რომლის შესაბამისადაც, დირექტორი საკუთარი მოვალეობების დარღვევისაგან წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

44. შესაბამისად, თუ დირექტორის მიერ მისი მოვალეობების (ზრუნვის ან ერთგულების მოვალეობის) დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 46.5), თუმცა ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის, და არა პირდად მისთვის, მიყენებულ ზიანზე.

45. მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის წინააღმდეგ პატნიორმა სარჩელი აღძრა საკუთარი სახელით და მიუთითებდა უშუალოდ მის მიმართ მიყენებულ ზიანზე. პარტნიორი ზიანად მიიჩნევდა საწარმოს მიერ გაუცემელ დივიდენდს, რომელსაც, მისი მითითებით, საზოგადოების პარტნიორთა კრება გასცემდა დირექტორის მიერ სწორი ფინანსური დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. ასეთი სახით, პარტნიორის მოთხოვნას დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სრულად პარტნიორთა კრების დისკრეციას. აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში სასამართლო შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორთა კრება არამართლზომიერად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას. დამატებითი დივიდენდის გაცემის თაობაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე, შპს-ს ნებისმიერი პარტნიორი ვალდებულია აღნიშნულის განხილვა მოსთხოვოს პარტნიორთა კრებას. განხილვაზე უარის შემთხვევაში პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რომ დაავალდებულოს კომპანია, მოიწვიოს პარტნიორთა კრება. დამატებითი დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე პარტნიორთა კრების რამე გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში შეუძლებელია, სასამართლომ შეამოწმოს, ჰქონდა თუ არა ადგილი პარტნიორთა კრების მიერ საკუთარი დისკრეციის არამართლზომიერ გამოყენებას.

განმარტებული საკითხები:
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- პარტნიორთა საერთო კრება.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:
48. როგორ კანონით, ისე კომპანიის წესდებით, გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სრულად პარტნიორთა კრების დისკრეციას. საწარმოს პარტნიორთა აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში კი სასამართლო შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი

უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს.

49. დამატებითი დივიდენდის გაცემის თაობაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე, შპს-ს ნებისმიერი პარტნიორი ვალდებულია აღნიშნული საკითხის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, მოსთხოვოს პარტნიორთა კრებას. თუ დივიდენდის განაწილების საკითხის განსახილველად პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ მისი მოთხოვნა საწარმოს მიერ არ კმაყოფილდება, პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რომ სასამართლომ დაავალდებულოს კომპანია მოიწვიოს პარტნიორთა კრება.

51. ... დამატებითი დივიდენდის გაცემაზე პარტნიორთა მიერ არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ასეთ პირობებში კი, როცა არ არსებობს პარტნიორთა კრების რაიმე (დადებითი ან უარყოფითი) გადაწყვეტილება დამატებითი დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე, შეუძლებელია სასამართლომ შეამოწმოს ჰქონდა თუ არა ადგილი პარტნიორთა კრების მიერ საკუთარი დისკრეციის არამართლზომიერ გამოყენებას. ასეთ პირობებში შეუძლებელია, დირექტორის მოქმედებასა და დივიდენდის არგაცემას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენაც, რადგან სასამართლომ რომც გაიზიაროს მოსარჩელის მითითება, რომ შპს-ში დივიდენდის განაწილების დროს პარტნიორთა კრება ეყრდნობოდა დირექტორის მიერ წარდგენილ არასწორ ფინანსურ მონაცემებს, ვერ დგინდება პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ამ მონაცემების წარდგენასა და დივიდენდის ნაკლები ოდნობით გაცემას შორის, რადგან შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, უფრო მეტი ფინანსური რესურსის პირობებში რა გადაწყვეტილებას მიიღებდა პარტნიორთა კრება, მიმართავდა თუ არა იგი მთელ მოგებას დივიდენდის გასაცემად, თუ გამოიყენებდა მას სხვა დანიშნულებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-252-240-2016 (330210013321007) (10 ივნისი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განჩინების რეზიუმე:
კასატორი მოითხოვდა, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარგებლის გადახდისგან გათავისუფლებასა და შედარების აქტის ნამდვილად ცნობას, მესამე პირებთან დირექტორის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებათა შეუზღუდაობაზე დაყრდნობით. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეწარმეო სუბიექტის წესდებით დაწესებული შეზღუდვა გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ან, თუ ამგვარი შეზღუდვის არსებობა ცნობილი იყო სადავო გარიგების ხელშემკვრელი მხარისათვის. საწარმოს პარტნიორისა და მისი წარმომადგენლისთვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს კომპანიის წესდების შინაარსი და, აქედან გამომდინარე, წესდებით საზოგადოების დირექტორისა და პარტნიორთა კრებისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და დაწესებული შეზღუდვების თაობაზე.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
21. ... რაც შეეხება კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ დადგენილი პრაქტიკით შპს-ს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა გავლენას ვერ მოახდენს დირექტორის მიერ დადებული გარიგებების ნამდვილობაზე მესამე პირთა მიმართ, ვერ იქნება გაზიარებული იმ თვალსაზრით და იმ ასპექტში, რომ სამეწარმეო სუბიექტის წესდებით დაწესებული შეზღუდვა გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე იმ შემთხვევაში თუ, იგი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ან თუ ამგვარი შეზღუდვის არსებობა ცნობილი იყო სადავო გარიგების ხელშემკვრელი მხარისათვის. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თავდაპირველი მოსარჩელის და მისი წარმომადგენლის ბ. ფ-ისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო კომპანიის წესდების შინაარსი და აქედან გამომდინარე, წესდებით განსაზღვრული საზოგადოების დირექტორისა და პარტნიორთა კრების უფლებამოსილებებისა და დაწესებული შეზღუდვების თაობაზე. ამდენად, მართებულია დასკვნა, რომ 11.01.2010 წლის შედარების აქტიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნის უფლებაზე კასატორის პრეტენზიას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია და ამასთან, ამავე აქტის ბათილობის ნაწილში გასჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი სახეზე არ არის.

მცხეთის რაიონული სასამართლო
საქმის №2/857-15 (16 ივნისი, 2016 წელი)
მოსამართლე: თამარ ხაჟომია

საკვანძო საკითხი:
დირექტორის კომპენსაცია და შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე (ყოფილი გენერალურ დირექტორი) მოითხოვდა კომპენსაციის, მიუღებელი ხელფასისა და მიუღებელი პრემიის ანაზღაურებას. მოპასუხემ (შპს) შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება. სარჩელთან მიმართებით, სასამართლომ მხარეთა შორის დადებული სასამსახურო ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად დააკმაყოფილა კომპენსაციისა და მიუღებელი პრემიის მოთხოვნები (ნამუშევარი პერიოდის პროპორციულად), ხოლო მიუღებელი ხელფასის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა (მართალია დაადგინა საწარმოს მხრიდან წინასწარი შეტყობინების ვალდებულების დარღვევა, თუმცა განმარტა, რომ შრომის სამართალში მოქმედი იძულებითი მოცდენის ანაზღაურების მსგავს ინსტიტუტს საკორპორაციო სამართალი არ იცნობს და არც მხარეთა შორის ხელშეკრულებით ყოფილა მსგავსი ვალდებულება გათვალისწინებული). შეგებებულ სარჩელთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა დირექტორის მიერ შიდაკორპორაციული შეზღუდვის დარღვევა, თუმცა, ამავე დროს, დირექტორის მოქმედება შეაფასა ფიდუციური ვალდებულებების დაცვად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პირის საზოგადოების დირექტორად გამწესება მის მიმართ განსაკუთრებულ ნდობაზე მიუთითებს. დირექტორის ანგარიშვალდებულება პარტნიორების წინაშე არ შეიძლება, შეფასდეს, როგორც სუბორდინაცია, დაქვემდებარება პარტნიორებისა და მათი მითითებებისადმი. დირექტორი საქმეებს უძღვება დამოუკიდებლად და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს იღებს საკუთარი ნებით. შესაძლოა, დაწესებული იყოს პარტნიორთა კრების თანხმობა კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ, საბოლოოდ, გადაწყვეტილებას იღებს თავად დირექტორი. უფრო მეტიც, მოვალეობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის საზოგადოების წინაშე მისი პასუხისმგებლობა არ წყდება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 4.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.

სრული განმარტების ციტირება:
6.1. ... სასამართლო განმარტავს, რომ სასამსახურო ხელშეკრულების მიზანი არის საზოგადოების შიგნით, დირექტორსა და პარტნიორებს შორის არსებული ურთიერთობის რეგულირება. ამ ურთიერთობის ფარგლებში დირექტორის მხრიდან თავისი ფუნქციების განხორციელება, დირექტორის მოვალეობების შესრულება წარმოშობს ანაზღაურების მიღების უფლებას.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან დირექტორი ხდება იურიდიული პირის ორგანული ნაწილი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი იური-

დიული პირის სრულუფლებიანი მმართველი და წარმომადგენელია, იღებს გადაწყვეტილებებს იურიდიული პირის საქმიანობის ფარგლებში. მას მინდობილი აქვს საზოგადოების მართვა, საზოგადოების საქმიანობა, მისი ხელმძღვანელობა დასახული მიზნის მისაღწევად. იურიდიული პირის კეთილდღეობა დიდწილად არის დამოკიდებული დირექტორის ეფექტურ საქმიანობაზე, ამდენად, პირის საზოგადოების დირექტორად გამწესება დამფუძნებლის მხრიდან მის მიმართ განსაკუთრებულ ნდობაზე მიუთითებს. დირექტორზე ხდება მინდობილი საზოგადოების საქმიანობის მიზნის ეფექტური განხორციელება. მისი ანგარიშვალდებულება პარტნიორების წინაშე არ შეიძლება, შეფასდეს, როგორც სუბორდინაცია, დაქვემდებარება პარტნიორებისადმი და მათი მითითებებისადმი. დირექტორის ანგარიშვალდებულება პარტნიორების წინაშე შემოიფარგლება მისი მოვალეობით, საზოგადოება მართოს მისი მიზნის (სამეწარმეო თუ არასამეწარმეო) განსახორციელებლად. თუმცა, იგი საქმეებს უძღვება დამოუკიდებლად, კონკრეტულ გადაწყვეტილებებს იღებს საკუთარი ნებით და არ არის დამოკიდებული პარტნიორთა მითითებაზე. რიგ შემთხვევებში შესაძლოა, დაწესებული იყოს პარტნიორთა კრების თანხმობა კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ საბოლოოდ, გადაწყვეტილებას იღებს თავად დირექტორი და უფრო მეტიც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების ხელმძღვანელის ვალდებულება, სოლიდარულად აგოს პასუხი მისი მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე, არ წყდება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად. იგი საზოგადოებას მართავს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ და არ ექვემდებარება მითითებებს. მნიშვნელოვანია ასევე ფინანსური პასუხისმგებლობის კრიტერიუმიც. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული ნორმის მე-2 წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, თუკი ხელმძღვანელი პირი არ შეასრულებს პირველ წინადადებაში მითითებულ მზრუნველობის ვალდებულებას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების ხელმძღვანელ პირს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება მისი საქმიანობით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

OD – საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა და მის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები, თუკი სპეციალური ნორმით, ხელშეკრულებით ან წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ისეთი საკითხების მოსაწესრიგებლად, რომლის რეგულირებასაც არ მოიცავს არც კანონი „მეწარმეთა შესახებ“, არც კონკრეტული ხელშეკრულება და არც წესდება, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები ხელშეკრულებათა შესახებ, ხოლო არასაკმარისი რეგულირების შემთხვევაში, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად, იხელმძღვანელოს კანონის ანალოგიით ან სამართლის ანალოგიით.

განმარტებული საკითხები:

- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- სამართლის ანალოგია.
- კანონის ანალოგია.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 5. პუნქტები 1.,2.

სრული განმარტების ციტირება:
6.1. ... „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, რომელიც დამფუძნებელსა და დირექტორს შორის არსებული კორპორატიულ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს, ეს ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებით და ხელშეკრულებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოიცავს ასევე საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სპეციალურ დებულებებს. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, მის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები, თუკი სპეციალური ნორმით, ხელშეკრულებით ან წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ წარმოიშვას ისეთი საკითხები, რომლის რეგულირებასაც არ მოიცავს არც კანონი „მეწარმეთა შესახებ“, არც კონკრეტული ხელშეკრულება და არც წესდება. ასეთ შემთხვევაში საკითხის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, სასამართლომ უნდა გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები ხელშეკრულებათა შესახებ, ხოლო არასაკმარისი რეგულირების შემთხვევაში, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, უნდა იხელმძღვანელოს ყველაზე მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმით (კანონის ანალოგია), ან სამართლის ზოგადი პრინციპებით (სამართლის ანალოგია).

მაგალითისთვის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ მოიცავს ისეთი საკითხების რეგულირებას, როგორიცაა დირექტორისთვის სამუშაო პირობების შექმნა, სამსახურებრივი მივლინებების ანაზღაურება, შვებულებით სარგებლობა, მისი ხანგრძლივობა, სამუშაო დრო და დასვენების დრო, სამუშაოს დაწყების დრო და ა. შ. როგორც წესი, ამ საკითხებს მხარეები ხელშეკრულებაში ასახავენ.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მითითება „შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის გამოყენებაზე, არ აწესებს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, არამედ – განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურას. ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობები წესრიგდება თავად ხელშეკრულებით, წესდებით და სამოქალაქო კოდექსის ნორმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს კანონი არ აწესებს და ამით, სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისგან განსხვავებით, დირექტორის გათავისუფლების დროს პარტნიორთა კრებას შედარებით თავისუფლებას ანიჭებს, რაც, როგორც წესი, დაბალანსებულია დირექტორის გათავისუფლებისას მისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებით. კომპენსაციის გადახდის ვალდებულების წარმოშობა შეიძლება დაუკავშირდეს გათავისუფლების საფუძველს, თუკი გათავისუფლება დირექტორის ვალდებულებების დარღვევით არის გამოწვეული.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორის გასამრჯელო.
- კომპენსაციის გადახდა.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.

სრული განმარტების ციტირება:
6.1. ... ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების უშუალო მოწესრიგებას არ მოიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, თუმცა, შეწყვეტის პროცედურასთან მიმართებაში საგულისხმოა, რომ მისი მე-7[2] პუნქტი მითითებას აკეთებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 38-ე მუხლის გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ მითითებულ ნორმაში მოხსენიებული შრომის კოდექსის მუხლი არ აწესებს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, არამედ – განსაზღვრავს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურას. საფუძვლები 37-ე მუხლშია ჩამოთვლილი. 38-ე მუხლი კი ეხება ხელშეკრულების შეწყვეტის წესს. ამდენად, დამფუძნებლის ან თავად ხელმძღვანელი პირის ინიციატივით, ან სხვა საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი წინაპირობები წესრიგდება თავად ხელშეკრულებით, წესდებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სტაბილურობა დაკავშირებულია სწორედ მიზნის შესაბამისად საზოგადოების ეფექტურად მართვასთან. წარმოუდგენელია, საკანონმდებლო რეგულირებამ „აიძულოს“ დამფუძნებელი, დარჩეს სამართლებრივ ურთიერთობაში მისთვის არასასურველ პირთან და კვლავ მიანდოს მას მმართველობითი ფუნქციის განხორციელება. ასეთი მიდგომა წინააღმდეგობაში მოვიდოდა საზოგადოების ინტერესებთან და, შესაბამისად, თავად მმართველობითი ორგანოს საქმიანობის პრინციპებთან. აქედან გამომდინარე, დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს კანონი არ აწესებს და ამით სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისგან განსხვავებით, დირექტორის გათავისუფლების დროს პარტნიორთა კრებას შედარებით თავისუფლებას ანიჭებს, რაც, როგორც წესი, დაბალანსებულია დირექტორის გათავისუფლებისას მისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებით.

ხელშეკრულებით მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდათ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისას მისთვის სამი თვის ხელფასის ოდენობით ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. სასამართლო იზიარებს შპს „ა. გ.-ს“ წარმომადგენლის არგუმენტს, რომ ზოგადად, კომპენსაციის გადახდის ვალდებულების წარმოშობა შეიძლება დაუკავშირდეს გათავისუფლების საფუძველს, თუკი გათავისუფლება დირექტორის ვალდებულებების დარღვევით არის გამოწვეული, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაასკვნა, რომ გათავისუფლება ვალდებულების დარღვევის გამო არ მომხდარა. შესაბამისად, ვერ გამოირიცხება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება და ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს. კომპენსაციის ოდენობად უნდა განისაზღვროს ხელფასის სამმაგი ოდენობა – 24 000 აშშ დოლარი.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მიუღებელ შემოსავლად ვერ ჩაითვლება მხოლოდ საწარმოს მიერ ხელფასის გადაუხდელობა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას, რადგან გადახდილი ხელფასი არ იქნება შესრულებული მომსახურების ეკვივალენტური. შრომის სამართალში მოქმედი იძულებითი მოცდენის ანაზღაურების მსგავს ინსტიტუტს საკორპორაციო სამართალი არ იცნობს. იძულებითი მოცდენის ანაზღაურება შეიძლება შეთანხმებული იყოს ხელშეკრულებით.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გასამრჯელო.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- შრომის ანაზღაურება იძულებითი მოცდენის დროს.
- მიუღებელი შემოსავალი (ანაცდური მოგება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 411.
- შრომის კოდექსი, მუხლი 32.

სრული განმარტების ციტირება:
6.1. ... რაც შეეხება დ. გ.-ს მოთხოვნას მოპასუხისათვის სამი თვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მოსარჩელე ამ ნაწილში მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ არ შესრულდა სასამსახურო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, გათავისუფლების თაობაზე სამი თვით ადრე დირექტორის ინფორმირების თაობაზე. უდავოა, რომ ასეთი ინფორმირება არ განხორციელებულა, რითაც დაირღვა სასამსახურო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურული მოთხოვნა.

მითითებულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შესაძლოა, წარმოადგენდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე 411-ე მუხლები, რომლებიც ერთობლიობაში ადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოუღებელი შემოსავლის ანაზღურების წინაპირობას. დ. გ. მიუთითებს, რომ გათავისუფლების შეტყობინების ნაცვლად მისთვის უნდა გაეგზავნათ წინასწარი შეტყობინება და მხოლოდ სამი თვის შემდეგ უნდა შეწყვეტილიყო მათ შორის ურთიერთობა. შესაბამისად, ამ დანაწესის დაცვის შემთხვევაში იგი მიიღებდა კიდევ სამი თვის ხელფასს, რაც ვერ მიიღო, იმიტომ რომ 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მყისიერად გაათავისუფლეს. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი მსჯელობით, თუკი შეტყობინება განხორციელდებოდა და დ. გ. კიდევ სამი თვის განმავლობაში იმუშავებდა, იგი მართლაც მიიღებდა სამი თვის ხელფასს, მაგრამ – მხოლოდდამხოლოდ დირექტორის მოვალეობების შესრულების სანაცვლოდ. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობა არ გაგრძელებულა და დ. გ.-ს თავის მხრივ, ვალდებულებები არ შეუსრულებია, მიუღებელ შემოსავლად ვერ ჩაითვლება მხოლოდ ერთი მხარის მიერ ხელფასის გადაუხდელობა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევდა მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას, რადგან გადახდილი ხელფასი არ იქნებოდა შესრულებული მომსახურების ექვივალენტური. შრომის სამართალში მოქმედი იძულებითი მოცდენის ანაზღაურების მსგავს ინსტიტუტს კი საკორპორაციო სამართალი არ იცნობს და არც მხარეთა შორის ხელშეკრულებით ყოფილა მსგავსი ვალდებულება გათვალისწინებული.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოსა და დირექტორს შორის ურთიერთობა დუალისტური ბუნებისაა და გულისხმობს დირექტორის საქმიანობის შემდეგ ორ სფეროს: (1) ხელმძღვანელობითს, რომელიც მოიცავს კორპორაციის შიდა მმართველობით საქმიანობას, წარმოიშობა პარტნიორთა კრებასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადებით და ნამდვილია, რეგისტრაციის მიუხედავად; (2) წარმომადგენლობითს, რაც მესამე პირებთან საზოგადოების სახელით ურთიერთობას უკავშირდება და დამოკიდებულია რეგისტრაციაზე. რეგისტრირებული ჩანაწერის უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფცია მოქმედებს მესამე პირებთან მიმართებაში და არა შიდა მმართველობის სფეროში. გადაწყვეტილება დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე ვერ გახდება ქმედითი მის რეგისტრაციამდე, თუმცა მოქმედებს საწარმოს შიდა მმართველობის სფეროში. ამ შეზღუდვის საწინააღმდეგო მოქმედება დირექტორის ე. წ. „შიდა პასუხისმგებლობას“ წარმოშობს კეთილსინდისიერებისა და მზრუნველობის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- დირექტორის მოვალეობები.
- შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა.
- სამეწარმეო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.
- საზოგადოების საუკეთესო ინტერესები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. ქვეპუნქტი 1.თ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 4.,6.

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:

6.2. ... მოსარჩელე ვალდებულების დამრღვევ ქმედებად განიხილავს 2015 წლის 5 ოქტომბრის პარტნიორთა კრების ოქმით დირექტორის უფლებამოსილებების შეზღუდვის შემდგომ დ. გ.-ს მიერ ფულადი გადარიცხვების განხორციელებას, მეორეს მხრივ კი – 2015 წლის 17 აგვისტოს მის მიერ საკუთრივ თავისთვის და ფინანსური დირექტორისთვის პრემიის გაცემას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საწარმოს წესდებით დადგენილ პრემიის გაცემის წესს და რამაც, მხარის მოსაზრებით, ფინანსურად დააზარალა კომპანია.

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისა და მისი შედეგების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი, ამასთან, სასამართლომ შესაძლო დარღვევის არსებობა უნდა დაადგინოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დირექტორისათვის დადგენილი მზრუნველობის განსაკუთრებული მოვალეობის ჭრილში. მზრუნველობის მოვალეობის დარღვევად და საზოგადოების პარტნიორების წინაშე ე. წ. „შიდა პასუხისმგებლობის“ წარმოშობის საფუძვლად შეიძლება შეფასდეს ისეთი ვითარება, როდესაც დირექტორი მოქმედებს პირადი ინტერესით, არ არის საკმარისად ინფორმირებული იმ გარემოებების შესახებ, რაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება და არც იყენებს ამისთვის ყველა საშუალებას, არ მოქმედებს საკუთარი რწმენის მიხედვით საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

სასამართლო ვერ გაიზიარებს შეგებებულ სარჩელში მოსარჩელის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ უფლებამოსილების შეზღუდვის შემდგომ გადაწყვეტილების მიღებით დ. გ.-მ დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში დირექტორის თაობაზე რეგისტრირებული მონაცემებისა და შიდა კორპორატიული ურთიერთობის მნიშვნელობა. რეგისტრირებული ჩანაწერის უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფცია მოქმედებს მესამე პირებთან მიმართებაში. დამფუძნებელსა და დირექტორს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა კი არის საზოგადოების შიდა კორპორატიული ურთიერთობა, რომელიც ურთიერთვალდებულებებს წარმოშობს ხელშეკრულების, და არა – საჯარო რეესტრის ჩანაწერის საფუძველზე. დირექტორად დანიშვნის შესახებ ბრძანება, როგორც უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული საკორპორაციო-სამართლებრივი აქტი, წარმოადგენს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის საფუძველს. თუმცა, თუ ასეთი რეგისტრაცია არ განხორციელებულა, ამით მხარეთა შორის წარმოშობილ სახელშეკრულებო ურთიერთობას სამართლებრივი ძალა არ ეკარგება.

დასახელებული ურთიერთობის დუალისტური ბუნებიდან გამომდინარეობს დირექტორის საქმიანობის ორი სფერო – ხელმძღვანელობითი, რომელიც კორპორაციის შიდა მმართველობით საქმიანობას მოიცავს და წარმომადგენლობითი, რაც მესამე პირებთან საზოგადოების სახელით ურთიერთობას უკავშირდება. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება წარმოიშობა პარტნიორთა კრებასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების საფუძველზე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისათვის კი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე – აუცილებელია რეგისტრაცია.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავოდ იქცა საკითხი, ჰქონდა თუ არა დ. გ.-ს მისი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საწარმოს სახელით ვალდებულებების შესრულების უფლება. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ. გ.-ს მიერ უფლებამოსილების შეზღუდვის შემდგომ გადარიცხვები განხორციელდა მესამე პირებთან საწარმოს წარმომადგენლობით სფეროში, კერძოდ – გადარიცხვები ემსახურებოდა საწარმოს ვადამოსული საგადასახადო ვალდებულებების, ასევე – შეზღუდვის მომენტამდე მესამე პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულებების შესრულებას. მესამე პირებთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისთვის კი გადამწყვეტია რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თაობაზე. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის ნაწილში პარტნიორთა კრების 2015 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სამართლებრივ ძალას შეიძენდა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი

ჩანაწერის რეგისტრაციის მომენტიდან. ამდენად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიუხედავად დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვაზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებისა, მესამე პირების წინაშე დ. გ. კვლავ რჩებოდა საწარმოს უფლებამოსილ წარმომადგენლად (თუკი მათ არ იცოდნენ, რომ უფლებამოსილება შეზღუდული ჰქონდა კრების გადაწყვეტილებით). აქედან გამომდინარე, დ. გ.-ს სრული საფუძველი ჰქონდა, ევარაუდა, რომ ვინაიდან პარტნიორთა კრებას საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირად (თუნდაც – დროებით) არავინ განუსაზღვრავს, გადაწყვეტილება მისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე ვერ გახდებოდა ქმედითი მის რეგისტრაციამდე. დ. გ.-ს ფორმალურად ჰქონდა შესაძლებლობა, თავად წარედგინა სარეგისტრაციოდ აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა, პარტნიორთა კრების მიერ შესაბამისი უფლებამოსილი პირის განსაზღვრამდე საწარმო ვერ დარჩებოდა უფლებამოსილი წარმომადგენლის გარეშე. დადგენილია, რომ დ. გ.-მ სამსახურებრივი წერილით თავისი მოსაზრება აცნობა დამფუძნებელს, რომ გადაწყვეტილება ზიანის მომტანი იქნებოდა საწარმოსთვის, რადგან შეუძლებელს გახდიდა კომპანიის მართვას მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ წერილის საპასუხოდ მას რაიმე მითითება არ მიუღია. სასამართლო დამაჯერებლად თვლის დ. გ.-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მითითებულ არგუმენტს, რომ მან შეზღუდვის სფეროდ ჩათვალა მხოლოდ წარმოების სფეროში მისაღები გადაწყვეტილებები. როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა რეგისტრაციამდე ვერ გახდებოდა ქმედითი, შეზღუდვა მოქმედი იყო მხოლოდ საწარმოს შიდა მმართველობის სფეროში, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილებების, მათ შორის – ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმართ. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. გ.-ს მხრიდან საზოგადოების ვადამოსული ვალდებულებების შესრულება შეესაბამებოდა საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს და ქმედება ამ ნაწილში სრულიად გამართლებულია. ანალოგიურ ვითარებაში მსგავსად მოიქცეოდა მის ადგილას მყოფი საღად მოაზროვნე ადამიანი, რაც გულისხმობს იმას, რომ ქმედება შეესაბამება დირექტორისთვის სავალდებულო კეთილსინდისიერებისა და მზრუნველობის ვალდებულებას. პირიქით – მას რომ არ შეესრულებინა საწარმოს ვალდებულებები, შესაძლოა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, პარტნიორის გადაწყვეტილებაზე მითითებას ვერ დაეცვა იგი საწარმოსათვის მიყენებული ზიანისთვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრებისგან.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვალდებულების დარღვევას არ ჰქონია ადგილი არც 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანებით პრემიის გაცემის დროს. მართალია, სასამსახურო ხელშეკრულების და წესდების მოთხოვნებით განსაზღვრული პრემიის გაცემის წინაპირობა არ არსებობდა, რადგან საზოგადოების EBITDA არ იყო დადებითი, მაგრამ ამ შემთხვევაში „პრემიით“ სახელდებული გადასახდელი შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად გადახდილად, რადგან ბრძანებაში თანხის გაცემის კონკრეტული საფუძველია მითითებული – კერძოდ საწარმოს მართვის ელექტრონული პროგრამის წარმატებულად დანერგვა, რისთვისაც გარკვეული შრომა იყო გაწეული საწარმოს ინტერესებში. ფინანსური დირექტორის ჩვეულებრივ სამსახურებრივ მოვალეობებში აღნიშნული ვალდებულება არ არის გათვალისწინებული. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ იგი წარმოადგენდა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს და სამუშაო საათების შემდგომ ხანგრძლივად უწევდა მუშაობა აღნიშნული პროგრამის დასანერგად. დირექტორი საკადრო და საორგანიზაციო საკითხებში გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალია, ივარაუდება, რომ ნებისმიერი დამატებითი შრომა, რაც საზოგადოებისთვის აუცილებელია და რაც სცდება საწარმოს თანამშრომლების ჩვეულებრივ შრომით საქმიანობას, საჭიროებს სათანადო ანაზღაურებას. სასამართლო მართლსაწინააღმდეგოდ ვერ მიიჩნევს დირექტორის გადაწყვეტილებას, საწარმოს თანამშრომელს დაავალოს ან/და თავად იკისროს ასეთი ფუნქციის შესრულება, რაც დამატებით დაქირავებული შრომის გამოყენების შემთხვევაში ისედაც ხარჯის გაღებას გამოიწვევდა და მას გადაუხადოს კიდეც თანხა. შპს „ა. გ.-ს“ წარმომადგენელს სადავოდ არ გაუხდია დანერგილი პროგრამის ეფექტურობა და დადებითი როლი საწარმოს განვითარებაში, რაზედაც არაერთხელ მიუთითა დ. გ.-მ საქმის განხილვის დროს. კომპანიას არ მიუთითებია ასევე ამ პროგრამის დანერგვისას დირექტორის პირადი ინტერესით მოქმედებაზე ან მზრუნველობის მოვალეობის დარღვევაზე. ამდენად, ამ ნაწილშიც დ. გ.-ს ქმედების მართლწინააღმდეგობა არ დასტურდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-375-359-2016 (330210014433342) (17 ივნისი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
ახალი წესდების მიღების ბათილობა.

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს 20% წილის მქონე პარტნიორი (მოსარჩელე) მოითხოვდა, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიღებული საწარმოს ახალი წესდების ბათილად აღიარებას. ქვედა ინსტანციების მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ მოპასუხე (კასატორი) უზენაეს სასამართლოში უთითებდა, რომ მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის მიმართ არ გააჩნია იურიდიული ინტერესი, ვინაიდან რეესტრმა საწარმოს უარი უთხრა ახალი წესდების რეგისტრაციაზე. კასაციამ არ გაიზიარა წარმოდგენილი პრეტენზია. კასაცია დაუშველად იქნა ცნობილი.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/397-19, №2ბ/486-18, №ას-1412-1332-2017, №ას-851-795-2017, №ას-1219-1139-2017, №ას-1151-1071-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნია იმ სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართ, რომლითაც დამტკიცდა საწარმოს ახალი წესდება, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას უარი ეთქვა ახალი წესდების რეგისტრაციაზე (შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება).

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- წესდების ახალი რედაქცია.
- აღიარებითი სარჩელი.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 5.ბ.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
32. საზოგადოების 2014 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა განმეორებით საერთო კრებაზე დღის წესრიგის მე-4 საკითხად გათვალისწინებული იყო საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის მიღება და მიუხედავად მოსარჩელის წინააღმდეგობისა, ხმათა უმრავლესობით, მიღებულ იქნა კრებაზე წარდგენილი წესდების ახალი რედაქცია.

33. საზოგადოების ახალი წესდების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით საზოგადოებამ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2014 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს მიეთითა ხარვეზების არსებობის თაობაზე და მიეცა 30 დღის ვადა მათ აღმოსაფხვრელად, ხოლო 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, მოპასუხის განცხადებით დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

34. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარემ მიიჩნია, რომ წარმოდგენილ აღიარებით სარჩელს საზოგადოების ახალი წესდების მიღების ნაწილში პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რადგან ფაქტობრივად ახალი წესდება არ დარეგისტრირებულა.

38. დასაბუთებულ და დასაშვებ საკასაციო პრეტენზიას არ წარმოადგენს მხარის მოსაზრება, რომ სადავო პარტნიორთა კრების ოქმი ბათილად არ უნდა იქნეს ცნობილი, რადგან კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით მიღებული ახალი წესდების შესაბამის რეესტრში დარეგისტრირება ვერ მოხერხდა, შესაბამისად, მოსარჩელეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი მითითებული ოქმის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

43. მოცემულ შემთხვევაში სადავო პარტნიორთა კრების ოქმის ძალაში დატოვების პირობებში მოპასუხეს ნებისმიერ მომენტში შეუძლია განმეორებით მიმართოს რეესტრს და დაარეგისტრიროს წესდების ახალი რედაქცია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი გააჩნდა სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2779-16 (21 ივნისი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ლევან გვარამია (თავმჯდომარე), ეკატერინე ცისკარიძე, ლილი ტყემალაძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს პარტნიორის უფლებების შეზღუდვა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფა.

განჩინების რეზიუმე:
დაკმაყოფილდა განცხადება მოპასუხის საკუთრებაში რიცხულ 50%-იან წილზე ყადაღის დადების შესახებ და არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა საზოგადოების მართვაში მონაწილეობისა და ხმის უფლების, საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის აკრძალვის შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე პირთა მიმართებაში. სარჩელის უზრუნველყოფის სახით საწარმოს 50%-იანი წილის პარტნიორისთვის საზოგადოების მართვაში მონაწილეობის და ხმის უფლების, საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის აკრძალვით, შეიზღუდება მესამე პირთა (საწარმოს და აღნიშნული საწარმოს სხვა პარტნიორთა) უფლებები. კერძოდ, საერთო კრება დაკარგავს გადაწყვეტილების მიღების უნარს, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს საწარმოს პარალიზება და გადახდისუუნარობაც კი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- პარტნიორის ხმის უფლება.
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- სარჩელის უზრუნველყოფა.
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები/საშუალებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198. ნაწილები 2.ა.,3.

სრული განმარტების ციტირება:
მართალია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანს წარმოადგენს სარჩელის დაცვა მოპასუხის უფლებების შეზღუდვის გზით, თუმცა აღნიშნული ღონისძიება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე პირთა მიმართებაში.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის შესაბამისად, ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, პროკურის გაცემა და გაუქმება, საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, შენატანების მოთხოვნა, ასევე ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს და ა. შ. შეუძლია მხოლოდ პარტნიორთა კრებას. ამასთან, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). აღნიშნულიდან გამომდინარე, ს. მ.-ს შპს „S. G.“-ში (საიდენტიფიკაციო კოდი 406083XXX ეკუთვნის მხოლოდ 50% წილი, იგი მითითებულ საკითხებზე ერთპიროვნულად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას. თავის მხრივ აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში პარტნიორთა საერთო კრება დაკარგავს გადაწყვეტილების მიღების უნარს, შესაბამისად შეიზღუდება შპს „S. G.“-ს იმ პარტნოირის უფლებაც, რომლის მიმართაც დავა არ მიმდინარეობს რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ინსტიტუტს.

იურიდიული პირი არის დამოუკიდებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომელიც საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს. იურიდიული პირი არ წარმოადგენს სხვა პირის საკუთრებას, პარტნიორს შესაძლოა მოპოვებული ჰქონდეთ მხოლოდ აქციების ან წილის საკუთრების უფლება საზოგადოების კაპიტალში. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო, ასევე განმარტავს, რომ მოთხოვნილი უზრუნველყოფის მიზანი, გამოსაყენებელი ზომა იჭრება არა მოპასუხის, როგორც ფიზიკური პირის ქონებრივ სფეროში, არამედ მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის (საწარმოს 50%-იანი პარტნოირის) სამეწარმეო უფლებამოსილებაში, რაც, რეალურად ადგენს არაპროპორციულ ჩარევას იურიდიული პირის (თავად შპს „S. G.“-ს) მმართველობაში და ფაქტობრივად კრძალავს საწარმოს საქმიანობას. შედეგად კი, დგება სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის პარალიზება. ამასთანავე, მოთხოვნილი შეზღუდვა იმდენად არსებითია, რომ მას შედეგად შეიძლება საწარმოს გადახდისუუნარობაც კი მოჰყვეს. ამდენად, მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შპს „S. G.“-ს, როგორც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის უფლებების შელახვას

აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის მიმართ და/ან მის წინააღმდეგ, ხოლო მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში უდავოდ შეიზღუდება სხვა პირების უფლებები.

საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვისას იზღუდება არა იმ პირის, რომლის წინააღმდეგადაც არის მიმართული სარჩელი არამედ საზოგადოების მმართველი რგოლის ე. ი. თავად საწარმოს უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1236-15 (330210014431434) (29 ივნისი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ლილი ტყემალაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ლევან გვარამია, ეკატერინე ცისკარიძე

საკვანძო საკითხი:
შრომითი და საკორპორაციო ნორმების კონკურენცია.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელეები (კომერციული ქონების პორტფელის დირექტორი და ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორი) წარმოადგენდნენ საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. მოსარჩელეები ითხოვდნენ მათი გათავისუფლების ბრძანებათა ბათილად ცნობას და სამუშაოზე აღდგენას. მოსარჩელეთა გათავისუფლება სასამართლომ მიიჩნია კანონიერად, რადგან დირექტორის გათავისუფლება წარმოადგენს საწარმოს სრულ დისკრეციას. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა უფლება-მოვალეობებია სადავო (შრომითი, თუ კორპორაციული). „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ მოწესრიგებულ საკითხებზე ვერ გავრცელდება შრომის კოდექსის მოწესრიგება. საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორის მოვალეობები.
- საწარმოს დირექტორი.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.

სრული განმარტების ციტირება:
4.8. ... მოსარჩელეები ე. ბ. და ი. ბ. წარმოადგენენ შპს „რ. ფ. მ.-ს“ ხელმძღვანელობაზე/წარმომამდგენლობაზე უფლებამოსილ პირებს. შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობად. პალატა მიუთითებს, რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით თუ კონკრეტულად რა უფლება-მოვალეობებია სადავოდ გამხდარი და შესაფასებელი, ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი მომწესრიგებელი (იქნება ეს შრომითი თუ კორპორაციული რეგულაციები) ნორმებიც.

პალატა მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

პალატის მოსაზრებით, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირაა მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, მის მიმართ ცხადია ვეღარ გავრცელდება შრომის კოდექსის მოწესრიგება, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორთან ხელშეკრულების გაფორმება და მისი შეწყვეტა ცალსახად წარმოადგენს საწარმოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას. რამდენადაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალურ წესს, გათავისუფლების ბრძანების მართლზომიერების შეფასება ვერ მოხდება შრომის კოდექსით. დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მინიჭებული სრული დისკრეცია.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7., 7[1].ა.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
4.8. ... „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დანაწესით – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საკითხების გარდა, პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს დირექტორების დანიშვნისა და გამოწვევის, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტისა და აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცების თაობაზე;

ზემოაღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს მასზედ, რომ დირექტორთან ხელშეკრულების გაფორმება და მისი შეწყვეტა ცალსახად წარმოადგენს საწარმოს მმართველობითი ორგანოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას და შესაბამისად, რამდენადაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალურ წესს, გათავისუფლების ბრძანების მართზომიერების შეფასება ვერ მოხდება შრომის კოდექსის შესაბამისი რეგულაციებით.

პალატა მიიჩნევს, რომ სს „ს. რ.-ს“, როგორც პარტნიორს, ჰქონდა სრული დისკრეცია თავისი შეხედულებისამებრ მოეხდინა დირექტორებთან ხელშეკრულების შეწყვეტა. პალატა დაუშვებლად მიიჩნევს მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარ ჩარევას, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მინიჭებული აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებულია არაკანონიერი გათავისუფლების გამო ანაზღაურების მიუღებლობის გარემოებასთან. თუ დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლებულია კანონიერი გზით, არ არსებობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველიც.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლა.
- იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- შრომის კოდექსი, მუხლი 32.

სრული განმარტების ციტირება:
4.9. რაც შეეხება მოსარჩელეების მოთხოვნას განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, პალატა შენიშნავს, რომ განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებულია არაკანონიერი გათავისუფლების გამო ანაზღაურების მიუღებლობის გარემოებასთან, რა შემთხვევაშიც მთელი იძულებითი მოცდენის პერიოდისათვის დასაქმებულს უნაზღაურდება მიუღებელი ხელფასი. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ქონია მოსარჩელის არაკანონიერი გათავისუფლების შესახებ გარემოებას და დადგენილია, რომ მოსარჩელეები დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებული არიან კანონიერი გზით პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველიც.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2366-16 (231210016001265305) (06 სექტემბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: შორენა ყაველაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), გოგიტა თოთოსაშვილი, თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

საკვანძო საკითხი:
მეწარმე სუბიექტის მისამართის სისწორის მნიშვნელობა.

განჩინების რეზიუმე:
სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი და გააუქმა განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რადგან სასამართლომ იურიდიული პირის (მოპასუხის) რეგისტრაციის მისამართზე გზავნილის ჩაბარების შეუძლებლობის რისკი თავად ამ იურიდიულ პირს დააკისრა და დასაშვებად მიიჩნია საჯარო შეტყობინების გამოყენება.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს ავალდებულებს მიუთითოს სწორი იურიდიული მისამართი. ამ მისამართზე ფუნქციონირებს თუ არა იურიდიული პირი, წარმოადგენს მის რისკს და, შესაბამისად, პასუხისმგებელიც ეს კონკრეტული იურიდიული პირია. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით უნდა იმსჯელოს გზავნილის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების მიზანშეწონილობის თაობაზე.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტის მისამართი.
- იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).
- სარჩელის განუხილველად დატოვება.
- სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა.
- მოპასუხის მისამართის არასწორად მითითება.
- საჯარო შეტყობინება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 26.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 71. ნაწილი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 78. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 178. ნაწილი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 186. ქვენაწილი 1.თ.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 275. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული არ არის მოპასუხის ზუსტი მისამართი, რადგან მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა მისთვის სარჩელის ჩაბარება ვერ მოხერხდა, აღანიშნულზე პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული იქნა როგორც მოპასუხის შპს „ჯ.-ს“ იურიდიული მისამართი, ასევე ის მისამართი, რომელიც საქმეში არსებული ქვითრის მიხედვით შპს „ჯ.-ს“ აბონენტის მისამართად არის მითითებული, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი იურიდიულ პირს რეგისტრაციის დროს ავალდებულებს მიუთითოს სწორი იურიდიული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპოდენციის) გაგზავნა და ამ მისამართზე მისთვის ოფიციალური

კორესპოდენცია ჩაბარებულად ითვლება, ხოლო ის გარემოება, ამ მისამართზე ფუნქციონირებს თუ არა იურიდიული პირი, წარმოადგენს მის რისკს და შესაბამისად პასუხისმგებლობის მატარებელიც ეს კონკრეტული იურიდიული პირია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სწორად იქნა მითითებული მოპასუხის მისამართი, ხოლო ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დატოვებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტორ სარჩელი განუხილველად, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს კერძო საჩივარი, გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის განჩინება და საქმე იმავე სტადიაზე განსახილველად დაუბრუნდეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს, რის შემდეგაც სასამართლოს ექნება შესაძლებლობა მხარის შუამდგომლობით, ან თავისი ინიციატივით იმსჯელოს გზავნილის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-131-127-2016 (23 სექტემბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის მიერ გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება. სასამართლომ დაასკვნა, რომ არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას გააჩნია გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-725-693-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისგან. სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნეს მოძიებული. საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან ყველაზე უფრო ახლოს დავალების ხელშეკრულება დგას. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მესამე პირების მიმართ დანიშვნა და ხელშეკრულების შეწყვეტა ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.
- საწარმოს დირექტორი.
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- ა(ა)იპ-ს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- კანონის ანალოგია.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 35. ნაწილები 1.,4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 5. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:

1.5.1. ... დამფუძნებელს (წევრს) შეუძლია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა (სკ-ის 35.1 მუხლი), რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციაზე, ანუ ამ შემთხვევაშიც, რეგისტრაცია კონსტიტუციური მნიშვნელობის მატარებელია და წარმოადგენს მესამე პირთა უფლებადამცავ დანაწესს.

1.5.3. საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა და რომლის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო.

პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, გაწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნას მოძიებული.

1.5.5. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მეწარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. თუ გადავავლებთ თვალს სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არა ერთ მსგავსებას ვნახავთ, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკაციო პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – მიუხედავად დირექტორთან დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევისა, მას გააჩნია შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნეს მოწესრიგებული არასამეწარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. ა(ა)იპ-ის დირექტორს გააჩნია შრომის კოდექსის V თავით რეგლამენტირებული უფლება, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით, თუკი მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება განსხვავებულ რეგულაციას არ ითვალისწინებს. დამსაქმებლის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში დირექტორს გააჩნია გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. კომპენსაციის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის ერთობლივად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

ა) დასაქმებულის მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების მოპოვება;
ბ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რომელიც დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმებულის გათავისუფლების გზით განხორციელდა;
გ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე კუთვნილი შვებულების გამოუყენებლობა/არასრული გამოყენება.

განმარტებული საკითხები:

- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორის უფლებები.
- ანაზღაურებადი შვებულება.
- შვებულებით სარგებლობის უფლება.
- შვებულების ხანგრძლივობა.
- საშვებულებო ანაზღაურება.
- გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 35. ნაწილი 4.
- შრომის კოდექსი, მუხლი 21. ნაწილები 1.,4.
- შრომის კოდექსი, მუხლი 22. ნაწილი 1.
- შრომის კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.
- შრომის კოდექსი, მუხლი 26.

სრული განმარტების ციტირება:

1.5.6. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ არასამეწარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ასევე გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველმყოფი მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა შრომის უფლება,

რომელიც თავის თავში მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შვებულებაზე და სხვა (იხ. ასევე „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის II „d“ ქვეპუნქტი), რაც, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნას მოწესრიგებული არასამეწარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. თუკი ამგვარ პირობებზე მხარეთა შეთანხმების ფაქტი არ დგინდება, ასეთ შემთხვევაში, დირექტორის სოციალური უფლებების რეგულირებისათვის გამოყენებული უნდა იქნას როგორც ეროვნული, ისე – საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებული დასაქმებულის დაცვის მინიმალური სტანდარტის დამდგენი დანაწესები.

1.6. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულების მხოლოდ შრომით სამართლებრივ ჭრილში განხილვის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით (ამ საკითხის შეფასებისას, საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-1011-972-2014 განჩინებაში ჩამოყალიბებულ დასკვნებზე გაამახვილებს. მართალია, მითითებულ საქმეში საკასაციო სასამართლომ დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში შეაფასა, თუმცა, განსხვავებით განსახილველი საქმისაგან, №ას-1011-972-2014 სამოქალაქო საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დამსაქმებლის ნების ბათილად ცნობის ნაწილში კანონიერ ძალაში იყო შესული, რადგანაც გადაწყვეტილება მოპასუხეს (დამსაქმებელს) არ გაუსაჩივრებია (სსსკ-ის 264.2 მუხლი), ამასთან, საკასაციო პრეტენზია წარდგენილ იქნა მხოლოდ დასაქმებულის მიერ, რომელიც არ ეთანხმებოდა სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ დამსაქმებლის ბათილი ნების მიუხედავად, არ არსებობდა დასაქმებულის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის წინაპირობა. ასეთ ვითარებაში, ვინაიდან საპროცესო სამართალში აღიარებულია საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირის სოციალური უფლების დაცვისაკენ, შესაბამისად, საკასაციო პალატა წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.5.6. პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ კორპორაციული მართვის ფარგლებში ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულების (წერილობითი ან/და ზეპირი ნებისას) სოციალური საკითხების რეგულირების თვალსაზრისით შეიძლება გამოყენებულ იქნას შრომის კოდექსის სწორედ ის ნორმები, რომლებიც ამ უფლებებს ადგენენ, თუმცა მათი რეალიზაციის მატერიალური საფუძველი მხოლოდ ამ კანონით არ შემოიფარგლება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორს გააჩნია შრომის კოდექსის V თავით რეგლამენტირებული უფლება, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით (შკ-ის 21.1 მუხლი), თუკი მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულება განსხვავებულ რეგულაციას არ ითვალისწინებს (ამავე ნორმის შემდგომი დანაწესები), ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ვინაიდან დირექტორის გათავისუფლების საფუძველი არა შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობაა, არამედ დავალების მიმცემის ცალმხრივი ნებაა, გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების საკითხის ამავე კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილით შეზღუდვა კანონის სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დამსაქმებლის მიზეზით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების საკითხი სრულად ექცევა „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის რეგულაციის სფეროში (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995 დადგენილებით, ძალაშია 22.06.1997 წლიდან), რომლის პირველი მუხლით დადგენილია მისი გამოყენების სფერო, თუმცა იგი არ არის ამომწურავი და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მოცემული ჩამონათვალით კონვენციის მოქმედების შეზღუდვა მისი სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს, იგი მიღებულია 1936 წელს მაშინ, როდესაც მრავალი სპეციალიზაცია და საქმიანობის სახე არ არსებობდა (იხ. სუსგ №ას-1222-1073-10, 13 იანვარი, 2011 წელი. მოხმობილ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მხრიდან „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის ფართო განმარტება და არ დაუშვა განსახილველად დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი). ამავე კონვენციის მე-6 მუხლით რეგლამენტირებულია შემდეგი: პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებუ-

ლებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. განსახილველი ნორმის თანახმად, დასაქმებულისათვის მინიჭებული გამოუყენებელი ფასიანი შვებულების კომპენსაციის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის ერთობლივად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

ა) დასაქმებულის მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების მოპოვება;
ბ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რომელიც დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმებულის გათავისუფლების გზით განხორციელდა;
გ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე კუთვნილი შვებულების გამოუყენებლობა/არასრული გამოყენება.

1.7. კონვენციის მე-3 მუხლი უფლების მქონე პირის კომპენსაციად განიხილავს ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრული ხერხით გამოთვლილ ჩვეულებრივ ჯილდოს შესაბამისი ფულადი ეკვივალენტის დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში ან ჯილდოს, რომელიც განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმებით. კონვენციის დებულებათა სწორი ანალიზისათვის საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, პარალელი გაავლოს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული საკითხის მოწესრიგებასთან. შრომის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. ამ მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა აწესებს კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ (1-წლიანი უწყვეტი მუშაობა) უფლების მოპოვების სტანდარტზე დაბალ სტანდარტს, ხოლო 24-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის თანამდებობაზე გამწესებისა და მისი გამოწვევის თარიღების გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ მოთხოვნა სრულად ექცევა, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული მოწესრიგების ზემოხსენებულ სტანდარტში და კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული „ჯილდოს“ გამოანგარიშების წესი მოცემულია შრომის კოდექსის 26-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

1.8.1. უდავოა, რომ კასატორს მოპოვებული აქვს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება; იგი დამსაქმებლის ინიციატივით გათავისუფლდა ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობიდან; თანამდებობიდან გათავისუფლებამდე დირექტორს კუთვნილი შვებულებით არ უსარგებლია. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეებს სადავო არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ კასატორის შრომის ანაზღაურება იყო ფიქსირებული და თვეში 1 650 ლარს შეადგენდა (ხელფასი – 1 650 ლარი დირექტორს საშემოსავლო გადასახადის გარეშე განესაზღვრა, იხ. სარჩელი), ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1101-1037-2015 (27 სექტემბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
მინორიტარი აქციონერის უფლებები საწარმოს კაპიტალის გაზრდის პროცესში.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა (1) სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციის გადაცემას; (2) სააქციო საზოგადოების ხარჯზე დოკუმენტაციის სპეციალურ შემოწმებას; (3) სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული ერთხმად და მისაღებ გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი არ იყო დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები. დაკმაყოფილდა მხოლოდ პირველი მოთხოვნა – სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციის გადაცემის თაობაზე.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-938-2018

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერს უფლება აქვს მიიღოს საზოგადოების ყველა პუბლიკაცია. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.3[5] მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და სააქციო საზოგადოების აქციონერისთვის აწესებს გარკვეულ შეზღუდვას, კერძოდ, აღნიშნული ნორმა მხოლოდ აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ანიჭებს საზოგადოების სახელით დადებული ან დასადები გარიგებების ასლების მიღების უფლებას, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის ზოგადი ნორმის გავრცელებას სააქციო საზოგადოების აქციონერზე, გარიგების გარდა, სხვა სახის ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილში.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- აქციონერის უფლებები.
- აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერთა უფლება დადებული/დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაციაზე.
- ზოგადი და სპეციალური ნორმების კოლიზია (კონკურენცია).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 9.,10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტი 3[5].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
65. პირველი კასატორის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მიერ დადგინდა ისეთი ინფორმაციის/დოკუმენტების გაცემა, რომელიც კანონით არ არის აქციონერისთვის გადასაცემ მონაცემთა რიცხვში და არ წარმოადგენს გარიგებას. შესაბამისად, აქციონერის მიერ ყველა ამ საბუთის გაცემის მოთხოვნა სცილდება კანონით დადგენილ აქციონერის უფლებათა ფარგლებს.

66. საკასაციო სასამართლო პირველი კასატორის ყურადღებას მიაქცევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, სპს-ის, კს-ის,

შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, თუ ამ კანონით და წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი თანაბრად ვრცელდება სააქციო საზოგადოების აქციონერზეც და უფლებას ანიჭებს მას, მიიღოს საზოგადოების ყველა პუბლიკაცია.

67. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება მეორე კასატორს, რომ აქციონერს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ საზოგადოების სახელით დასადები ან დადებული გარიგების ასლები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3[5] მუხლის თანახმად, ნებისმიერი კლასის აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, სააქციო საზოგადოების შესაბამისი მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ ამ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და დასადები გარიგებების შესახებ ინფორმაცია ან/და გარიგებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ასლები. მოცემული ნორმა წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და სააქციო საზოგადოების აქციონერისთვის აწესებს გარკვეულ შეზღუდვას, კერძოდ, აღნიშნული ნორმა მხოლოდ აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ანიჭებს საზოგადოების სახელით დადებული ან დასადები გარიგებების ასლების მიღების უფლებას, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის ზოგადი ნორმის გავრცელებას სააქციო საზოგადოების აქციონერზე, გარიგების გარდა, სხვა სახის ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილში.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – არ არსებობს კანონის პირდაპირი ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებდა სააქციო საზოგადოებას კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ყველა აქციონერის თანხმობით. კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა არსებობს, თუ აღნიშნული გადაწყვეტილება უშუალოდ, პირდაპირ და გარდაუვლად იწვევს აქციონერის ხმის უფლების ან წილის შემცირებას; აქციონერები არიან არათანაბარ მდგომარეობაში და არათანაბრად აქვთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა არ არსებობს იმ პირობებში, როდესაც განსაზღვრულ ვადაში საზოგადოების შეუვსებელი კაპიტალის შევსების და, შესაბამისად, შესატყვისი აქციების მიღების უფლება ენიჭებათ საზოგადოების აქციონერებს ისე, რომ მათ შორის აქციათა გადანაწილების პროპორცია რჩება უცვლელი და, მიუხედავად კაპიტალის შევსებისა, აქციონერს თავისი წილის პროპორციულად რჩება იმავე რაოდენობის აქციები.

განმარტებული საკითხები:
- კაპიტალის გაზრდა.
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.
- პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობით.
- აქციონერთა საერთო კრება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტები 5[1].,5[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტები 6.,7.

სრული განმარტების ციტირება:
73. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის მრავალმხრივი გარიგება, რომლის თავისებურებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ხმათა უმრავლესობით, თუმცა აღნიშნული წესიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5[1] პუნქტითა და 9[1] მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია გამონაკლისები და, აქციონერთა ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, დადგენილია გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა, ხოლო მე-3 მუხლის 5[2] პუნქტით კი აკრძალულია პარტნიორის/აქციონერის თანხმობის გარეშე ამავე პუნქტით განსაზღვრული ცვლილების შეტანა.

77. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო დანაწესებთან კაპიტალის გაზრდის თაობაზე 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისობა.

78. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრებაზე წესდებაში ცვლილების შეტანის გზით, საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა 30 000 000 ლარამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების აქციათა 90%-ის მფლობელ აქციონერთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

79. საკასაციო სასამართლო მეორე კასატორის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (მე-3 მუხლის 5[1] და 5[2] პუნქტები, 9[1] მუხლის მე-6 პუნქტი, 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები) არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებდა სააქციო საზოგადოებას კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ყველა აქციონერის თანხმობით. კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის განსაზღვრის თავისუფლება მიანიჭა თავად აქციონერებს, რომელთა მიერ დადგენილი წესები ასახულია წესდებაში.

80. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე კომპანიის წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით.

81. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონში პირდაპირი ჩანაწერის არარსებობის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, წესდების ცვლილების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდა რამდენად არის შემხებლობაში აქციონერის ხმის უფლებასთან, მოგებაში/ზარალში მის წილთან ან ლიკვიდაციისას მის უფლებებთან („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5[1] პუნქტი); ხომ არ აუქმებს აქციონერის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას ხომ აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5[2] პუნქტი); ამ გადაწყვეტილების შინაარსი ხომ არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე აქციონერისათვის ანდა ხომ არ ხელყოფს აქციონერის არსებით ინტერესებს („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-9 პუნქტი).

82. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, საზოგადოების 30 000 000 ლარით განსაზღვრის შემდეგ, საზოგადოების გაუნაღდებელი (განუთავსებელი) აქციების შევსების შესაძლებლობა მიეცა ყველა აქციონერს 15 დღის ვადაში, 2013 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში საზოგადოების შეუვსებელი კაპიტალის შევსების და, შესაბამისად, შესატყვისი აქციების მიღების უფლება მიენიჭათ საზოგადოების აქციონერებს ისე, რომ მათ შორის აქციათა გადანაწილების პროპორცია დარჩა უცვლელი.

83. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებით აქციონერის გაუნაღდებელი აქციების შეუვსებლობა არ იწვევდა აქციონერის რეგისტრირებული უფლების გაუქმებას (მაგ: აქციათა შემცირებას, აქციონერის გარიცხვას და სხვა).

84. ამასთან, საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე უშუალოდ არ შეხებია მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შენატანებს და აქციათა რაოდენობას. მას საკუთრებაში კაპიტალის გაზრდამდე ჰქონდა 400 ცალი აქცია (ტ. I. ს.ფ. 189) და კაპიტალის გაზრდის შემდეგაც, თუ არ შეავსებდა კაპიტალს თავისი წილის პროპორციულად დარჩებოდა იმავე რაოდენობის აქციები (იხ. ტ. I, ს. ფ. 230). ამ გადაწყვეტილებით მისი აქციების რაოდენობა არ შემცირდებოდა.

85. მეორე კასატორის არგუმენტი, რომ, თუ აქციონერი საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში ვერ შეძლებს ან მიზანშეწონილად არ ჩათვლის განთავსებული აქციების შეძენას, მისი აქციების წილი სხვა აქციონერების წილებთან მიმართებაში მკვეთრად შემცირდება და, შესაბამისად, შემცირდება მისი ხმის უფლებაც, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ წარმოადგენს კაპიტალის გაზრდის უშუალო, პირდაპირ და გარდაუვალ შედეგს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კაპიტალის გაზრდის შემდეგ, მოსარჩელის მიერ აქციათა გადანაწილების პროპორციულად აქციების შევსების შედეგად, მისი წილის პროცენტულობა არ შემცირდებოდა და დარჩებოდა იგივე, შესაბამისად, მისი ხმების მოცულობაც იქნებოდა მისი შენატანის შესატყვისი.

86. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე არ წარმოადგენს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ იწვევს აქციონერის ხმის უფლების ან წილის შემცირებას.

87. რაც შეეხება კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებით ყველა აქციონერს მიეცა გაუნაღდებელი აქციების შევსების შესაძლებლობა აქციათა განაწილების პროპორციულად, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით რომელიმე აქციონერისთვის არ შექმნილა არათანაბარი მდგომარეობა და არ შელახულა მათი არსებითი ინტერესები.

88. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონით დადგენილი არ არის საზოგადოების მიერ კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა და, ამასთან, სახეზე არ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5[1] და 5[2] პუნქტებით, აგრეთვე, 9[1] მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

89. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ კანონის ისეთი ინტერპრეტაცია, რომლითაც დადგინდება აქციონერთა მიერ სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული წესი, შეიძლება გახდეს კაპიტალური საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი, ვინაიდან აქციონერი, რომელსაც არ შესწევს უნარი განახორციელოს დამატებითი შენატანი ან შეავსოს განუთავსებელი აქციები მისი წილის პროპორციულად, უმრავლეს შემთხვევაში, ხმას მისცემს მსგავსი გადაწყვეტილების წინააღმდეგ თავისი პროცენტული წილის შესანარჩუნებლად, რაც, საბოლოო ჯამში, დააზიანებს კაპიტალური საზოგადოებების განვითარების პროცესს. ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, უმთავრესია, რომ აქციონერები არ იქნენ ჩაყენებულნი არათანაბარ მდგომარეობაში და თანაბრად მიეცეთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძვლები. მოცემულობა, როდესაც აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლავს დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, ქმნის მრავალმხრივი გარიგების ბათილობის საფუძველს. ბათილობის საფუძვლის არსებობასთან ერთად უნდა არსებობდეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი. სასამართლომ უნდა შეაფასოს აქციონერის იურიდიული ინტერესი რამდენად არის მიმართული მისი მართლზომიერი უფლების დაცვისა და განხორციელებისკენ. არც უმცირესობაში და არც უმრავლესობაში მყოფმა აქციონერებმა ბოროტად არ უნდა ისარგებლონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებებით. აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილობა არ ემსახურება უმცირესობაში მყოფი აქციონერის მართლზომიერი უფლების განხორციელებას, იმ პირობებში, როდესაც აქციონერთა კრების გადაწყვეტილება არ არის მიმართული მინორიტარი აქციონერის საზოგადოებიდან განდევნისკენ და მას ამოძრავებს საზოგადოების გადარჩენისა და განვითარების ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები.
- დომინანტი (მაჟორიტარი) აქციონერი.
- მინორიტარი აქციონერი.
- აქციონერთა საერთო კრება.
- მრავალმხრივი გარიგება.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
93. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები ემსახურება აქციონერის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებას, იმის განსაზღვრას, თუ რა შედეგს მოუტანს საზოგადოებასა და აქციონერის ქონებრივ ინტერესებს კონკრეტული გადაწყვეტილება.

95. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, აქციონერთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს (იხ. სუსგ №ას-863-813-2015, 2015 წლის 17 დეკემბერი). შესაბამისად, აქციონერთა კრების ოქმზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძვლები. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს.

96. მოცემულ შემთხვევაში, აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას თან არ ახლდა დირექტორების და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები, რაც წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, რაც, თავის მხრივ, ქმნის მრავალმხრივი გარიგების ბათილობის საფუძველს, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

97. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გარიგების ბათილად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას ბათილობის საფუძვლის არსებობასთან ერთად უნდა არსებობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული მოსარჩელის მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

101. საკასაციო სასამართლომ მოცემულ დავაში უნდა შეაფასოს, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობით საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, რაც ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება მიუთითებდეს ასევე მოსარჩელის ნამდვილ იურიდიულ ინტერესზე.

102. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნამდვილი იურიდიული ინტერესის შეფასებისას უნდა დადგინდეს აქციონერის მიერ უფლების განხორციელების მართლზომიერის საკითხი, რამდენადაც დავა ეხება საზოგადოების დომინანტ და მინორიტარ აქციონერებს და მათ მიერ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის კანონიერებას, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, აქციონერის იურიდიული ინტერესი რამდენად არის მიმართული მისი მართლზომიერი უფლების დაცვისა და განხორციელებისკენ.

103. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კაპიტალურ საზოგადოებაში, რომელსაც განეკუთვნება სააქციო საზოგადოება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების დაცვა, რათა უმრავლესობაში მყოფმა აქციონერმა, დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით, ზიანი არ მიაყენოს მას, თუმცა, ასევე არანაკლებ აუცილებელია უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბოროტად არ ისარგებლოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებებით და თავისი ქმედებებით არ შეაფერხოს საზოგადოების განვითარება.

104. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა. ნებისმიერი დავის განხილვისას სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამარ-

თლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ამოწმებს თავად კრების გადაწყვეტილებას შინაარსობრივი თვალსაზრისით, რათა დადგინდეს სამეწარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა თუ არა მინორიტართა ინტერესების დარღვევის ფაქტი და მიღებული გადაწყვეტილება სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწონის თუ არა უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ინტერესებს. ამასთან, მნიშვნელოვანია გაირკვეს აქციონერთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხომ არ იყო მიმართული უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლებების შელახვისკენ და ხომ არ ემსახურებოდა მის მიზანმიმართულ განდევნას საზოგადოების საქმიანობიდან.

107.საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების მიღების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ფინანსური სიძნელეებიდან გამოყვანა და, კაპიტალის გაზრდის გზით, მისი განვითარება.

108. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ შეძლო სასამართლოსთვის წარმოედგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მისი გადაწყვეტილება არ იყო მიმართული მოსარჩელის, როგორც მინორიტარი აქციონერის საზოგადოებიდან განდევნისკენ და მას ამოძრავებდა საზოგადოების გადარჩენისა და განვითარების ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი, ამასთან, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საქმის მასალებიდანაც ირკვევა, რომ მოპასუხე კომპანიის 2012 წლის 21-24 დეკემბრის, 2013 წლის 6 მარტის, 2013 წლის 26 აპრილის, 2013 წლის 8 ივლისის და 2013 წლის 3 სექტემბრის კრების ოქმების თანახმად, საზოგადოების აქციონერებს შორის მიმდინარეობდა კონსულტაციები, საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და საწესდებო კაპიტალის შევსების ვადის საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი, ასევე იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებასთან მიმდინარეობდა წილის გამოსყიდვის თაობაზე კონსულტაციები, ყოველივე ჩამოთვლილი ფაქტობრივი გარემოებები მეტყველებს იმაზე, რომ მოსარჩელისთვის არ ყოფილა მოულოდნელი კაპიტალის გაზრდის თაობაზე კრების გადაწყვეტილება და მას, კრებაზე დასწრების შემთხვევაში, შეეძლო ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების გარეშეც.

109. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარემ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სამეწარმეო მიზნის მართლზომიერებაში. საპირისპირი მტკიცებულებები კი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

110. საკასაციო პალატა აღნიშნავს, მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, თუ რა კონკრეტული მიზნის მიღწევას ემსახურება საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, აქციონერთა კრების გადაწყვეტილების ბათილობა არ არის მიმართული აქციონერის მართლზომიერი უფლების განხორციელებისკენ, კრების მოწვევის შეტყობინებაზე რეკომენდაციების დაურთველობის მოტივით კრების ოქმის ბათილად ცნობამ შეიძლება არსებითად დააზიანოს საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები, რასაც ვერ გადაწონის მოსარჩელი იურიდიული ინტერესი.

111. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის კრებაზე საზოგადოების აქციათა 90%-ის მფლობელი აქციონერების მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:

OD – სამართალში დამკვიდრებული ქცევის კეთილსინდისიერების პრინციპიდან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ იურიდიული ინტერესი არ არსებობს, რადგან აქციონერთა კრების გადაწყვეტილების სასამართლო წესით ბათილობის პირობებშიც შესაძლებელია, დომინანტი პარტნიორების (90%-ის მფლობელი აქციონერების) მხრიდან იმავე გადაწყვეტილების ხელახლა მიღება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- აქციონერთა საერთო კრება.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
98. საკასაციო სასამართლო უპირველესად ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციაზე, რომლის თანახმად, ვინაიდან საზოგადოების კაპიტალის გაზრდას მხარი დაუჭირეს აქციათა 90%-ის მფლობელმა აქციონერებმა, შესაბამისად, აქციონერთა 2013 წლის 19 ნოემბრის კრების გადაწყვეტილების სასამართლო წესით ბათილობის პირობებშიც, შესაძლებელია, დომინანტი პარტნიორების მხრიდან იგივე გადაწყვეტილების ხელახლა მიღება, რაც მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, ფორმალური საფუძვლით კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, არანამდვილს ხდის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მსგავსი მიდგომა არ გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული ქცევის კეთილსინდისიერების პრინციპიდან, რომლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის მსგავსი განმარტება, შესაძლოა, მომავალში აღმოჩნდეს დომინანტი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის არაკეთილსინდისიერი ქცევის წამახალისებელი.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი საწარმოს არ ავალდებულებს მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების საკუთარი ხარჯით ჩატარებას.

განმარტებული საკითხები:
- სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53. პუნქტები 3[2].,3[5].

სრული განმარტების ციტირება:
112. რაც შეეხება მეორე კასატორის პრეტენზიას, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის 3[2] პუნქტის თანახმად, არ არსებობს საზოგადოებისათვის სპეციალური შემოწმების საკუთარი ხარჯით ჩატარების საფუძველი, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც მან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტსა და ამავე კანონის 53-ე მუხლის 3[2], 3[5] პუნქტებზე დაყრდნობით შემოწმების ხარჯები დააკისრა მოსარჩელეს იმ დასაბუთებით, რომ მას არც კანონი და არც საზოგადოების წესდება არ ავალდებულებდა მონაცემების შედარების მიზნით სპეციალური შემოწმების საკუთარი ხარჯით ჩატარებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-240-228-2016 (28 სექტემბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საკასაციო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება და არ ცნო ბათილად პარტნიორთა გადაწყვეტილება დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რადგან დაადგინა, რომ პარტნიორებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე შრომის კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/3810-17

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს დირექტორთან ფორმდება სასამსახურო ხელშეკრულება. შესაბამისად, დირექტორის გათავისუფლებაზე მსჯელობისას მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709 და 710-ე მუხლები). დირექტორის თანამდებობის დაკავებასა და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა. პარტნიორებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე შრომის კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- საწარმოს დირექტორი.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.

სრული განმარტების ციტირება:
26. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ კვალიფიკაციაზე და უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ „საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მეწარმეთა კანონის ნორმებითან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709 და 710-ე მუხლები)“ – იხ. სუსგ №ას-895-845-2015წ., 29.01.2016წ.;

32. „დირექტორის მიერ საწარმოს პარტნიორებთან შეუსაბამობასა და დაპირისპირებაში ყოფნა კანონთან და, ბუნებრივია, პარტნიორებთან შეუსაბამოდ მიიჩნევა. სწორედ დირექტორის უნარ-ჩვევებსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება. ამ რისკის საკომპენსაციოდ კი, პარტნიორებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე, შრომის კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია ურთიერთობა საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის ფუნქციათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავის გადასაწყვეტად საქართველოს შრომის კოდექსით ხელმძღვანელობა კანონმდებლობით ნაკარნახევი არ არის. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპიური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის, ეს არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა, რომლის მიმართაც შრომის კოდექსის გავრცელება არ შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის შრომითი ურთიერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შრომითსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (სუსგ 2001 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №3კ/259-01, სუსგ 2003 წლის 26 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-68-767-03;)“. როგორც ზემოთ აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით, საწარმოს დირექტორთან ფორმდება სასამსახურო ხელშეკრულება, სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლების საფუძველზე – იხ. სუსგ №ას-23-23-2016, 09.03.2016წ.;

37. სადავო სამართალურთიერთობისათვის მეწარმეთა კანონისა და სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე გადაწყვეტა არის მართებული იურიდიული კვალიფიკაცია, რის გამოც, ახალი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საწარმოს ყოფილი დირექტორის სარჩელი.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება), თავისი არსით, წარმოადგენს კერძოსამართლებრივ ურთიერთობას და ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს დირექტორი.
- საგნობრივი განსჯადობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 11.
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 2.

სრული განმარტების ციტირება:
32. ... „საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას შესაბამისი სახელმწიფო ორგანო გამოსცემს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი – სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორი. შესაბამისად,

საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება), თავისი არსით, განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით“ (სუსგ №ას-23-23-2016, 09.03.2016წ.).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-176-163-2015 (04 ოქტომბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის ფიდუციური მოვალეობები.

განჩინების რეზიუმე:
კომპანიის დირექტორი დამნაშავედ იქნა ცნობილი გადასახადის გადახდისთვის განზრახ თავის არიდების გამო. მოსარჩელემ მოპასუხეებად დაასახელა როგორც საწარმო, ისე საწარმოს დირექტორი. საწარმოს დირექტორის ნაწილში საგადასახადო ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი საწარმოს (და არა მესამე პირს) ანიჭებს უფლებას დირექტორისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ფიდუციური მოვალეობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
20. კასატორი 2013 წლის 12 ნოემბერს აღძრული სარჩელით მოპასუხეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის, 225 096 ლარის, სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნას ამყარებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, რომლის მიხედვითაც მეორე მოპასუხეს მსჯავრი დაედო 2006 წლიდან 2008 წლის 14 აპრილამდე პერიოდში ძირითადი გადასახადის – 40 204 ლარის გადახდაზე განზრახ თავის არიდებისათვის.

25. რაც შეეხება, კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯერ ერთი, ეს ნორმა საწარმოს (პირველ მოპასუხეს) და არა მოსარჩელეს ანიჭებდა მეორე მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას („ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ...“), მეორეც, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა საწარმოს და არა მის დირექტორს (მეორე მოპასუხეს), ამიტომ მისთვის, საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ჯარიმა-საურავების დაკისრება დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-692-663-2016 (07 ოქტომბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე, როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მოითხოვდა საიჯარო ქირისა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას; როგორც საზოგადოების პარტნიორი, მოთხოვნას უყენებდა მეორე პარტნიორს მითვისებული დივიდენდის, ხოლო დირექტორს – გაუნაწილებელი დივიდენდის ანაზღაურებაზე. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ზიანის ანაზღაურების ზოგადი შემთხვევისგან არსებითად განსხვავდება შიდაკორპორაციული ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა (საწარმოს მოთხოვნა დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე), რა დროსაც დირექტორის ვალდებულებაა ფიდუციურ მოვალეობათა ჯეროვანი განხორციელების მტკიცება.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.6. განსახილველი დავის თავისებურებას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, კერძოდ, ყოფილი პარტნიორი მოთხოვნას აყენებს მას შემდეგ, რაც საზოგადოება გაკოტრებულად გამოცხადდა, შეწყდა მისი რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში, ამ ვითარებაში სახეზე გვაქვს ზიანის ანაზღაურების ზოგადი შემთხვევა და ფაქტების მტკიცების ტვირთიც, სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება. ამ მდგომარეობისაგან არსებითად განსხვავდება შემთხვევა, როდესაც საწარმო (იურიდიული პირი) ედავება ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს, რა დროსაც დირექტორის ვალდებულებაა ფიდუციურ მოვალეობათა ჯეროვანი განხორციელების მტკიცება. ამდენად, ვინაიდან სახეზე არ გვაქვს შიდა კორპორაციული ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა (საწარმოს მოთხოვნა დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე), ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასთან განსხვავებულობის თვალსაზრისით (იხ. სუსგ-ებები: ას-764-715-2010, 18 აპრილი, 2011წელი; №ას-1056-990-2012, 29 იანვარი, 2013 წელი; №ას-479-455-2013, 9 ოქტომბერი, 2013 წელი).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-704-674-2016 (28 ნოემბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: პაატა ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს დირექტორის ხელმოწერის ნამდვილობა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე საწარმო (კრედიტორი) მოითხოვდა მოპასუხე საწარმოსთვის (მოვალე) თანხის დაკისრებას. მოპასუხე არ უარყოფდა ვალდებულების არსებობას, თუმცა უთითებდა, რომ, ფულად ვალდებულებათა გაქვითვის შესახებ ხელშეკრულებით, მოსარჩელის მოთხოვნის შესრულება იკისრა მესამე პირმა. საქმეში სადავო იყო მოსარჩელე საწარმოს დირექტორის მიერ სპარსულ ენაზე განხორციელებული ხელმოწერის ნამდვილობა. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, ხელმოწერა არ იყო შესრულებული მოსარჩელე საწარმოს დირექტორის მიერ, თუმცა ექსპერტიზის დასკვნით ვერ დგინდებოდა, რომ დამოუკიდებელმა ექსპერტმა იცოდა სპარსული ენა. შესაბამისად, აპელაციამ საქმე დააბრუნა საქალაქო სასამართლოში, თუმცა არ დააკმაყოფილა მოპასუხის მოთხოვნა ყველა მოქმედი საბანკო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვაზე. ინფორმაციის გამოთხოვას მოპასუხე მოითხოვდა მოსარჩელის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სხვა პირის დასადგენად. კასაცია დაეთანხმა ქვედა ინსტანციების შეფასებებს, გამოსათხოვი მტკიცებულებები მოცემული დავისთვის არარელევანტურად მიიჩნია და საკასაციო საჩივარი დაუშველად ცნო.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კორპორაციული გაერთიანება (იურიდიული პირი) არის ხელოვნური წარმონაქმნი, რომელსაც მართლწესრიგი ბუნებითი პირის თვისებებს სძენს და, ამდენად, სამართალსუბიექტად მიიჩნევს და, რომელიც ასოციაციის კონსტიტუციურ საფუძველს ემყარება. იურიდიული პირის გარიგებაუნარიანობა აბსოლუტურად ეფუძნება მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირებს, ამგვარად კი, გვევლინებიან, პირველ რიგში, ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – დირექტორები.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- საწარმოს დირექტორი.
- იურიდიული პირის კონსტიტუციური ნიშნები.
- კერძო სამართლის სუბიექტი.
- იურიდიული პირის ცნება.
- გარიგებაუნარიანობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 1.,2.,3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.

განმარტების ციტირება:
18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი (იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში

გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ), რომლის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ ტიპის კორპორაციული გაერთიანება არის ხელოვნური წარმონაქმნი, რომელსაც მართლწესრიგი ბუნებითი პირის თვისებებს სძენს და, ამდენად, სამართალსუბიექტად მიიჩნევს და რომელიც ასოციაციის კონსტიტუციურ საფუძველს ემყარება. ნორმაში კლასიფიცირებული იურიდიული პირის ნიშნებიდან მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მის გარიგებაუნარიანობაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი სწორედ აღნიშნულის მეშვეობით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში და დებს გარიგებებს, თუმცა, იურიდიული პირის სამართლებრივი არსის გათვალისწინებით, მისი გარიგებაუნარიანობა და ამ გარიგების სამართლებრივი შედეგებისადმი დამოკიდებულება აბსოლუტურად ეფუძნება მის მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირებს, ამგვარად კი, გვევლინებიან პირველ რიგში ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – დირექტორები („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლებამოსილება აქვთ დირექტორებს, ამავე ნორმის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილია, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), (შდრ. სუსგ. №ას-28-25-2017, 28.02.2018წ).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად, თუ გარიგებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია საზოგადოების დირექტორი და არა სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმ საკითხის გარკვევას, რომელიმე პირს ჰქონდა თუ არა კომპანიის სახელით საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობის მიზნით.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის ხელმოწერის ნამდვილობა.
- მტკიცებულების გამოთხოვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 1.,2.,3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 69. ნაწილი 3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 104. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 137.

განმარტების ციტირება:
19. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი შუამდგომლობა, საქართველოში მოქმედი ყველა საბანკო დაწესებულებიდან, მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენლობის მქონე პირის სახელზე გაცემული მინდობილობებისა და სხვა დოკუმენტების გამოთხოვის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 104-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ“. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი კორპორაციის დირექტორია (იხ. ამონაწერი ტ.1. ს.ფ. 15-16), ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ, რაკი 2013 წლის 1 ივლისის ფულად ვალდებულებათა გაქვითვის შესახებ შეთანხმებაზე ხელმომწერ პირად მითითებულია საზოგადოების დირექტორი და არა სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, იმ საკითხის გარკვევას, რომელიმე პირს ჰქონდა თუ არა მოსარჩელე კომპანიის სახელით საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობის მიზნით, სადავო საკითხთან მიმართებით არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია (შდრ. სუსგ. №ას-793-742-2017, 17.01.2018წ).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5397-16 (330210016001248209) (21 დეკემბერი, 2016 წელი)
მოსამართლეები: დიანა ბერეკაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე ცისკარიძე, ვანო წიკლაური

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს ყოფილი დირექტორი ითხოვდა მისი გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, რაც არ დაკმაყოფილდა, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება დირექტორთან.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი, პირობითად, შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისგან. დირექტორთან დადებული ხელშეკრულებასთან ყველაზე უფრო ახლოს დავალების ხელშეკრულება დგას. დირექტორი რეგისტრაციის მომენტიდან ხდება უფლებამოსილი განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი. შპს-ს/ა(ა)იპ-ს შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).
- სამეწარმეო რეესტრი.
- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი (ა(ა)იპ).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 35. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულ სამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას,

რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7[1] მუხლი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7[2] პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის გამოიყენება თუ არა შრომის კოდექსის ნორმები. პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი და დადგენილია, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, გაწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნას მოძიებული. პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მეწარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. მსგავს მოწესრიგებას შეიცავს ამ კუთხით სამოქალაქო კოდექსის 35.2 და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.2 მუხლები. თუ გადავავლებთ თვალს სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არა ერთ მსგავსებას ვნახავთ, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების

ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს-ს დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო 15/07/2016 გადაწყვეტილება ას-302-287-2).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1277-16 (06 იანვარი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ლევან გვარამია (თავმჯდომარე), ხათუნა არევაძე, ლილი ტყემალაძე

საკვანძო საკითხი:
დერივაციული სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საწარმოს პარტნიორი ითხოვდა საწარმოს სასარგებლოდ დირექტორისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორმა დაარღვია ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, არ ამოიღო საწარმოს მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებები კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო შემდგომ ეს მოთხოვნები გახდა ხანდაზმული. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ დირექტორი არ მოითხოვს საწარმოს წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც ეს მოთხოვნები გახდება ხანდაზმული, დირექტორი დაარღვევს თავის ფიდუციურ მოვალეობებს და მას კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრება დამდგარი ზიანის ანაზღაურება. სასამართლოში მხოლოდ სარჩელის აღძვრა არ შეიძლება განიხილებოდეს დირექტორის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად, თუ სარჩელი დარჩა განუხილველი, ხოლო შემდგომში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელის მოთხოვნა უკვე ხანდაზმული იყო. მოცემული შემთხვევის მარეგულირებელ ძირითად ნორმას წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, თუმცა ასევე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 394(1)-ე, 408(1)-ე, 409-ე, 411-ე და 412-ე მუხლები.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ფიდუციური მოვალეობები.
- სარჩელის განუხილველად დატოვება.
- ხანდაზმულობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 394. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 409.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 411.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 412.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. მოსარჩელის მითითებით, 2010 წელს, კომპანიის დილერებს შპს „ი.-ს“ მიმართ წარმოეშვათ დავალიანება ჯამში 52 303 ლარის ოდენობით. აღნიშნულის დასადასტურებლად, მოსარჩელემ წარმოადგინა ანგარიშის ბარათები (იხ. ტ.1, ს.ფ. 16-57). მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან, კომპანიის დირექტორმა თ. ჭ.-მ არ განახორციელა მითითებულ თანხების ამოღება კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო შემდგომ ეს მოთხოვნები გახდა ხანდაზმული, შესაბამისად შპს „ი.-ს“ მიადგა ზიანი, რისი ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს თ. ჭ.-ს კომპანიის სასარგებლოდ (იხ. ტ.1. ს.ფ. 6; ს.ფ. 146)

ი/მ ხ. ბ.-ს მოთხოვნის ნაწილში, მოპასუხემ მტკიცებულების სახით წარადგინა სარჩელი, შესაგებელი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის განჩინება. მხარემ მიუთითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებითაც დასტურდება, რომ თავდაპირველად შპს „ი.-ს“ სარჩელი 2011 წლის 9 ნოემბერს მხარეთა გამოუცხადებლობის გამო დარჩა განუხილველი, 2011 წლის 17 ნოემბერს მხარემ კვლავ მიმართა სასამართლო, თუმცა აღნიშნული სარჩელიც დატოვებულ იქნა განუხილველად, ხოლო მომდევნო ეტაპზე მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით, კერძოდ 2013 წლის 14 ნოემბერს რამაც საბოლოო ჯამში, მისი მოთხოვნა სამართლებრივად უვარგისი გახადა. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულებები მართალია მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია (მისი დირექტორის სახით) ცდილობდა მის წინაშე წარმოშობილი დავალიანებების ამოღებას, თუმცა სასამართლოში მხოლოდ სარჩელის აღძვრა არ შეიძლება განხილულ იქნეს დირექტორის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად გამომდინარე იქიდან, რომ პირველ შემთხვევაში, სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად, ხოლო შემდგომში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელის მოთხოვნა უკვე იყო ხანდაზმული. პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა, კი იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მართალია შპს „ი.-ს“ ი/მ ხ. ბ.-ს მიმართ გააჩნდა მოთხოვნის, მაგრამ მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი ვადის გაშვების გამო მისი ეს მოთხოვნა დარჩა განუხორციელებელი. ამდენად, საწარმომ დაკარგა ი/მ ხ. ბ.-სგან 23 026 ლარის მიღების შესაძლებლობა.

4.6. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის მარეგულირებელ ძირითად ნორმას წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი თუმცა, ვინაიდან, დირექტორის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას და კომპანიის სასარგებლოდ თანხის დაკისრებას მოითხოვს, აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ასევე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლით, ვალდებულების წარმოშობისა და ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზიანის რეალურად არსებობა, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისათვის შპს „ი.-ს“ სასარგებლოდ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 52 303 ლარის გადახდის დაკისრებას. ვინაიდან, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, საწარმოსათვის ამ ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი, რაც შპს „ი.-ს“ დირექტორის (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) მხრიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევაში გამოიხატა, შესაბამისად, თ. ჭ.-ს შპს „ი.-ს“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 52 303 ლარის გადახდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს ზიანის არსებობის ფაქტი, ხოლო საწარმოს დირექტორი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად (გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით) ასრულებდა დაკისრებულ ფიდუციურ მოვალეობებს და, თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ქმედების შედეგი.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ფიდუციური მოვალეობები.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... განსახილველ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს პარტნიორი ედავება საწარმოს (იურიდიული პირი) ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს, დირექტორის ვალდებულებაა ფიდუციურ მოვალეობათა ჯეროვანი განხორციელების მტკიცება, რაც, განსახილველ შემთხვევაში, თ. ჭ.-მ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ განახორციელა.

4.5. ... საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი და პასუხს იძლევა კითხვაზე – როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომაროება არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი (იხ. სუსგ №ას-245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი..

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორი იღებს საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან, მათ შორის სასამართლოსთან ურთიერთობისას. მართალია, დირექტორს მითითებულ უფლებამოსილებათა ნაწილი შესაძლოა დელეგირებული ჰქონდეს საზოგადოებაში დასაქმებული სხვა პირზე, მაგრამ აღნიშნული უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში ან/და შესაბამისი წესით გაცემულ დავალების ხელშეკრულებაში.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის მოვალეობები.

• დირექტორის უფლება-მოვალეობების დელეგირება.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... მოპასუხემ მისი, როგორც საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ მოტივაცია რიგ შემთხვევებში დაამყარა იმ გარემოებებს, რომ იმ პერიოდში, როდესაც დავალიანებები წარმოიშვა კომპანიას მართავდა თავად მოსარჩელე – პ. ნ., რომელიც იყო დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში და სწორედ მას ეკისრებოდა აღნიშნული საკითხების მოგვარება. მითითებულ საკითხთან მიმართებაში, პალატა უთითებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე და აღნიშნავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილია საზოგადოების დირექტორი. ამდენად, დირექტორი იღებს საზოგადოების სახელით გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან, მათ შორის სასამართლოსთან ურთიერთობისას, აქვე აღსანიშნავია, რომ მართალია მითითებული უფლებამოსილებათა ნაწილი შესაძლოა დელეგირებული ჰქონდეს სხვა საზოგადოებაში დასაქმებულ პირსაც, თუმცა აღნიშნულმა ასახვა უნდა პოვოს საზოგადოების წესდებაში ან/და შესაბამისი წესით გაცემულ დავალების ხელშეკრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ სარჩელში მითითებული მოთხოვნების წარმოშობის მომენტში, ამ საკითხების რეგულირება ევალებოდა არა მოპასუხეს, არამედ მოსარჩელეს, შესაბამისად მითითებული მხარეს უნდა დაედასტურებინა კონკრეტული მტკიცებულებებით, რაც მან ვერ უზრუნველყო. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს თ. ჭ.-ს მითითებულ არგუმენტაციას.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორს აკისრია ფიდუციური მოვალეობები. ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია იურიდიული პირის ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ კომპანიის მოგება გაიზარდოს. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

განმარტებული საკითხები:
• დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
• საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
• ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, იურიდიული პირის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები თავად იურიდიული პირის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ

თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

პალატა აღნიშნავს, რომ დირექტორი პარტნიორთა ნდობით აღწურვილი თანამდებობის პირია, რომელიც განაგებს საზოგადოების მთელ ფასეულობას და წარმოადგენს საწარმოს მესამე პირებთან ურთიერთობაში. სწორედ დირექტორის კეთილსინდისიერებასა და სამეწარმეო უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება და სამეწარმეო წარმატებები. ამდენად, ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია იურიდიული პირის ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი მიზანი, რის გამოც ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს კომპანიაში, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რაც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ. დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 46.5), მაგრამ, ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის და არა პირადად მისთვის მიყენებულ ზიანზე.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- ფიდუციური მოვალეობები.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის იმავე მე-9.6 მუხლიდან, რომლის შესაბამისადაც, დირექტორი საკუთარი მოვალეობების დარღვევისაგან წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

შესაბამისად, თუ დირექტორის მიერ მისი მოვალეობების (ზრუნვის ან ერთგულების მოვალეობის) დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს უპირველეს ყოვლისა აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 46.5), თუმცა ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის და არა პირდად მისთვის მიყენებულ ზიანზე.

მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის წინააღმდეგ, კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი აღძრული აქვს საზოგადოების პარტნიორს პ. ნ.-ს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1036-997-2016 (20 იანვარი, 2017 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს ლიკვიდაციის კომპეტენცია.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე პირველ ინსტანციაში მოითხოვდა უფლებამონაცვლედ ცნობას და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე ქმედების განხორციელების დავალდებულებას, ხოლო მეორე ინსტანციაში მოითხოვა საწარმოს ლიკვიდირებულად ცნობა. აპელაციამ, დავის საგნის შეცვლის გამო, სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. კასაციამ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს ლიკვიდაციის მოთხოვნა არა სასარჩელო წარმოების გზით, არამედ სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების სახით, შეიძლება განხორციელდეს.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ლიკვიდაცია.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- დისპოზიციურობის პრინციპი.
- სასარჩელო წარმოება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1]. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
21. ... მოთხოვნა, რომელიც ეხება საწარმოს ლიკვიდირებულად ცნობას შესაძლებელია დაეფუძნოს „მეწარმეთა კანონის“ შესახებ საქართველოს კანონის მოწესრიგებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საწარმოს ლიკვიდაციის მოთხოვნა არა სასარჩელო წარმოების გზით, არამედ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების სახით შეიძლება განხორციელდეს, რაც გულისხმობს საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, მეურვის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის, ასევე სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს, აღნიშნული ტერმინი კი დასახელებული კანონის მიზნებისათვის გამოიყენება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 პრიმა მუხლი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5838-16 (330210015001113070) (30 იანვარი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნატალია ნაზღაიძე, ქეთევან მესხიშვილი

საკვანძო საკითხი:
საწარმოს ბეჭდის გამოთხოვა.

განჩინების რეზიუმე:
საწარმოს მოთხოვნა პარტნიორის წინააღმდეგ საწარმოს კუთვნილი ბეჭდის, იურიდიული და საბუღალტრო დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რადგან მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მათი მოპასუხის მფლობელობაში არსებობის ფაქტი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონისმიერი პრეზუმფციის თანახმადაც, საწარმოს ფინანსური დოკუმენტაცია (და შესაბამისად, საზოგადოების ბეჭედიც) საზოგადოების დირექტორის მფლობელობაში იმყოფება.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს ბეჭედი.
- საწარმოს ბეჭდის ფლობის პრეზუმფცია.
- ვინდიკაციური სარჩელი (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. ნაწილი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. ნაწილი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 172. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
დადგენილია, რომ მოპასუხე რ. ქ. საზოგადოების 35%-იანი წილის მფლობელია და იგი საზოგადოების დირექტორი არასოდეს ყოფილა.

პალატა განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა კანონისმიერი (სამართლის) პრეზუმფცია, რომლის თანახმადაც საწარმოს ფინანსური დოკუმენტაცია (და შესაბამისად, საზოგადოების ბეჭედიც) საზოგადოების დირექტორის მფლობელობაში იმყოფება, რომელმაც პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე, ამ უკანასკნელისათვის საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობა უნდა უზრუნველყოს.

პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა შპს „გ.-ს“ კუთვნილი ბეჭდისა და მისი საფინანსო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების მოპასუხე რ. ქ.-ს მფლობელობაში არსებობის ფაქტი, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1104-1061-2016 (3302100150011885 52) (01 თებერვალი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
სხვაობა დივიდენდის მიღებისა და მოთხოვნის უფლებებს შორის.

განჩინების რეზიუმე:
აუქციონზე საწარმოს 100% წილის გასხვისების შემდეგ მერიამ გასული წლისთვის მოითხოვა დივიდენდის გაცემა, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მხარეთა შორის არ არსებობდა სპეციალური შეთანხმების (დათქმა) ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება დივიდენდის მოთხოვნის უფლების შენარჩუნებაზე. საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნის ფაქტთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა, წილისაგან დამოუკიდებლად, დაუშვებელია. დივიდენდის მოთხოვნის უფლება, თავის მხრივ, დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ყოფილ პარტნიორს შეუძლია მისი შენარჩუნება მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმების (დათქმის) ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- აქცესორული უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 198. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
22. მოთხოვნის მართლზომიერების შემოწმებისათვის, საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ დივიდენდის მიღების უფლება განუყრელადაა დაკავშირებული პარტნიორად ყოფნის ფაქტთან და მისი სხვა პირისათვის გადაცემა წილისაგან დამოუკიდებლად დაუშვებელია. ამ უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ წილთან ერთად, ამიტომ წილის დათმობით ამ უფლების დათმობაც ხდება. სხვა საკითხია დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემა, ვინაიდან, იგი დამოუკიდებელი უფლებაა და წილის გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად არ გადადის წილის მიმღებზე. ამდენად, წილის დათმობის (გასხვისების) დროს ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა აღინიშნოს დივიდენდის მოთხოვნის უფლების გადაცემის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

23. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ 2011 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული აუქციონის შედეგად მოპასუხე საზოგადოების 100%-იანი წილის მესაკუთრე გახდა შპს „მ.“. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ წილის გასხვისების მომენტიდან კასატორმა დაკარგა დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება, ხოლო საკითხი იმის შესახებ ყოფილი პარტნიორი – ქ. თბილისის მერია შეინარჩუნებდა თუ არა დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, დამოკიდებული იყო აღნიშნულის თაობაზე სპეციალური შეთანხმების (დათქმის) არსებობაზე ან პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამგვარი შეთანხმება მხარეთა შორის არ გაფორმებულა. ამგვარ დათქმას არც აუქციონის პირობები შეიცავდა. აღნიშნული კი უსაფუძვლოდ ხდის კასატორის პრეტენზიას დივიდენდის მიღებისა და ფინანსური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

25. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემული ტიპის დავებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა (იხ., საქმე №ას-747-707-2015, 28 სექტემბერი, 2015 წელი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/4889-16 (330210115001153991) (22 თებერვალი, 2017 წელი)
მოსამართლეები: დიანა ბერეკაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე ცისკარიძე, ვანო წიკლაური

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვის გასაჩივრების ხანდაზმულობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (შპს-ს ყოფილი პარტნიორი) მოითხოვდა მისი გარიცხვისა და შპს-ს წილების შემდგომი გასხვისების შესახებ გარიგებათა ბათილად აღიარებას. შპს-დან მოსარჩელე გარიცხეს 1999 წელს. მისი წილი გადაეცა ერთ-ერთ პარტნიორს. შემდგომში საწარმოს წილები რამდენჯერმე გასხვისდა. 2015 წელს მოსარჩელემ აღძრა სარჩელი. სამივე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ გასულია პარტნიორის გარიცხვის შესახებ კრების ოქმის გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა და, აქედან გამომდინარე, შემდგომი გარიგებების მიმართ მოსარჩელეს არ გააჩნია იურიდიული ინტერესი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის წესი საერთოა კერძო სამართლისათვის და მოქმედებს როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ, ასევე შრომის, საავტორო, საკორპორაციო და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოიყენება სპეციალური ნორმა. პარტნიორთა კრების ოქმის კანონიერების გასაჩივრების ვადასა და წესს ადგენს სპეციალური კანონის – მეწარმეთა შესახებ კანონის მე-15 მუხლი და ამ მიმართებით, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, როგორც გასაჩივრების ვადის ათვლის მარეგულირებელი ნორმა, არ გამოიყენება.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- ხანდაზმულობის ვადის დაწყება სამეწარმეო სამართალში.
- ზოგადი და სპეციალური ნორმების კოლიზია (კონკურენცია).
- ხანდაზმულობის ვადის დაწყება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 128.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 130.

სრული განმარტების ციტირება:
სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის წესი საერთოა კერძო სამართლისათვის და მოქმედებს როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ, ასევე შრომის, საავტორო, საკორპორაციო და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ურთიერთობა განსხვავებულ წესს ადგენს, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოიყენება სპეციალური ნორმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას შპს „გ.-ს“ პარტნიორთა კრების 1998 წლის 30 დეკემბრის, 1999 წლის 25 იანვარის და იმავე წლის 31 მარტის (რომლითაც ი. შ.-ს პარტნიორობიდან გარიცხვასთან ერთად გადაწყდა მისი წილის დ. გ.-სათვის გადაცემის საკითხი) ბათი-

ლად ცნობა წარმოადგენს, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის საკითხი „მეწამეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს, რომლის მე-15 მუხლის თანახმად 1. ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. 2. დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით. ამ შემთხვევაში, გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსის, გასაჩივრებული კრების ოქმებისა თარიღებისა (30.12.1998წ., 25.01.1999წ, 31.03.1999წ.) და სარჩელის წარდგენის დროის გათვალისწინებით (13.11.2015წ), სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა, კრების ოქმების ბათილად ცნობის ნაწილში ხანდაზმულია, რაც სარჩელის დაკმაყოფლებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხება აპელანტის პრეტენზიას, იმასთან დაკავშირებით რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო პალატის მიერ გამომდინარე იქიდან, რომ სადავოა პარტნიორთა კრების ოქმის კანონიერება და მისი გასაჩივრების ვადასა და წესს ადგენს სპეციალური კანონის – მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი და ამ მიმართებით, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის, როგორც გასაჩივრების ვადის ათვლის მარეგულირებელი ნორმის გამოყენება ნაკარნახევი არ არის (იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1244-1167-2015).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი ვერ დადგება, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება გაუმართლებელია. იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებიდან გარიცხვისა და წილის გასხვისების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები შეინარჩუნებენ ძალას, შემდგომი პარტნიორთა კრების ოქმებისა და წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების მიმართ მოსარჩელეს აღარ აქვს სამართლებრივად გამართლებული დაცვის ღირსი ინტერესი, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ბ.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა და რაც ყველაზე მთავარია, აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებელი უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის.

ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, ანუ სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს დაინტერესებულ პირს. იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი ვერ დადგება, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება გაუმართლებელია.

ამდენად, იმ პირობებში როდესაც საზოგადოებიდან გარიცხვისა და წილის გასხვისების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები (30.12.1998წ., 25.01.1999წ, 31.03.1999წ. კრების ოქმები) ინარჩუნებენ ძალას,

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო წილის განკარგვის განმაპირობებელი შემდგომი გარიგებების (პარტნიორთა კრების ოქმებისა და წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების) მიმართ, მოსარჩელეს აღარ აქვს სამართლებრივად გამართლებული დაცვის ღირსი ინტერესი, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-839-805-2016 (06 მარტი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნინო ბაქაქური, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
დირექტორის ხელფასის ზრდა.

განჩინების რეზიუმე:
დაკმაყოფილდა მინორიტარი პარტნიორების სარჩელი დირექტორის (რომელიც ამავე დროს მაჟორიტარი პარტნიორია) ხელფასის გაზრდის ნაწილში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ არ დადგინდა საზოგადოების წლიური მოგების იმგვარი ზრდა და პარტნიორთა ქონებრივი მდგომარეობის იმგვარი გაუმჯობესება, რაც პირდაპირპროპორციული იქნებოდა დირექტორის ჰონორარის ზრდისა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-851-795-2017, №ას-1151-1071-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის ხელფასის გაზრდის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად აღიარების მოთხოვნის მიმართ მინორიტარ პარტნიორებს გააჩნიათ ნამდვილი ინტერესი, რადგან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება განაპირობებს საზოგადოების მატერიალური სახსრების შენარჩუნებას. იურიდიული ინტერესი ნამდვილია, მიუხედავად იმისა, რომ დომინანტ პარტნიორებს სრული შესაძლებლობა აქვთ, განმეორებით მოიწვიონ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება და კვლავ მიიღონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება. მათი მხრიდან ამგვარი მოქმედება შეუთავსებელი იქნება კეთილსინდისიერების და უფლების მართლზომიერად გამოყენების ვალდებულებებთან.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი.
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.
- მინორიტარი პარტნიორი.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- აღიარებითი სარჩელი.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).
- კეთილსინდისიერება.
- მრავალმხრივი გარიგება.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. ნაწილი 8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. ნაწილი 5.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:

1.4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა პოზიციას იმის თაობაზე, რომ საზოგადოების დირექტორმა დაიცვა კრების მოწვევის პროცედურული წესი და ამ საფუძვლით არ არსებობდა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი. ამ პრეტენზიას კასატორები ასაბუთებენ ასევე მინორიტართა არანამდვილი იურიდიული ინტერესით და იშველიებენ საკასაციო სასამართლოს განმარტებას (იხ. სუსგ №ას-506-480-2013).

1.4.1. საკასაციო პალატა უპირველესად განმარტავს იმას, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების (იხ. სკ-ის 50-ე მუხლი) ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს და თუნდაც მის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა, ანუ აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა, გამართლებულია იურიდიული ინტერესის ნამდვილობით. განსხვავებით კასატორთა მიერ მოხმობილი უზენაესი სასამართლოს განჩინებისაგან (რომლითაც სსსკ-ის 391.5 მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებთან შეუსაბამობის გამო დაუშვებლად იქნა მიჩნეული საკასაციო საჩივარი), განსახილველ შემთხვევაში, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება განაპირობებს საზოგადოების მატერიალური სახსრების შენარჩუნებას, რაც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესის ნამდვილობაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით კი, პალატა ხაზგასმით არ იზიარებს კასატორთა პოზიციას, რომ დომინანტ პარტნიორებს სრული შესაძლებლობა აქვთ, განმეორებით მოიწვიონ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება და საკუთარი დომინირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კვლავ მიიღონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება. ამგვარი მიდგომა არ გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული ქცევის კეთილსინდისიერი სტანდარტიდან (რის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო), რომლის თანახმადაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (იხ. სკ-ის 8.3. მუხლი).

1.6. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ განსახილველი დავის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია, შეფასდეს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხიც, რამდენადაც დავა შეეხება საწარმოს დომინანტ და მინორიტარ პარტნიორებს და მათ მიერ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის კანონიერებას. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. საკორპორაციო სამართალში უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში „წილი“ წარმოადგენს „მფლობელობას“ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში და მასზე ვრცელდება საკუთრების ინსტიტუტიდან ნაწარმოები აბსოლუტური უფლებები (იხ. ECHR: Bramelid and Malmstrom v. Sweden (№8588/79; №8589/79; 12/12/1983)). „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს „დომინანტი პარტნიორის“ ცნებას და 3.8. მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, დომინანტ პარტნიორად ან პარტნიორთა ჯგუფად მიიჩნევა პირი/ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე. მინორიტარი პარტნიორის ცნებას კანონი პირდაპირ არ გვთავაზობს, თუმცა, მის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ზემოხსენებული ნორმა იძლევა – არ შეუძლია დამოუკიდებლად გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგებზე. მინორიტარი პარტნიორების უფლებების დაცვაზე მიუთითებს, მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებამოსილებანი, თუმცა, დაცვის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია პარტნიორის, როგორც ინდივიდის უფლება სარჩელზე და მისი უფლება – წარადგინოს დერივატიული სარჩელი (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.5 მუხლი). მოთხოვნის წარმატების შესაბამისად,

კანონი იცავს ასევე მხარის მიერ საერთო მიზნის მისაღწევად გაწეული პროცესის ხარჯების ანაზღაურების საკითხს. სარჩელის უფლების განსაკუთრებულობა განაპირობებს სასამართლოს მხრიდან კრების გადაწყვეტილების შინაარსობრივი საფუძვლიანობის შემოწმების აუცილებლობას, რათა დადგინდეს სამეწარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება, ანუ სახეზეა თუ არა მინორიტართა ინტერესების დარღვევის ფაქტი და მიღებული გადაწყვეტილება სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწონის თუ არა უმცირესობაში მყოფ პარტნიორთა ინტერესებს. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე არ იზიარებს საკასაციო სასამართლო კასატორთა მიერ საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პოზიციას, რომ საზოგადოების 70%-ის მფლობელი პარტნიორები, საერთო კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, კვლავ ჩაატარებენ კრებას და მიიღებენ იმავე გადაწყვეტილებას (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.4.1. პუნქტი).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს დანახარჯების მინიმალიზაცია, ეფექტიანი მმართველობა და დოლარის კურსის ცვლილება არ არის დირექტორის ხელფასის ზრდის საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი იმ პირობებში, როდესაც არ არის დადგენილი საზოგადოების წლიური მოგების იმგვარი ზრდა და პარტნიორთა ქონებრივი მდგომარეობის იმგვარი გაუმჯობესება, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნებოდა დირექტორის ჰონორარის ზრდისა. ამ მხრივ, 8000 ლარიდან ხელფასის 15000 ლარამდე ზრდა დივიდენდის ფარულად მიღებას ჰგავს (დირექტორი ამავდროულად საზოგადოების 51%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია).

განმარტებული საკითხები:
- ფარული დივიდენდი.
- დირექტორის გასამრჯელო.
- ფიდუციური მოვალეობები.
- საწარმოს დირექტორი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 6.,7.

სრული განმარტების ციტირება:
1.5. ... კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ:

ბ) დირექტორის ხელფასის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში მისი, როგორც მენეჯერის წარმატებული მოღვაწეობა არასწორად არ მიიჩნია ანაზღაურების ოდენობის გაზრდის წინაპირობად, ამ მხრივ არ გაითვალისწინა აშშ-ის დოლარის კურსის ცვალებადობა ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით და მიიღო საქართველოს უზენაესის სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება (იხ. სუსგ №ას-1134-1067-2015).

1.5.2. რაც შეეხება დირექტორის შრომის ანაზღაურების 15 000 ლარით განსაზღვრის საკითხს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხეთა პოზიცია იმის თაობაზე, რომ ამგვარი ცვლილება დირექტორის წარმატებული მენეჯერული თვისებებით იყო განპირობებული. ამ მხრივ, გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება დირექტორის ფიდუციურ მოვალეობებზე, რაც მისი, როგორც ხელმძღვანელი სუბიექტის პოზიტიურ მოვალეობას წარმოადგენს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოვალეობათა საკანონმდებლო რეგულაციას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი გვთავაზობს, რაც ძირითადად ზრუნვაზე დაფუძნებული პრინციპით ხასიათდება (9.6. მუხლი), თუმცა, საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ არის ამომწურავი და ნორმის მე-7 პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან) ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. საწარმოს დირექტორის ძირითადი მიზანი წარმატებული მართვის შედეგად საზოგადოების ქონების მაქსიმიზაციაა და დირექტო-

რი მოვალეა, ამ მიზნის მისაღწევად მოქმედი კანონით ნებისმიერი საშუალება გამოიყენოს მოვალეობათა მართლზომიერად და კეთილსინდისიერად განსახორციელებლად. თეორიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საკორპორაციო სამართალი განარჩევს დირექტორის თანამდებობრივ, სასამსახურო ურთიერთობას და მის ორგანულ თანამდებობას, რომელთაგან პირველი წარმოადგენს საზოგადოებასა და დირექტორს შორის სახელშეკრულებო შეთანხმებას, ხოლო მეორე – კორპორატიული აქტია და აქ იკვეთება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6. მუხლით განსაზღვრული პრინციპები: დირექტორი საქმეებს საკუთარი პასუხისმგებლობითა და სამეწარმეო გადაწყვეტილებათა მიღების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით ახორციელებს. სასამსახურო (ვალდებულებით-სამართლებრივი) ხელშეკრულების პირობების შეცვლა (გაუმჯობესება) არ შეიძლება დაემყაროს მხოლოდ და მხოლოდ კორპორატიული აქტის ფარგლებში განხორციელებულ პოზიტიურ სვლას, რამდენადაც, თუკი ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში დავრჩებით, უნდა აღინიშნოს, რომ კორპორატიულ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება დირექტორის პასუხისმგებლობას გამოიწვევს საწარმოს წინაშე, ანუ მხოლოდ ის გარემოება, რომ პირი თავს ართმევს დაკისრებულ მოვალეობას, მისი მხრიდან რაიმე მოთხოვნის საფუძველი ვალდებულებითი ურთიერთობის ჭრილში არ შეიძლება გახდეს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დირექტორის მხრიდან საზოგადოების ხარჯების დაზოგვა, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეძენა და სხვა შეიძლება გახდეს არა შრომის ანაზღაურების მატების პირდაპირპროპორციული საფუძველი, არამედ, დირექტორის, როგორც კეთილსინდისიერი მეწარმისათვის ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების ანაზღაურების საფუძველი. საგულისხმოა, რომ როგორც გასაჩივრებული განჩინებით (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.2.5. პუნქტი), ისე – კრების სადავო გადაწყვეტილებით ანაზღაურების ზრდის ფაქტობრივ საფუძვლად საწარმოს დანახარჯების მინიმალიზაცია, ეფექტური მმართველობა და დოლარის კურსის ცვლილებაა მიჩნეული, რაც საკასაციო პალატის დასკვნით, არასამკარისი საფუძველია. განსხვავებით კასატორის მიერ მოხმობილი განჩინებისაგან, მოცემულ შემთხვევაში, არ არის დადგენილი საზოგადოების წლიური მოგების იმგვარი ზრდა და პარტნიორთა ქონებრივი მდგომარეობის იმგვარი გაუმჯობესება, რაც პირდაპირპროპორციული იქნებოდა დირექტორის ჰონორარის ზრდისა. ამ მხრივ, საკასაციო პალატა ითვალისწინებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებას, რომ ხელფასის ამ ოდენობით ზრდა დივიდენდის ფარულად მიღებას ჰგავს (დირექტორი ამავდროულად საზოგადოების 51%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია), რაც საკასაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია მხარეს.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:

OD – მინორიტართა მხრიდან სარჩელის აღძვრის უფლების გამოყენება კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ემყარებოდეს და მიზნად ისახავდეს არა საწარმოს საქმიანობის ხელშეშლას, არამედ, საკუთარი, როგორც უმცირესობაში მყოფი მეწარმე სუბიექტის ნამდვილი ინტერესების დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება აღჭურვილია შესაძლებლობით, ასევე სასარჩელო წარმოების გზით აინაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უფლების სასამართლო წესით დაცვის პრინციპის გაუმართლებელ გამოყენებას მოჰყვება შედეგად.

განმარტებული საკითხები:

- მინორიტარი პარტნიორი.
- პარტნიორის პასუხისმგებლობა საწარმოს ზიანზე.
- საწარმოს პარტნიორის მოვალეობები.
- ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერება.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:

1.6. ... მინორიტართა მხრიდან სარჩელის უფლების გამოყენება ასევე კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ემყარებოდეს და მიზნად ისახავდეს არა საწარმოს საქმიანობის ხელშეშლას, არამედ, საკუთარი, როგორც უმცირესობაში მყოფი მეწარმე სუბიექტის ნამდვილი ინტერესების დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება აღჭურვილია შესაძლებლობით, ასევე სასარჩელო წარმოების გზით აინაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უფლების სასამართლო წესით დაცვის პრინციპის გაუმართლებელ გამოყენებას მოჰყვება შედეგად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-725-693-2016 (06 აპრილი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელეები (ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორი და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორი) მოითხოვდნენ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მათი განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებას. აპელაციის და კასაციის შეფასებით საწარმოს დირექტორთან იდება არა შრომის, არამედ სასამსახურო ხელშეკრულება, ხოლო დირექტორის გამოწვევა შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საფუძვლით. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, შპს-ს დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისგან.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- საწარმოს დირექტორი.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- მომსახურების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
32. საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია მოსარჩელეების მოპასუხე შპს „რ-ის“ ინდუსტრიული ქონებისა და გაყიდვების პორტფელის დირექტორისა და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 24 დეკემბრის №470 და №471 ბრძანებების ბათილად ცნობა და მათი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, როგორიცაა სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

33. საკასაციო პლატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი რეგულირებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. შრომის კოდექსზე კი, როგორც მოცემული დავის მარეგულირებელ ნორმებზე, კასატორის მითითებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ საქმეში შესაფასებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის (შპს-ს) დირექტორის, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები საწარმოს ინტერესებთან მიმართებით. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას

ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას, ხოლო დირექტორი კი, არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა (იხ. სუსგ საქმე №ას-101-97-2016, 15 ივლისი, 2016 წელი).

35. დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7[1] მუხლი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7[2] პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, შპს-ს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის გამოიყენება თუ არა შრომის კოდექსის ნორმები. პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, შპს-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვიხსენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, გაწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება, როგორც უკვე აღინიშნა, დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან და ამ უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმებში უნდა იქნას მოძიებული.

36. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „რ-მა“ ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით მოიწვია კომპანიის დირექტორთა საბჭო და 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილებთ დაამტკიცა ორგანიზაციის ახალი სტრუქტურა, საშტატო განრიგი და წესდება, რომლის შესაბამისად, შემცირდა შტატები, ასევე კომპანიის სახელფასო ფონდი. აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, მოსარ-

ჩელეები გათავისუფლდნენ მათ მიერ დაკავებული ინდუსტრიული და კომერციული ქონების პორტფელის დირექტორის თანამდებობებიდან. დადგენილია ასევე, რომ ამჟამად კომპანიაში აღარ არსებობს ზემოაღნიშნული თანამდებობები.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება. საწარმოს შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[1].ა.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, დაუშვებლად მიიჩნევა მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან (იხ. მსგავს საქმეებზე სუსგ-ები: საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-101-97-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-23-23-2016, 9 მარტი, 2016 წელი; საქმე №ას-302-287-2016, 15 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-131-127-2016; 23 სექტემბერი, 2016 წელი).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-552-527-2016 (06 აპრილი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
სააპელაციო ინსტანციაში დაზუსტებული (შემცირებული) სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა საწარმოს დირექტორისთვის პარტნიორთა კრების მოწვევის დავალდებულებას შემდეგი დღის წესრიგით: 2013 წლის წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების არსებობის შემთხვევაში, მისი დივიდენდების სახით პარტნიორებს შორის განაწილება-არგანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოგების დივიდენდების სახით განაწილება წარმოადგენს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას, თუმცა მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი და სწორედ აღნიშნული მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების – მოგების მიღების უფლების შეზღუდვას. სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა, რომლის შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციაში შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს. მოსარჩელის კვალიფიციური სარჩელის საპირისპიროდ, მოპასუხეს ეკისრება მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ხელის შემშლელი ფაქტორის არსებობის მტკიცების ტვირთი.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდი.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- პარტნიორთა საერთო კრება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება (სუსგ №ას-1328-1170-2010, 2011 წლის 6 ივნისი).

საწარმოს წლიური მოგების დივიდენდების სახით განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოში წლიური მოგების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მოგების დივიდენდების სახით განაწილება წარმოადგენს პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მეწარმე სუბიექტის საქმიანობის მიზანს სწორედ მოგების მიღება წარმოადგენს და პარტნიორებს გააჩნიათ ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ მოგების არსებობის შემთხვევაში მიიღებენ დივიდენდებს, პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღებას უნდა ჰქონდეს ასევე ლეგიტიმური სამეწარმეო მიზანი და სწორედ აღნიშნული მიზანი უნდა ამართლებდეს პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლების – მოგების მიღების უფლების შეზღუდვას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სასამართლო საზოგადოების პარტნიორთა კრების დისკრეციის (განაწილდეს თუ არა მოგება) ფარგლებში შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს (იხ. სუსგ №ას-378-359-2015, 2015 წლის 21 დეკემბერი; №ას-457-436-2015, 2016 წლის 6 ივნისი).

მოპასუხე კომპანია შესაგებელში უთითებს, რომ პარტნიორთა კრებაზე დივიდენდები არ განაწილებულა, რადგან ყველა საფინანსო დოკუმენტი, მოსარჩელის საჩივრების საფუძველზე, გადაგზავნილია ფინანსურ პოლიციაში, რაც ხელს უშლის კომპანიის საქმიანობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არ არსებობს იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ საფინანსო დოკუმენტების ფინანსურ პოლიციაში გადაგზავნა წარმოადგენს პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ხელის შემშლელ ფაქტორს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები და სამართლის ზოგადი პრინციპები (სუსგ №ას-1063-1018-2014, 2015 წლის 8 აპრილი). სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა. ნებისმიერი დავის განხილვისას სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ამოწმებს თავად კრების გადაწყვეტილებას შინაარსობრივი თვალსაზრისით, რათა დადგინდეს სამეწარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება (სუსგ №ას-1101-1037-2015, 2016 წლის 27 სექტემბერი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით მოპასუხე კომპანიის პარტნიორთა კრების მიერ 2013 წლის წლიური მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღება მიუთითებს პარტნიორთა კრების უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ისეთი სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, დაადასტურებდა მის მიერ შესაგებელში მითითებულ გარემოებებს, მოპასუხე მხარემ მოსარჩელის კვალიფიციური სარჩელის საპირისპიროდ ვერ მიუთითა პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების არმიღების ლეგიტიმურ სამეწარმეო მიზანზე, რითაც უსაფუძვლოდ შეზღუდა პარტნიორის ქონებრივი უფლება დივიდენდის მიღებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლო
საქმის №2/3689-16 (03 მაისი, 2017 წელი)
მოსამართლე: ქეთევან მამაცაშვილი

საკვანძო საკითხი:
გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელემ, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, საწარმოს და მის პარტნიორს რამდენჯერმე გადაურიცხა თანხა უძრავ ქონებათა შესაძენად, რაც არ განხორციელებულა. მოსარჩელე მოითხოვდა საწარმოსა და საწარმოს პარტნიორისთვის ზიანის ანაზღაურების (მატერიალური ზიანის და მიუღებელი შემოსავლის) სოლიდარულად დაკისრებას. სასამართლომ არ დაადგინა სოლიდარული ვალდებულების არსებობა, რადგან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლების არსებობა. არც მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რადგან მოპასუხისთვის გადარიცხული თანხა გამიზნული იყო უძრავი ქონების შესაძენად. დაკმაყოფილდა მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადარიცხული თანხის გადახდის დაკისრების შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სოლიდარული ვალდებულებისათვის აუცილებელია, არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იქნებიან ვალდებულნი. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის არ არის აუცილებელი, კრედიტორის მოთხოვნები სოლიდარულ მოვალეთა მიმართ ერთიანი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობდეს.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- სოლიდარული ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 463.

სრული განმარტების ციტირება:
6.2. ... საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი. გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებულნი. ამასთან, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება თითოეულის ვალდებულება კრედიტორის წინაშე. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, კრედიტორის მოთხოვნები სოლიდარულ მოვალეთა მიმართ ერთიანი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობდეს.

მოცემულ შემთხვევაში კი, სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა საზოგადოების პარტნიორის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მხოლოდ საწარმოს და არა მის პარტნიორს საწარმოსთან ერთად სოლიდარულად, მით უფრო იმ პირობებში როდესაც საწარმოს მხოლოდ 50% წილს ფლობს მოპასუხე ნ. კ., ხოლო დანარჩენი 50%-იანი წილის მფლობელი სხვაა, ამდენად, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთათვის თანხების სოლიდარულად დაკისრების შესახებ, ვინაიდან, აღნიშნულის (ე. წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“) დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები საქმეში წამოდგენილი არ არის.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კორპორაციული საფარვლის გაჭოლვის (გამჭოლი პასუხისმგებლობის) საფუძვლებია: (1) პარტნიორის მხრიდან მოტყუება, შეცდომაში შეყვანა ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედება; (2) კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ხელში „ინსტრუმენტს", პარტნიორის „ალტერ ეგოს" ან „ფიქციას"; (3) „არაადეკვატური კაპიტალიზაცია" – როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნესსაქმიანობა წარმოშობს; (4) „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა" – როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა ან/და ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; (5) გადასახადებისაგან თავის არიდება – როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

განმარტებული საკითხები:
- გამჭოლი პასუხისმგებლობა (კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა).
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება.
- საწარმო, როგორც ალტერ ეგო.
- არაადეკვატური კაპიტალიზაცია.
- კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
6.2. ... პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართლში „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის" ან სხვაგვარად, „გამჭოლი პასუხისმგებლობის" დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის" გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პარტნიორს დააკისროს. „გამჭოლი პასუხისმგებლობის" გამოყენების საფუძვლები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით, სამოსამართლო სამართალი განევრცო აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კომპანია წარმოადგენს პატნიორის ხელში „ინსტრუმენტს", პარტნიორის „ალტერ ეგოს" ან „ფიქციას".

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადექვატური კაპიტალიზაცია". გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური

კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები.

„არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არანებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

როგორც უკვე აღნიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება. „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“ კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს მაგალითად, გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. (იხ. სუსგ საქმე №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/579-16 (18 მაისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ანა გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ამირან ძაბუნიძე, გელა ქირია

საკვანძო საკითხი:
დივიდენდის არსებობის აღიარება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (პარტნიორი, ყოფილი დირექტორი) მოითხოვდა დივიდენდის მიუღებლობის გამო შპს-ს მიერ აღიარებული ვალისა და ამავე შპს-ზე ნასესხები თანხის გადახდის დაკისრებას. მოპასუხემ (შპს) შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელის მიერ მისი დირექტორობის პერიოდში ფიდუციური ვალდებულებების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელემ დაამტკიცა როგორც ვალის არსებობის აღიარება, ისე თანხის სესხად გადაცემა. სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხემ ვერ დაამტკიცა ზიანის არსებობა. შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დასაშვებია დივიდენდების მიუღებლობით წარმოშობილი ვალის არსებობის აღიარება. ვალის არსებობის აღიარება მისი საფუძვლისგან დამოუკიდებელი სამოქალაქო ხელშეკრულებაა, რომელიც მხარეებს ერთმანეთის მიმართ წარმოუშობთ ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნებს. ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, შესაგებელი ასეთ დროს მხედველობაში ვეღარ მიიღება. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების არსებითი პირობებია: 1. შეთანხმება ყველა არსებით პირობაზე, რომლებიც ვალდებულების შინაარსს განსაზღვრავს; 2. მოვალის თანხმობა, შეასრულოს ვალდებულება; 3. მითითება ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროზე.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- ვალის აღიარება.
- ხელშეკრულების არსებითი პირობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 327. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 341.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. ... კანონი ხაზს უსვამს ვალის არსებობის აღიარების სამ შემთხვევას: ვალის არსებობის აღიარება ხელშეკრულების ფორმით, ვალის არსებობის აღიარება ანგარიშსწორების საფუძველზე და მხარეთა მორიგება.

ჩვენს შემთხვევაში სახეზე გვაქვს გ. ბ.-სა და შპს „ი.-ს“ შორის, 2014 წლის 15 იანვარს გაფორმებული სანოტარო აქტი ვალის აღიარების შესახებ. რის თანახმადაც, შპს „ი.-მ“ აღიარა გ. ბ.-ს მიმართ ვალი 12 800 ლარის ოდენობით, ხელშეკრულების მიხედვით, ვალი წარმოშობილია 2012 წლის დივიდენდების მიუღებლობით.

საყურადღებოა ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლში გაწერილი ვალის არსებობის აღიარების სამართლებრივი ურთიერთობის ცნება განსაზღვრავს ასეთი ურთიერთობის ცალმხრივ და აბსტრაქტულ იგივე კონსტიტუციურ, დამდგენ ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობა არის დამოუკიდებელი სამოქალაქო ხელშეკრულება და მისი სტრუქტურა მოიცავს ხელშეკრულების არსებობისათვის ყველა ძირითად ელემენტს.

ვალის არსებობის აღიარების სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი ხასიათი მხარეებს ერთმანეთის მიმართ წარმოუშობს ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნებს რაც ავტონომიურობას ქმნის საწყისი (ძველი) სამართლებრივი ურთიერთობისგან და ძველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებელი ასეთ დროს მხედველობაში ვეღარ მიიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე, ანუ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე ხელშეკრულების არსებობას გულისხმობს. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების არსის თანახმად, ასეთი პირობებად შეიძლება მიჩნეულ იქნას შემდეგი: 1. შეთანხმება ყველა არსებით პირობაზე, რომელიც ვალდებულების შინაარსს განსაზღვრავს. 2. მოვალის თანხმობა შეასრულოს ვალდებულება. 3. მითითება ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროზე.

რაც შეეხება ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს იგი ვალის არსებობის ხელშეკრულების სავალდებულო პირობა ვერ იქნება სწორედ ასეთი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ გ. ბ.-სა და შპს „ი.-ს“ შორის, 2014 წლის 15 იანვარს გაფორმებული ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულების ნამდვილობას მისი ავტონომიური ხასიათის გამო არსებითი კავშირი ვერ ექნება ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველთან – 2012 წლის გასანაწილებელ დივიდენდებთან და შესაბამისად, მათი განაწილების რეალურ გეგმასთან.

პალატა ასევე არ იზიარებს აპელანტის პრეტენზიებს მასზედ, რომ ვალის არსებობის შესახებ ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა აქვს ასეთის შესახებ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების ნების არ არსებობს გამო, მაშინ, როცა საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 10 იანვრის კრების ოქმი, რის თანახმად სწორედაც, რომ შპს „ი.-ს“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საზოგადოებამ დაადასტურა ნება მოსარჩელის მიმართ ვალის არსებობის სამართლებრივი ურთიერთობის ფორმირებისთვის. კრების ოქმი ძალაშია და ის სადავო არ გამხადარა სარჩელის აღძვრის წესით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ შედავების საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი (დამდგარი ზიანის რეალურობის დამადასტურებელი) მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ იგი მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.6. ... პალატა განმრტვას, რომ საწარმოს დირექტორთა ვალდებულებები შეიძლება განისაზღვროს როგორც კანონით, ისე გარიგებით (შეთანხმება, წესდება). საწარმოების ხელმძღვანელთა ვალდებულებებით აღჭურვა უკავშიდრება უპირველესად საზოგადოების ქონების გაფრთხილებას, დაცვას, ნებისმიერი სახის ზიანისა-

გან არიდებას. ამ ვალდებულებებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების რენტაბელობის ხელშეწყობის და ასევე შემოსავლების გაზრდის სავალდებულო უნარს. ამასთან, ნდობის გამართლების იგივე ერთგულების ვალდებულება მოიცავს მმართველობით ქმედითობას საწარმოს ინტერესების და მიზნების თანხვედრად და ამავე დროს საწარმოს ინტერესების საზიანო ქმედებებისგან თავშეკავებას. საზოგადოების დირექტორებს გააჩნიათ შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა აღებული ვალდებულების ზედმიწევნით გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად შესრულებისთვის. ამდენად, საზოაგადოების დირექტორებმა თავისი კანონისმიერი და სახელშეკრულებო ვალდებულებები უნდა შეასრულონ განსაკუთრებული გულისხმიერების იგივე კეთილსინდისიერების და ნდობის გამართლების პრინციპით, საწინააღმდეგო შემთხვევის დადასტურების დროს კი მათი პასუხისმგებლობა საწარმოს მიმართ გარდაუვალია.

აპელანტი როგორც ზემოთ აღინიშნა შპს „ი.-ს“ ყოფილი ხელმძღვანელის გ. ბ.-ს მიერ საწარმოსთვის მიყენებულ ზიანს არგუმენტირებს უპირველესად აუდიტის დასკვნის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც ვხედავთ აუდიტის დასკვნაში აღწერილი მოვლენები ასახვენ საწარმოს შიდა საქმიანობის ხარვეზებს, თუმცა საწარმოს ზარალის დადგომას აუდიტის დასკვნა მხოლოდ პერსპერქტივაში მოიზარებს, რაც ცალკე აღებული არ ნიშნავს იმას, რომ სახეზეა ზიანის დადგომის რეალური დადასტურება, მაგალითად, სახეზე არა გვაქვს საგადასახადო ადმინისტრირების მიზნებისთვის საწარმოს საგადასახადო გადაცდომების გამო შესაბამისი დაჯარიმების დოკუმენტები და სხვა.

ჩვენი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ შედავების საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და, რომ იგი მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

მოცემულ შემთხვევაში, როცა დამდგარი ზიანის რეალურობა დაუდასტურებელია, შესაბამისად, შეგებებული სარჩელის მოპასუხე მხარის როგორც საწარმოს ყოფილი ხელმძღვანელის მტკიცების ტვირთის რეალიზაცია (ბრალის გაქარწყლება დამდგარი ზიანის გამო) უმნიშვნელოა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რომელიც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:

4.6. ... საინტერესოა, რომ დირექტორის პასუხისმგებლობათან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში განმარტა შემდეგი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალოებას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან“. (იხ სუსგ საქმე №ას-1307-1245-2014 06.05.15წ).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2622-17 (19 ივნისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ნატალია ნაზღაიძე, ქეთევან მესხიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის საპროცესო უფლებამონაცვლეობა.

განჩინების რეზიუმე:
დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა და მოწინააღმდეგე მხარის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საწარმოს 10% წილის შემძენი (ახალი მესაკუთრე).

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეუზღუდავი არ არის. თუ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, იგი დასაშვებია პროცესუალურადაც. საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება არ შეიძლება პარტნიორობის გარეშე არსებობდეს. შესაბამისად, წილის გასხვისებისას ინფორმაციის მიღების უფლებასთან მიმართებით დასაშვებია საპროცესო უფლებამონაცვლეობა.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- პარტნიორის უფლებამონაცვლეობა.
- საპროცესო უფლებამონაცვლეობა.
- აქცესორული უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1]. პუნქტი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 92. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
მოდავე მხარის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლის ჩაბმა დაკავშირებულია ამა თუ იმ საფუძვლით მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან მის გასვლასთან, რა დროსაც მხარე კარგავს და სხვა პირს გადასცემს თავის საპროცესო სტატუსს. ამგვარი საპროცესო უფლებამონაცვლეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლო უფლებამონაცვლეობასთან, კერძოდ, თუ უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, იგი დასაშვებია პროცესუალურადაც. ამდენად, საპროცესო უფლემონაცვლეობა შეუზღუდავი არ არის და ხორციელდება კანონით დადგენილ ფარგლებში [სუსგ №ას-309-296-2015, 18 მაისი, 2015 წელი].

პარტნიორობა და საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, ფინანსური დოკუმენტაციის მიღების უფლების ჩათვლით, ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ პარტნიორობის გარეშე იგი არ შეიძლება არსებობდეს. საზოგადოების მიმართ ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნაზე უფლებით აღჭურვილია მხოლოდ საზოგადოების პარტნიორი, ანუ პარტნიორად ყოფნა აუცილებელი და სავალდებულო პირობაა, რათა მოხდეს ამ უფლების რეალიზება.

მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებულ ნორმათა საფუძველზე და არსებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით (სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის გასხვისების შესახებ ნოტარიულად დამოწმებული 2017 წლის 10 მაისის ხელშეკრულება), უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საპროცესო უფლებამონაცვლეობას.

ამდენად, პალატა ასკვნის, რომ შუამდგომლობა უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1682-17 (330210116001516423) (20 ივნისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ვანო წიკლაური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე ცისკარიძე, დიანა ბერეკაშვილი

საკვანძო საკითხი:
კომპენსაცია დირექტორის გათავისუფლების (გამოწვევის) დროს.

განჩინების რეზიუმე:
ძალაში დარჩა გადაწყვეტილება დირექტორის (მოსარჩელე) გათავისუფლებისათვის დადგენილი წინასწარი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის გამო საწარმოსთვის (მოპასუხე) ზიანის ანაზღაურების სახით ორი თვის ხელფასის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ.: სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.).

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის უფლებები.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:
4.1.2. დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა ამ ურთიერთობის შინაარსის და მხარეთა უფლება მოვალეობების გათვალისწინებით, გაჯერებულია, როგორც კორპორაციული, ასევე შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ელემენტებით და ამ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებას განსაზღვრავს სწორედ ეს სამართლებრივი ორბუნოვნება. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირაა მოწესრიგებული მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისი ნორმებით, მის მიმართ ცხადია ვეღარ გავრცელდება შრომის კოდექსის მოწესრიგება, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ, სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა. შ.). სააპელაციო პალატის შეფასებით ამ მხრივ ნიშანდობლივია მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტის დანაწესიც, რომელიც განსაზღვრავს დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულების განხორციელებას შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილების წესის გამოყენების გზით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის გათავისუფლების საფუძვლის კვლევა შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ ჭრილში თავად გათავისუფლების კანონიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა მნიშვნელო-

ვანია შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შეფასებისათვის და იმის გასარკვევად, წარმოიშვა თუ არა ამ ვალდებულების დარღვევით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და უნდა მოხდეს თუ არა კომპენსაციის დაკისრება. საწარმოს ეკისრება გათავისუფლების კონკრეტული საფუძვლის არსებობის მტკიცების ტვირთი. წინასწარი შეტყობინების ვალდებულების დარღვევა იწვევს კომპენსაციის გადახდის ვალდებულების წარმოშობას.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულება.
- გამოწვევის შეუტყობინებლობის კომპენსაცია.
- დირექტორისათვის რეგისტრაციის შეწყვეტის შეტყობინების წესის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7[1].,7[2].
- შრომის კოდექსი, მუხლი 38. ნაწილი 1.,2.

სრული განმარტების ციტირება:
4.1.3. ... სააპელაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მეწარმეთა შესახებ კანონის 9-ე მუხლის 7[1] და 7[2] პუნქტებზე და აღნიშანვს, რომ დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა კანონმდებელმა დაუკავშირა რეგისტრაციის მომენტს. კერძოდ რეგისტრირებული პირის უფლებამოსილება წყდება ამ რეგისტრაციის შეწყვეტის მომემტნიდან. ამასთანავე კანონი ადგენს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, რომელიც უნდა განხორციელდეს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული წესის მიხედვით. ამ წესის დაუცველად რეგისტრაციის შეწყვეტის განხორციელება ე. ი. იმ შემთხვევაში, თუკი შეტყობინების განხორციელებაზე ვალდებული პირი რეგისტრირებული პირისათვის შეტყობინების განხორციელების გარეშე მოახდენს მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი განცხადების წარდგენას, რეგისტრირებულ პირს (ე. ი. იმ პირს, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტაც განხორციელდა მისთვის შეტყობინების გარეშე) წარმოეშობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მეწარმეთა შესახებ კანონის 9-ე მუხლის იმავე 7[2] პუნქტის თანახმად ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4.1.4. გათავისუფლების საფუძვლის კვლევა შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული ჭრილში მნიშვნელოვანია შეტყობინების ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით. კერძოდ, პალატა კვლავ მიუბრუნდება იმ საკითხს, რომ მართალია, თავად გათავისუფლების კანონიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის თუ შრომის კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული, რომელი საფუძვლით მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში გ. წ.-ს გათავისუფლება (მითუმეტეს, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის დირექტორობიდან მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას), თუმცა შპს „კ.-ს“ მხრიდან მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შეფასებისათვის და იმ საკითხის გასარკვევად, წარმოეშვა თუ არა ამ ვალდებულების დარღვევით ზიანის მოთხოვნის უფლება და უნდა მოხდეს თუ არა კომპენსაციის სახით შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული თანხის დაკისრება მოპასუხისათვის, საინტერესო და მნიშვნელოვანია, გაირკვეს მოხდა თუ არა გ. წ.-ს გათავისუფლება დირექტორის თანამდებობიდან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით, რომელის არსებობაზეც მიუთითებს მოპასუხე მხარე და რომელზე მითითებითაც ის გამორიცხავს სარჩელის საფუძვლიანობას.

4.1.5. სააპელაციო პალატა შენიშნავს, რომ მიუხედავად მოპასუხის მხრიდან შესაგებელში დაფიქსირებული პოზიციისა მასზედ, რომ გ. წ.-ს გათავისუფლების მიზეზი გახდა მისი მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობის არსებითი და სისტემატიური დარღვევა (შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი), საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნული არ ყოფილა დადასტურებული.

საზოგადოების საქმეების სათანადოდ გაძღოლის უუნარობა, პალატის მოსაზრებით არ შეიძლება აღნიშნული შეფასებული იქნეს მაინცდამაინც იმგვარად, რომ გ. წ. დირექტორობიდან გათავისფულდა სწორედ შკ-ის 37-ე

მუხლის „ზ“ პუნქტის (სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევა) საფუძველზე და არა მაგალითად ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, რომელიც ითვალისწინებს არაკომპეტენტურობის და დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს და რომელიც განსხვავებით „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისაგან, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის და მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის 7[2]-ე პუნქტით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე მოსარჩელეს უფლებამოსილს ხდის კომპენსაციის მოთხოვნაზე. მოსარჩელის გათავისუფლებასთან დაკავშირეიბთ მოპასუხის მიერ მომზადებული წერილობითი დასაბუთების ის შინაარსი, რაზეც უკვე მივუთითეთ (კერძოდ ის, რომ გ. წ.-მ მოპასუხის მოსაზრებით გამოავლინა საზოგადოების საქმეების გაძღოლის უუნარობა), პალატის მოსაზრებით სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ დამსაქმებელს გ. წ.-სთან, როგორც საზოგადოების დირექტორთან პრეტენზია ჰქონდა თანამდებობასთან მისი შეუსაბამობის თვალსაზრისით. ამდენად მოპასუხის ის მტკიცება, რომ გ. წ.-სათვის ცნობილი იყო დირექტორობიდან შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის საფუძველზე მისი გათავისუფლების შესახებ, პალატის მოსაზრებით არადამაჯერებელია.

ის ფაქტი, რომ საზოგადოების პარტნიორმა, გადაწყვიტა, რომ გ. წ. აღარ უნდა დარჩენილიყო დირექტორის თანამდებობაზე, არ ადასტურებს და არ შეიძლება განიხილებოდეს იმ ობიექტური გარემოების დამადასტურებლად, რომ გ. წ.-მ მართლაც უხეშად დაარღვია მისი, როგორც საზოგადოების დირექტორის ვალდებულებები და რომ სახეზეა შკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული გათავისუფლების საფუძველი, (რომელიც გამორიცხავს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას). იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე მხარემ ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია და ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ გ. წ.-მ უხეშად დაარღვია მისი, როგორც დირექტორის მოვალეობები, შესაბამისად გამოირიცხება შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის კვალიფიკაციის საფუძველიც.

მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება, მართალია იყო კანონიერი, თუმცა რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან დაირღვა წინასწარი შეტყობინების ვალდებულება, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „კ.-ს“ გ. წ.-ს მიმართ წარმოეშვა კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, რაც სწორად იქნა შეფასებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-451-423-2017 (30 ივნისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

განჩინების რეზიუმე:
სარჩელი წილის ნასყიდობის საფასურის გადახდის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – როდესაც საუბარია საწარმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულების შესრულებაზე – კერძოდ კი, შემძენის მიერ ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდაზე, აღნიშნული ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან წარმოშობილ პრეტენზიად – სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება და მათზე ამავე კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- სასარჩელო ხანდაზმულობა.
- ხანდაზმულობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 128. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.5.2. ... ვალდებულების არსებობის კვლევის თვალსაზრისით წარმოდგენილი პრეტენზიების შემოწმების საჭიროება მხოლოდ მაშინ დადგება, თუკი დადასტურდება, რომ მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადაშია წარდგენილი. უპირველესად, სასამართლო შეჩერდება იმ საკითხზე კაპიტალური ტიპის საზოგადოების წილის შეძენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სახელშეკრულებო მოთხოვნის 3-წლიან თუ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 (1) მუხლით განსაზღვრულ 5-წლიან ხანდაზმულობას ექვემდებარება. საკითხის გადაჭრის მიზნით, პალატა ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკით, რომლის თანახმადაც, როდესაც საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებაზე – კერძოდ კი, შემძენის მიერ ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდაზე, აღნიშნული ვერ ჩაითვლება „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან წარმოშობილ პრეტენზიად – სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება და მათზე ამავე კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება (იხ. სუსგ №ას-75-408-09, 2 ივლისი, 2009 წელი). ამდენად, ქვემდგომმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით გათვალისწინებული შემძენის სინალაგმატური ვალდებულების საკითხის გადაჭრისას სწორად იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 129 (1) მუხლით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნის 3-წლიანი ვადით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-918-884-2016 (10 ივლისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელემ მოითხოვა დირექტორობიდან მისი გათავისუფლების ბათილად ცნობა, აღდგენა ამავე საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე და საწარმოსთვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. მოპასუხემ, შეგებებული სარჩელით, მოითხოვა საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. დაკმაყოფილდა მოთხოვნები საწარმოსთვის უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის უკან დაბრუნებისა და დირექტორის მიერ საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. დაკმაყოფილებული მოთხოვნები გაიქვითა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-612-571-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, დირექტორის გამოწვევასთან მიმართებით, მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობის, არამედ სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 930.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
22. უწინარესად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს პირველი კასატორის საკასაციო პრეტენზიაზე, რომელიც საწარმოში დირექტორის თანამდებობაზე მის აღდგენას უკავშირდება და განმარტავს, რომ არ არსებობს აღნიშნული საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ ანალოგიურ შემთხვევაში, მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სსკ-ის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელ-

შეკრულება და, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები)“; „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა. შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს“; „დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ – [იხ. სუსგ №ას-655-611-2017, 11.07.2017წ; შდრ. სუსგ-ები: №ას-895-845-2015, 29.01.2016 წ; №ას-560-535-2016, 02.09.2016წ.].

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-655-611-2017 (11 ივლისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გასამრჯელო.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (დირექტორი) მოითხოვდა გადაუხდელი გასამრჯელოსა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას. სასამართლომ დაადგინა, რომ გასამრჯელოს მოთხოვნის ერთი ნაწილი ხანდაზმული იყო, ხოლო დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეს არ უწარმოებია ხელმძღვანელობითი საქმიანობა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორისთვის გადაუხდელი ხელფასის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 709-ე, 710-ე, 408(1)-ე და 411-ე მუხლები. მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებაზე ვრცელდება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისათვის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გასამრჯელო.
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- ხანდაზმულობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
18.1. გადაუხდელი ხელფასის ანაზღაურებისა და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 709-ე მუხლი (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე), 710-ე მუხლისა და (მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) 408-ე მუხლის პირველი ნაწილები (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 411-ე მუხლი (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო).

18.2. ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მოპასუხე საწარმოში დირექტორის თანამდებობა ეკავა და ამისათვის გასამრჯელოს სახით ყოველთვიურად 625 ლარი უნდა მიეღო სადავო არ არის. არც ის ფაქტია სადავო, რომ რომ მოსარჩელეს ხელფასი მოთხოვნილ პერიოდზე არ მიუღია, თუმცა, ის შედეგი, რომლის მიღწევაც მას სურს წარმატებული ვერ იქნება, რადგან მოთხოვნა 2013 წლის 30 მაისამდე მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების ნაწილში სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, (ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია) ხანდაზმულია.

18.4. გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელი 2016 წლის 30 მაისს აღიძრა, ხოლო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, 2013 წლის 30 მაისამდე პერიოდის თანხის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმულია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის მოთხოვნა გასამრჯელოზე უსაფუძვლოა, თუ დადგინდება, რომ სადავო პერიოდში მას ხელმძღვანელობითი საქმიანობა არ უწარმოებია, მუშაობდა სხვა ორგანიზაციაში და შესაბამის ანაზღაურებას იღებდა.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გასამრჯელო.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.

სრული განმარტების ციტირება:
18.4. ... საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 2013 წლის ივნისის თვის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნაც უსაფუძვლოა. კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე მოპასუხის დირექტორი და საწარმოს მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი იყო. უდავოა, რომ 2013 წლის ივნისში, კასატორს მოპასუხე საწარმოში ხელმძღვანელობითი საქმიანობა არ უწარმოებია, ვინაიდან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ის სხვა ორგანიზაციაში მუშაობდა და შესაბამის ანაზღაურებას იღებდა, ამრიგად, უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა ორმხრივი ვალდებულებიდან გამომდინარე, ივნისის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ, მაშინ, როდესაც, მის (დირექტორის) მიერ დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულებულა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რომელსაც მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად აწესრიგებს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები). დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გასამრჯელო.
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- დავალების ხელშეკრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:

18.5. მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება არა შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და სსკ-ის შესაბამისი ნორმებით. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ შემდეგი განმარტებები გააკეთა: „საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები)“; „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა. შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს“; „დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ (შდრ. სუსგ №ას-895-845-2015, 2016 წლის 29 იანვრის განჩინება).

19. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-895-845-2015, 2016 წლის 29 იანვრის განჩინება; №ას-560-535-2016, 2016 2 სექტემბრის განჩინება).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/2535-17 (12 ივლისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე (თავმჯდომარე), ნატალია ნაზღაიძე, ქეთევან მესხიშვილი

საკვანძო საკითხი:
ფილიალი, როგორც არასათანადო მოპასუხე.

განჩინების რეზიუმე:
საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხის (საწარმოს ფილიალის) წინააღმდეგ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით. ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლო სამართალწარმოებაში, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისო საპროცესო-სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როდესაც სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია. განსხვავებულია ვითარება, როდესაც უცხოური საწარმო აარსებს დამოუკიდებელ საწარმოს. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს სახელწოდებაში შეიძლება ფიგურირებდეს ფილიალი, თუმცა, საქმე გვაქვს დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტთან და მის მიმართ ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. დამოუკიდებელ მეწარმე სუბიექტთან გვაქვს საქმე ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს რედომიცილების შემთხვევაში.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ფილიალი.
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- რედომიცილება.
- მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია.
- სამეწარმეო რეესტრი.
- წარმომადგენლობა.
- კერძო სამართლის სუბიექტი.
- მხარეები სამოქალაქო პროცესში.
- არასათანადო მოპასუხის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[7]. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტები 1.,4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 79.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 93.

სრული განმარტების ციტირება:
ფილიალი განცალკავებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის განხორციელებას და მის ტერიტო-

რიულ გაფართოვებას. საწარმოს წარმომადგენლობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს და ახორციელებს მათ დაცვას. საწარმოს ფილიალი ძირითადი საწარმოსაგან ტერიტორიულად დაშორებულია, მას გააჩნია ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა, იგი სამართლებრივად დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე.

ამდენად, მაშინაც როდესაც საწარმოს ფილიალი დამოუკიდებელ მხარედ გამოდის სამართალურთიერთობაში, აღნიშნული დამოუკიდებლობა განპირობებულია ძირითადი საწარმოს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებით, შესაბამისად, ასეთ სამართალურთიერთობის დროსაც კი ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლო სამართალწარმოებაში, თუმცა, მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისო საპროცესო სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში. ამდენად, ძირითადი საწარმო წარმოადგენს სამართალურთიერთობის მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება მაშინაც, როდესაც სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი უცხოური საწარმოს ფილიალია. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ ემსახურება სამეწარმეო სამართლებრივ კონტექსტში მის ცალკე სამეწარმეო სუბიექტად განხილვის მიზანს. უცხოური საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია ემსახურება ისეთ მიზნებს, როგორიცაა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის რეგულირების რეჟიმში მოქცევა, გადასახადების გადახდა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ა. შ., მაგრამ არა ფილიალის სამართალსუბიექტად ქცევას. განსხვავებული მიდგომა, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართლის ძირითად პრინციპებს, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც ძირითად საწარმოსა და ფილიალს შორის ურთიერთობის ფარგლებში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ნიშანდობლივია ყურადღების გამახვილება საწარმოს ფილიალის მიმართ დამდგარ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების სირთულეებზე. ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ძირითადი საწარმოს საპროცესო უფლება, მონაწილეობა მიიღოს მისი საქმიანობის განმახორციელებელი ტერიტორიული განაყოფის თაობაზე გამართულ სასამართლო სამართალწარმოებაში. აღნიშნული უფლების შეზღუდვამ, შედეგობრივი თვალსაზრისით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს ისეთ გარემოებაზე, როდესაც უცხოური საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე მისი საქმიანობის განხორციელების მიზნით აარსებს დამოუკიდებელ საწარმოს ამა თუ იმ დამოუკიდებელ სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით, ასეთ ვითარებაში, საწარმოს სახელწოდებაში შეიძლება ფიგურირებდეს ფილიალი, თუმცა, სამართლებრივ ფორმაში მითითებული იყოს მაგალითად შპს, სს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფუნქციურად უცხოური საწარმოს ფილიალთან, თუმცა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საქართველოში დაარსებულ მეწარმე სუბიექტთან, რა დროსაც, იგი სამართალურთიერთობის დამოუკიდებელ სუბიექტად განიხილება და მის მიმართ, ფილიალისათვის დაწესებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. იგივე უნდა ითქვას, უცხო ქვეყნის საწარმოებზე, რომელთა საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად მოხდა რეგისტრაციის გადმოტანა საქართველოში (რედომიცილება).

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეა უცხოური საწარმოს შპს „კ.-ს“ ფილიალი „კ. ჯ.“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, მოცემული კორპორაციის სამართლებრივი ფორმაა უცხოური საწარმოს ფილიალი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უცხოური საწარმოს ფილიალთან და არა უცხოური საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის საქართველოში განსახორციელებლად დაფუძნებულ დამოუკიდებელ სუბიექტთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/7236-14 (160210014488710) (17 ივლისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ვანო წიკლაური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ხათუნა არევაძე, ლილი ტყემალაძე

საკვანძო საკითხი:
რეინვესტირებისა და დირექტორის ხელფასის ზრდის ნამდვილობა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა საწარმოს საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობას და პარტნიორთა გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, პარტნიორთა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში. საწარმოს გადაწყვეტილება მოგების რეინვესტირების შესახებ, სასამართლომ ცნო უკანონოდ, ხოლო დირექტორისთვის ხელფასის გაზრდა – კანონიერად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა უმრავლესობის მიერ მოგების რეინვესტირების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების ფორმალური/პროცედურული მხარის დაცვა. მოგების რეინვესტირებისათვის უნდა არსებობდეს ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება და გამოკვეთილი უნდა იყოს მართლზომიერება ამ გადაწყვეტილების პარტნიორთა უმრავლესობით მიღებისათვის. რეინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება არაკანონიერია, თუ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს 2012 წლის მოგების რეინვესტირებული თანხა გახარჯული და არ იკვეთება 2014 წელს ახალი მოგების რეინვესტირების საჭიროება, მით უფრო იმ პირობებში, როცა საზოგადოებას აღარ გააჩნია ის ძირითადი აქტივი, რომელზეც უნდა ყოფილიყო მიქცეული რეინვესტირებული მოგება.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- მოგების რეინვესტირება.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტები 2.,7.,9.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:
4.1.3. ... პალატა მართალია, იზიარებს იმ პოზიციას, რომ მსგავსი ტიპის საზოგადოებაში პარტნიოერთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი არ არის პარტნიოერთა მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და რომ პარტნიორთა უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებებს (თუკი კანონით ან საზოგადოების წესდებით რაიმე საგამონაკლისო შემთხვევა არ არის გათვალისწინებული) და შესაბამისად ამ კუთხით გასაზიარებელია აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზედ, რომ 2014 წლის 29 მარტის საერთო კრებაზე მიღბული გადაწყვეტილება 2013 წლის მოგების სრული რეინვესტირების შესახებ პროცედურულად გამართულია, თუმცა პალატა აქვე შენიშნავს, რომ თავად ამ საკითხის (მოგების რეინვესტირების შესახებ საკითხი) შინაარიდან გამომდინარე, რომ მოგების სრული რეინვესტირება გამორიცხავს საზოგადოების პარტნიორებზე მოგების

განაწილების და შესაბამისად ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას, პალატის მოსაზრებით ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს ამ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება და გამოკვეთილი უნდა იყოს მართლზომიერება ამ გადაწყვეტილების პარტნიორთა უმრავლესობით მიღებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ სადავო გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას სრულიად მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ საზოგადოების მიერ არ იყო ათვისებული და გახარჯული ჯერ კიდევ 2012 წლის მოგებიდან რეინვესტირებული თანხები (რომელთა რეინვესტირებაც განხორციელებული იყო იმავე დასაბუთებით, სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მოპოვების საჭიროებიდან გამომდინარ), შესაბამისად ამ უკვე რეინვესტირებული მოგების აუთვისებლობის პირობებში არადამაჯერებელი იყო ახალი მოგების რეინვესტირების ობიექტური საჭიროება. პალატა ამ საკითხის შეფასებისას განსაკუთებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტზე, რომ იმავე 2014 წელს, როდესაც საზოგადოების პარტნიორთა უმრავლესობამ მიიღო 2014 წლის 29 მარტის კრებაზე მოგების რეინვესტირების შესახებ გადაწყვეტილება, ოდნავ მოგვიანებით მაგრამ იმავე 2014 წელს, საზოგადოების იმავე უმრავლესობაში მყოფმა პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოების უძრავი ქონების გასხვისების შესახებ. ამ ფაქტის გათვალისწინებით, კერძოდ იმის გათვალისწინებით, რომ გასხვისდა ის მიწის ნაკვეთი, ის ტერიტორია, რაზეც უნდა მიქცეულიყო 2014 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით რეინვესტირებული მოგება, უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი ხდება მოსარჩელეთა ის პოზიცია, რომ 2014 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება 2013 წლის მოგების რეინვესტირების თაობაზე უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ მიღებული იქნა მხოლოდ იმის გამო რომ მოგება არ განაწილებულიყო უმცირესობაში მყოფ პარტნიორებზე.

ამდენად მოგების რეინვესტირების შესახებ საკითხის შინაარსიდან გამომდინარე და წინა აბზაცში დაფიქსირებული კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით პალატა მიიჩნევს, რომ ამ გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების ფორმალური და პროცედურული მხარე. იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა 2012 წლის მოგების რეინვესტირებული თანხა გახარჯული და არ იკვეთებოდა ახალი მოგების რეინვესტირების საჭირეობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ საზოგადოებას აღარ გააჩნია ის ძირითადი აქტივი რაზეც უნდა ყოფილიყო მიქცეული რეინვესტირებული მოგება, პლატა მიიჩენვს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 115-ე მუხლების დანაწესზე მითითებით სწორად მიიჩნია 2013 წლის მოგების რეინვესტირების შესახებ 2014 წლის 29 მარტის საერთო კრებაზე უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაკანონიერად. აღნიშნულთან დაკავშირეიბთ პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ მითითებული გადაწყვეტილება უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ მიღებული იქნა 2013 წელს მიღებული მოგების უმცირესობაში მყოფ პარტნიორებზე განაწილების თავიდან არიდების მიზნით. შესაბამისად პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილშიც პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია სარჩელი დასაბუთებულად.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იმ პირობებში, როდესაც საზოგადოების 2013 წლის ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 182 288 ლარი, ხოლო გასანაწილებელმა მოგების ოდენობამ – 555 840 ლარი, საზოგადოების დირექტორისათვის პარტნიორების მიერ 15 000 ლარის ოდენობის (დარიცხული ხელფასი) ხელფასის დანიშვნა არ შეიძლება შეფასებული იქნეს უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ უფლების ბოროტად გამოყენებად.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის გასამრჯელო.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:

4.1.4. ... აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ დირექტორისათვის დანიშნული ხელფასის გაზრდა 15 000 ლარამდე არის უკანონო და ამ ნაწილშიც 2014 წლის 29 მარტის კრების ოქმი ექვემდებარეობადა გაბათილებას, არადამაჯერებელია და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. პალატა ყურადღებას შეაჩერებს იმ გარემოებაზე, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე შპს „ბ.-ს“ შემოსავლები მნიშვნელოვნად დიდი იყო, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ საზოგადოების 2013 წლის ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 182 288 ლარი, ხოლო გასანაწილებელმა მოგების ოდენობამ შეადგინა 555 840 ლარი; შესაბამისად პალატა მიიჩნევს, რომ ამ ოდენობის შემოსავლების პირობებში საზოგადოების დირექტორისათვის პარტნიორების მიერ 15 000 ლარის ოდენობის (დარიცხული ხელფასი) ხელფასის დანიშვნა არ შეიძლება შეფასებული იქნას უმრავლესობაში მყოფი პარტნიორების მიერ უფლების ბოროტად გამოყენებად. აპელანტის ის არგუმენტი, რომ დღეისათვის საზოგადოებას აღარ გააჩნია ის ძირითადი აქტივი, რითიც ახორციელებდა თავის საქმიანობას და იღებდა შემოსავლებს და ამ ოდნეობის ხელფასი არ არის მისაღები, პალატის მოსაზრებით არ წარმოშობს ხელფასის ოდენობის შესახებ 2014 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს (პალატა შენიშნავს, რომ ეს არგუმენტი შეიძლება საფუძველი გახდეს ახალი დავისა მხარეთა შორის, რამდენადაც ამ დროისათვის რა შემოსავლები გააჩნია საწარმოს, და არის თუ არა აღნიშნული ხელფასის ოდენობა დღევანდელ სიტუაციაში გონივრული საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე შემოსავლებისა, არ წარმოადგენს მოცემული სარჩელის ფარგლებში განსახილველ საკითხს). შესაბამისად ეს არგუმენტი ვერ გამოდგება ამ ნაწილში სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნის დასასაბუთებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-612-571-2017 (28 ივლისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) საკორპორაციო ჩიხის დროს.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე, როგორც საწარმოს 50%-იანი წილის მესაკუთრე, ითხოვდა მოპასუხისგან მისთვის უსასყიდლოდ გადაცემული 50% წილის დაბრუნებას და მის გათავისუფლებას დირექტორის თანამდებობიდან. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან (1) არ არსებობდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილობისა და 50%-იანი წილის მოსარჩელისთვის უკან დაბრუნების საფუძველი; (2) მოპასუხის საწარმოს დირექტორობიდან გათავისუფლება არ იყო მოთხოვნილი დერივაციული სარჩელი წარდგენის გზით.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-851-795-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს პარტნიორის უფლება-მოვალეობები და საწარმოს დირექტორის უფლება-მოვალეობები, თუნდაც საწარმოს დირექტორი ამავდროულად საწარმოს 50%-იანი წილის მქონე პარტნიორი იყოს.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- საწარმოს პარტნიორი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.

სრული განმარტების ციტირება:
23.6. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს პარტნიორის უფლება-მოვალეობები და საწარმოს დირექტორის უფლება-მოვალეობები, რადგან ისეთ ვითარებაში, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, მარტოოდენ იმ ფაქტობრივი მოცემულობის გამო, რომ საწარმოს 50%-იანი წილის პარტნიორი, იმავდროულად, საწარმოს დირექტორიცაა, არ განაპირობებს იმას, რომ ერთმანეთში იქნეს აღრეული პარტნიორისა და დირექტორის, რომელიც საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირია, ფუნქციები და სამართლებრივი ვალდებულებები საწარმოს, პარტნიორთა თუ მესამე პირთა წინაშე.

23.9. ... საწარმოს 50%-იანი წილის უსასყიდლოდ გადაცემის გარიგება არის ნამდვილი, რადგან ნების გამოვლენის ნამდვილობაზე მოსარჩელეს არ მიუთითებია, ამასთან, მოსარჩელე ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს, თუ რას და რის საფუძველზე ითხოვს მოპასუხისაგან. ამ უკანასკნელისაგან საწარმოს 50%-იანი წილის დაბრუნების მოთხოვნა იმ დასაბუთებით, რომ მოპასუხემ, როგორც საწარმოს დირექტორმა, სათანადო გულისხმიერებით ვერ განახორციელა თავისი ვალდებულებები, პარტნიორისაგან წილის მოთხოვნის სამართლებრივად ვარგის და დასაბუთებულ პრეტენზიას არ წარმოადგენს, რის გამოც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. შრომით თანამდებობაზე გამწესება ხდება იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის ხელშეკრულების დადებით. დირექტორთან იდება არა შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულება, არამედ – ე. წ. სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა.

განმარტებული საკითხები:
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- დირექტორის დანიშვნა.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.,7[1].

სრული განმარტების ციტირება:
24. ... საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებები, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა... „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7[1] მუხლი აზუსტებს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას და შრომის კოდექსის 38-ე მუხლზე კანონის მითითება არ განაპირობებს მასთან დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად მიჩნევას, არამედ, იგი ე. წ. სასამსახურო ხელშეკრულებაა, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან (საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, გაწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოსა და დირექტორს შორის დადებული სასამსახურო ხელშეკრულება დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სამოქალაქო მხარე ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულებასთან დგას. იურიდიულ პირს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].ა.

• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
24. ... შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს... საწარმოს დირექტორთან დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი აქტის შეწყვეტის მარეგულირებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსში უნდა იქნას მოძიებული... მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სამოქალაქო მხარე ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულებასთან დგას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეწარმეო იურიდიულ პირს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან (იხ. სუსგ №ას-319-302-2017, 28.07.2017წ; შდრ. №ას-18-884-20116, 10.07.2017წ; №ას-225-214-2017, 16.06.2017წ.).

დირექტორის უნარ-ჩვევებსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება. ამ რისკის საკომპენსაციოდ კი, პარტნიორებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან (შდრ. სუსგ №ას-23-23-2016, 09.03.2016 წ.).

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს დირექტორის გათავისუფლების თაობაზე უნდა არსებობდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, რომელიც უნდა აისახოს შესაბამისი ცვლილების სახით სამეწარმეო რეესტრში და ასეთ დროს სასამართლოსადმი მიმართვა არაა საჭირო; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, რადგან მოპასუხე – 50%-იანი წილის პარტნიორი – იმავდროულად საწარმოს დირექტორია, მოსარჩელემ უნდა წარადგინოს დერივაციული სარჩელი არა საკუთარი, არამედ საწარმოს სახელით და ამტკიცოს დირექტორის მიერ საწარმოსათვის ზიანის მიყენება.

განმარტებული საკითხები:
• დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
• საკორპორაციო ჩიხი.
• დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.,7.,7[1].,

სრული განმარტების ციტირება:
24.2. მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება უკავშირდება იმას, რომ დირექტორი კომპანიის საუკეთესო ინტერესებს უგულებელყოფდა, არ ზრუნავდა საწარმოზე ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, მის მიერ განხორციელებული ქმედებები არახელსაყრელი და ზიანის მომტანია საზოგადოებისათვის.

24.5. დერივატიული სარჩელის განხილვისას, მტკიცების თვალსაზრისით, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია, გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

24.6. ... უნდა არსებობდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საწარმოს დირექტორის გათავისუფლების თაობაზე, რაც უნდა აისახოს შესაბამისი ცვლილების სახით სამეწარმეო რეესტრში და ასეთ დროს სასამართლოსადმი მიმართვა არაა საჭირო; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, რადგან მოპასუხე – 50%-იანი წილის პარტნიორი – იმავდროულად საწარმოს დირექტორია და სათანადო გულისხმიერებითა და მზრუნველობით არ ეკიდება საწარმოს ინტერესებს, რაც მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია, ამ უკანასკნელმა (მოსარჩელემ) საწარმოს სასარგებლოდ უნდა წარმართოს უფლების სასამართლო წესით დაცვა და დააყენოს მოთხოვნა არა საკუთარი, არამედ-საწარმოს სახელით, რაც დამაჯერებელი და სამართლებრივად წონადი არგუმენტებით უნდა იყოს გამყარებული. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტების საფუძველზე, აღრეულია მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები საწარმოს 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის, რომელიც იმავდროულად საწარმოს დირექტორია, წინააღმდეგ. ამის გამო კასატორის სარჩელის მეორე მოთხოვნაც წარუმატებელია და მართებულია მის დაკმაყოფილებაზე უარი.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს მაქსიმალურ საგადასახადო ოპტიმიზაციასა და კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა დირექტორი დაცულია „ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციით.

განმარტებული საკითხები:
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
- დირექტორის მოვალეობები.
- მოგების მაქსიმიზაცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
24.4. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც

გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან (შდრ. სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი; №ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015 წელი).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-319-302-2017 (28 ივლისი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).

განჩინების რეზიუმე:
დირექტორი ითხოვდა მასთან დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე დისკრიმინაციული ნიშნით (ორსულობა) შეწყვეტის გამო მოპასუხეზე (საწარმო), ხელშეკრულების ვადის დარჩენილი პერიოდისთვის, მიუღებელი შემოსავლის დაკისრებას. მოპასუხე უთითებდა, რომ გათავისუფლება გამოიწვია დირექტორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობამ. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, რომ საანგარიშო პერიოდში საწარმოს მოგება დაგეგმილ ოდენობაზე გაცილებით ნაკლები იყო. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტი. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№ას-612-571-2017

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დისკრიმინაციის არააასოციაციური ნიშნის – ორსულობის არსებობა სარჩელის ავტომატურად დაკმაყოფილებას (უკანონო გათავისუფლებით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას) ვერ გამოიწვევს. მოსარჩელემ (საწარმოს ყოფილმა დირექტორმა) უნდა მიუთითოს იმგვარ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომელთა ინდივიდუალური ან/და ერთობლივი ანალიზი სასამართლოს შეუქმნის შინაგან რწმენას შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, ამ გარემოების გაქარწყლების ტვირთი გადაეკისრება მოპასუხეს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- მტკიცების ტვირთის განაწილება.
- მტკიცებულებათა შეფასება.
- მტკიცების ტვირთის შებრუნება.
- prima facie მტკიცებულება.
- დისკრიმინაცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 105. ნაწილი 2.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363[3].

სრული განმარტების ციტირება:
1.8.1. რომც გავიზიაროთ სადავო გარემოება (რომ ბანკი ინფორმირებული იყო გენერალური დირექტორის დისკრიმინაციის არააასოციაციური ნიშნის – ორსულობის შესახებ), იგი სარჩელის ავტომატურად დაკმაყოფილებას ვერ გამოიწვევს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მოსარჩელემ მიუთითოს იმგვარ გარემოებებზე,

რომელთა ინდივიდუალური და/ან ერთობლივი ანალიზი (სსსკ-ის 105-ე მუხლი) სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, გაეზიარებინა მისი მტკიცება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტას საფუძვლად დისკრიმინაცია დაედო (მაგ: მიმოწერა, რომლის შესწავლითაც დადასტურდებოდა ბანკის ხელმძღვანელობის პირდაპირი ან ირიბი პოზიცია ორსულობის ფაქტის ზოგად მიუღებლობაზე; მოსარჩელის გაფრთხილება ორსულობის საკითხთან მიმართებით და სხვა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება და კასატორიც აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონია კომუნიკაციის პრობლემა სამეთვალყურეო საბჭოსთან, ამასთანავე, საქალაქო სასამართლომ საქმის მომზადების ეტაპზე დააკმაყოფილა მისი არაერთი შუამდგომლობა და ბანკიდან გამოითხოვა კორპორაციული ელ.ფოსტის მიმოწერა, რომელთა ანალიზი რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ მითითებას მოსარჩელის ორსულობის ფაქტსა და მოპასუხის მხრიდან მის ნეგატიურ აღქმაზე არ შეიცავს). მოსარჩელის მტკიცების საპირისპიროდ, მოპასუხემ განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მან გენერალური დირექტორის მიერ მოვალეობათა არასათანადო შესრულების გამო გამოიყენა და წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელთა თანახმადაც 2014 წლის პირველ კვარტალში ბანკის მოგება გაცილებით ნაკლები იყო დაგეგმილ ოდენობასთან შედარებით, ამ მხრივ საგულისხმოა ის, რომ თავად კასატორი სარჩელითვე ადასტურებს დაგეგმილი ოდენობით მოგების მიუღებლობას, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს მის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლის პირველ კვარტალში ბანკის მხრიდან დაგეგმილი ოდენობით შემოსავლის მიუღებლობა მხარეთა შორის დავას არ იწვევს.

1.8.5. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმგვარი მტკიცებულებები და ვერ მიუთითა იმგვარ გარემოებებზე (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.5. პუნქტი), რომლებიც სასამართლოს შეუქმნიდა შინაგან რწმენას შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ და ამ გარემოების გაქარწყლების ტვირთი გადაეკისრებოდა მოპასუხეს, შესაბამისად, პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომლის თანახმადაც, სამეთვალყურეო საბჭომ ნ. ჭ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო, როგორც ბანკის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის მიერ ბანკის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შეფასების შედეგად, რამდენადაც, სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, ბანკის მიმდინარე ბიზნესი და საქმიანობა აღმოჩნდა უარყოფითი მოსალოდნელ მიზანთან შედარებით.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მსგავსად ნებისმიერი სამეწარმეო იურიდიული პირისა, კომერციული ბანკი წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელიც მოქმედებს კანონისა და წესდების შესაბამისად და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისას ხასიათდება ავტონომიურობით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს ის, მოგების გამოთვლის წესი დამოკიდებული იქნება წლიურ თუ კვარტალურ შედეგებზე.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- მოგების გამოთვლის წესი.
- ნების ავტონომია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.8.2. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, საკასაციო პალატა ამ თვალსაზრისით ვერ გაიზიარებს კასატორის შედავებას, რომ მოგება იანგარიშება წლიური და არა კვარტალური დაგეგმარების სავარაუდო ოდენობიდან, ასევე იმას, რომ არც ერთ გავლენიან ფინანსურ ინსტიტუტს არ მიუღია უარყოფითი გამოხმაურება მის მუშაობასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნული ბანკი მოსარჩელეს ახასიათებს, როგორც წარმატებულ მენეჯერს. პალატა ამ მსჯელობის საპირისპიროდ, უპირველესად განმარტავს იმას, რომ

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით კომერციული ბანკი განიმარტება, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომ – ეროვნული ბანკი) მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას. მსგავსად ნებისმიერი სამეწარმეო იურიდიული პირისა, კომერციული ბანკი წარმოადგენს ორგანიზაციულ ერთეულს, სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელიც მოქმედებს კანონისა და წესდების შესაბამისად და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისას ხასიათდება ავტონომიურობით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოგების გამოთვლის წესი დამოკიდებული იქნება წლიურ თუ კვარტალურ შედეგებზე, არ შეიძლება სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს. ეროვნული ბანკის მხრიდან კასატორის დადებითი რეკომენდაცია, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმ ფაქტის საპირწონედ, რომ მისი გენერალური დირექტორობის პერიოდში მიუღებელი მოგება გამორიცხავდა კასატორის მენეჯერულ პასუხისმგებლობას.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით ან საწარმოს ხელმძღვანელობითი ორგანოს გადაწყვეტილებით. ამ გარემოების დასადასტურებლად წარმოდგენილი მოწმის ზეპირი განმარტება დაუშვებელი მტკიცებულებაა.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- მოწმის ჩვენება.
- დაუშვებელი მტკიცებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 1.,2.,3.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
1.8.3. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებას, რომლის თანახმადაც, საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის სადამფუძნებლო დოკუმენტებით 2013 წლიდან მოსარჩელის ფუნქციური შეზღუდვა არ დგინდება, კასატორი ვერ უთითებს წესდების კონკრეტულ დებულებაზე, არამედ, გამოთქვამს ზოგად პრეტენზიას, რომ იგი მხოლოდ „სამეთვალყურეო საბჭოს სპიკერად“ იქცა, უფრო მეტიც, მის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციაუნარიანი თანამდებობაა და დირექტორის ფუნქციების შეზღუდვის ნამდვილობა, რეგისტრაციის კონსტიტუციური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამეწარმეო რეესტრში გასაჯაროებას უკავშირდება. ამ მხრივ, სარჩელს ერთვის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (იხ. ტ. I, ს.ფ. 58-59), სადაც გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მოსარჩელეა აღნიშნული, თუმცა, მისი უფლებრივი შეზღუდვა ამ ამონაწერში არაა დაფიქსირებული, უფრო მეტიც, საზოგადოებაში ცვლილების განხორციელების რეგისტრაციის დამადასტურებელი ამონაწერი ასევე არ შეიცავს შეზღუდვას ახალი გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თაობაზე, ხოლო მოსარჩელეს სხვა სარწმუნო მტკიცებულება არ წარმოუდგენია (მაგ: ბანკის ხელმძღვანელობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მას, როგორც დირექტორს შეუზღუდავდა მმართველობით უფლებებს და ამ მხრივ შემცირდებოდა მისი ფიდუციური მოვალეობები საზოგადოების წინაშე. ამ თვალსაზრისით მოსარჩელის მტკიცება არ არის გამყარებული რაიმე სარწმუნო არგუმენტებითა და მტკიცებულებებით).

2.3. საკასაციო პალატა, როგორც წინამდებარე განჩინებაში არაერთხელ განმარტა, კვლავ აღნიშნავს, რომ კორპორაციული მმართველობის ავტონომიურობას, ასევე მტკიცებულებებით დადასტურებულ საწარმოს ხელმძღვანელობის ხარვეზს მოწმის ზეპირი განმარტება ვერ გადაწონის, შესაბამისად, ქვემდგომი სასამართლო-

ების დასკვნები შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე (3) მუხლით განსაზღვრულ მტკიცებულების დასაშვებობის კრიტერიუმს და არ არსებობს ამ ნაწილში განჩინებების გაუქმების წინაპირობა.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორთან იდება ე. წ. სასამსახურო ხელშეკრულება, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და არა – შრომითი ხელშეკრულება. სასამსახურო ხელშეკრულება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით. საწარმოს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ნებისმიერ დროს, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან (სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლი) და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი გახდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია. დისკრიმინაცია, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით სარგებლობის გზით დისკრიმინაციის გადაფარვა, უნდა განიხილებოდეს „კანონით დადგენილ წესთან და აკრძალვებთან“ შეუსაბამო გარიგებად (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- დავალების ხელშეკრულება.
- გარიგების ბათილობა.
- დისკრიმინაცია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ქვეპუნქტი 7.ვ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 720. ნაწილი 1.
- შრომის კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2.
- კონსტიტუცია, მუხლი 11.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 14.

სრული განმარტების ციტირება:
1.9.1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით რეგულირებულია სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი, ასევე, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძ-

ველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებები, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა და რომლის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო.

1.9.2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7[1] მუხლი აზუსტებს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას და შრომის კოდექსის 38-ე მუხლზე კანონის მითითება არ განაპირობებს მასთან დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად მიჩნევას, არამედ, იგი ე. წ. სასამსახურო ხელშეკრულებაა, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან (საკორპორაციო სამართლის მიზნებისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე – მომსახურების გამწევი ვალდებულია, გაწიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე – გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ლეგალურ დეფინიციას იძლევა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას), შესაბამისად, საწარმოს დირექტორთან დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი აქტის შეწყვეტის მარეგულირებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსში უნდა იქნას მოძიებული. სასამართლოს აზრით, მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სამოქალაქო მხარე ყველაზე ახლოს დავალების ხელშეკრულებასთან დგას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკაციო პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეწარმეო იურიდიულ პირს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. თავის მხრივ, 720-ე მუხლი დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალური ნორმაა და ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციის საკითხის გადაწყვეტის წესიდან გამომდინარე (სკ-ის 2.2. მუხლი), ამავე კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენებაზე საუბარი მსგავს სიტუაციაში დაუშვებელია. ამასთანავე, 720-ე მუხლის კონტექსტში, როდესაც მარწმუნებელი საწარმო დაქირავებულ დირექტორთან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას, ამ დროს გამოვლენილი ნების ცალმხრივობა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეიძლება მხოლოდ „კანონით დადგენილ წესთან და აკრძალვებთან“ შესაბამისობაში შემოწმდეს (სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, დამფუძნებელი ნორმა შესაძლებელია მაგ: ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში იქნას მოძიებული). ისეთი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კი, როგორიცაა დისკრიმინაცია, დისკრიმინატორის მხრიდან კანონით განსაზღვრული უფლებით, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 720-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით სარგებლობის გზით დისკრიმინაციის გადაფარვა განხილულ უნდა იქნას, როგორც მიზანშეუწონელი და სრულიად მიუღებელი ქცევა, რომელიც არღვევს, როგორც საერთაშორისო, ისე – ეროვნული სამართლის ნორმებსა და პირის თანასწორობის საყოველთაო პრინციპს.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მიუხედავად იმისა, რომ საწარმოსა და დირექტორს შორის იდება დავალების ხელშეკრულება, დირექტორს გააჩნია შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიები (შრომის თავისუფლება, უფლება შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლება, უფლება შვებულებაზე და სხვ.).

განმარტებული საკითხები:
- სასამსახურო ხელშეკრულება.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:
1.9.3. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ასევე გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველმყოფი მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორიცაა შრომის უფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შვებულებაზე და სხვა, რაც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტისა და 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნას მოწესრიგებული იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით, შესაბამისად, კასატორის პრეტენზია, რომ დაქირავებული დირექტორი ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის მიღმა რჩება, ვერ იქნება პალატის მიერ გაზიარებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-115-108-2017 (04 სექტემბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
დომინანტი აქციონერის კრების ოქმის ტოლფასი გადაწყვეტილება.

განჩინების რეზიუმე:
აქციათა 0,196%-ის მფლობელი აქციონერი (მოსარჩელე) მოითხოვდა აქციათა 98,1176%-ის მფლობელი დომინანტი აქციონერის მიერ საერთო კრების მოწვევის გარეშე, ერთპიროვნულად მიღებულ გადაწყვეტილებათა ბათილად ცნობას. კასაციამ გაიზიარა ქვედა ინსტანციების შეფასება, რომ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი, კანონის თანახმად, უფლებამოსილია მიიღოს ერთპიროვნული, კრების ოქმის ტოლფასი გადაწყვეტილება. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის 1[1] პუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო წესი, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას კრების მოწვევის გარეშე, გამორიცხავს იმ წესების დაცვის ვალდებულებას, რომელსაც ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კრების მოწვევის პროცედურა.

განმარტებული საკითხები:
- კრების ოქმის ტოლფასი დომინანტი აქციონერის გადაწყვეტილება.
- დომინანტი (მაჟორიტარი) აქციონერი.
- დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი.
- მინორიტარი აქციონერი.
- მინორიტარი პარტნიორი.
- აქციონერთა საერთო კრება.
- საგამონაკლისო ნორმა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტები 1[1].,2.
- ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 5. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
40. საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კრების ჩატარების გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის კანონით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, აქციონერებს უნდა ეცნობოთ გადასაწყვეტი საკითხის არსი და მიეწოდოთ დირექტორების წინადადებები, რათა მათ მიეცეთ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები ამ საკითხის მიმართ.

44. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ა...“ ფლობს აქციათა – 98,1176 %-ს, ხოლო მოსარჩელე ფლობს აქციათა – 0,196 %-ს; მოპასუხე კომპანიის 2014 წლის 07 ოქტომბრისა და 23 დეკემბრის გადაწყვეტილებები მიღებულია მოპასუხე კომპანიის აქციათა 98,1176%-ის მფლობელი აქციონერი შპს „ა...“-ის დირექტორის და პარტნიორის – მ. ლ-ის მიერ; მოპასუხემ მოსარჩელეს 2014 წლის 27 ნოემბერს გაგზავნილი შეტყობინებით აცნობა შპს „ა...“-ის მიერ 2014 წლის 07 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო 2015 წლის 17 თებერვალს გაგზავნილი შეტყობინებით – 2014 წლის 23 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

45. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებულ ნორმასთან ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა მოცემული ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელი ორი წინაპირობა: ა) გადაწყვეტილება მიღებულია ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ; ბ) აქციათა 75%-ზე მეტს ფლობს მხოლოდ ერთი აქციონერი. შესაბამისად, მითითებული ნორმის თანახმად, მოცემული წინაპირობების არსებობისას საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

46. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ზემოაღნიშნული ნორმის იმ ნაწილზე, რომლის თანახმად, ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ ნორმაში ნათლად არის მითითებული, რომ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, საერთო კრება არ იქნეს მოწვეული და ამ შემთხვევაში კანონმდებელი დომინანტ აქციონერს მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების ვალდებულებას აკისრებს, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცულ იქნა.

47. საკასაციო სასამართლო კასატორს განუმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1[1] პუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო წესი, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას კრების მოწვევის გარეშე, გამორიცხავს იმ წესების დაცვის ვალდებულებას, რომელსაც ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კრების მოწვევის პროცედურა (საერთო კრების მოწვევაზე უფლებამოსილი ორგანო, კრების მოწვევის ვადა, საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაზე თანდართული დოკუმენტები).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/978-17 (3302100150011280 80) (13 ოქტომბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: გელა ქირია (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ირაკლი ბონდარენკო, ამირან ძაბუნიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განჩინების რეზიუმე:
სასამართლომ დააკმაყოფილა დერივაციული სარჩელი საწარმოს დირექტორის მიერ ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის მიუხედავად, სასაქონლო ნიშნის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის მიერ საზოგადოების სასაქონლო ნიშნის გასხვისება სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- პარტნიორთა საერთო კრება.
- დირექტორის მოვალეობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 7.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9[1].7 მუხლისა და კომპანიის წესდების 6.5 პუნქტის შესაბამისად, დირექტორი საკუთარი პასუხისმგებლობით ასრულებს მმართველობის ჩვეულებრივ საქმიანობას, გარდა იმ საქმეებისა, რომლის შესახებ საჭიროა პარტნიორთა კრების წინასწარი გადაწყვეტილება, კერძოდ იმ საქმეებისა, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას.

დადგენილია და მხარეთა დავას არ იწვევს, რომ დირექტორის მიერ საზოგადოების სასაქონლო ნიშნის გასხვისება სცილდებოდა ჩვეულებრივ საქმიანობის ფარგლებს და საჭიროებდა პარტნიორთა კრების წინასწარ გადაწყვეტილებას.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ყოფილი დირექტორისთვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო საზოგადოების წესდების შინაარსი. აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემობა უნდა ამტკიცოს იმ მხარემ, რომელიც უარყოფს ამ ფაქტს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.2. ... რაც შეხება საკითხს, ცნობილი იყო თუ არა სასაქონლო ნიშნის შემძენისთვის შპს „ს. მ.“-ს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ დადგენილია და სადავო არ არის, რომ სასაქონლო ნიშნის შემძენი წლების მანძილზე იყო შპს „ს. მ.“-ს დირექტორი (ფაქტობრივი გარემოება 2.4.), შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო საზოგადოების წესდების შინაარსი, დირექტორის უფლება-მოვალეობები, დაწესებული შეზღუდვები და რომ სასაქონლო ნიშნის გასხვისებაზე საჭირო იყო პარტნიორთა თანხმობა. ამის საწინააღმდეგო უნდა ამტკიცოს იმ მხარემ, რომელიც უარყოფს ამ ფაქტს.

წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა, რომ შპს „ს. მ.-ს“ დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლებიდან გასული იყო ერთი წელი და მისთვის ვერ იქნებოდა ცნობილი კომპანიაში მიმდინარე პროცესების შესახებ. აღნიშნულზე სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის მასალებით, დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვასთან დაკავშირებით, კომპანიის წესდებაში რაიმე ცვლილება არ განხორციელებულა, ასეთ პირობებში ყოფილ დირექტორს სადავო გარიგების დადებამდე შეეძლო გამოეთხოვა პარტნიორთა თანხმობა სასაქონლო ნიშნის გასხვისებაზე, რაც არ განხორციელებულა.

მართალია, გარიგების დადებისას ე. გ. რეგისტრირებული იყო კომპანიის დირექტორად და გააჩნდა კომპანიის მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლებამოსილება, თუმცა ეს უფლება არ იყო შეუზღუდავი, რაც ცნობილი იყო მეორე მხარისათვის.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის პრინციპი ირღვევა, როდესაც დირექტორისთვის არ არის ცნობილი მისი უფლებამოსილების ფარგლები და მისთვის დაწესებული შეზღუდვები.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
აპელანტის მითითება, რომ კომპანიის დირექტორი არ არის ვალდებული იცოდეს მისი უფლებამოსილების ფარგლები, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.6 მუხლით განმტკიცებულ პრინციპთან, კომპანიის საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის შესახებ, რადგან კომპანიის დირექტორი ვერ განახორციელებს თავის მოვალეობებს კეთილსინდისიერად, თუ მისთვის არ არის ცნობილი მისი უფლებამოსილების ფარგლები და მისთვის დაწესებული შეზღუდვების შესახებ.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – რეესტრის საჯაროობა მოიაზრებს წესდების ხელმისაწვდომობას, რომლითაც განისაზღვრა დირექტორის უფლებამოსილებები.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7. პუნქტი 1.

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
კომპანიის წასდება, რომლითაც განისაზღვრა დირექტორის უფლებამოსილებები დაცულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და ხელმისაწვდომია ყვალა დაინტერესებული პირისათვის. სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ „ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს ამონაწერები, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიდრე კერძო პირი ან საწარმო რაიმე ხელშეკრულებას დადებს სხვა საწარმოსთან, მას შეუძლია მიიღოს კონტრაჰენტის საწარმოს შესახებ სრული ინფორმაცია” (2008 წ. 22 თებერვლის სუსგ №ას-282-611-07).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1424-17 (330210015001065373) (25 ოქტომბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან დუგლაძე (თავმჯდომარე), ანა გოგიშვილი, ლევან გვარამია

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
საწარმო (მოსარჩელე) ყოფილი დირექტორისგან (მოპასუხე) მოითხოვდა საწარმოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საწარმოს მითითებით, ზიანი გამოიხატა სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადით და ამ თანხის გადახდის გამო მიუღებელი შემოსავლით, ასევე მოგება-ზარალის არასწორად დათვლითა და თანამშრომლებზე პრემიების უსაფუძვლოდ გაცემით. სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანი არ დამდგარა, რადგან ზედმეტად გადახდილი გადასახადით შემდგომში გაიქვითა კომპანიის მიმდინარე გადასახადები, მიუღებელი შემოსავალი არ იყო სავარაუდო, ხოლო მოგება-ზარალის დათვლის და პრემიების გაცემის მხრივ მოპასუხეს არ დაურღვევია ზრუნვისა და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებები, რადგან კომპანიას, ფაქტობრივად, სხვა პირი მართავდა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აპელაციასა და კასაციაში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადი, რომლითაც შემდგომში გაიქვითება საწარმოს მიმდინარე გადასახადები, არ წარმოადგენს ზიანს. ზედმეტად გადახდილი გადასახადის გამო მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა სპეციფიკური შემთხვევაა და არ ეხება ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროული შესრულების გამო გასესხებული თანხის მოცდენით (სარგებლის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ განცდილ ზიანს. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ის გარემოება, რომ მის მიერ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხა უდავოდ განთავსდებოდა სადეპოზიტო ანგარიშზე, არ გაიხარჯებოდა განსაზღვრულ ვადამდე და მას დაერიცხებოდა სარგებელი. აღნიშნულ გარემოებათა დასადასტურებლად არ არის საკმარისი მოსარჩელის მხოლოდ ის არგუმენტი, რომ მისი, როგორც სადაზღვევო კომპანიის კანონისმიერი ვალდებულებაა გააჩნდეს სარეზერვო თანხები. აღნიშნულ გარემოებათა დაუდასტურებლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ არ არსებობს ზიანის მოვალისათვის წინასწარი სავარაუდოობის წინაპირობა.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- ზიანის ანაზღაურება.
- მიუღებელი შემოსავალი (ანაცდური მოგება).
- წინასწარ სავარაუდო ზიანი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 412.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაცია არ ქმნის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის შემადგენლობას (დირექტორის მიერ საწარმოს საქმეების გაძღოლა არაკეთილსინდისიერად); კერძოდ, საქმეზე არ არის სადაო არც ის გარემოება, რომ სადაო პერიოდში კომპანიის თანამშრომლებზე პრემიის სახით გაიცა 65 28.1. ლარი და

არც ის გარემოება, რომ კომპანიამ არაზუსტი მოგების დეკლარაციის წარდგენის გამო 2010 წლის მოგების გადასახადი 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადა ზედმეტად 516 400 ლარის ოდენობით; ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული ავანსი 2011 წლის ზარალიანი დეკლარაციის ჩაბარების შემდგომ კომპანიის პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახა ზედმეტობად და დაექვემდებარა გაქვითვას მიმდინარე გადახადებში; აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ კომპანიის მიერ 2011 წელს ბიუჯეტის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილი 516 400 ლარი არ არის კომპანიის ფაქტობრივი დანაკლისი-ზარალი, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული თანხით გაიქვითა კომპანიის მიმდინარე გადასახადები; ამასთან, შეფასებას მოითხოვს მოსარჩელის პოზიცია აღნიშნული თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შემთხვევაში მისაღები შემოსავლის (223 783.61 ლარი) დაკარგვით განცდილი ზიანის შესახებ;

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ დაუსაბუთებელია აპელანტის პოზიცია იმის შესახებ, რომ 2010 წლის არასწორი მოგების დეკლარაციის საფუძველზე 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზედმეტად გადახდილი 516 400 ლარი წარმოადგენს სადეპოზიტო ანგარიშზე განუთავსებლობით მოცდენილ თანხას 2011 წლიდან 2010 წლის წლის დეკლარციის დაზუსტების თარიღამდე, 2014 წლის ივნისამდე და შესაბამისად, მისაღები სარგებლის 223 783.61 ლარის დაკარგვის საფუძველს; სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემული სადაო შემთხვევა სპეციფიურია და განსხავდება აპელანტის მიერ მოხმობილი უზენაესი სასამართლოს განჩინებებში ჩამოყალიბებული პრაქტიკისაგან, იმდენად, რამდენადაც მოცემული დავა არ ეხება ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროული შესრულების გამო გასესხებული თანხის მოცდენით (სარგებელის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ განცდილ ზიანს, შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს ის გარემოება, რომ მის მიერ 2011 წელს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხა უდაოდ განთავსდებოდა სადეპოზიტო ანგარიშზე, არ გაიხარჯებოდა 2014 წლის ივნისამდე და მას დაერიცხებოდა სარგებელი; სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად არ არის საკმარისი მოსარჩელის მხოლოდ ის არგუმენტი, რომ მისი, როგორც სადაზღვევო კომპანიის კანონისმიერი ვალდებულებაა გააჩნდეს სარეზერვო თანხები, ვინაიდან მართალია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს მზღვეველის ფინანსურ უზრუნველყოფას კაპიტალით და სადაზღვევო რეზერვებით, მაგრამ ამასთან ითხოვს, რომ მზღვეველმა რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივები შეარჩიოს დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, სარგებლიანობისა და ლიკვიდურობის პირობებით (მუხლები 13-16); ამდენად, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის კანონით განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის და სადეპოზიტო თანხების არსებობის პირობებში, მზღვეველი კომპანიის მიერ სარეზერვო თანხების გაზრდა კონკრეტულ საჭიროებაზე და საქმიანობაზეა დამოკიდებული და მას, ასევე რეზერვების დასაფარად დასაშვებ აქტივებს განსაზღვრავს საზედამხედველო სამსახური; შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადაო პერიოდში მას ესაჭიროებოდა სარეზერვო თანხების გაზრდა და ასევე არც იმის ს მტკიცებულება რომ ის სისტემატიურად ახდენდა და ახდენს დეპოზიტზე თანხების აკუმულირებას, დაუსაბუთებელია მისი პოზიცია დეპოზიტზე თანხების განთავსების მოცდენის შესახებ; აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სადეპოზიტო თანხების მოცდენით მიუღებელი სარგებლის შესახებ ვერ აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის დანაწესს იმის შესახებ, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო; კერძოდ, დასახელებული ნორმის მიხედვით მოვალისათვის არ შეიძლება იმ ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რისი გათვალისწინებაც მას წინასწარ არ შეეძლო; იმ პირობებში როდესაც საქმის მასალებით არ დგინდება, რომ კომპანიას სადაო პერიოდში ესჭიროებოდა სარეზერვო თანხების გაზრდა და გააჩნდა ასეთის დასაფარად დასაშვები აქტივი, მიჩნეული ვერ იქნება, რომ მოპასუხისთვის წინასწარ იყო სავარაუდო სარეზერვო თანხების მოცდენის შესახებ;

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

RD – საწარმოში მოქმედი ელექტრონული პროგრამით მოგება-ზარალის არასწორი დათვლა და თანამშრომლებზე პრემიების უსაფუძვლოდ გაცემა არ ჩაითვლება დირექტორის მხრიდან ზრუნვისა და კეთილსინდი-

სიერი ხელმძღვანელობის ვალდებულებათა დარღვევად და არ გამოიწვევს დირექტორისთვის ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ დადგინდა, რომ საწარმოს ფინანსებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის, ხელფასების და პრემიების გაცემაზე, ზარალისა და მოგების თანხების ოდენობაზე, ელექტრონული პროგრამის გამართვაზე შესაბამისი საწარმოს დირექტორი გადაწყვეტილებას იღებდა არა ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, არამედ დამფუძნებელი კომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელ პარტნიორსა და დირექტორთან შეთანხმებით, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული და ფაქტობრივად ახორციელებდა კომპანიის მართვას. არაკეთილსინდისიერება, შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დირექტორი ელექტრონული პროგრამის ხარვეზების შესახებ ინფორმაციას არ მიაწვდის საწარმოს დამფუძნებლებს და ამ გზით არ შეეცდება პროგრამის ხარვეზების აღმოფხვრას.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- შვილობილი საწარმო (სუბსიდიარი).
- დედობილი საწარმო.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ე. ც.-ს არ ქონდა არც ცოდნა და არც წვდომა იმისა, რომ შეეცვალა რაიმე მონაცემი პროგრამაში და ამას აკეთებდა პროგრამისტი და მენეჯერი რათა აღმოეფხვრათ უზუსტობა რასაც იძლეოდა პროგრამა. ე. ც.-ს არასოდეს დაუვალებია პროგრამისტისთვის რაიმე მონაცემის შეცვლა, რადგან ყველა ფინანსური საკითხი, ყველა დეკლარაცია, ზარალისა და მოგების თანხების ოდენობა თანხმდებოდა არა დირექტორ ე. ც.-სთან, არამედ კომპანიის დამფუძნებელი შპს-ს 67% მფლობელ პარტნიორთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასაამრთლომ გაკეთა სწორი და ლოგიკური დასკვნა იმის შესახებ, რომ კომპანიაში მოგება-ზარალების არასწორად დათვლა სადაო პერიოდში განპირობებული იყო ელექტრონული პროგრამის ხარვეზით და ამასთან, ასევე სწორად იქნა გამორიცხული ელექტრონულ პროგრამაში დირექტორის ჩარევის საკითხი და მის მიერ არასწორი მონაცემის დაფიქსირება, რადგან მოწმეებმა დაადასტურეს, რომ დირექტორს არასოდეს უთხოვია მათთვის ელექტრნული პროგრამის მონაცემის შეცვლა, ხოლო უშუალოდ მას არც ცოდნა და არც წვდომა ელექტრონულ პროგრამაზე არ ჰქონდა; ამასთან, პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტს იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა იმ მოწმის ჩვენება, რომელმაც დაადასტურა, რომ ხელოვნული ჩარევის გარეშე ვერ მოხდებოდა კომპანიის 2010 წლის ფინანსური მონაცემების დამახინჯება, რადგან მოწმეებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ დირექტორს არ ჰქონდა წვდომა ელექტრონულ პროგრამაზე და რომ მას პროგრამისტებისთვის არასოდეს უთხოვია მონაცემის შეცვლა;

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სადაო შემთხვევაში დირექტორის არაკეთილსინდისიერებას შესაძლებელია ჰქონოდა ადგილი იმ შემთხვევაში თუ ის ელექტრონული პროგრამის ხარვეზების შესახებ ინფორმაციას არ მიაწვდიდა საწრმოს დამფუძნებლებს და ამ გზით არ შეეცდებოდა პროგრამის ხარვეზების აღმოფხვრას; მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით (ე. ც.-ს ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, ელექტრონული მიმოწერის ანალიზით) დადგენილია, რომ პროგრამის ხარვეზების თაობაზე დირექტორის მიერ არაერთგზის იყო ინფორმირებული კომპანიის დამფუძნებელი კომპანიის 67%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი და დირექტორი პ. კ., რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული სადაზღვევო კომპანიის მართვაში და მოწმეთა განმარტებების მიხედვით ეს უკანასკნელი ფაქტობრივად ახორციელებდა სადაზღვევო კომპანიის მართვას;

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმის მასალებით, კერძოდ, პ. კ.-სა და ე. ც.-ს ელექტრონული მომოწერით და მოწმეთა განმარტებებით დადგენილია და არც მოსარჩელს გაუხდია სადაოდ ის გარემოება, რომ ე. ც. თავის გადაწყვეტილებებს კომპანიის ფინანსურ (ხელფასი, პრემია და ა. შ.) თუ სხვა საკითხების შესახებ ათანხმებდა დამფუძნებელი კომპანიის, შპს „ა.-ს“ დირექტორთან პ. კ.-სთან, რაც აპელანტის პოზიციით არ უნდა იქნას გაიგივებული დამფუძნებელი პარტნიორის თანხმობად, რადგან სადაზღვევო კომპანიის დამფუძნებელი და პარტნიორი იყო არა ფიზიკური პირი პ. კ., არამედ შპს „ა. ფ.“ და შესაბამისად შპს „ს. კ. ა.-ს“ დამფუძნებლის (პარტნიორის) თანხმობა უნდა მიეღო შპს „ა.ფ.-ს“ გადაწყვეტილების ფორმით, რასაც ვერ შეცვლის ელექტრონული ფორსტით მიმოწერა დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთან;

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასაამრთლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ შპს „ს. კ. ა.-ს“ წესდების 14.5 მუხლი, რომლის თანახმად, დამფუძნებელთა საერთო კრების გარდა გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას წერილობითი ფორმით, ასევე ელექტრონული კომუნიკაციიების საშუალებით, უფლებას აძლევდა სადაზღვევო კომპანიის დირექტორს დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთან ელექტრონული კომუნიკაციით შეეთანხმებინა გადაწყვეტილებები; მოწმეებმა გარდა იმისა, რომ დაადასტურეს, რომ ე. ც.-ს არ ქონდა არც ცოდნა და არც წვდომა იმისა, რომ შეეცვალა რაიმე მონაცემი პროგრამაში და ამას აკეთებდა პროგრამისტი და მენეჯერი რათა აღმოეფხვრათ უზუსტობა რასაც იძლეოდა პროგრამა და რომ ე. ც.-ს არასოდეს დაუვალებია პროგრამისტისთვის რაიმე მონაცემის შეცვლა, ასევე განმარტეს, რომ ყველა ფინანსური საკითხი, ყველა დეკლარაცია, ზარალისა და მოგების თანხების ოდენობა თანხმდებოდა არა დირექტორ ე. ც.-სთან, არამედ კომპანიის დამფუძნებელი კომპანიის შპს-ს ა. ფ.-ს 67% წილის მფლობელ პარტნიორთან და დირექტორთან პ. კ.-სთან (ე. ც.-ს დირექტორობის პერიოდში 2011 წლის 01 მარტამდე შპს „ა. ფ.-ს“ დირექტორის პოზიცია ეკავა პ. კ.-ს);

სააპელაციო პალატა ასევე იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას ზიანის სახით თანამშომლებზე გაცემულ პრემიების (65 228,1 ლარი) ანაზღაურების მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ; სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული აღნიშნული მოთხოვნის ფაქტობრივი წანამძღვარის არსებობა, კერძოდ, მოპსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ პრემიის გაცემის საფუძველი გახლდათ მხოლოდ სადაზღვევო კომპანიაში მოგების არსებობა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ 2010-2011 წლები სადაზღვევო კომპანიისთვის იყო ზარალიანი არ არსებობდა პრემიების გაცემის საფუძველი; სააპელაციო პალატა აპელანტის აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგოდ მიუთითებს საქმის მასალებით (დირექტორის ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ელექტრონული მიმოწერა) დადგენილი იმ გარემოების შესახებ, რომ პრემია მხოლოდ „ს. კ. ა.-ს“ მიერ გეგმის შესრულების საფუძველზე არ გაიცემოდა და „ა.-ში“ პრემიის გაცემის საკითხი მიბმული იყო „ა.-ს“ სხვა კომპანიებში გეგმების შესრულებასა და პრემიის გაცემასთან; საქმის მასალებით არ არის დადგენილი და მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმის მტკიცებულება, რომ სადაო პერიოდში „ა.-ს“ სხვა კომპანიებიც არ იყვნენ მომგებიანები და მათ თანამშრომლებზე პრემია არ გაცემულა;

სააპეალციო პალატა ასევე იზიარებს პირველი ინსტანციის სასაამრთლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ თუნდაც უსაფუძვლოდ გაცემულ პრემიებზე ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრება დირექტორისთვის არის უსაფუძვლო, რადგან დადგენილია, რომ დირექტორი შპს „ს. კ. ა.-ში“ ფინანსებთან დაკავშირებით საკითხებზე, მათ შორის ხელფასების და პრემიების საკითხებზეც, გადაწყვეტილებას არ იღებდა ერთპიროვნულად, დამოუკიდებლად, დამფუძნებელი კომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელ პარტნიორთან და დირექტორთან შეუთანხმებლად, რაც დასტურდება როგორც მისი ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 5 აგვისტოს (ს.ფ. 125 და ს.ფ. 127), 2011 წლის 7 ივლისის (ს.ფ.126), 2010 წლის 22 აპრილის (ს.ფ. 134), 2011 წლის25 მარტის (ს.ფ. 152) ელექტრონული წერილებით; ამ მხრივ საინტერესოა ა. ჯ.-ს 2011 წლის 18 თებერვლის ელექტრონული წერილი, რითაც დასტურდება, რო კომპანია ა.-ს ხარჯებზე, მოგება-ზარალზე ინფორმაცია, ასევე საგადასახადო დეკლარაციები მუდმივად თანხმდებოდა მისი დამფუძნებელი კომპანიის დირექტორთან პ. კ.-სთან და არა სადაზღვევო კომპანიის დირექტორ ე. ც.-სთან;

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით, ვერ დაადასტურა ე. ც.-ს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი დანაწესის დარღვევის ფაქტი. პალატის შეფასებით, ე. ც.-ს მოქმედებები დირექტორის „ზრუნვის მოვალეობის“ ფარგლებში თავსდება. შესაბამისად, სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოა;

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სამეწარმეო ურთიერთობებიდან გამომდინარე (დირექტორის პასუხისმგებლობა), პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება მეწარმეთა შესახებ კანონით და არა სამოქალაქო კოდექსით.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129.

სრული განმარტების ციტირება:
სააპელაციო სასამართლო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ არ იზიარებს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოსარჩელის პოზიციას აუდიტის ანგარიშის შედგენის მომენტთან ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის დაკავშირების თაობაზე, ისე მოპასუხის პოზიციას ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გამოყენების თაობაზე, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მიხედვით სამეწარმეო ურთიერთობებიდან გამომდინარე პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის 5 წელი; მოცემულ სადაო შემთხვევაში ეს ვადა დარღვეული არ არის;

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი და პასუხს იძლევა კითხვაზე – როგორ უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძ-

ღვანელის კეთილსინდისიერებით. მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომაროება არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი (იხ. სუსგ №ას-245-230-2014, 23 ოქტომბერი, 2015 წელი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/3810-17 (330210015001186749) (21 ნოემბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე), ირაკლი ბონდარენკო, მერაბ გაბინაშვილი

საკვანძო საკითხი:
ფსევდო-დირექტორი.

განჩინების რეზიუმე:
მართალია, მოსარჩელეს ეკავა „ფინანსური დირექტორის“ თანამდებობა, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა დირექტორს მეწარმეთა შესახებ კანონის შინაარსით და, შესაბამისად, ბათილად ცნო არაუფლებამოსილი პირის (პარტნიორთა კრების) გადაწყვეტილება საწარმოს დირექტორობიდან მისი გამოწვევის შესახებ. სასამართლომ ბათილად ცნო შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა და მოსარჩელეს მიაკუთვნა ფულადი კომპენსაცია.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თანამდებობის დასახელების მიუხედავად, „ფინანსური დირექტორი“ არ წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად განსაზღვრულ დირექტორს, თუ (1) საწარმოს წესდებით/ამონაწერით იგი არ არის უფლებამოსილი საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე და (2) თანამდებობაზე დანიშნულია არა პარტნიორთა კრების, არამედ საწარმოს დირექტორის მიერ მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ამგვარ პოზიციაზე მყოფი პირის გათავისუფლებასთან მიმართებით გამოიყენება შრომის კოდექსი და მის გათავისუფლებაზე უფლებამოსილია არა პარტნიორთა კრება, არამედ – საწარმოს დირექტორი.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს დირექტორი.
- შრომითი ხელშეკრულება.
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლა.
- falsa demonstratio non nocet.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. პუნქტი 1.თ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.

სრული განმარტების ციტირება:
მეწამეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად:
- დირექტორი არის საწარმოს ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
- დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის, მასთან ხელშეკრულებების დადების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება;
- საწარმოს ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორის) შესახებ მონაცემების რეგისტრაცია ხდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელე გენერალურის დირექტორის ბრძანებით დაინიშნა საფინანსო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე; გენერალურმა დირექტორმა გააფორმა მასთან შრომითი ხელშეკრულება და მანვე გადაიყვანა იგი 2015 წლის 1 ივნისიდან ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე.

დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით საზოგადოების ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად წესდებით განისაზღვრა მხოლოდ გენერალური დირექტორი, მასვე მიენიჭა საწარმოს დაქირავებულ მუშაკებთან შრომითი ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება. სწორედ მან მიიღო სამუშაოზე მოსარჩელე, რომელიც არასდროს ყოფილა ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი.

პალატა იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ ბოლოს დაკავებული თანამდებობის დასახელება იყო – „ფინანსური დირექტორი“, იგი წარმოადგენდა ჩვეულებრივი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ დაქირავებულ პირს – დასაქმებულს და შესაბამისად, მის გათავისუფლებაზე უფლებამოსილ პირი იყო გენერალური დირექტორი.

მოსარჩელესა (დასაქმებულს) და მოპასუხეს (დამსაქმებელს) შორის წარმოიშვა და გრძელდებოდა შრომითი ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, შრომითი ურთიერთობა შეწყდა იმ წესით, რაც დადგენილია საზოგადოებასა და დირექტორს შორის ურთიერთობის შეწყვეტისათვის.

მოპასუხის გადაწყვეტილება მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილ ნებას, რომელიც კანონსაწინააღმდეგოა – არ გამომდინარეობს შრომითი კანონმდებლობიდან და მართებულად იქნა ცნობილი ბათილად.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არაფერი აქვს საერთო შრომით კანონმდებლობასთან და რეგულირდება სამეწარმეო სამართლით. საზოგადოების დირექტორის ფუნქციათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავის გადასაწყვეტად შრომის კოდექსით ხელმძღვანელობა, ისევე, როგორც პირიქით – დაქირავებული მუშაკის განთავისუფლების საკითხის მეწარმეთა შესახებ კანონით დარეგულირება, არ შეიძლება.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს დირექტორი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.

სრული განმარტების ციტირება:
პარტნიორთა მიერ დირექტორის დანიშვნა განსხვავდება შრომის სამართალში არსებული ისეთი ურთიერთობისაგან, როგორიცაა „სამუშაოზე მიღება“, „სამუშაოზე აყვანა“, ან სხვაგვარი დაქირავება. დირექტორის დანიშვნით არ ხდება მისი „მუშაკად დაქირავება“, არამედ დანიშვნა დირექტორს აქცევს შპს-ს ორგანოდ და მის კანონიერ წარმომადგენლად (იხ.: მიგრიაული როინ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება (შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან)/Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence №2-2004, გვ.34/ სტატია იხ. ვებ. გვერდზე: http://library.court.ge). დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა სრულდება, როგორც მისი გამოწვევით, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტით. აღნიშნული კი იმავე ორგანოს კომპეტენციაა, ვინც იგი თანამდებობაზე დანიშნა (იხ.: იქვე, გვ. 38). სწორედ ზემოთ მითითებული პირობების დაცვით დანიშნულ დირექტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, არაფერი აქვს საერთო შრომით კანონმდებლობასთან და რეგულირდება სამეწარმეო სამართლით.

დირექტორის და დაქირავებული მუშაკის დანიშვნა/განთავისუფლების საკითხებზე გამოსაყენებელი კანონმდებლობის სწორად განსაზღვრის საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარი პრაქტიკა

(სუსგ №ას-240-228-2016 28 სექტემბერი, 2016 წელი; სუსგ № ას-895-845-2015წ., 29.01.2016წ; სუსგ 2001 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №3კ/259-01, სუსგ 2003 წლის 26 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-68-767-03) და გასაჩივრებული გადაწყვეტილება მას არ ეწინააღმდეგება. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია ურთიერთობა საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის ფუნქციათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავის გადასაწყვეტად საქართველოს შრომის კოდექსით ხელმძღვანელობა, ისევე როგორც პირიქით – დაქირავებული მუშაკის განთავისუფლების საკითხის მეწარმეთა შესახებ კანონით დარეგულირება, არ შეიძლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1072-992-2017 (07 დეკემბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
მეწარმე სუბიექტის მისამართის სისწორის მნიშვნელობა.

განჩინების რეზიუმე:
კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. საჩივრის ავტორი ხარვეზის განჩინების ჩაუბარებლობაზე აპელირებდა, თუმცა კასაციამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის ოჯახის წევრისთვის გზავნილის ჩაბარება დირექტორისთვის ჩაბარებად უნდა ჩათვლილიყო.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/5956-17

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ კომპანიის იურიდიული მისამართი წარმოადგენს დირექტორის საცხოვრებელი ბინის მისამართს, ხოლო დირექტორმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული, გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი რომელიმე სხვა სუბიექტი, დირექტორის ოჯახის წევრისთვის გზავნილის ჩაბარება, მოცემულ შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის ჩაბარებად.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტის მისამართი.
- იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).
- უწყების ჩაბარება იურიდიული პირისთვის (ორგანიზაციისთვის).
- უწყების ჩაბარება ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრისთვის.
- წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა.
- უწყების ჩაბარება.
- სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 73. ნაწილი 8.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 74. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 374. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 410.

სრული განმარტების ციტირება:
15. კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის მეუღლე არ წარმოადგენს აღნიშნული კომპანიის სახელით გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს.

18. ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების გაგზავნისას, როდესაც შეტყობინება უშუალოდ ორგანიზაციას ეგზავნება, შეტყობინება უნდა ჩაბარდეს: ა) კანცელარიას, ბ) ასეთი დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან პირს, გ) ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც შეტყობინებას ადრესატს გა-

დასცემს, დ) მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კანონით განსაზღვრული სუბიექტებიდან ერთ-ერთისათვის სასამართლო შეტყობინების გადაცემას კანონი მის ნამდვილობას უკავშირებს, რასაც შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვება (სუსგ №ას-1678-1574-2012, 2013 წლის 21 იანვარი).

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია სასამართლო გზავნილის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტებისთვის ჩაბარებას და არც მხარეები ყოფილან შეთანხმებული ჩაბარების განსხვავებულ წესზე, თუმცა განსახილველ საქმეში ადგილი აქვს დამატებით გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს გზავნილის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებაზე.

20. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად).

24. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე კომპანია დარეგისტრირებულია კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის – დირექტორის საცხოვრებელ ბინაში. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარმოუდგენია.

25. საქმის მასალებში არსებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ მოპასუხე კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი – მ. ჯ-ი (იხ. ტ. 1, ს.ფ. 23) და, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია ჩაიბაროს გზავნილი.

26. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

27. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის იურიდიული მისამართი წარმოადგენს დირექტორის საცხოვრებელი ბინის მისამართს, ხოლო დირექტორმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებობს კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული, გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი რომელიმე სხვა სუბიექტი, დირექტორის ოჯახის წევრისთვის გზავნილის ჩაბარება მოცემულ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს მოპასუხე კომპანიის დირექტორის მიერ ჩაბარებად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თავად მოპასუხე კომპანიის დირექტორი აღნიშნულ მისამართზე სხვა დროსაც იბარებდა სასამართლო კორესპონდენციებს (იხ. მოცემული განჩინების 21-ე პუნქტი) და მას მოცემულ საკითხზე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

28. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო უწყების ჩაბარება განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების სრული დაცვით. უდავოა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოპასუხეს ხარვეზი არ შეუვსია, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/977-17 (330216815001206154) (14 დეკემბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ტაბაღუა (თავმჯდომარე), გოდერძი გიორგიშვილი,
მაია სულხანიშვილი

საკვანძო საკითხი:
აქციათა სავალდებულო მიყიდვა.

განჩინების რეზიუმე:
სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ, რადგან განმცხადებელმა ხელი შეუშალა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით ექსპერტიზის ჩატარებას.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების განხილვის პროცესში საწარმოს აქტივების გაყიდვის შემთხვევაში სამართლიანი ფასი სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა დადგინდეს, აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების გათვალისწინებით.

განმარტებული საკითხები:
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვა.
- დამოუკიდებელმა ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის გამოსყიდვის ანგარიში.
- გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4].
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309[12]. ნაწილი 2.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 309[14]. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მხარეების მიერ დადასტურებულ იქნა ფაქტობრივი გარემოება, რომ სხვა სასამართლო დავის ფარგლებში მიღწეული მორიგების ფარგლებში სს „ს. გ.-ს“ აქტივები გაიყიდა სს „ს. ჯ. გ. დ.-ზე“. აღნიშნული ტრანზაქცია განხორციელდა შპს „ს.-ბ. გ.-ს“ მიერ ანგარიშის მომზადების შემდგომ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაზე საქმის არსებითად სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი იყო შეფასებულიყო თუ რას შეადგენდა სს „ს. გ.-ს“ (ს/კ 22655XXXX) აქციათა სამართლიანი ფასი სხვა ფაქტორებთან ერთად, სს „ს. გ.-სა“ და სს „ს. ჯ. გ. დ.-ს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით №2ბ/977-17 სამოქალაქო საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტიზის ჩატარება დაევალა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი კითხვები: ა) ექსპერტიზის ჩატარების მდგომარეობით რა ღირებულება გააჩნია სს „ს. გ.-ს“ (ს/კ 22655XXXX) ერთ აქციას, სხვა ბიზნესფაქტორებთან ერთად, სს „ს. გ.-სა“ და სს „ს. ჯ. გ. დ.-ს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შედეგების გათვალისწინებით; ბ) ექსპერტიზის ჩატარების მდგომარეობით რა ღირებულებისაა მ. ლ.-ს საკუთრებაში არსებული აქციათა მთლიანი ღირებულება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – აქციათა ფასი, აქციონერთაგან სამართლიან ფასად გამოსყიდვის მიზნებისათვის, შესაძლებელია, დადგინდეს მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი გამოსყიდვის ანგარიშის საფუძველზე.

განმარტებული საკითხები:
- აქციათა სავალდებულო მიყიდვა.
- გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრა.
- დამოუკიდებელმა ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის გამოსყიდვის ანგარიში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 53[4]. პუნქტი 2.

სრული განმარტების ციტირება:
4.6. ... აქციათა ფასი, აქციონერთაგან სამართლიან ფასად მათი გამოსყიდვის მიზნებისათვის, შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი გამოსყიდვის ანგარიშის საფუძველზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/4403-17 (330210117001910058) (29 დეკემბერი, 2017 წელი)
მოსამართლეები: ამირან ძაბუნიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ოთარ სიჭინავა, გელა ქირია

საკვანძო საკითხი:
ყადაღა ლიკვიდაციის პროცესში.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე მოითხოვდა ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისათვის მოპასუხე საწარმოს ქონებაზე ყადაღის დადებას. დადგინდა, რომ დაწყებული იყო საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა დავის საგნის დაცვის აუცილებლობა. ქონებას მოეხსნა ყადაღა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადაღის) გამოყენებით სარჩელის დავის საგნის დაცვის აუცილებლობა.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ლიკვიდაცია.
- ქონებაზე ყადაღის დადება.
- სარჩელის უზრუნველყოფა.
- სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14. პუნქტი 6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198. ქვენაწილი 2.ა.

სრული განმარტების ციტირება:
დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 08 ივნისის განჩინებით, სს „კ. გ.-ს“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 04 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე, დაკმაყოფილდა. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 04 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე სს „კ. გ.-ს“ აეკრძალა მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ჯორჯაძის ქუჩა №X-Xა, შენობა №X, 101.29 კვ.მ. ფართი, ს/კ. 01.15.04.019.005.XX.XXX-ის, გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

პალატა მიუთითებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მისი რეალიზაციისა ან/და საწარმოს ქონებით კრედიტორების დაკმაყოფილებისა), დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, დგინდება, რომ სს „კ. გ.-ს.“ ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულია. აღნიშნული კი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არ იკვეთება მომავალი სარჩელის დავის საგნის დაცვის აუცილებლობა, შესაბამისად, მოსარჩელის მითითება, რომ უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1219-1139-2017 (12 იანვარი, 2018 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია და კონტრაჰენტის კეთილსინდისიერება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) მოითხოვდა გირავნობის ხელშეკრულებების ბათილად აღიარებას. საქმის არსი მდგომარებდა იმაში, რომ ყოფილმა დირექტორმა დააგირავა მოსარჩელის მიერ მოპასუხე ბანკში გახსნილი 7 მილიონ ევროდ ღირებული ოთხი ანაბარი. დირექტორი არ მოქმედებდა პარტნიორის მითითებით/თანხმობით. დაგირავება განხორციელდა მესამე პირის სასარგებლოდ, რომელსაც მოსარჩელესთან რაიმე კავშირი არ ჰქონდა. მესამე პირმა დაარღვია საკრედიტო ვალდებულებები და, სადავო გირავნობის ხელშეკრულებების საფუძველზე, მოსარჩელის დეპოზიტის თანხები მიმართულ იქნა მესამე პირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. სარჩელი მიმართული იყო ბანკის წინააღმდეგ. კასაციამ დაადგინა, რომ აღძრული იყო დაუშვებელი აღიარებითი სარჩელი და, საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა მისცემოდა მოთხოვნის დაკონკრეტების საშუალება. ამასთან, სასამართლოს უნდა გამოეკვლია დირექტორის მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტისადმი ბანკის სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი. საქმე დაბრუნდა ხელახლა განსახილველად.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას, კერძოდ, საწარმოს წესდებაში ცვლილების შეტანისას მოქმედებდა თუ არა დირექტორი პარტნიორის მითითებით/თანხმობით, სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, რადგან საწარმოს კონტრაჰენტს შეუძლია დაეყრდნოს რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას. თუმცა, როდესაც დირექტორის მიერ იდება „უჩვეულო“ და კომპანიისათვის ზიანის მომტანი გარიგებები, რაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ კომპანიის დირექტორი გარიგებების დადებისას არ მოქმედებს კომპანიის ინტერესებით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს, კვლევას საჭიროებს ამ ფაქტისადმი კონტრაჰენტის სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი. თუ სასამართლო დაადგენს, რომ კრედიტის ამღებს იმ დროსათვის, როდესაც საწარმომ მის სასარგებლოდ დააგირავა ანგარიშები, არ გააჩნდა საკმარისი შემოსავლები, მაშინ, ცხადია, რომ ბანკი (კრედიტორი) მხოლოდ გირავნობის საგნის იმედად რჩება, შესაბამისად, მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, ასევე ისიც, რომ მისი (ბანკის) მოქმედება კეთილსინდისიერების სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

განმარტებული საკითხები:
- სამეწარმეო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.
- კეთილსინდისიერი კონტრაჰენტი.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).
- კეთილსინდისიერება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 7. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.

სრული განმარტების ციტირება:

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კომპანიის ყოფილი დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას, კერძოდ მოქმედებდა თუ არა ის საწარმოს წესდებაში ცვლილების (იხ. განჩინების პუნქტი 4) შეტანისას დამფუძნებელი პარტნიორის მითითებით და თანხმობით, ამ კონკრეტულ შემთხვევისათვის სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება, რადგანაც მოპასუხეს შეუძლია დაეყრდნოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 მუხლი), რომლის გაქარწყლების გარეშე მოსარჩელე დასახულ მიზანს ვერ აღწევს. თუმცა, აქვე საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: გასაზიარებელია გასაჩივრებული განჩინების დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი დირექტორის მიერ ოთხი ერთმანეთის მიყოლებით დადებული დეპოზიტის გირავნობის ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მესამე პირის (ბანკის ძირითადი მოვალის) მიერ ვალდებულების შესრულებას, წარმოადგენდნენ „უჩვეულო“ და კომპანიისათვის ზიანის მომტან გარიგებებს, რადგანაც შპს „ს.ი-ს“ მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა, ავტომატურად გამოიწვევდა კომპანიისათვის ამ თანხის დაკარგვას და მისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებას, რაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა, რომ კომპანიის ყოფილი დირექტორი გარიგებების დადებისას არ მოქმედებდა კომპანიის ინტერესებში და ადგილი ჰქონდა მისი მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (სსკ-ის 115-ე მუხლი). ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს ამ ფაქტისადმი ხელშეკრულებების მონაწილის (მოპასუხის) სუბიექტური დამოკიდებულების საკითხი. იმ პირობებში, როდესაც ცალსახა იყო დადებული გარიგებების უჩვეულობა და მისი დამაზიანებელი ხასიათი, ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა თუ არა გაცნობიერებული ბანკს ყოფილი დირექტორის არამართლზომიერი ქცევის ხასიათი? რამდენად კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა ის მესამე პირზე კრედიტის გაცემისას? რამდენად იყო მის მიერ საკრედიტო რისკები გათვალისწინებული, იყო თუ არა კრედიტუნარიანი კრედიტის ამღები და არსებობდა თუ არა კრედიტის გაცემის წინაპირობები (კრედიტი – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1, „თ“ ქ/პუნქტი). თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ კრედიტის ამღებს იმ დროსათვის არ გააჩნდა საკმარისი შემოსავლები, მაშინ, ცხადია, რომ ბანკი მხოლოდ გირავნობის საგნის იმედად რჩებოდა, შესაბამისად, მას გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, როგორც ყოფილი დირექტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, ასევე ისიც, რომ მისი (ბანკის) მოქმედება კეთილსინდისიერების სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებდა (სსკ-ის 8.3-ე მუხლი).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5956-17 (330210014430351) (02 თებერვალი, 2018 წელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ოთარ სიჭინავა, ამირან ძაბუნიძე

საკვანძო საკითხი:
უწყების ჩაბარება დირექტორის ოჯახის წევრისთვის.

განჩინების რეზიუმე:
განმცხადებელს უარი ეთქვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებაზე, რაც მან გაასაჩივრა კერძო საჩივრით. განმცხადებლის/კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია ძირითადად შეეხება იმ გარემოებას, რომ შპს-ს დირექტორის მამიდა არ წარმოადგენს საწარმოს გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. კასაციამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის ოჯახის წევრისთვის გზავნილის ჩაბარება დირექტორისთვის ჩაბარებად უნდა ჩათვლილიყო. კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ კომპანიის იურიდული მისამართი წარმოადგენს დირექტორის საცხოვრებელი ბინის მისამართს, ხოლო დირექტორმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (კანცელარია, ასეთი დანიშნულების სტრუქტურული ერთეული ან პირი, ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი), დირექტორის ოჯახის წევრისათვის გზავნილის ჩაბარება, მოცემულ შემთხვევაში, უნდა ჩაითვალოს მოპასუხე კომპანიისათვის ჩაბარებად.

განმარტებული საკითხები:
- მეწარმე სუბიექტის მისამართი.
- იურიდიული პირის ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).
- უწყების ჩაბარება იურიდიული პირისთვის (ორგანიზაციისთვის).
- უწყების ჩაბარება ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრისთვის.
- წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა.
- უწყების ჩაბარება.
- გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობა (საქმის წარმოების განახლება).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 4. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 73. ნაწილი 8.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 74. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 410.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 422. ქვენაწილი 1.ბ.

სრული განმარტების ციტირება:
განმცხადებლის/კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია ძირითადად შეეხება იმ გარემოებას, რომ შპს-ს დირექტორის მამიდა არ წარმოადგენს საწარმოს გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს ქცევის შემდეგ წესს:

მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავ-

ნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად).

საქმეში წარმოდგენილი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირების რეესტრიდან დასტურდება, რომ მოპასუხე კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი ა. მ., შესაბამისად, იგი უფლებამოსილია ჩაიბაროს გზავნილი. ამონაწერით ასევე დგინდება, რომ შპს „ს.“-ის იურიდიული მისამართია – თბილისი, ლეჩხუმის ქ. №XX (ს.ფ.16).

შპს-ს სწორედ მითითებულ მისამართზე გაგზავნა სარჩელი თანდართული დოკუმენტებით და ჩაბარდა დირექტორის ოჯახის წევრს – მამიდას, რომელმაც, თავის მხრივ, გამოხატა ნება გზავნილის მიღებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე კომპანია დარეგისტრირებულია მისი ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ბინაში. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება განმცხადებელს არ წარმოუდგენია.

ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის იურიდული მისამართი წარმოადგენს დირექტორის საცხოვრებელი ბინის მისამართს, ხოლო დირექტორმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული გზავნილის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (კანცელარია, ასეთი დანიშნულების სტრუქტურული ერთეული ან პირი, ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი), დირექტორის ოჯახის წევრისათვის გზავნილის ჩაბარება მოცემულ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს მოპასუხე კომპანიისათვის ჩაბარებად (აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკასთან იხ: საქმე №ას-1072-992-2017 07.12.2017წ. განჩინება).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ჩათვალა გზავნილი ჩაბარებულად შპს „ს.“-სათვის და შესაგებლის წარდგენის ვადის ათვლა დაუკავშირა შპს-ს დირექტრის ოჯახის წევრის მიერ გზავნილის ჩაბარებას. თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის წინაპირობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5746-17 (330210016001225550) (22 თებერვალი, 2018 წელი)
მოსამართლეები: გოგიტა თოთოსაშვილი (თავმჯდომარე), თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, ხათუნა არევაძე

საკვანძო საკითხი:
საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განჩინების რეზიუმე:
საწარმო თავისი დირექტორისგან მოითხოვდა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. სასამართლოს შეფასებით, დირექტორმა დაარღვია კეთილსინდისიერების ვალდებულება – სათანადო წინდახედულება არ გამოიჩინა მანქანის მძღოლის შერჩევისას. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, მის წინააღმდეგ დავაზე მსჯელობისას მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ – დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 709-ე და 710-ე მუხლები).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის მოვალეობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 709.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 710.

სრული განმარტების ციტირება:
4.1. ... პალატა განმარტავს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მეწარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები)“; „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების გაწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა. შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს“; „დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ (შდრ. სუსგ №ას-895-845-2015, 2016 წლის 29 იანვრის განჩინება).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორმა თავისი ვალდებულები უნდა შეასრულოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. დირექტორის მიმართ მოქმედებს საწარმოს კეთილსინდისიერად მართვის სტანდარტი. „კეთილსინდისიერი დირექტორის“ საბაზისო პრინციპი არ შეიძლება შეიზღუდოს. აღნიშნული პრინციპი მოიცავს დირექტორის მხრიდან უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერ განხორციელებასა და მეწარმე სუბიექტისათვის დამახასიათებელი გონივრული მოქმედების სტანდარტის უზრუნველყოფას. დირექტორს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ სამოქალაქო რისკისათვის, რომელიც არასათანადოდ (წინდაუხედავად) გასწია მანქანის მძღოლის შერჩევის დროს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- დირექტორის მოვალეობები.
- სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.
- წინდახედულობის სტანდარტი ნების გამოვლენისას.
- კეთილსინდისიერი შესრულება.
- ჯეროვანი შესრულება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. ნაწილი 6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 361. ნაწილი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 999.

სრული განმარტების ციტირება:
4.1. ... მოცემულ კონტექსტში საყურადღებოა შესრულდა თუ არა დირექტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ისე, როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (ვალდებულების შესრულების ამგავრი სტანდარტი რეგლამენტირებულია, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

კორპორაციის ფუნქციონირებისათვის, ზემოაღნიშნული მუხლი, განსაზღვრავს დირექტორის მიერ საწარმოს კეთილსინდისიერად მართვის სტანდარტს. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს დათქმა „ამავე კანონის მე-9 მუხლის მეექვსე ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად”. შესაბამისად, კანონი მკაცრად ადგენს ხელმძღვანელობის ხარისხს და დირექტორის მოვალეობას განსაზღვროს საზოგადოების განვითარების მნიშნელოვანი პრიორიტეტები, რომელიც ხელსაყრელია ამ უკანასკნელისათვის. ამ მიზნების ეფექტური რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კეთილსინდისიერი მმართველობის პირობებში. სამეწარმეო ურთიერთობებში დამკვიდრებული „კეთილსინდისიერი დირექტორის“ საბაზისო პრინციპი, არ შეიძლება შეიზღუდოს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული პრინციპი მოიცავს კორპორაციის ხელმძღვანელობის მხრიდან მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერ განხორციელებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მეწარმე სუბიექტისათვის დამახასიათებელი გონივრული მოქმედების სტანდარტის უზრუნველყოფას. შესაბამისად, დირექტორის პასუხისმგებლობის წინაპირობები ამ ორი კომპონენტით განისაზღვრება. დირექტორის არამართლზომიერი მენეჯმენტის შეფასება ორი მიმართულებით არის შესაძლებელი. პირველს განეკუთვნება ე. წ. კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული), ხოლო, მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების

თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

პალატა მიუთთებს, რომ ზ. ფ.-ს, როგორც დირექტორს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ სამოქალაქო რისკისათვის, რომელიც არასათანადოდ გასწია, კერძოდ, მანქანის მძღოლის შერჩევა. სწორედ ამ უკანასკნელს უნდა გამოეჩინა სათანადო წინდახედულება კონტრაჰენტის შერჩევისას, რომელსაც დაავალა ავტომანქანის გაჩერება. ამასთან, საყუარდღებოა, რომ როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (იხ. 9.1 და 56-ე მუხლები), ასევე სამოქალაქო კოდექსი სახელშეკრულებო ზიანის დადგომისას კრედიტორის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად განსაზღვრავს უშუალოდ ხელშეკრულების მხარეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1151-1071-2017 (23 თებერვალი, 2018 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი.

განჩინების რეზიუმე:
შპს-ს 49% წილის მფლობელი პარტნიორი (მოსარჩელე) მოითხოვდა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად აღიარებას და თავის მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საწარმოს დირექტორის/დომინანტი პარტნიორის ქმედებებით არაერთხელ მიადგა ზიანი. ქვედა ინსტანციებისგან განსხვავებით, კასაციამ სარჩელი განუხილველად დატოვა აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის არარსებობაზე მითითებით (შესაძლებელი იყო მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა).

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს. თუ მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას იმ გარემოებას აფუძნებს, რომ საწარმოს დირექტორის/დომინანტი პარტნიორის ქმედებებით არაერთხელ მიადგა ზიანი, მაშინ, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია, რაც, თავის მხრივ, აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის დაუსაბუთებლობაზე მეტყველებს და სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობაა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- მრავალმხრივი გარიგება.
- აღიარებითი სარჩელი.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.
- სარჩელის განუხილველად დატოვება.
- მიკუთვნებითი სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 275.

სრული განმარტების ციტირება:
16.საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, სარჩელით არ არის მოთხოვნილი რაიმეს მიკუთვნება ან შესრულება, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი). სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელი იყო. თუმცა, სხვა საკითხია რამდენად წარმატებული იქნებოდა სარჩელი, რაც დამოკიდებული იქნებოდა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობების (სამართლებრივი წინაპირობების) კანონით დადგენილი

თანმიმდევრობით განხორციელებისა (შესრულების) და მოთხოვნის გამომრიცხავი, შემწყვეტი ან მისი განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობის შემოწმებასა და მის შედეგებზე.

17. „საკასაციო პალატა უპირველესად განმარტავს იმას, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების (იხ. სკ-ის 50-ე მუხლი) ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს და თუნდაც მის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა, ანუ აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა, გამართლებულია იურიდიული ინტერესის ნამდვილობით“ (იხ. სუსგ ას-839-805-2016, 06.03.2017 წ.).

18. განსახილველ შემთხვევაში კასატორი თავის სასარჩელო მოთხოვნას იმ გარემოებას აფუძნებს, რომ საწარმოს დირექტორის ქმედებებით არაერთხელ მიადგა ზიანი მოსარჩელეს, რაც სისხლის სამართლის საქმეზე ამ უკანასკნელის დაზარალებულად ცნობით დასტურდება. მოსარჩელეს პრეტენზია აქვს დომინანტ პარტნიორთან იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თავის ძმას „ჩამოაწერა“ შპს-ის მიმართ არსებული დავალიანება, რითაც ზიანი მიაყენა საწარმოს. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა კი პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობაა, რომლითაც გადაწყდა შემდეგი საკითხები: შპს-ის დირექტორისათვის საზოგადოებაში განხორციელებული ფულადი შენატანების უკან დაბრუნება; საწარმოს დირექტორისათვის დავალიანებული ხელფასის გადახდა; საწარმოს დირექტორისათვის იჯარის ურთიერთობიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა; დივიდენდის სახით გაუნაწილებელი მოგების, საწარმოს ორივე პარტნიორზე, თავიანთი წილების შესაბამისად, განაწილება; საზოგადოების ფინანსურ დავალიანებებთან დაკავშირებით კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია, მოსარჩელის კრებაზე გამოუცხადებლობის გამო; შპს „პ. გ. გ-ს“ საამქროს საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებით შპს-ს ზიანი ადგება, კრებამ გადაწყვიტა მიღებულ იქნეს შესაბამისი ზომები აღნიშნულთან დაკავშირებით (შპს „პ. გ. გ-ს“ 35-35 %-იანი წილების მფლობელები მოსარჩელე და მისი მეუღლე არიან).

19. ზემოთ მოცემული ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კასატორის აღიარებითი სარჩელის/პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა/ იურიდიული ინტერესი დაუსაბუთებელია, რაც მისი სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობაა. პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა სამართლებრივ შედეგებს ვერ მოუტანს მოსარჩელეს, რომელიც მის მიერ წარდგენილი აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესს ვერ ადასტურებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-28-25-2017 (28 თებერვალი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
იურიდიული პირი, როგორც უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენი.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე ითხოვდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენას და უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას. კასაციამ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, რადგან განსხვავებულად განმარტა იურიდიულ პირის ქონებასთან მიმართებით უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი და საკუთრების უფლებასთან მიმართებით მოქმედი ხანდაზმულობის ვადა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2ბ/5730-18, №ას-704-674-2016

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იურიდიული პირის გარიგებაუნარიანობა და ამ გარიგების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულებია იურიდიული პირის მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პირთა (დირექტორები, პარტნიორები) სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უფლების შესაძლო ხარვეზთან მიმართებით (კეთილსინდისიერება). იურიდიული პირის ქონება განსხვავდება მისი ინსაიდერების ქონებისაგან და იგი, როგორც სუბიექტი, თავისთავად არ წარმოადგენს ქონებას თავისი ინსაიდერების ხელში. კორპორაციის ქონებრივი ავტონომია გულისხმობს წევრებისა და გაერთიანების ქონების სწორედ მკაცრ გამიჯვნას. კეთილსინდისიერი პარტნიორის მიერ საწარმოში წილის შეძენა ამ საწარმოს ტრანზაქციის განხორციელებამდე, ხარვეზიანი ნების საფუძველზე შეძენილი ქონების ნამდვილ მესაკუთრედ ვერ აქცევს. გადამწყვეტია თავად საწარმოს მიერ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის დროს მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა კეთილსინდისიერების საკითხი.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- საწარმოს პარტნიორი.
- საწარმოს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.
- წილი/აქცია.
- იურიდიული პირის კონსტიტუციური ნიშნები.
- გარიგებაუნარიანობა.
- კეთილსინდისიერი შემძენი.
- უძრავი ქონების შემძენის კეთილსინდისიერება.
- კეთილსინდისიერება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 1.,2.,3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 183.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 185.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 312. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:

3.5.2. მოცემული დავის სუბიექტთა სპეციფიკიდან გამომდინარე, შემძენის კეთილსინდისიერების საკითხის შეფასებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფიზიკური და იურიდიული პირის ობიექტური შესაძლებლობა, იცოდეს ან არ იცოდეს რეგისტრირებული უფლების ხარვეზი, ასევე, ქონებაზე საწარმოს საკუთრების უფლება და მისი დამოუკიდებლობა ამ საწარმოში პარტნიორის ქონებრივი უფლებებისაგან (პარტნიორის მიერ საწარმოს წილის შეძენისას რა წარმოადგენს პარტნიორის საკუთრების ობიექტს და პარტნიორის ცვლილება აქცევს თუ არა ხარვეზიანი საკუთრების მიმართ საწარმოს კეთილსინდისიერად). იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი (იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ), რომლის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ ტიპის კორპორაციული გაერთიანება არის ხელოვნური წარმონაქმნი, რომელსაც მართლწესრიგი ბუნებითი პირის თვისებებს სძენს და ამდენად, სამართალსუბიექტად მიიჩნევს და რომელიც ასოციაციის კონსტიტუციურ საფუძველს ემყარება. ნორმაში კლასიფიცირებული იურიდიული პირის ნიშნებიდან მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მის გარიგებაუნარიანობაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი სწორედ აღნიშნულის მეშვეობით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში და დებს გარიგებებს, თუმცა, იურიდიული პირის სამართლებრივი არსის გათვალისწინებით, მისი გარიგებაუნარიანობა და ამ გარიგების სამართლებრივი შედეგებისადმი დამოკიდებულება აბსოლუტურად ეფუძნება მის მმართველობითი უფლებამოსილებებით აღჭურვილ პირთა კეთილსინდისიერებას, ამგვარად კი, გვევლინებიან პირველ რიგში ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები – დირექტორები, ასევე, პარტნიორები (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და 9[1] მუხლები), შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ გარიგების საფუძველზე იურიდიული პირის მიერ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, მით უფრო, თუკი არსებობს უფლების ნაკლი, შესაძლოა ზემოთ განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, დამოკიდებული იყოს სწორედ იურიდიული პირის მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილ პირთა სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უფლების შესაძლო ხარვეზთან მიმართებით (კეთილსინდისიერება). რაც შეეხება ქონებრივ უფლებებს, იურიდიული პირის დეფინიცია მოიცავს ასევე მის უნარს, გააჩნდეს საკუთარი ქონება. იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ეს ელემენტი სანივთო სამართლის სფეროს განეკუთვნება. მას, როგორც ნორმატიულ ცნებას, განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი. სამართლის თეორიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, კანონმდებლის მიზანს იურიდიული პირის ფაქტობრივ ქონებრივ მდგომარეობაზე ხაზგასმა არ წარმოადგენს. აქ ნორმა მიუთითებს მხოლოდ „მესაკუთრეობის“, ქონების ქონის უნარზე, რომელიც იურიდიულ პირს, როგორც ფიზიკური პირის თვისებებით მართლწესრიგის მიერ აღჭურვილ სუბიექტს, ცხადია, გააჩნია, ანუ მას შეუძლია, ჰქონდეს ქონება. იურიდიული პირის ქონება განსხვავდება მისი ინსაიდერების ქონებისაგან და იგი, როგორც სუბიექტი, თავისთავად არ წარმოადგენს ქონებას მისი ინსაიდერების ხელში. კორპორაციის ქონებრივი ავტონომია გულისხმობს წევრებისა და გაერთიანების ქონების სწორედ მკაცრ გამიჯვნას, ე. ი. თუ კი იგი, როგორც სუბიექტი, სრულყოფილი „არსებაა“ ქონებრივი უნარისა თუ შესაძლებლობის თვალსაზრით, მაშინ არ არსებობს საჭიროება, რომ მისი ქონება რეალურად ან წევრთა ქონებად ითვლებოდეს და/ან თავად იყოს მუდმივად დამოკიდებული საკუთარ წევრებზე, ვინაიდან მას ისევე სრულფასოვნად შეუძლია იქონიოს ქონება, როგორც ნებისმიერ უფლებაუნარიან ფიზიკურ პირს. მოხმობილი განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სრულად უარყოფს გასაჩივრებული განჩინების იმ მსჯელობას, რომელიც შეეხება დღევანდელი მოპასუხის პარტნიორთა კეთილსინდისიერებას, რამდენადაც, როგორც შპს „ა-ოს“, ისე – შპს „მ-ისა“ და შპს „ხ-ას“ შენაძენს წარმოადგენს მოპასუხე კომპანიაში წილი და არა კომპანიის ქონება და ამ წილზე უფლება საკუთრების დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს, რომლის ნამდვილობა არც სარჩელითაა შედავებული და არც დავის საგანს წარმოადგენს (საწარმოში წილის ფლობა წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები).

საბოლოოდ საკასაციო პალატა ასკვნის, რომ კეთილსინდისიერი პარტნიორის მიერ საწარმოში წილის შეძენა ამ საწარმოს ტრანზაქციის განხორციელებამდე ხარვეზიანი ნების საფუძველზე შეძენილი ქონების ნამდვილ მესაკუთრედ ვერ აქცევს, ანუ პარტნიორის ცვლილება, რომელიც წილს მართლზომიერად შეიძენს, საწარმოს კეთილსინდისიერების განსაზღვრის ისტრუმენტად არ შეიძლება იქნას გამოყენებული, რადგანაც გდამწყვეტია თავად საწარმოს მიერ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის დროს არსებული მმართველობითი უფლება-

მოსილებებით აღჭურვილ პირთა კეთილსინდისიერების საკითხი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის შეფასებული;

3.5.3. ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი ქონების საფინანსო ინსტიტუტის მიერ შეძენასთან დაკავშირებით. საკრედიტო დაწესებულება თუ ბანკი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს იურიდიულ პირს, ქონებაზე საკუთრებას მოიპოვებს იმავე წესების დაცვით, როგორც ზემოთ განვითარებულ მსჯელობაშია ასახული. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდის საბანკო დაწესებულების მოქმედების მართლზომიერებას ქონებრივ ტრანზაქციებში, შემოწმებას ექვემდებარება მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და წარდგენილი მტკიცებულებები ხომ არ იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ბანკმა (უფლებამოსილი პირების მეშვეობით) იცოდა რეგისტრირებული უფლების შესაძლო ხარვეზი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასესხო ურთიერთობის უზრუნველსაყოფად იქნა ქონება გამოყენებული (სკ-ის 286-ე მუხლი), ასევე, ბანკმა იგი აუქციონზე შეიძინა, შემძენს ვერ აქცევს კეთილსინდისიერად, თუკი არ დადგინდა ის გარემოება, რომ ბანკის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები იყვნენ უფლების ხარვეზის თაობაზე ინფორმირებული. ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება არათუ მტკიცებულებათა კვლევას, არამედ, ფორმალურ შეფასებასაც არ შეიცავს (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტი). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი დადგინდება კრედიტის ამღები პირის არაკეთილსინდისიერება უზრუნველყოფის საგანზე წარმოშობილი უფლების მიმართ, თუმცა, ამ ფაქტის თაობაზე ობიექტურად ვერ იქნებოდა ინფორმირებული კრედიტის გამცემი, ასეთ შემთხვევაში იპოთეკის საგანზე მას შესაძლოა წარმოშობოდა საკუთრების ნამდვილი უფლება, ხოლო ნამდვილი მესაკუთრისაგან სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 312-ე მუხლების ფარგლებში შეძენილი საკუთრება, თუნდაც იმ პირის მიერ, რომელიც თავდაპირველად ქონების არაკეთილსინდისიერ შემძენს წარმოადგენდა, მას საკუთრების ნამდვილ უფლებას წარმოუშობს გარიგების საგანზე და ამ გზით ნაწარმოები უფლება თავად ექვემდებარება სანივთო-სამართლებრივ (აბსოლუტურ) დაცვას (სკ-ის 170-ე მუხლი);

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ევროკონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლება მოიცავს წილზე საკუთრების უფლებას და ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის.

განმარტებული საკითხები:
- წილი/აქცია.
- საკუთრების უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- კონსტიტუცია, მუხლი 19.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

სრული განმარტების ციტირება:
3.5.2. ... ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს საწარმოს წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ 1982 წელს საქმეში: Bramelid and Malmström v. Sweden (განაცხადის №8588/79, 1982). ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ თავდაპირველად განიხილა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას – კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მათ ასევე განსაზღვრეს ის რთული და კომპლექსური საკითხი, რომელიც „წილს“ უკავშირდებოდა. კერძოდ, სერტიფიკატი, რომელიც მისი მფლობელის საწარმოს წილზე საკუთრების უფლებას განამტკიცებს და ასევე, მასთან დაკავშირებულ უფლებებს (განსაკუთრებით, ხმის მიცემის უფლებას). ამასთან, სერტიფიკატი მოიცავს საწარმოს წილებზე არაპირდაპირი მოთხოვნის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევდა ის

ფაქტი, რომ წილებს საწარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა. შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე – Bramelid and Malmström v. Sweden – მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილის საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-851-795-2017 (20 აპრილი, 2018 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დავა მაჟორიტარი პარტნიორის წინააღმდეგ.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
დივიდენდის განაწილებისა და წესდების ნაწილის ბათილობის შესახებ სარჩელი, ასევე პარტნიორის გარიცხვის შესახებ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა ამ მოთხოვნათა დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლოს შეფასებით მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის ნაცვლად შეეძლო აღეძრა დერივაციული სარჩელი ან მოეთხოვა მაჟორიტარ პარტნიორზე კომპენსაციის გადახდის დაკისრება.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან) და მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
17.2. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ მოითხოვა 2015 წლის 25 აპრილის №3 კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელზედაც არ განაწილდა საწარმოს წლიური მოგება (იხ. ტ.1, ს.ფ.60-63) და 2014 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან კუთვნილი 25%-იანი წილის შესატყვისი დივიდენდი, უწინარესად ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შპს-ის მოგებიდან პარტნიორის წილის შესატყვისი დევიდენდის მიღებისა და მისი მოთხოვნის უფლებები. საკასაციო სასამართლომ განმარტა: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგების წილის (დივიდენდის) მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან“ (იხ. სუსგ №ას-1328-1170-2010, 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება; შდრ. სუსგ №ას-774-741-2016, 25.11.2016წ.). მაშასადამე ერთმანეთისაგან განსხვავდება დივიდენდის მიღების ზოგადი უფლება, რაც მინორიტარ პარტნიორს, საწარმოს პარტნიორად რეგისტრაციისთანავე წარმოეშვა, ხოლო რაც შეეხება პარტნიორის მიერ დივიდენდის მოთხოვნის უფლებას, ეს უკანასკნელი დაკავშირებულია კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან;

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორთა კრების გადასაწყვეტია საწარმოში წლიური დივიდენდის განაწილება და მისი ოდენობის განსაზღვრა, რაც მეწარმეობის თავისუფალი განვითარებისათვის საწარმოს მართვისა და შიდაპარტნიორული ურთიერთობების პოლიტიკის საკითხს განეკუთვნება და მისი გადაწყვეტა სასამართლო დავის გზით შეუძლებელია.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
17.3. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 25 აპრილს №3 პარტნიორთა კრებას არ მიუღია გადაწყვეტილება 2014 წლის დივიდენდის განაწილებაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.4-11.4.4 ქვეპუნქტები), რაც დივიდენდის მოთხოვნის უფლებას წარმოუშობდა მინორიტარ პარტნიორს. ეს უკანასკნელი სარჩელით სწორედ პარტნიორთა კრების დისკრეციულ უფლებამოსილებაში შეჭრას ითხოვს სასამართლოსაგან და სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობას, რომელზედაც არ განაწილებულა წლიური მოგება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.2.3 ქვეპუნქტი).

18. მრავალმხრივი გარიგების გავრცელებულ ფორმად მიიჩნევა კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 50, ველი 14). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მინორიტარი პარტნიორის დივიდენდის მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლი და საწარმოს წესდება. პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით პარტნიორები ხმათა უმრავლესობით ავლენენ ნებას, რომელიც ემსახურება კაპიტალური საზოგადოების, როგორც ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი სამეწარმეო სუბიექტის, განვითარებას და შემდგომ ამოცანებს. პარტნიორთა კრების, რომელიც ეკონომიკური მოგების მიღების მიზნით დაფუძნებული საზოგადოების მმართველი უმაღლესი ორგანოა, გადასაწყვეტია საწარმოში წლიური დივიდენდის განაწილება და მისი ოდენობის განსაზღვრა, რაც მეწარმეობის თავისუფალი განვითარებისათვის საწარმოს მართვისა და შიდაპარტნიორული ურთიერთობების პოლიტიკის საკითხს განეკუთვნება და მისი გადაწყვეტა სასამართლო დავის გზით შეუძლებელია.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს პარტნიორის (მათ შორის, მაჟორიტარი პარტნიორის) უფლება-მოვალეობები და საწარმოს დირექტორის უფლება-მოვალეობები, როდესაც საწარმოს პარტნიორი და დირექტორი ერთი და იგივე პირია, რადგან მათი ქმედებები შესაძლოა მოსარჩელეს სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნების წარდგენის საფუძველს ანიჭებდეს. საწარმოს მოგების, განაწილების ნაცვლად, სადავო სასესხო ვალდებულების დასაფარად მიმართვის შემთხვევაში, მინორიტარ პარტნიორს საკუთარი უფლების დაცვა შეუძლია დირექტორის წინააღმდეგ დერივაციული სარჩელის აღძვრის გზით.

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.

- მოგების (დივიდენდის) განაწილება.
- დივიდენდი.
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი.
- მინორიტარი პარტნიორი.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.

სრული განმარტების ციტირება:
19. საკასაციო სასამართლო აქვე იმასაც განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მაჟორიტარ პარტნიორს საწარმოს სახელით მისაღებ გადაწყვეტილებებზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენის პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს საკუთარი დომინანტური პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც იმავდროულად საწარმოს დირექტორიცაა და საზოგადოებას მესამე პირების წინაშეც წარმოადგენს, ანუ როგორც საწარმოს შიდა, ისე გარე ურთიერთობებზე (მესამე პირებთან) ზეგავლენის მქონე პირია, შესაბამისად, მინორიტარ პარტნიორს (თავდაპირველ მოსარჩელეს) საკუთარი უფლების დაცვა შეეძლო არა პარტნიორთა კრების სადავო ოქმის ბათილად ცნობისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე პარტნიორთა კრების არარსებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოთხოვნით, არამედ, საწარმოს დირექტორის მიერ საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივად ვარგის მტკიცებულებებზე მითითებით (დერივატიული სარჩელი). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს პარტნიორის უფლება-მოვალეობები და საწარმოს დირექტორის უფლება-მოვალეობები, რადგან ისეთ ვითარებაში, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, მარტოოდენ იმ ფაქტობრივი მოცემულობის გამო, რომ საწარმოს 50%-იანი წილის პარტნიორი, იმავდროულად, საწარმოს დირექტორიცაა, არ განაპირობებს იმას, რომ ერთმანეთში იქნეს აღრეული პარტნიორისა და დირექტორის, რომელიც საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირია, ფუნქციები და სამართლებრივი ვალდებულებები საწარმოს, პარტნიორთა თუ მესამე პირთა წინაშე“... „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, „საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას. ხოლო დირექტორი არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება სპეციალური კანონით ან/და საწარმოს წესდებით. სპეციალური კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით...“ (სუსგ №ას-612-571-2017, 28.07.2017წ.).

19.1. განსახილველ შემთხვევაში თავდაპირველი მოსარჩელე სარჩელში მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან არ მიჯნავს საწარმოს მაჟორიტარი პარტნიორისა და საწარმოს დირექტორის, რომელიც ერთი და იგივე პირია, ქმედებებს, რომლებიც შესაძლოა მოსარჩელეს სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნების წარდგენის საფუძველს ანიჭებდეს. ყველა შესაძლო პრეტენზია, რომელიც საწარმოს დირექტორს ეხება, დასაბუთებული და დამტკიცებული უნდა იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის (ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადო-

ების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად) საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალური საზოგადოების ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის პასუხისმგებლობას; ასეთ ვითარებაში სარჩელი საწარმოსათვის მიყენებულ ზიანს უნდა უკავშირდებოდეს. მოცემულ შემთხვევაში, მინორიტარი პარტნიორის პრეტენზიები, რაც უკავშირდება შ.ბ-ისაგან, საწარმოს სახელით, საწარმოს დირექტორის (რომელიც მაჟორიტარი პარტნიორია) მიერ 15 000 ლარის სესხის დაუსაბუთებლად აღებას, შესაძლოა, საწარმოსათვის მიყენებული ზიანის სახით, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის საფუძველი იყოს და არა იმგვარი მტკიცების, როგორც ამას თავდაპირველი მოსარჩელე ცდილობს თავის სარჩელში, რომ საეჭვო სესხის აღებით, მისი გასტუმრებისათვის გაღებული თანხა არასწორად გამოაკლდა საწარმოს წმინდა მოგებას და ა. შ. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.2.2 ქვეპუნქტი).

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს 75%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მინორიტარ პარტნიორს მაჟორიტარისა და, არა საწარმოსაგან, კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

განმარტებული საკითხები:
- დომინანტი (მაჟორიტარი) პარტნიორი.
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 8.

სრული განმარტების ციტირება:
19.2. მოსარჩელემ, მართალია, სარჩელში მიუთითა საწარმოს 75%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე, თუმცა, მისი სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, რომელსაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, მან არ განავითარა მსჯელობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე (თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე), რაც კონკრეტული წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში მინორიტარ პარტნიორს მაჟორიტარისაგან და, არა საწარმოსაგან, კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას მიანიჭებდა.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების, ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- აღიარებითი სარჩელი.
- იურიდიული ინტერესი აღიარებით სარჩელში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.

სრული განმარტების ციტირება:
19.3. საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნა, შესაძლოა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთდეს იმ პროცედურული წესების დარღვევაზე მითითებით, თუკი ასეთი დაშვებულია კაპიტალური საზოგადოების პარტნიორთა კრების მოწვევის დროს. ასეთ ვითარებაში დაცული უნდა იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული გასაჩივრების ვადები. „პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების (იხ. სკის 50-ე მუხლი) ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს და თუნდაც მის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა, ანუ აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლისა, გამართლებულია იურიდიული ინტერესის ნამდვილობით“ (იხ. სუსგ ას-839-805-2016, 06.03.2017 წ.).

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – წესდება არის მრავალმხრივი გარიგება და მისი ნამდვილობა განისაზღვრება, ზოგადად, გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დაწესებული პირობებით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- მრავალმხრივი გარიგება.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 4[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
21.1. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ წესდება, როგორც პარტნიორთა შეთანხმება, არის მრავალმხრივი გარიგება, რომლის საფუძველზეც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორთა ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები და მისი ნამდვილობა განისაზღვრება, ზოგადად, გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დაწესებული პირობებით.

VII. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და, აქედან გამომდინარე, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს

სარჩელის დასაშვებობა საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. წესდების ნაწილის ბათილობის მოთხოვნით აღძრული აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ მინორიტარ პარტნიორს შეუძლია აღძრას დერივაციული სარჩელი ან მაჟორიტარი პარტნიორისაგან მოითხოვოს კომპენსაცია.

განმარტებული საკითხები:
- დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- აღიარებითი სარჩელი.
- მოსამართლემ იცის სამართალი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 8.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 6.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 180.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.

სრული განმარტების ციტირება:
21.2. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, იმას განმარტავს, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების (სსკ-ის 50-ე მუხლი), ბათილად აღიარების მოთხოვნის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ნამდვილი ინტერესი გააჩნია ამ მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეს და თუნდაც მის მიერ მითითებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებით მიიღწევა თუ არა იურიდიული ინტერესი – დარღვეული უფლების ეფექტური დაცვა, ანუ აღიარებითი სარჩელის წარმატებულობა, თანახმად სსსკ-ის 180-ე მუხლისა, გამართლებულია იურიდიული ინტერესის ნამდვილობით. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის, ისევე, როგორც მისი დასაბუთებულობის, საკითხის შემოწმება სამართლის საკითხია და აქედან გამომდინარე, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარის პრეტენზიის არარსებობის პირობებშიც, საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა. შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-664-635-2016, 02.03.2017 წ; შეადარეთ ასევე, სუსგ-ებს: №ას-937-887-2015, 10.11.2015წ.; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-323-308-2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.06.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.)

21.3. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა

უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა;

21.5. ... მინორიტარი პარტნიორის მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან, რაც გამოწვეულია წესდების ცალკეული კანონით ბათილი დებულების საფუძველზე, ერთი მხრივ, საწარმოს დირექტორის, ხოლო, მეორე მხრივ, საწარმოს მაჟორიტარი პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან. ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მინორიტარმა პარტნიორმა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლიდან გამომდინარე შესაძლოა საწარმოს სახელით სასარჩელო მოთხოვნა (დერივატიული სარჩელი) აღძრას საწარმოს დირექტორის წინააღმდეგ („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე; ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 19.1 ქვეპუნქტში) ან მინორიტარმა პარტნიორმა უშუალოდ მაჟორიტარი პარტნიორისაგან მოითხოვოს კომპენსაცია („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე; ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 19.2 ქვეპუნქტში).

VIII. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუკი წესდების (მრავალმხრივი გარიგების) რომელიმე დებულება კანონსაწინააღმდეგოა, იგი იმთავითვე ბათილია. სასამართლომ უნდა ჩაატაროს სამართლებრივი კვლევა იმ თვალსაზრისით, თუ წესდების ცალკეული ნაწილის ბათილობის შემთხვევაში რამდენად არის შესაძლებელი წესდების არაბათილი ნაწილის შენარჩუნება, ანუ, ბათილი ნაწილის გარეშე საწარმოს წესდება აწესრიგებს თუ არა ურთიერთობებს პარტნიორთა შორის, ასევე საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობის საკითხებს და ა. შ., შესაბამისად, გარიგების ცალკეული დებულების ბათილობის პირობებში კვლავ შენარჩუნებულია თუ არა წესდების, როგორც საწარმოს საქმიანობის აღმწერი და მომწესრიგებელი სახელმძღვანელო დოკუმენტის, მნიშვნელობა და ფუნქცია.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- ბათილობა.
- გარიგების ბათილობა.
- გარიგების ნაწილის ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 4[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 62.

სრული განმარტების ციტირება:
21.4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, წესდების ცალკეული დებულების ბათილად ცნობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდება, ვინაიდან, ამ კონკრეტულ მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თუკი წესდების (მრავალმხრივი გარიგების) რომელიმე დებულება კანონსაწინააღმდეგოა, იგი იმთავითვე ბათილია. ამასთან, „გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც“ (იხ. სსკ-ის 62-ე მუხლი). ამ შემთხვევაში წესდება, როგორც მრავალმხრივი გარიგება, სამეწარმეო საზოგადოების სახელმძღვანელო ერთიან დოკუმენტად განიხილება და სსკ-ის 62-ე მუხლის მიზანია გარიგების მონაწილეთა კერძო ავტონომიის დაცვა და მთლიანი გარიგების გადარჩენა მაშინაც, როცა მისი ერთი რომელიმე ნაწილი შეიძლება ბათილი იყოს. დოქტრინაში განიმარტება, რომ ერთიანი გარიგების ცალკეული ნაწილების ბათილობის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ გარიგების ის

ნაწილი, რომელსაც არ ემუქრება ბათილობა, ცალკე გარიგებად დარჩეს; სსკ-ის 62-ე მუხლის მოწესრიგებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გარიგების ნაწილის (ცალკეული დებულებების) ბათილობა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც, სავარაუდოა, რომ გარიგება ამ ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 62, ველი 1-11). საწარმოს წესდების ცალკეული დებულების ბათილობის კონტექსტში მინორიტარი პარტნიორის სარჩელი არ შეიცავს იმგვარ მტკიცებას, რომელიც სსკ-ის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს და სააპელაციო სასამართლოსაც არ ჩაუტარებია სამართლებრივი კვლევა იმ თვალსაზრისით, თუ წესდების ცალკეული ნაწილის ბათილობის შემთხვევაში, რამდენად არის შესაძლებელი წესდების არაბათილი ნაწილის შენარჩუნება, ანუ ბათილი ნაწილის გარეშე, საწარმოს წესდება აწესრიგებს თუ არა ურთიერთობებს პარტნიორთა შორის, ასევე საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობის საკითხებს და ა. შ., შესაბამისად, გარიგების ცალკეული დებულების ბათილობის პირობებში, კვლავ შენარჩუნებულია თუ არა წესდების, როგორც საწარმოს საქმიანობის აღმწერი და მომწესრიგებელი სახელმძღვანელო დოკუმენტის, მნიშვნელობა და ფუნქცია;

21.5. მინორიტარი პარტნიორის სასარგებლოდ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, ბათილად იქნა ცნობილი საწარმოს წესდების ისეთი დებულებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 11.7.1-11.7.2 ქვეპუნქტები), რომლებიც საწარმოს ფუნქციონირებასა და საქმიანობაზე გავლენას ახდენენ, ამასთან, არაა დასაბუთებული წესდების, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტის, დარჩენილი არაბათილი (კანონშესაბამისი) დებულებების სამართლებრივი ძალმოსილება საზოგადოების მართვისათვის.

IX. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოდან პარტნიორის გარიცხვა პრაქტიკულად საწარმოში საკუთრების ჩამორთმევას უთანაბრდება. ერთადერთი შემთხვევა, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პარტნიორის შესაძლო გარიცხვას უკავშირებს, წარმოადგენს პარტნიორის მიერ შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევა.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. ნაწილი 7.

სრული განმარტების ციტირება:
22. ... საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და სამართლებრივ შეფასებებს, რომლებიც ეხება საწარმოდან პარტნიორის გარიცხვის საკითხს, რომელიც პრაქტიკულად საწარმოში საკუთრების ჩამორთმევას უთანაბრდება

22.1. ... საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა: „ზოგადად, საწარმოში წილის ფლობა, განსახილველ შემთხვევაში კი ტელეკომპანიის წილზე მოსარჩელეების საკუთრება, წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები). ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს საწარმოს წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიერ 1982 წელს საქმეში: Bramelid and Malmström v. Sweden (განაცხადის №. 8588/79, 8589/79; 1982). ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ თავდაპირველად განიხილა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას – კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მათ ასევე განსაზღვრეს ის რთული და კომპლექსური საკითხი, რომელიც „წილს“ უკავშირდებოდა. კერძოდ, სერტიფიკატი, რომელიც მისი მფლობელის საწარმოს წილზე საკუთრების უფლებას განამტკიცებს და ასევე, მასთან დაკავშირებულ უფლებებს (განსაკუთრებით, ხმის მიცემის უფლებას). ამასთან, სერტიფიკატი მოიცავს საწარმოს წილებზე არაპირდაპირი მოთხოვნის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ წილებს

საწარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა. შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე – Bramelid and Malmström v. Sweden – მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილის საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ; 191-ე პუნქტი).

22.2. ... საწარმომ (კასატორმა) შეგებებული სარჩელით მოითხოვა მინორიტარი პარტნიორის გარიცხვა საწარმოს პარტნიორთა შემადგენლობიდან, პარტნიორული შეუთავსებლობის, საწესდებო კაპიტალისა და წილი კაპიტალის შეუვსებლობის გამო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგან ერთადერთ შემთხვევას, რასაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი პარტნიორის შესაძლო გარიცხვას უკავშირებს, წარმოადგენს ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილი, რომელიც ადგენს: „პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი – 2000 ლარი – შევსებულია, მისი გაზრდის შესახებ პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილება არ მიუღია (იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი), აქედან გამომდინარე, მინორიტარ პარტნიორს რაიმე დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება არ დაკისრებია, შესაბამისად, შენატანის გარიცხვის მოტივით მინორიტარი პარტნიორის გარიცხვა ვერ მოხდებოდა, ხოლო საწარმოს მიერ მითითებული საფუძველი, პარტნიორული შეუთავსებლობის თაობაზე, კანონიდან არ გამომდინარეობს და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. ამდენად, საწარმოს პარტნიორთა კრების 2015 წლის 27 ოქტომბრის №5 ოქმი მინორიტარი პარტნიორის საწარმოდან გარიცხვის შესახებ უკანონო და დაუსაბუთებელია. ამ მხრივ საწარმოს დასაბუთებული საკასაციო შედავება არ განუხორციელებია და არ მიუთითებია იმგვარ გარემოებასა და მტკიცებულებაზე, რაც მინორიტარ პარტნიორს საწარმოში დამატებითი შენატანის განხორციელებას დაავალდებულებდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-190-190-2018 (18 მაისი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზურაბ ძლიერიშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
შპს-დან პარტნიორის გასვლა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე, რომელიც წარმოადგენდა შპს-ს 20% წილის მქონე პარტნიორს, პარტნიორობიდან გასვლისას წილის სანაცვლო კომპენსაციის სახით მოითხოვდა საწარმოსთვის 404 879 ლარის დაკისრებას. სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორობიდან გასვლის ფორმით შესაძლებელია წილის გასხვისება. საქმეში საკვანძო მნიშვნელობის იყო მხარეთა მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების შეფასება, რომლებიც რადიკალურად განსხვავებულად ადგენდნენ საკომპენსაციო თანხის ოდენობას. ყველა ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შედეგები. აპელაციასა და კასაციაში ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეზე 404 879 ლარის დაკისრების თაობაზე.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წილის განკარგვა შესაძლებელია (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით) პარტნიორის საწარმოდან გასვლისას მისი წილის საბაზრო ღირებულების კომპენსაციის გზით. ქონების ღირებულება, როგორც წესი, გამოითვლება საწარმოს როგორც მატერიალური, არამატერიალური თუ ლიკვიდური (საბანკო ანგარიშებზე არსებული) აქტივების, ისე – საწარმოს წინაშე არსებული პასივების (კრედიტორული დავალიანებების) გათვალისწინებით. მსგავსად ნებისმიერი სხვა ქონებისა, პარტნიორისათვის გასაცემი წილის (კომპენსაციის) ფარგლებიც (ფინანსური მოცულობა), შებოჭილია იმ ვალდებულებებით, რომლებიც საწარმოს გააჩნია მესამე პირთა წინაშე, რადაც არ შეიძლება ჩაითვალოს საწარმოს საკუთრებაში არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო ხარჯების გაწევა. ლოგიკას მოკლებულია ამგვარი ხარჯების გაწევაზე იმ წილის მესაკუთრის იძულება, რომელსაც საწარმოდან გასვლა სურს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გასვლა შპს-დან.
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- კომპენსაციის ოდენობა პარტნიორის შპს-დან გასვლისას.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 32.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტები 1.,2.

სრული განმარტების ციტირება:
15. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმას აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სპეციალური კანონის 47-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების [1. საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 2. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით] და 32-ე მუხლის [1. საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება სხვა დანარჩენ პარტნიორებზე. 2. დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების

ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა], ასევე, საწარმოს წესდების 4.2 პუნქტის „ე“ ქვეპუნტის (იხ. ტ.1, ს/ფ 16) საფუძველზე პარტნიორთა კრების მიერ მიღებული 2013 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება (იხ. ტ.1, ს/ფ 12).

15.1. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „ერთადერთი შემთხვევა, სადაც საუბარია გამსვლელი პარტნიორისათვის მატერიალური აქტივის ანაზღაურების შესახებ მოცემულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, დანარჩენი პარტნიორები ვალდებული არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა“ (იხ. სუსგ №ას-771-732-2013, 31.01.2014წ.).

17.2.3. საკასაციო სასამართლო სპეციალური კანონის 32.1-ე მუხლზე (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტში) და 44.3-ე მუხლზე [შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება] დაყრდნობით განმარტავს, რომ წილის, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის, განკარგვა შესაძლებელია. დადგენილია, რომ მოსარჩელე, როგორც პარტნიორი, საწარმოდან გავიდა მისი წილის საბაზრო ღირებულების კომპენსაციის გზით და პარტნიორთა კრებამ დაადგინა, რომ წილის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო არა შენატანის, არამედ – საწარმოში არსებული ქონების ღირებულების შესაბამისად, სპეციალისტის მიერ დადგენილი ოდენობით. ქონების ღირებულება, როგორც წესი, გამოითვლება საწარმოს როგორც მატერიალური, არამატერიალური თუ ლიკვიდური (საბანკო ანგარიშებზე არსებული) აქტივების, ისე – საწარმოს წინაშე არსებული პასივების (კრედიტორული დავალიანებების) გათვალისწინებით. მსგავსად ნებისმიერი სხვა ქონებისა, პარტნიორისათვის გასაცემი წილის (კომპენსაციის) ფარგლებიც (ფინანსური მოცულობა), შებოჭილია იმ ვალდებულებებით, რომლებიც საწარმოს გააჩნია მესამე პირთა წინაშე. მოპასუხეს (საწარმოს) მიაჩნია, რომ საწარმოდან გასული პარტნიორის მიერ მისაღები წილის ღირებულებას, რომელიც ძირითადად საწარმოს ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ღირებულებიდან დაანაგარიშდა, უნდა გამოაკლდეს შენობის რემონტის ხარჯები, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს;

17.2.4. უპირველესად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და დაუშვებელია, რომ საწარმოს საკუთრებაში არსებული შენობისთვის სარეაბილიტაციო ხარჯების გაწევა საწარმოს მესამე პირების წინაშე არსებულ საკრედიტო დავალიანებად ჩაეთვალოს და ამაზე მითითებით საწარმოდან გამსვლელი პარტნიორის წილის კომპენსაციის ოდენობა შემცირდეს, ხოლო თუ შენობის რეაბილიტაციას განვიხილავთ როგორც საწარმოს ქონების შენახვისთვის ობიექტურად საჭირო გარემოებას, ლოგიკას მოკლებულია ამგვარი ხარჯების გაწევაზე იმ წილის მესაკუთრის იძულება, რომელსაც საწარმოდან გასვლა სურს და ამის თაობაზე პარტნიორთა კრებას გადაწყვეტილებაც მიღებული აქვს. ცხადია, მოსარჩელეს, აღარ გააჩნია ინტერესი საწარმოში არსებული ქონების რეაბილიტაციის მიმართ, მისი მოთხოვნა წილის კომპენსაციის თაობაზე გამომდინარეობს საწარმოდან გასვლის დროისათვის არსებული ქონების მდგომარეობის საბაზრო ღირებულებიდან და მისი გაუმჯობესებისთვის ხარჯების გაწევის ვალდებულებას ყოფილ პარტნიორს არც კანონი და არც საწარმოს წესდება არ წარმოუშობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/1762-18 (330210118002304150) (31 მაისი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ქეთევან მესხიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), თამარ ზამბახიძე, თამარ ალანია

საკვანძო საკითხი:
ყადაღა უცხოური საწარმოს ფილიალის (უსფ) ქონებაზე.

განჩინების რეზიუმე:
საჩივრის ავტორი (მოპასუხე) მოითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღის გაუქმებას. აპელაციამ დაადგინა, რომ არსებობდა საწარმოს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების საგამონაკლისო წინაპირობები და, რომ ყადაღა შესაძლებელია დაედოს უცხოური საწარმოს ფილიალის (უსფ) ქონებას. საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – უცხოური საწარმოს ფილიალი (უსფ) ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, შესაბამისად, იგი უფლება-მოვალეობებს დამოუკიდებლად იძენს. უსფ-ს წინააღმდეგ დავაში ძირითადი საწარმო სავალდებულო თანამოპასუხედ უნდა იქნეს ჩართული, თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს რეგისტრირებული ფილიალის თანამოპასუხეობას და მის სახელზე არსებული ქონებისა თუ ანგარიშების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

განმარტებული საკითხები:
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- ძირითადი საწარმო.
- მხარეები სამოქალაქო პროცესში.
- სავალდებულო თანამონაწილეობა.
- ქონებაზე ყადაღის დადება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტები 4.,5.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 79.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 86. ქვენაწილი 1.ა.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191.

სრული განმარტების ციტირება:
მოცემულ შემთხვევაში, საქმე უცხოური საწარმოს ფილიალს ეხება, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას, შესაბამისად, იგი უფლება-მოვალეობებს დამოუკიდებლად იძენს. პალატა განმარტავს, რომ ძირითადი საწარმო საქმეში სავალდებულო თანამოპასუხედ უნდა იქნას ჩართული, თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს რეგისტრირებული ფილიალის თანამოპასუხეობას და მის სახელზე არსებული ქონებისა თუ ანგარიშების მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5798-17 (330210016001502470) (04 ივლისი, 2018 წელი)
მოსამართლეები: თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი (თავმჯდომარე), გოგიტა თოთოსაშვილი, ხათუნა არევაძე

საკვანძო საკითხი:
გამოწვევის შეუტყობინებლობის კომპენსაცია და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმოს ყოფილი დირექტორი) მოპასუხისგან (საწარმო) მოითხოვდა მისი გათავისუფლების (გამოწვევის) გამო ზიანის, შეუტყობინებლობის კომპენსაციისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას. სარჩელი დაკმაყოფილდა შეუტყობინებლობის კომპენსაციისა და გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების ნაწილში.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორს შეუძლია მოითხოვოს გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება. იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ დირექტორი (დასაქმებული) სარგებლობდა თავისუფალი სამუშაო გრაფიკით და არაერთხელ უსარგებლია შვებულებით, აკისრია საწარმოს (დამსაქმებელს). ის გარემოება, რომ დასაქმებულმა წლის დასაწყისშივე არ მოითხოვა შვებულებით სარგებლობა, ვერ გახდება შესაბამისი წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს დირექტორი.
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.
- გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].,7[2].
- შრომის კოდექსი, მუხლი 21. ნაწილი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფსებას მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ლ. ხ. სარგებლობდა თავისუფალი სამუშაო გრაფიკით და არაერთხელ უსარგებლია შვებულებით, ეკისრებოდა შპს „ვ. XX-ს“, რაც მის მიერ სარწმუნოდ ვერ განხორციელდა.

პალატას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგენილად მიაჩნია, რომ ლ. ხ.-ს 2015 წელს არ უსარგებლია შვებულებით. რაც შეეხება შპს „ვ. XX-ს“ განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ხ.-ს 2015 წელს არ მიუმართავს კომპანიისათვის შვებულების მოთხოვნით, აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა მიუთითებს, რომ ლ. ხ.-სთან ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა 2015 წლის 16 თებერვალს, შესაბამისად, დაუსაბუთებელია ვარაუდი, რომ 2015 წლის განმავლობაში ლ. ხ. არ მოითხოვდა კუთვნილ შვებულებას. ამდენად, ის გარემოება, რომ დასაქმებულმა წლის დასაწყისშივე არ მოითხოვა შვებულებით სარგებლობა ვერ გახდება აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

რაც შეეხება გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის ოდენობას, პალატა მიუთითებს შემდეგს:

დადგენილია, რომ ლ. ხ.-ს ყოველთვიური ანაზღაურება შპს „ვ. XX-ს“ დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, კერძოდ, 21.06.2010 წლიდან 01.01.2011 წლამდე შეადგენდა 2000 ლარს, 01.01.2011 წლიდან 01.09.2014 წლამდე 3000 ლარს, ხოლო 01.09.2014 წლიდან 16.02.2015 წლამდე 5000 ლარს. შესაბამისად, ვინაიდან 2015 წელს ლ. ხ.-ს ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 5000 ლარს, შპს „ვ. XX-ს“ უნდა დეკისროს მის მიმართ გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის სახით 5000 ლარის გადახდა, ხოლო, რაც შეეხება 1500 ლარის დაკისრებას, როგორც წინა წლის გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის ოდენობის ნახევარი, პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნულ ნაწილში არ არსებობს ლ. ხ.-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესზე არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები, დირექტორის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, წესდებით ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს დირექტორი.
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.
- დირექტორის მოვალეობები.
- დირექტორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები, საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. დირექტორი არ წარმოდგენს ჩვეულებრივ დასაქმებულ პირს და შესაბამისად, შრომის კანონმდებლობით დასაქმებულთა დაცვის მიზნით დადგენილი ნორმები, დირექტორის მიმართ არ მოქმედებს. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე. მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი.

ამასთან, მხარეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობა წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობას, რომელზეც დასაშვებია გარკვეულ შემთხვევებში შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების გავრცელება.

იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირდაპირაა მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით, მის მიმართ, ცხადია, ვეღარ გავრცელდება შრომის კოდექსის მოწესრიგება, თუმცა, მთელი რიგი საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით ან თავად დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა დაკავშირებულია რეგისტრაციის მომენტთან. შეტყობინების ვალდებულების დაუცველად დირექტორის უფლებამოსილების რეგისტრაციის შეწყვეტის შემთხვევაში, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საწარმოს ეკისრება კომპენსაციის გადახდა 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაციის შეწყვეტა.
- გამოწვევის შეუტყობინებლობის კომპენსაცია.
- კომპენსაცია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისთვის.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7[1].,7[2].,
- შრომის კოდექსი, მუხლი 38. ნაწილი 2.

სრული განმარტების ციტირება:
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7[1] და 7[2] პუნქტების შესაბამისად, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა დაკავშირებულია რეგისტრაციის მომენტთან. ამასთან, კანონი ადგენს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, რომლის დაუცველად რეგისტრაციის შეწყვეტის განხორციელება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაქმებულისათვის 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით კომპენსაციის დაკისრებას ითვალისწინებს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მოთხოვნა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ორი თვის კომპესაციის 10 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე, რაც გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან და „საქართველოს შრომის კოდექსიდან“, დასაბუთებულია და არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში შპს „ვ. XX-ის“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისას სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საგნობრივი განსჯადობა.
- უწყებრივი ქვემდებარეობა.
- სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7[1].,7[2].
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 11.
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 2.
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 26. ნაწილი 3.

სრული განმარტების ციტირება:
პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, საწარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება), თავისი არსით, განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქოსამართალწარმოების წესით.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე არ ვრცელდება შრომის კოდექსის 38-ე მუხლით მე-7 ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- შრომითი და კორპორაციული ნორმების კონკურენცია/კოლიზია.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7[1].,7[2].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
- შრომის კოდექსი, მუხლი 38. ნაწილი 7.

სრული განმარტების ციტირება:
პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ შპს „ვ. XX-ს“ დამფუძნებლის გადაწყვეტილებით დირექტორი თანამდებობიდან გათავისუფლებულდა 2015 წლის 16 თებერვლს, ხოლო, ლ. ხ.-მ სასამართლოს მიმართა 2016 წლის 13 სექტემბერს, შესაბამისად, დავა არ არის ხანდაზმული. ამასთან, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაზე არ ვრცელდება შრომის კოდექსის 38-ე მუხლით მე-7 ნაწილის დათქმა, რომლის თანახმადაც თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ვადა ვრცელდება დამსაქმებლის გადაწყვეტილებაზე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს

ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
- ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაციის შეწყვეტა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 7[1].

სრული განმარტების ციტირება:
დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7[1] მუხლი აზუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა.

დაუშვებელია მეწარმე სუბიექტის საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რომ პარტნიორს შეეზღუდოს საწარმოს დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილება, რაც მას მინიჭებული აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/5964-17 (330210017001988349) (11 ივლისი, 2018 წელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე), ქეთევან მესხიშვილი, თამარ ალანია

საკვანძო საკითხი:
საწარმოს დოკუმენტაციის გაცნობა და ასლების გადაღება.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (2.43% წილის მქონე პარტნიორი) მოითხოვდა საწარმოს საქმიანობის 5 წლის ამსახველი დოკუმენტაციის ასლების გადაცემას. მოპასუხე (საწარმო) არ დაეთანხმა მოთხოვნას, საწარმოს დოკუმენტაციის შენახვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ 3 წელზე და ასლების გადაღების ვალდებულების არარსებობაზე მითითებით. სასამართლომ არ გაიზიარა წარმოდგენილი არგუმენტები. სარჩელი დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – წილის სიდიდისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობის მიუხედავად, პარტნიორს გააჩნია კონტროლისა და შემოწმების არაქონებრივი უფლება. პარტნიორის უფლება, თავისუფლად მიუწვდებოდეს ხელი საზოგადოების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაზე, წარმოადგენს ინდივიდუალური კონტროლის განხორციელების ფორმას. კანონმდებელი ადგენს ამ უფლების დაცვის ფარგლების სავალდებულო მინიმუმს – შიდაკორპორაციული რეგულაციის ფარგლებში (საზოგადოების წესდებით) შესაძლებელია მხოლოდ ამ უფლების გაზრდა.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- კონტროლისა და შემოწმების არაქონებრივი უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
8. ... შინაარსიდან გამომდინარე, ყველა პარტნიორს, წილის სიდიდისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობის მიუხედავად, აქვს:
ა) წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება;
ბ) წლიური ანგარიშის სისწორის შემოწმების უფლება;
გ) წლიური ანგარიშის სისწორის შემოწმების მიზნით უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით საზოგადოების საბუღალტრო წიგნების შემოწმების უფლება;
დ) წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მის დამტკიცებამდე საზოგადოების ორგანოებისათვის განმარტებების მოთხოვნის უფლება.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი უკვე საკუთრივ შეზრუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორს ავალდებულებს, რომ დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართოს, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

ამდენად, კონტროლისა და შემოწმების, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება პარტნიორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი ადგენს მისი დაცვის ფარგლების სავალდებულო მინიმუმს, რაც ნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული პარტნიორის უფლებე-

ბის შეზღუდვა დაუშვებელია, შესაძლებელია შიდაკორპორაციული რეგულაციის ფარგლებში საზოგადოების წესდებით მათი გაზრდა მხოლოდ.

პალატა მიუთითებს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს გააჩნიათ როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი უფლებები. არაქონებრივი უფლებაა კონტროლისა და შემოწმების, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. ამდენად, საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ საზოგადოების ხელმძღვანელობას. ეს კონტროლი შეიძლება განხორციელდეს თითოეული პარტნიორის მიერ როგორც ინდივიდუალურად, ისე პარტნიორთა კრების მეშვეობით. სწორედ პარტნიორის მიერ ინდივიდუალური კონტროლის განხორციელების ფორმას წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორის უფლება, თავისუფლად მიუწვდებოდეს ხელი საზოგადოების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციაზე.

დადგენილია, რომ მოსარჩელე მოპასუხე კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორია. საფუძვლიანია საზოგადოების პარტნიორის მოთხოვნა საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის მისთვის გადაცემის თაობაზე.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულება, დოკუმენტი შეინახოს მხოლოდ 3 წლის განმავლობაში, არ წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული პარტნიორის უფლების მხოლოდ 3-წლიანი პერიოდით შეზღუდვის საფუძველს.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- კონტროლისა და შემოწმების არაქონებრივი უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.
- საგადასახადო კოდექსი, მუხლი 43. ქვენაწილი 1.ვ.

სრული განმარტების ციტირება:
9. პალატა ვერ გაიზიარებს მოპასუხის მსჯელობას მასზედ, რომ არ არსებობს სამ წელზე მეტი ვადის განმავლობაში საზოგადოების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველი, ვინაიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს კომპანიის ვალდებულებას დოკუმენტი შეინახოს მხოლოდ 3 წლის განმავლობაში (იხ.: ახსნა-განმარტებები).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ადგენს გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას, გადასახდით დაბეგვრის ობიექტის დადგენისათვის აუცილებელი დოკუმენტი შეინახოს 3 წლის განმავლობაში და ეს ვადა აითვლება იმ საგადასახადო პერიოდის კალენდარული წლის დასრულებიდან, რომლის საგადასახადო ვალდებულების დადგენისთვისაც იგი არის აუცილებელი.

აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მითითებული რეგულაცია ემსახურება საგადასახადო მიზნებს და არ წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პარტნიორის უფლების მხოლოდ სამწლიანი პერიოდით შეზღუდვის საფუძველს.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – წლიური ანგარიშისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის ასლის გადაღება და მათი პარტნიორისთვის გადაცემა საზოგადოების ხარჯებით უნდა მოხდეს. საზოგადოების სხვა დოკუმენტაციის ასლების გადაღების

საკითხი უნდა გადაწყდეს საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, თანაც ისე, რომ არ შეიზღუდოს პარტნიორის უმნიშვნელოვანესი უფლება. პარტნიორისათვის საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობის მიცემა მოიაზრებს როგორც დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობის, ისე მათი ასლების (მატერიალური თუ ელექტრონული სახით) გადაღების შესაძლებლობის მიცემას.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოების დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის/მიღების უფლება.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.
- საზოგადოების დოკუმენტაციის ასლების გადაღება.
- კონტროლისა და შემოწმების არაქონებრივი უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 10.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
11. ... მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 3.10. მუხლი არეგულირებს ორ საკითხს:

1. მისი პირველი წინადადება ადგენს ყოველი პარტნიორის უფლებას მიიღოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების ყველა პუბლიკაციია.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ამ დოკუმენტაციის ასლების გადაღება და მათი პარტნიორზე გადაცემა თავად საზოგადოების ვალდებულებაა და საზოგადოების ხარჯებით უნდა მოხდეს.

2. მეორე წინადადება ადგენს პარტნიორის უფლებას შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე.

ამ შემთხვევაში კანონმდებელი მსჯელობს საზოგადოების დოკუმენტაციის უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით გაცნობაზე, რაც თავისთავად გულისხმობს გასაცნობად დოკუმენტაციის გადაცემას და არა მათი ასლების აუცილებლად საწარმოს ხარჯით გადაღებას და გადაცემას. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საუბარია დიდი რაოდენობის დოკუმენტაციაზე და საწარმოზე, რომელსაც მრავალი პარტნიორი ყავს. საკითხის განსხვავებულ რეგულაციას არ შეიცავს არც მეწარმეთა შესახებ კანონის 46.4. მუხლი. ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს საწარმოს საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, თანაც ისე, რომ არ შეიზღუდოს კონტროლისა და შემოწმების, საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების პარტნიორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი უფლება.

ამდენად, პარტნიორისათვის საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობის მიცემა მოიაზრებს როგორც დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობის, ისე მათი ასლების (მატერიალური თუ ელექტრონული სახით) გადაღების შესაძლებლობის მიცემას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/4027-18 (330210018002495009) (10 სექტემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ტაბაღუა (თავმჯდომარე), დიანა ბერეკაშვილი, ქეთევან დუგლაძე

საკვანძო საკითხი:
უცხოური საწარმოს ფილიალის სამართალსუბიექტობა.

განჩინების რეზიუმე:
აპელაციამ არ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი ფილიალის მიერ წარდგენილი სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ საქალაქოს სასამართლოს განჩინების გაუქმების მოთხოვნით. აპელაციამ განმარტა, რომ ფილიალი არ წარმოადგენს სასამართლო წარმოების სამართალსუბიექტს.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ძირითადი საწარმო წარმოადგენს მხარეს და, შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი (მათ შორის, უცხოური საწარმოს ფილიალი), საამისო უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად. მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს უცხოური საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის საქართველოში განსახორციელებლად დაფუძნებული დამოუკიდებელ სუბიექტი.

განმარტებული საკითხები:
- უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (უსფ).
- საწარმოს ფილიალი.
- მხარეები სამოქალაქო პროცესში.
- არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.
- სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 2. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 16. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24. ნაწილი 1.,5.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 79. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 186. ნაწილი 1.ზ.

სრული განმარტების ციტირება:
კერძო საჩივრის ავტორი (მოსარჩელე) არის შპს ბ. ბ.-ს წარმომადგენლობა, საქმეში წარმოდგენილი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან დასტურდება, რომ მოსარჩელის სამართლებრივი ფორმაა უცხოური საწარმოს ფილიალი.

მართალია, მას გააჩნია გარკვეული ორგანიზაციული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, თუმცა იგი სამართლებრივად დამოკიდებულია ძირითად საწარმოზე.

სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ დამოუკიდებლად გამოსვლა იურიდიული პირის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია. ფილიალი არ არის იურიდიული პირი, იგი იურიდიული პირის განცალკევებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც იურიდიული პირის ძირითადი ადგილსამყოფელის გარეთ მდებარეობს, ემსახურება ძირითადი საწარმოს საქმიანობის განხორციელებას და მის ტერიტორიულ გაფართოვებას. ძირითადი საწარმო წარმოადგენს მხარეს და შესაბამისად, პროცესის სუბიექტს, ხოლო ფილიალი, საამისო

უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეა უცხოური საწარმოს ფილიალი – შპს ბ. ბ.-ს წარმომადგენლობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უცხოური საწარმოს ფილიალთან და არა უცხოური საწარმოს მიერ თავისი საქმიანობის საქართველოში განსახორციელებლად დაფუძნებულ დამოუკიდებელ სუბიექტთან. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში მოსარჩელე ვერ გახდება სასამართლო წარმოებაში სამართალსუბიექტი (შდრ. სუსგ №ას-72-72-2018, 15.02.2018წ.).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-201-201-2018 (08 ოქტომბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე), პაატა ქათამაძე (მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
საქმე შეეხება 1996 წელს საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას/გასვლას. კასაციამ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, რადგან აპელაციამ არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები (დელიქტი, კონდიქცია), მოთხოვნის ფაქტობრივი წანამძღვრები (ხანდაზმულობის ვადა), არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი (ხანდაზმულობის ვადის დაწყება) და არ გამოიკვლია საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები (გარიცხვის/გასვლის საფუძვლების არსებობა).

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – უსაფუძვლო გამდიდრებიდან (კონდიქციიდან) გამომდინარე მოთხოვნები სუბსიდიური ხასიათისაა. ისინი ბოლოს მოწმდება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- დელიქტი.
- უსაფუძვლო გამდიდრება (კონდიქცია).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 976.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 982.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.

სრული განმარტების ციტირება:
27. იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების კაპიტალის 20% წილის მესაკუთრედ ცნობა, ითვალისწინებს როგორც დელიქტური სამართლის, ისე – უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. იმის გათვალისწინებით, რომ კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნები სუბსიდიური ხასიათისაა, ისინი ბოლოს მოწმდება, კერძოდ, თუ სხვა სამართლებრივი საფუძვლით სარჩელი წარუმატებელი იქნება, დამატებით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს მისი საფუძვლიანობა კონდიქციური სამართლის ნორმების შესაბამისად.

47. საკასაციო პალატა აქვე მიუთითებს, რომ, მართალია, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დელიქტური სამართლის ნორმებია მიჩნეული (იხ. პ. 27), მაგრამ, თუ სააპელაციო პალატა დაადგენს, რომ დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნა აღარ არსებობს მისი ხანდაზმულობის გამო და განუხორციელებადია, სასამართლომ როგორც მოთხოვნის წარმოშობა, ასევე – მისი განხორციელებადობა კონდიქციური სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა შეამოწმოს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სამართლებრივი შედეგი – წილზე საკუთრების უფლების აღდგენა შესაძლებელია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებითაც.

48. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება განპირობებულია იმითაც, რომ მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისას გასათვალისწინებელია იმ მხარის სამართლებრივი ინტერესი, რომლის უფლების დაცვასაც ემსახურება სამართლებრივი საფუძვლის შერჩევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, სადავო შემთხვევის მარეგულირებელი მოთხოვნის ყველა საფუძველი გამოსაყენებელ ნორმათა უპირატესობის გათვალისწინებითა და მათი ერთგვარი რიგითობის მიხედვით შეამოწმოს (იხ. პ. 27).

49. ამდენად, თუ დელიქტური სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნა წარუმატებელი იქნება, სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს, ვლინდება თუ არა სსკ-ის 982-ე (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლებით განსაზღვრული წინაპირობათა ერთობლიობა, რომლის სამართლებრივი შედეგი წილზე საკუთრების უფლების აღდგენაა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის მართლზომიერების შესამოწმებლად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, დაიცვა თუ არა მოპასუხემ შემდეგი ეტაპები: 1. საერთო კრების მიერ გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; 2. საზოგადოების მიერ სარჩელის შეტანა სასამართლოში პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით; 3. გარიცხვის მატერიალური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება; 4. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილ ორგანოში საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- დელიქტი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.

სრული განმარტების ციტირება:
29. ... საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შედეგია, წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა. შესაბამისად, გარიცხვისათვის დადგენილი პროცედურისა და ფორმალური მოთხოვნების დაცვა ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას, გარიცხვის მართლზომიერების შესამოწმებლად, პირველ რიგში, უნდა დაედგინა, დაიცვა თუ არა მოპასუხემ ის ეტაპები, რომელიც პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისათვის იმ დროს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, სამოქალაქო კოდექსითა და სასამართლო პრაქტიკით იყო დადგენილი, კერძოდ: 1. საერთო კრების მიერ გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; 2. საზოგადოების მიერ სარჩელის შეტანა სასამართლოში, პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით; 3. გარიცხვის მატერიალური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება; 4. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილ ორგანოში საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია.

30. კასატორი კრების მიერ საზოგადოებიდან მისი გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას სადავოდ ხდის და ამტკიცებს, რომ იგი არ იყო მოწვეული და, შესაბამისად, არც დასწრებია კრებას. დადგენილია, რომ №2 კრების ოქმს მოსარჩელე ხელს არ აწერს. მითითებული ფაქტობრივი გარემოება სასამართლომ უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებითაც, რომ იმავე დღეს შედგენილ №1 კრების ოქმს მოსარჩელე ხელს აწერს.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს, თუ რამ განაპირობა ერთ დღეს ორი კრების ჩატარება და ორივე კრებაზე საწარმოს დირექტორობიდან მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, მტკიცებულებათა სათანადოდ გამოკვლევის გზით, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩელე მოწვეული იყო კრებაზე, რომელზედაც მისი გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, საკმარისი იყო თუ არა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად, იმ პირობებში, როდესაც პარტნიორის გარიცხვის თაობაზე საწარმოს სარჩელი არ აღუძრავს სასამართლოში.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის გარიცხვისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა. კერძოდ, უნდა დადგინდეს პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. ასევე, უნდა შემოწმდეს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა გარიცხვის უფლება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- დელიქტი.
- ხელშეკრულების მოშლა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 399. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
31. პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით საზოგადოების მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე უნდა დაედგინა სასამართლოს გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, ხანგრძლივი სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას, ეკვლია საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება. სასამართლოს უნდა დაედგინა პარტნიორის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისთვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლო ამოწმებს, რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პარტნიორთა ცალკეული ჯგუფის პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად (გარიცხვის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობების თაობაზე დაწვრილებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-556-939-06, 13.03.2007 წელი; №ას-812-1099-09, 09.11.2009 წელი; №ას-577-545-2011, 23.06.2011 წელი).

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზითაა შესაძლებელი (გარდა შესატანის შეუტანლობისას, რა დროსაც პარტნიორის გარიცხვას სასამართლო გადაწყვეტილება არ სჭირდებოდა).

განმარტებული საკითხები:
• პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.

სრული განმარტების ციტირება:
32. გარიცხვა იწვევს გარიცხული პარტნიორის საკუთრების უფლების და.რგვას წილზე, რის გამოც საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვის კონსტიტუციურობა მოითხოვს, რომ პარტნიორი საზოგადოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაირიცხოს, სასამართლო პრაქტიკითაც (იხ. სუსგ №3კ/303-01, 09.03.2001 წელი; №ას-614-951-07, 12.10.2007 ; №ას-220-212-2012, 03.12. 2012 წელი; №ას-771-732-2013, 31.01.2014 წელი) დადგენილია, რომ პარტნიორის გარიცხვა საზოგადოებიდან მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზითაა შესაძლებელი (გარდა შესატანის შეუტანლობისას, რა დროსაც პარტნიორის გარიცხვას სასამართლო გადაწყვეტილება არ სჭირდებოდა).

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – სასამართლომ ჯერ უნდა შეამოწმოს მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წანამძღვრები და ამის შემდეგ იმსჯელოს ხანდაზმულობაზე.

განმარტებული საკითხები:
• ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15.
• სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 128. ნაწილი 3.
• სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129. ნაწილი
• სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 244.

სრული განმარტების ციტირება:
40. კასატორი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასაც აკრიტიკებს. სა.საციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობა წარმოშობილი და გაუქარწყლებელი (შეუწყვეტელი) მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებაა, ამიტომ სასამართლოს ჯერ უნდა შეემოწმებინა მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წანამძღვრები და ამის შემდეგ ემსჯელა ხანდაზმულობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ, თითოეული მოთხოვნა, სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, მისთვის განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით ამა თუ იმ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა ან მისი ათვლის განსხვავებული წესი არ არის განსაზღვრული. პარტნიორის საზოგადოებიდან უკანონო გარიცხვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაა, მაგრამ იმ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების 20% წილის მესაკუთრედ ცნობას, ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობისათვის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი იქნება.

განმარტებული საკითხები:
- ხანდაზმულობა სამეწარმეო სამართალში.
- პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 15. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1008.

სრული განმარტების ციტირება:
41. სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობის შესამოწმებლად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლით (ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს) იხელმძღვანელა, რომელიც აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, რის გამოც მითითებული კანონიდან წარმოშობილი პრეტენზიის (მოთხოვნის) განხორციელების ვადა 5 წელია, თუმცა ნორმა აზუსტებს, რომ ის გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით ამ თუ იმ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა ან მისი ათვლის განსხვავებული წესი არ არის განსაზღვრული. ამდენად, ხანდაზმულობის მარეგულირებელი სხვა ნორმა, შესაძლოა, უფრო სპეციალური იყოს მოთხოვნის საფუძვლიდან გამომდინარე, ვიდრე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული ნორმა.

42. პალატა განმარტავს, რომ დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენებისას, მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოება სსკ-ის 1008-ე (დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ) მუხლით დადგენილი წესით უნდა შემოწმდეს, კერძოდ, პარტნიორის საზოგადოებიდან უკანონო გარიცხვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაა, მაგრამ იმ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების 20% წილის მესაკუთრედ ცნობას, ითვალისწინებს სსკ-ის 992-ე მუხლი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობისათვის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმა სსკ-ის 1008-ე მუხლი იქნება, მისი, ამ შემთხვევაში, სპეციალურობიდან გამომდინარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადასთან შედარებით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიზანშეწონილია ნორმათა ერთობლიობის დაცვითი ფუნქციისა და მიზნებიდან გამომდინარეც.

43. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სა.საციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით საწარმოს მიერ აღძრულ სარჩელზე გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, განსხვავდება მოცემული შემთხვევისაგან, რაც განპირობებულია იმით, რომ, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში უფლება, რომელიც დაირღვა, სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარეობს, თუმცა დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური სამართლის ნორმებია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-938-2018 (08 ოქტომბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: მზია თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.

განჩინების რეზიუმე:
საჯარო რეესტრმა უარი უთხრა მოსარჩელეებს საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციაზე. მოსარჩელეები მოითხოვდნენ რეესტრის უარის ბათილად ცნობას და ოქმის რეგისტრაციას. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან დაადგინა, რომ აქციონერთა (მოსარჩელეთა) მხრიდან ადგილი ჰქონდა უფლების არამართლზომიერად გამოყენებას, აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურების უხეშ დარღვევას და კრებაზე საზოგადოების სხვა აქციონერების მონაწილეობის მიუღებლობას. კერძოდ, აქციონერთა საერთო კრების გადადების შესახებ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და დირექტორის განცხადების მიუხედავად, საზოგადოების აქციონერები მაინც შეიკრიბნენ კრების ჩატარების მიზნით; კრება ჩატარდა მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენდა სააქციო საზოგადოების იურიდიულ მისამართს; საქმეში არსებობდა საერთო კრების ორი ოქმი, რომლებიც შეიცავდა კრების ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარემოებებს. საქმეზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – აქციონერთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს. უფლების არამართლზომიერად გამოყენების გზით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურების უხეში დარღვევა და კრებაზე საზოგადოების სხვა აქციონერების მონაწილეობის მიუღებლობა გარიგების ბათილად ცნობის (არამართლზომიერების) საფუძველია.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- მრავალმხრივი გარიგება.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტები 2.,4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
25. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ვლინდებოდა სს-ის სამი აქციონერის მხრიდან უფლების არამართლზომიერად გამოყენების გზით აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურების უხეში დარღვევასა და კრებაში საზოგადოების სხვა აქციონერების მონაწილეობის მიუღებლობის ფაქტი, რაც გარიგების ბათილად ცნობის საფუძველია და განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, აქციონერთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს (იხ. სუსგ №ას-863-813-2015, 2015 წლის 17 დეკემბერი). შესაბამისად, აქციონერთა კრების ოქმზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გარიგე-

ბის ბათილობის საფუძვლები. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების თაობაზე და თვლის, რომ არ არსებობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის საფუძველი.

26. ... სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (შდრ. სუსგ №ას-1101-1037-2015 27.09.2016წ).

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/980-17 (330210115001098624) (01 ნოემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ამირან ძაბუნიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ოთარ სიჭინავა, თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

საკვანძო საკითხი:
პარტნიორის გარიცხვა.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელე (საწარმო) მოითხოვდა მოპასუხის (პარტნიორის) გარიცხვას მის მიერ დამატებითი შენატანის განუხორციელებლობის გამო. სასამართლოს შეფასებით, მითითებული საფუძვლით პარტნიორის გარიცხვა დაუშვებელია. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში პარტნიორი კარგავს საკუთრებას წილზე. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად, ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. სააპელაციო პალატა პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ პარტნიორის წილი საზოგადოებაში წარმოადგენს მის საკუთრებას. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში პარტნიორი კარგავს საკუთრებას წილზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრება აღიარებული და უზრუნველყოფილია და მისი ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში პარტნიორის საზოგადოებიდან ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლო გადაწყვეტილება.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისა და მისთვის წილის ჩამორთმევის საფუძველს არ წარმოადგენს საწესდებო კაპიტალში დამატებითი კაპიტალის შეტანის განუხორციელებლობა. მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხლის მე-2 პრიმა პუნქტს უკუძალა აქვს.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორის გარიცხვა.
- ახალი/დამატებითი შენატანები.

- კანონის უკუქცევითი (რეტროაქტიული) ძალა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 7.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 6.
- ნორმატიული აქტების შესახებ, მუხლი 24. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.3. ... კანონის 46-ე მუხლის მე-2[1] ნაწილის თანახამად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება აქვთ, თავიანთი წილების პროპორციულად მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში, პარტნიორთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში კაპიტალში შესაბამისი შენატანების სრული ოდენობით განხორციელებით, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ შეთანხმდება; ამასთანავე, რომელიმე პარტნიორის მიერ აღნიშნული უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილების ახალი თანაფარდობა წარმოიშვას. (19.02.2016. მდგომარეობით).

სააპელაციო პალატა არ იზიარებს აპელანტის ძირითად შედავებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია, ნაცვლად პარნიორთა კრების ოქმის მიღების დროს მოქმედი რედაქციისა. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის დროში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, ამა თუ იმ იურიდიული მოქმედების კანონიერება უნდა შემოწმდეს ამ ქმედების განხორციელების დროს მოქმედი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად (გარდა კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთვევისა, როგორიცაა, მაგალითად, კანონის უკუძალა, უდავოა, რომ 19.02.2016წ. ცვლილება შევიდა განსახილველ ნორმაში. 19.02.2016. №4791 ცვლილებით ამ ნორმის მოქმედება არ ვრცელდება მოგების განაწილების შესახებ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე იქნა მიღებული. შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ კანონის 46-ე მუხლიდან გამომდინარე, მას უკუძალა სხვა დანარჩენ შემთხვევაში მიენიჭა).

ამდენად, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „დ. ფ. ჯ.-ს“ 2015 წლის 16 ივლისის პარტნიორთა კრების ოქმი და ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება შ. კ.-ს პარტნიორთა რიგებიდან გარიცხვის თაობაზე ეწინააღმდეგება სამეწარმეო კანონმდებლობით დადგენილ წესს. შესაბამისად პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისა და მისთვის წილის ჩამორთმევის საფუძველს არ წარმოადგენს საწესდებო კაპიტალში დამატებითი კაპიტალის შეტანის განუხორციელებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-687-658-2016 (06 ნოემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
კომერციული შესაძლებლობის დაკარგვა და ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საწარმოს 49% წილი მქონე პარტნიორმა აღძრა დერივაციული სარჩელი კომპანიის ყოფილი და მოქმედი დირექტორების მხრიდან მათი ფიდუციური მოვალეობების დარღვევის შედეგად კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მათ შორის, საზოგადოების სარჩელებზე უარის თქმის გამო. სასამართლომ სარჩელის ერთ ნაწილში დაადგინა ზრუნვის მოვალეობის დარღვევა და საწარმოსთვის კომერციული შესაძლებლობის დაკარგვა.

ციტირებულია გადაწყვეტილებებში:
№2/ბ-1053-18

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- არასათანადო მხარის სათანადოთი შეცვალა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.

სრული განმარტების ციტირება:
71. დერივაციული სარჩელი კი, თანამედროვე ცივილისტური დოქტრინის, თუ კანონმდებლობის თანახმად, უფლებას აძლევს აქციონერს (ამ უფლებით უმეტესად სწორედ უმცირესობაში მყოფი აქციონერები სარგებლობენ), აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორებს გააკონტროლოს დირექტორის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ დერივაციული სარჩელი კორპორაციული მართვის ამოცანების განხორციელების მიზნებსაც ემსახურება.

72. აღსანიშნავია, რომ კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში ხელმძღვანელი (დირექტორი) საწარმოს და არა მისი აქციონერების / პარტნიორების მინდობილი პირი – მისი ფიდუციარია. აქციონერების /პარტნიორების ურთიერთობა კი განპირობებულია სწორედ „საწარმოს საუკეთესო ინტერესით“, ვინაიდან სწორედ აქციონერია /პარტნიორია საწარმოს წარმატების მთავარი მოსურნე და მისი მთავარი მოსარგებლე (ბენეფიციარი) (იხ., ჯუღელი გ., დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ჟურ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა; აგრეთვე, იხ.,

Emanuel S., Emanuel L., Corporations, Aspen Publishers Online, New York, 2009, 46-78; Modern Company Law for a Competitive Economy Final Report (London: DTI, 2001), paras. 6.19-6.40, Shareholder Litigation: Common Law, 212-249).

73. სამართლის მეცნიერებაში დერივაციულ (არაპირდაპირ) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. კორპორაციული მართვის პრინციპებით სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება წარმოადგენს ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველს და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა/მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას უზრუნველყოფს და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც აისახება (იხ., მაჭავარიანი ს. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში". თბილისი, 2015, 143, 144).

74. ... დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექნიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთის მხრივ, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივაციული სარჩელის აღვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case).

75. ამდენად, დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად.

76. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის აღძვრის საპროცესო სამართლებრივ საკითხთან მიმართებით პირველმა კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:

OD – საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებების პატივისცემას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.

განმარტებული საკითხები:

- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ერთგულების მოვალეობა.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- დირექტორის მოვალეობები.

განმარტებული ნორმები:

- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. დირექტორს გონივრულად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ფიდუციური მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია (დამატებით იხ., ჭანტურია ლ, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 202-203, 256, 302, 384-386, 405-407; მაისურაძე დ, სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, რედ. ი. ბურდული, თბ., 2011, 113-117. ბურდული ი, ზუბიაშვილი ნ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 37, ველი 5-6, თბ., 2017).

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საკორპორაციო სამართალში მოქმედი „ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმციის თანახმად, ივარაუდება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია. ყოფილი დირექტორის მიმართ „უმართებულო“ ბიზნესგადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძვლით აღძრული სარჩელის პერსპექტივის მოსპობა (სარჩელზე უარის თქმა), ვერ მიიჩნევა უტყუარ და საკმარის საფუძვლად, რომ ახალი დირექტორის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში მიიჩნეს პირადი დაინტერესებით, კომპანიის საზიანოდ მიღებულ გადაწყვეტილებად და ვერ დაედება საფუძვლად მოქმედი დირექტორისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია საჭირო, რომ გაქარწყლდეს ყოფილი დირექტორის მიმართ მოქმედი „მართებული სამეწარმეო გადაწყვეტილების პრეზუმფცია“. იმავეს ვერ ვიტყვით საპროცესო უფლების იმ თვალსაზრისით განხორციელებაზე, რა დროსაც სარჩელი მიმართულია სხვა კომპანიისთვის დავალიანების გადახდის დაკისრებისაკენ. ასეთ შემთხვევაში, სარჩელზე უარის თქმით დირექტორი არღვევს მასზე დაკისრებულ ფიდუციურ მოვალეობას, კონკრეტულად კი, ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობას, რამეთუ მისი ქმედებით კომპანია კარგავს კომერციული შესაძლებლობას სასამართლო გადაწყვეტილებით მიაღწიოს სასურველ შედეგს.

განმარტებული საკითხები:
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- ბიზნეს (სამეწარმეო) გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
- კომერციული შესაძლებლობის დაკარგვა.
- დირექტორის მოვალეობები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

• სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
74. ... თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამეწარმეო განსჯის წესს“ ანუ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია.

80. პირველი კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ თავდაპირველ მოპასუხეს საქონლის დაბალი ფასნამატით გაყიდვის გადაწყვეტილებით 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანი არ მიუყენებია საზოგადოებისათვის. შესაბამისად, დაუსაბუთებელია, მოპასუხის მიერ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმით [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი – საპროცესო მოქმედების განხორციელება] საზოგადოებას როგორღა მიადგა ზიანი 31 400,87 ლარის ოდენობით (ურთიერთგამომრიცხავი გარემობა). თუ მივიჩნევთ, რომ თავდაპირველი მოპასუხის ქმედება საზოგადოებისათვის საზიანო ელემენტებს არ შეიცავს, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტით მოპასუხეს არ მიუყენებია ზიანი საზოგადოებისათვის (ამ გადაწყვეტილების პ-52).

81. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის (პირველი კასატორი) დაკისრების ნაწილში, პირველმა კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი კომპანიის სასარგებლოდ 31 400,87 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების პირველი კასატორისათვის (მოპასუხე) დაკისრების არამართლზომიერება განპირობებულია საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული პრეზუმფციით, რომელიც კომპანიის დირექტორს იცავს არაპროპორციული პასუხისმგებლობისაგან.

83. აღნიშნული პრეზუმფცია პრაქტიკაში განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში (იხ., სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი; ას-1307-1245-2014, 06 მაისი, 2015 წელი), რომელშიც ერთ-ერთი სადავო საკითხი იყო კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობა. საკასაციო პალატის განმარტებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზრუნვის მოვალეობა საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

85. მოსარჩელის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, თითქოსდა დირექტორმა არამართლზომიერად განკარგა საპროცესო უფლება მოეთხოვა კომპანიის ყოფილი დირექტორისაგან უმართებულო გადაწყვეტილების მიღებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დაუსაბუთებელია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის /საზოგადოების ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს დირექტორი. თუკი დირექტორის მიმართ ვრცელდება „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია კორპორაციული მართვის პროცე-

ში, არსებობს ისეთივე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ ყოფილი დირექტორის მიმართ აღძრული სარჩელის პერსპექტიულობა იმავე პრეზუმფციიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა და არ შეიძლება მიჩნეული იქნეს პირველი კომპანიისათვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელ უტყუარ გარემოებად.

86. აქედან გამომდინარე, ყოფილი დირექტორის მიმართ „უმართებულო“ ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძვლით აღძრული სარჩელის პესპექტივის მოსპობა, ვერ მიიჩნევა საკმარის საფუძველად, რომ დირექტორის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი] მიჩნეულ იქნეს პირადი დაინტერესებით, კომპანიის საზიანოდ მიღებულ გადაწყვეტილებად და საფუძვლად დაედოს მოქმედი დირექტორისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სხვა მტკიცებულებები კი, რომელთა ერთობლობაში შეფასებით პალატა მივიდოდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე (პირველი კასატორი), როგორც საზოგადოების დირექტორი ამ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა, წარმოდგენილი არ არის [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 102-ე მუხლები]. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ თავდაპირველი მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელზე უარის თქმით პირველმა კომპანიამ მისი დირექტორის მეშვეობით განკარგა უფლება, რითაც დირექტორმა საზოგადოებას მოუსპო სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის შესაძლებლობა, დაუსაბუთებელია, რადგან ფიდუციური ვალდებულებები (ერთგულება და გულისხმიერება (ზრუნვა) მოითხოვს ხელმძღვანელისგან (დირექტორისგან), არ იმოქმედოს ინტერესთა კონფლიქტის დროს საწარმოს ინტერესების საპირისპიროდ, ასევე არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება საწარმოს ინტერესებს (მოგების მაქსიმიზაციას). დამოუკიდებელი (ინტერესთა კონფლიქტის გარეშე) მოქმედი დირექტორის ქმედების (სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას) შეფასებისას გამოიყენება ე. წ. „მართებული სამეწარმეო გადაწყვეტილების პრეზუმფცია“ – Business Judgment Rule (შდრ: Larry E. Ribstein და Kelly A. Alces, „Directors Duties in Failing Firms“, 1 J. Bus. & Tech. L. 529, 536, 2006-2007), რომლის გასაქარწყლებლად მოსარჩელის მიერ რელევანტური მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

87. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სარჩელი მოპასუხის მიმართ 31,400.87 ლარის დაკისრების ნაწილში უარსაყოფი იყო, რამდენადაც მოსარჩელემ ვერ დაადასტურა დირექტორის პირდაპირი დაინტერესება კომპანიისათვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით.

90. ... თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ივლისის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მეორე კომპანიის კუთვნილ საბანკო ანგარიშებს საერთო ჯამში 39 654.59 ლარის ფარგლებში. პირველი კომპანიის სარჩელზე მეორე კომპანიის წინააღმდეგ პირველი კომპანიის დირექტორის – მოპასუხის მიერ, სარჩელზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება (იხ. ამ გადაწყვეტილების პ- 23).

91. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა 39 654.59 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში იმ გარემოებას ეფუძნება, რომ პირველი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე უარის თქმით [სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტი] მოსარჩელე კომპანიამ, რომელსაც მოთხოვნა გააჩნდა 39 654.59 ლარზე, განიცადა ზიანი. ზიანის დადგომაში კი, მოსარჩელე პასუხისმგებელ პირად მიიჩნევს დირექტორს, რომელმაც არამართლზომიერად განკარგა კომპანიის მიერ დირექტორისთვის მინიჭებული უფლება წარმოედგინა კომპანიის ინტერესები მესამე პირებთან, მათ შორის, სასამართლოში და კეთილსინდისიერად (გულმოდგინედ) განეკარგა კომპანიის საპროცესო უფლება, რითაც ერთმნიშვნელოვნად დაირღვა დირექტორის ფიდუციური მოვალეობები (იხ., ამ გადაწყვეტილების პ- 83). ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული დავალიანების მოთხოვნაზე უარის თქმის საპროცესო უფლების რეალიზებით მიყენებული ზიანი არსებითად განსხვავდება იმ ზიანისაგან, რომელსაც მხოლოდ ჰიპოთეტურად ვარაუდობდა მინორიტარი პარტნიორი/მოსარჩელე კომპანიის დირქტორის მიერ მიღებული „ბიზნეს გადაწყვეტილების“ (დირექტორის საქმიანობა კორპორაციული მართვისას/ მატერიალური საკითხების გადაწყვეტა საწარმოს მართვისას) უმართებულობაზე მითითებით, რისთვისაც მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია საჭირო, რომ გაქარწყლდეს დირექტორის მიმართ მოქმედი პრეზუმფცია, რაც ვერ ვიტყვით საპროცესო უფლების იმ თვალსაზრისით განხორციელებაზე, რა დროსაც, სარჩელი მიმართულია მეორე კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების გადახდევინებისაკენ.

92. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოპასუხემ პირველი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის მიმართ თანხის გადახდის მიზნით აღძრულ სარჩელზე უარის თქმით დაარღვია მასზე, რო-

გორც დირექტორზე დაკისრებულ ფიდუციური მოვალეობა, კონკრეტულად კი, ზრუნვის (გულმოდგინების) მოვალეობა, რამეთუ მოპასუხის ქმედებით კომპანიამ დაკარგა კომერციული შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებით მიეღწია სასურველი შედეგისათვის. მეტიც, კომპანიას მისი ქმედებით წაერთვა შესაძლებლობა ხელმეორედ იდავოს აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით სასამართლოში. აღნიშნული კი მიუთითებდა მისი, როგორც კომპანიის დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევაზე, ვინაიდან მისი ქმედება ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა, რითაც კომპანიას მიაყენა ზიანი 39 654.59 ლარის ოდენობით (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-23). შესაბამისად, ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საერთო კრებისათვის მიმართვა და სარჩელის წარდგენაზე უარის მიღება არ უნდა წარმოადგენდეს საწარმოს პარტნიორის დერივაციული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას.

განმარტებული საკითხები:
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- სარჩელის დასაშვებობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
75. ... სამეცნიეროდოქტრინაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუ აქციონერი საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ამიტომაც, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, თუ მისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. მით უმეტეს, პრაქტიკულ განხორციელებას იქნება მოკლებული საზოგადოების მინორიტარ პარტნიორთა (უმცირესობა) უფლება დაიცვან საზოგადოების ინტერესები სასამართლოსადმი დერივაციული სარჩელის აღძვრით. განსახილველი სარჩელიც აღძრულია პირველი კომპანიის მინორიტარი პარტნიორის მიერ დირექტორების (თავდაპირველი მოპასუხე და მოპასუხე) მიმართ, დავის საგანზე, რომელიც შეეხება კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კომპანიისავე სასარგებლოდ. შესაბამიად, პირველი კასატორის პრეტენზია, რომ სარჩელის აღძვრამდე პროცედურული წესი არ ყოფილა დაცული, ზემოქმედებას ვერ იქონიებს პარტნიორის უფლებაზე დერივაციული სარჩელის აღძვრის თვალსაზრისით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1412-1332-2017 (14 ნოემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
დერივაციული აღიარებითი სარჩელი.

განჩინების რეზიუმე:
საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტთა შორის სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების, ასევე, საწარმოს პარტნიორთა მხრიდან გარიგების მოწონების შესახებ გამოვლენილი მრავალმხრივი ნების კანონიერება. საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივი დასკვნა იმის თაობაზე, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გამო პარტნიორთა კრების მიერ გარიგების მოწონება ქონების მეურვის თანხმობით უნდა განხორციელებულიყო, რასაც ადგილი არ ჰქონია.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – კომპანიაში წილის (აქციის) ფლობა წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, რომელიც დაცულია საკუთრების უფლებით.

განმარტებული საკითხები:
- წილი/აქცია.
- საწარმოს წილის (აქციების) შეძენა-გასხვისება.
- არამატერიალური ქონება (არამატერიალური ქონებრივი სიკეთე).
- საკუთრების უფლება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 5.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 44. პუნქტი 3.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 152.
- კონსტიტუცია, მუხლი 19.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.3.1. ... კომპანიაში წილის ფლობა წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები). ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს საწარმოს წილებზე საკუთრების უფლებას, კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ 1982 წელს საქმეში: Bramelid and Malmström v. Sweden (განაცხადის №8588/79, 8589/79; 1982) და თავდაპირველად შეაფასა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. წილებს საწარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა, შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე (Bramelid and Malmström v. Sweden) მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილზე საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – პარტნიორის საკუთრების უფლება კომპანიაში, ასევე, კომპანიის მხრიდან მოთხოვნის წარუდგენლობა, გამართლებულს ხდის პარტნიორის მიერ დერივაციული სარჩელის აღძვრას.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.
- საწარმოს პარტნიორის უფლებები.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 46. პუნქტი 5.

სრული განმარტების ციტირება:
1.3.1. ... განსახილველ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთის/აქტივის დაბრუნების თაობაზე, მიუხედავად საკითხის მოსარჩელის მიერ ინიცირებისა, შპს „ს-ოს“ პარტნიორებს გადაწყვეტილება არ მიუღიათ და არც კომპანიას არ უსარგებლია სარჩელის უფლებით, ეს გარემოებები კი (პარტნიორის საკუთრების უფლება კომპანიაში, ასევე, კომპანიის მხრიდან მოთხოვნის წარუდგენლობა), გამართლებულს ხდის გ. გ-ის მიერ დერივატიული სარჩელის აღძვრის შესაძლობელობას („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.5 მუხლი). ამდენად, პარტნიორის მიერ საზოგადოების სასარგებლოდ აღძრული სარჩელი დასაშვები და იურიდიულად გამართლებულია;

1.3.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საწარმოსა და მის ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა კორპორაციის წინაშე ხელმძღვანელთა მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოვალეობებს მოიცავს. კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობაზე პარტნიორთა მხრიდან კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რათა არ მოხდეს ხელმძღვანელთა მხრიდან სამართავად მინდობილი ქონების ბოროტად გამოყენება, რომლის საფრთხეც რეალურია. კორპორაციული მართვა წარმოადგენს სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას და იგი კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევაზე ხელმძღვანელი ორგანოების შესაბამისი პასუხისმგებლობის ელემენტებსაც მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მთავარი მიზანი საწარმოს ქონების დაცვა, ზიანის თავიდან აცილებაა.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – ტელევიზიის მიერ იმ ლოგოს გასხვისება, რომლითაც მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდა მაუწყებლობას, სცდება ჩვეულებრივ საქმიანობას მიკუთვნებულ უფლებათა სპექტრს.

განმარტებული საკითხები:
- გადაწყვეტილება, რომლის მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. პუნქტი 7.

სრული განმარტების ციტირება:
1.3.3. ... სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შპს „ტ-ო“ მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდა მაუწყებლობას და ამ მიზნით არსებობდა კიდევაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.3.), ამდენად, საზოგადოების ლოგოს გასხვისება, უდავოა, რომ სცდება ჩვეულებრივ საქმიანობას მიკუთვნებულ უფლებათა სპექტრს, რის გამოც, ქვემდგომ-

მა სასამართლოებმა სწორად დაასკვნეს, რომ ამ ტიპის გარიგების დადების უფლებამოსილება კანონითა და საწარმოს წესდებით შეზღუდული ჰქონდა კომპანიის დირექტორს (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.8.). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გარდა მრავალმხრივი შეთანხმების (წესდების) შესაბამისი დებულებისა, ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად იხელმძღვანელეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-7 პუნქტით, რომლის თანახმადაც, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კეთილსინდისიერი კონტრაჰენტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაჰენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაჰენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას. მაგალითისთვის, აქ შესაძლოა მოაზრებული იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონტრაჰენტს უშუალოდ მეწარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5. ქვეპუნქტები 1.თ.,1.ი.,1.კ.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
1.3.4. ... „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია ხდება სამეწარმეო რეესტრში. აღნიშნული ემსახურება მესამე პირების ინფორმირებულობას. მესამე პირებს, კონტრაჰენტებს, შესაძლებლობა აქვთ, ჰქონდეთ ინფორმაცია ამა თუ იმ მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს შეზღუდული უფლებამოსილების რეესტრში დარეგისტრირების შესაძლებლობას, ეს ერთი მხრივ, ვერ ამოწურავს უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვის თაობაზე სრულ ინფორმაციას და, მეორე მხრივ, თავისთავად არ გულისხმობს კონტრაჰენტის მიერ უფლებამოსილების შეზღუდვის ზუსტი ფარგლების ცოდნის აუცილებლობას. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის (ძველი რედაქციის) კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გარიგება, რომელიც დადებულია საწარმოს ხელმძღვანელის/წარმომადგენლის მონაწილეობით, როგორც წესი, უნდა გათანაბრდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში დადებულ გარიგებასთან. კეთილსინდისიერ კონტრაჰენტს არ შეიძლება, დაეკისროს ვალდებულება, გაერკვეს, მართლაც აქვს თუ არა წარმომადგენელს კონკრეტული გარიგების დადების უფლებამოსილება. ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაჰენტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დადასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმფცია, რომ კონტრაჰენტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მეწარმეს, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში მიუთითოს ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მხოლოდ ამონაწერი არ არის საკმარისი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლების დასადგენად. მეწარმის გადაწყვეტილებით ხელმძღვანელის/წარმომადგენელის უფლებამოსილება შეიძლება, შეიზღუდოს ზოგადად (მაგალითად, გარიგების საგნის ან მისი მოცულობის მიხედვით) ან კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამონაწერი არ შეიცავს ინფორმაციას წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ხელმძღვანელის/წარმომადგენელის უფლებამოსილება შეიძლება, ზოგადად, შეზღუდული იყოს წესდებით ან საწარმოს (პარტნიორების) გადაწყვეტილებით

კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით. შესაბამისად, უფლებამოსილების ფარგლების შემოწმების მიზნით, კონტრაჰენტი იძულებული იქნება, გაერკვეს საწარმოს შიდა პროცედურულ საკითხებში და უფლებამოსილებების განაწილებაში, შეისწავლოს საწარმოს წესდება ან საწარმოდან გამოითხოვოს რწმუნება, ცნობა, რომ წარმომადგენელი უფლებამოსილია, დადოს კონკრეტული გარიგება. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში ან საწარმოს წესდებაში მოცემული ინფორმაცია წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ის ფაქტი, რომ წესდება სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის საშუალებით საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლად არ გულისხმობს, რომ კონტრაჰენტმა „იცოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მართალია, კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მეწარმეს, ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გახადოს საჯარო (სამეწარმეო რეესტრში გაკეთებული ჩანაწერის ან საკუთარი წესდების საჯაროდ გამოქვეყნების გზით), მაგრამ წარმომადგენლის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ „ცოდნა“, რომელიც შემდგომ შესაძლოა გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, გულისხმობს არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ კონტრაჰენტის მიერ ინფორმაციის ფაქტობრივ ფლობას, გარიგების დადების მომენტისთვის კონტრაჰენტის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ნორმა არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც კონტრაჰენტს „შეეძლო სცოდნოდა“ უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. სადავო ნორმაში სიტყვა „იცოდა“ მიემართება ისეთ შემთხვევებს, როდესაც კონტრაჰენტი ინფორმირებული იყო უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. მაგალითისთვის, აქ შესაძლოა მოაზრებული იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონტრაჰენტს უშუალოდ მეწარმისგან (მისი პარტნიორებისგან) აქვს მიღებული შეტყობინება/ინფორმაცია ხელმძღვანელის/წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. თუ ამგვარი შეტყობინების მიუხედავად, კონტრაჰენტი მაინც დადებს გარიგებას, ასეთი გარიგება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/543 „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 29 იანვარი).

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საწარმოს ყოფილი დირექტორისთვის, ბუნებრივია, კარგად არის ცნობილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- აუცილებელი ნებართვის გარეშე დადებული გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
1.3.4. ... განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის შედავებას იმის თაობაზე, რომ შპს „ტ-ოს“ დირექტორმა გარიგების დადებისას არ იცოდა შპს „ს-ოს“ დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლოგოს საკუთრებაში მიმღები კომპანიის დირექტორი გარიგების დადებამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში სადავო საგნის გამსხვისებელი კომპანიის დირექტორის პოზიციაზე იყო დასაქმებული და ბუნებრივია, მისთვის კარგად იყო ცნობილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები. ამ ფაქტს ვერ აქარწყლებს მხარის აპელირება იმაზე, რომ გარიგების დადებამდე თითქმის ერთი წლის დატოვებული ჰქონდა თანამდებობა, რადგანაც კანონმდებლობით მეწარმისათვის დადგენილი წინდახედულების ფარგლები და მისი ფიდუციური მოვალეობების საკანონმდებლო რეგლამენტაცია („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლი), არ ათავისუფლებდა კასატორს, როგორც შპს „ს-ოს“ ყოფილ დირექტორს, შეემოწმებინა უფლებამოსილების ნაკლის საკითხი.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – გარიგება, დადასტურების შემთხვევაში, სამართლებრივ შედეგებს დადასტურების მომენტიდან იძენს. შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს და გარიგება ნების გამოვლენის მომენტიდანვე ნამდვილია. კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობის პროცესში გარიგების მოწონება/დადასტურება ქონების მეურვის თანხმობით უნდა განხორციელდეს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- აუცილებელი ნებართვის გარეშე დადებული გარიგება.
- დადასტურების მნიშვნელობა გარიგების ბათილობისას.
- საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ.
- შემდგომი თანხმობა (მოწონება).
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- მეურვე.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტი 4.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 59. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 61. ნაწილი 2.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 99. ნაწილი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 101.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 2.
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 21. ქვეპუნქტი 1.ა.
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მუხლი 26.

სრული განმარტების ციტირება:
1.3.5. შეიძლება ითქვას, რომ სახეზე გვაქვს აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება (სკ-ის 99-ე მუხლი), რის თაობაზე ინფორმირებული იყო ლოგოს საკუთრებაში მიმღები და ეს ფაქტი გარიგების ბათილობაზე მეტყველებს, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს შემდგომი მოწონების ინსტიტუტს, რომელიც, მსგავსად ბათილი გარიგების დადასტურებისა (სკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამოვლენილ ნებას იურიდიული ძალმოსილებით აღჭურავს, თუმცა, განსხვავებით დადასტურებისაგან, რომელიც სამართლებრივ შედეგებს დადასტურების მომენტიდან იძენს (სკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მოწონებას უკუქცევითი ძალა აქვს და გარიგება ნების გამოვლენის მომენტიდანვე ნამდვილია (უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების დადასტურებისა და მოწონების სუბიექტებიც განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში, ამგვარად გარიგების მხარე გვევლინება, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მესამე პირი, რომლის ნებაზეცაა დამოკიდებული გარიგების ნამდვილობა) რამდენადაც, ამავე კოდექსის 101-ე მუხლისა და 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო, არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.

1.3.6. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ შპს „ს-ოს“ პარტნიორთა კრებამ 2015 წლის 16 ნოემბერს 75% წილის მქონე უმრავლესობით მოიწონა ამავე კომპანიის დირექტორის მიერ ლოგოს გასხვისების გარიგება, ხოლო, 25%-იანი წილის მქონე პარტნიორმა უარი განაცხადა გარიგების დადასტურებაზე. ამ კრების ოქმის ნამდვილობასთან მიმართებით, საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის არგუმენტს, რომლის თანახმადაც სასამართლომ არასწორად განმარტა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები. დადგენილია, რომ კომპანიებს შორის გარიგება 2014 წლის 24 ოქტომბერს დაიდო, ხოლო, 2015 წლის 6 ოქტომბრიდან 2016 წლის 15 მარტამდე კომპანიის მიმართ მიმდინარეობდა გადახდისუუნა-

რობის საქმის წარმოება (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.6.-.1.2.7.), შესაბამისად, ბათილი განკარგვის დადასტურებაც, ხსენებული კანონის ფარგლებში უნდა შემოწმდეს. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების სამართლებრივ დასკვნას იმის თაობაზე, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 მუხლის „ა“ ქვეპუნტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების მოწონება ქონების მეურვის თანხმობით უნდა განხორციელებულიყო. ამგვარი თანხმობა კი, საქმის მასალებში არ მოიპოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1237-1157-2017 (09 ნოემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი

საკვანძო საკითხი:
ზიანის ანაზღაურება შვილობილი კომპანიის არამართლზომიერი ლიკვიდაციისთვის.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ დაკმაყოფილდა ამ კომპანიის კრედიტორი საწარმოს (მენარდის) მოთხოვნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის თანხის დაკისრების თაობაზე, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე წინაპირობების არსებობის საფუძვლით.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – თუ მშობელი კომპანია შვილობილი საწარმოს ლიკვიდაციის დაწყებამდე წინსწრებით განკარგავს კომპანიის ქონებას და ლიკვიდატორი კრედიტორს არ მიიწვევს ლიკვიდაციის პროცესში, რასაც შედეგად კრედიტორის ნამდვილი ქონებრივი ინტერესების შელახვა მოჰყვება, სახეზე იქნება არა უსაფუძვლოდ გამდიდრების, არამედ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე წინაპირობები – მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედება, რაც გამართლებულს ხდის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის დაკმაყოფილებას.

განმარტებული საკითხები:
- საწარმოს ლიკვიდაცია.
- კრედიტორთა დაკმაყოფილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში.
- უსაფუძვლო გამდიდრება (კონდიქცია).
- შესრულების კონდიქცია.
- დელიქტი.
- პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა (რესტიტუცია).
- მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 14. პუნქტები 4.,5.,9.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 408. პუნქტი 1.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 409.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 989.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 393. ნაწილები 1.,2.

სრული განმარტების ციტირება:
3.2. განსახილველი სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდირებული კომპანიის კრედიტორ მენარდეს შეუძლია თუ არა მოსთხოვოს სახელმწიფოს თანხის ანაზღაურება. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, სახელმწიფო (რომელიც მოვალე კომპანიის დამფუძნებელია, განკარგა მისი საწესდებო კაპიტალი, ხოლო შემდგომ მოახდინა კომპანიის ლიკვიდაცია და საკუთრებაში მიიღო ამ კომპანიის მიერ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაუმჯობესებული ქონება) უსაფუძვლოდ გამდიდრდა და მან კონდიქციური ვალდებულების ფარგლებში უნდა აგოს პასუხი კომპანიის ყოფილი კრედიტორის წინაშე. ამ დასკვნის სამართლებრივ საფუძვლად გამოყენებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლი, ამასთანავე, სასამართლომ, დელიქტის წესებიდან გამომდინარე,

სარჩელის დაკმაყოფილება იმ დასაბუთებით გამორიცხა, რომ შემკვეთი კომპანიის ლიკვიდაციის პროცესში ლიკვიდატორის მხრიდან კანონის მოთხოვნათა ფორმალური დაცვა გამორიცხავდა ზიანის შემადგენლობის არსებობას. ამ მსჯელობას არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ არ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უმთავრესი წინაპირობა – ვითომ კრედიტორის გამდიდრების ფაქტი, ასევე, ანაზღაურებას გამორიცხავს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ნივთის გადაცემის დროისათვის გამდიდრების ოდენობა. საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში იზიარებს კასატორის სამართლებრივ პრეტენზიას და თვლის, რომ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები მართლაც არ გამომდინარეობს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მარეგულირებელი წესებიდან, თუმცა, მიიჩნევს, რომ ხსენებული პრეტენზიის საფუძვლიანობა დავის მატერიალური შედეგის კანონიერების თვალსაზრისით უნდა შემოწმდეს, კერძოდ, იქონია თუ არა გავლენა დამფუძნებელი ნორმის განსაზღვრის საკითხმა გადაწყვეტილების სისწორეზე.

3.3. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფაქტების სუბსუმირება სამართლის ნორმის წინაპირობებთან სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სარჩელის ფაბულა, ისე – დადგენილი და მხარეთა შორის უდავო ფაქტები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სახეზეა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და სარჩელის წარმატებულობა უნდა შეფასდეს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის ფარგლებში.

მართალია, ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინა კანონით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც: ლიკვიდირებული საწარმოს მიმართ მოსარჩელის სახელშეკრულებო მოთხოვნა ნამდვილია; მოპასუხემ ლიკვიდაციის დაწყებამდე განკარგა კომპანიის ქონება; ლიკვიდატორმა კრედიტორი არ მოიწვია ლიკვიდაციის პროცესში და ქონების წინსწრებით განკარგვის გზით (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ. 2.14.) კანონით გარანტირებული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები პრაქტიკულად გაასხვისა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 (5) (9) მუხლი, ასევე, ეკონომიკის მინისტრის №1-1/2044 ბრძანების მე-3 (8) (9) მუხლი), სახეზეა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედება, რომელსაც შედეგად მოსარჩელის ქონებრივი ინტერესების შელახვა მოჰყვა, რაც გამართლებულს ხდის დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2/ბ-1053-18 (080210118002282327) (26 ნოემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ნანა კალანდაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ლაურა მიქავა, თამარ სვანიძე

საკვანძო საკითხი:
დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა) საკორპორაციო ჩიხის დროს.

განჩინების რეზიუმე:
მოსარჩელემ მოითხოვა მოვალეობათა დარღვევის გამო შპს-ს დირექტორის თანამდებობიდან გადაყენება. სასამართლოსთვის მიმართვა გამოიწვია საკორპორაციო ჩიხმა – საწარმოს ორ პარტნიორს 50-50%-იანი წილები აქვთ. სასამართლომ განმარტა, რომ არ არის უფლებამოსილი დირექტორის დანიშვნა-გამოწვევაზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) ფიდუციური მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება (ზრუნვა), ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი საღად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება კი გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ერთგულების მოვალეობა.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.
- კეთილსინდისიერება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8. პუნქტი 3.

სრული განმარტების ციტირება:
4.4. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება „ფიდუციური მოვალეობები“, რაც მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

4.5. საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის (დირექტორი) მოვალეობები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) გულმოდგინება, ბ) ერთგულება და გ) კეთილსინდისიერება. გულმოდგინების მოვალეობა გულისხმობს, დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირი. ერთგულების მოვალეობა მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. კეთილსინდისიერება კი გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით

და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. დირექტორს გონივრულად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ფიდუციური მოვალეობის საფუძველი, კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – „ბიზნესგადაწყვეტილებების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რომელიც მას მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან. მოსარჩელე მხარეა ვალდებული გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია. ბიზნესგადაწყვეტილების პრეზუმფციის გასაქარწყლებლად მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია საჭირო.

განმარტებული საკითხები:
- ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია.
- მტკიცების ტვირთის განაწილება სამეწარმეო სამართალში.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „სამეწარმეო განსჯის წესს“ ანუ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საწარმოს დირექტორები მოქმედებდნენ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერებისა და ინფორმირებულობის პრინციპის დაცვით, შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია.

4.6. ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.

4.17. განსახილველ შემთხვევაში, აპელანტის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა მტკიცებულებები, რომელთა ერთობლობაში შეფასებით პალატა მივიდოდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე, როგორც საზოგადოების დირექტორი, ამ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა. ფიდუციური ვალდებულებები (ერთგულება და გულისხმიერება (ზრუნვა) მოითხოვს ხელმძღვანელისგან (დირექტორისგან), არ იმოქმედოს ინტერესთა კონფლიქტის დროს საწარმოს ინტერესების საპირისპიროდ, ასევე არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება საწარმოს ინტერესებს (მოგების მაქსიმიზაციას). დამოუკიდებელი (ინტერესთა კონფლიქტის გარეშე) მოქმედი დირექტორის ქმედების (სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას) შეფასებისას გამოიყენება ე. წ. „მართებული სამეწარმეო გადაწყვეტილების პრეზუმფცია“, რომ-

ლის გასაქარწყლებლად მოსარჩელის მიერ განსახილველ შემთხვევაში რელევანტური მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

4.18. პალატა მიუთითებს, რომ დირექტორის მიერ მიღებული „ბიზნეს გადაწყვეტილების“ (დირექტორის საქმიანობა კორპორაციული მართვისას/მატერიალური საკითხების გადაწყვეტა საწარმოს მართვისას) უმართებულობის დასადასტურებლად მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია საჭირო, რომ გაქარწყლდეს დირექტორის მიმართ მოქმედი პრეზუმფცია, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (იხ., სუსგ №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი).

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ.

განმარტებული საკითხები:
- დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.5. ... დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული სარჩელი უზრუნველყოფს, რომ დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიისათვის კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ასეთი სარჩელი, ერთის მხრივ, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დერივაციული სარჩელის აღვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 06 ნოემბრის №ას-687-658-2016 გადაწყვეტილება).

IV. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – ფიდუციური მოვალეობები დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ.

განმარტებული საკითხები:
- კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება.
- ერთგულების მოვალეობა.
- ფიდუციური მოვალეობები.
- ზრუნვის (გულმოდგინების) ვალდებულება.

• არასათანადო მოსარჩელის შეცვლა.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. ნაწილი 9.
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.
• სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.

სრული განმარტების ციტირება:
4.7. ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის იმავე მე-9 მუხლიდან, რომლის შესაბამისადაც, დირექტორი საკუთარი მოვალეობების დარღვევისაგან წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

V. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – არც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი და არც სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს სასამართლოს მიერ დირექტორის დანიშვნის/გამოწვევის შესაძლებლობას, თუნდაც დადასტურდეს დირექტორის მხრიდან კომპანიისთვის ზიანის მიყენების ფაქტი ან არსებობდეს ე. წ. „ჩიხური სიტუაცია“ (ორი პარტნიორი თანაბარი ხმებით).

განმარტებული საკითხები:
• დირექტორის გათავისუფლება (გამოწვევა).
• დირექტორის დანიშვნა.

განმარტებული ნორმები:
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 7.,7[1].
• მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1]. ქვეპუნქტი 6.ე.

სრული განმარტების ციტირება:
4.11. სააპელაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების თანახმად მხოლოდ პარტნიორთა კრებას შეუძლია დირექტორის დანიშვნის/გამოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რადგან არც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს სხვა პირის ან სასამართლოს მიერ დირექტორის დანიშვნის/გამოწვევის შესაძლებლობას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ შესაბამისი მტკიცებულებებით, რეალურად კიდევაც რომ დადასტურდეს დირექტორის მხრიდან კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი – პარტნიორის დირექტორობიდან გამოწვევის საფუძველი, კანონის თანახმად, სასამართლო მაინც არ იქნება უფლებამოსილი შეაფასოს და იმსჯელოს დირექტორის გამოწვევა/დანიშვნის საკითხზე. ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე მოცემული საზოგადოების წესდება ცალსახად და იმპერატიულად ადგენს, რომ აღნიშნული მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა კრების დისკრეციას წარმოადგენს. ამდენად, სასამართლო, სპეციალური ნორმატიული აქტების რეგულაციის პირობებში ვერ ჩაერევა აღნიშნულ სამეწარმეო ურთიერთობების მოწესრიგებაში.

4.12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორების 50-50%-იანი წილობრივი მონაწილეობა კომპანიაში აძნელებს კონკრეტული მხარისათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნული ვერ გახდება სამეწარმეო ურთიერთობებში სასამართლოს ჩარევს საფუძველი. პარტნიორები ვალ-

დებულნი არიან თავად დაარეგულირონ ურთიერთობები და იმოქმედონ მხოლოდ საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, რათა თავიდან აარიდონ მას ყოველგვარი ზიანი, თუნდაც იმიტომ, რომ კომპანიის უკან დგას სწორედ პარტნიორთა ქონებრივი ინტერესები. სასამართლოს ჩარევა განსახილველ ურთიერთობაში თავდაყირა აყენებს სამეწარმეო სამართლით განმტკიცებულ პრინციპებს და წარმოადგენს სახელმწიფოს უხეშ ჩარევას კერძო ავტონომიაში. სამეწარმეო ურთიერთობებში მოქმედებს მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ორი პირის – თ. ე.-სა და დ. გ.-ს საერთო ქონება – კომპანია. ისინი შეთანხმებული არიან კომპანიის დაფუძნებისას, რომ დირექტორს მხოლოდ ერთობლივად დანიშნავენ, ამასვე ამბობს კანონიც. შეთანხმებულ წესდებაში გაწერილია მათი ნება, რომლითაც მათ განსაზღვრეს საკუთარი უფლება-მოვალეობები. მაშინ როდესაც კომპანიას აფუძნებს ორი პარტნიორი თანაბარი წილობრივი მონაცემებით, ისინი თავიდანვე მიდიან გარკვეულ რისკებზე. როგორც წესი ასეთ შემთხვევაში პარტნიორები თავიდანვე შეგნებულად თანხმდებიან, რომ დავის არსებობის შემთხვევაში იმოქმედონ კომპანიის საუკეთესო ინტერესებისათვის.

4.13. პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა დავა, რომელიც შეეხება კომპანიის დირექტორის გამოწვევას. ვინაიდან ორივე პარტნიორს აქვს ხმების თანაბარი ოდენობა, შეიქმნა ე. წ. „ჩიხური სიტუაცია“. პალატა მიუთითებს, რომ როგორც წესი სასამართლოებს ინსტიტუციონალურად არ შესწევთ სამეწარმეო გადაწყვეტილების შეფასების უნარი, ვინაიდან მოსამართლეებს ზოგადად არ აქვთ მეწარმეობის საჭირო ცოდნა და ბიზნესის წარმოების გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანია, სამეწარმეო გადაწყვეტილების შინაარსის შეფასებისას. სწორედ ამიტომ არის დაუშვებელი სასამართლოს ჩარევა პარტნიორთა კრების კომპეტენციაში და ხმების გაყოფისას სხვა პარტნიორის ნაცვლად სასამართლოს მიერ ნების გამოვლენა არასწორია.

VI. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა მოვალეობათა დარღვევისათვის (მართლსაწინააღმდეგო ქმედება), რასაც მოჰყვა უშუალოდ ზიანი. დირექტორის მოვალეობები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე. წ. კანონისმიერი მოვალეობები, ხოლო მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა.
- საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9. პუნქტები 5.,6.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 3.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 55. პუნქტი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 56. პუნქტი 4.

სრული განმარტების ციტირება:
4.14. ... უდავოა, რომ დირექტორს თავისი მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ, ამავდროულად, დავის შემთხვევაში ზუსტად უნდა გაირკვეს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც მოჰყვა უშუალოდ ზიანი. დირექტორის არამართლზომიერი ქმედება ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე. წ. კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული), ხოლო მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადაწყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-1141-2018 (30 ნოემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ბესარიონ ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე

საკვანძო საკითხი:
პარტნიორთა კრების ავტონომიურობა და დივიდენდის გაცემა.

გადაწყვეტილების რეზიუმე:
საწარმოს 50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მოთხოვნა დივიდენდის დაკისრებაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის დარღვევის საფუძველი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. ვინაიდან, საზოგადოების წმინდა მოგების განაწილება საწარმოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია, იგი სწორედ პარტნიორთა კრებაზე უნდა განიხილონ, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება ერთ-ერთი მხარის პრეტენზიის ფარგლებში, შესაძლოა, სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცეს, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას. დაუშვებელია საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის მხოლოდ იმ დასაბუთებით დარღვევა, რომ სავარაუდო იყო – 50-50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, მით უფრო, როდესაც პარტნიორთა კრებას არც კი უმსჯელია დივიდენდის განაწილების საკითხზე. სავალდებულო რეჟიმში დივიდენდის მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრება.
- პარტნიორთა კრების ავტონომიურობის პრინციპი.
- უფლების ბოროტად გამოყენება (შიკანა).

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
3.1. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სასამართლო გასცდა საკუთარ დისკრეციას და დივიდიენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით დაარღვია პარტნიორთა კრების ავტონომიურობის პრინციპი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). სასამართლო, პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტზე, რომლის თანახმადაც საწარმოს პარტნიორთა კრებას წმინდა მოგების პარტნიორებს შორის განაწილების საკითხზე არც კი უმსჯელია, იგი ორჯერ

იქნა შეტანილი კრებაზე გადასაწყვეტ საკითხებს შორის, თუმცა ორჯერვე გამოწვეულ იქნა მოსარჩელის მიერ (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 2.4.), ამ მხრივ რაიმე ფაქტობრივი გარემოება, რაც დაადასტურებდა პირველი პარტნიორის მხრიდან საკითხის ინიცირების შეუძლებლობას ან საკუთარი, როგორც პარტნიორისათვის, გარანტირებული კანონიერი უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი. სარჩელის დაკმაყოფილებისა და პარტნიორთა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტა პალატამ იმ არგუმენტით დაასაბუთა, რომ კომპანია ორი პარტნიორის მიერ არის დაფუძნებული და ორივე მათგანი თანაბარი წილის მფლობელია საწესდებო კაპიტალში, ამასთან, რადგანაც პარტნიორებს შორის არ არსებობს ერთიანი კონსენსუსი, სავარაუდო იყო, რომ დივიდენდის განაწილების შესახებ პირველი პარტნიორის მოთხოვნა უარყოფილი იქნებოდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განვითარებული მსჯელობა, შეიძლება ითქვას, გარკვეული ლოგიკურობით ხასიათდება, თუმცა საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება სამეწარმეო სამართლისათვის დამახასიათებელ სუბსტანციურ პრინციპებს.

3.3. ... კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. ამდენად, უდავოა, რომ, როგორც კანონის, ისე, საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასანაწილებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას.

ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა საზოგადოების პარტნიორის მოთხოვნას სასამართლოს მეშვეობით დივიდენდის განაწილების თაობაზე და განმარტა, რომ პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის გზით განხორციელდა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის... პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მოხდა დივიდენდების განაწილება და მას, როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და საწარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე.“ (იხ. სუსგ-ებები: №ას-75-408-09, 2 ივლისი, 2009 წ; №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015 წელი).

4. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის მხოლოდ იმ დასაბუთებით დარღვევის ნაწილში, რომ 50-50%-იანი წილის მფლობელი პარტნიორები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, მით უფრო, როდესაც პარტნიორთა კრებას არც კი უმსჯელია დივიდენდის განაწილების საკითხზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა. ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება, მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო, საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ვინაიდან საზოგადოების წმინდა მოგების განაწილება საწარმოს პარტნიორთა კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხია, იგი სწორედ პარტნიორთა კრებაზე უნდა იქნას განხილული, ხოლო მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, ერთ-ერთი მხარის პრეტენზიის ფარგლებში, ბუნებრივია, შესაძლოა სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცეს.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორის მოგების მიღების უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან) და დივიდენდის მოთხოვნის უფლებას (წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან).

განმარტებული საკითხები:
- დივიდენდის მიღების უფლება.
- დივიდენდის მოთხოვნის უფლება.
- დივიდენდის გაცემის საფუძველი.
- დივიდენდი.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 8. პუნქტი 1.

სრული განმარტების ციტირება:
3.3. ... სამეწარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

III. განმარტება

განმარტების შეჯამება:
OD – პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს. პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა.
- მრავალმხრივი გარიგება.
- უფლების სასამართლო წესით დაცვა.
- გარიგების ბათილობა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 54.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2. ნაწილი 1.

სრული განმარტების ციტირება:
3.3. ... სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, პარტნიორთა გადაწყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა (სკ-ის 50-ე მუხლი), რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს და სადავოობის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლო
საქმის №2ბ/6887-18 (28 დეკემბერი, 2018 წელი)
მოსამართლეები: ლევან გვარამია (თავმჯდომარე), გოგიტა თოთოსაშვილი, გელა ქირია

საკვანძო საკითხი:
დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა, როგორც უზრუნველყოფის საშუალება.

განჩინების რეზიუმე:
საჩივრის ავტორი ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის სახით შპს-ს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვას, რაც არ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების (შესაბამისობა დავის საგანთან, მესამე პირებზე გავრცელების აკრძალვა, აუცილებლობა) არარსებობის გამო.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – უზრუნველყოფის სახით დირექტორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ზოგადი შეზღუდვის მოთხოვნა, იმ პირობებში, როცა სადავოა საზოგადოების სახელით დადებულ მხოლოდ ერთ გარიგება, არ არის შესაბამისი სარჩელის მოთხოვნასთან (დავის საგანთან).

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები.
- სარჩელის უზრუნველყოფა.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.

სრული განმარტების ციტირება:
უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დამოკიდებულია სასარჩელო მოთხოვნის შინაარსზე, რამდენადაც სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ხდება დავის საგნის დაცვის აუცილებლობის შეფასება.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოითხოვს მოპასუხეებს აეკრძალოთ შპს „ქ. გ.“-ს 60% წილის მფლობელ პარტნიორთა თანხმობის გარეშე 2018 წლის 20 მარტის ხელშეკრულების ფარგლებში და მისი შესრულების მიზნით ნებისმიერი ქმედების (მათ შორის და არა მხოლოდ, ფართით სარგებლობა, საიჯარო ქირის გადახდა) განხორციელდება, ასევე, ამასთან, საგულისხმოა, რომ სარჩელის თანახმად, მ. ფ. ჰ. ბ.ვ.-ს მოთხოვნა წარმოადგენს მხოლო შპს „ქ. გ.“-სა და შპს „თ. ე. ჯ.“-ს შორის 2018 წლის 20 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულები ბათილად ცნობა.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის სახით მხარე მოითხოვს საზოგადოების დირექტორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ზოგადად შეზღუდვას იმ პირობებში, როცა სადავოდ ხდის საზოგადოების სახელით დადებულ მხოლოდ ერთ გარიგებას, რაც უდავოდ მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოთხოვნა არ მოდის შესაბამისობაში თავად სარჩელის მოთხოვნასთან (დავის საგანსთან).

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – საზოგადოების დირექტორის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების წესდების საფუძველზე. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის მიმართ. სარჩელის უზრუნველყოფით არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირის უფლებები.

განმარტებული საკითხები:
- დირექტორის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეზღუდვა.
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- სარჩელის უზრუნველყოფა.
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები/საშუალებები.
- სარჩელის უზრუნველყოფა და მესამე პირის ინტერესების გათვალისწინება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 47.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 191. ნაწილი 1.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 198.

სრული განმარტების ციტირება:
საზოგადოების დირექტორის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების წესდების ე. ი. პარტნიორთა მიერ დადებული შეთანხმების საფუძველზე. ამდენად, მოთხოვნილი სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ შესაძლოა განაპირობოს, საზოგადოების წესდებიდან განსხვავებული ქცევის წესის დადგენა, რაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგნიდან გამომდინარე დაუშვებელია. ამასთან, აღნიშნულმა ასევე შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს საზოგადოების სხვა პარტნიორის უფლებებზე და მოვალეობებზე ე. ი. იმ პირის უფლებებზე და ვალდებულებებზე, რომელიც მითითებულ დავაში არ არის ჩაბმული მხარედ.

მოცემულთან მიმართებით, პალატა მიუთითებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის მიმართ და/ან მის წინააღმდეგ, რათა დავის საგანი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი (მათ შორის კეთილსინდისიერი მესამე პირების მართლზომიერი ქმედებისგან) ქმედებისგან იყოს დაცული. ამასთან, უზრუნველყოფით არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირის უფლებები. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა თავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი, რომელიც ამ ვითარებაში არ შეიძლება განიმარტოს 198-ე მუხლისგან დამოუკიდებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქმის №ას-821-2019 (01 აგვისტო, 2019 წელი)
მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, ბესარიონ ალავიძე

საკვანძო საკითხი:
საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის ბათილობა.

განჩინების რეზიუმე:
სს-ს აქციონერები (მოსარჩელეები) მოითხოვდნენ საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებათა ბათილად ცნობას და აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე არსებული რეგისტრირებული მონაცემების აღდგენას. დადგინდა, რომ საერთო კრებამ 50%-ზე მეტი ხმით ვერ მიიღო გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გამოწვევისა და ახალ წევრთა არჩევის შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ წესდების არარეგისტრირებული ცვლილების თანახმად, ამგვარი გადაწყვეტილება 75%-ზე მეტი ხმით უნდა ყოფილიყო მიღებული. მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრმა საწარმოს რეგისტრირებულ მონაცემებში შეიტანა ცვლილებები. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დარჩა ძალაში. კასაცია დაუშვებლად იქნა ცნობილი.

I. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – სამეწარმეო სუბიექტის წესდება და აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გარიგებებია და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ. შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები თავად განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. მართლზომიერია საწარმომ იხელმძღვანელოს წესდებაში განხორციელებული ცვლილებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებები არ არის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში, თუ ეს ცვლილებები პარტნიორებს არ გაუხდიათ სადავოდ.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა შეთანხმება (საწარმოს წესდება).
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გათავისუფლება (გამოწვევა).
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია.
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის ბათილობა.
- მრავალმხრივი გარიგება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 3. პუნქტი 4[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 5[1]. პუნქტი 2.
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54. პუნქტები 6.ვ.,7.
- სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 50.

სრული განმარტების ციტირება:
69. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სს „კ.“ 2012 წლის 3 აგვისტოს №1 კრების ოქმით დადგენილია, რომ კრებას ესწრებოდა აქციათა 93.9%-ის მფლობელი აქციონერები, მიღებული იქნა გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, მათ შორის, ცვლილება შევიდა წესდების 4.3 მუხლში და „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა, ბ, გ, და ვ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად განისაზღვრა დამსწრე ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა. დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №B15156350/... გადაწყვეტილებით მოთხოვნა წესდების ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დაკმაყოფილდა. კასატორი სადავოდ ხდის აქციონერთა საერთო კრების 2012 წლის 03 აგვისტოს №1 ოქმის და წესდებაში განხორციელებული ცვლილებების კანონიერებას

და დაუსაბუთებლად მიიჩნევს სასამართლოს მსჯლეობას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან აქციონერებს სადავოდ არ გაუხდიათ დასახელებული კრების ოქმი აღნიშნული ავტომატურად უნდა განხილულიყო რეგისტრირებულად (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

70. ზემოაღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო პალატა არ იზიარებს და სსკ-ის 50-ე მუხლის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისაკენ წარმოადგენს გარიგებას. აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც გარიგებაა და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმები გარიგებათა შესახებ. თავის მხრივ, „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე. სამეწარმეო სუბიექტის წესდება, თავისი არსით, არის სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება. შესაბამისად, ხელშემკვრელი მხარეები თავად განსაზღვრავენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. ამდენად, სასამართლოს მითითება მასზედ, რომ მითითებული გარიგება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, პირიქით, გაიგება წარედგინა მარეგისტრირებელ ორგანოს და განთავსდა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს ელექტრონულ რესურსზე, გარიგების ძალაში შესვლის საკითხის გადასაწყვეტად, მართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული. მით უმეტეს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული მონაცემების საფუძვლად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე. რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა.

71. მაშასადამე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ს.ს ,კ.” აქციონერებმა 2015 წლის 19 მარტის საერთო კრებაზე, სადაც განიხილებოდა იგივე საკითხი, კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლა, იხელმძღვანელეს წესდებაში განხორციელებული ცვლილებით და ვინაიდან დამსწრე აქციონერთა ხმების 75%-ზე მეტმა მხარი არ დაუჭირა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილებას, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. არც აღნიშნული კრების გადაწყვეტილება გაუხდიათ სადავოდ აქციონერებს. ამასთან, საგულისხმოა, რომ არც 2015 წლის 14 ივლისის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე დამსწრე აქციონერთა ხმების 75%-ზე მეტმა მხარი არ დაუჭირა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილებას და აქციონერთა საერთო კრებამ დაადგინა, რომ გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილების შესახებ არ იყო მიღებული, რაც სადავოდ არ გაუხდიათ აქციონერებს.

72. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სს „კ.”-ს 2015 წლის 14 ივლისის აქციონერთა კრებამ გადაწყვიტა, რომ არ იყო მიღებული სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება და კრებამ იხელმძღვანელა წესდების ცვლილებით, რაც აქციონერებს სადავოდ არ გაუხდიათ. ნოტარიუს თ. პ-ს 2015 წლის 21 აგვისტოს №171718/... ინფორმაციითაც დადგენილია, რომ კრებაზე დაყენებულ საკითხებზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული საზოგადოების მოქმედი წესდების შესაბამისად (დამოწმებული 05.09.2014 წ. ნოტარიუს ც.ბერიძის მიერ რ/რ№1409498...; ინდ. №412765081292...), რომლის ელექტრონული ვერსია ატვირთულია მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრის ვებგვერდზე. ნოტარიუსის მიერ დეტალურად იქნა აღწერილი კრების მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილებები.

73. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 1 ოქტომბრის №B15156350/... გადაწყვეტილებით მაინც განახლდა შეწყვეტილი სარეგისტრაციო წარმოება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილებებთან დაკავშირებით, აქციონერთა შეთანხმების (გადაწყვეტილების) საწინააღმდეგოდ, კერძოდ, აქციონერთა კრების მიერ საკითხის გადაუწყვეტლად დადგენის მიუხედავად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მაინც დაადგინა, რომ გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ცვლილების შესახებ მიღებული იყო და 2015 წლის 01 ოქტომბრის №B15156350/... გადაწყვეტილებით განახორციელა რეგისტრირებულ მონაცემებში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და ხელმძღვანელობასა და წარ-

მომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია. უფრო მეტიც, მოსარჩელეთა საჩივარი მითითებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 30 ნოემბრის №2879... გადაწყვეტილებით.

74. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აღნიშნული გადაწყვეტილებები არ გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 5[1] მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნიდან, რომლის მიხედვით, საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება, რაც განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა.

II. განმარტება

განმარტების შეჯამება:
RD – იმ მოცემულობაში, როდესაც საერთო კრების ოქმი გასაჩივრებული არაა, სასამართლო სხვა დავის ფარგლებში ვერ იმსჯელებს (1) პარტნიორთა ამ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ამავე კრებაზე გამოხატულ ნებასთან შესაბამისობის საკითხზე; (2) კრების ოქმის სარეზოლუციო და სხვა ნაწილებს შორის წინააღმდეგობაზე.

განმარტებული საკითხები:
- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება (ოქმი).
- პარტნიორთა საერთო კრება.
- აქციონერთა საერთო კრება.

განმარტებული ნორმები:
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 9[1].
- მეწარმეთა შესახებ, მუხლი 54.

სრული განმარტების ციტირება:
75. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებითაც, რომ სს „ს. ს. ბ." გენერალური დირექტორი – გ. ფ-ი და სს „გ. ე. თ." გენერალური დირექტორი – ი. კ-ა აღნიშნავდნენ, რომ ისინი ესწრებოდნენ სს „კ." აქციონერთა 2015 წლის 14 ივლისის საერთო კრებას, რომელზედაც დღის წესრიგის პირველ, მეორე და მესამე საკითხებთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რაც კრების ოქმითაც დასტურდება, თუმცა, კრების თავმჯდომარის მიერ არასწორად შეფასდა აქციონერების მიერ კრებაზე გამოხატული ნება, რაც კრების ოქმის გადაწყვეტილების ნაწილშიც არასწორად აისახა.

76. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ მოცემულობაში, როდესაც სს „კ." აქციონერთა 2015 წლის 14 ივლისის საერთო კრების ოქმის გასაჩივრებული არაა, კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების ამავე კრებაზე გამოხატულ ნებასთან შესაბამისობის საკითხზე, სასამართლო ვერ იმსჯელებს მოცემული დავის ფარგლებში. ამავე საფუძვლით არაა გასაზიარებელი კასატორის მითითება მასზე თუ რატომ მიენიჭა კრების ოქმის სარეზოლუციო ნაწილს მნიშვნელობა, ოქმის იმ ნაწილთან შედარებით, სადაც მითითებულია, რომ გადაწყვეტილების მიღებას მხარი დაუჭირა 50%-ზე მეტმა აქციონერმა, რაც სრულიად საკმარისი იყო გადაწყვეტილების მისაღებად (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები – ამ განჩინების პპ:54-56).

ISBN 978-9941-9668-6-6